ნებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს არ არის აკრძალული კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

უძრავ ნივთს მიეკუთვნება მინის ნაკვეთი მასში არსებული ნიალისეულით, მინაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობობანი, რომლებიც მყარად დგანან მინაზე. ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მინასთან და არ არის გამიზნული დროებით სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს.

ზოგადად, უძრავ ქონებაში შედის: ა) მინის ნაკვეთები; ბ) ნიალისეული; გ) წყლის რესურსები; დ) ყველაფერი ის, რაც მყარადაა მიბმული მინაზე; ტყეები; მრავალწლიანი ნარგავები; შენობები; ნაგებობები; ე) უძრავ ქონებასთან მიახლოებული ქონება, როგორიცაა: საჰაერო და საზღვაო ხომალდები; შიდა წყლებში ქვეყნის შიგნით მოცურავე გემები, კოსმოსური ობიექტები;

უძრავი ქონების თეორიასა და პრაქტიკაში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ როგორც მატერიალური ობიექტები, ასევე ეკონომიკურ-სამართლებრივი და სოციალური ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ფლობის წესს და მათზე სამართლებრივი დამოკიდებულების სიმყარეს. უძრავი ქონების ფიზიკურ, ეკონომიკურ-სამართლებრივ და სოციალური ურთიერთობების კომპლექსს მიეკუთვნება:

1. ფიზიკური ობიექტი: ა) ადგილმდებარეობა; ბ) მოცულობის ფართობი და საზღვრები; გ) მოცულობა (სიმაღლე, სიგანე, ფართობი); დ) ფორმა; ე) ლანდშაფტი; ვ) ნიალისეული; ზ) მინის ტიპები; თ) ფიზიკური დახასიათება; ი) შიდა სამყარო.

2. ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტები: ა) საქონელი; ბ) კაპიტალის შიდა ფორმა; გ) სარგებლობა; დ) შემოსავლიანობა; ე) ლიკვიდურობა; 3) ფინანსური აქტივი; ზ) ღირებულება; თ) ფასი; ი) გადასახადები; კ) ინვესტირება; ლ) მოთხოვნა და მიწოდება.

3. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი: ა) საკუთრების უფლება; ბ) სამემკვიდრეო ფლობის უფლება; გ) მუდმივი სარგებლობის უფლება; დ) სამეურნეო საქმიანობის უფლება; ე) ოპერატიული მართვის უფლება; ვ) ტრასტი; ზ) გირაოს, იჯარის, მშენებლობის ნებართვა; თ) სერვიტუტი; ი) მინის ნაკვეთზე განლაგებული შენობის მეპატრონის უფლებები ამ ნაკვეთზე; კ) სანარმოს მართვის სოციალური — “ოქროს აქცია” — უფლება; ლ) უზუფრუქტი, მ) აღნაგობა, ნ) აღნაგობის უფლების იპ-

ოთეკით დატვირთვა, ო) ქირავნობა, ქვექირავნობა, პ) თხოვნა, ჟ) ლიზინგი, რ) უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული უფლებები და სხვა სამართლებრივი უფლებები.

4. მინა, როგორც ზოგადი სოციალური ურთიერთობების ობიექტები არის: ა) ყველა თაობის ადამიანების ცხოვრების ადგილი; ბ) ადამიანების ცხოვრების პირობები; გ) აღუდგენელი ბუნებრივი რესურსი; დ) სხვა ობიექტის განთავსების სივრცე; ე) დაცული ყველა ადამიანის კეთილდღეობისათვის; ვ) თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი; ზ) ფლობის პრესტიჟულობა; თ) სიამაყისა და დიდების საფუძველი; ი) მრავალფუნქციური დანიშნულება; კ) საზოგადოებაში საშუალო ფენის წარმოშობის პირობა.

რეალურად უძრავი ქონების ნებისმიერი ობიექტი არსებობს ფიზიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ ურთიერთობაში. თითოეული მათგანი შეიძლება გამოვიდეს ძირითადი სახით, გამომდინარე ცხოვრებისეული სიტუაციიდან, მიზეზებისა და ანალიზის სტადიიდან.

გეოგრაფიული კონცეფცია განსაზღვრავს მინის ფიზიკურ და ტექნიკურ დახასიათებას: მოცულობა, ადგილმდებარეობა, კლიმატი, ნიადაგის ნაყოფიერება, გაუმჯობესება, გარესამყარო და სხვა პარამეტრები. მინის, როგორც უძრავი ქონების ყველა ობიექტი იმყოფება ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა პროცესების ზემოქმედების ქვეშ. ამის შედეგად მუდმივად იცვლება მათი სამომხმარებლო ხარისხი და ფუნქციური გამოყენება, რომელთა მდგომარეობა გაითვალისწინება გარიგების პროცესში, მინის ფლობის ან გამოყენების დროს.

ეკონომიკური კონცეფცია მინას განიხილავს, როგორც ინვესტირების ეფექტურ ობიექტსა და შემოსავლის გენერირების საიმედო ინსტრუმენტს. მინის, როგორც უძრავი ქონების ძირითადი ეკონომიკური ელემენტებია ღირებულება და ფასი, რომელიც პირველად წარმოიშობა მისი სარგებლობიდან, სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობიდან და ადამიანთა ინტერესებიდან. მფლობელთა მიერ გადახდილი გადასახადებისაგან იქმნება მუნიციპალური ბიუჯეტები და ხდება სოციალური პროგრამების რეალიზება.

იურიდიულ დონეზე მინა, როგორც უძრავი ქონება არის საზოგადოებრივი და კერძო სამართლის ერთობლიობა, რომელსაც აწესებს სახელმწიფო — სახელმწიფო თავისებურებისა და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით. კერძო სამართალი შეიძლება იყოს განუყოფელი ან წილობრივი (ერთობლივი საკუთრება) და გაყოფილი, ქონების ჰორიზონტალური და ვერტიკალური განსხვავების საფუძველზე. მინის ქვეშა რესურსებად, ზედაპირზე არსებული მინის ნაკვეთები და მათზე დამატებული შენობები და საჰაერო სივრცეც. საქართველოს კანონმდებლობით კერძო პირებს აქვთ უფლება თავისუფლად იყიდონ, გაყიდონ, გააქირონ, გასცენ იჯ-

არით და ა.შ. ანუ თავისუფლად განკარგონ თავიანთი ქონება, მაგრამ, როდესაც კერძო საკუთრება უძრავ ქონებაზე მოექცევა საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაშინ შესაძლოა, ის გავიდეს კერძო სამართლის იურისდიქციიდან. მაგ., შეიძლება ჩამოერთვას მესაკუთრეს მინის ნაკვეთი, თუ ის სახელმწიფო ინტერესებისათვის საჭიროა და სხვ.

მინის, როგორც უძრავი ქონების სოციალური როლი მოიცავს ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც სჭირდება ადამიანს გადარჩენისა და ღირსეული ცხოვრებისათვის. უძრავი ქონების ფლობა საზოგადოებრივ აზროვნებაში პრესტიჟულია და აუცილებელია საშუალო ცივილიზებული სოციალური ფენის ფორმებისათვის.

ცალკეულ შემთხვევაში მინის ნაკვეთის მესაკუთრე ითვლება მინისა და მისი შემადგენელი ნაწილების მესაკუთრედ. ესენია: ბუნებრივი რესურსები მინერალების სახით, რომლებიც განთავსებულია ნაკვეთის ქვეშ და ნაკვეთის ზემოთ მდებარე საჰაერო სივრცე, მაგრამ მესაკუთრეს აქვს უფლება, ფლობდეს ისეთ მოცულობას საჰაერო სივრცეს, რომელიც მას შეუძლია ჭკვიანად გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებებით. მას არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მისი მინის ზევით მდებარე საჰაერო სივრცეში სახელმწიფო სანავიგაციო საქმიანობას. მაგალითად, აშშ-ში მთელ რიგ რაიონებში მინის ქვეშ განთავსებული სიმდიდრე ეკუთვნის მინის მესაკუთრეს. სამაგიეროდ უძრავი ქონების მფლობელს აქვს მზის სხივის უფასო მიღების უფლება. საქართველოში ნიალი სახელმწიფო საკუთრებაა. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ თუ ფარულად ხელყოფს ნიალზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას. მინაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა ნიალზე საკუთრების უფლებას.

უძრავი ქონების ცალკეულ ობიექტს და ყველა ერთად აღებულს გააჩნია არსებითი წარმოშობის ნიშნები, რომელიც მათ განასხვავებს მოძრავი ნივთებისაგან, ასევე გარეგნული ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს ობიექტებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ერთგვაროვანი ობიექტებისათვის. მინის ძირითადი ფუნდამენტური თავისებურებებია — უძრაობა და მატერიალურობა ანუ მოხმარებადობა. უნდა აღინიშნოს, რომ მინაზე საკუთრება ცვლის ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. იგი ხდება მესაკუთრე და გადადის სხვა სოციალურ ფენაში, ეუფლება სიამაყის გრძნობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 სიჭინავა ა, კოლუაშვილი პ, ეგიაშვილი დ, მესხიშვილი ა. უძრავი ქონების ეკონომიკა. თბ. 2013 წ. გამომც. «მერიდიანი», 277 გვ.
2. სიჭინავა ა. სენიაშვილი დ. კუტუბიძე ნ. უძრავი ქონების ეკონომიკა. გამომც. «საჩინო», თბ., 2019 წ. 316 გვ.

საქართველოში სოფლის განვითარებისა და მიწის სისტემური პოლიტიკის შესახებ

პაატა კოღუაშვილი
სტუ-ს პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს წინსვლა ქართული სოფლისა და სოფლის მეურნეობის გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. სოფლის ძლიერება დამოკიდებულია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაზე და მის აღსრულებაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის 30 წლიან ისტორიაში იყო არაერთი მცდელობა გატარებულიყო რეგიონული პოლიტიკა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად. დრომ გვიჩვენა, რომ ამ მიზნით შემუშავებული ყველა სტრატეგია თუ პროგრამა ყოველთვის იყო არასისტემური და ფრაგმენტული. შედეგად მივიღეთ თითქმის შეუქცევადი პროცესი ქართული სოფლების დაცარიელებისა, განსაკუთრებით კი მთიანეთში.

სოფელი, მას შემდეგ, რაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მისი ტერიტორიული ორგანო ფაქტობრივად გაუქმდა 2014 წლიდან, ალბათ, ყველაზე უცნაური, ადმინისტრაციული ერთეულია სამართლის ისტორიაში; ვინაიდან ამ პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი - სოფლის ადმინისტრაცია, სამართლებრივად აღარც არსებობს!

ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის უმთავრესი მიწის საკითხის გადანყვეტაა. მიწის საკითხი ყველაზე არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, რადგან ტერიტორიულ იდენტობა ეროვნული ცნობიერების ნიადაგია, ხოლო მისი შენარჩუნება მინათმფლობელობის და მინათსარგებლობის მონესრიგებლად წარმოუდგენელია. მიწა ერის სასიცოცხლო და შემოქმედებითი სივრცეა!

ქართული ტრადიციული სამართალი უწინარესად მიწის საკითხს აგვარებდა. მიწაზე კერძო და საზოგადოებრივი, ე.ი. სათემო საკუთრება მინათმფლობელობის ქართული წესის ამოსავალ პრინციპს წარმოადგენდა. საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილად, პირველ ყოვლისა, სწორედ ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ისტორიულად არსებული მინათმფლობელობის ქართული წესი ტიპოლოგიურად სწორედაც რომ ევროპულია.

საკვანძო სიტყვები: სოფელი, სოფლის განვითარება, თემი, სათემო მინათმფლობელობა, მიწის რეფორმა, მინათსარგებლობა.

Paata Koguashvili

Professor of Georgian Technical University

ON THE ISSUE OF RURAL DEVELOPMENT AND SYSTEMATIC LAND POLICY IN GEORGIA

SUMMARY

State or even municipal agricultural policy has virtually disappeared in Georgia! This existentially crisis situation is clearly evidenced by several tragic circumstances, in particular:

1. Since the first level of local self-government has been abolished in 2006, the village, or the local rural community, is no longer a legal entity in any way, therefore, there is literally no way to speak about its legal status;

2. It is a legal fact that the rural area is disempowered today, and it is not surprising that it lacks all the opportunities to fulfill its obligations to the country;

3. The village is probably the strangest administrative unit in the history of law, since its territorial body has been effectively abolished by the Local Self-Government Code since 2014; since one of the main tools of this policy – the village administration, no longer exists legally!

4. The village disempowered, and consequently discharged from its obligations, which has even no longer its own legal administrative body, de jure and de facto, is deprived of its own heirloom: rural living space - community land (pastures and even meadow, but not only), community forest, water, other local natural resources, agricultural or communal infrastructure of general use, and so on, which should be in the common ownership and use of the community, in most cases are not even in the municipal property. According to traditional Georgian law, the current resident of the village, since he has been deprived of all community rights, is not a steadfast and proud peasant of his own village, but a poor and wretched person, and therefore irresponsible – the migrant!

Most of the rural areas are deeply depressive and the threat of complete evacuation is already imminent! Today's task as well as the main goal of agricultural policy, if we do not finally give up the village and agricultural policy, is to save it from its ravages, or civil death!

The village - first of all, is a territorial unit of the residence and not agriculture. The main goal of rural development is to approximate the current (socio-cultural) status of the rural population with the status of the urban population, which is crucial for the maintenance

and development of rural human resources and thus for the growth of agriculture and agro-food production.

The main goals of land reform, in addition to land management and land use regularization, should be:

1) In the direction of land ownership:

a) The restoration of historical justice, therefore, the rights of the local community to its own land in a modern form, which implies the municipal ownership of the currently state-owned land and the permanent, gratuitous use and ownership of the local community;

b) the situation when the State remains the largest and at the same time completely ineffective landowner, should be remedied in a timely manner; from state ownership to municipal property and permanent, gratuitous use and ownership of the local community should be transferred both agricultural (formerly pastures and meadows, community forest, but not only), as well as all non-agricultural land not used for the exercise of specific state powers or for the State security purposes, or for the overall national-scale economic projects.

Keywords: village, rural development, community, community land ownership, land reform, land use.

სოფლის განვითარება

სასოფლო პოლიტიკის (როგორც სახელმწიფო, ისე მუნიციპალური სასოფლო პოლიტიკისა) სანარმოებლად არსებითია სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ და სწორედ შევაფასოთ: ამჟამად ქართული სოფელი უმძიმეს, (იშვიათი გამონაკლისის გარდა) -დეპრესიულ მდგომარეობაშია; ყველაზე საბედისწერო ნიშანი ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური დეპრესიისაა უკვე მხოლოდ სიღატაკე და განვითარების უკიდურესად შეზღუდული, მწირი შესაძლებლობები კი არა, არამედ უკვე სოფლებიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრა, სოფლების მასობრივი დაცლა; ამ სავალალო მდგომარეობაში სასოფლო პოლიტიკის მიზანი ჯერ „განვითარება“ კი არა, არამედ სოფლის გადარჩენა უნდა იყოს!

სოფლის გადასარჩენად მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე სასოფლო თემის, როგორც სრულფასოვანი სამართალსუბიექტის, აღდგენაა. სოფელში ჯერ 2005 წელს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობა გაუქმდა, ხოლო 2013 წლის „თვითმმართველობის კოდექსით“ - მას უკვე საკუთარი ადმინისტრაციული ორგანოც კი აღარ ჰყავს; მდგომარეობა კურიოზული და უპრეცედენტოა - სოფელი ფორმალურად შენარჩუნებულია, როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, მაგრამ თავისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და კიდევ უარესი - საერთოდაც საკუთრივ სოფლის ადმინისტრაციული ორგანოს გარეშე! ეს კურიოზული მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს!

უწინარეს ყოვლისა, სოფელში უნდა აღდგეს სოფლის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც მუნიცი-

პალურ თვითმმართველობაში სასოფლო თემის მონაწილეობისა და ჩართულობის ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის გამსხვილებით, მისი მუნიციპალურ (ყოფილი რაიონის) დონეზე „ატანით“ არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი იყო სოფლის, როგორც მუნიციპალურ თვითმმართველობაში მოქალაქეთა და თემის მონაწილეობით პირველადი ადმინისტრაციული დონის შენარჩუნება და ამ პირველადი ადმინისტრაციული დონის არათუ ფაქტობრივი გაუქმება, არამედ პირიქით - მისი გაძლიერება; კარგი და მისაბაძი მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ლიტვა, სადაც ასევე მართვის ეფექტიანობის მიზნით ანალოგიურად გამსხვილდა ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგრამ ეს ისე განხორციელდა, რომ იოტისოდენადაც არ შელახულა სათემო უფლებები. სასოფლო თემი ლიტვაში („სოლნცესტვო“ ეწოდება) მუნიციპალური თვითმმართველობის ადმინისტრაციულად მკაფიოდ გაფორმებული მონაწილეობითი დონეა და სოფლის ადმინისტრაცია არა მხოლოდ მუნიციპალური თვითმმართველობის, არამედ უშუალოდ მოსახლეობის, ადგილობრივი თემის წინაშე ანგარიშვალდებული; ჩვენში კი სასოფლო თემი მთლიანად უფლებააყრილია და რაიმე სამოქალაქო ურთიერთობაში (აღარაფერს ვამბობთ თვითმმართველობაში ან სახელმწიფო პოლიტიკაში მონაწილეობაზე. თუმცა გამონაკლისია - ე.წ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც იმდენად ფრაგმენტული და მცირე მასშტაბისაა, რომ სავალალო მდგომარეობას ვერ შეცვლის) სუბიექტს დიდი ხანია, აღარ წარმოადგენს;

დეპრესიული, ფაქტობრივად - „სამოქალაქო სიკვდილის“ მდგომარეობიდან სოფლის გამოყვანა სხვაგვარად შეუძლებელი იქნება, თუ სასოფლო თემი - სამართალსუბიექტი (სანამ ჯერ კიდევ დროა) ვერ გახდება!

გარდა ამისა, ამ სამართალსუბიექტმა - სასოფლო თემმა, აუცილებლად უნდა დაიბრუნოს უპირობო და წარუვალა უფლება საკუთარ სამკვიდროზე; ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ საერთო, სათემო სარგებლობის მიწა - საძოვარი, სათიბი, წყლის ფონდის მიწა, ტყის ფონდის მიწა (და არამარტო!) იურიდიულად უნდა დაბრუნდეს თემის მუდმივ და უსასყიდლო მფლობელობას და სარგებლობაში (დღეს ამ თვალსაზრისით მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ სოფლის ტერიტორიული საზღვრებიც კი სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველია!); ეს მიწა არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალური საკუთრებისა უნდა იყოს და თემის, რომელიც მისი ერთადერთი ლეგიტიმური მფლობელი და მოსარგებლეა, დაუკითხავად შეუძლებელი უნდა გახდეს ამ მიწის, ე.ი. სოფლის სამკვიდროს, სამართლიანი და ეფექტიანი მართვა - მისი განკარგვა, რაციონალური გამოყენება, სასოფლო-სამურნეო წარმოების თუ მიწის, როგორც ძირითადი სანარმოო საშუალების გამოყენებით სოფლის ტერიტორიაზე სხვა

ეკონომიკური საქმიანობის სწორედ ორგანიზება, საბოლოო ანგარიშით - სასოფლო სამკვიდროს დაცვა და სოფლის გადარჩენის შემდეგ მის განვითარებაზე ზრუნვა;

მუნიციპალური თვითმმართველობის ეფექტიანობა არსებითად, სასიცოცხლოდ არის დამოკიდებული მოქალაქეთა და ადგილობრივი თემის უშუალო, პირდაპირ მონაწილეობაზე; ასეთი, თანამედროვეობის შესაბამისი მონაწილეობითი ინსტრუმენტები მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა ადგილობრივ სასოფლო თემში აუცილებლად უნდა შეიქმნას და სწრაფად განვითარდეს;

ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია, რომ თავად თემს, პირდაპირი, უშუალო დემოკრატიის სხვადასხვა ფორმით მიეცეს შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის სასოფლო საკითხები თავადვე გადაწყვიტოს და ამ მიზნით ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენოს მის წინაშე ანგარიშვალდებული სასოფლო ადმინისტრაცია; სასოფლო თემი, როგორც სრულფასოვანი სუბიექტი, რომელიც უფლებებს დაიბრუნებს, სწორედ ამ გზით თავადვე გახდება უმთავრესი პასუხისმგებელი საკუთარ განვითარებაზეც; ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მუნიციპალური თვითმმართველობა და სახელმწიფო სოფლის განვითარებაზე პასუხისმგებლობას მოიხსნის, პირიქით - მათი ვალდებულებაა სუბსიდიარობის დაცვით სოფლის განვითარების სწორედ დაგეგმვა და რაც ყველაზე მთავარია, ეფექტიანი ინსტრუმენტების შექმნა თავად თემის ეკონომიკური თუ სოციალური აქტივობისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო თემის ეკონომიკური გამოცოცხლების, დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანის, ხოლო შემდგომ მისი ეკონომიკური განვითარებისა და აქტივობის გასაძლიერებლად საუკეთესო (შესაძლოა, ამჟამად ერთადერთიც!) გზაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყოველმხრივი ნახალისება, მხარდაჭერა და სწრაფი განვითარება;

კოოპერაციული პროექტებს გააჩნია სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადობის ობიექტური საფუძველი, რასაც ეკონომიკურ თვითმმართველობასთან ერთად, კოოპერაციული შიგასაწარმოო ურთიერთობები, წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონე და კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასშტაბური წარმოება განაპირობებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ლოკალური ტერიტორიული გავრცელების ოპტიმალური ფორმის განსაზღვრაში, პრიორიტეტული მნიშვნელობა სათემო კოოპერაციებს ენიჭება. მათი ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიული გავრცელების ფარგლებში, პრინციპით: „ერთი თემი - ერთი კოოპერაციი“, წარმოების სპეციალიზაციის და საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ფაქტორების გათვალისწინებით. სათემო ტრადიციები, მათ შორის საწარმოო ურთიერთობები, ოდითგანვე გავრცელებული იყო

საქართველოში, განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში. ტერიტორიული გავრცელების ნიშნით შექმნილი სათემო კოოპერაციები ქმნიან კოოპერაციის პროცესში მოსახლეობის მასობრივი ჩართულობის პირობებს, სადაც შესაძლებელი გახდება მასშტაბის ეკონომიკური ეფექტის გამოყენება და ადგილებზე მოსახლეობის შესაძლებლობების და მატერიალური რესურსების კაპიტალიზაცია, რასაც ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ადმინისტრაციული ერთეულების ფარგლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაცემა უნდა მოხდეს სათემო კოოპერაციებზე უსასყიდლო უზურფრუქტით, უვადო სარგებლობასა და მფლობელობაში;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თემის, როგორც სამოქალაქო ურთიერთობებში ჩართული და იმავდროულად, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა უშუალო, პირდაპირი სამონაწილეო დონის, სამართალსუბიექტობა, დაფუძნდეს კონდომინიუმის სამართლებრივი ფორმით. თემი, უწინარეს ყოვლისა, საერთო საცხოვრისზე პასუხისმგებელი სუბიექტია, ხოლო მისი ეს პასუხისმგებლობა უწინარესად - საერთო სარგებლობის, საზიარო ქონების ეფექტიან მართვასთან არის დაკავშირებული. გარდა იმისა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზნებით თემს აერთიანებს, არანაკლებ მნიშვნელოვანია არა ეკონომიკური სარგებლიანობის, არამედ საერთო საცხოვრისის თანაზიარობის განცდა, მისი მოვლა-პატრონობის და კეთილგონივრულად გამოყენების არა მხოლოდ უფლება, არამედ - სოლიდარული ვალდებულება. კონდომინიუმს, როგორც სამართალსუბიექტს, კარად იცნობს ჩვენი სამოქალაქო სამართალი და რაც მთავარია, იგი უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ, პოზიტიურ გამოცდილებად; კონდომინიუმში კარგად და ეფექტიანად გამოიყენება მსხვილი, საქალაქო თვითმმართველობის (ქ. თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი) განხორციელებისას. მრავალბინიანი კორპუსების, ასევე საქალაქო, ე.წ. იტალიური ეზოების მაცხოვრებელი მოქალაქეების თვითორგანიზების და საქალაქო თვითმმართველობასთან აქტიური თანამშრომლობისთვის, რაც თვითმმართველობის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა-ჩართულობას ნიშნავს, საერთო სარგებლობის ქონების (იქნება ეს სადარბაზოები, ლიფტები, სახურავი, განაშენიანების „ლურჯ ხაზებში“ მოქცეული ტერიტორია და სხვ.) მოვლა-პატრონობასთან, კეთილმონყობასთან, კეთილგონივრულ და საზოგადოებრივი სიკეთეებისთვის ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების საუკეთესოდ მონესრიგებისათვის; კონდომინიუმების შექმნასთან არის დაკავშირებული, ჩვენი საქალაქო თვითმმართველობების ეს კარგი პრაქტიკაც,

ნათლად ადასტურებს, რომ სწორედ ტერიტორიულ იდენტობასთან დაკავშირებული შეამხანაგება, საერთო ძალისხმევის გამოჩენა, საზოგადო სიკეთეებისათვის, ამ შემთხვევაში - საცხოვრისი ტერიტორიის კეთილგონივრული მართვისა და გამოყენების საუკეთესო გზაა. რასაკვირველია, ეს გამოცდილება უწინარეს ყოვლისა, რაც შეიძლება დროულად, სწორედ სასოფლო თემებში უნდა იქნეს დანერგილი, რაც, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად, უალტერნატივოდ მიგვაჩნია სოფლის დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ხაზგასასმელია, რომ ამ შემთხვევაში, როგორც კი კონდომინიუმი გახდება თემის სამოქალაქო და ასევე, თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საჯარო ურთიერთობებში ჩართულობის ყველაზე მოქნილი და ეფექტიანი იურიდიული ფორმა, არავითარი სამართლებრივი ბარიერი საქართველოში ტრადიციული სათემო მინათმფლობელობის აღდგენისთვის აღარ იარსებებს. თემის თვითორგანიზების ეს ორი, ერთი-მეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული გზა - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და საერთო-საზიარო საცხოვრისი კეთილგონივრული გამოყენების მიზნებით შეამხანაგება, ე.ი. კოოპერატივი და კონდომინიუმი, ყველაზე მყარი საძირკველია თემის „სოციალური კაპიტალის“ შესაქმნელად და დასაგროვებლად, ამ სოციალურ კაპიტალს დაეყრდნობა ჯერ სოფლის დეპრესიული მდგომარეობიდან გამოყვანა და შემდგომ, მისი სწრაფი განვითარება. სწორედ ეს შექმნის ძირეულ მატერიალურ წინაპირობებს თემის სოციალური აქტივობისათვისაც.

ასევე, უმნიშვნელოვანესი იქნება სოციალური დახმარებებისა და ე.წ. საარსებო შემწეობების პოლიტიკის კარდინალური გადასინჯვა. ეს პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლად, ამჟამად პირდაპირ მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური დეპრესიის კიდევ უფრო გაღრმავებისა და სილატაკის ნახალისებისკენ; აქ უნდა გავისხენოთ „დიდი დეპრესიიდან“ გამოსვლის რუზველტის დროინდელი ამერიკის მაგალითი - როცა სოციალური დახმარებების ალტერნატივა გახდა საზოგადოებრივი სამუშაოები, რამაც შექმნა პირობა არა სხვისი ხელის შემყურეობით, არამედ საკუთარი შრომით საარსებო სახსარის მოპოვებისა და შესაბამისად, მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის მყარი, საკუთარ შესაძლებლობებზე დამყარებული იმედის განცდისა; ამ მაგალითის გამოყენება ჩვენი სოფლის სინამდვილეში კარგად შეიძლება, თუკი სოციალური დახმარებების პოლიტიკის ალტერნატივა გაჩნდება და შესაბამისი სახსრები მიიმართება თავად სოფლის თემის უშუალო და მონაწილეობით საზოგადოებრივი სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელებისთვის (ამ თვალსაზრისით საუკეთესო გზაა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გამდიდრება ამგვარი საზოგადოებრივი სამუშაოებით და მისი, როგორც უკვე არა სახელმწიფო, არამედ მუნიციპალური პროგრამის გაძლიერება-განვითარება);

თემის სოციალური აქტივობისთვის სათანადო ინსტრუმენტების შესაქმნელად წარმატებული საწყისი გამოცდილება საქართველოში უკვე არსებობს და ესაა სოფლებში „საზოგადოებრივი ცენტრების“ შექმნა და განვითარება; (ასეთი ცენტრი ამჟამად სულ 60-მდე მოქმედებს; რაც, რასაკვირველია, ზღვაში წვეთია, ვინაიდან ქვეყანაში 4000-მდე სოფელი და 1000-მდე მუნიციპალური ადმინისტრაციული ერთეულია. „საზოგადოებრივი ცენტრი“ წარმოადგენს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით საუკეთესოდ აღჭურვილ, პროფესიულად განსწავლული პერსონალით დაკომპლექტებულ მაღალტექნოლოგიურ ოფისს, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო და მუნიციპალურ მომსახურებებს; მაგრამ იგი მხოლოდ სამომსახურეო ოფისად არ არის ჩაფიქრებული, არამედ - რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იგი თავად თემის ოფისია, მისი მძლავრი ინსტრუმენტი ნებისმიერი აქტივობის განსახორციელებლად: მისი მეშვეობით შესაძლებელია როგორც უშუალო, პირდაპირი ჩართვა და მონაწილეობა მუნიციპალურ თვითმმართველობაში, ასევე სათემო ეკონომიკური, სამოქალაქო თუ თემზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივების მაღალი ეფექტიანობით განხორციელება. სწორედ სახელმწიფოს ვალია, რომ ეტაპობრივად, ყველა მუნიციპალურ ადმინისტრაციულ ერთეულს (და არა მხოლოდ მათ მცირე ნაწილს) შეექმნას ეს თანამედროვე შესაძლებლობა.

სოფელი - პირველყოვლისა, არის სახლობის ტერიტორიული ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების ძირითადი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი (სოციალურ-კულტურული) სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან, რასაც სოფლად ადამიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და აგროსა-სურსათო წარმოების ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის განვითარება არის მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი, მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართულობით მოქმედი პროცესი და ეს ყოველივე მიუთითებს მის სირთულეზე, შესაბამისად არ არსებობს მკაფიოდ შემოსაზღვრული პარადიგმა ამ თემაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ისევე, როგორც ეს ევროპაშია, საქართველოშიც ჩამოყალიბდეს სისტემური მიდგომა ზოგადად ტერიტორიების და განსაკუთრებით, სასოფლო ტერიტორიების მიმართ, რაც შესაბამისი პოლიტიკის კონცეპტუალურ, პროგრამულ თუ სამართლებრივ უზრუნველყოფას უნდა დაეყრდნოს.

სამწუხაროდ, დღევანდელი სინამდვილე ძალზე შორს დგას სოფლის მიმართ რაიმე სისტემური დამოკიდებულებისგან და მძიმე გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ: ქვეყანაში სახელმწიფო ან თუნდაც მუნიციპალური სასოფლო პოლიტიკა, როგორც

ასეთი - ფაქტობრივად აღარ არსებობს! ეს „ეგზისტენციალურად კრიზისული“ ვითარება რამდენიმე სავალალო გარემოებით თვალნათლივ დასტურდება, კერძოდ:

1. მას შემდეგ, რაც პირველი დონის ადგილობრივი თვითმმართველობა 2006 წლიდან გაუქმდა, სოფელი, ე.ი. მისი ადგილობრივი საზოგადოება - სასოფლო თემი, აღარავითარი ფორმით სამართალსუბიექტს აღარ წარმოადგენს, გამომდინარე - ყოველად შეუძლებელია მის უფლებრივ მდგომარეობაზე საგნობრივი საუბარი; უდავო

2. იურიდიული ფაქტია - სოფელი დღეს უფლებდააყრილია და რალა გასაკვირია, რომ მოკლებულია ყველა შესაძლებლობას, ქვეყნის წინაშე საკუთარი ვალდებულებები, როგორც ეს ხდებოდა საქართველოს მრავალათასწლოვან ისტორიაში, ისევე პირნათლად აღასრულოს;

3. სოფელი, მას შემდეგ, რაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მისი ტერიტორიული ორგანო ფაქტობრივად გაუქმდა 2014 წლიდან, ალბათ, ყველაზე უცნაური, ადმინისტრაციული ერთეულია (ისეთი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც არ ჰყავს საკუთარი ადმინისტრაციული ორგანო!?) სამართლის ისტორიაში; გამომდინარე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია სოფლის ტერიტორიული განვითარების რაიმე პოლიტიკაზე საგნობრივი საუბარი, ვინაიდან ამ პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი - სოფლის ადმინისტრაცია, სამართლებრივად აღარ არსებობს!

4. უფლებდაყრილი და შესაბამისად - ვალდებულებებისგანაც დაცლილი სოფელი, რომელსაც სამართლებრივად თავისი ადმინისტრაციული ორგანოც კი აღარ შერჩენია, დე იურეცა და დე ფაქტოც - მოკლებულია საკუთარ სამკვიდროს: სოფლის სასიცოცხლო სივრცე - სათემო მიწა (თუნდაც საძოვარი და სათიბი მაინც, მაგრამ - არა მარტო), სათემო ტყე, წყალი, ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა ბუნებრივი რესურსები, საერთო სარგებლობის სამეურნეო თუ კომუნალური ინფრასტრუქტურა და სხვ. და სხვ. რაც თემის საერთო მფლობელობასა და სარგებლობაში უნდა იყოს, უმრავლეს შემთხვევაში მუნიციპალურ საკუთრებაშიც კი არ არის და ისევე, თითქოს გუშინ გამოიცა ლენინის მიწის დეკრეტი, კვლავაც დესპოტური სახელმწიფოს მიერ მიტაცებულია; ტრადიციული ქართული სამართლის თვალსაზრისით სოფლის დღევანდელი მაცხოვრებელი, ვინაიდან მას ყოველგვარი სათემო უფლება აყრილი აქვს, საკუთარი ბედის გამომჭედავი სოფლის ქედმოუხრელი და ამაყი მკვიდრი გლახაკიც კი არა, არამედ ოდენ სხვისი ხელის შემყურე, და ბეჩავი, ამიტომაც, უპასუხისმგებლო - ხიზანია!

თუკი სინამდვილეს თვალს გავუსწორებთ, უნდა ვაღიაროთ - სოფლის არსებული მდგომარეობა, მისი სამართლებრივი სტატუსი - ფაქტობრივად სიკვდილმისჯილისას ჰგავს და ბუნებრივია, როგორ უნდა ვილაპარაკოთ მის განვითარებაზე, როცა

სრულიად გულგრილად და თანაც ამ ჩვენი ვაისამართლის ძალით, სიკვდილი მივუსაჯეთ?!

და აკი გვიკვდება კიდეც! სასოფლო ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ღრმად დეპრესიულია და სრული დაცლის საფრთხე უკვე გარდაუვალი! დღევანდელი ამოცანა და სასოფლო პოლიტიკის მთავარი მიზანია, თუკი საბოლოოდ არ ვამბობთ უარს სოფელსა და სასოფლო პოლიტიკაზე, ჯერ მისი ხიზნობიდან, ანუ სამოქალაქო სიკვდილისგან დახსნა! რაიმე განვითარება სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნება, თუკი სოფელი, როგორც უფლებრივი და ამავდროულად, რაც ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეკონომიკური და სამეურნეო სუბიექტიც, ფაქტობრივად მკვდრეთით არ აღდგა.

სოფელი - პირველყოვლისა, არის სახლობის ტერიტორიული ერთეული და არა მეურნეობისა. სოფლის განვითარების ძირითადი მიზანია სოფლის მოსახლეობის ყოფითი (სოციალურ-კულტურული) სტატუსის მიახლოებით გათანაბრება ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან, რასაც სოფლად ადამიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და ამგვარად, სოფლის მეურნეობისა და სასურსათო წარმოების ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

უპირობო პრივატიზაცია ეწინააღმდეგება სოფლისა და მიწის ისტორიული პოლიტიკის შიქმის საფუძვლებს!

სულ ახლახანს საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მორიგი მასშტაბური და უპირობო პრივატიზება გამოგვიცხადა. პრივატიზებას ექვემდებარება 11 000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა და მათ შორის, არა მხოლოდ სახნავი, არამედ, რაც განსაკუთრებით შემამოფოთებელია, საერთო-სათემო სარგებლობის სათიბიბებიც! ამგვარ გადამწყვეტილებას წინ უძღოდა მთავრობის მიერ 2020 წლის 23 ივნისს მიღებული დადგენილება, რითიც დამტკიცდა „სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდის სახელმწიფო პროგრამა“; დღევანდელმა მთავრობამ ამ დადგენილებაში ა/წ 8 აპრილსა და 11 მაისს შეტანილი ცვლილებებით კიდეც უფრო მეტად გაზარდა ეს „ხელმისაწვდომობა“: რაიმე კონკრეტული პირობის დადების გარეშე, მოხსნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მათ შორის სათიბებისაც (!), იჯარით გაცემულ 10 ჰა-ზე მეტი ფართობების პრივატიზების შეზღუდვა და დაანესა 25%-იანი ფასდაკლება. აშკარაა - „მიწის რესურსის ხელმისაწვდომობის“ ამგვარად გაზრდით, საკუთარ სამკვიდროზე ქართული სოფლის უფლება კიდეც უფრო მეტად შეიზღუდა ვიდრე ოდესმე, სწორედ ეს - უპირობო პრივატიზების ე.წ. ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს სამკვიდროზე სოფლის უფლებათა შეზღუდვისა და, აქედან გამომდინარე, მისი გარდაუვალი ხელმოკლეობის უმთავრეს საწინდარს; უდიდეს საფრთხეს, რითიც ქართულ სოფელს, პირდა-

პირი მნიშვნელობითაც ფეხქვეშ ეცლება ნიადაგი, მისი სამკვიდრო. სამკვიდრო მოკლებული სოფელი კი, სადაც არ არსებობს სათემო უფლებები მარჩენალ მიწაზე, მათ შორის - სასიცოცხლოდ აუცილებელ სათიბებზე, განსაკუთრებით მთაში, უნიადაგოა, უფესვოა, განწირულია ან ხიზნობისთვის, ანდა სულაც უარესი: ეს მისი სამოქალაქო სიკვდილის განაჩენის ტოლფასია!

პრივატიზება მხოლოდ იმ შემთხვევაშია სასიკეთო, სასარგებლო და როგორც ისტორიულ სამართლიანობასთან, ასევე ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთანაც თავსებადი, როცა მკაფიოდ პირობადგებულია და არა ისეთი ყოვლად უსისტიემო და სრულიად უპირობოდ გაყიდულ-განიავებული როგორც ეს დღეს ხდება.

სისტემურობა მიწის გაყიდვის პირობის დადებას იმთავითვე გულისხმობს, რაც უწინარესად სწორედ ამას ნიშნავს: „პრივატიზება პრივატიზებისთვის“ კი არა, არამედ ისე, რომ სამართლიანად და ეკონომიკურადაც მაქსიმალური სარგებლიანობით, იმთავითვე სწორედ განისაზღვროს როგორც ჯეროვანი გამყიდველი, ასევე ჯეროვანი მყიდველიც; არ უნდა დარჩეს არავითარი კითხვის ნიშანი - ვინ და რატომ ყიდის და ვინ და რისთვის ყიდულობს!

საარაკო უსამართლობაა, როცა სასოფლო მიწა სოფლის დაუკითხავად, სახელმწიფო ჩინოვნიკების ნებისამებრ იყიდება; ხოლო საარაკო ეკონომიკური სიბეცეა, როცა იყიდება ნებისმიერზე, ოღონდაც გამოჩნდეს და თუნდაც ხელოვნურად გაიაფებული ფასი გადაიხადოს, იყიდება იმისდა მიუხედავად, იცის თუ არა მან მიწის ყადრი, სურს თუ არა და რაც მთავარია - ძალუძს თუ არა ამ მიწის კონკრეტული საზოგადოებისთვის - ადგილობრივი თემისთვის და მთლიანად ერის ინტერესების შესაბამისად, სასიკეთოდ გამოყენება.

არაერთგზის გვითქვამს: არა მხოლოდ საზარალო, არამედ სამარცხვინოა, როცა მიწის პოლიტიკის ერთადერთი განზომილება მისი უპირობოდ, თვითმიზნურად პრივატიზებაა და სხვა, არც არაფერი. ვერაფრით ვერ ველირსეთ ამ პოლიტიკის მყარი, სისტემური საფუძვლების შექმნას. ასევე, მრავალგზის გვითქვამს, თუ რა სჭირდება ამგვარი სისტემური საფუძვლების ჩამოყალიბებას და კიდევ ერთხელ, ყველას გასაგონად გავიმეორებთ მიწის სახელმწიფო პოლიტიკის ცივილიზებულ ამოსავალ პრინციპებს:

1. მიწა არა მხოლოდ ეკონომიკური, ბუნებრივი რესურსი და წარმოების ძირითადი საშუალებაა, არამედ იგი ჩვენი იდენტობის დამდგენი ეროვნული საუნჯეა – მიწა სამკვიდროა!

2. მიწის, ე.ი. სამკვიდროს ჯეროვანი მოვლა-პატრონობა, დაცვა და სიკეთისთვის გამოყენება შეადგენს ყოველი მოქალაქის, ადგილობრივი თემისა და ეროვნული სახელმწიფოს ძირეულ, საარსებო (ეგზისტენციურ) ფუნქციას!

3. მიწის საკუთრება იმავდროულად სოციალურად დამავალდებულებელი ბუნებისაა, რაც ხაზ-

გასმული იყო კიდევ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 116-ე მუხლში: „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.“ (ასევე ყურადსაღებია, რომ ზოგადად საკუთრების სოციალურად დამავალდებულებელი ბუნება მკაფიოდ არის ასახული თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სოციალური სახელმწიფოს – გერმანიის კონსტიტუციის მე-14 მუხლში: „საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება საზოგადოებრივ სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს“).

ამ ფუნდამენტური პრინციპებიდან, რაც ნაწილობრივ გაზიარებული და ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, გამომდინარეობს კიდევ უცხოელების მინათმფლობელობის შეზღუდვა (იხ. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი), რაც, რასაკვირველია, დისკრიმინაციული ხასიათისა სწორედ ამიტომაც არ არის.

ამ ფუნდამენტური პრინციპების ხორცშესხმისთვის მიწის სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას დღეს უნდა წარმოადგენდეს მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის მკაფიო სამართლებრივი მოწესრიგება; ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი იქნება მიწის კანონმდებლობის კოდიფიცირება, ე.ი. მინათმფლობელობასა და მინათსარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების სისტემატიზებული, კომპლექსური თავმოყრა „მიწის კოდექსში“.

სწორედ „მიწის კოდექსმა“ უნდა შექმნას ამ ეგზისტენციური ფუნქციის – მიწის ჯეროვანი მოვლა-პატრონობისა და დაცვის, მისი სასიკეთოდ გამოყენების, მიწის საჯარო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები და ასეთი პოლიტიკის დემოკრატიულობის, ასევე მისი ეფექტიანობის მყარი გარანტიები;

მიწის საჯარო პოლიტიკა მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის აუცილებლობიდან (რის გარეშეც თანამედროვე ეფექტიანი და დემოკრატიული მმართველობა წარმოუდგენელია) გამომდინარე და სუბსიდიარობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვით ორ - სახელმწიფო და მუნიციპალურ, დონეზე უნდა წარიმართოს; ხოლო ამისთვის აუცილებელია მიწის რეფორმის თანმიმდევრული, რაციონალური დაგეგმვა და გატარება;

მიწის რეფორმის ძირითადი მიზნები, გარდა მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის ფუნდამენტური მოწესრიგებისა, უნდა იყოს:

1) მინათმფლობელობის მიმართულებით:

ა) ისტორიული სამართლიანობის, მაშასადამე, საკუთარ სამკვიდრო მიწაზე ადგილობრივი თემის ტრადიციულ უფლებათა თანამედროვე ფორმით აღდგენა, რაც გულისხმობს ამაჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის მუნიციპალურ საკუთრებასა და ადგილობრივი თემის მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემას;

ბ) იმ შეუწყნარებელი ვითარების, როდესაც სახელმწიფო კვლავაც რჩება ყველაზე მსხვილი და ამასთანავე სრულიად არაეფექტიანი მინათმფლობელი, რაც შეიძლება დროულად გამოსწორება; სახელმწიფო საკუთრებიდან მუნიციპალურ საკუთრებას და ადგილობრივი თემის მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემული უნდა იქნეს, როგორც სასოფლო (უნიწარესად საძოვრები და სათიბები, სათემო ტყე, წყლის ფონდის მიწა და არამარტო ეს), ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ყველა ის მიწა, რაც არ გამოიყენება კონკრეტული სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელების, ან სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებით, ან საერთო ეროვნული მასშტაბის ეკონომიკური პროექტებისთვის;

გ) მიწის ბაზრის მონესრიგებისთვის აუცილებელია შემოღებული იქნეს სოფლის მეურნის (ფერმერის) სტატუსი და დადგინდეს მიწის გაყიდვის დროს უპირატესი შესყიდვის უფლებათა შემდეგი რიგითობა: მკვიდრი სოფლის მეურნე (ფერმერი), სათემო კოოპერატივი, საქართველოს მოქალაქე არამკვიდრი სოფლის მეურნე, მუნიციპალიტეტი (იმ პირობით, რომ მიწა სათემო სარგებლობისა იქნება), სახელმწიფო;

2) მიწათსარგებლობის მიმართულებით – ეროვნულ დონეზე 2022 წლიდან (და არა 2024 წლიდან რასაც ითვალისწინებს სამთავრობო დადგენილება) უნდა აღდგეს მიწის სტრატეგიული მართვის, ე.ი. მიწათსარგებლობის აღრიცხვის (მიწის ბალანსის სისტემური წარმოების), სახელმწიფო რეგულირების (მიწათსარგებლობის მონიტორინგი, მიწის დაცვის ნორმების მიღება და მათ შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა) და მიწის რაციონალური გამოყენების სტრატეგიული დაგეგმარების, ტერიტორიის სივრცითი მონყობის ფუნქციის, ხოლო ადგილობრივ, მუნიციპალურ დონეზე – ასევე მიწის ადგილობრივად ოპერატიული მართვის, ე.ი. მიწათმონყობის (ადგილობრივი მიწათსარგებლობის აღრიცხვა და რაციონალური მიწათსარგებლობის ოპერატიული დაგეგმარება) ფუნქციათა განხორციელება.

სწორედ ამ სისტემური მიწის პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა მონესრიგდეს მიწის პრივატიზაცია, მიწა უნდა გაყიდოს არა სახელმწიფომ (გარდა კანონმდებლობით ამომწურავად განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევებისა) არამედ მუნიციპალიტეტმა, კანონმდებლობით მკაფიოდ დადგენილი წესებითა და პირობებით, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მიწის შემქენი; კერძოდ, უნდა დადგინდეს სათემო მფლობელობაში მოქცეული მიწის პრივატიზების ის წესიც, როდესაც პრივატიზება დაიშვება მხოლოდ თემის თანხმობით და იმ პირობით, რომ კონკრეტული საზოგადოებრივი სარგებელი პრივატიზებიდან სწორედ თემმა უნდა მიიღოს; გარდა ამისა, მიწის პრივატიზებისას შემქენისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მიწათ-მონყობისა და

ტერიტორიის განვითარების გეგმების (რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ ნორმატიულ დოკუმენტებს) წარდგენაც, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შექენისას - ფერმერის სტატუსიც.

ამ სისტემური საფუძვლების შექენას, რასაკვირველია, აყოვნებს, უარესიც - ხელს უშლის და ეწინააღმდეგება დღევანდელი უსისტემო და უპირობო პრივატიზაცია.

მოუწოდებთ ხელისუფლებას, ხელი აიღოს ასეთ უპირობო პრივატიზებაზე და სანაცვლოდ, ყველაფერი ილონოს მიწის პოლიტიკის რაც შეიძლება დროულად, სისტემური მონესრიგებისთვის.

მამულის ჯეროვანი პატრონობა, რაც ყოველად წარმოუდგენელია მინათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ქართული სამართლებრივი ტრადიციის შესაბამისად თანამედროვე პირობებში რაციონალურად მონესრიგების გარეშე, არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ყოველი ქართველის უწინარესი ვალდებულებაა ერთმანეთის, ჩვენი წინაპრებისა და შთამომავლობის წინაშე!

ამ ქართულ ვალდებულებას განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოვეპყარათ, ვინძლო მტრები არ გავაცინოთ!

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული სოფლის სტატუსის შესახებ. "სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები", №3-4, 2016 წ.
2. ქართული სოფელი მარადიულია. // "ეკონომიკა", №11-12, 2016 წ.;
3. The Capacity of Rural Territories in Georgia. // „Annals of Agrarian Science”, Vol. 14, No 1, 2016;
4. მიწის მართვისა და აღრიცხვის სახელმწიფო სტრუქტურის შექენა სასიცოცხლო აუცილებლობაა. // "ახალი აგრარული საქართველო", №3, 2016 წ.;
5. მიწის მართვისა და აღრიცხვის სახელმწიფო სტრუქტურის შექენა სასიცოცხლო აუცილებლობაა. // "ახალი აგრარული საქართველო", №3, 2016 წ.;
6. მიწის საკითხი ანუ ბედი ამა ქვეყნისა. // "ახალი აგრარული საქართველო", №6, 2016 წ
7. მიწის მონიტორინგისა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მართვის სამსახური გვჭირდება. // "ახალი აგრარული საქართველო", №10, 2016წ.
8. პ. კოლუაშვილი, დ. ზარდიაშვილი - ეროვნული თანხმობა საქართველოს მიწის გადარჩენის აუცილებელი პირობაა. „ბიზნესი და ეკონომიკა“ ტ.10, N2. თსუ, 2017.
9. პ. კოლუაშვილი - საქართველოს კონსტიტუცია და მიწის კოდექსი, „ახალი აგრარული საქართველო“ N2 2017
10. პ. კოლუაშვილი, ჯ. ფანჩულიძე - მიწის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში, „ახალი აგრარული საქართველო“ N3 2017 წ.

საქართველოს მთავრობის ანტიპანდემიური რეგულირების ზემოქმედება ეკონომიკის განვითარებაზე

შოთა ლომინაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მიხეილ თოქმაზიშვილი

პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

რეზიუმე

საქართველოს, რომელიც მიეკუთვნება მცირე, ღია ეკონომიკების მქონე ქვეყნების კატეგორიას, არ აქვს თვითკმარი ეკონომიკა და მსოფლიო ეკონომიკის რეცესიული რყევები უარყოფითად აისახება საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკა, როგორც მედიცინიც „მძევალი“ დაექვემდებარა როგორც უსაფრთხოების დომინანტურ მოთხოვნებს, ასევე მსოფლიო ეკონომიკის რყევებს და მთავრობის მიერ სხვადასხვა ეტაპზე დაწესებულ რეგულაციებს. კვლევაში დახასიათებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკრიზისული რეგულირების ღონისძიებები და მისი განხორციელების ორი დროითი ინტერვალი, რომელიც პანდემიის გავრცელების არასინქრონულად მიმდინარეობდა და დაკავშირებული იყო რამდენიმე გარემობასთან: სახელმწიფო ფინანსების შეზღუდულობასთან, ეკონომიკის ვარდნის, სიღარიბისა და უმუშევრობის სახიფათო ზღვართან და ანტივირუსული ვაქცინაციის დაწყებასთან.

შედარებულია საქართველოსთან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების ანტიკრიზისული ღონისძიებები და დადგენილია, რომ 2020 წელს საქართველოში ხელისუფლების მიერ გამოიყო 2019 წლის მშპ-ს 7 პროცენტზე, საიდანაც საბიუჯეტო პირდაპირი ხარჯები შეადგენდნენ მშპ-ს 3 პროცენტზე მეტს. ანტიპანდემიურმა ღონისძიებებმა თავისი ეფექტი 2021 წლის ეკონომიკის ზრდაზე მოახდინა, ხოლო ექსპორტის უპირატესმა ზრდამ იმპორტთან შედარებით კი ხელი შეუწყო ფინანსურ სტაბილიზაციას. დადგენილია, რომ ამ ღონისძიებების გარეშე ეკონომიკის დაცემა ორჯერ უფრო მეტი იქნებოდა.

აღნიშნულია, რომ კორინავირუსით გამოწვეული კრიზისი ცვლის საზოგადოების ცნობიერებას და ეკონომიკური განვითარების დინამიკა. ახლებურად დადგა განვითარების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტების საკითხი. იმ პირობებში, როდესაც განვითარება ზიგზაგისებურად წარმართება, მოსალოდნელია როგორც აგრეგირებულ მინოდების პერიოდული ვარდნა, რადგან წარმოება კვლავ შეზღუდულად ოპერირებს და მინოდების ჯაჭვები შეფერხებულია, ასევე აგრეგირებულ მოთხოვნის შემცირებაც. ეკონომიკის გაურკვეველი განვითარება, რომელიც პანდემიის სრულად თავის დაღწევასთან არის დაკავშირებული, კი ეკონომიკურ პროგნოზირებას ართულებს.

საკვანძო სიტყვები: კორინავირუსი, ეკონომიკური ზრდა, ანტიკრიზისული პოლიტიკა.

THE IMPACT OF ANTI-PANDEMIC REGULATION OF GEORGIAN GOVERNMENT ON ECONOMIC DEVELOPMENT

Lominashvili Shota

Professor, Doctor of Economics Science, ATSU

Tokmazishvili Mikheil

Doctor of Economics Science, ATSU

ABSTRACT

Georgia belongs to the category of countries with small, open economies, that does not have a self-sufficient economy and the recessionary fluctuations of the world economy have a negative impact on Georgia's economic development. At present, the economy is the "hostage" of medicine, seized to the dominant requirements of security, the fluctuations of the world economy and the regulations imposed by the government at various stages. The study describes the anti-crisis measures taken by the Georgian government and the two time intervals of their implementation, which were asynchronous with the spread of the pandemic and were related to several factors: limited public finances, the downturn of economy, poverty and unemployment, and anti-virus vaccines. The anti-crisis measures of different governments have been compared with the one of Georgia. It is estimated that in 2020, the government allocated 7 percent of 2019 GDP in Georgia, of which direct budget expenditures accounted for more than 3 percent of GDP. Anti-pandemic measures have had their effect on the economic growth of 2021, while the favorable growth of exports compared to imports has contributed to the financial stabilization. It is estimated that without these measures the economic downturn would have doubled. It is noted that the crisis caused by the Coronavirus changes public awareness and the dynamics of economic development. The issue of short-term and medium-term development priorities has recently arisen. In conditions when development has non dynamical character, a periodic decline in aggregate supply is expected, as production is still limited and supply chains are disrupted. Moreover, further reduction in aggregate demand is anticipated. The uncertain development of the economy, which is associated with the complete emission from the pandemic, further complicates economic forecasting.

Keywords: Coronavirus, economic growth, anti-crisis policy.

საქართველოს, რომელიც მიეკუთვნება მცირე, ღია ეკონომიკების მქონე ქვეყნების კატეგორიას, განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, არ აქვს თვითკმარი ეკონომიკა და მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გლობალურ განვითარებაზე. მსოფლიო ეკონომიკის რეცესიული რყევები ეკონომიკა, როგორც მედიცინი „მძევალი“¹ დაექვემდებარა როგორც უსაფრთხოების დომინანტურ მოთხოვნებსა და მსოფლიო ეკონომიკის რყევებს, რომელიც უარყოფითად აისახება ქვეყნის შიდა მოთხოვნაზე, ასევე მთავრობის მიერ სხვადასხვა ეტაპზე დაწესებულ რეგულაციებს.

პანდემიის პირველ წელს საქართველოს მთავრობამ დაგეგმა ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება დაახლოებით 600 მლნ ლარის ოდენობით. პანდემიასთან ბრძოლა მისი მკურნალობის ხანგრძლივობა, სირთულე და დროში დასრულების არაპროგნოზირებადი ვითარება ითხოვდა ფინანსური რეზერვების შექმნას, რომ უფრო პესიმისტური და მძიმე სცენარების განვითარების შემთხვევაში არ წარმოქმნილიყო ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების პრობლემა. საქართველოს მთავრობამ დონორებთან მუშაობის შედეგად შეძლო 1,5 მლრდ აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარების მოპოვება. ამან საშუალება მისაც მთავრობას შემუშავებინა 1 მილიარდი ლარის ეკონომიკის სტიმულირების ანტიკრიზისული გეგმა:

- ტურიზმთან დაკავშირებულ კომპანიებს გადაუვადდათ 4 თვის ქონების და საშემოსავლო გადასახადები
- დღგ-ს დაბრუნებები გაორმაგდება 1,200 მლნ ლარამდე, დაგეგმილი 600 მლნ ლარის ნაცვლად
- კაპიტალური ხარჯები დამატებით გაიზრდება 300 მლნ ლარით
- 3 თვით გადავადდა საბანკო სესხების მომსახურება
- ეროვნულმა ბანკმა შეარბილა საბანკო რეგულაციები
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან (სავალუტო ფონდი და სხვა) დაფინანსების მოზიდვაზე დაჩქარდა მუშაობა
- თბილისის მერიამ იჯარისგან გაათავისუფლა ღია კაფეები 2020 წელს, 3 თვით იჯარისგან გაათავისუფლდნენ მცირე/საშუალო ბიზნესები
- 4-დან 50 ნომრამდე სიდიდის დაახლ. 2,000 სასტუმრო მიიღებს საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის თანადაფინანსებას
- ფასის სუბსიდირება: ბრინჯი, ფქვილი, მაკარონი, ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, შაქარი, რძის ფხვნილი და მისგან წარმოებული პროდუქტები, წინიბურა

ეკონომიკური კრიზისების შედეგების შემსუბუქების მიზნით, პირველი ეტაპის განმავლობაში მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებში შე-

ვიდა: კომუნალური გადასახადების დაფარვა სამი თვის განმავლობაში, ცხრა საკვებ პროდუქტზე სუბსიდირების შემოღება ინფლაციის თავიდან ასაცილებლად, კომერციულ ბანკებში სესხის გადავადება სამი თვის განმავლობაში. მთავრობამ ქონების და საშემოსავლო გადასახადი 4 თვის განმავლობაში გააუქმა ტურიზმის სექტორისთვის, 10 მილიონი ლარი გამოყო მცირე სასტუმროების სესხების თანადაფინანსებისთვის. ანტიკრიზისული გეგმის მიზანი იყო პანდემიის შედეგად გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შემსუბუქება. სახელმწიფოს ფისკალური დახმარების პაკეტი მოიცავდა სუბსიდირების მოსახლეობისთვის, გადასახადების გადავადებას და ბიზნესისთვის ფინანსური დახმარებებს. მთავრობამ აქცენტი გააკეთა კრიზისის მენეჯმენტზე პოსტპანდემიის პერიოდში და გამოყო 3,5 მილიარდ ლარი (დაახლოებით \$ 1,10 მლრდ.), აქედან 30პროცენტი მიმართული იყო იმ ადამიანების სოციალურ მხარდაჭერაზე, რომლებმაც დაკარგეს სამუშაოები კორონავირუსული კრიზისის გამო, ან იმყოფებოდნენ ანაზღაურებად შვებულებაში. ამ თანხის 60პროცენტი ეკონომიკისკენ წარიმართა და მენარმეებმა მიიღეს სახელმწიფო სუბსიდია თითოეული შენარჩუნებული სამუშაოსთვის, ხოლო დანარჩენი 10პროცენტი დაიხარჯა თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვაზე.

ამასთან, ექვსი თვის განმავლობაში, 750 ლარამდე ხელფასი (დაახლოებით 235.5 დოლარი) სრულად გათავისუფლდა საშემოსავლო გადასახადიდან, ხოლო არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ან თვითდასაქმებული პირები იღებდნენ ერთჯერად დახმარებას 300 ლარის ოდენობით (დაახლოებით 94.2 აშშ დოლარი) იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაასაბუთებდნენ სამუშაოს დაკარგვას. ექვს თვეში 600 ლარის (დაახლოებით 188.4 აშშ დოლარს) ოდენობით თანხა გამოეყოთ მრავალჯერადი ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურად დაუცველ ოჯახებს დახმარების სახით. 2021 წლის იანვრიდან გათვალისწინებული იყო პენსიების ინდექსაციის წესის შემოღება.

პირველი დადასტურებული კორონავირუსის საქმის გასაჩივრებიდან ოთხი თვის შემდეგ, ივნისში, საქართველომ დაიწყო ბიზნესის და საზღვრების გახსნა უცხოეთის მოქალაქეებისთვის, თუმცა ამავე დროს განსაზღვრა მენარმეებისათვის სამედიცინო უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებაც მრავალმა მენარმემ ვერ შეძლო და წარმოება ვერ განაახლა.

ანტიკრიზისულ ღონისძიებების განხორციელებაში ხელისუფლება იყენებდა შერეული მხარდაჭერის ანტიკრიზისულ პაკეტს, სადაც გაერთიანებული იყო უნივერსალური დახმარებები მენარმესათვის ფისკალური მონეტარული სფეროში, ასევე მიზნო-

1 ლადო პაპავა, დღეს ეკონომიკა მედიცინის „მძევალი“, ინტერპრესნიუსი, 14.03.2020, <https://www.interpresnews.ge/ka/article/589879-lado-papava-dges-ekonomika-medicinis-mzevalia/>

ბრივი შეღავათები და სუბსიდირებები, მაგალითად, მშენებლობაში.²

2020 წლის დასასრულს, პანდემიის ახალი ტალღის გაძლიერებასთან ერთად ქვეყანა ფინანსური სირთულეების გამო ველარ გააგრძელებდა წლის დასაწყისში აღებული რეგულაციების ანალოგების განხორციელებას და უკვე 2021 წლის მეორე კვარტალში მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ უფრო ტოტალურ და ღრმა მასშტაბებს მიაღწია და მოსახლეობის უსაფრთხოებაც უფრო რადიკალური გახდა, ეკონომიკის განვითარების დადგა დღის წესრიგში და მისი შეზრუდვებისაგან განთავისუფლება და ლიბერალიზაცია განხორციელდა, რაც დაკავშირებული იყო ორ ფაქტორთან: ანტივირუსული ვაქცინაციის დაწყებასთან და ეკონომიკის ვარდნის, სიღარიბისა და უმუშევრობის სახიფათო ზღვართან. შედეგად, 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის 4.5 პროცენტით დაცემის შემდეგ, ზრდამ 2020 წლის მეორე კვარტალში 29 პროცენტი შეადგინა და პირველ ნახევარში წმინდა არითმეტიკული მნიშვნელობით, ზრდამ 12 პროცენტს გადააჭარბა.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების ანტიკრიზისული ღონისძიებები

ეკონომიკური სტაბილურობა და უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისათვის, საკრედიტო რეიტინგის სააგენტო (ACRA) ანალიტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ქვეყნებმა ამ მიზნებისათვის გამოყო მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2-დან 36.6პროცენტი -მდე (2020 წლის 20 აპრილის მდგომარეობით).³ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს ფისკალურ პაკეტებში ყველაზე დიდი წილი სახელმწიფოს მიერ გაცემულ გარანტიებია, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს და გადასახადების გადავადება კი ამცირებს მის შემოსავლებს. ცენტრალური ბანკების უმრავლესობამ შეამცირა სადისკონტი განაკვეთი და გაზარდა ლიკვიდობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების გამოყენება, კრედიტებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. იაპონიაში, ინგლისსა და აშშ-ში აქცენტი ხანგრძლივმოქმედ კრედიტების მხარდაჭერა გახდა, რამდენადაც იგი ასტიმულირებს საინვესტიციო საქმიანობას.

მონეტარულ სტიმულებს შედარებით ნაკლები ეფექტი აქვს საბიუჯეტო მონეტარულ სტიმულებთან შედარებით, რომელიც მოკლევადიან პერიოდში იძლევა შედეგებს. ამ მიზნით შედგა სახელმწიფოს

მიერ ფასიანი ქაღალდების შესყიდვის პროგრამები. სხვადასხვა ქვეყანაში ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ერთობლიობით ხდებოდა ბიზნესის ხელშეწყობა, დახმარებებისა და საგადასახადო შეღავათების დაწესება სხვადასხვა ვარიანტებით.⁴

ევროკავშირმა აქცენტი მოთხოვნის ზრდაზე გააკეთა. ევროკავშირის სტაბილიზაციის მექანიზმის ფონდმა (ESM) ევროზონის ქვეყნებს გამოუყო კრედიტები 240 მლრდ ევროს ოდენობით საბაზრო ფასზე გაცილებით დაბალ ფასში, რაც ქვეყნებისათვის მათი მშპ-ს 2 პროცენტამდეა; და 100 მლრდ ევრო კი სპეციალურად პროგრამებისათვის დასაქმების შესანარჩუნებლად. ამის გარდა გამოყოფილი იქნა სპეციალური თანხები იმ რეგიონებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ კორონავირუსით.

სახელმწიფოს ცენტრალური ბანკების მიერ გაცემული ღონისძიებები, მათი დაბალი ეფექტიანობის გამო, შედარებით მოკრძალებულია. ძირითადად ფისკალური ღონისძიებები გახდა ქვეყნებში კორონავირუსით გამონეველი ეკონომიკის ანტიკრიზისული ინსტრუმენტი.

დისკრეციული ფისკალური ზომები, ბრიუსელის ევროპის და გლობალური ეკონომიკური ლაბორატორიის თანახმად, სამ კატეგორიად დაიყო:⁵

1. დაუყოვნებელი ფისკალური სტიმული, რომელიც მოიცავს სამთავრობო დამატებით ხარჯებს (მაგალითად, სამედიცინო რესურსებზე, დასაქმებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირებაზე, სახელმწიფო ინვესტიციებზე) და შემოსავლების შერბილების ღონისძიებებს (მაგალითად, გარკვეული გადასახადების და სოციალური უზრუნველყოფის შენატანების გაუქმება). ამ ტიპის ზომები ინვესს ბიუჯეტის ბალანსის დაუყოვნებლივ გაუარესებას მათი შემდგომი კომპენსაციის გარეშე.

2. გადავადება: გარკვეული გადასახადების, მათ შორის გადასახადებისა და სოციალური უზრუნველყოფის შენატანები გადავადება, რომლებიც, პრინციპში, მოგვიანებით უნდა იქნას გადახდილი. ეს ღონისძიებები აუმჯობესებს პირთა და კომპანიების სალიკვიდაციო პოზიციებს, მაგრამ არ აუქმებს მათ ვალდებულებებს. შესაბამისად, იგი აუარესებს ბიუჯეტის ბალანსს 2020 წელს, მაგრამ შემდგომში უნდა მოხდეს მისი კომპენსაცია. რამდენიმე ქვეყანამ ასევე გადაავადა სესხების მომსახურება ან კომუნალური გადასახადების გადახდა, რაც ასევე აუმჯობესებს დაზარალებულთა ლიკვიდურობის პოზიციებს. სავარაუდოდ, 2020 წელს ამ ქვეყნების

2 2020 წლის დასაწყისში მშენებლობაში იპოთეკური სესხების სუბსიდირებამ ხელი შეუწყო რეალიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოცულობა შემცირდა დაახლოებით 5 პროცენტით, ხოლო გაცემული ლიცენზიების რაოდენობა კი მესამედით

3 <https://www.acra-ratings.ru/research> (дата обращения: 19.05.2020).

4 იხილიეთ დეტალურად: იაროსლავა ბაბიჩი, დავით კეშელავა, გიორგი მუჟვანაძე, ეკონომიკური რეაგირება covid-19-ზე: როგორ უკლავდება გამონევეს საქართველო. თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა. 2020, გვ.7-8

5 The fiscal response to the economic fallout from the coronavirus, Last update: BRUEGEL DATASETS, 05 August 2020 <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset/>

2020 წლის 15 ივნისისათვის კოროვირუსზე საპასუხოდ მიღებული დისკრეციული ფისკალური ღონისძიებები (2019 წლის მშპ-თან, პროცენტი)

	დაუყოვნებელი ფისკალური სტიმული (%)	გადავადება (%)	სხვა გარანტიები (%)
ბელგია	1	5	22
დანია	6	7	4
საფრანგეთი	4	9	14
გერმანია	8	7	24
საბერძნეთი	3	1	2
უნგრეთი	0	8	0
იტალია	3	13	32
ნიდერლანდები	4	8	3
პორტუგალია	3	11	6
ესპანეთი	4	1	9
დიდი ბრიტანეთი	8	2	15
შეერთებული შტატები	9	3	3

წყარო: <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset/>

საბიუჯეტო ბალანსი გაუარესდება ამ საწარმოების მოგებისა და შესაბამისად გადასახადების შემცირების გამო იმ შემთხვევაშიც კი, თუ სესხები კერძო ბანკებმა გასცეს და კომუნალური მომსახურებები უზრუნველყვეს კერძო პროვაიდერებმა, თუმცა მოგვიანებით ბიუჯეტის ბალანსი გაუმჯობესდება.

3. ლიკვიდობის სხვა ღონისძიებები მოიცავს ექსპორტის გარანტიებს, ლიკვიდობის დახმარებას, საკრედიტო ხაზებს კომერციული ბანკების მეშვეობით. ამ ზომების ზოგიერთი ნაწილი აუმჯობესებს კერძო სექტორის ლიკვიდურობის მდგომარეობას, მაგრამ განსხვავებით გადასახადებისა, რომლებიც ავტომატურად მოქმედებს და ძირითადად მოქმედებს სამიზნე ჯგუფებზე, საკრედიტო ხაზები მოითხოვს მოქმედებას დაზარალებული კომპანიების მხრიდან. საკრედიტო ხაზები და გარანტიები არ გააუარესებენ ბიუჯეტის ბალანსს 2020 წელს (იხ. ცხრილი 1).

ეკონომიკის მხარდასაჭერად სხვადასხვა ზომების თანაფარდობა ACRA-ს მიერ გამოყენებული ქვეყნების მაგალითზე მიგვითითებს იმაზე, რომ ამ პაკეტებზე დომინირებს სახელმწიფო გარანტიები - ზომები, რომელთაც ყველაზე ნაკლებად აქვთ გავლენა მიმდინარე წლის ბიუჯეტის ბალანსზე. აღნიშნულ ქვეყნებში სახელმწიფო გარანტიები საშუალოდ მშპ-ს 6.6 პროცენტი-ს შეადგენს, ხოლო იმ ქვეყნების გამორიცხვით, რომლებსაც გარანტიები არ გამოუყენებიათ, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დი-

დია და მშპ-ს 7.8 პროცენტს შეადგენს. პირდაპირი ბიუჯეტის ხარჯებთან დაკავშირებული თანხები დაახლოებით მშპ-ს 3.6 პროცენტი-ს შეადგენს და გადასახადების გადავადების ხარჯები კი - საშუალოდ მშპ-ს 2.5 პროცენტი.

შედარებისათვის, საქართველოში ხელისუფლებამ გამოყო 2019 წლის მშპ-ს 7 პროცენტი, საიდანაც საბიუჯეტო პირდაპირი ხარჯები, ჩვენი გათვლებით, შეადგენდნენ მშპ-ს 3 პროცენტზე მეტს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ღონისძიებებმა თავისი წილი ეფექტი 2020 წლის ეკონომიკის ზრდაში აისახა, ხოლო ექსპორტის უპირატესმა ზრდამ იმპორტთან შედარებით კი ხელი შეუწყო ფინანსურ სტაბილიზაციას. მ. კაკულიას და ნ. კაპანაძის კვლევის თანახმად, პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები, საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე გადაანგარიშებით, 2020 წელს შეიძლება 8.7 პროცენტით შემცირებულიყო. მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენით, შემოსავლების ვარდნის ტემპი დაახლოებით 2 პროცენტული პუნქტით მოიკლებს. მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამის ჰიპოთეტური გაგრძელების შემთხვევაში, 2020 წლიდან შესაძლოა ჩამოყალიბდეს ნომინალური შემოსავლების ზრდის სუსტი ტენდენცია, რაც რეალური შემოსავლების კლებას ნიშნავს, ვინაიდან სახელმწიფო ხარჯების ზრდის არაინფლაციური რესურსი შეზღუდულია. უკიდურესი სიღარიბის ოფიციალური დონე, 2020 წელს მოსალოდნელთან

შედარებით, 4.4 პროცენტით შეიძლება გაზრდილიყო, რაც სოციალური ფონის მკვეთრ გაუარესებას მოასწავებდა.

მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების 2021 წელს გაგრძელების შემთხვევაში, უკიდურესი სიღარიბის დონის შემცირების სუსტი ტენდენცია შენარჩუნდება, თუმცა სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების შეზღუდულობის პირობებში ეს ნაკლებადაა მოსალოდნელი.⁶

**საქართველოს ეკონომიკის
განვითარების
ახალი გამოწვევები**

COVID-19-ის პანდემიის გამო, 2020 წელს საქართველოში ეკონომიკის რეალური დაცემა 6.2 პროცენტით განისაზღვრა, რაც საქართველოს არასდროს არ ჰქონია მისი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ხოლო სამომხმარებლო ფასების ზრდამ კი 5.2 პროცენტი შეადგინა.⁷ პანდემიის პირობებში ეკონომიკაში სამენარეო საქმიანობა გრძელდებოდა, მაგრამ დარგები განსხვავებულ კრიზისში აღმოჩნდნენ. ყველაზე დიდი დარტყმა ტურიზმს მიაღება საზღვარგარეთიდან შემოსული ვიზიტორებისა და ტურისტების ნაკადების რადიკალური შემცირების გამო. მასთან დაკავშირებული საწარმოები, სასტუმროები,

რესტორნები და კვების ობიექტები, ტარნსპორტი და სხვ., განსაკუთრებული შოკში აღმოჩნდა. ეს პროცესი გაგრძელდა 1,2 წლის განმავლობაში. ამ ეტაპზე ძნელია იმ დანაკარგის ზუსტად დაანგარიშება, რაც პანდემიით მიაღება ქვეყანას.

პანდემიის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით უმუშევრობა გარდავალი იყო. ა. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევის თანახმად, დაქირავებით დასაქმებულ მშრომელთა საერთო რაოდენობის 30პროცენტი სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკის წინაშე იდგა, ხოლო თვითდასაქმებულთა 83,5 პროცენტი-ს მოუწია შემოსავლების ვარდნასთან და შემცირებულ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან გამკლავება.⁸

საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს ასევე მეზობელ ქვეყნებში არსებული კრიზისული

ვითარებაც. საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი, რომლებიც საზღვარგარეთ დასაქმებული იყვნენ და დაუბრუნდნენ თავიანთ ქვეყანას, ჩაკეტილი საზღვრების გამო ვეღარ ახერხებდნენ უკან დაბრუნებას (საზღვრები ღიაა მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების მსურველი მოქალაქეებისთვის). შესაბამისად, მათი ოჯახის წევრები შემოსავლის გარეშე დარჩნენ; მარტო თურქეთში ასეთი ადამიანები, რომლებიც სეზონურად იყვნენ დასაქმებულნი, შეადგენდა 40 ათას კაცს.⁹

მსოფლიოში კორონავირუსის შედეგად ეკონომიკის შეზღუდული განვითარება გრძელდება, და მკვლევარებს აიძულებს იფიქროს, რომ ეს პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება.¹⁰ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული დაცემა, სხვადასხვა გათვლებით, საშუალოდ 2020 წელს 3 პროცენტით შეამცირა მსოფლიო ეკონომიკა.¹¹

საქართველოში ეკონომიკის ზრდა დროებითია და შეჩერებული ეკონომიკის აღორძინებით არის გამოწვეული. მომავალში კი მიზნობრივად საწარმოების და ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის დაგეგმვა ხდება საჭირო. როგორც არაერთი მკვლევარი ადასტურებს, ვაქცინაციის პროცესი კიდევ ორ წელს გაგრძელდება და მოსახლეობის 80 პროცენტის ვაქცინაცია არ არის პანდემიიდან თავის დაღწევის გზა, იგი მხოლოდ შეარბილებს პათოლოგიურ შედეგებს. შესაბამისად კვლავ დღის წესრიგში რჩება ლოზინგი: ვისწავლოთ ვირუსთან ერთად ცხოვრება.

სახელმწიფოს მიერ განეული ღონისძიებებს შეუძლიან შეამციროს ინფლაცია, გაზარდოს მშპ და დასაქმება, რაც ეკონომიკურ მაჩვენებლებზე შესაბამისად აისახება. საწარმოების საქმიანობის შეჩერება ემპირიულადაც კი დიდი უარყოფითი შედეგების მომტანია ეკონომიკაში. კორინავირუსით გამოწვეული კრიზისი ცვლის საზოგადოების ცნობიერებას და ეკონომიკური განვითარების დინამიკა. ახლებურად დადგა განვითარების მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტების საკითხი.

იმ პირობებში, როდესაც განვითარება ზიგზაგისებურად წარიმართება, მოსალოდნელია როგორც აგრეგირებულ მიწოდების პერიოდული ვარდნა, რადგან წარმოება კვლავ შეზღუდულად ოპერირ-

6 მერაბ კაკულია ნოდარ კაპანაძე, (2020) ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში, თბ., ფრიდრიხ ებერტის ფონდი. გვ. 60. <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2901.pdf>

7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

8 ლევან ფავლენიშვილი, ანა ბურდული, მარიამ კაცაძე, გიორგი პაპავა, COVID-19-ის სოციალური ეფექტი - უნივერსალური დანმარების შემოდგომის საფუძველი? თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, https://drive.google.com/file/d/1O_6b3egllhXQSeTzoTIX8G90tRjh87E_/view

9 ზურაბ ბატიაშვილი, კორონავირუსით გამოწვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე, როდელის ფონდი, 2020.04.13, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>

10 Krugman, P. The new York Times Opinion, August, 25.2020. https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?campaign_id=116&emc=edit_pk_20200825&instance_id=21590&nl=paul-krugman&productCode=PK®i_id=111212561&segment_id=36891&te=1&uri=nytპროცენტი3Aპროცენტი2Fპროცენტი2Fnewsletterპროცენტი2F3919b3b0-93aa-5035-a68b-7b5dc278cd46&user_id=b51cbaa4596c28cdf168c7b9fc3ba8b

11 <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020>

რებს და მიწოდების ჯაჭვები შეფერხებულია, ასევე აგრეგირებულ მოთხოვნის შემცირებაც, რაც დაკავშირებულია სოციალური დისტანციის დაცვასთან, გაურკვევლობასთან სამუშაო ადგილების

დაკარგვასთან და სხვ. ეკონომიკის გაურკვეველი გავითარება, რომელიც პანდემიის სრულად თავის დაღწევასთან არის დაკავშირებული, ეკონომიკურ პროგნოზირებას ართულებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლადო პაპავა, დღეს ეკონომიკა მედიცინის „მძევალია“, ინტერპრესნიუსი, 14.03.2020, <https://www.interpressnews.ge/ka/article/589879-lado-papava-dges-ekonomika-medicinis-mzevalia/>
2. იაროსლავა ბაბიჩი, დავით კეშელავა, გიორგი მუჟაანაძე, ეკონომიკური რეაგირება covid-19-ზე: როგორ უკლავდება გამონვევას საქართველო. თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა. 2020.
3. The fiscal response to the economic fallout from the coronavirus, Last update: BRUEGEL DATASETS, 05 August 2020 <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset/>
4. მერაბ კაკულია ნოდარ კაპანაძე, (2020) ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში, თბ., ფრიდრიხ ებერტის ფონდი. <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2901.pdf>
5. ლევან ფავლენიშვილი, ანა ბურდული, მარიამ კაცაძე, გიორგი პაპავა, COVID-19-ის სოციალური ეფექტი – უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი? თსუ, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, https://drive.google.com/file/d/10_6b3eglhQXSeTzoTlX8G90tRjh87E_/view
6. ზურაბ ბატიაშვილი, კორონავირუსით გამონვეული სირთულეები თურქეთში და მისი ასახვა საქართველოზე, რონდელის ფონდი, 2020.04.13, <https://www.gfsis.org/ge/blog/view/1065>
7. Krugman, P. The new York Times Opinion, August, 25.2020. https://messaging-custom-newsletters.nytimes.com/template/oakv2?campaign_id=116&emc=edit_pk_20200825&instance_id=21590&nl=paul-krugman&productCode=PK®i_id=111212561&segment_id=36891&te=1&uri=nytპროცენტი3პროცენტი2პროცენტი2Fnewsletterპროცენტი2F3919b3b0-93aa-5035-a68b-7b5dc278cd46&user_id=b51cbaa4596c28cdf168c7b9fc3ba8b
8. <https://www.acra-ratings.ru/research> (дата обращения: 19.05.2020).
9. <https://www.bruegel.org/publications/datasets/covid-national-dataset/>
10. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020>

გლობალიზაციის პროცესის გავლენა საქართველოზე

აკაკი გვარუციძე
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

თორნიკე ნიკლაური
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სამეცნიერო სტატიის მიზანია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის აქტიური პროცესი და მისი გავლენა საქართველოზე. აღნიშნული პროცესი შეუქცევადი ხასიათს ატარებს და თანამედროვე პირობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონევენას წარმოადგენს, როგორც მსოფლიო საზოგადოებისთვის, ისე ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სფეროებისათვის. ყურადღება მახვილდება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია საქართველოზე და აღნიშნული პროცესის მიმართ იმ რადიკალურ მიდგომებზე, რომელიც დღეს ქართულ საზოგადოებაში არსებობს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, პროცესი, რისკები, საფრთხეები.

THE IMPACT OF THE GLOBALIZATION PROCESS ON GEORGIA

Akaki Gvarutsidze
GTU Associate Professor
Tornike Tsiklauri
PhD student at GTU

RESUME

The scientific article discusses the active process of globalization in the world and its impact on Georgia. This process is irreversible and in modern conditions is one of the most important challenges for the world community, as well as for the political, economic and cultural spheres of individual countries. The focus is on the impact of globalization on Georgia and the radical approaches to the process that exist in Georgian society today.

Key words: globalization, process, risks, threats.

* * * *

თანამედროვე სამყაროში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული ტერმინია „გლობალიზაცია“. დღევანდელ სამყაროს უწოდებენ გლობალურს, ხოლო ეპოქას – გლობალიზაციის ეპოქას. გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების პროცესზე. ამასთან, გლობალიზაციის პირო-

ბებში, ერთის მხრივ ეროვნულ ინტერესებს შორის წინააღმდეგობა მატულობს, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იზრდება, რაც თავის მხრივ რისკებს და საფრთხეებს შეიცავს.

კარგად ცნობილი მეცნიერი ჩ. კინდელბერგერი ჯერ კიდევ 40 წლის წინ ასაბუთებდა, რომ „ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის როლი თითქმის დასრულებულია“¹ დღეისათვის რეალობა განსხვავებულია, თუმცა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან დაახლოებით, ჰარმონიზაციით, დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით და მსგავსი ტიპის პროცესებში თავისთავად ებმება საქართველოც. აღსანიშნავია, რომ სოციალისტური სისტემის ნგრევის შედეგად, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ერთად, საქართველო მსოფლიო გლობალიზაციის პროცესის თანამონაწილე გახდა და ახალი ამოცანები და მიზნები დაისახა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველო, დაადგინეს ეკონომიკური ტრანსფორმაციის რთულ გზას, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რაც ამ ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში სრულფასოვნად მონაწილეობის წარმოადგენს. როგორც ქართველი მეცნიერები აღნიშნავენ გლობალიზაციის პირობებში „გარდამავალი ეკონომიკა არის ძველი ცენტრალიზებული, ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო სისტემად გარდაქმნისა და ამავე დროს, ნეოეკონომიკის ანუ პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შესაბამისი ნანამძღვრების, საფუძვლების შექმნის პროცესი“²

საქართველო ჯერ კიდევ 1994 წელს შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ და ნატოსთან განახორციელა თანამშრომლობის მრავალი პროგრამა და სწავლება, რაც ბოლო დროს კიდევ უფრო განმტკიცდა. საერთაშორისო ინტეგრაციის ეს პროცესი გლობალიზაციის მოთხოვნაა და მშვიდობიანი მსოფლიოს ტენდენციის გამოძახილიც, რადგან გლობალურ საფრთხეებს გლობალური დაპირისპირება სჭირდება.

1 Глобализация мирового хозяйства, М. 2006 с. 272

2 ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001, გვ.93, 103-104.

რაც შეეხება საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში ინტეგრაციის ხარისხს, ამაზე კარგად მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიოს წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე ფუნქციონირებს ოთხი თავისუფალი ეკონომიკური ზონის ნაირსახეობა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა თბილისში, ფოთში რუსთავსა და ქუთაისში. თავისუფალი სავაჭრო ზონისთვის გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები, ასევე დაგეგმილია საერთაშორისო და სახემწიფოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის, ანაკლიის ღრმანყლოვანი პორტის მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ეკონომიკის უფრო ინტენსიურ ჩართულობას გლობალურ ეკონომიკაში და მის განვითარებას, რამეთუ საქართველო დაიბრუნებს ძველ ლოგისტიკურ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ სატრანზიტო დერეფნის სტატუსს, საქართველოს მთავრობის გათვლების პორტის გამტარუნარიანობა წელიწადში 100 მლნ ტონა იქნება. 2017 წელს საქართველო გლობალიზაციის დონით 63 ადგილზეა, ხოლო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მე-16 ადგილს იკავებს.

ცხრილი №1 მსოფლიო გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგი 2017⁶

№	ქვეყანა	ქულა
1	ირლანდია	91.3
2	ჰოლანდია	91.2
3	ბელგია	91.0
4	ავსტრია	90.2
5	სინგაპური	87.5
6	შვედეთი	86.6
7	დანია	86.3
8	პორტუგალია	86.3
9	შვეიცარია	86.0
10	ფინეთი	85.6
20	საფრანგეთი	85.7
27	გერმანია	78.9
34	აშშ	74.8
42	უკრაინა	69.5
44	თურქეთი	69.0
53	რუსეთი	65.9
63	საქართველო	63.8
83	სომხეთი	57.8
87	აზერბაიჯანი	57.2

შედეგია ციურისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით.

2015 წელს ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში საქართველოს მე-19 ადგილი ეკავა. ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, თუ რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეული. ციურისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის (KOF) ინდექსს³, რომელიც 207 ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, რომლებიც მოიცავენ შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონის განსაზღვრა საერთაშორისო ვაჭრობის და უცხოური კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ხდება.

საქართველოს მე-16 ადგილი განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ. საქართველოს მაღალი პოზიცია უფრო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველია, ვიდრე მიღწეული განვითარების დონის. საქართველომ გლობალიზაციის ინდექსში სწრაფი აღმასვლა 2006 წლიდან დაიწყო, რაც 2004-2007 წლებში გატარებული რეფორმების შედეგი იყო. აღნიშნულ წლებში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს დღევანდელ ბიზნესგარემოს, რომელმაც გაუძღო ომს, ეკონომიკურ კრიზისს, პოლიტიკურ კრიზისებს და, ფაქტობრივად, უწყვეტ რუსულ აგრესიას. აღნიშნულ გამონეგვებს ემატებოდა კერძო საკუთრების უფლებების დაცვასა და სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები. ამ ფონზე, პარადოქსულია, როგორ ვითარდება დღემდე საქართველოს ეკონომიკა, რომლის ზრდაც, მართალია, ბოლო წლებში (2013-2015) შენედა, მაგრამ საშუალოდ 4%-იან ნიშნულს მაინც აღწევს. ეს პარადოქსი იხსნება სწორედ ქვეყნის ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონით, რასაც საგადასახადო ლიბერალიზაციით, ლიბერალური საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკით, ბიზნესის წარმოებაზე, უცხოურ კაპიტალზე, სამუშაო ძალასა და ტურიზმზე რეგულაციების შემცირებით, ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივებით, კორუფციის დონის მნიშვნელოვნად შემცირებით მივაღწიეთ.

საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონის მიუხედავად, გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა საგრძნობლად რეგრესულ მდგომარეობაშია. სააგენტო countrymeters-ის ინფორმაციით, რომელიც სამყაროს დემოგრაფიულ სტატისტიკას და

3 ციურისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის KOF ინდექსი, რომელიც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს.

სხვა მსგავს მონაცემებს სწავლობს, საქართველოს მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა.

ცხრილი №2 სააგენტო Countrymeters-ის სტატისტიკა. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის დინამიკა 1990-2017წ.

1990	5463460	0,17%
1991	5439379	-0,44%
1992	5382037	-1,05%
1993	5299237	-1,54%
1994	5204465	-1,79%
1995	5111611	-1,78%
1996	5028433	-1,63%
1997	4955505	-1,45%
1998	4890621	-1,31%
1999	4830825	-1,22%
2000	4 772 643	-1,20%
2001	4 714 680	-1,21%
2002	4 657 811	-1,21%
2003	4 602 923	-1,18%
2004	4 550 219	-1,15%
2005	4 499 859	-1,11%
2006	4 452 230	-1,06%
2007	4 407 536	-1,00%
2008	4 364 588	-0,97%
2009	4 320 941	-1,00%
2010	4 274 362	-1,08%
2011	4 223 267	-1,20%
2012	4 167 661	-1,32%
2013	4 110 824	-1,36%
2014	4 058 751	-1,27%
2015	4 017 293	-1,02%
2016	3 968 523	-1,21%
2017	3 920 345	-1,21%


შედგენილია სააგენტო Countrymeters-ის სტატისტიკაზე დაყრდნობით.

ერის მთლიანი პუპულაცია 3 912 526 ადამიანია (1991 წელს იგივე მონაცემი 5.4 მილიონს შეადგენდა), აქედან 47.1% - კაცი და 52.9% - ქალი. მიუხედავად ბოლო ხანებში დაბადება-გარდაცვალების მცირედ პოზიტიური ბალანსისა, ქვეყნის მოსახლეობა სწრაფი ტემპით მცირდება, რადგან ემიგრაციის კოეფიციენტი ყველა სხვა მონაცემს ერთი-ორად აჭარბებს. მაგალითისთვის, ამ წელიწადში უკვე 9256 ადამიანია საქართველოდან ემიგრირებული. ქვეყნის მოსახლეობის 85.5 % 15 წელზე უფრო დიდი ასაკისაა, აქედან 16% 64 წელზე მეტისაა, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში ასაკოვანი ადამიანების რი-

ცხვი ახალგაზრდების რიცხვს აჭარბებს, ანუ „საქართველოს ასაკობრივი დიაგრამა, რეგრესული, მომაკვდავი ხასიათისაა“. (იხ. სურათი №3), რომელიც გვიჩვენებს საქართველოში მოსახლეობის კლების პროცენტულ სტატისტიკას, რომლის შენარჩუნების შემთხვევაშიც 30 წელიწადში ქვეყანა საერთოდ უნდა გადაშენდეს:

გლობალიზაციის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარმატება რაც საქართველომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მოიპოვა არის ბიზნესის კეთების რეიტინგში მნიშვნელოვნად დანინაურება, რაც გატარებული რეფორმების, ბიზნესის რეგულირების ლიბერალიზაციის და მსოფლიო ეკონომიკაში აქტიურად ჩართვის შედეგია. მსოფლიო ბანკმა ბიზნესის კეთების (Doing Business) ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მე-6 ადგილზეა 83.28 ქულით.

დიაგრამა №1 საქართველო ბიზნესის კეთების რეიტინგში 2018 წელი.



შედგენილია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების (Doing Business) რეიტინგის მიხედვით.

საქართველოს მხოლოდ ახალი ზელანდია, სინგაპური, დანია, ჰონკონგი და სამხრეთი კორეა უსწრებს. გასულ წელს საქართველოს 82.80 ქულა ჰქონდა და მე-9 ადგილზე იყო. მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების რეიტინგს 2003 წლიდან აქვეყნებს. კვლევაში მსოფლიოს 190 ქვეყანაა ჩართული. ბიზნესის კეთების რეიტინგი ქვეყნებში ბიზნესის დაწყების, მართვისა და დახურვის სახელმწიფო რეგულაციების სიმარტივეს ზომავს. საქართველოში ბიზნესის კეთების რეიტინგი, განსაკუთრებით ინგლისური სახელწოდებით - “Doing Business”, საკმაოდ პოპულარულია. პოპულარობას თავისი საინტერესო ისტორია აქვს. 2005 წლიდან საქართველომ სწრაფი პროგრესი დაიწყო რეიტინგში და მე-100 ადგილს მალევე დაშორდა. 2006 წელს უკვე 37-ე იყო, 2013-ში - მე-9. წინა ხელისუფლების დროს, 2005-2012 წლებში აღნიშნულ რეიტინგზე დიდი აქცენტი კეთდებოდა და, შეიძლება ითქვას, ზოგიერთი რეფორმის მიზანიც კი იყო რეიტინგის გაუმჯობესება. დადებითი შედეგიც არ აყოვნებდა. სხვა რეიტინგებთან ერთად, ბიზნესის კეთების რეიტინგში სწრაფი პროგრესი საქართველოს სავიზიტო ბარათად იქცა. ამ პერიოდში მსოფლიო ბანკმა ორჯერ დაასახელა საქართველო მსოფლიოს ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად. საქართველოს რეიტინგი მცირედით გაუარესდა 2010-2011-სა და 2014-2015 წლებში, რაც ძირითადად ინდექსის შედგენის მეთოდოლო-

ცხრილი №3 საქართველოს ადგილი რეიტინგში კომპონენტების მიხედვით

	ადგილი მსოფლიოში	ქულა 2018	ქულა 2017
ჯამური რეიტინგი	6	83,3	82,8
ბიზნესის დანყება	2	99,3	97,8
სამშენებლო ნებართვის აღება	27	77,6	77,6
ელექტროენერჯი ს მინოდება	39	84,4	84,3
ქონების რეგისტრაცია	4	92,9	82,8
სესხზე ხელმისაწვდომობა	12	85,0	85,0
მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვა	2	81,7	81,7
გადასახადების გადახდა	16	89,0	87,1
საგარეო ვაჭრობა	43	90,0	90,0
კონტრაქტის პირობების აღსრულება	8	76,9	76,0
ბიზნესის დახურვა	60	56,0	55,6

<http://forbes.ge/news/5316/me-6-adgili-biznesis-keTebis-reitingSi>

გიის ცვლილებით იყო განპირობებული. ბიზნესის კეთების ინდექსი 10 კომპონენტისგან შედგება, რომელთა შეჯამება ქვეყნის საბოლოო ქულას და რეიტინგს გვაძლევს (იხ. ცხრილი 3).

საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა (99.3) და ადგილი (მე-2 ადგილი მსოფლიოში) ბიზნესის დანყების კომპონენტში აქვს. საქართველოში კომპანიის რეგისტრაცია ორ დღეში, მინიმალური აუცილებელი თანხის გარეშეა შესაძლებელი. საქართველო მე-2 ადგილზეა ასევე მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვით, თუმცა ქულა 81.7 აქვს. მე-4 ადგილზეა ქონების რეგისტრაციის სიმარტივით. ყველაზე დაბალი ადგილი (მე-60) საქართველოს ბიზნესის დახურვის კუთხით აქვს, რაც ხანგრძლივი დროით, ხარჯითა და დავალიანების დაფარვის დაბალი მაჩვენებლითაა გამოწვეული. წელს, გასულ წელთან შედარებით, საქართველოს წინსვლა (ქულის გაუმჯობესება) მხოლოდ სამ კომპონენტში არა აქვს, ესენია: სესხზე ხელმისაწვდომობა, მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვა და საგარეო ვაჭრობა. ყველაზე მეტად კი საქართველოს ქულა გადასახადების გადახდაში, ბიზნესის დანყებასა და კონტრაქტის პირობების აღსრულებაში გაუმჯობესდა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ბოლო ერთ წელიწადში საქართველოში ბიზნესის კეთების გამარტივების მიზნით სამი რეფორმა გატარდა: 1. კომპანიების გაერთიანების დროს დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრირება სავალდებულო აღარ არის, რამაც ბიზნესის დანყების კომპონენტი გააუმჯობესა; 2. მოგების გადასახადის რეფორმა, რამაც გადასახადების გადახდის კომპონენტი გააუმჯობესა და 3. გაუმჯობესდა კონტრაქტების აღსრულების კომპონენტიც, რადგან დაინერგა მოსამართლეებზე საქმეების განაწილების ავტომატური, შემთხვევითობის წესი. საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ ბიზ-

ნესის კეთების ინდექსში შემავალ კომპონენტებში ლიდერობა ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობია, მაგრამ არასაკმარისი. უღარიბესი ქვეყნების შემთხვევაში კი არც აუცილებელია, სანამ ძირითადი უპირატესობა იაფი სამუშაო ძალაა. საქართველო უკვე იმ მდგომარეობაშია, სადაც რეიტინგის კომპონენტების გაუმჯობესების მცირე არეალი დარჩა და მე-6 ადგილი უკვე დიდი მიღწევაა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას სხვა ფუნდამენტური პრობლემები აქვს, რაც აღნიშნულ ინდექსში არ აისახება. პირველ რიგში, ესენია: განათლების დაბალი დონე, რუსული აგრესია, სუსტი კანონის უზენაესობა (კორუფცია, სასამართლოს არაეფექტიანობა, არასათანადოდ დაცული კერძო საკუთრება) და დემოკრატიის დაბალი დონე, რაც სტაბილური პოლიტიკური გარემოსთვის აუცილებელია.

დასკვნა

გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ზრდა წარმოუდგენელია გლობალური ეკონომიკური სივრცის გაერთიანების გარეშე, რომელიც მოიცავს როგორც შესაძლებლობებს, ისე გარკვეულ რისკებს და საფრთხეებს.

გლობალიზაცია ჩვენი ცხოვრების რეალობაა და მოიცავს კაცობყრობის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკები ერთმანეთისგან იმდენად მჭიდრო კავშირშია, რომ გლობალური მასშტაბის ეკონომიკური გადწყვეტილებების შედეგები და დადამინის ყველა კუთხეზე აისახება მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალი სახელმწიფოს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან დაახლოებით, ჰარმონიზაციით,

დიდ საერთაშორისო პროექტებს განხორციელებაში მონაწილეობით და მსგავსი ტიპის პროცესებში თავისთავად ებმება საქართველოც.

საქართველოს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ინტეგრაციის ხარისხზე კარგად მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და მსოფლიო წამყვან საფინანსო ინსტიტუტებთან. 2018 წლის მონაცემებით საქართველო გლობალიზაციის დონით 63 ადგილზეა, ხოლო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით მე-16 ადგილს იკავებს.

ბოლო გამოკვლევების მიხედვით ქვეყნებმა, რომლებმაც მოახერხეს გლობალიზაციის პროცესში წარმატებულად ჩართვა მიაღწიეს დადებით ეკონომიკურ შედეგს. ასეთ ქვეყნებში სილარიძის მაჩვენებლები მცირდება.

ამასთან ერთად გლობალიზაციის პირობებში, ერთის მხრივ ეროვნულ ინტერესებს შორის წინააღმდეგობა მატულობს, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყ-

ნების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იზრდება. მაგრამ დღეს XXI საუკუნეში ყველა ერი ეძებს თავისუფლებას და ყველა ქვეყანას სურს თვითონ იყოს საკუთარი თავის განმკარგველი, თვითონ მოახერხოს განვითარება და იპოვოს გზა მსოფლიოში დასამკვიდრებლად. გლობალიზაცია კი შეუქცევადი პროცესია, რომელიც თავის გზაზე შესაძლოა მართლაც ანადგურებს ერის ინდივიდუალიზმს და ნაციონალურობას, მაგრამ თუ ქვეყანა იქნება ძლიერი საკუთარი ტრადიციებით, კულტურით, ისტორიითა და შიდასახელმწიფოებრივი მდგომარეობით, შესაძლებელია გლობალიზაციისათვის ფეხის აწყობა, ისე რომ ქვეყნებმა არ დაკარგონ ინდივიდუალიზმი, არამედ დაიმკვიდრონ ადგილი მსოფლიო არენაზე და მეტიც თავისი კულტურა აქციონ გლობალურ კულტურად, შეინარჩუნონ თავისი ისტორია, ტრადიციები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ერთად იმოქმედონ გლობალური სფეროების აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეთერია ე. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2009წ.
2. ჟურნალი *TIME*, 2011, Editorial Sol 90, S.L. Barselona (Spain) Todos los derechos reservados. ქართული რედაქცია, მესტვირიშვილი ნ., დეკანოსიძე ნ. XX საუკუნის ისტორია. გლობალიზაცია. გამომცემლობა „პალიტრა L“ თბილისი 2014წ.
3. ახრახაძე თ. გლობალიზაციის პროცესი პატარა ქვეყნების განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. <http://www.lari.ge/147-politika/425-globalizaciis-procesebi-patara-qveknebis-ganvitarebaze-negatiur-gavlenas-axdens.html> ნანახია 18.03.2019.
4. ნამჩავაძე ბ. საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია: შანსი საფრთხის ქვეშ. <http://forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia> ნანახია 07.04.2019.
5. ნოზაძე თ. რა არის გლობალიზაცია. <http://www.ambioni.ge/ra-aris-globalizacia>. ნანახია 15.05.2019.
6. ჩხუტიაშვილი ვ. გლობალიზაცია დადებითი ასპექტები და საფრთხეები. <http://globalizationforus.blogspot.com/2010/06/4.html> ნანახია 21.05.2019.
7. გელდიაშვილი თ. საქართველო და გლობალიზაცია. <http://tamuna123.blogspot.com/> ნანახია. 21.06.2019.

ეკოლოგიური რეგულირების საბაზრო მექანიზმი და ეკონომიკური ზრდის პრობლემები

მეგი გორგასლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ასოციირებული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

MARKET MECHANISM OF ECOLOGICAL REGULATION AND PROBLEMS OF ECONOMIC GROWTH

Megi Gorgaslidze

Akaki Tsereteli State University,
Faculty of Business,
Law and Social Sciences, Associate Professor,
Department of Economics,
Academic Doctor of Economics.

*„ჩვენ ვიყენებთ ბუნებას მისი ფასე-
ულობის გამო, მაგრამ ვკარგავთ მას,
იმიტომ რომ იგი უფასოა.“*

ჰავან სუხდევი.

ABSTRACT

Economic growth and development is a closely linked process that requires a number of measures to be taken in the country. Such actions often lead to environmental development problems, which are also important for any country.

The economic development of a country sometimes requires high-tech production processes, which leads to environmental pollution. If we consider the pursuit of profit as an economic argument, it will lead to deterioration of the ecological situation and conflict with public interests. The world's economic development has severely damaged the earth's green space, air and water, resulting in the threat of global warming, leading to prolonged hot weather, rising humidity and the spread of disease to vulnerable groups, rising sea levels and major unfavorable infrastructural changes. Economic consequences that significantly reduce human well-being.

In modern Georgia, there are issues of convenient solution of environmental problems, which are not easy to solve and are associated with high costs. In many countries around the world, environmental issues are successfully resolved through environmental investments, tax and credit measures that significantly mitigate the harmful effects of nature. It will bring us some success in regulating these issues, which will mitigate the impact of acute environmental problems on the economy, as without economic growth and development, the development of a country is inconceivable, which we can not refuse because of its special need.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური ნონასწო-რობა, ეკოლოგიური ინვესტიციები, ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი გარემოს დაცვა.

თანამედროვე ეკონომიკა ფლობს უზარმაზარ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს გარემო ბუნების ათვისებისათვის. ეს პროცესი რომ შეუჩერებლად განვითარდეს, სახეზე იქნება გლობალური ეკონომიკური და ეკოლოგიური კატასტროფა, რომელთანაც გამკლავება შეუძლებელია. მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება, დიდი ხანია დაფიქრდა ამ პრობლემის მოგვარებაზე, ცდილობს შეიმუშაოს ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენებაც ეფექტურს გახდის ადამიანის არსებობას დედამიწაზე. მთავარი „დამნაშავე“ კი ამ პროცესებში არის დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა სასურველი მიზნების მისაღწევად. ეკონომიკური ზრდა წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისა და სიმდიდრის დგროვების საშუალებას. ეკონომიკური ზრდა განუყოფელია ეკონომიკური განვითარებისაგან და მოიცავს მრავალფეროვან პროცესს, რომლის საბოლოო შედეგები იწვევს ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებს წინასწარ გამიზნული გეგმების მიხედვით. თუ გათვალისწინებული არ იქნება ქვეყნის განვითარების სპეციფიკა, შეიძლება ჩატარებულმა რეფორმებმა - ეკონომიკურმა ტრანსფორმაციამ ვერ მოგვცეს დადებითი ეკონომიკური ეფექტი და ამას მოჰყვეს დისბალანსი ეკონომიკურ ზრდა-განვითარებასა და ეკოლოგიურ განვითარებას შორის.

ეკოლოგიური ნონასწორობის დასაცავი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია ისეთი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, როგორცაა ეკოლოგიურად დასაშვები წარმოებრივი ტექნოლოგიების დანერგვა, საგადასახადო და საკრედიტო ღონისძიებები, რომლებიც აპრობირებულია უცხოეთში და აქვს მაღალი ეკონომიკური შედეგი.

საინტერესო გამოცდილება აქვთ განვითარებულ ქვეყნებში მონინავე და ეკოლოგიურად წმინდა ტექნოლოგიების შექმნის ნახალისებისათვის. „აშშ-ში 80-იანი წლებიდან, ფართო გავრცელება პოვა ამ საქმიანობისათვის საინვესტიციო ბანკების მიერ უპროცენტო სესხების გაცემის პრაქტიკამ. მრეწველობისათვის ასეთი ტექნოლოგიების მიწოდების საშუალოდ 40 % ყოველწლიურად ფინანსდება საინვესტიციო ბანკების მიერ. ამ სესხების დაფარვის

გარანტი თვით სახელმწიფოა.“ ასეთ ქვეყნებში კომერციული ბანკებიდან სახელმწიფო გარანტიების საფუძველზე გაიცემა გრძელვადიანი დაბალპროცენტური სესხები, რასაც დიდი წვლილი შეაქვს გარემოს დაცვაში.[1]

თანამედროვეობის საინტერესო ინოვაციას წარმოადგენს გარემოს დაცვის საკითხში „ეკოლოგიური ბანკების“ შექმნა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ბაზარი და ეკოლოგია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ასეთ ბანკებში დანესებული ლიმიტების საფუძველზე ადგილი აქვს გარემოს დაბინძურების დასაბუთებულ, დასამკვეთი ტექნიკური მაჩვენებლების კომერციულ გაცვლას. ფირმებს შეუძლიათ დაგროვილი, გამოყენებული ნებართვები გაიტანონ ბაზარზე, სადაც მათ სხვა ფირმები შეიძენენ. საბანკო მოგების ჩართვა ამ პროცესში მომგებიანია, რაც გარკვეულ სტრუქტურებს უქმნის ფირმებს, დაიცვან გარემო დაბინძურებისაგან. გარემოს დაბინძურების ლიმიტებით ვაჭრობა აქტუალური საკითხია თანამედროვე ეკონომიკაში. ბაზარზე შესაძლებელია გარიგება დაიდოს ორი ტიპის ფირმებს შორის: ერთნი, რომელთაც შეუძლიათ მცირე დანახარჯებით გარემოს დაბინძურების შემცირება, და მეორენი, რომელთაც ეს საქმიანობა ძვირი უჯდებათ, ამიტომ მზად არიან შეისყიდონ ეს ნებართვები.

აღსანიშნავია, რომ ამ იდეას ყავს, როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. სკეპტიკურად განწყობილი ადამიანები არ თანხმდებიან „სუფთა ჰაერის და წყლის დაბინძურებას ფულის სანაცვლოდ“, თუმცა მეორე მხარეს მხარეს მოყავს არგუმენტებად ის, რომ ბუნებაში სუფთა წყალიც და ჰაერიც, გარკვეულ ალტერნატივებთანაა დაკავშირებული - ანუ რა დანახარჯების სანაცვლოდ მიიღება ისინი; და ეს აგრეთვე ხელს შეუშლის ტექნოლოგიურ განვითარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას. ამიტომ, საჭიროა დაცული იყოს ოქროს შუალედი. მსოფლიოში განსხვავებული მიდგომებია ამ საკითხთან მიმართებაში: „მდიდარ ქვეყნებს უფრო სუფთა გარემო ხელენიფებათ, ვიდრე ღარიბ ქვეყნებს“- რადგან ყველაფერი ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომელთა გაღებაც ყველას არ შეუძლია. [2]

ბუნებრივი რესურსების გამაღებულ ათვისებას მოაქვს ეკოსისტემის გაუარესება და სოციალური განვითარების უთანაბრობა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესურსების გამოყენების მკვეთრ შემცირებას. თანამედროვეობის მოთხოვნაა დაცული იქნეს ადამიანთა უფლებები და ბუნებრივი გარემო ბაზრებისაგან, უზრუნველყოფილი იქნეს უბრალო ადამიანებისათვის ხელმისაწვდომობა ბუნებრივ რესურსებზე, ფულად კაპიტალზე და ტექნოლოგიებზე, განსხვავებით დიდი კორპორაციებისა და პოლიტიკური ელიტებისაგან და რაც მთავარია, დაცული იქნეს პროდუქციის წარმოების და მოხმარებისას - სოციალურ-ეკოლოგიური სამართლიანობა.[3]

თანამედროვე ენერგეტიკოსების აზრით, კაცობრიობა შეძლებს სათბურის აირების და ნახშირორჟანგის შემცირებას, თუ გამოიყენებს ალტერნატიულ მეთოდებს - განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებით. თავის მხრივ, ეკონომისტები ასაბუთებენ „ნახშირბადის გადასახადის“ შემოღებას და სამთავრობო სუბსიდიების გაუქმებას ნიაღვისეული სანჯავის მოპოვებაზე. თუ ეს პრაქტიკაში ფართოდ დაინერგება, დრო გვიჩვენებს, რომელი იქნება მათ შორის უპირატესი.[4]

გარემოს დაცვის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ჯარიმების დანესების მექანიზმი თითოეულ გადაცდომაზე. ამ პროცესის სამართლის სფეროში მოქცევა უნდა მოხდეს დიდი სიზუსტით და საქმის ცოდნით. ამ მექანიზმის დანერგვა ბევრ კითხვებს გასცემს პასუხს, მათ შორის, საქართველოში გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემებიც მონესრიგდება; რამდენადაც ეკონომიკური გათვლებით, ასეთი მშენებლობები მოუხერხებელია, მაშინ ეს პროცესი უნდა შეწყდეს მისი არაეფექტიანობის გამო. თითოეულ ასეთ მცდარ ნაბიჯს ეწირება ჩვენი ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი გარემო, რომლის დაცვაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დროებითი მატერიალური სიკეთე.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ეკოლოგიური სიტუაცია ძალიან დაიძაბა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კრიტიკულად იმატებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი - ქვეყნის ოთხი დიდი ქალაქის - თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის და ასევე რეგიონების მხედვით. სტატისტიკურ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, პირველ ადგილზე იყო იმერეთის რეგიონი 30,4 %, სამართალდარღვევების რაოდენობით გარემოს დაცვით სფეროში იმერეთის რეგიონის წილად მოდიოდა 18,7 % კახეთის რეგიონის შემდეგ - 21 %.[5].

დღეს საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჰიდროენერგეტიკის ეკოლოგიური საკითხები. არავინ დაობს ამ დარგის განვითარების მნიშვნელობაზე, მაგრამ მასთან დაკავშირებული მწვავე ეკოლოგიური პრობლემები კი საყოველთაო ინტერესს იწვევს. დაგეგმილი გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, შეინიშნავს ასობით ჰექტრობით ტყის ფართობს, გაუქმდება სოფლები, გამოიწვევს მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას; ამასთან ერთად, საქართველო მცირე მინიან ქვეყანას მიეკუთვნება, სავარაუდო მინების ფართობით ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 1,43 ჰა მინის საერთო მოცულობიდან. განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკურ შედეგებს მოგვიტანს მინის ზედა საფარის დაზიანება. ასეთ მშენებლობას შეეწირება დიდი რაოდენობის მინის ფართობი. აკადემიკოსი ნიკო კეცხოველის აზრით, მინის ზედა ნაყოფიერი შრის

განახლებას, თითოეული დაზიანებული სანტიმეტრის აღდგენას სჭირდება 100 წელზე მეტი დრო. [6]

ეკოლოგიური წონასწორობა რომ აღსდგეს, ამისათვის აუცილებელია სწორი ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება გარემოს მაქსიმალური დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან.

საქართველოში სხვადასხვა დროს შემუშავდა რიგი კანონებისა, რომელთა მიზანია ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება. ერთ-ერთი ასეთი კანონის თანახმად საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, რომლის მიხედვით, გარკვეული დამატებებით განსაზღვრულია ერთ-ერთი ასეთი პრინციპი: „დამბინძურებელი იხდის“, რომლის მიხედვით საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აანზღაუროს მის მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანი. ეს კანონი მიიღეს ჯერ კიდევ 1996 წელს და მას დამატებული აქვს მრავალი შენიშვნები. კანონის ამ ნაწილის ამოქმედების ვადა განსაზღვრულია 2022 წლის პირველი ივლისი. [7] შედარებისათვის, ამ მხრივ არსებობს უცხოური აპრობირებული მიდგომა ბუნების დაცვისათვის, კერძოდ, აშშ - ში რეაგირების გარეშე არ დარჩება არცერთი გადაცდომა: ამ ქვეყანაში საჰაერო ან წყლის რესურსების დაცვის შესახებ კანონის სერიოზული დარღვევები მხოლოდ ერთი დღითაც კი ისჯება 25 000 დოლარამდე ჯარიმის გადახდით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თვალსაზრისით კი 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. [1]

ეკოლოგიური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ადამიანსა და ბუნებას შორის გარკვეული სასარგებლო დამოკიდებულება არსებობდეს. ბუნების დამცავი მარეგულირებელი ღონისძიებები არ უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ სამთავრობო დონეზე. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარების პრობლემების მიმართ ინტერესი თანდათანობით ფართოვდება. ეკონომიკური ზრდის შენელების იდეის, ე.წ. „ნულოვანი ზრდის“ მომხრეები [გ. მარკუზე] მოითხოვენ საწარმოო ძალთა განუწყვეტელი ზრდის, წარმოების გაფართოების, ქალაქების რეკონსტრუქციისა და მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის შეჩერებას, ხოლო თანამედროვეობის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი ცნობილია ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივ ფაქტორებზე გადასვლით, რადგან ეკონომიკური ზრდა და ბუნებრივი გარემო ყოველთვის არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს [ბ. კომონერი, ბარბარა უორდი, ასოვი]. ეს საქმიანობა შეძლება განხორციელდეს ბუნების დაცვისა და გაუმჯობესების პარალელურად. [8]

ამრიგად, დღეს საქართველოში მთელი სიმწვავეით დადგა ეკოლოგიური პრობლემების მოხერხებულად გადაჭრის საკითხები, რომელთა მოგვარება იოლი არ არის და დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან. მსოფლიოს მრავალი ქვეყანის გამოცდი-

ლებიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკის კანონების ჩართვა ამ საკითხების დარეგულირებაში გარკვეულ წარმატებებს მოგვიტანს, რაც შეარბილებს მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გავლენას ეკონომიკაზე, რამდენადაც ეკონომიკური ზრდა-განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება, რომელზედაც უარს ვერ ვიტყვით მისი განსაკუთრებული აუცილებლობის გამო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სასურველად მიგვაჩნია ბუნების დაცვასთან და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისათვის, შემდეგი ღონისძიებების გააქტიურება:

➤ გაფართოვდეს კვლევები საქართველოში ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით;

➤ გამოყენებული იქნეს უფრო ინტენსიურად საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე „ჯარიმების გადახდევინების მექანიზმი“, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მენარმეების მიმართ;

➤ დაარსდეს ჩვენს ქვეყანაში შიდა ინვესტიციების ბაზაზე „ეკოლოგიური ინვესტიციების ფონდი“, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკოლოგიის გაჯანსაღების საქმეში;

➤ შეიქმნეს სააქციო საზოგადოებები, რითაც ქვეყნის მოსახლეობას მიეცემა შესაძლებლობა გახდეს, როგორც საკუთარი ბუნებრივი გარემოს მომხმარებელი, ასევე მისი აქტიური დამცველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რასათიანი, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე“. თბილისი, 2017 წელი. გვ. 382, 383.
2. გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, 2000 წელი, გვ. 285
3. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მემორანდუმი. რესურსების პოლიტიკა სამართლიანი მომავლისათვის. სამართლიანი მომავლის სტრატეგიები. ლინკი <https://ge.boell.org/sites/default/files/resour...2015/3>, გვ. 7.
4. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. <http://greenalt.org/uploads/2013/12> გვ. 27.
5. გარემოს სტატისტიკა, გარემოს დაცვითი ინდიკატორები. ლინკი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika>
6. ლ. ბაბილაშვილი, ჰიდროენერგეტიკის განვითარების საკითხები, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2006 წელი. ნომერი 3, გვ. 109.
7. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 წლის 10 დეკემბერი. №519.
8. პ. ლემონჯავა, ბუნების გამოყენების ეკონომიკა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2014. გვ. 71, გვ. 76.

FRAGILE DEVELOPMENT OF GEORGIA

Miranda Kavadze
Doctor of Economics

ABSTRACT

The paper examines the features of the development of the Georgian economy over the 30 years of the transition period, the main factors of the stability of its economic growth, which has been preserved over the past decade. The exceptional severity of the crisis at the beginning of the transformation period in the Georgian economy in the 1980s and 1990s, as well as the success of market reforms, are noted. The consequences of the transformation period both for the citizens of the country and for its economy, for the development of human capital in the face of acute socio-economic problems, are shown. In addition, changes in the structure and drivers of economic growth, the dependence of the Georgian economy on external financing (both investments and foreign aid, and personal transfers of migrants) are considered.

Key Words: *The social development, population growth, social inequality.*

* * * *

After the collapse of the USSR, Georgia found itself among the countries of the post-Soviet space that experienced the most profound crisis. The reforms carried out at the beginning of the 21st century, along with external financial assistance, contributed to the achievement of positive rates of economic growth.

The Georgian economy is characterized by significant demographic and social problems: population decline and aging, negative migration balance, high levels of poverty and unemployment (especially youth).

The country has limited fossil natural resources, but at the same time significant opportunities for the development of tourism, which has practically become the main driver of the economy in recent years. Over the years of transformation, a favorable business climate has been restored in Georgia - one of the best among the countries with economies in transition. This allows for a gradual increase in the level of development, although the remaining negative trade balance necessitates the attraction of additional financing.

The change of government in Georgia at the end of 2012 was followed by some changes in the economy. Economic policy has not changed significantly, it was like the economic policy since 2009: an officially open economy focused on ease of doing business, where the priority is tourism and attracting foreign direct investment. However, since 2013, in economic terms,

relations with Russia have changed significantly. In 2014-2015 Georgia went through a regional crisis and in 2020 the second term of the "Georgian Dream" was "crowned" with a pandemic.

The estimate for 2013-2020 should be divided into two parts, before the pandemic or 2019 and separately for 2020. The result achieved by 2019 was clearly related to government policy, which we cannot say about 2020, the crisis affected all countries of the world. However, even during a pandemic, government action significantly determines the level of economic decline.

In 2012, the average annual income of per person in Georgia was 8,162 GEL. Despite the slowdown in economic growth since 2013, per capita income has been growing and amounted to GEL 10,835 in 2019. The numbers are taken in real GEL (2015 prices) or considering the decrease in GEL purchasing power (this is the most accurate comparison when observing changes in revenue within the country). In 2020, per capita income will decrease by about 5% and will be up to 10,300 GEL.

The increase in household income is determined by economic growth, which averaged 6.9% in 2011-2012 and an average of 4.1% in 2013-2019. If the economic growth rate of 2012 was maintained until 2019, the income per capita in 2019 would be 12,600 GEL, 41% higher than the current one. In the fourth year since the Georgian Dream came to power, which should have been a "very good year", the economy has grown by only 2.9%, which is the minimum rate for 2013-2019.

Georgia consists of many international organizations. In 1992, she was a member of the United Nations, and as a result, she became involved in many specialized organizations, including JNIDO, MAGAT, the World Bank and the International Monetary Fund. Georgia is also a member of the WTO and Interpol. In all cases, domestic assistance, such as World Bank, is a joint venture with the Asian Bank for Development, the European Bank for Reconstruction and Development, the European Investment Bank.

Since the collapse of the USSR, the foreign policy of independent Georgia has been aimed at the country's accession to the EU and NATO, which is enshrined in the National Security Concept adopted in 2011¹. On July 1, 2016, the Association Agreement between Georgia and the EU entered into force, including the creation of a deep and comprehensive free trade zone, because of which Georgia became an associated member of the Union and strengthened trade ties with European countries. The country also participates in NATO's Partnership for Peace program and is a member of the

1 National Security Concept of Georgia // URL: http://www.parliament.ge/files/292_880_927746_concept_en.pdf.

Euro-Atlantic Partnership Council, which is one of the institutions of the organization. In addition, China, Turkey, as well as member countries of the Commonwealth of Independent States (hereinafter - the CIS), the EU and the European Free Trade Association participate in agreements on free trade and economic cooperation with Georgia. According to the WTO, Georgia has 13 such agreements both with individual countries and with integration associations.

Georgia's economy is expected to grow by 3.5% in 2021 at the expense of phasing out restrictions to curb the coronavirus (Covid-19) pandemic and reviving domestic demand, according to a new Asian Development Bank (ADB) report. ADB 2021 - According to the Bank's main annual economic report, ADB forecasts 6% GDP growth in Georgia in 2022, as the full opening of the economy and the expected recovery of tourism will stimulate travel and trade.

ADB 2021 - According to the Bank's main annual economic report, ADB forecasts 6% GDP growth in Georgia in 2022, as the full opening of the economy and the expected recovery of tourism will stimulate travel and trade.

"As a tourism-dependent economy, the phasing out of pandemic-related restrictions should resume the country's economic growth this year and accelerate it further in 2022," said Shane Rosenthal, ADB's Permanent Representative to Georgia. "Vaccination is the key to a speedy recovery of the economy. At the same time, facilitating access to finance for small and medium-sized enterprises, improving e-commerce and transforming agriculture to increase food exports are prerequisites for the long-term growth of Georgia's economy and the economic well-being of its population. "

ADB expects inflation to slow to 5.0% in 2021 and to 3.5% in 2022. The current account deficit will be reduced to 10 percent of GDP in 2021 and to 7 percent in 2022 as the commodity balance and tourism gradually increase.

As a result of measures taken by the government to ensure the continuous supply of food, ADB expects 3.2% growth in agriculture in 2021 and 3.9% in 2022. Investment will slow in 2021 as private investment will decline by 7.5%, although growth is expected next year.

Against the background of a strong trend in global health, exports will increase by 7.1% in 2021 and by 20.4% in 2022. Imports will increase moderately, by 3.6% in 2021 and by 8.9% in 2022.

Technological improvements in agricultural production, facilitating market access and attracting private investment will help strengthen competition and increase export potential.

The government should also continue to encourage investment in irrigation systems to increase productivity, improve the quality of agricultural exports, and meet

the requirements of standardization in the EU and other developed markets.

The geopolitical position of Georgia determines its role as a transit state in trade between the countries of Europe and Central Asia. For example, in the context of the political conflict between Armenia and Azerbaijan (the Karabakh conflict), both countries gain access to European markets through the territory of Georgia.

In the 2000s, Georgia underwent a series of institutional reforms aimed at modernizing the economy and improving the business environment. As a result of the transformations, the quality of institutions in Georgia has improved, moreover, the country occupies high positions in international ratings. For example, Georgia has ranked 7th among 190 countries in the World Bank Doing Business 2020 ranking, preceding the states like the UK, Norway, and Sweden (Table1).² Georgia shows the best indicators among the post-Soviet countries. Georgia shows high positions in the rating in such components of the index as registration of enterprises (2nd place), protection of minority investors (2), registration of property (4), enforcement of contracts (8), while in the rest of the components of the index, the country took 12 -60 places.

Note: The rankings are benchmarked to May 1, 2019, and based on the average of each economy's ease of doing business scores for the 10 topics included in the aggregate ranking. For the economies for which the data cover two cities, scores are a population-weighted average for the two cities. Rankings are calculated on the basis of the unrounded scores, while scores with only one digit are displayed in the table.

The key goal of the new economic reforms was to ensure sustainable economic growth, develop the private sector, further liberalize the market, and increase the country's investment attractiveness. The fight against corruption and crime has also become an important area of reform. The transformation of the country's economy has become possible thanks to external financial assistance. For example, in 2004 Georgia received 1 billion US dollars from donor countries (almost a quarter of the country's GDP at that time).

For the Georgian government, the priority task is to achieve an FTA with the EU as soon as possible and to use all the potential opportunities provided by economic integration with the EU. To this end, the economic policy of the Georgian government should focus on stimulating the development of production in the context of the implementation of European models of antimonopoly regulation, consumer protection and labor relations.

It is necessary, within the framework of the Charter on Strategic Partnership between the United States and Georgia, to begin a negotiation process on reaching an FTA with the United States. It is very important

² Doing Business 2020 <https://agenda.ge/en/news/2019/2857>

Table 1. DOING BUSINESS 2020

EASE OF DOING BUSINESS RANKING								
Rank	Economy	DB score	Rank	Economy	DB score	Rank	Economy	DB score
1	New Zealand	86.8	65	Puerto Rico (U.S.)	70.1	128	Barbados	57.9
2	Singapore	86.2	66	Brunei Darussalam	70.1	129	Ecuador	57.7
3	Hong Kong SAR, China	85.3	67	Colombia	70.1	130	St. Vincent and the Grenadines	57.1
4	Denmark	85.3	68	Oman	70.0	131	Nigeria	56.9
5	Korea, Rep.	84.0	69	Uzbekistan	69.9	132	Niger	56.8
6	United States	84.0	70	Vietnam	69.8	133	Honduras	56.3
7	Georgia	83.7	71	Jamaica	69.7	134	Guyana	55.5
8	United Kingdom	83.5	72	Luxembourg	69.6	135	Belize	55.5
9	Norway	82.6	73	Indonesia	69.6	136	Solomon Islands	55.3
10	Sweden	82.0	74	Costa Rica	69.2	137	Cabo Verde	55.0
11	Lithuania	81.6	75	Jordan	69.0	138	Mozambique	55.0
12	Malaysia	81.5	76	Peru	68.7	139	St. Kitts and Nevis	54.6
13	Mauritius	81.5	77	Qatar	68.7	140	Zimbabwe	54.5
14	Australia	81.2	78	Tunisia	68.7	141	Tanzania	54.5
15	Taiwan, China	80.9	79	Greece	68.4	142	Nicaragua	54.4
16	United Arab Emirates	80.9	80	Kyrgyz Republic	67.8	143	Lebanon	54.3
17	North Macedonia	80.7	81	Mongolia	67.8	144	Cambodia	53.8
18	Estonia	80.6	82	Albania	67.7	145	Palau	53.7
19	Latvia	80.3	83	Kuwait	67.4	146	Grenada	53.4
20	Finland	80.2	84	South Africa	67.0	147	Maldives	53.3
21	Thailand	80.1	85	Zambia	66.9	148	Mali	52.9
22	Germany	79.7	86	Panama	66.6	149	Benin	52.4
23	Canada	79.6	87	Botswana	66.2	150	Bolivia	51.7
24	Ireland	79.6	88	Malta	66.1	151	Burkina Faso	51.4
25	Kazakhstan	79.6	89	Bhutan	66.0	152	Mauritania	51.1
26	Iceland	79.0	90	Bosnia and Herzegovina	65.4	153	Marshall Islands	50.9
27	Austria	78.7	91	El Salvador	65.3	154	Lao PDR	50.8
28	Russian Federation	78.2	92	San Marino	64.2	155	Gambia, The	50.3
29	Japan	78.0	93	St. Lucia	63.7	156	Guinea	49.4
30	Spain	77.9	94	Nepal	63.2	157	Algeria	48.6
31	China	77.9	95	Philippines	62.8	158	Micronesia, Fed. Sts.	48.1

Source: Doing Business database.

that the terms of the PCT with the US do not contradict the terms of the PCT with the EU. This will require appropriate coordination between Brussels and Washington with the active involvement of Tbilisi in this process.

The Georgian government should not discourage Georgian firms from returning to the Russian market. These firms themselves must provide the Service of the

Chief Sanitary Doctor of Russia with all the necessary documentation confirming the quality of their products, as well as certificates of the access of these products to the markets of various countries of the world (USA, EU countries, China, Japan, etc.). And with the next refusal to admit their products to the Russian market, the Georgian government must protect the interests of these companies already within the WTO.

REFERENCES:

1. Analytical Center for the Government of the Russian Federation (2019). Georgia: Peculiarities of economic growth. *Bulletins on Current Trends in Global Economy*, No. 46. <http://ac.gov.ru/files/publication/a/23369.pdf>
2. Beridze T., Mekvabishvili E. (2018). The “thorny road” of economic reforms in post-communist Georgia: Retrospective and perspective. *Ekonomisti*, No. 1, pp. 18—36.
3. Chediya B. (2010). The place of Georgia on the political map of Europe: Formation of new geopolitical realities. *Centralnaya Aziya i Kavkaz*, No. 1, pp. 22—32.
4. Denisenko M. B. (ed.) (2018). *Demographic development of the post-Soviet space*. Moscow: Economic faculty, Lomonosov MSU.
5. Grigoryev L. M., Pavlyushina V. A. (2018). Social inequality in the world: Trends during 2000—2016. *Voprosy Ekonomiki*, No. 10, pp. 29—52.
6. Grigoriev L., Kondratiev S., Salikhov M. (2008). Difficult way out of transformational crisis (the case of Georgia). *Voprosy Ekonomiki*, No. 10, pp. 79—95. <https://doi.org/10.32609/0042-8736-2008-10-77-95>
7. Grigoryev L. M., Ivanova O. V., Korchagina O. S. (1991). Economy of the USSR: A new phase of the crisis. In: *Trends of world economic development*. Moscow: Nauka.
8. Grigoryev L. M. (1992). Soviets need a unified free economy. *New York Times*, September 12.
9. Grigoryev L., Popovets L. (2019). Sociology of individual tragedies. Homicides and suicides: Cross-country cluster analysis. *Russian Journal of Economics*, [forthcoming].
10. Pylin A. G. (2013). Economy of post-Soviet Georgia: Trends and problems. *Russian Economic Journal*, No. 1, pp. 86—95.
11. Papava V. G. (2013). Economy of Georgia: In search of development model. *Mir Peremen*, No. 3, pp. 47—58.
12. IMF (2019). Georgia: Fourth review under the extended fund facility arrangement and request for modifications of quantitative performance criteria. *IMF Country Report*, No. 19/171. <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2019/06/19/Georgia-Fourth-Review-Under-the-Extended-Fund-Facility-Arrangement-and-Request-for-47008>
13. Nicholson A. (2019). Russia’s wine threat drives Georgian currency to weakest ever. *Bloomberg*, June 25. <https://www.bloomberg.com/news/articles/2019-06-25/russia-s-wine-threat-drives-georgian-currency-to-weakest-ever>
14. Papava V. G. (2018). Georgia’s economy in a “tourist trap”. *Rondeli Foundation*, July 25. <https://www.gfsis.org/blog/view/854>
15. World Bank (2006). *Doing business 2007: How to reform*. Washington, DC. <http://documents.worldbank.org/curated/en/571261468313825416/pdf/414440PAPER0Do10082136488X01PUBLIC1.pdf>
16. World Bank (2018). New country classifications by income level: 2018—2019. *World Bank Blogs*, July 1. <https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2018-2019>

საქართველოს ეკონომიკის სოციალური ასპექტები პანდემიურ რაკურსში

ხათუნა თოდუა,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

СОЦИАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ ЭКОНОМИКИ ГРУЗИИ В УСЛОВИЯХ ПАНДЕМИИ

Хатуна Тодуа

Государственный университет
Акакия Церетели

АНОТАЦИЯ

В Грузии пандемия Covid-19 повлекла за собой серьезные последствия для здоровья и экономики, сильнее всего ударив по темб кто находится в самом уязвимом положении.

Хотя пандемия Covid-19 представляет собой прежде всего кризис в области здравоохранения, ее социально-экономические последствия серьезно оказали на жизнь людей вызвав значительные экономические потери. Совокупное влияние экономического и санитарно-эпидемиологического кризиса, несмотря на ранее доступные успехи в области сокращения бедности и повышения уровня жизни отбрасывают страну назад. Она (пандемия) привела к сокращению рабочих мест и к падению доходов населения что означает углубление проблем бедности. Кроме того, ситуация в Грузии усугубляется тем, что высокий уровень безработицы оказывает давление на местную систему социального обеспечения.

Пандемия усугубила также проблему неравенства, что в свою очередь может спровоцировать социальную напряженность. В этот критический момент поддержка экономики крайне важна для обеспечения социальных гарантий.

Государству следует принять сбалансированные меры для смягчения экономических и социальных последствий кризиса. В частности, следует точно субсидировать экономические сектора и выделять средства для финансирования систем здравоохранения и инфраструктуры. Поддержка наиболее уязвимых и подверженных риску групп населения также является приоритетной задачей, требующей тщательно продуманных мер.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, საქართველო, სოციალური პრობლემები.

Ключевые слова: Пандемия, Грузия, Социальные Проблемы.

2020 წელს მსოფლიო ახალმა კორონავირუსულმა პანდემიამ მოიცვა, რამაც დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა იგი. კორონავირუსულმა პანდემიამ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური კრიზისიც გამოიწვია. სოციალურმა პრობლემებმა, რომელიც ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ისედაც განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო, კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა, მათ შორის, საქართველოშიც.

საქართველოს სოციალური სფეროსათვის პანდემიის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოწვევებია: ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში არსებული პრობლემები, სიღარიბე და უთანასწორობა. უმუშევრობა.

დღეს, კორონავირუსული ფონზე, როცა „ეკონომიკა მედიცინის მძევალია“, ვირუსის დამარცხება და ეკონომიკური კრიზისის დაძლევა შეუძლებელია ეფექტური ჯანდაცვის სისტემის გარეშე;

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მომზადება და პანდემიის წინააღმდეგ მიმართულ რეჟიმზე გადაყვანა გაართულა მისმა არაეფექტურობამ, რის ერთ-ერთი გამოვლინებაა ის, რომ უპირატესად კერძო სამედიცინო სექტორია განვითარებული, ამ უკანასკნელის წილად მოდის პოსპიტალურ სექტორში არსებულ მფლობელობის ფორმათა 95% , მაშინ როცა ევროპის ქვეყნებში არაკომერციული სამედიცინო ორგანიზაციები შეადგენენ მთლიანი სექტორის 70-80%-ს, აშშ-ში კი - 57%-ს. ზემოაღნიშნულმა შეიძლება დიდი სირთულეები შექმნას ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გზაზე, ვინაიდან, იქმნება საშიშროება, რომ სახელმწიფო ვერ მოახერხებს კრიტიკულ სიტუაციებში საჭირო გადარჩევითი ღონისძიებების მიღებას.

დიდი პრობლემაა ექიმების უთანაბრო განაწილება ქვეყნის რეგიონების მიხედვით, ამას გარდა, ექიმებისა და ექთნების რაოდენობებს შორის დისპროპორციაა - საქართველოში ერთ ექიმზე საშუალოდ 0,7 ექთანი მოდის, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს თანაფარდობა 1:3-ს შეადგენს. არანაკლები პრობლემაა სამედიცინო პერსონალის არაადეკვატური შრომის ანაზღაურება, რაც ამცირებს მათს მოტივაციას. ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, გასაკვირი არაა, რომ საქართველო ჩამორჩება ყველა მეზობელ ქვეყანას ჯანდაცვით მოსახლეობის კმაყოფილების დონის მიხედვით, ჩვენთან მისი მაჩვენებელი 50%-ია, მაშინ როცა რუსეთში, ირანში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და სასომხეთში, შესაბამისად - 56, 82, 82, 68 და 53 %. ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია გა-

მონვევებზე დროული რეაგირების, *ჯანდაცვის სისტემის ეფექტური ადმინისტრირების* შემთხვევაში.

სოციალური სფეროს კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევაა განათლების სისტემაში არსებული პრობლემები. განათლება და კვალიფიციურობა მთავარ გამოწვევად რჩება საქართველოსთვის, რასაც ადასტურებს მრავალი, მათ შორის პიზას (PISA) 2018 წლის კვლევა, რომლის თანახმად საქართველო ნიგნიერების ნაწილში 380 ქულას იკავებს, საბუნებისმეტყველოში – 283-ს, ხოლო მათემატიკაში – 398-ს, რაც 2015 წელთან მიმართებით გაუარესებული შედეგია.

ამასთან, სკოლების 88%-ში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, არ არის სპორტული დარბაზები და მოედნები; სკოლების 88%-ში გაუმართავია სანტიქნიკა; არაერთი სკოლა საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. აუცილებელია მსგავსი პრობლემების დროულად მოგვარება, ასევე, მნიშვნელოვანია, როგორც სასკოლო და უმაღლესი განათლების თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება, ისე, პროფესიული განათლების კომპონენტის დახვეწა და შემდგომი განვითარება. განათლება ქვეყნის განვითარების ხერხემალია, ხოლო განათლებული ადამიანები - ქვეყნის სიმდიდრე; ამიტომ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეასრულოს თავისი პირობა განათლების ბიუჯეტის გაზრდის შესახებ, ისე რომ ეს უკანასკნელი სახელმწიფო ბიუჯეტის არანაკლებ 25%-ი, და GDP-ს – არანაკლებ 6%-ი იყოს, რაც ამ სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების შესაძლებლობას შექმნის.

საქართველოში დაბალი განათლების უმთავრესი მიზეზი ოჯახების ნაწილისთვის სათანადო ხარისხის განათლების ხელმიუწვდომლობაა, რაც მათი სიღარიბითაა განპირობებული; სიღარიბის მაჩვენებლები პანდემიის ფონზე კიდევ უფრო იზრდება; მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, Covid-19-ის პანდემიის და მისი თანმდევი ეკონომიკური კრიზისის შედეგად, საქართველოში 193 ათასი მოქალაქე, ანუ მოსახლეობის 5,4% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, მსოფლიო ბანკისვე შეფასებით, 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში სიღარიბეში მოსახლეობის 14,9 % ცხოვრობდა, ხოლო 2020 წელს ამ მაჩვენებელმა მოსახლეობის 20,3 %-ს (754 000) მიაღწია, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის ყოველი მე-5 მოქალაქე უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2020 წელს ყოველთვიურად შემწეობას საშუალოდ 484 ათასი ადამიანი იღებდა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში კი ბენეფიციართა რაოდენობა 83 296 ადამიანით გაიზარდა და 541 764 შეადგინა.

სიღარიბესთან ერთად დიდი პრობლემაა საქართველოში ჩამოყალიბებული დიდი უთანასწორობა მდიდრებისა და ღარიბების ცხოვრების დონესა და შემოსავლებს შორის. საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის უთანასწო-

რობის მაჩვენებლის მიხედვით ერთერთი აუტსაიდერია. ქვეყანაში ყველაზე მდიდარი 10%-ის შემოსავალი ყველაზე ღარიბი 10%-ის შემოსავალთან შედარებით 17-18-ჯერ მაღალია, ფულადი შემოსავლები კი 28-ჯერ.

ამგვარად, უთანასწორობა და სიღარიბე თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის უმწვავესი სოციალური პრობლემებია, რომელთა მოსაგვარებლად აუცილებელია სოციალური დაცვის პროგრამების პრიორიტეტიზაცია, დახმარების მისამართულობა და არსებული სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება. „არავინ დარჩეს განვითარების გარეშე“ - ეს მოწოდება უნდა გახდეს პანდემიის პერიოდში სოციალური პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების საფუძველიც.

Covid-19-ის პირობებში სიღარიბეს და უთანასწორობას კიდევ უფრო აღრმავებს უმუშევართა რიცხოვნობის ზრდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წინასწარი გათვლებით, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო, მსოფლიოში დაახლოებით 5,3 მილიონი (უარეს შემთხვევაში კი 24,7 მილიონი) სამუშაო ადგილი დაიკარგება. საქართველოში უმუშევრობის პრობლემა პანდემიამდეც აქტუალური იყო, თუმცა, ყოველწლიურად მცირე პროგრესი ფიქსირდებოდა დასაქმების კუთხით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2019 წელს უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელმა ქვეყანაში 11, 6% შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, სადაც უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 6,7%-ია, ორჯერ მაღალია. მართალია, ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად დაუსაქმებელი ადამიანების რაოდენობა ბოლო წლებში მცირდებოდა, და 2020 წელსაც წინასწარი მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელი უნდა შემცირებულიყო, მაგრამ კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ სულ სხვა რეალობის წინაშე დაგვაცენა; ოფიციალური მონაცემებით 2020 წელს უმუშევრობის დონე წლიურად 0,9 პროცენტული პუნქტით, 18,9 %-მდე გაიზარდა. ეს მონაცემი გაზრდილია 2021 წლის პირველ კვარტალშიც. ამ პერიოდში უმუშევრობამ 21,9 %-ს მიაღწია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობას უყურადღებოდ არ რჩება პანდემიის შედეგად უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობა და მათ სხვადასხვა ტიპის დახმარებებს სთავაზობს. ანტიკრიზისული გეგმის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პანდემიის პერიოდში უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დახმარება 200 ლარით 6 თვის განმავლობაში, რაზეც 450 მილიონია გამოყოფილი, ასევე თვითდასაქმებულების ერთჯერადად 300 ლარით დახმარება, რისთვისაც გათვალისწინებული იყო 75 მილიონი ლარი.

საქართველოს მთავრობა დასაქმების აქტიურ პოლიტიკას მიმართავს, რაც გულისხმობს სტარ-

ტაპების ნახალისებას, სახელმწიფო სამსახურების შექმნას, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ.

სახელმწიფოს მცდელობა - დაასუბსიდროს სხვადასხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებას ან უკვე დასაქმებული ადამიანებისთვის სამუშაო ადგილის ხელოვნურად შენარჩუნებას, ვერ ჩაითვლება გამოსავლად, მაგრამ სახელმწიფო მაინც აქტიურად ცდილობს მოსახლეობას სხვადასხვა სოციალური პაკეტები შესთავაზოს (შელავათიანი აგროკრედიტები, ხვანა-თესვის ვაუჩერები და სხვ.), რათა მათ სამუშაო ადგილი შეინარჩუნონ ან დარჩნენ ამ არაეფექტურ სექტორში, რაც სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

შესაბამისად, დღეს ჩვენი ხელისუფლება განსაკუთრებით უნდა ეცადოს ეფექტური დასაქმების პოლიტიკის წარმართვას, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას. დიდი მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაჩქარებას, რაც ახალი სამუშაო ადგი-

ლების შექმნის ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა.

ამგვარად, კორონავირუსის პანდემია მსოფლიოს ყველა ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკისთვისაც მოულოდნელ გამოწვევად იქცა. საქართველო რთული ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა; ჯანდაცვისა და განათლების სისტემების კრიზისი, უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების ზრდა, სოციალური უთანასწორობის გაღრმავება - ეს იმ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შედეგებსაც საქართველოს მოსახლეობა იმკის;

პრობლემების დაძლევისათვის აუცილებელია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება მისი ეფექტური ადმინისტრირების გზით, განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და თანამედროვე მოთხოვნებზე მორგება, ეფექტური დასაქმების პოლიტიკის წარმართვა, მოქალაქეთა სოციალური დაცვის დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Covid 19 -ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, საქართველოს მთავრობა; 2020 წ.
2. რ. აბესაძე, პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში, 2020 წ., აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“ - მასალების კრებული - გვ.12; file:///C:/Users/user/Downloads/2020..pdf.
3. ი. არჩვაძე, კორონავირუსი: გლობალური მოვლენა, რომელიც მასშტაბებით მსოფლიო ომის მასშტაბს უტოლდება, საერო გაზეთი, 08.06.2020 წ.
4. რ. ვაშაკიძე, ა. გოგოლი, ჯანდაცვის პოლიტიკა ჯანდაცვის პროფილაქტიკასა და ავადმყოფობის პრევენციას არ ემსახურება; 2019 წ. <https://forbes.ge/jandatsvis-politika-janda/> ნანახია - 12.05.2021 წ.
5. თ. თაქთაქიშვილი, სიღარიბე სოფლად და მისი გადაჭრის გზები, რეკომენდაციები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სექტორი 3 - ჰაბი განვითარებისათვის, თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრი, 2019 წ.
6. მ. კაკულია, ნ. კაპანაძე, ანტიპანდემიური შეზღუდვების და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში, თბ., 2020 წ., ფრიდრიხ ბერტის ფონდი. <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2901.pdf>
7. ვ. პაპავა, ვ. ჭარაია, კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა, 2020 წ., საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრი; file:///C:/Users/user/Downloads/Papava_Charaia_.pdf
8. ა. ურუშაძე - კოვიდ-19: გამოწვევები და სოციალური პოლიტიკის ვარიანტები საქართველოს მთავრობისთვის, თბ, 2021წ. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი; https://eprc.ge/uploads/Covid_challenges_andria_urushadze_Geo.pdf
9. თ. შვანგირაძე, უმუშევრობა, საქართველოს დასაქმების პოლიტიკის კვლავდაკვალი, 2020 წ. <https://forbes.ge/blogs/e1-83-a3-e1-83-9b-e1-83-a3-e1-83-a8-e1-83-94-e1-83-95-e1-83-a0-e1-83-9d-e1-83-91-e1-83-90-e1-83-a1-e1-83-90-e1-83-a5-e1-83-90-e1-83-a0-e1-83-97-e1-83-95-e1-83-94-e1-83-9a-e1-83-9d-e1-83-a1-e1-83-93/> ნანახია - 18.08.2021 წ.
10. თ. ხორბალაძე, Covid 19-ის პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე რეგიონულ ჭრილში (თბილისი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, შიდა ქართლი), 2020 წ. https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/01/Policy-Paper_Covid-19-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-1.pdf
11. Coronavirus (Covid-19): Cities Policy Responses. <http://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/cities-policy-responses-fd1053ff/> ნანახია - 06.07.2021 წ.

ადამიანური კაპიტალი როგორც ეკონომიკური კატეგორია

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს პროფესორი

სანდრო ხუციშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მოცემულია ეკონომიკური კატეგორიის "ადამიანური კაპიტალის" მახასიათებლები და მისი როლი შრომის მწარმოებლურობაში. განიხილება ადამიანური კაპიტალის თეორიის შექმნისა და განვითარების საკითხები, ხაზგასმულია მისი პერსპექტიული მიმართულებანი. განისაზღვრა ადამიანური კაპიტალის როლი ეკონომიკის განვითარებაში

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, უკუგების ნორმა

HUMAN CAPITAL AS AN ECONOMIC CATEGORY

Nato Chikviladze - GTU of Professor
Sandro Khutsishvili - PhD student of GTU

RESUME

The characteristics of the economic category "human capital" and its role in labor productivity are given. The emergence and development of the theory of human capital is discussed, emphasizing its perspective directions. The role of human capital in the development of the economy was defined.

Key words : Human capital, Investments in human capital, rate of return.

* * * *

ადამიანური კაპიტალი შეიძლება განიხილოთ როგორც ჯანმრთელობის, ცოდნის, უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების, მოტივაციის მარაგი, ჩამოყალიბებული (განვითარებული) ინვესტიციების შედეგად და დაგროვილი სუბიექტის მიერ, რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება საზოგადოებრივი წარმოების ამა თუ იმ სფეროში და ხელს უწყობს მისი პროდუქტიულობის და შემოსავლების ზრდას. პიროვნულ დონეზე ადამიანურ კაპიტალს უწოდებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, შექმნილს განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, რომლის წყალობითაც სუბიექტი ყალიბდება, როგორც საზოგადოებრივი ფასეულობა. მიკროეკონომიკის თვალსაზრისით, ადამიანური კაპიტალი არის სუბიექტის კვალიფიკაცია, პროფესიული უნარები და მისი მიღწევები პროფესიულ საქმიან-

ობაში. ადამიანური კაპიტალის თეორია სწავლობს ადამიანური რესურსების თვისებრივი გაუმჯობესების პროცესს, როგორც შრომის მიწოდების ანალიზის ერთ-ერთ ცენტრალურ განყოფილებას. ამ მხრივ, პერსპექტიული სფეროებია შრომის ბაზარზე აგენტების ქცევის საინვესტიციო ასპექტების გამოყოფა; მიმდინარე მაჩვენებლებიდან მთელი სასიცოცხლო ციკლის მომცემ მაჩვენებლებზე გადასვლა; ადამიანის დროის, როგორც ძირითად ეკონომიკურ რესურსად აღიარება.

ადამიანური კაპიტალის თეორიამ განმარტა: განათლების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, საგანმანათლებლო და სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა, შემოსავლების ასაკობრივი დინამიკა, განსხვავებები ქალისა და მამაკაცების შრომით ანაზღაურებაში და ა.შ.

ადამიანური კაპიტალის თეორიის განვითარება მიმდინარეობდა ნეოკლასიკური მიმართულებით. ბოლო ათწლეულებში აქტუალურია ნეოკლასიკური ინდივიდების ქცევის ოპტიმიზაციის პრინციპი, რომელმაც გავრცელება ჰპოვა განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებშიც. ადამიანების შესაძლებლობების, ცოდნის, უნარებისა და მოტივაციების ფორმირება, ისევე როგორც ფიზიკური ან ფინანსური კაპიტალის დაგროვება, ასოცირდება მიმდინარე მოხმარებიდან თანხების გადანაწილებასთან, მომავალში დამატებითი შემოსავლების მისაღებად. ადამიანური ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობაა: განათლება, წარმოების პროცესში ჩართვისათვის მომზადება, მიგრაცია, ინფორმაციის მოპოვება, ბავშვების დაზადება და აღზრდა.

ამასთან, ადამიანური კაპიტალი „ჩვეულებრივ“ კაპიტალთან არ შეიძლება სრულ შესატყვისობაში იყოს. პირველ რიგში, ადამიანი (განსხვავებით დაზგისა და აქციების პაქეტისაგან) არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის საგანი. ბაზარი ადგენს ფასებს მხოლოდ ადამიანური კაპიტალის „ქირაზე“ (უკუგების ნორმის სახით), ხოლო მისი „აქტივების“ ფასები არ არსებობს, რაც დიდად ართულებს ანალიზს. მეორეც, ადამიანურ კაპიტალს შეუძლია გაზარდოს საქმიანობის ეფექტურობა, როგორც ბაზარზე, ასევე არასაბაზრო სექტორშიც, ხოლო მისგან მიღებულ შემოსავალს შეიძლება ჰქონდეს, როგორც ფულადი, ასევე არაფულადი ფორმა. ამრიგად, ადამიანში ინვესტიციის სამომხმარებლო ასპექტები არანაკლებ მნიშვნელოვანია წარმოების ასპექტზე და მაინც, ძირითადად, ადამიანური კაპიტალი ფი-

ზიკურს ნააგავს: ის წარმოადგენს ხანგრძლივად გამოსაყენებელ სიკეთეს, მოითხოვს შენახვის ხარჯებს და შეიძლება მოძველდეს კიდევ ფიზიკური ცვეთის დაწყებამდე.

უკუგების შიდა ნორმა (ადამიანური კაპიტალის თეორიის ძირითადი კონცეფცია) განისაზღვრება კაპიტალზე მოგების ნორმის ანალოგიურად, რაც შესაძლებელს ხდის ადამიანური ინვესტიციების ეფექტურობის შეფასებას განათლებასა და სწავლებაში. ისინი გამოდიან მოსაზრებიდან, რომ სწავლება და განათლებაში ინვესტიციების განხორციელებისას სტუდენტი და მათი მშობლები იქცევიან რაციონალურად, აფასებენ შესაბამის სარგებელს და ხარჯებს, ადარებენ მოსალოდნელი ანაზღაურების ზღვრულ მაჩვენებელს ალტერნატიული ინვესტიციების მომგებიანობას. იმისდა მიხედვით, თუ რა არის ეკონომიკურად მიზანშეწონილი, მიიღება გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების ან მისი შეწყვეტის შესახებ. ამრიგად, უკუგების შიდა ნორმის საშუალებით რეგულირდება ინვესტიციების განაწილება განათლების სხვადასხვა ფორმასა და დონეს შორის, ასევე განათლების მთლიან სისტემასა და დანარჩენ ეკონომიკას შორის. უკუგების ნორმა გამოითვლება ორი მიდგომის საფუძველზე. პირველი, ემყარება სარგებლისა და ხარჯების პირდაპირ გაზომვას.

მაგალითად, უმაღლესი განათლებით მიღებული შემოსავალი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უმაღლესი და საშუალო სკოლის განათლების მქონეთა სამი დღემშეო ხელფასებს შორის სხვაობა. გარდა პირდაპირი ხარჯებისა, ხარჯებში შედის დაკარგული შემოსავალი, რომელიც სტუდენტმა არ მიიღო სწავლების წლებში (არსებითად ისინი ზომავენ სტუდენტის დროის ღირებულებას ადამიანური კაპიტალის შესაქმნელად). დაკარგული შემოსავალი შეადგენს სწავლების მთლიანი ხარჯების ორ მესამედს. უკუგების შიდა ნორმა შეიძლება გავიგოთ, როგორც დისკონტირების განაკვეთი, რომლის დროსაც განათლების სარგებლისა და ხარჯების მოცემული ღირებულებები თანაბარი იქნება. მეორე მიდგომა ემყარება, ე.წ. წარმოების ფუნქციის პარამეტრების შეფასებას, რომელიც აღწერს ინდივიდის ხელფასის დამოკიდებულებას მის განათლების დონესთან, სამსახურში მუშაობის ხანგრძლივობასთან და ა.შ.

ჯ. მინცერმა დაამტკიცა, რომ ასეთი მოდელის ფარგლებში, კოეფიციენტი საგანმანათლებლო ცვლადის წინ ექვივალენტურია განათლებაზე დახარჯული შემოსავლების უკუგების შიდა ნორმისა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ინვესტიციების ეფექტურობის შეფასებას განათლებაში. ინვესტიციების მოცულობა წარმოებაში სწავლებაზე, პრინციპში შედარებულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებულ ინვესტიციებთან და მათი ანაზღაურების მაჩვენებლები შედარებადია.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ითვლებოდა, რომ განათლებული მუშაკების მაღალი ხელფასი შეიძლება არა იმდენად მოწმობდეს მათ მიერ შექმნილი განათლებისა და უნარების სარგებლიანობას, არამედ იყოს მათი ბუნებრივი ნიჭის ან უფრო უზრუნველყოფილი ოჯახების წარმომადგენლობის შედეგი. მაგრამ ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შესაძლებლობები და სოციალური წარმოშობის ფაქტორები არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს. მათი გავლენა განათლების მოცულობისა და ხარისხის მიხედვით მიღებულ შემოსავალზე არაპირდაპირია. სამრეწველო (ინდუსტრიული) სწავლება გულისხმობს, როგორც ორგანიზაციაში მომზადებას, ასევე მუშაობის პროცესში გამოცდილების მიღებას. გ. ბეკერმა გამოავლინა განსხვავება ადამიანში სპეციალურ და ზოგად ინვესტიციებს შორის (მოგვიანებით ზოგად და სპეციფიკურ რესურსებს შორის განსხვავება ფირმის გარიგების თეორიის საფუძველი გახდა). სპეციალიზებული სწავლება მუშებს აძლევს ცოდნასა და უნარებს, რომელიც ხშირად წარმოადგენს ინტერესს მხოლოდ იმ ორგანიზაციისთვის, სადაც ისინი მიიღეს სამუშაოდ. სწავლების პროცესში მიღებული ცოდნა და უნარები შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა ორგანიზაციებშიც. სპეციალური ადამიანური კაპიტალის კატეგორია საშუალებას იძლევა ავხსნათ, თუ რატომ არის ერთსა და იმავე ადგილას მომუშავე გრძელვადიანი სამუშაო გამოცდილების მქონე მუშაკთა შორის კადრების დენადობა დაბალი და ვაკანსიების შევსება რატომ ხდება შიდა კადრების დანიშნულებით და არა გარედან, სამუშაო ძალის ბაზარზე დაქირავების საფუძველზე. ადამიანური კაპიტალის თეორიის წყალობით, ამ სფეროში ინვესტიციები განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო და, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვეულებრივი კაპიტალის დაბანდება.

თ. შულცმა, ჯ. კენდრიკმა და სხვა მეცნიერებმა შეაფასეს განათლების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში. მათ მიერ დადგინდა, რომ მე-20 საუკუნის განმავლობაში ადამიანური კაპიტალის დაგროვებამ გადააჭარბა ფიზიკური კაპიტალის დაგროვების მაჩვენებელს.

ე. დენისონის გამოთვლით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ზრდა აშშ-ში. ომის შემდგომ პერიოდში იყო 15-30% მუშაკთა განათლების ზრდით განპირობებული. ჰონკონგის, სინგაპურის, სამხრეთ კორეის გამოცდილება ადასტურებს, რომ განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში ინვესტიცია ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემის ანალიზისას გ. ბეკერმა შექმნა პირადი შემოსავლების განაწილების უნივერსალური მოდელი. ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციაზე მოთხოვნის მრუდის განსხვავებული მდებარეობა გამოხატავს მოსწავლეთა ბუნებრივი მონაცემების უთანასწორობას, ხოლო მიწოდების მრუდები ასახავს მათი

ოჯახების უთანასწორობას ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაში. ადამიანური კაპიტალისა და აგრეთვე შემოსავლების განაწილება დამოკიდებულია ინდივიდუალური მრუდების განლაგებაზე. განსაკუთრებით ღრმა უთანასწორობა აღინიშნება მინოდებისა და მოთხოვნის მრუდების კორელაციის შემთხვევაში, როდესაც მდიდარი ოჯახების ადამიანები დაჯილდოვებულნი არიან დიდი შესაძლებლობებით.

ბ.ბეკერის მიერ მოცემული მოდელი ხსნის არა მარტო შრომითი შემოსავლების უთანაბრობას, არამედ უთანაბრობას საკუთრების საკითხშიც. შესაბამისად, ოჯახების რაციონალური სტრატეგია შემდეგში მდგომარეობს: პირველ რიგში, უნდა მოხდეს ინვესტირება ბავშვების ადამიანურ კაპიტალში, ვინაიდან ამონაგები აქედან შედარებით მაღალია. შემდგომ, კლებადი თანმიმდევრობით ის გაუთანაბრდება სხვა აქტივების უკუგების ნორმას, მაშინ უნდა გადავერთოთ სხვა აქტივების ინვესტირებაზე, რათა შემდგომში გადავცეთ ის ბავშვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახები, რომლებიც მემკვიდრეობას უტოვებენ შვილებს, ახორციელებენ ოპტიმალურ ინვესტირებას მათ ადამიანურ კაპიტალში, მაშინ, როცა ოჯახი არ უტოვებს შვილებს მემკვიდრეობას,

ხშირად არ ახდენენ საკმარის ინვესტირებას მათ განათლებაში.

ადამიანური კაპიტალის თეორიაში განხორციელებულმა იდეებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მათი წყალობით შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ადამიანში ინვესტირების მიმართ, მასში დაინახეს ინვესტიციები, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების (თანაც გრძელვადიან) ეფექტს.

ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო განათლებისა და სწავლების სისტემის დაჩქარებულ განვითარებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. კერძოდ, სწავლების პროგრამებს განიხილავდნენ, როგორც ეფექტურ საშუალებას სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში, ის უფრო უკეთესი საშუალებაა, ვიდრე შემოსავლების პირდაპირი განაწილება.

აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური უთანასწორობის საყოველთაოდ მიღებული შეფასებები, დაფუძნებული მიმდინარე და არა სამიღვანელო შემოსავლების გაზომვაზე, გადამეტებულია. ახალგაზრდობა, რომელიც ახდენს თავის განათლებაში ინვესტირებას, შეგნებულად აძლევს უპირატესობას დაბალ მიმდინარე შემოსავალს იმისათვის რომ, შემდეგ მიიღოს წვდომა მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნესტან გაფრინდაშვილი, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA), განსხვავება ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზს შორის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თემატური პუბლიცაცია #01/20, 2020;
2. Shultz T. Investment in Human Capital, -N.Y.; London 1971 p.-26-28;
3. Кендрик Дж., Совокупный капитал США и его формирование, М. Прогресс, 1978, 275с.;
4. Беккер Г., Человеческий капитал/ США: экономика, политика, идеология, 1993 №11, URL <http://www.libertarium.ru/69974> (дата обращения: 01.06.2009).;
5. Денисон Э., «Анализ экономического роста США с 1929 по 1969», (Accounting for unite states. Economic Growth, 1929-69, 1974, с.46;
6. Посылкина О., Государственные инвестиции в Человеческий капитал, Москва, ММУ, 2015

ინსტიტუტების როლი ეკონომიკურ განვითარებაში

დემნა კვარაცხელია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების როლი ეკონომიკურ განვითარებაში. საქართველოს უახლოესი ისტორიის მაგალითზე დასაბუთებულია, რომ ელიტის სასარგებლოდ ფორმირებული ესკლუზიური ინსტიტუტები ხელს უშლის საზოგადოების ფართო ფენების აქტიურობას, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენა-გამოყენებას, შესაბამისად ახშობს მათ აქტიურობას ინვესტიციების, ინოვაციებისა და სოციალური მოღვაწეობის სხვა სფეროებში, რაც აფერხებს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ესკლუზიური და ინკლუზიური ინსტიტუტები, ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, ელიტები.

THE ROLE OF INSTITUTIONS IN ECONOMIC DEVELOPMENT

Demna Kvaratskhelia

Georgian Technical University,
Associated Professor

ABSTRACT

Article provides description of the role of economic and political institutes in economic development. On the example of the newest history of Georgia article offers reasoning that exclusive institutes formed for the elite's benefit prevents activity of wide society, identification and use of its talent and abilities and hence suppresses their activities in the other areas of investments, innovations and social activities, thus delaying economic development of the country in the long run.

Keywords: Exclusive And Inclusive Institutions, Economic Growth, Economic Development, Elites.

* * * *

უახლეს სამეცნიერო კვლევებში ცივილიზაციების, მ.შ. სახელმწიფოების აყვავებისა და დაცემის, აგრეთვე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული განსხვავების მიზეზებად სახელდება ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების განსხვავება, მათი ხასიათი, ხარისხი და განვითარების დონე.

ნაშრომში "ინსტიტუტები, როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური მიზეზი" [1], დასაბუთებულია, რომ პოლიტიკურ ინსტიტუტებს და რესურსების განაწილების სისტემას გააჩნია განმსაზღვრელი როლი პოლიტიკური ძალაუფლების ფორმირებაში, რომელიც, თავის მხრივ, არსებით როლს ასრულებს ამა თუ იმ ეკონ-

ომიკური ინსტიტუტის (მ.შ. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფი ეკონომიკური ინსტიტუტების) სასარგებლოდ საზოგადოებრივი არჩევანის განხორციელებისას.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დ. ასემოგლისა და დ. რობინსონის ნაშრომი "რატომ განიცდიან ერები დამარცხებას" [2]. ნიგნში ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაში არსებული განსხვავების მიზეზად აღიარებულია არა კულტურული, კლიმატური თუ გეოგრაფიული ფაქტორები, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების პროგრესულობა. ავტორები განსაკუთრებული მნიშვნელობას ანიჭებენ ინსტიტუტების ხასიათს ინოვაციებისადმი დამოკიდებულების კონტექსტში. შესაბამისად, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების (ან წარუმატებლობის) მიზეზად დადგენილია ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების არსებობა (ან არარსებობა), რომლებიც ხელს უწყობენ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა-გამოყენების ნახალისებას, თითოეული ინდივიდის ძალისხმევისა და ინოვაციების წამახალისებელი სტიმულების შექმნას. ავტორთა აზრით მხოლოდ ინკლუზიური ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სტიმულებს ეკონომიკურ აქტივობაში საზოგადოების ყველა ფენის ჩასართავად. ესკლუზიური ინსტიტუტები კი განამტკიცებენ ელიტების მონოპოლიას, ავტორიტარული მოდერნიზაციის პირობებში უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ზრდასაც, მაგრამ დროებით, ვინაიდან ასეთი ინსტიტუტების პირობებში შეუძლებელია გრძელვადიანი მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შენარჩუნება – განვითარებისთვის აუცილებელი სტიმულების დეფიციტის შედეგად.

ამრიგად, ეკონომიკურ განვითარებას განსაკუთრებით ხელს უშლის პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ელიტის ინტერესების შესატყვისი ესკლუზიური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

ელიტის სასარგებლოდ ინსტიტუტების ფორმირების კლასიკური მაგალითია ცვლილებების შეტანამდე საქართველოში მოქმედი "საქართველოს შრომის კოდექსი" [3], რომელიც მთლიანად დამსაქმებლის ინტერესებზე იყო მორგებული და პრაქტიკულად, სრულიად უუფლებო მდგომარეობაში აყენებდა დასაქმებულს.

აღნიშნული კოდექსი, საკუთარი ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, დასაქმებულს ავალდებულებდა, არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი შეტყობინებით, დამსაქმებლის გაფრთხილებას. ასეთი

ვალდებულება არ ეკისრებოდა დამსაქმებელს. მას შეეძლო ყოველგვარი გაფრთხილებისა და ყოველგვარი კონკრეტული მიზეზის გარეშე (აღნიშნული კანონით განწერილი არ იყო შრომითი ხელშეკრულების მოშლის მიზეზები) გაენწყვიტა შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან. დასაქმებულისათვის ერთადერთ “შელავათს” წარმოადგენდა ის, რომ შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემოდა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება, მაგრამ განწერილი არ იყო აღნიშნული თანხის გაცემის ვადები. ამასთან, ჩანანერს: “არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება”, გააჩნდა წმინდა ფორმალური დანიშნულება, ვინაიდან პრაქტიკაში თითქმის ყოველთვის გაიცემოდა ზუსტად ერთი თვის შრომის ანაზღაურების ტოლი თანხა. ამასთან, აღნიშნული კოდექსი არ ცნობდა გაერთიანების თავისუფლებას, შესაბამისად, კოდექსით აკრძალული არ იყო დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის, ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის შემთხვევაში.

აღნიშნული ხარვეზები ძირითადად აღმოიფხვრა შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ [4].

სასათბურე პირობების შექმნისას, ელიტა აღწევს მის ინტერესებთან შეუსაბამო, მაგრამ ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების გაუქმებასაც. ამის მაგალითია, საქართველოში, ხელისუფლების მიერ, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონისა [5] და ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა კორუფციის წყაროს. კორუფციის არსებობის მოტივით, აღნიშნული გადაწყვეტილების გამართლება, მეტისმეტად უსუსურად გამოიყურება, ვინაიდან აღნიშნულმა ხელისუფლებამ ყველგან, სადაც კი ამის სურვილი გააჩნდა, შეძლო კორუფციის აღმოფხვრა. აღნიშნული კანონის სანაცვლოდ 2005 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი: “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” [6], რომლის ტექსტშიც საერთოდ გაქრა “მონოპოლიის”, “მონოპოლიური მდგომარეობისა” და “მონოპოლიური საქმიანობის” ცნებები. შესაბამისად, მონოპოლიურ წარმონაქმნებს გზა გაეხსნათ თავისუფალი, შეუზღუდავი საქმიანობისკენ. აღნიშნული გადაწყვეტილება, ძირითადად ნაკარნახევი იყო პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ელიტის პირადი ინტერესებით. საზოგადოების, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან პერმანენტულმა პროტესტმა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების რეკომენდაციებმა ხელისუფლება აიძულა 2012 წელს მიეღო საქართველოს ახალი კანონი: “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” [7]. მასში გაჩნდა “დომინირებული

მდგომარეობისა” და “კონცენტრაციის” ცნებები, თუმცა სათანადოდ არ იქნა განსაზღვრული საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები, რამაც მონოპოლიურ წარმონაქმნებს თავიანთი საქმიანობის შეუზღუდავად გაგრძელების საშუალება მისცა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების გზით მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ, მხოლოდ 2014 წლის გაზაფხულზე მიიღო ახალი კანონი: “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” [8], რომლის თანახმადაც კანონმა მიიღო “კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის სახელწოდება. აღნიშნული კანონშიც არსად ფიგურირებს “მონოპოლიისა” და “საბაზრო ძალაუფლების” ცნებები. ამ თვალსაზრისით, იგი იმეორებს წინა კანონის ტრადიციას. ამასთან, წინამორბედთან შედარებით, აღნიშნული კანონით უფრო მკაფიოდ დაკონკრეტდა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვის სამართლებრივი ასპექტები. ასევე გადანყდა კონკურენციის სააგენტოს შექმნა და განისაზღვრა მისი ფუნქციები. მასვე დაევალა ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების შემუშავება და დამტკიცება.

ვინაიდან ინსტიტუტები განსაზღვრავენ როგორც მთელი საზოგადოების, აგრეთვე მისი ეკონომიკური ბაზისის, ანუ საბაზრო ეკონომიკის, ნორმალური ფუნქციონირების პირობებს, ამიტომ მათი დეფორმაცია და გავლენის ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე მორგება განაპირობებს ინფორმაციის ასიმეტრიულობას, ბაზრების არასრულყოფილებას, მონოპოლიური ურთიერთობების გაბატონებასა და ალტერნატიულ მიმართულებებს შორის რესურსების არაეფექტიან განაწილებას. ეს კი, თავის მხრივ აფერხებს საზოგადოების ფართო ფენების აქტიურობას, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენა-გამოყენებას, შესაბამისად ახშობს მათ აქტიურობას ინვესტიციების, ინოვაციებისა და სოციალური მოღვაწეობის სხვა სფეროებში, რაც ხელს უშლის ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

ამიტომ, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობი სტაბილური ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად და საზოგადოების ფინანსური, ინტელექტუალური და პროფესიულ-შემოქმედებითი პოტენციალის ასამაღლებლად აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ განსაკუთრებით იზრუნოს: მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისა და უფლებების გასაფართოებლად, ინდივიდების პირადი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის შესარბილებლად (უპირველეს ყოვლისა, შესაძლებლობების უფრო სამართლიანი განაწილების გზით) და ცალკეული ფენების ეკონომიკურ-პოლიტიკური გავლენის დასაბალანსებლად.

ეს საშურია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა სიღარიბის მაღალი დონისა და ქვეყნის ეკონომიკური განუვითარებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ამასთან, დაუშვებელია შემოსავლების თანაბარი განაწილება. შემოსავლების თანასწორი განაწილება, ისევე როგორც მისი ყოველად გაუმართლებელი

(როგორც ეკონომიკური, აგრეთვე ჰუმანური თვალსაზრისით) უთანასწორო განაწილება „ამახინჯებს სტიმულებს, ცვლის ადამიანთა ქცევას და ნაკლებეფექტიანს ხდის რესურსების განაწილებას“ [9]. უთანასწორობისადმი განურჩეველი მიდგომის დაუშვებლობა, შესაბამისად ღარიბი მოსახლეობის დაბეჩავების დაუშვებლობა, არ ნიშნავს იმას, რომ სამართლიანობა იდეალურ თანასწორობაშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Acemoglu D., Johnson S., Robinson J.. Institutions as the Fundamental Cause of Long-Run Growth. 2004.
2. Acemoglu D., Robinson J.. Why Nations Fail: The origins of power, prosperity, and poverty. 2012.
3. საქართველოს ორგანული კანონი: "საქართველოს შრომის კოდექსი". 17.12.2010, #4113. <http://www.mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/1/shromis%20kodeksi.pdf>
4. საქართველოს ორგანული კანონი: "საქართველოს შრომის კოდექსი". 12.06.2013. #729. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1951529#DOCUMENT:1
5. საქართველოს კანონი "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ". 25.06.1996. #228.
6. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=31462
7. საქართველოს კანონი: "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ". 03.06.2005. #1550.
8. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=29644
9. საქართველოს კანონი: "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ". 08.05.2012. #6148. <http://codex.ge/3285?shared=email&msg=fail>
10. საქართველოს კანონი: "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. 21.03.2014. #2159. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2294894
11. 3. World development report 2006: Equity and development. A copublication of The World Bank and Oxford University Press. 2005.

საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის განვითარების თეორიული საფუძვლები

ნატო ჩიკვილაძე
სტუ-ს პროფესორი

ელენე ბრეგვაძე
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია უძრავი ქონების ბაზრის მახასიათებლების, კლასიფიკაციისა და ფუნქციონირების მექანიზმების ანალიზი. უძრავი ქონების ბაზრის მახასიათებლებს შორის დახასიათებულია სამი სექტორი: უძრავი ქონების ობიექტების განვითარების (შექმნის), მართვისა (ექსპლუატაციის) და ადრე შექმნილ უძრავ ქონებაზე უფლებების ბრუნვის (მიმოქცევა). განხილულია აგრეთვე უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ინსტიტუციური გარემო, როგორც ძირითადი ფაქტორი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებისთვის.

კვლევაში მოცემულია, რომ ინსტიტუციური გარემოს განვითარების განხილვა უნდა ხორციელდებოდეს უძრავი ქონების ბაზარზე საქმიანობის სახეობის, სამართლებრივი ნორმების, წესებისა და სტანდარტების საფუძველზე, მათი განხორციელების ტიპურ საშუალებათა და რეგულირების თვალთახედვით (ანუ როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის და აგრეთვე ინსტიტუტებს შორის ურთიერთკავშირის მითითებით).

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების ბაზარი, უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ინსტიტუციური გარემო, უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირების მახასიათებლები, კლასიფიკაცია და მექანიზმები.

THEORETICAL FOUNDATIONS OF THE GEORGIAN REAL ESTATE MARKET DEVELOPMENT

Nato Chikviladze

Professor of GTU

Elene Bregvadze

Phd student of GTU

ABSTRACT

The article analyzes the characteristics, classification and mechanisms of the functioning of the real estate market. Among the features characterizing the real estate market, three sectors can be distinguished: development (creation), management (operation) of real estate and turnover (turnover) of previously created real estate. The institutional environment for the development of the real estate market is also seen as a key factor in improving operational efficiency.

The study argues that the development of the insti-

tutional environment should be based on legal norms, rules and standards of the real estate market, taking into account the typical means and regulation of their implementation (as an independent institution, also in links with other institutions).

Key words: real estate market, the institutional environment for the development of the real estate market, the characteristics, classification and mechanisms of the functioning of the real estate market.

შესავალი

უძრავი ქონების ეროვნული ბაზრის როგორც ეკონომიკის სექტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა დასტურდება პირველადი გაყიდვებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების მაღალი დონით, სახელმწიფო და მუნიციპალური უძრავი ქონების იჯარით გაცემით (მინის ჩათვლით), აგრეთვე უძრავ ქონებაზე გარიგებების საფუძველზე მიღებული (ბიუჯეტში შესული) გადასახადებისა და გადასახდელების ამოღებით. კვლევისა და ანალიზის საფუძველზე უძრავი ქონების ბაზრის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულა ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამავე დროს უძრავი ქონების ბაზრის პროფესიონალი მკვლევარები და განსაკუთრებით ანალიტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სწორი ფორმალიზაციის პრობლემების არსებობის შესახებ. კერძოდ, უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე ძირითადი პროცესებისა და მახასიათებლების მოპოვებისა და გაანალიზების არადაამკვაყოფილებლად დაბალი შესაძლებლობები არსებობს. უძრავი ქონების ბაზრის ანალიზის თეორიის არასაკმარისი დამუშავების დონე და სხვა ბაზრებზე გამოყენებული ტექნოლოგიების გადმოტანამ (სხვა საბაზრო გარემოსთვის დამუშავებული) უძრავი ქონების ბაზარზე შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო მნიშვნელოვანი შეცდომები არამედ კრიზისიც კი.

უძრავი ქონების ბაზრის მახასიათებლები

ეკონომიკური და ფილოსოფიური თვალსაზრისით, უძრავი ქონების ბაზარი არის ინფრასტრუქტურული კატეგორია, რომელიც უკავშირდება ინდუსტრიული, კომერციული, სოციალური, გარემოსდაცვითი და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად აუცილებელი პირობების შექმნას. ეს

განმარტება არ ენიანალმდეგება ვინროდ ორიენტირებულ გაგებას ბაზრის შესახებ, რაც გულისხმობს მყიდველებისა და გამყიდველების დაახლოების ეკონომიკურ ფუნქციას. უძრავი ქონების არსისა და ბაზარზე გაცვლის ობიექტის „სამებიდან“ გამომდინარე უძრავი ქონების ბაზარზე წარმოიშვა და აქტიურად მოქმედებს სამი სექტორი: უძრავი ქონების ობიექტების განვითარების (შექმნის); უძრავი ქონების ობიექტების მართვის (ექსპლუატაციის); და ადრე შექმნილ უძრავ ქონებაზე უფლებების ბრუნვა (მიმოქცევა).

უძრავი ქონების ბაზარი მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე ხასიათდება გარკვეული განსხვავებული თვისებებით (სხვა ბაზრებთან შედარებით). უძრავი ქონების ბაზრის სპეციფიკა ხასიათდება შემდეგნაირად: ლოკალიზაცია: ა) აბსოლუტური უძრაობა; ბ) ფასის მაღალი დამოკიდებულება ადგილმდებარეობაზე. თითოეული ობიექტის უნიკალურობა; ფასებზე კონტროლი შეზღუდულია; ბაზარზე შესვლას სჭირდება კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობა; მინოდების ელასტიკურობა: დაბალი, მოთხოვნისა და ფასების ზრდის შემთხვევაში მინოდება ნაკლებად იზრდება; მოთხოვნა შესაძლებელია იყოს ძალზე ცვალებადი; ბაზრის გახსნილობის დონე: გარიგებები კერძო ხასიათისაა; საჯარო ინფორმაცია ხშირად არასრულყოფილი და არაზუსტია; ობიექტის კონკურენტუნარიანობა: ძი-

რითადად განისაზღვრება გარემომცველი გარემოთი, მეზობლობით, სხვა ობიექტთა ზემოქმედებით; მყიდველთა ინდივიდუალური პრეფერენციების სპეციფიკურობით; ზონირების პირობები: რეგულირდება სამოქალაქო და მინის კანონმდებლობით, წყლის, სატყეო, ბუნებადაცვითი და სხვა სპეციალური სამართლის ნორმების გათვალისწინებით; საკუთრების კერძო და სხვა ფორმებს შორის მაღალი ურთიერთდამოკიდებულება; გარიგებების გაფორმება: იურიდიული სირთულეები, შეზღუდვები და პირობები; ღირებულება: შეიცავს ობიექტის ღირებულებასა და მასთან დაკავშირებული უფლებებს.

ინსტიტუციური მიდგომა გულისხმობს ბაზარზე საქმიანობის სახეობის აღწერას სამართლებრივი ნორმების, წესებისა და სტანდარტების, მისი განხორციელების ტიპურ საშუალებათა და რეგულირების თვალთახედვით (ანუ როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის და აგრეთვე ინსტიტუტებს შორის ურთიერთკავშირის მითითებით).

№1 ცხრილში წარმოდგენილია უძრავი ქონების ბაზრის კლასიფიკაცია ობიექტის მიხედვით.

უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირება

უძრავი ქონების ბაზარზე (ისევე როგორც სხვა ბაზრებზე) მოქმედ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს: მოთხოვნა, მინოდება და ფასი. უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნა გულისხმობს: შენობების,

ცხრილი №1. უძრავი ქონების ბაზრის კლასიფიკაცია.

კლასიფიკაციის მახასიათებლები	ბაზრების სახეობები
ობიექტის სახეობა	მიწის, შენობების, მასიური დანადგარების (ანძების), საწარმოების, საცავების, მრავალწლიანი წარგავების, საკუთრების უფლებებისა და უძრავი ქონების სხვა ობიექტების
გეოგრაფიული (ტერიტორიული)	ადგილობრივი, საქალაქო, რეგიონული, ნაციონალური, მსოფლიო
ფუნქციური დანიშნულება	საწარმოო ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, არასაწარმოო შენობები და ნაგებობები
ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის დონე	არსებული ობიექტების, დაუმთავრებელი მშენებლობების, ახალი მშენებლობები
მონაწილეთა ტიპი	ინდივიდუალური გამყიდველები და მყიდველები, გადამყიდველები, შუამავლები, მუნიციპალური წარმონაქმნები, კომერციული ორგანიზაციები და ფირმები
გარიგებათა სახეობა	ყიდვა-გაყიდვის, არენდის, იპოთეკის, საკუთრების უფლებების
დარგობრივი მიკუთვნება	სამრეწველო ობიექტების, სასოფლო-სამეურნეო ობიექტების, საზოგადოებრივი შენობების და სხვა
საკუთრების ფორმა	საჯარო (სახელმწიფო) და მუნიციპალური ობიექტების, კერძო ობიექტების
გარიგების განხორციელების მეთოდი	პირველადი და მეორადი, ორგანიზებული და არაორგანიზებული, საბირჟო და არასაბირჟო, ტრადიციული და კომპიუტერიზებული

მინის ნაკვეთების, ნაგებობებისა და მათზე უფლებების რაოდენობას, რომელიც მყიდველებს სურთ შეიძინონ ბაზარზე არსებულ ფასებად დროის გარკვეულ პერიოდში. სხვა თანაბარ პირობებში უძრავ ქონებაზე მოთხოვნა იცვლება მასზე არსებული ფასების საპირისპიროდ. უძრავი ქონების ობიექტებზე მოთხოვნა ყალბდება მრავალრიცხოვანი ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით როგორცაა ეკონომიკური ფაქტორები.

მოთხოვნა უძრავ ქონებაზე შესაძლებელია მნიშვნელოვნად იცვლებოდეს რეგიონების, რაიონებისა (მხარის) და მიკრორაიონების (სოფლების) მიხედვით. მაგალითად, მცირე ქალაქში ახალი საწარმოს (ფაბრიკის) გახსნა ამ ქალაქში სამუშაო ძალის მიწოდებას ამაღლებს, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობას, სავაჭრო და რეკრეაციული ობიექტების შექმნას მოითხოვს. ამავე დროს იპოთეკური დაკრედიტების საშუალებათა დეფიციტმა და მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა შესაძლებელია შეზღუდოს მოთხოვნა უძრავ ქონებაზე. მოთხოვნა მინაზე როგორც წარმოების ფაქტორზე წარმოადგენს საბოლოო პროდუქტზე (რომელიც ამ მინაზე ინარმოება) მოთხოვნის წარმოებულ სიდიდეს. ამდენად მინაზე მოთხოვნის სიდიდე შესაძლებელია განვსაზღვროთ: მინის ფასის შეფარდებით წარმოების სხვა ფაქტორების ფასებთან, მინის პროდუქტიულ-

ობით და საბოლოო პროდუქტის ფასით.

მიწოდება უძრავი ქონების ბაზარზე არის უძრავი ქონების ობიექტთა რაოდენობა რომელსაც მესაკუთრეები ყიდიან განსაზღვრულ ფასებად დროის გარკვეულ პერიოდში. დროის ნებისმიერ მომენტში მიწოდების საერთო რაოდენობა შედგება ორი ელემენტისგან: უკვე არსებული და ახალი უძრავი ქონების ობიექტთა მიწოდებისგან. მიწოდების ამ ორი ელემენტის თანაფარდობა იცვლება დროისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. ამავე დროს ძირითად ტენდენციას წარმოადგენს არსებული უძრავი ქონების მიწოდების სიჭარბე რაც დაკავშირებულია მის გრძელვადიან გამძლეობასთან. უძრავი ქონების ობიექტების მიწოდების ცვლილება ბაზარზე შესაძლებელია მოვახდინოთ: უძრავი ქონების ახალ ობიექტთა მშენებლობით და უკვე არსებულ ობიექტთა რეკონსტრუირებით; მისი გამოყენების ტიპის ცვლილებით და უძრავ ქონებაზე არსებული საკუთრების უფლებათა ცვლილებით, რაც მის ფიზიკურ ცვლილებას არ გამოიწვევს.

უძრავი ქონების ობიექტებისა და კომპლექსების ეფექტური მართვის მთავარი მიზანი არის უძრავი ქონების მფლობელებისა და მომხმარებლების, სახელმწიფოს და მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ინტერესების მიღწევა. ასეთი მართვა მოიცავს მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებას, მიღებას, ორგანიზებასა

ცხრილი №2. უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ინსტიტუციური გარემო.

პირველი დონის მაკროპროცესების მიზნები			
იპოთეკისა და დაკრედიტების ბაზრების რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის განვითარება	უძრავი ქონების ბაზრის სეგმენტთა რეგულირების რეგიონული პოლიტიკის ფორმირება	ბაზრებსა და სეგმენტებს შორის ურთიერთქმედების ხასიათისა და დინამიკის სამართლებრივი ჩარჩოების განვითარება	უძრავი ქონების ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის დაცვა და ხელშეწყობა
მეორე დონის მაკროპროცესების მიზნები			
რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზაციის ეფექტიანობა	უძრავი ქონების ბაზარზე საინვესტიციო აქტივობის ამაღლების სისტემა	ბუნებრივი გარემოს ზემოქმედების საფუძველზე განვითარების პროცესების ეფექტიანობა	რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება ადგილობრივ სტიმულაციის ჯგუფების უპირატესობათა გათვალისწინებით
მესამე დონის მაკროპროცესების მიზნები			
საინვესტიციო აქტივობისთვის გარემოს შექმნა	ბაზრის ოპერატორების კონკურენციულ უპირატესობათა ფორმირების სისტემა	ბაზრის ოპერატორთა ფუნქციონირების სამართლებრივი ჩარჩოების ფორმირება	ბაზრის ოპერატორთა ონლაინ სფეროში საქმიანობის რისკების მარეგულირებელი სისტემის ფორმირება
მიკროეკონომიკური მიზნები			
უძრავი ქონების ობიექტთა შექმნა და განვითარება	უძრავი ქონების ობიექტთა გამოყენება (ექსპლოატაცია)	უძრავი ქონების ობიექტთა სასაქონლო ბრუნვის ხელშეწყობა	კერძო და საჯარო ქონების ბაზრის მართვა

და კონტროლს, რაც მიზნად ისახავს უძრავი ქონების როგორც რეალური და საინვესტიციო აქტივის სრულად გამოყენებას. (2)

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ინსტიტუციური გარემო

ინოვაციური განვითარება მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტრენდია. პროგრესული იდეებისა და მარკეტინგული სიახლეების დანერგვა სამეწარმეო, საფინანსო, რეალიზაციისა და ლოგისტიკის სფეროში უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ძალაა. ამავე დროს მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ცოდნის (როგორც ახალშეძენილი ასევე დაგროვილი) მართვის პროცესებზე ეფექტიანი ზემოქმედების მექანიზმების დამუშავება და კვალიფიციური კადრების მომზადება. ორგანიზაციების მმართველობითი ემულონების ყველა თაობის გამოცდილების გადაცემისა და გაანალიზების გარეშე ეს პროცესი ნაკლებ ეფექტიანია. (3)

№2. ცხრილში მოცემულია მაკრო და მიკრო დონეებზე ეკონომიკური პოლიტიკის აქტივობები.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თეორიული შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაფართოვოთ სამეცნიერო ძიებების ჰორიზონტი, აგრეთვე ყურადღება გავამახვილოთ უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მართვისა და ხელშეწყობის ნაკლებად დამუშავებულ ასპექტებზე;

კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ შემდგომი სიღრმისეული შესწავლისათვის უძრავი ქონების ობიექტთა ბაზარზე მიმდინარე

ნარე ცალკეული პროცესებისა და მათი განვითარების ანალიზის პრობლემები, რომლებსაც გააჩნიათ წინააღმდეგობრივი ხასიათი;

უძრავი ქონების ბაზრის (როგორც ნაციონალური სატრანზიტო ეკონომიკის სექტორის) ფუნქციონირებისა და განვითარების მაკროპროცესების დიფერენცირების (აგრეთვე გამოყოფის) პროცედურა რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში აერთიანებს შემდეგ ელემენტებს: სუბიექტებს, ობიექტებს, პროცესებსა და მათი მართვის ფუნქციებს. ისინი მიმართულია უძრავი ქონების ბაზრის ობიექტების შექმნის, განვითარებისა და ბრუნვის პროცესში საზოგადოებრივი მოხმარების ინტერესების მაქსიმალური რეალიზაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Andrews D, Sánchez AC, Johansson A (2011) Housing markets and structural policies in oecd countries. OECD Economics Department working papers, no. 836, OECD Publishing;
2. Bedarf an Sozialwohnungen in Deutschland, Untersuchung im Auftrag der Wohnungsbau-Initiative.' Hannover. Pestel-Institut 2013;
3. Justin Kadi, Antonia Schneider, Roman Seidl (2020). Short-term Rentals, Housing Markets and COVID-19: Theoretical Considerations and Empirical Evidence from Four Austrian Cities. Volume: 7, Issue: 2. Pages: 47-57. 10.13060/23362839.2020.7.2.514;
4. Kofner S. (2017). Social Housing in Germany: an inevitably shrinking Sector?. Volume 4, Issue 1. 2017. p. 61-71. Available online at www.housing-critical.com <http://dx.doi.org/10.13060/23362839.2017.4.1.325> 61

ძალა ერთობაშია - საქართველო და საერთაშორისო პარტნიორები

ლია ქყონია

სტუდენტური ასოციაციის პროფესორი

რეზიუმე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ გაიარა თვითგამორკვევის ურთულესი გზა. 1992 წელს საქართველო გაერო-ს (UNO) 179-ე წევრი ქვეყანა გახდა. რასაც მოჰყვა მსოფლიო ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება და პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საზოგადოების განვითარების საკითხებში მრავალმხრივი თანადგომა. საქართველო განვიწყობიანდა სხვადასხვა პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში. საქართველო საერთაშორისო პარტნიორებთან ორმხრივად თანამშრომლობს, სარგებლობს პარტნიორი დონორი ორგანიზაციებიდან საკმაოდ მოცულობითი მხარდაჭერით. მათი თანადგომითა და ძალისხმევით უამრავი პროექტი განხორციელდა საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. დონორი ორგანიზაციების განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვს ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის, განათლების, ჯანდაცვისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით.

ძალა ერთობაშია! აშშ-მ, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისა და საერთაშორისო პარტნიორების თანადგომით საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმა განხორციელდა, რამაც განაპირობა ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. დღეს საქართველო რეგიონის ქვეყნებს შორის ლიდერ პოზიციაზეა.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო თანამეგობრობა, პარტნიორული ურთიერთობა, აშშ, გაერო, ეუთო, მსოფლიო ბანკი, ასოციაციის ხელშეკრულება, ნატო, უცხოური ინვესტიცია.

POWER IS IN UNITY - GEORGIA AND INTERNATIONAL PARTNERS

Lia Chkonia

GTU Associate Professor

RESUME

After gaining independence, Georgia has gone through the most difficult path of self-determination. In 1992, Georgia became the 179th member of the United Nations (UNO). This was followed by the recognition of Georgia as an independent, sovereign state by the world countries and multilateral support in political, economic or social development issues. Georgia has

joined international organizations of various profiles.

Georgia cooperates bilaterally with international partners, enjoys considerable support from partner donor organizations. With their support and efforts, numerous projects were implemented for the political and economic development of the society. The country has special support from donor organizations for territorial integrity, education, health and business development.

Power is in unity! With the support of the world's leading countries and international partners, a number of systemic reforms have been implemented in Georgia, which has led to a significant improvement in Georgia's position in authoritative international rankings. Today, Georgia is a leader among the countries in the region.

* * * *

საქართველოს ღერბზე წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“. ეს წარწერა ქვეყნის ერთიანობისა და განვითარებისათვის არა მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეების ერთობის, ერთად შრომისა და ერთად ბრძოლის დევიზია, არამედ მსოფლიო თანამეგობრობასა და საქართველოს კავშირი და პარტნიორული ურთიერთობაა.

70 წლიანი საბჭოთა იმპერიის მარწმუნებებიდან განთავისუფლების შემდეგ საქართველომ პრინციპული უარი თქვა ქვეყნის ცენტრალიზებულ, გეგმიურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაზე და აირჩია საბაზრო ეკონომიკური განვითარების გზა. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თანადგომით საქართველომ გაიარა თვითგამორკვევის ურთულესი გზა. საქართველოს მსოფლიო გლობალურ სივრცეში უნდა ეპოვა თავისი ადგილი და განესაზღვრა ქვეყნის როლი და მომავალი.

პოლიტიკური განვითარების დასავლური კურსის განსაზღვრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა-ჩამოყალიბება-რეფორმირებისათვის აუცილებელი იყო მსოფლიოს ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირურთიერთობების დამყარება. ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

პოსტსაბჭოთა საქართველო მსოფლიოსთვისაც საინტერესო იყო თავისი ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. **ევროპისა** და **აზიის** შესაყარზე მდებარე საქართველო, ოდითგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა, მისი შავიზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებდა.

საქართველო ა.შ.შ. ის, მსოფლიოს მონინავე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით შეუდგა თავისუფალი, სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობის რთულ და საინტერესო გზას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო 1991 წელს. 1992 წლიდან ა.შ.შ-სთან დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ა.შ.შ დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში მშვიდობის შენარჩუნების, უსაფრთხოების, დემოკრატიული და ეკონომიკური ინსტიტუციების განვითარებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. დიდია ა.შ.შ ფინანსური დახმარების წილი. 1992 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) საქართველოსთვის 1.8 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გამოყო. USAID-ის პროგრამების განხორციელების არეალია: ეკონომიკა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, საჯარო სექტორის მხარდაჭერა, ჯანდაცვა, განათლება და სხვ. ა.შ.შ. "კონგრესის კვლევითი სამსახურის" ანგარიშის მიხედვით, 1992 წლიდან დღემდე ჯამურად საქართველომ ა.შ.შ. -დან ფინანსური დახმარების სახით 4.5 მილიარდამდე ა.შ.შ დოლარი მიიღო. რომელიც ძირითადად მიმართული იყო ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის, სამხედრო, სამოქალაქო და ა.შ. მიზნების განსახორციელებლად.

1992 წელს საქართველო გაერო-ს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია-United Nations Organization) 179-ე წევრი ქვეყანა გახდა. რასაც მოჰყვა მსოფლიო ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება და პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ საზოგადოების განვითარების საკითხებში მრავალმხრივი თანადგომა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს განვითარება სხვადასხვა პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებში. საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი ან არასამთავრობო

ხასიათის მუდმივი გაერთიანებების შექმნის მიზანი არის საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, დაეხმარონ ქვეყნებს, მათ შორის განვითარებად ქვეყნებს პრობლემების მოგვარებასა და განვითარებაში. გასული საუკუნის დასაწყისში დაფუძნებული პირველი საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი დღეისათვის 2500 ზე მეტია და მუდმივად იზრდება.

საქართველო დღეს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის თუ გაერთიანების წევრია. ეს ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი,

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი; ევროპის ცენტრალური ბანკი; ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი; საერთაშორისო-საფინანსო კორპორაცია; აზიის განვითარების ბანკი; საერთაშორისო საანგარიშსწორებო ბანკი; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია; ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია; ევროპის სტატისტიკის სამსახური; ევროპის საბჭო; ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა“...

1992 წლიდან საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია. რომელიც საქართველოს უზრუნველყოფს ტექნიკური დახმარების პროგრამებით მაკროეკონომიკურ, ფინანსურ და სტრუქტურულ საკითხებში, შეღავათიანი სესხების საშუალებით ეხმარება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში, სავალუტო რეზერვების შექმნაში, საგარეო ვალის რესტრუქტურისა და ფისკალური პოლიტიკის სხვა საკითხებში. სავალუტო ფონდის მხარდაჭერით საქართველომ პარტნიორი დონორი ორგანიზაციებიდან მიიღო საკმაოდ მოცულობითი მხარდაჭერა. ამ ეტაპზე, დონორებთან ხელმოწერილია შეთანხმებები, რომლის ჯამური მოცულობა 1.9 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

1993 წლის დასაწყისში საქართველოში გაიხსნა გაეროს ოფისი. მას შემდეგ ქვეყანაში გაეროს ბევრი სააგენტო, ფონდი და პროგრამა დამკვიდრდა. ისინი გუნდურად მუშაობენ, რათა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს უპასუხონ და ხელი შეუწყონ მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. საქართველოში გაეროს სააგენტოებია: გაეროს სააგენტოთა ჯგუფი საქართველოში (UNCT); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA); გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR); გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF); გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women); სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO); ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO); მსოფლიო შრომის ორგანიზაცია (ILO) ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR); მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM); გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC); გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი (UNOPS); გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO).

1992 წლიდან საქართველო მსოფლიო ბანკის წევრია. (ბანკში გაერთიანებულია ხუთი ინსტიტუტი: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო განვითარების ასოციაცია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო, ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელი საერთაშორისო ცენტრი). მსოფლიო

ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოში განხორციელდა უამრავი პროექტი. ეკონომიკური ზრდისა და სილატაკის შემცირების მიზნით, დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით, უპროცენტო კრედიტებით და გრანტების საშუალებით მსოფლიო ბანკი ახდენს ინვესტირებას ინფრასტრუქტურის, განათლების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, კერძო და ფინანსური სექტორების, გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტისა და სხვა სფეროებში. **მსოფლიო ბანკმა საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნისა და პანდემიის ზემოქმედებით დაზარალებული კომპანიების მხარდასაჭერად, 85 მილიონი ევრო გამოყო.** პროექტი ქვეყნის მასშტაბით დახმარებას გაუწევს დაახლოებით 6 000 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს და ბიზნესის გადარჩენის შანსებს გაზრდის, ასევე აამაღლებს პროდუქტიული აქტივების შენარჩუნების შესაძლებლობებს და კომპანიებს ეკონომიკისა და ჯანდაცვის მიმართულებით არსებულ ახალ გამოწვევებთან ბრძოლაში დაეხმარება. დღეის მდგომარეობით, მსოფლიო ბანკმა, საქართველოში საავტომობილო გზების პროექტების დასაფინანსებლად, დაახლოებით, 832 მილიონი აშშ დოლარი გამოყო, საიდანაც დაახლოებით 527 მილიონი მიმართულია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომარგისტრალის მშენებლობის დასაფინანსებლად, დაახლოებით 305 მილიონი კი - შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციაზე.

ამჟამად მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს რეგიონული განვითარების რამდენიმე პროგრამა, რომლის დასაფინანსებლადაც, საერთო ჯამში, გამოყოფილია დაახლოებით 189 მილიონი აშშ დოლარი.

ADB - აზიის განვითარების ბანკი საქართველოს 2007 წლიდან უჭერს მხარს და ერთ-ერთ ყველაზე მრავალმხრივ პარტნიორს წარმოადგენს. ADB-ის მიზანია, ხელი შეუწყოს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის წარმატებულ, მრავალმხრივ და მდგრად განვითარებას. ამავდროულად, ის კვლავაც აგრძელებს მუშაობას რეგიონში უკიდურესი სიღარიბის აღმოსაფხვრელად. ADB ქვეყნის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მრავალმხრივი პარტნიორია. საქართველოში ADB-ის განვითარების პრიორიტეტებია მრავალმხრივი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის შემცირება, რეგიონული კავშირებისა და საჯარო სერვისების გაუმჯობესება. ADB-ს მიერ გაცემული კრედიტების საერთო რაოდენობა 3,92 მლნ დოლარს შეადგენს, ხოლო ტექნიკური დახმარების პროექტების – 28,9 მლნ დოლარს.

1999 წლიდან საქართველო ევროსაბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა.

2016 წლის ივლისში ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმება რომლის მიზანი საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკური ასოცირ-

ება და ეკონომიკური ინტეგრაციაა. ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლებით. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობა ძალზე მჭიდრო და პოზიტიურია. ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია და ყოველწლიურად საქართველოს ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით 100 მლნ ევროზე მეტ თანხას გამოუყოფს.

2000 წლიდან საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) 137-ე სრულუფლებიანი წევრი გახდა. რაც გულისხმობს “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით” (MFN) სარგებლობას WTO-ს 153 წევრ ქვეყანასთან. საქართველო ასევე შეუერთდა მრავალმხრივ შეთანხმებებს, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიების და სამოქალაქო ავიაციის შესახებ შეთანხმებები და სხვა მრავალ სექტორალური ინიციატივები.

მსოფლიო პანდემიამდე, 2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 13 315.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 12%-ით და 3 798.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; იმპორტი გაიზარდა 2%-ით და 9 516.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; 2019 წელს ნეგატიური სავაჭრო ბალანსი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. მსოფლიო პანდემიის ნეგატიური გავლენა მსოფლიო ეკონომიკასა და საქართველოს ეკონომიკაზე გრძელდება. აქედან გამომდინარე სავარაუდოდ წლები დასჭირდება საქართველოს დაბრუნებას პანდემიამდე არსებული ეკონომიკური ზრდის თუ ტურიზმის მაჩვენებლებთან.

2002 წლიდან საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს **ეუთოსთან (OSCE)**.

ეუთოს მხარდაჭერით საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი დემილიტარიზაციის პროექტი განხორციელდა. ასევე, საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC). რომელთანაც ჰუმანიტარულ და სხვა საქმიანობასთან ერთად თანამშრომლობს 90-იან წლებში და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაუდგენელ გარდაცვლილ პირთა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობები. ნატო-საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC), რომელიც 1997 წელს შეიცვალა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოთი (**EAPC - Euro-Atlantic Partnership Council**). აღნიშნულ ფორმატში საქართველო დღემდე აქტიურად არის ჩარ-

თული. 1994 წელს საქართველო გახდა ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP - Partnership for Peace) პროგრამის თანამონაწილე. პროგრამის ფარგლებში ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებში ერთობლივად იმართება სამხედრო წვრთნები და სამეთაურო-სამტაბო სწავლებები. საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე უსაფრთხოების გამონვევებთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარებსა და კონფერენციებში.

2002 წელს ნატო-ს პრალის სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განაცხადი ქვეყნის ალიანსში განწევრიანებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი.

2004 წელს საქართველო გახდა ალიანსის პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატო-მ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე აიღო კონკრეტული ვალდებულებები. 2008 წლის აგვისტოში, ბრიუსელში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრაზე ერთმნიშვნელოვნად დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნისა და საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის შესახებ. საქართველოს მიერ ნატო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების საფუძველზე, 2008 წელს ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი“...

2016 წლის 8-9 ივლისს გამართული ნატო-ს ვარშავის სამიტის ფარგლებში პირველად გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა (საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე). სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელიც მოიცავს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს. ერთობლივი განცხადებაში მოკავშირეებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ, საქართველო გახდება ნატო-ს წევრი და რომ ეს პროცესი შეუქცევადია.

ქვეყნის პრიორიტეტების გათვალისწინებით, ნატოს მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის 13 სხვადასხვა პროექტი განისაზღვრა, რომლებიც ახალი ინსტიტუციების ჩამოყალიბებასთან ერთად, თავდაცვის შესაძლებლობების ამაღლების კუთხით, ცალკეული მიმართულებების განვითარებას მოიცავს. ეს პროექტებია: წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (Joint Training and Evaluation Centre, JTEC); თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (Defence Institution Building School, DIB) დაარსება; ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარება; ავიაციის განვითარება; საჰაერო თავდაცვის

განვითარება; სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარება; სამხედრო პოლიციის შესაძლებლობების განვითარება; სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვა; შესყიდვების სისტემის განვითარება; სტრატეგიული კომუნიკაციები; საზღვაო უსაფრთხოების განვითარება; კიბერუსაფრთხოება; სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა და უსაფრთხო კომუნიკაციების სისტემის განვითარება. არსებითი პაკეტი ნატოს მხრიდან საქართველოსთან პარტნიორობის დემონსტრირებაა, რომელიც საქართველოს განწევრიანებისთვის საჭირო მოთხოვნების მომზადებასა და მიღწევაში ეხმარება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში ან უკვე დასრულებულ ოპერაციაში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერი ძალების (ISAF - International Security Assistance Force). საქართველოს შეიარაღებული ძალების ორი ცალკეული ქვეითი ბატალიონის მონაწილეობის შედეგად, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ISAF-ის მონაწილე, არანეკრ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით.

2015 წლიდან საქართველო ჩაერთო ავღანეთში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში, სადაც ის მისიაში მონაწილე ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე რიგით პირველი კონტრიბუტორია. საქართველო, 2015 წლიდან ასევე შეუერთდა ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს (NATO Response Force - NRF).

საქართველო, როგორც ნატო-ს ასპირანტი ქვეყანა, ზედმინევენით ასრულებს ალიანსის წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, რაც დადებითად ფასდება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ და აისახება სხვადასხვა შეფასების დოკუმენტსა თუ განცხადებაში.

2018 წლის ნატო-ს ბრიუსელის სამიტზე საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო მეთაურების და მთავრობის დონეზე მოკავშირეთა შეხვედრაში. ბრიუსელის სამიტზე მიღებულ ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციაში საქართველო ნახსენებია, როგორც ალიანსის ერთ-ერთი უახლოესი პარტნიორი.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) ითვლება გლობალიზაციის, ეკონომიკური ზრდის და ინდუსტრიალიზაციის მთავარ მასტიმულირებელ ძალად. უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს მიმზიდველ ხდის ქვეყანაში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო და ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის თანაბარი პირობები.

პირველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში 1993 წელს შემოვიდა-3.4 მლნ დოლარი. ინვესტიციების მოცულობა იცვლებოდა ქვეყნის შიგნით განვითარებული თუ გლობალური პროცესების შესაბამისად.

2017 წელს საქართველოში ინვესტიციების მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 1980.8 მლნ დოლარს მიაღწია.

2018 წელს უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით, პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო - 29.6 პროცენტით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი - 18.2 პროცენტით, ხოლო მესამეზე ჩინეთი - 14.9 პროცენტით.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2018 წ. 78.7 პროცენტი შეადგინა.

ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 110.6 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 69.1 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 40.2 მლნ. აშშ დოლარით. ასევე საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია ლუქსემბურგი, ჩინეთი, ნიდერლანდები.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 0.3 პროცენტით გაიზარდა და

1335.8 მლნმლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2020 წელს მკვეთრად დაიკლო და 616.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (52.9%-ით ნაკლები.) მიმდინარე კლების მნიშვნელოვან ფაქტორად პანდემიით გამოწვეული კრიზისი გვევლინება. გარდა ამისა, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისთვის შემავარსებელი გარემოებებზე გვევლინება ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, კვალიფიციური მუშა-ხელის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, საქართველო თავისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობით, ადგილობრივი ბაზრის ათვისების სიადვილითა და იაფი სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობით უცხოური ინვესტორებისთვის აღიქმება მიმზიდველ ქვეყნად.

ძალა ერთობაშია! მსოფლიო თანამეგობრობა, პარტნიორი და დონორი ორგანიზაციები მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ქვეყნის მისწრაფებას ევროკავშირისა და ევროატლანტიკური სივრცისკენ. საქართველო აღქმულია, როგორც სამედო საყრდენი რეგიონში, როგორც სტაბილური და განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყანა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები 2019-2020 წწ.
2. სსფ- IMF-ის პროგნოზი 2021წ.
3. ქ. შარაშენიძე (ამერიკის ხმა) აშშ „კონგრესის კვლევითი სამსახურის“ ანგარიში (\$4348400000 - აშშ-ის ფინანსური დახმარება საქართველოს, 28 წლის განმავლობაში)
4. ვ. ჭარაია, ავტორთა კოლექტივი. - აშშ როლი ქართულ ეკონომიკაში. თბ. 2020წ.
5. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წლიური ანგარიში (თანამშრომლობა აშშ-თან) 2020წ.

სტარტაპის წარმატებაზე მოქმედი ფაქტორები

თამარ აბუაშვილი

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ნატო გეგენავა

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

* * * *

თანამედროვე მსოფლიოს ბიზნეს გარემო გამოირჩევა უახლესი ტექნოლოგიური სისტემებისა და ტრადიციული ბიზნესის ერთგვარი შერწყმით პროცესებით, რომელიც სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება. დღეისათვის სტარტაპები წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს მიმართულებას ზოგადად ბიზნეს ინდუსტრიაში. მეტად აქტუალურია არამხოლოდ სტარტაპების განვითარების მიმართულების შესწავლა, არამედ ის თუ რა გარემოებებს უკავშირდება მისი ამგვარი პოპულარობა და რაში მდგომარეობს მისი წარმატების საიდუმლო.

აღნიშნული ფაქტორები წარმოადგენს დღეისათვის ალბათ იმ ძირითად პრაქტიკულ დეტალებს, რომლების გათვალისწინებაც უმთავრესი მნიშვნელობის ხდება სტარტაპის ფუნქციონირებისათვის, რადგანაც ეს მიმართულება ჯერ კიდევ წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს სიტყვას თანამედროვე ბიზნესში.

საკვანძო სიტყვები: ახალი კომპანიები, სტარტაპი, ტექნოლოგია, ინოვაცია, წარმატება.

FACTORS EFFECTING STARTUP SUCCESS

Tamar Abuashvili

Associate Professor of GTU

Nato Gegenava

Associate Professor of GTU

RESUME

The business environment of the modern world is characterized by a combination of the latest technological systems and traditional business, which is becoming increasingly relevant. Today, startups are one of the newest trends in the business industry in general. It is very important not only to study the direction of the development of the stages, but what the circumstances are related to its popularity and what is the secret of his success.

These facts constitute presently the basic practical details that take into consideration the importance of the startup function, because this direction is still one of the most recent words in modern business.

Keywords: New companies, startups, technology, innovation, success.

ახალი კომპანიები, ძირითადად სტარტაპები, როგორც წესი, ხშირ შემთხვევაში ვერ აღწევენ დიდ წარმატებას და მათი მოღვაწეობა ერთი წლის ვადაში სრულდება, ზოგიერთის სასიცოცხლო ციკლი შეიძლება სამ წლამდეც გაგრძელდეს, მაგრამ საბოლოოდ ისინიც კი ვერ ახერხებენ "გადარჩენას" ბაზარზე.

გამომდინარე იქიდან, რომ სტარტაპი წარმოადგენს კომპანიას, რომელიც ფაქტიურად განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება, ხშირად საჭიროებს გარკვეული სახის ინვესტიციებსა და დაფინანსებას, რათა მიღწეულ იქნას კომპანიის მიზნები და მოხდეს პროდუქტის წარმოება.

გარდა ამისა, დამწყები ქვეყნის (საქართველოს) სტარტაპებისთვის გასათვალისწინებელია ის ძირითადი პრობლემებიც რაც შეიძლება შეხვდეთ საქმიანობის დაწყების შემდეგ:

- სტარტაპების გაურკვეველი მომავლის გამო ხშირად ხდება თანამშრომელთა გადინება უკეთესი სამსახურის გამოჩენის შემთხვევაში;
- ზრდის სწრაფი ტემპები და მაღალი შემოსავლების მიღების მოლოდინი არის როგორც მოტივატორი, ასევე დემოტივატორი (წარუმატებლობის შემთხვევაში);
- გამოცდილი ადამიანები და კომპანიები ხშირად გვერდს უვლიან ბიზნეს გეგმას და ისე ახდენენ სტარტაპის დაწყებას, რაც ასევე ერთგვარი უარყოფითი ფაქტორია;
- კრედიტით/ინვესტიციით დაფინანსებული ბიზნესი კარგი ალტერნატივაა სტარტაპის შესაქმნელად, მაგრამ საკუთარი ფულის ჩადება საქმეში, არ წარმოადგენს უარყოფით ფაქტორს.

თანამედროვე ბიზნესის სხვადასხვა დარგები აქტიურად ცდილობენ გამოიყენონ ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ პროგრესზე დაფუძნებული მიმართულებები, რაც ავტომატურად აისახება სტარტაპების ზრდის უსწრაფეს ტემპებში.

რა განაპირობებს სტარტაპების ზრდისა და პოპულარობის მთავარ ფაქტორებს?

პირველ რიგში აუცილებელია განვიხილოთ მისი უმთავრესი ღირებულება - ინოვაცია. იგი ფაქტიურად ცვლის ამა თუ იმ სფეროში პირვანდელ შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს, სწორედ ინოვაციის საშუალებით ხდება უახლესი ტექნოლოგიების ათვისება, მათი გამოყენება და სრულყოფის ხარჯზე იქმნება ახალი პროდუქტი.

უფრო მარტივად - ინოვაციური საქმიანობით კომპანია ცოდნისა და ტექნოლოგიების ხარჯზე ახ-

დენს ამ ცოდნის ერთგვარ გარდასახვას უახლეს, სწირ შემთხვევაში აქამდე სრულიად უცნობ პროდუქტად.

სწორედ სტარტაპების ინოვაციურობა გვევლინება მათივე გადარჩენისა და შემდგომი წინსვლის მთავარ გარანტიად.

ინოვაციური ბიზნესი დამახასიათებელი ნიშნებით შეიძლება ოთხ ძირითად პუნქტად დავყოთ:

- ინოვაციური საქმიანობა საკუთარ შედეგში გულისხმობს არსებითი სიახლის შემოტანასა და დანერგვას;

- ინოვაციური პროდუქტი ითვისებს ბაზარზე არსებული მოთხოვნის იმ ნაწილს, რომლის დაკმაყოფილებაც ფაქტიურად ვერ შეძლო ტრადიციულმა ბიზნესმა;

- სტარტაპები (ინოვაციური ბიზნესი) ხასიათდება მაღალი რენტაბელობით, ანუ მათ აქვთ პოტენციური ზოგადად დარგში არსებულ საშუალო ეკონომიკურ მოგებაზე უფრო მეტს მიაღწიონ;

- გამოირჩევიან რისკის მაღალი მაჩვენებლით, რადგანაც ინოვაციები ფაქტიურად შედის თავისათვის უცნობ ახალ გარემოში და გაურკვეველია სავარაუდო შედეგი.

საინტერესოა იმის გამორკვევაც თუ რა განაპირობებს მაღალ რისკიანობას აღნიშნულ ბიზნესში. სტარტაპები ფაქტიურად ინოვაციური პროდუქტისა და სიახლეების მუდმივი ძიების პირობებში ერთგვარ ბუნდოვან გეგმას მიჰყვებიან, რომლის შედეგებიც ავტომატურად გაურკვეველია, რასაც ემატება ზოგადად წარმატებული სტარტაპების პროცენტული სიმცირე. საერთო ჯამში კი იზრდება რისკები.

ინოვაციებზე დაფუძნებული ბიზნესის წამოწყების შედეგი ხშირად შეიძლება ბაზარზე არსებულ მოთხოვნასაც კი უსწრებდეს, გამომდინარე აქედან რისკი იმისა რომ ჩვენს პროდუქტაზე იქნება მოთხოვნა - დაბალია, მაგრამ ხშირად დგება ისეთი გარემოება, რომ პროდუქტი წინ უსწრებს მოთხოვნას და მხოლოდ მომავალში შეიძლება გაამართლოს მან და არა იმ პერიოდში როდესაც იწყებს წარმოებას.

გამომდინარე იქიდან, რომ რისკ ფაქტორები საკმარისად მაღალია, აუცილებელია სტარტაპის დაწყებასთან ერთად კარგად იქნას შესწავლილი მისი (ინოვაციური ბიზნესისა თუ საქმიანობის) მთავარი პრინციპები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენენ ზოგადად ინოვაციური საკითხების შესწავლისათვის:

ინოვაციური ბიზნესის პრინციპები და წესები შემდეგი სახით შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული:

- ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ადგილი არ შეიძლება მოიცავდეს რაიმე ერთ კონკრეტულ ლოკაციას, არამედ იგი საჭიროა განხილულ იქნას როგორც გლობალური პროდუქტი, რომელსაც აქვს განვითარების რამდენიმე მიმართულება და აუცილებელია ყოველი მათგანის განხილვა როგორც პოტენციური განვითარების არხი;

- ინოვაციური საქმიანობა უპირატესობებით სარგებლობს ტრადიციულთან მიმართებაში;

- მისი დაგეგმვის სტანდარტები უზრუნველყოფს ამ უპირატესობას და მომგებიან პოზიციას ტრადიციულთან მიმართებაში;

- ინოვაციაზე დაფუძნებული და კარგად დაგეგმილი სტარტაპები, მენარმეს აძლევს კარგ შანსს, კონკურენციის მაღალ პირობებშიც კი მიაღწიოს წარმატებას და მოგვევლინოს როგორც ბაზრის ლიდერი.

რაც შეეხება სიახლის (ახალი პროდუქტის) მასშტაბებს, შეიძლება იყოს როგორც მსოფლიო მნიშვნელობის, ასევე ქვეყნის შიგნით დარგობრივი ან თუნდაც საფირმო ინოვაცია.

წარმატების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რადიკალური ინოვაციები, ისინი წარმოადგენენ ჩვენთვის აქამდე კარგად ცნობილი დარგის ახლებურ ხედვას, რომლის მეშვეობითაც მოხდა ძირეული ცვლილებები ზოგადად მიმართულებაში, იქნება ეს რაიმე კონკრეტული საქონელი თუ მომსახურება და სწორედ ამ ცვლილებების შედეგად გარდაიქმნა მთლიანი სისტემა.

ძირითადად მსგავსი რადიკალური ცვლილებები ეხება როგორც ტექნიკის, ასევე ტექნოლოგიური მიმართულების პროგრესს, რომლის ყველაზე ნათელ მაგალითებად უახლესი წარსულიდან შეიძლება ჩაითვალოს:

- თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოგონება;

- მობილური ტელეფონის გარდაქმნა სმარტფონებად;

- თხევად-კრისტალური ტელევიზორების გამოგონება და ა.შ.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი ინოვაციების ბუნებისა მდგომარეობს იმ რეალურ ცვლილებაში, რასაც უშუალოდ შექმნილი პროდუქტი გვთავაზობს:

გამაუმჯობესებელი - მსგავსი ტიპის ინოვაციები შეიძლება დავუკავშიროთ პროდუქტის ერთგვარ ევოლუციას, რომლის შედეგადაც გადავდივართ განვითარების ახალ ეტაპებზე;

ფსევდოინოვაცია - აღნიშნული სახელის ქვეშ მოიხსენიებენ ინოვაციის ისეთ სახეს, რომელიც არ გვთავაზობს რაიმე ძირეულ ცვლილებებს, არამედ მხოლოდ მარტივი გარდაქმნების საფუძველზე ქმნის ერთგვარ ახალ პროდუქტს.

პროდუქტული ინოვაცია - ამ შემთხვევაში იქმნება სრულიად ახალი პროდუქტი, რომელიც აქამდე არ ხვდებოდა ბაზარზე მომხმარებელს, რაც თავისთავად ამართლებს დასახელებას.

ტექნოლოგიური ინოვაცია - აქ არ არის ნაგულისმევი რაიმე კონკრეტული პროდუქტი, არამედ საუბარია წარმოების ახალ მეთოდებზე, რომლის დანერგვაც რადიკალურ ცვლილებებს გვთავაზობს პროდუქციის აქამდე არსებულ ტრადიციულ მიდგომებთან შედარებით.

ინოვაციების განხილვის შემდეგ უნდა განვიხილოთ უშალოდ ის პოტენციალი, რაც საჭიროა ნებისმიერი წარმატებული სტარტაპისათვის, რადგანაც მხოლოდ იდეა და სურვილი ხშირად არ არის საკმარისი, ასეთ დროს აქტუალური ხდება დამატებითი კომპონენტები, რომლებიც შემდეგი სახით შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული:

- ინტელექტუალური რესურსები;
- ფინანსები;
- პერსონალი;
- ტექნოლოგიები.

ინტელექტუალური რესურსები, იგივე პერსონალია, მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია შედარებით გლობალურ შეხედულებაზე, რაც აერთანებს მთლიანად კომპანიის განათლებასა და მთელ იმ ინტელექტუალურ ბაზას, რისი მეშვეობითაც ხდება საქმიანობის განხორციელება.

აქ აქცენტები კეთდება შემოქმედებითობაზე, ინოვაციურ ხედვებსა და გლობალურ აზროვნებაზე, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება შემდგომ პროგრესზე.

ფინანსები - ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია ინოვაციური სტარტაპებისათვის, რადგანაც მსგავს სისტემებზე დაფუძნებული კომპანია მუდმივად მოითხოვს ახალ ფინანსებს და შეიძლება ტრადიციულისგან განსხვავებით ბევრად მეტსაც კი საჭიროებდეს, რომლის მოძიებაც შიდა სახსრებით სანაყის ეტაპზე ფაქტიურად შეუძლებელია.

გამომდინარე აქედან სტარტაპების განვითარება ფინანსური კუთხით შეგვიძლია დავოთ ორ ნაწილად:

1. განვითარების სანაყის სტადია, როდესაც ფირმა მთლიანად დამოკიდებულია მოძიებულ სახსრებზე და ფაქტიურად ინვესტორების მხრიდან განეული დახმარების შედეგად ახდენენ პროდუქტის წარმოებას.

2. განვითარების შემდგომ ეტაპზე წარმატებული პოზიციონირების შედეგად კომპანია აღწევს ფინანსური შესაძლებლობის იმ დონეს, რომ უკვე შეუძლია ნელ-ნელა გადაერთოს შიდა დაფინანსებაზე და თავად უზრუნველყოს საკუთარი დაფინანსება.


პერსონალი - ამ შემთხვევაში უკვე აქტუალური ხდება იმ პერსონალის სწორად შერჩევა, რომელიც უშალოდ წარმოების პროცესებს განაპირობებს.

საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ხშირია პერსონალის სწრაფი ცვლა და ამ დროს უკვე ლიდერის როლი იძენს აქტუალობას, რადგანაც მასზეა დამოკიდებული სწორად დააკომპლექტოს პერსონალი და შემდეგ უზრუნველყოს მისი სწორი მიმართულებით განვითარება.

ტექნოლოგიური კომპონენტის ქვეშ ძირითადად განიხილება ყველა ის შესაძლებლობა რაც კომპანიას აქვს განვითარებისათვის, რადგანაც როგორც არაერთხელ აღინიშნა წინსვლის მრავალი მიმართულება აქვს ტექნოლოგიურ ინოვაციებს და საჭირო ხდება მისი კოორდინირება.

ზემოთ განხილული პუნქტები წარმოადგენს ინოვაციური სტარტაპების წარმატებული დაგეგმვისა და განხორციელების მთავარ წინაპირობებს, რაც საერთო ჯამში სინერგიული ურთიერთქმედების საფუძველზე ქმნის ერთობლივ და რაც მთავარია წარმატებულ პროდუქტს. გთავაზობთ დადებითი შედეგების მომტან ერთგვარ ბიზნეს სქემას:

სქემა: სწორი განვითარების ფაქტორები სტარტაპებისთვის



სქემაში განხილული პუნქტები წარმოადგენს დამწყები სტარტაპ ორგანიზაციების ერთგვარ სა-მოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც ემატება სიცოცხლისუნარიანობა კომპანიას და აძლევს შანსს დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი ბიზნესში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, "მეწარმის სამაგიდო წიგნი", თბილისი 2008;
2. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, კვლევა "ბიზნეს გარემო საქართველოში", თბილისი 2008;
3. დე ლა მედინა ს., გჰოსეინ ტ., უცხოური ინვესტიციების სანაყისები, მსოფლიო ბანკი 2013.
4. საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
5. განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების ფონდი <http://tsfund.ge/>;
6. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო www.gita.gov.ge;

სტარტაპებისა და ინოვაციური მენარმეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ნატო გეგენავა

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

მერი ჯანჯღავა

სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ეროვნული ეკონომიკის სუბიექტია სახელმწიფო, მენარმეობისა კი, თავად მენარმე. სახელმწიფო მენარმეთა საქმიანობას არეგულირებს მთელი ეკონომიკის მასშტაბით, მენარმე კი ეკონომიკური რესურსების ორგანიზებას ახდენს ფირმის ფარგლებში. მცირე და საშუალო მენარმეობა საქართველოში ობიექტურად არსებობს და ვითარდება, როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის შედარებით დამოუკიდებელი სექტორი, ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ როლს, უზრუნველყოფს სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, არბილებს სტრუქტურულ ცვლილებათა შედეგებს. ეროვნული ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი. სტარტაპი არის დროებითი ორგანიზაცია, რომელიც ეძებს მაღალი მოგების პოტენციალის მქონე ბიზნეს მოდელს და აქვს ექსპონენტური ზრდის პოტენციალი. ინოვაციების გარეშე შეუძლებელია სამენარმეო სექტორის არსებობა.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ეკონომიკა, მენარმეობა, მენარმე, საბაზრო ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი-მშპ, სტარტაპი, ინოვაცია.

PROSPECTS FOR THE DEVELOPMENT OF STARTUPS AND INNOVATIVE ENTREPRENEURSHIP IN GEORGIA

Nato Gegenava

Associate Professor of GTU

Tamar Abuashvili

PhD student of GTU

RESUME

The subject of the national economy is the state, and the entrepreneur himself is the subject of entrepreneurship. The state regulates the activities of entrepreneurs throughout the economy, while the entrepreneur organizes economic resources within the firm. Small and medium enterprises exist objectively in Georgia and develop as a relatively independent sector of the modern market economy, play an important socio-economic role, provide social and political stability, mitigate the effects of structural changes. One of the most important economic indicators of the national reporting system is

the gross domestic product, which reflects the market value of the final product and service produced within the country for a certain period of time. A startup is a temporary organization looking for a business model with high profit potential and has exponential growth potential. Without innovation it is impossible to have an entrepreneurial sector.

Keywords: National Economy, Entrepreneurship, Entrepreneur, Market economy, Gross Domestic Product – GDP, Startup, Innovation.

* * * *

მენარმეობის როლი ეკონომიკაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის: ქმნის სამუშაო ადგილებს; ქმნის ახალ ნაწარმს; აკმაყოფილებს უფრო დიდი ორგანიზაციების მოთხოვნილებებს; ეკონომიკაში შეაქვს ფულის მნიშვნელოვანი მასა; გვთავაზობს საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ სახეობებს და სხვა. [1]

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად“. [2]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) დინამიურად იზრდებოდა 2011 წლამდე, რაც განპირობებული იყო ბიზნეს გარემოსადმი სახელმწიფოს მხარდაჭერი პოლიტიკით. 2011 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყნის მშპ-ის ზრდის ყველაზე დიდ მაჩვენებელს - 7.2%-ს მიაღწია, მისი დინამიკა დაღმავლობისკენ წამოვიდა: 2012 წელს ზრდამ 6.4%-მდე დაიწია, კიდევ უფრო ნაკლები ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს - 3.4%, 2014 წელს რეალური მშპ 4.6% იყო, 2015-ში - 2.9%, ხოლო 2016-ში - 2.8%. 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4.8%-ს მიაღწია, მშპ დეფლაციური 6.1%-ით გაიზარდა, ნომინალურმა მშპ-მ კი 37,846.6 მლნ ლარი შეადგინა. [3]

რაც შეეხება სტარტაპების განვითარებას საქართველოში, აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ივნისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა „ანარმეო საქართველოში“. პროგრამის მიზანია, საქართველოში სამენარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმო-

ების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაარსებული სამი სააგენტო - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე არიან ჩართულები „ანარმოე საქართველოს“ პროგრამაში და სთავაზობენ ფინანსურ დახმარებას შესაბამის კომპანიებს. სააგენტო პასუხისმგებელია ა) ბიზნესის მხარდაჭერაზე, ბ) ექსპორტის ხელშეწყობასა და გ) საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვაზე:

მართალია, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ-ის წილი, ქვეყნის მთლიან მაჩვენებელთან შედარებით, მცირეა, მაგრამ მთლიანობაში, ის მზარდია. უნდა ითქვას, რომ ეს ზრდა მხოლოდ პროექტის ფარგლებში გაცემული სუბსიდირების შედეგი არ არის. როგორც რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, მშპ-ის შექმნა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე და განყენებულად, მხოლოდ სუბსიდია ვერ იმოქმედებს მნიშვნელოვნად ეკონომიკაზე, თუ სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც არ შეაქვთ გარკვეული წვლილი სოციალური კეთილდღეობის ზრდაში.

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი საკითხებია: პროფესიული განვითარება, განვითარების პერსპექტივები, კონკურენტუნარიანობა, ექსპორტი. [3]

მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის კომპონენტი გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მენარმეობის წახალისებას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. აღნიშნული კომპონენტი გამიზნულია როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის, ასევე არსებულის გაფართოება/ გადაიარაღებისათვის. [4]

2020 წლიდან USAID-ის მხარდაჭერით, სააგენტომ „ანარმოე საქართველოში“ ინვესტიციების მოზიდვის გეოგრაფიულ არეალის გაზრდის მიზნით უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო ფირმასთან - OCO Global თანამშრომლობა დაიწყო.

პარტნიორობა ხელს შეუწყობს USAID-ის ახალი სტრატეგიის განხორციელების დაჩქარებას, რომელიც გულისხმობს კერძო სექტორის გაძლიერებას, რათა შეიქმნას მაღალანაზღაურებადი დასაქმების შესაძლებლობები და განვითარდეს ეკონომიკა.

„ანარმოე საქართველოში“ და ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით შექმნილ ეკონომიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ პროგრამებში ცვლილებები განხორციელდა. პროგრამა გულისხმობს 2020 წლის 1 მარტის მდგომარეობით მენარმე სუბიექტის სესხის ძირის ნაშთზე მომდევნო 12 თვის მანძილზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის ჯამური ოდენობის სუბსიდირებას, ამ სესხზე 1 მარტის მდგომარეობით არსებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ 2021 წლის პროგრამების შედეგები შემდეგია: სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით ბიზნესის განვითარების მიმართულებით განხორციელდა არაერთი წარმატებული პროგრამა და აქტივობა.

2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით სააგენტოს მხარდაჭერით შეიქმნა ან გაფართოვდა 494 საწარმო, 152 სასტუმრო და 6 ტურისტული სერვისის მიმწოდებელი ობიექტი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა 1.8 მილიარდ ლარზე მეტი ინვესტიცია და სულ შეიქმნა 24 205 სამუშაო ადგილი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს ამოქმედდა საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც უკვე დაფინანსებულია 242 პროექტი. აღნიშნული პროექტები შექმნიან 4 418 სამუშაო ადგილს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განხორციელებული პროექტებიდან უმეტესი კომპანია ადგილობრივი წარმოების გარდა, ექსპორტზე არის ორიენტირებული.

მნიშვნელოვანია, რომ კიდევ უფრო მეტი სექტორის მოცვის და ეკონომიკის ზრდის მიზნით, 2021 წლის 1 სექტემბრიდან სააგენტოს დამატება სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად გახდა მცირე და საშუალო ბიზნესზე ორიენტირებული: ბიზნეს უნივერსალი, ბიზნეს ექსპორტი, აგრო და ეკო-ტურიზმის განვითარება. [4]

სახელმწიფო პროგრამა „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ბიუჯეტი განისაზღვრა 16 მილიონი ლარით, ამავე პროგრამის სოფლის მეურნეობის ნაწილზე კი, რომელსაც კომპეტენციებიდან გამომდინარე ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, მოხდა 30 მილიონი ლარის გამოყოფა. [5]

2018 წლის ჭრილში, იანვრიდან-ოქტომბრის ჩათვლით სახელმწიფო პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ინდუსტრიული მიმართულების ფარგლებში, „ანარმოე საქართველოში“-ს მიერ მხარდაჭერილია 56 პროექტი, თანადაფინანსების სახით გაცემული თანხა კი შეადგენს - 1,257,500 მლნ ლარს. [6]

მოქმედებს შესაბამისი პროგრამები, რომლებიც ახორციელებენ და ნერგავენ სიახლეებს: ინდუსტრიული მიმართულება, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, ტურისტული სერვისების ინდუსტრია, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა, ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია. [4]

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის და მრეწველობის სექტორს ეკუთვნის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფ-

ლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე არიან ჩართულები „ანარმოე საქართველოს“ პროგრამაში და სთავაზობენ ფინანსურ დახმარებას შესაბამის კომპანიებს. შექმნილია მიმართულებები, რომელთა მიზანია ქართული საწარმოების პოტენციალის და ქართული პროდუქტის ხარისხიანობის ამაღლება. არსებობს გარემო-

ებები, რომლებიც მოითხოვენ მეტ დახვეწას, რათა საქართველომ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში შესაბამის ზღვრულს მიაღწიოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონული ეკონომიკის განვითარებას, ასევე უპირობოდ აუცილებელია კომპანიების წარმატებისთვის მათი შესაბამისი კვალიფიკაციის ხელმძღვანელებით უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შორენა ხუბუნაია, მენარმეობა, თბილისი, 2015 წელი.
2. საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=63> (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.10.2021)
3. პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება, <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publications/5c6bebc46258e-BDO-GEO.pdf> (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.10.2021)
4. სსიპ „ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს ვებ-გვერდი, <http://www.enterprisegeorgia.gov.ge> (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.10.2021)
5. <https://bpi.ge/ra-unda-icodnen-mewarmeebma-sakhelmwifo-program-is-awarmoe-saqartveloshi-shesakheb/> (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.10.2021)
6. <https://commerciant.ge/ge/post/2019-wels-awarmoe-saqartveloshi-proeqtebis-dafinansebaze-djamshi-29-milioni-laris-investicias-ganaxorcielebs> (უკანასკნელად გადამოწმებულია 11.10.2021)

სახელმწიფო ვალის გავლენა ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე

დალი სეხნიაშვილი
სტუ-ს პროფესორი

იური კოჩარჯანი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ემპირიული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საგარეო ვალი აფერხებს გრძელვადიან ზრდას, ხოლო მისი მოკლევადიანი ეფექტი არის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი. შიდა ვალებმა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიეს გრძელვადიან ზრდაზე, ხოლო მათი მოკლევადიანი ეფექტი უარყოფითი იყო. გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში, ვალის მომსახურების ხარჯებმა გამოიწვია ეკონომიკური ზრდის შენელება, რამაც დაადასტურა ვალის გადახურების ეფექტი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მთავრობამ უნდა გამოიყენოს ნასესხები სახსრები ეკონომიკის სანარმოო ბაზის დივერსიფიკაციისთვის. ეს გააუმჯობესებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, გააფართოვებს საშემოსავლო ბაზას და გაზრდის დავალიანების დროულად დაფარვის შესაძლებლობას. ავტორთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საქართველოში ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს შიდა რესურსების მობილიზაციას, ვალების მართვის ეფექტური სტრატეგიების ჩამოყალიბებას, სწორედ შიდა და არა გარე ვალის გამოყენება არის კრიტიკულად აუცილებელი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვალი, საშინაო ვალი, ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო ვალი.

ВЛИЯНИЕ ГОСУДАРСТВЕННОГО ДОЛГА НА РОСТ НАЦИОНАЛЬНОЙ ЭКОНОМИКИ

Дали Сехниашвили, профессор ГТУ
Юрий Кочарян, докторант ГТУ

РЕЗЮМЕ

В статье исследуется влияние государственного внешнего и внутреннего долга на экономический рост. Результаты эмпирических исследований показали, что внешний долг препятствует долгосрочному росту, а его краткосрочный эффект стимулирует экономический рост. Внутренние долги оказали значительное положительное влияние на долгосрочный рост, в то время как их краткосрочные эффекты были отрицательными. В долгосрочной и

краткосрочной перспективе расходы на обслуживание долга привели к замедлению экономического роста, что подтвердило эффект перегрева долга. Результаты показали, что государство должно использовать заемные средства для диверсификации производственной базы экономики. Это улучшит долгосрочный экономический рост, расширит базу доходов и повысит способность своевременно выплачивать долги. По мнению авторов, улучшение налогово-бюджетной политики, которая способствует мобилизации внутренних ресурсов, эффективным стратегиям управления долгом и использованию внутреннего долга, а не внешнего долга имеет решающее значение для стимулирования экономического роста.

Ключевые слова: внешний долг, внутренний долг, экономический рост, государственный долг.

* * * *

სახელმწიფო ვალის გავლენა ქვეყნის ფინანსების მდგრადობასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე არის ერთ - ერთი ყველაზე გამოკვლეული პრობლემა მთელს მსოფლიოში. თუმცა, თითოეული ქვეყანა, ვალების აღებისას ხელმძღვანელობს საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე. ამდენად, ცალკეული ქვეყნის ქეისი სავალ პოლიტიკასთან მიმართებით უმეტესწილად უნიკალურია და მოითხოვს განსაკუთრებულ კვლევას.

როდესაც მთავრობის შემოსავლები არ ემთხვევა მის ხარჯებს, ის ფულს სესხულობს და შესაბამისად, სახელმწიფო ვალი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მთავრობისთვის სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძნელია გადასახადების გაზრდა და სახელმწიფო ხარჯების შემცირება. წლების განმავლობაში, ამ პროცესმა მთავრობების უმეტესობას უზარმაზარი დავალიანება დაუტოვა. ცხადია, რომ ზედმეტი სესხის აღებამ, სათანადო საინვესტიციო დაგეგმვის გარეშე, შეიძლება მძიმე სავალ ტვირთი და მნიშვნელოვანი პროცენტის გადახდის აუცილებლობა განაპირობოს, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ეკონომიკაზე რამდენიმე არასასურველი ეფექტი გამოიწვიოს (5).

ცუდი ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ქვეყნებისთვის, მაღალი სახელმწიფო ვალი მეტად კრი-

ტიკული საკითხია, რადგან მას შეუძლია გაურკვეველობა და დაბალი ეკონომიკური ზრდა განაპირობოს. მშპ-ს მიმართ ვალის მაღალი კოეფიციენტები მნიშვნელოვანი პრობლემაა ინვესტორებისთვის, რადგან მათ შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ საფონდო ბირჟაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამცირონ პროდუქტიული ინვესტიციები და ადამიანთა დასაქმების მაჩვენებელი (10).

ამრიგად, სახელმწიფო ვალი შეიძლება იყოს ეკონომიკური სტიმული, მაგრამ როდესაც მისი დაგროვება ძალიან მაღალ დონეს მიაღწევს, მთავრობის ხარჯებისა და სავალუტო შემოსავლების გონივრული წილი გამოყენებული იქნება ვალების მომსახურებისთვის და დაანება მომავალ თაობებსაც. უფრო მეტიც, დავალიანების მომსახურების ღირებულება შეიძლება აღემატებოდეს ეკონომიკის შესაძლებლობებს გაუმკლავდეს სიტუაციას, რაც უარყოფითად აისახება სასურველი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

გარდა ამისა, ვალის მზარდი ტვირთი რეალურად ზღუდავს მთავრობის შესაძლებლობას განახორციელოს უფრო პროდუქტიული საინვესტიციო პროგრამები ინფრასტრუქტურაში, განათლებასა და ჯანდაცვაში (4).

მთავრობის სესხების დასაბუთება ემყარება ზრდის ნეოკლასიკურ მოდელებს, რომლებიც კაპიტალის დეფიციტის მქონე ქვეყნებს ავალდებულებენ სესხის აღებას კაპიტალის დაგროვებისა და ერთ სულ მოსახლეზე მდგრადი წარმოების უზრუნველყოფის მიზნით. (7).

გლობალური ეკონომიკური კრიზისების გაჩენამ დამატებითი სტიმული მისცა ქვეყნებს (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებს) სესხის აღების მიმართულებით, რადგან ისინი ხშირად აწყდებიან ხარჯების ზრდისა და კაპიტალის შემოდინების შემცირების პრობლემებს (9).

ტრადიციული შეხედულების თანახმად, სახელმწიფო ვალი დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე მოკლევადიან პერსპექტივაში, რაც ასტიმულირებს მთლიან მოთხოვნილებას და წარმოებას. თუმცა, კვლევები ადასტურებს უარყოფით კავშირს

ვალებსა და გრძელვადიან ზრდას შორის. სახელმწიფო ვალს შეუძლია შეაჩეროს კერძო ინვესტიციები და საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ ზრდას მაღალი გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების, უფრო მაღალი ინფლაციისა და სამომავლო გადასახადების აუცილებლობის გამო (8).

შიდა სესხების ფართოდ გამოყენებამ კი შეიძლება სერიოზული შედეგები მოუტანოს ეკონომიკას. მართალია, შიდა ვალის მომსახურებაზე მიდის მთავრობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი. საშინაო სესხებზე პროცენტის ღირებულება შეიძლება სწრაფად გაიზარდოს დავალიანების ზრდით, განსაკუთრებით მცირე ფინანსურ ბაზრებზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთი ხელს შეუშლის ინვესტიციებს და ამით გამოირიცხავს კერძო ინვესტიციებს. ნაკლები ინვესტიცია საბოლოოდ ინვესს დაბალ მდგრად კაპიტალს და დაბალ წარმოების დონეს. შესაბამისად, ვალის საერთო გრძელვადიანი ზემოქმედება იქნება მთლიანი გამოიმუშავების დაბალი რაოდენობა და, საბოლოო ჯამში, დაბალი მოხმარება და დაბალი ეკონომიკური კეთილდღეობა. ამას ასევე ეწოდება სახელმწიფო ვალის ტვირთი, რადგან თითოეული თაობა „ტვირთავს“ მომავალ თაობას, რის გამოც ტოვებს უფრო მცირე კაპიტალის მარაგს (2).

საქართველოში ამჟამად საგარეო ვალის დონე მაღალია, იზრდება მშპ-თან როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალის მოცულობა, ექსპორტის ზრდის ტემპი დაბალია, ხოლო სიღარიბის დონე - მზარდი (იხ. ცხრილი).

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკა ზედმეტად დატვირთულია მასიური სახელმწიფო ვალითა და ვალის მომსახურების ხარჯებით, რომლებიც მოიხმარს მთავრობის მნიშვნელოვან შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, ავინროებს ფისკალურ სივრცეს მთავრობისთვის, რათა მან განახორციელოს ინვესტიციები კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს როგორც კერძო ინვესტიციების, ისე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოს მზარდი ვალი ხელს უშლის ინვესტიციებს და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, რითაც ამცირებს ქვეყნის გლობალურ კონ-

საქართველოს სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალი (2018 -2020 წწ)

	2018	2019	2020
	მილიონი აშშ დოლარი	მილიონი აშშ დოლარი	მილიონი აშშ დოლარი
საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	5,267	5,492	7,162
სახელმწიფო საშინაო ვალი	1,214	1,450	1,876
სახელმწიფო საგარეო ვალი მშპ-თან (ეას 2008)	32.6%	33.4%	50.0%
სახელმწიფო საშინაო ვალი მშპ-თან (ეას 2008)	7.3%	8.4%	12.4%

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენის მონაცემების მიხედვით, №16, თბილისი, ივნისი 2021 წელი, https://mof.ge/images/File/2021/biuletenebi/N16_GE.pdf

კურენტუნარიანობას და ზრდის ფინანსური ბაზრის მგრძობლობას საერთაშორისო შოკების მიმართ.

ამის გამო, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ სახელმწიფო ვალის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ეს აუცილებელია შიდა რესურსების მობილიზაციის გასაძლიერებლად, ფისკალური დეფიციტის და სახელმწიფო ვალის დონის შესამცირებლად და ფისკალური დისციპლინის შესანარჩუნებლად, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის გადატვირთვას უფრო მაღალი ზრდის გზაზე.

ძირითადი მიზეზები, რის გამოც განვითარებადი ქვეყნები აგროვებენ საგარეო ვალს, არის: დანაზოგების ნაკლებობა, ინვესტიციების დაბალი დონე, სახელმწიფოს მცირე შემოსავალი, დაბალანსებული ბიუჯეტის დეფიციტი.

თუმცა, სახელმწიფო ვალის დაგროვების ბევრი სხვა მიზეზიც არსებობს, კერძოდ: ეროვნული დანაზოგების, საშუალო რეალური ხელფასისა და შრომის მთლიანი შემოსავლის შემცირება შრომის დაბალი პროდუქტიულობიდან გამომდინარე; მიმდინარე ანგარიშის გაუარესება; გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ზრდა; ინფლაციის დაჩქარება, ვალის მომსახურებისთვის საჭირო რესურსების აუცილებლობა; მთავრობის ფისკალური მოქნილობის შემცირება; უფრო ძლიერი მონყვლადობა საერთაშორისო ნდობის კრიზისის მიმართ.

ქვეყნის უნარი დააგროვოს საჭირო თანხები უცხოურ ვალუტაში საგარეო ვალის დასაფარად და მისი მომსახურებისათვის არის ეკონომიკის გარე სტაბილურობის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან.

ვალის დაგროვების მთელი დრამა და პრობლემა ყველაზე მკაფიოდ აისახა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემთხვევაში. ამასთან, გლობალური პანდემია და მისი პროგნოზირებადი შედეგები ადასტურებს, რომ სავალო კრიზისი ყველა ეკონომიკას ეხება გამონაკლისის გარეშე, განსაკუთრებით კი ასეთი ტურბულენტობის დროს.

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო ვალის გავლენის გამოსაკვლევად, გამოვიყენეთ გომეს-პუიგისა და სოსვილა-რივეროს ვალის ზრდის ღია, მრავალვარიანტული მოდელი. ბოლო კვლევები (7) ვარაუდობენ, რომ უმჯობესია ფოკუსირება მოხდეს ისეთი ცვლადების ნაკრებზე, რომლებიც დადასტურებულია, რომ თანმიმდევრულად ასოცირდება ზრდასთან. ჩვენს კვლევაში გამოყენებული დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების შერჩევისას გათვალისწინებული იყო ძირითადი ეკონომიკური თეორია და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო ვალის გავლენის შესახებ ხელმისაწვდომი ემპირიული ლიტერატურა. დამოკიდებული ცვლადი, რომელიც გამოვიყენეთ კვლევაში ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, იყო რეალური მშპ (მშპ კო-

რექტირებულია ინფლაციის გათვალისწინებით), ვალის ცვლადებისთვის სახელმწიფო ვალის ინდიკატორები დაყვავით საშინაო და საგარეო ვალის კომპონენტებად. ეს დაშლა განპირობებული იყო საქართველოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფო ვალის სხვადასხვა ინდიკატორების ინდივიდუალური გავლენის შეფასების აუცილებლობით. ვალის ცვლადების გარდა, ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი სხვა ფაქტორების გასაკონტროლებლად გამოვიყენეთ სხვადასხვა ცვლადი, რომლებიც ბარო და სალა-ი-მარტინის (3) მიხედვით ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასთან, კერძოდ: ვალის მომსახურების გადახდა, უხოური რეზერვების ოდენობა, საპროცენტო განაკვეთის ზომა, მთლიანი ძირითადი კაპიტალის დაგროვების მაჩვენებელი და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციები.

მისაღები ზომის სახელმწიფო ვალის, როგორც ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების ინდიკატორის პრობლემა აქტუალურია ყველა ქვეყნისათვის. საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა საგარეო ვალის ზრდის პრობლემა და მისი გავლენა ეკონომიკაზე. საგარეო სახელმწიფო ვალეების გადახდის საკითხები, აგრეთვე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ შოკებთან დაკავშირებული შიდა გაურკვევლობა ბადებს კითხვებს გარე სახსრების მოზიდვის მიზანშეწონილობისა და მათი შესაძლო გავლენის შესახებ ქვეყნის ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ვალი არ არის ნეგატიური ეკონომიკური მოვლენა. თუმცა, არსებობს გარკვეული საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ვალის ზრდასთან, როგორც შესაბამისი განვითარებადი, ასევე განვითარებული ეკონომიკისთვის.

პირველ რიგში, კრიზისში ქვეყნის საგარეო ვალის ზრდა ინვეს რეცესიის გაღრმავებას და გახანგრძლივებას.

მეორეც, ვალის ზრდა ინვეს დანაზოგების შემცირებას და ინვესტიციების ზრდის შენელებას. იმის გათვალისწინებით, რომ ღარიბ ქვეყნებში კაპიტალდაბანდების ფასი უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულში, ასეთი შენელება დამატებით საფრთხეს უქმნის ეკონომიკურ ზრდას.

დაბოლოს, ეს არის დამატებითი ტვირთი ეკონომიკისთვის მომავალ პერიოდში, მიუხედავად ვალის გამოყენების მიმართულებისა.

ამრიგად, საგარეო ვალის გაზრდის პრობლემა გავლენას ახდენს არა მხოლოდ საგადამხდელო ბალანსის რყევების პრობლემებზე, არამედ ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევისწავლოთ სახელმწიფო ვალის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე 2016-2020 წლების პერიოდში. ამ ამოცანის შესასრულებლად, განისაზღვრა და შეფასდა ზრდის მოდელის ფუნქცია სახელმწიფო ვალეების დანაწევრე-

ბული კომპონენტების და საკონტროლო ცვლადების გამოყენებით, როგორცაა ვალის მომსახურების გადახდა, საგარეო სარეზერვო პოზიცია, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მთლიანი ძირითადი კაპიტალის ფორმირება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ARDL კონტეგრაციის მიდგომა გამოყენებულ იქნა მონაცემთა ანალიზისათვის. ემპირიულმა შედეგებმა აჩვენა, რომ საგარეო ვალი აფერხებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მისი მოკლევადიანი ეფექტი ინვესტ ეკონომიკურ ზრდას.

შიდა სესხებმა აჩვენა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ეფექტი და მოკლევადიან პერსპექტივაში ზრდის შეფერხების საპირისპირო ეფექტი. ვალის მომსახურების გადახდა მნიშვნელოვნად ამცირებს ეკონომიკურ ზრდას გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში, ხოლო საგარეო რეზერვების პოზიცია და მთლიანი შიდა ინვესტიციები აჩქარებს ზრდას გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში. საპროცენტო განაკვეთი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში, მაგრამ აფერხებს ზრდას მოკლევადიან პერიოდში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ასახავდა გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდას, ხოლო მისი მოკლევადიანი ეფექტი მნიშვნელოვანი და დადებითი იყო.

ამგვარად, კვლევის შედეგების თანახმად, შიდა და არა გარე ვალი შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლის მიღწევას. ეს იმიტომ ხდება, რომ ამგვარი შიდა ვალის ძირითადი ნაწილის და პროცენტის დაფარვა

არის რეინვესტიცია ეკონომიკაში, რაც, როგორც წესი, მულტიპლიკაციურ გავლენას მოახდენს შიდა ინვესტიციებზე ეკონომიკაში. რაც შეეხება საგარეო ვალს, მეტი რესურსი იქნება საჭირო ვალის დასაფარად და მომსახურებისთვის და ეს შეასუსტებს ამ ვალის მოსალოდნელ დადებით ეფექტს ეკონომიკურ ზრდაზე.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრებით, უნდა ნახალისდეს ფისკალური რეფორმები, რომლებიც გაზრდის შიდა შემოსავლების გამომუშავებას შემოსავლების ბაზის გაფართოებით, საგადასახადო შესაძლებლობების გაუმჯობესებით და არაპროდუქტიული სახელმწიფო ხარჯების შემცირებით.

გარდა ამისა, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სესხების აღება განხორციელდეს ვალის მდგრადობის გამყარების პირობებში და ნასესხები სახსრები ნაყოფიერად იყოს ინვესტირებული ეკონომიკის სხვა სექტორებში, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მნიშვნელოვანი ზრდა მოხდეს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანამ გადალახოს ვალის პრობლემა, ალაღვინოს კრედიტუნარიანობა და მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

როგორც ყველა ემპირიული ანალიზის დროს, ამ კვლევის შედეგების განხილვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კვლევა ემყარება ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებელს, აგრეთვე, მონაცემებს, რომლებიც მოიცავს გარკვეულ პერიოდს და მოცემულ ეკონომეტრიულ მეთოდოლოგიას, გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც არსებითად დაკავშირებულია მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან და ეკონომეტრიულ მეთოდოლოგიასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი, №16, თბილისი, ივნისი 2021 წელი, https://mof.ge/images/File/2021/biuletenebi/N16_GE.pdf
2. Åkos D., István D. Public debt and economic growth: What do neoclassical growth models teach us? *Applied Economics*, 2019
3. Barro R. J., Sala-i-Martin X. Public finance in models of economic growth. *Review of Economic Studies*, 2004
4. Johnny N., Johnnywalker W. The Relationship between external reserves and economic growth in Nigeria (*International Journal of Economics, Commerce and Management*, 2018
5. Joy J., Panda P. K. Pattern of public debt and debt overhang among BRICS nations: An empirical analysis. *Journal of Financial Economic Policy*, 2020
6. Gómez-Puig M., Sosvilla-Rivero S. Public debt and economic growth: Further evidence for the Euro Area. *Research Institute of Applied Economics*, 2017
7. Madow N., Nimonka B., Brigitte K. K., Camarero M. On the robust drivers of public debt in Africa: Fresh evidence from Bayesian model averaging approach. *Cogent Economics & Finance*, 2021.
8. Mhlaba N., Phiri A., Nsiah C. Is public debt harmful towards economic growth? New evidence from South Africa. *Cogent Economics & Finance*, 2019
9. Ogbonna K. S., Ibenta S. N., Chris-Ejiogu U. G., Atsanan, A. N. Public debt services and Nigerian economic growth: 1970-2017. *European Academic Research*, 2019
10. Saungweme T., Odhiambo N. M., Camarero M. Government debt, government debt service and economic growth nexus in Zambia: A multivariate analysis. *Cogent Economics & Finance*, 2019.

სამრეწველო პოლიტიკის ევროპული სტრატეგია და საქართველო

ლევან გაგვიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ავგარული უნივერსიტეტი

მაია ბენია

დოქტორი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ინიციატივა „სამრეწველო პოლიტიკა გლობალიზაციის ეპოქაში“ ფოკუსირებას ახდენს ათამდე ისეთ აქტივობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპის სამრეწველო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, აქცენტებს გააკეთებს მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებაზე, ნედლეულის მიწოდებასა და უკეთეს მენეჯმენტზე. ქვეყნები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ორი

ერთმანეთთან გადაჯაჭვული რთული გამოწვევის წინაშე დგანან - ესაა ფუნდამენტური ცვლილებები, რაც გულისხმობს უნარების, კვალიფიკაციისა და ფართო ინსტიტუციონალური კომპეტენციების აკუმულირებას, ასევე ძირეული სტრუქტურული ცვლილებები.

საძიებო სიტყვები: სამრეწველო პოლიტიკა, ეკონომიკური ზრდა, წარმოება, სტრუქტურული ცვლილებები, ჰორიზონტალური ინდუსტრიული პოლიტიკა, კონკურენტუნარიანობა, მდგრადი განვითარება.

EUROPEAN INDUSTRIAL POLICY STRATEGY AND GEORGIA

Levan Gagvishvili

Georgian Agrarian University Associate Professor

Maia Benia

GTU - Associate Professor

ABSTRACT

To increase competitiveness, it will focus on strengthening small and medium enterprises, raw material supply and better management. Countries aiming for sustainable economic development, two They face a difficult challenge intertwined with each other - these are fundamental changes that involve skills, qualifications and Accumulation of broad institutional competencies as well as fundamental structural changes.

Key-words: Industrial policy, economic growth, manufacturing, structural change, horizontal industrial policy, competitiveness, sustainable development.

* * * *

სამრეწველო პოლიტიკა არის მთავრობის სტრატეგია, მოარგოს ეკონომიკური სტრუქტურა არსებულ რეალობას და დაეხმაროს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, თუმცა, არსებობს კონტრარგუმენტებიც მთავრობის მიერ განხორციელებული სამრეწველო პოლიტიკის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებისა და მისი ეფექტის შესახებ. ბევრი მკვლევარისათვის ეკონომიკური განვითარება ინდუსტრიალიზაციასთან ასოცირდება. სხვადასხვა სახის საბაზრო ლაფსუსების გამო, შეუძლებელია დაველოდოთ განვითარების თვითდინებაზე მიშვებით განხორციელებას. სახელმწიფოს როლი წარმოჩნდება ეკონომიკის სტიმულირებაში სწორედ სამრეწველო პოლიტიკის გატარებით. თუ ჩავთვლით რომ ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის ეფექტიანობა და თვითორგანიზების უნარი, რომელიც ეფუძნება ბაზრის ლიბერალიზაციას, დერეგულაციას, გახსნილობასა და კონკურენციას, (ეს საკიტხები ასახულია ვაშინგტონის კონსენსუსის დოკუმენტში) ხოლო ინდუსტრიული პოლიტიკა კი ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო არ არის, მალევე დავრწმუნდით რომ ასე არ ყოფილა. აღმოჩნდა რომ ეს მიდგომა მთელ რიგ ქვეყნებში არცთუ წარმატებული აღმოჩნდა. ზოგიერთმა ქვეყანამ, რომელმაც განსხვავებული ინდუსტრიული ზრდის პოლიტიკა გაატარა, ბევრად უკეთესი შედეგი მიიღო. მაგალითად ე.წ. „აზიის ვეფხვების“ -ჰონგ-კონგი,

სამხრეთ კორეა, ტაივანი და სინგაპური, ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკით განპირობებული ბრწყინვალე ეკონომიკური წარმატება. ვაშინგტონის კონსენსუსის მარცხის საყოველთაო აღიარების შემდეგ, ინტერესი სამრეწველო პოლიტიკის მიმართ ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გააძლიერა ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებისა და ინსტიტუციონალური მოწყობის მნიშვნელობა.

სამრეწველო პოლიტიკის თეორიული არგუმენტი ეფუძნება იდეას, რომ ბაზარმა თავისი მექანიზმით ნაკლებად შესაძლებელია მოგვცეს სოციალურად მისაღები შედეგი, გარე ეფექტებისა და კოორდინაციის წარუმატებლობის გამო. ეს განსაკუთრებით ეხება დარგებს, რომელიც იძლევა მსხვილ ეკონომიკურ ეფექტს და ინვესს ცოდნის

ფართოდ გავრცელებას, მსხვილ ერთობლივ პროექტებს, რომელიც მოითხოვს კოორდინირებულ შეთანხმებულ მუშაობას. სოციალური სიკეთების მისაღებად მთავრობამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს განსაკუთრებით იმ დარგების მხარდაჭერით, რომლებიც ხასიათდებიან მასშტაბის ან აგლომერაციის იგივე კლასტერის ეფექტით. კოორდინაცია დაკავშირებულია კარგ მმართველობასთან, რაც ბაზრისარასრულყოფილების რეზულტატების შესუსტების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას გულისხმობს. სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზანია სტრუქტურული ტრანსფორმაცია რასაც ეკონომიკური ზრდისკენ მივყავართ. სტრუქტურული ტრანსფორმაციის გარეშე, ფაქტობრივად, მსოფლიოში ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიაღწია წარმატებას. ეს ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობის გადანაწილებას სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და მომსახურებას შორის. ესე იგი სამრეწველო პოლიტიკაში განვითარების პროცესი ორგანიზდება სტრატეგიულ დონეზე ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის, განათლებისა და კომპეტენციების ფორმირების, ვაჭრობის, მიზნობრივი დარგების მხარდაჭერის, კონკურენტუნარიანობისა და კონკურენციის რეგულირებასთან ერთად. წარმატებული პოლიტიკა მიზნად ისახავს ტრანსფორმაციის დაჩქარებას. ამისი არაერთი მაგალითია მსოფლიოში- მაგალითად, სამხრეთ კორეის რესპუბლიკის, ტაივანისა და ჩინეთის ეკონომიკის განვითარება სულაც არ უკავშირდებოდა ინსტიტუტების სწრაფ სრულყოფას, არამედ ისეთი პოლიტიკის წარმოებას ითვალისწინებდა, რომელმაც ბაზრის დაბრკოლებები დაძლია. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკის, სუბსიდირებისა და საინვესტიციო პროექტების კოორდინაციის, მთავრობის კომპლექსური სტრატეგიის წყალობით, ეფექტიანად განხორციელდა რესურსების გადანაწილება თანამედროვე დარგებს შორის, რის შედეგადაც კაპიტალი და კვალიფიციური კადრები ინტენსიურად სინერგიულად გამოიყენება.

სამრეწველო პოლიტიკას გააჩნია მძლავრი პოტენციალი, თუმცა აქ რამე უნივერსალური რეცეპტი როგორც ასეთი ვერ გვექნება. სამრეწველო პოლიტიკის წარმატებული სტიმულირება უნდა უკავშირდებოდეს ქვეყნის ან დარგების სპეციფიკას. ამ შეხედულების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყანას შეუძლია იდენტური პოლიტიკის დანერგვა, თუმცა, განსხვავებული შედეგებით, რადგან მათ გააჩნიათ ბაზრის ჩავარდნის განსხვავებული წინაპირობა. ზოგს აქვს სოციალისტური წარსული, ზოგს სამხედრო დიქტატურის შედეგად ისეთი ზარალი, რომელსაც ვერ უმკლავდება და შესაბამისად რასასტარტო მოცემულობა დავხდა რეფორმებს, ესაა საქმე. განვითარებად ქვეყნებში ინდუსტრიულ პოლიტიკისადმი ნეოლიბერალურ მიდგომას რამდენიმე ტენდენცია დაუპირისპირდა რომელმაც სულ სხვა ქრილში დაგვანახა ინდუსტრიული პოლიტიკა.

პირველი აღვნიშნოთ 2008 წლის ფინანსური კრიზისი, რომლის რყევების შემდგომ რიგი ქვეყნების ხელისუფლებამ უმუშევრობის შესამცირებლად აქტიურად დაიწყო პოლიტიკის განხორციელება ინდუსტრიებისა და ორგანიზაციების გადასარჩენად. მეორე ფაქტორი ის იყო რომ ბაზრების გლობალიზაციის გაფართოებამ განაპირობა ადგილობრივი დარგების

დაცვისა და რეგიონალური განვითარების სტიმულირების აუცილებლობა. მესამე მიზეზი ის გახლავთ რომ ეკონომიკაში სტრუქტურული ძვრების შედეგად ინდუსტრიულმა პოლიტიკამ მოიცვა ახალი დარგები. კერძოდ, ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარება განიხილება და ორგანიზდება სტრატეგიულ დონეზე ტექნოლოგიურ და ინოვაციურ პოლიტიკასთან ერთად ცხადია. მსოფლიო ციფროვიზაციის პროცესების ფონზე ეს გარდაუვალია. ზოგადად, სამრეწველო პოლიტიკა გაგებული უნდა იქნას, როგორც სტრატეგია, რომელიც მხარს უჭერს სტრუქტურულ ტრანსფორმაციასა და ქვეყნის ინდუსტრიის განვითარებას. აქ მოიაზრება ინოვაციები და ტექნოლოგიები, განათლება და ახალი უნარების ჩამოყალიბება, ვაჭრობა, მიზნობრივი დარგების მხარდაჭერი მექანიზმის შემუშავება, კონკურენტუნარიანობა და ჯანსაღი კონკურენციის დაცვა.

სამრეწველო პოლიტიკის რეალიზაციის პირველ ეტაპზე აქცენტის დასმა უნდა მოხდეს უკვე არსებული მრეწველობის მხარდაჭერაზე, მხოლოდ ამის შემდგომ კი ნახალისდეს კონკურენცია ბაზარზე. მრავალი წლის განმავლობაში ინდუსტრიული პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ევროპის ეკონომიკურ პოლიტიკაში, 1990-იან წლებში მისი მნიშვნელობა მრავალ ქვეყანაში გაფერმკრთალდა თითქოს, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებშიც. ამ პერიოდში აქცენტი კეთდებოდა ერთიანი ბაზრისა და მონეტარული კავშირის ფორმირებასა და ევროპის გაფართოებაზე აღმოსავლეთ განზომილებაში. ბოლო ხანს ინტერესი სამრეწველო პოლიტიკასთან მიმართებით კვლავ განახლდა და იგი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში. ვინაიდან მრეწველობა წარმოადგენს ინოვაციის, მწარმოებლურობისა და ექსპორტის ზრდის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას, იგი იდენტიფიცირებულია, როგორც წამყვანი სექტორი მწარმოებლურობითი ტრანსფორმაციის პროცესში ტექნოლოგიური პროგრესის და ცოდნის გადაცემის შესაძლებლობების გამო. ამას გარდა, მრეწველობა ქმნის მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ეფექტის საშუალებით, სხვა სექტორებთან კავშირებით და შემოსავლის მასტიმულირებელი ეფექტით. ეკონომიკურმა კრიზისმა შეგვანახა რეალური სექტორის, განსაკუთრებით, მრეწველობის მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და გაჯანსაღებაში. ევ-

როპის ეკონომიკის გაჯანსაღება ძირითადად განპირობებული იყო სამრეწველო პროდუქტების ექსპორტით. მიუხედავად იმისა, რომ მრეწველობის წილი ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით ევროკავშირის მშპ-სა და დასაქმებაში შემცირდა, ეს სექტორი კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის მოდერნიზებაში. გარდა ამისა, მრეწველობის მნიშვნელობა უფრო დიდია, ვიდრე ეს ჩანს სტატისტიკურ მონაცემებში. კერძოდ, მრეწველობაში დასაქმებულია ყოველი მეოთხე ადამიანი, მაშინაც, როდესაც ყოველი დამატებითი სამუშაო ადგილი მრეწველობაში ქმნის 0,5-2 სამუშაო ადგილს სხვა სექტორებში. მრეწველობაში ფუნქციონირებადი საწარმოები მიდრეკილი არიან ინოვაციებისა და კვლევისადმი და, შესაბამისად, მწარმოებლურობის ზრდა აქ უფრო მაღალია, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით იქმნება ახალი ხედვა ინდუსტრიულ პოლიტიკასთან მიმართებაში, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია ძველი მიდგომებისაგან და დაკავშირებულია სტრუქტურულ ცვლილებებთან. ევროსაბჭოს მიერ შემოთავაზებულია ხედვა, რომელიც გულისხმობს ახალ სისტემური ინდუსტრიული პოლიტიკის კონცეფციას, უნდა იყოს ახალ ტექნოლოგიებსა და საზოგადოების გრძელვადიანი მიზნების მხარდაჭერაზე ორიენტირებული. ეს მიდგომა სცდება მთავრობის ჩარევის ხედვას, რომელიც არგუმენტირებულია ბაზრის და კოორდინაციის ჩავარდნით. აშშ, ევროპული კომისია და OECD ემხრობიან რეინდუსტრიალიზაციას და

ინდუსტრიაზე ორიენტირებულ ინტეგრირებულ პოლიტიკას, განსაკუთრებით 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ.

ევროკავშირის განახლებული ინდუსტრიული პოლიტიკის სტრატეგია წარმოადგენს ყოვლისმომცველ დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს როგორც ყველა არსებული სექტორისათვის დამახასიათებელ, ასევე ჰორიზონტალურ ინიციატივებს. იგი გულისხმობს ინდუსტრიული და ინოვაციური პოლიტიკის სისტემურ მიდგომას, რომლის მამოძრავებელი ძალა არის ახალი ხედვა, ხოლო ბიძგს იძლევა კონკურენცია და გახსნილობა ღია პოლიტიკა. დოკუმენტის მიხედვით, მომავალზე ორიენტირებული ინდუსტრიული პოლიტიკა უნდა იყოს სისტემური იმ გაგებით, რომ ის უნდა მომდინარეობდეს საზოგადოების მიზნებიდან, ფართო მასების კეთილდღეობის გათვალისწინებით. ინოვაციური პროცესი უნდა იყო სოციალური და ეკოლოგიური ინოვაციის მამოძრავებელი. ინდუსტრიული პოლიტიკის ფარგლებში ასევე გამოყენებულ უნდა იქნეს ცვლილებების მასტიმულირებელი ისეთი ძალები, როგორიცაა კონკურენცია,

გლობალიზაცია, უწყვეტი განათლება და ტრენინგები, ახალი დარგების ათვისება, რომელიც ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდას.

ევროპული კომისიის ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა ემყარება ჰორიზონტალურ მიდგომას, რომლის მიზანია საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაფერისი ბიზნესის გარემოს უზრუნველყოფით, შეღავათების მექანიზმის გამოყენებით კვლევასა/განვითარებასა და ინოვაციებში ინვესტიციებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერით, ქალი სტარტაპერების ბიზნესში ჩართულობის სტიმულირებით, კოოპერირების პრინციპების გაძლიერებით, მომსახურების უზრუნველყოფით საწარმოთა

ქსელებისა და ტექნოლოგიური პარკის შექმნით, თანამშრომლობის მხარდაჭერით ინდუსტრიასა და კვლევით ინსტიტუტებს შორის. ეს ჰორიზონტალური პოლიტიკა იყო ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი 2000 წელს მიღებული ლისაბონის სტრატეგიაში, რომელიც მოგვიანებით 2010 წელს შემუშავებულ ევროპის-2020-ის სტრატეგიაში აისახა. ჰორიზონტალური ინდუსტრიული პოლიტიკა გამართლებულია და წარმოადგენს ნეიტრალურ პოლიტიკას, როგორცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, კონკურენტული გაცვლითი კურსის დასტაბილურება, განათლებული და კვალიფიციური კადრებით გაჯერება და ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესება. ვერტიკალური პოლიტიკა კი თავის მხრივ გულისხმობს სფეციფიკური დარგების სტიმულირებას, სადაც მთავრობის ჩარევა მიდის ქვეყნის ბიზნესმენსტრიმებისთვის საგადასახადო შეღავათების, სხვა ბენეფიტების, სხვადასხვა დაცვის ფორმების, სუბსიდიების დაწესებით.

ლისაბონის სტრატეგიით ევროკავშირი მიზნად ისახავდა „კონკურენტული და დინამიკური, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის უზრუნველყოფას, რომელსაც შეუძლია მდგრადი ეკონომიკური ზრდა უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნით და სოციალური ინტეგრაციით.“ ამჟამად ევროკავშირის პოლიტიკა განვიხილოთ ევროპის 2020 წლის სტრატეგიაში („ევროპა 2020 – სტრატეგია მდგრადი და ინკლუზიური

ზრდისთვის“) რომელიც დამტკიცებულია 2010 წლის ივნისში. ამ სტრატეგიამ ფაქტობრივად ჩაანაცვლა ლისაბონის სტრატეგია. ის უზრუნველყოფს ევროპაში ეკონომიკური პოლიტიკის ახალ ხედვას. ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითად პრინციპებში აღწერილია სამრეწველო პოლიტიკის ბუნება, რომელიც დაფუძნებულია ჰორიზონტალურ მიდგომაზე და გამიზნულია, უზრუნველყოს ხელსაყრელი ჩარჩო-პირობები მრეწველობის კონკურენტუნარიანობისათვის. ის ასევე არის წარმატებულად ინტეგრირებული ევროკავშირის რიგ პოლიტიკურ მიმართულებებში, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასთან, შიდა ბაზართან, კვლევასა და ინოვაციებთან, დასაქმებასთან, გარემოსდაცვასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან. ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკა კონკრეტულ მიზ-

ნად ისახავს: „დააჩქაროს მრეწველობის მორგება სტრუქტურულ ცვლილებებთან“; „ხელი შეუწყოს გარემოსათვის ხელსაყრელი ინიციატივებისა და სანარმოების განვითარებას ევროკავშირის მასშტაბით, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის სანარმოებში“; „ხელი შეუწყოს გარემოსათვის სანარმოებს შორის ხელსაყრელ თანამშრომლობას“ და ბოლოს „ხელი შეუწყოს სამრეწველო, ინოვაციური, კვლევითი და ტექნოლოგიური პოტენციალის უკეთეს გამოყენებას.“

ევროკავშირის ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითად პრინციპებში ასევე ასახულია ევროკავშირის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებით სამენარმეო პოლიტიკა მიზნად ისახავს შექმნას გარემო პირობები, სადაც მენარმეებსა და ბიზნესს შეეძლება ინიციატივების, იდეებისა და შესაძლებლობების გაფართოება. მიუხედავად ამისა, სამრეწველო პოლიტიკის რეალიზაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკეული სექტორების მახასიათებლები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები.

2005 წლის ივლისში ევროპის კომისიამ გამოსცა კომუნიკე „ლისაბონის პროგრამის განხორციელება: პოლიტიკის ჩარჩო ევროკავშირის წარმოების გასაძლიერებლად 2008 წლის ევროკომისიამ კომუნიკეში სახელწოდებით „მდგრადი მოხმარება და წარმოება და მდგრადი სამრეწველო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა“ ჩამოაყალიბა ინდიკატორების ინტეგრირებული პაკეტი, უფრო მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ხელშესაწყობად იმ პერიოდში, როცა ევროპული ეკონომიკა ზრდის ტემპით გამოირჩეოდა.

ახალ სტრატეგიაში ხაზგასმულია შვიდი მთავარი ინიციატივა, რომელთაგან ოთხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად: „ინოვაციური კავშირი“, „ციფრული დღის წესრიგი ევროპისთვის“, „სამრეწველო პოლიტიკა გლობალიზაციის პერიოდში“ და „ახალი უნარ-ჩვევები ახალი სამუშაო ადგილებისათვის“. ინიციატივა „სამრეწველო პოლიტიკა გლობალიზაციის ეპოქაში“ ფოკუსირებას ახდენს ათამდე ისეთ აქტივობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ევროპის სამრეწველო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, აქცენტებს გააკეთებს მცირე და საშუალო სანარმოების გაძლიერებაზე, ნედლეულის მიწოდებასა და უკეთეს მენეჯმენტზე. ქვეყნები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ორი ერთმანეთთან გადაჯაჭვული რთული გამოწვევის წინაშე დგანან - ესაა

ფუნდამენტური ცვლილებები, რაც გულისხმობს უნარების, კვალიფიკაციისა და ფართო ინსტიტუციონალური კომპეტენციების აკუმულირებას, და რაღა თქმა უნდა ასევე სტრუქტურული ცვლილებები. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ფუნდამენტუ-

რი ფაქტორების ძირეული აკუმულირებით ვერ მიიღწევა, არამედ მას ზურგს უნდა უმაგრებდეს სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესი რომელსაც სახელმწიფოს მხარდაჭერა სჭირდება. ამ მხრივ საქართველოს კარგად აქვს გასააზრებელი თავისი რესურსული პოტენციალი და მენტალური მზადყოფნა სტრუქტურული ცვლილებებისადმი, კომპეტენციის ხარისხი, ინოვაციებისადმი ლიაობა, უწყვეტი განათლების ტემპები, ევროკავშირის მხარდაჭერა და რეფორმების იმპლემენტაცია.

ამ მხრივ საქართველო - 2020 სტრატეგიაში განერილია ამოცანები - პირველი, ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე - ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. მესამე - ძირითადი პრინციპი - ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება. სამენარმეო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დოკუმენტია „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორად გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადო დონის დამიანური კაპიტალი და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, საბანკო სექტორის მაღალი საპროცენტო განაკვეთი. აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა და სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემოს შექმნა; ინოვაციებისა და სამენარმეო უნარების განვითარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; რეგიონალური განვითარების პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვა და განხორციელება რეგიონის შედარებით უპირატესობის, სპეციფიკისა და პოტენციალის გათვალისწინებით. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მონესრიგება; ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების გადაცემის და დანერგვის კომპლექსური ხელშეწყობა; კვლევისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა; ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება; თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებ-

ის მოზიდვა; ექსპორტის გაფართოება და დივერსიფიცირება; აგრარული პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა; ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნა; საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარება/გაღრმავება; ინვესტიციების ხელშეწყობა ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და ლოგისტიკის სფეროში; სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლი-

ერება; კონკურენტული გარემოს ფორმირება და ინფორმაციული სისტემების განვითარება. ამ და სხვა ზომების გატარება ხელს შეუწყობს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლების შექმნას და მწარმოებლურობის სტიმულირებას ქვეყანაში. განხორციელებული რეფორმები ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European Commission (2010, 2011, 2012) OECD (2012); Veugelers (2013);
2. EUROPE 2020 A strategy for smart, sustainable and inclusive growth /* COM/2010/2020 final / Brussels, 3.3.2010
3. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. Europe 2020 Flagship Initiative Innovation Union. Brussels, 6.10.2010 COM(2010) 546 final
4. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. A Digital Agenda for Europe. Brussels, 19.5.2010. OM(2010)245 final
5. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. An Integrated Industrial Policy for the Globalisation Era Putting Competitiveness and Sustainability at Centre Stage. Brussels, 28.10.2010 COM(2010) 614 final
6. Ricardo, David. 1817. The Principles of Political Economy and Taxation. Cambridge, UK: Cambridge University Press.
7. Papava V., Beridze T., Industrial policy and Trade Regime in Georgia. Eurasian Studies. Vol. 3. No. 4 1996/1997.
8. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. EILAT 2012 "ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი".
9. სამთავრობო პროგრამა 2016-2020 წ. თავისუფლება სწრაფი განვითარება კეთილდღეობა. ნოემბერი 2016.

ინფორმაცია როგორც მედიაეკონომიკის მთავარი ფაქტორი

მაია ბენია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

მედია დღეს მომსახურების ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელმაც ბოლო დროს წამყვანი პოზიცია დაიკავა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს - მუშაობას, დასვენებას, გართობას. ყოველწლიურად მედიის როლი იზრდება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. მასმედია და კომუნიკაციები ქმნიან ერთიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომლის შექმნასა და განვითარებაზე დიდი სახსრები იხარჯება. მედიის, როგორც საბაზრო ეკონომიკის ცალკეული განშტოების, აგრეთვე მედიის წარმოების პირობებისა და ელემენტების შესასწავლად შეიქმნა დისციპლინა, როგორცაა მედიაეკონომიკა.

საძიებო სიტყვები: მედიაეკონომიკა, ინფორმაცია, მეზოეკონომიკა, მედიაბაზარი, მასმედია, ინფორმაციული კაპიტალიზმი, ციფრული ერა, ინფორმაციული საზოგადოება.

INFORMATION AS A KEY FACTOR IN MEDIA ECONOMICS

Maia Benia

GTU Associate Professor

ABSTRACT

The media is one of the most important parts of the service industry today, having recently taken a leading position in the development of the economies of the world's leading countries. The media covers all areas of human life - work, leisure, entertainment. The role of the media in the life of modern society is growing every year. Mass media and communications create a single interconnected system, the creation and development of which large sums of money are spent. A discipline such as media economics has been developed to study the media as a separate branch of the market economy, as well as the conditions and elements of media production.

Key-words: Media economics, information, mesoeconomics, media market, mass media, information capitalism, digital age, information society.

* * * *

ციფრული ერა ახალ გამოწვევებს გვიყენებს, ახალ წესებს გვკარნახობს. ინფორმაციული კაპიტალიზმის ეპოქაში ყველა დარგი განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რადგან მასზე დიდი გავლენას ახდენს ინტერნეტი და მედია. არსებობს მრავალი განსხვავებული კონცეფცია, რომელიც ხსნის თანამედროვე საზოგადოების ბუნებას - პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული, პოსტეკონომიკური, მესამე ტალღის საზოგადოება და ა.შ., თუმცა თითქმის ყველა მათგანი ორიენტირებულია ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლაზე და მისი განვითარების პრიორიტეტებზე. დღეს, ეკონომიკის ყველაზე დინამიურად განვითარებადი სექტორი, რომელსაც მზარდი წილი უჭირავს განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში, არის მომსახურების, კომუნიკაციების, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების სფერო. ამრიგად, შეერთებულ შტატებში 2000-იანი წლების დასაწყისში სამრეწველო წარმოების მოცულობამ 2,615 მილიარდი დოლარი შეადგინა, გადამამუშავებელი მრეწველობის წარმოების მოცულობამ 1,393 მლრდ, მომსახურების ინდუსტრიის მოცულობამ - 5 966 მლრდ. ანალოგიური თანაფარდობა გამოიკვეთა სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში: იაპონიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთშიც.

მომსახურების ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მედია ინდუსტრია. თანამედროვე სამყაროს წარმოდგენა შეუძლებელია მასმედიის გარეშე. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ადამიანი - სამსახურში, სკოლაში, სახლში, შვეტულეებაში - ის ყოველთვის მიმართავს მედიას - უყურებს ტელევიზორს, კითხულობს გაზეთს ან ჟურნალს, უსმენს რადიოს, იძირება ინტერნეტში, კომუნიკაციას ამყარებს სმარტფონით. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ყველა ეს საშუალება ქმნის ერთიან ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომლის შექმნასა და განვითარებაზე დიდი სახსრები იხარჯება. განვითარებულ ქვეყნებში მედიასექტორი აგროვებს მნიშვნელოვან რესურსებს. განვითარებული ქვეყნების მთლიანი ეროვნულ პროდუქტში (GNP) მედია ინდუსტრიის წილი დაახლოებით 3% -ს აღწევს (აშშ, დიდი ბრიტანეთი), ხოლო მედიასექტორმა 1980-იან და 2000-იან წლებში მთლიანობაში ეკონომიკის ზრდას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. მაგალითად, შეერთებულ შტატებში 1980-1990 წლების ზოგადმა ეკონომიკურმა ზრდამ 7,5% შეადგინა, ხოლო მედიაინდუსტრიაში მან 11,2% შეადგინა.

მედია ბაზრის ეს სწრაფი განვითარება მრავალ ფაქტორს უკავშირდება, გადავხედოთ ზოგიერთ მათგანს:

- განჩნდა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, რამაც შესაძლებელი გახადა არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების დონის ხარისხობრივი გაუმჯობესება (ციფრული ტექნოლოგიები), არამედ ინფორმაციის გავრცელებისა და მედიის მოქმედებების სივრცითი ბარიერების მოხსნა (სატელიტური კომუნიკაციები, ინტერნეტი).

- წარმოებისა და ტექნოლოგიის განვითარების დონემ თანამედროვე კონკურენცია გადაადგილდა ფასების დონიდან სურათების, ბრენდების, სტილის კონკურენციის დონეზე. ეკონომიკის განვითარების მაღალმა ტემპებმა, გაზრდილმა კონკურენციამ გამოიწვია სარეკლამო ბიუჯეტის ავტომატური ზრდა, მთლიანად სარეკლამო ბაზრის ზრდა. სარეკლამო ბაზრის ზრდამ პირდაპირ იმოქმედა მედიის, როგორც სარეკლამო ინფორმაციის გავრცელების ძირითადი საშუალების განვითარებაზე.

- მნიშვნელოვნად გაიზარდა ხალხის თავისუფალი დროის მოცულობა, რომელსაც უმეტესობა მედიის გამოყენებით ატარებს. ცხოვრების დონის ამაღლება და თავისუფალი დროის ზრდა მედიაეკონომიკისთვის ორი ურთიერთდაკავშირებული და სავალდებულო პროცესია, რომლის გარეშეც თანამედროვე მედია უზრალოდ არ იარსებებდა. ყურადღება მივაქციოთადამიანების ურთიერთობას თავისუფალ დროსა და თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ პოტენციალს შორის არსებულ ბუნებრივ გადაკვეთაზე: ახალი ფული. დღეს დიდი მოგება მიიღწევა მომსახურების სექტორში, პოპულარულ კულტურაში, მედიაში - სადაც თავისუფალ დროს ემსახურებიან. პარადოქსულად, თავისუფალი დროის ზრდამ შეიძლება გაზარდოს ეკონომიკური პოტენციალი, შემოსავალი და მათთან ერთად საზოგადოების კეთილდღეობა.

- დემოგრაფიული ცვლილებები, მედიის აუდიტორიის გაფართოების კვალდაკვალ .

- მედიაბიზნესის მომგებიანობის ზრდა კორელაციაშია დიდი ინვესტიციების მოზიდვასთან ამავე სფეროში.

მედიაბაზრის სწრაფი განვითარება და მედიის სექტორის მზარდი როლი ეროვნულ ეკონომიკაში ასევე თანხვედრაშია. ზოგადად, მედიაბაზრის ზრდის ტემპები ბევრჯერ უსწრებს როგორც მსოფლიო მაჩვენებლებს, ისე ეროვნული მშპ-ს ზრდის ტემპებს (იხ. სურათი 1). 2014 წლისთვის წელს მისი მოცულობა 15 მილიარდი დოლარის პროგნოზირება იყო, დღეს ჯამში 5 მილიარდი დოლარია მარტო რუსეთის ბაზარზე. 2004 წელს გაიყიდა მხოლოდ პერიოდული გამოცემები დაახლოებით 1,9 მილიარდი დოლარის ღირებულებით, მათ შორის 520-530 მილიონი დოლარი. - გამონერით და დაახლოებით 1 მილიარდი დოლარი. - საცალო. ზრდის ტემპის მხრივ, ამაჟამად რუსეთის პრესის ბაზარი მხოლოდ

ინდოეთისა და ჩინეთის მსგავსი ბაზრების შემდეგ ჩამორჩება. შედეგად, რუსული მედიის რეკლამირების ზრდის ტემპი ბევრჯერ უსწრებს როგორც გლობალურ მაჩვენებლებს, ასევე ეროვნული მშპ-ს ზრდის ტემპს. 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებული იყო 66,931 მასმედია, აქედან 52 641 იყო ბეჭდური და 14,290 ელექტრონული.

თანამედროვე ეკონომიკაში მასმედია ასრულებს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას. სწორედ ეს ფუნქციები განაპირობებს მედიისა და პოლიტიკის მხრიდან ინტერესის გაზრდას. პირველი, მედია, საზოგადოებრივ აზრზე ძლიერი გავლენის გამო, წარმოადგენს გავლენისა და კონტროლის საშუალებას პოლიტიკაში და ბიზნესში. მასმედიის შესაძლებლობებმა გამოიწვია დიდი ბიზნესის და პოლიტიკური სტრუქტურების მხრიდან მედიის ინტერესის გაზრდა. ბევრმა მსხვილმა კორპორაციამ და ბიზნეს სტრუქტურამ, განსაკუთრებით რუსეთში, იყიდა მედია საშუალებები ან შექმნა საკუთარი, რათა შეძლონ გავლენა მოახდინონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. მედია ბიზნესისადმი ამ მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია ვ. გუსინსკისა და ბ. ბერეზოვსკის ყოფილი მედიაჰოლდინგი. მეორეც, მედია თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე კონკურენცია არ არის ფასების და ხარისხის, არამედ, სურათების, სტილის კონკურენცია. მედია, როგორც ამ სურათების მთავარი დიზაინერი და გამავრცელებელი, წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების აუცილებელ ფაქტორს. თანამედროვე ეკონომიკა, პრინციპში, მასმედიის გარეშე ვერ განვითარდება, დრეს ხომ საყოველთაო ციფროვიზაციის პროცესები მიდის, ეკონომიკები მთლიანად ელექტრონულ პლატფორმებზე გადადიან, დიჯიტალიზაციის სტრატეგია მიდის თანდათანობით.

ეკონომიკა პირდაპირ მიბმულია ინტერნეტ-პლატფორმებს. კავშირის განყვეტის შემთხვევაში საზოგადოება დაკარგავს ინფორმაციის ძირითად წყაროს საქონლისა და მომსახურების შესახებ, ხოლო მწარმოებლები - საქონლის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მთავარ წყაროს და სამომხმარებლო საჭიროებების ჩამოყალიბების საშუალებას. თანამედროვე მასობრივი წარმოება, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი მოხმარების კულტურაზე, პირდაპირ დამოკიდებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რომლებიც ქმნიან ამ კულტურას. დაბოლოს, მედია შეიძლება განიხილებოდეს, როგორც წმინდა კომერციული სანარმო. დღეს მედია გახდა მომგებიანი ბიზნესი, რომელშიც დიდი კაპიტალი მიისწრაფვის სწორედ სახსრების მომგებიანი ინვესტიციის გათვალისწინებით. მედიის ბიზნესში შექმნეს საკუთარი ბედი ს. ბერლუსკონიმ, რ. მერდოკმა, თ. ტერნერმა და სხვებმა. ეს არის მედია ბიზნესის კომერციული კომპონენტი, რომელიც

თანდათანობით გამოდის წინა პლანზე. ეს ხდება ტიპური არამართო ამერიკისთვის, არამედ რუსეთისთვისაც, სადაც მედიაბიზნესი ზოგადად განიხილებოდა არა როგორც ბიზნესი, არამედ მხოლოდ როგორც გავლენის და სტატუსის ინსტრუმენტი.

ძირითად დეფინიციებში რომ ჩავიდეთ რას ნიშნავს ეროვნული ეკონომიკა? ესააქვეყნის მთლიანი წარმოება მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგების ჩათვლით;

მედიაეკონომიკა დღეს, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მოიცავს ქვეყნის ეკონომიკის, რეგიონების, პირობების და წარმოების ელემენტების შესწავლის კომპონენტებს.

ეკონომიკა არის სოციალური წარმოების საბაზრო ორგანიზაციის თეორია, მათ შორის მაკროეკონომიკა და მიკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა არის ეკონომიკის დარგი, რომელიც შეისწავლის მთლიან ეკონომიკას, ისევე როგორც მის უმნიშვნელოვანეს დარგებს და იყენებს ამ საერთო (ყოვლისმომცველი) ინდიკატორებს და მათ ურთიერთობებს, მაგალითად, ფულთან, დასაქმებასთან, პროცენტთან, მთავრობის ხარჯებთან, ინვესტიცია და მოხმარება. **Mesoeconomics** არის ეკონომიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ სექტორებსა და დარგებს.

მიკროეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის შედარებით მცირე ზომის ეკონომიკურ პროცესებს, საგნებს, მოვლენებს. მისი ყურადღების ცენტრში არიან მწარმოებლები და მოხმარებლები, მათი გადანყვებილებები წარმოების მოცულობის, გაყიდვების, შესყიდვების, მოხმარების შესახებ, საქიროებების, ფასების, ხარჯების, მოგების გათვალისწინებით. მიკროეკონომიკის ძირითადი სექციები შეისწავლის ბაზრის სტრუქტურების და ფირმების თეორიას, მონოპოლიისა და კონკურენციის საკითხებს, სახელმწიფოსა და საჯარო და კერძო სექტორებს შორის ურთიერთქმედების პრობლემებს და შემოსავლის განაწილებას.

ბუნებრივია, მაკრო და მიკროეკონომიკა არ არის ერთმანეთისგან იზოლირებული სფეროები, არამედ ის სფეროები, რომლებიც ურთიერთ გავლენისა და ურთიერთქმედების პროცესში არიან. ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა პირდაპირ აისახება ცალკეული ფირმების პოზიციაზე, კანონმდებლების ან მთავრობების მიერ მიღებულ გადანყვებილებებზე, ინდივიდუალური ფირმის დონეზე მართვის პრაქტიკის ფორმირებაზე. მეორეს მხრივ, კონკრეტული ინდუსტრიების მდგომარეობა, ცალკეული კომპანიების საქმიანობის შედეგად, მთავრობას უბიძგებს გარკვეული გადანყვებილებების მიღებას ეკონომიკურ სფეროში, ხოლო მსხვილი კორპორაციების ინტერესების დამცველ ლობისტებს შეუძლიათ საკანონმდებლო პროცესზე გავლენა მოახდინონ გარკვეულწილად ან სხვა.

მედიის ეკონომიკის ან მედიაეკონომიკის გან-

მარტებაზე გადასვლისას აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტის გათვალისწინება. ეს ტერმინი გულისხმობს დისციპლინას, რომელიც უნდა ისწავლებოდეს ყველა უმაღლეს სასწავლებელში. მედიაეკონომიკა არის დარგი, რომელიც შეისწავლის მედიას, როგორც საბაზრო ეკონომიკის ცალკეულ დარგს, ასევე მედიასაშუალებების წარმოების პირობებსა და ელემენტებს.

ცხადია, მედიის ეკონომიკა მოიცავს ეკონომიკური სისტემის ორგანიზების სამივე დონეს:

- მიკროეკონომიკური დონე (მედიის ეკონომიკის ძირითადი აქცენტი), რადგან იგი ითვალისწინებს მედია სანარმოების ორგანიზებისა და ფუნქციონირების სპეციფიკურ მექანიზმებს, მოგების მიღების მექანიზმებს, მედია პროდუქტის წარმოების ხარჯებს, მიწოდების მოთხოვნის ბალანსს, ურთიერთობებს მწარმოებლებსა და მოხმარებლებს შორის მედიაპროდუქტების და ა.შ.

- მეზო დონის - მედია ინდუსტრია განიხილება, როგორც ეკონომიკის ცალკეული სექტორი, საკუთარი სტრუქტურით, კონკურენციის კონკრეტული სისტემით, ბაზრის სტრუქტურების ტიპებით და ა.შ.

- მაკროეკონომიკური დონე - მაკროეკონომიკური მოვლენები პირდაპირ გავლენას ახდენს მიკრო და მეზოეკონომიკურ ფაქტორებზე. ეს განცხადება მართებულია ეკონომიკის ნებისმიერი დარგისთვის, მაგრამ ის ორმაგად შეესაბამება მედია ინდუსტრიას, რომელიც მედიის მიერ წარმოებული საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული გზით შედის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მედია მნიშვნელოვანია რადგან თანამედროვე ეკონომიკის უდიდესი სექტორი, სოციალური ინსტიტუტი, ინდუსტრია სურათების, ღირებულებების, იდეების წარმოებისთვის, როგორც თავისუფალი დროის ინდუსტრია, როგორც ახალი ტიპის რეალობის დიზაინერი, განუყოფელია თანამედროვე საზოგადოებისგან.

მედიის ეკონომიკის შესწავლისას ორი ძირითადი ტრადიცია არსებობს, რომლებიც ხაზს უსვამენ ეკონომიკური სისტემის ორგანიზების სხვადასხვა დონეს. ისტორიულად, მედიაკვლევების ანგლო-საქსური ტრადიციის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქონებრივი ურთიერთობების ანალიზს და მათზე ეკონომიკური კონტროლის მექანიზმების განხილვას. ყურადღება მიაქცევს მიკროეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს, მათ ანალიზში ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური პერსპექტივა შეიტანეს და გაარკვიეს, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოების ხელისუფლების დანაწილება ეკონომიკურ ურთიერთობებზე მედია სისტემებში და, შესაბამისად, მედიაკომპანიების ქცევა მათ ბაზრებზე. სწორედ ამ მიდგომის საფუძველზე გაჩნდა მედიის პოლიტიკური ეკონომიკა.

მედიის ეკონომიკის შესწავლის კიდევ ერთი ტრადიციაა ეკონომიკური მახასიათებლების გააზრება

და კონკრეტული მედიასანარმოების და მთლიანად მედიაინდუსტრიის ეფექტურობის მაქსიმალურად გაზრდის გზების ძიება. მედიის ეკონომიკა სწორედ ამ მიდგომის საფუძველზე გაჩნდა.

ამრიგად, კომუნიკაციების სფეროში თანამედროვე სპეციალისტის წინაშე მდგარი ამოცანის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას სულ მცირე ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ მაინც განსხვავებული დისციპლინის შესახებ. ერთი მხრივ, საჭიროა მედიის ფუნქციონირების მაკროეკონომიკურ კონტექსტში წარმოდგენა, რასაც ხაზს უსვამს მედიის კვლევის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრადიცია. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში თანდათან ხდება საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება. თანდათან კიდევ უფრო მეტად გავხდებით დამოკიდებული ინფორმაციის ხარისხსა და სინრაფზე. ინფორმაცია დრეს დიდი კაპიტალია. მისი მიწოდების მომენტუმი განაპირობებს ბიზნესეფექტიანობას. ამ ჭრილში თუ შევხედავთ საკითხს და გავიაზრებთ, მივხვდებით რომ კომუნიკაციების დარგის ნებისმიერ სპეციალისტს, თუნდაც ორგანიზაციის კომერციულ განყოფილებაში მუშაობას, მედიასთან ურთიერთობის ეფექტურად ჩამოყალიბების მიზნით, უნდა ესმოდეს მედიის ფუნქციონირების ეკონომიკური ასპექტები, ორგანიზაციის პრინციპები.

კონკრეტული მენარმეობის დაფინანსება და ეკონომიკური პოტენციალი. ეს არის ზუსტად ის, რაზეც ფოკუსირებულია მედია ეკონომიკა - ეკონომიკური დისციპლინა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის პრობლემებს, ანუ მაქსიმალურად გამოიყენებს მედიასანარმოების განკარგულებას. იგი მოიცავს მასალების (შენობები, მონყობილობები, ფინანსები) და არამატერიალური (ინფორმაციის, ხალხი - ჟურნალისტები, მენეჯერები, ტექნიკური პროფესიონალები, მომსახურე პერსონალი) რესურსების პრაქტიკული გამოყენების შესწავლას, რაც იწვევს განსაკუთრებით მედია სანარმოს მაქსიმალურ ეფექტურობას და მთლიანობაში მედია ინდუსტრია.

ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში საქართველოში ხორციელდება პროგრამა EU4Digital რომლის ამოცანაა ევროკავშირის ერთიანი ციფრული ბაზრის უპირატესობების გავრცელება საქართველოსა და სხვა აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში, აგრეთვე ტრენინგების, უწყვეტი განათლების, მედიანიგნიერების დონის ამაღლების მიღწევა, ევროკავშირის დახმარების მიმართვა ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების პოტენციალის განვითარებაზე ეკონომიკური ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების და ბიზნესის დახმარების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alan Albarran, Bozena Mierzejewska; Handbook of Media Management and Economics (2nd ed.) Media Management And Economics Series Taylor and Francis (2018);
2. Ulrike Rohn, Tom Evens; Media Management Matters; Challenges and Opportunities for Bridging Theory and Practice; Media Management And Economics Series Taylor and Francis (2020);
3. <https://www.asocireba.ge/learn/>
4. SOCIAL AND ECONOMIC IMPACT OF DIGITAL TRANSFORMATION ON THE ECONOMY
This report was prepared by Raul L. Katz, ITU expert, under the direction of the ITU/BDT Regulatory and Market Environment Division gsr@itu.int This report was prepared by Raul L. Katz ITU expert, under the direction of the ITU/BDT Regulatory and Market Environment Division
5. <https://eufordigital.eu/geo/countries/georgia>
6. <https://www.oecd.org/competition/digital-economy-innovation-and-competition.htm>

«ОДИН ПОЯС - ОДИН ПУТЬ» (ОБОР) И ПЕРСПЕКТИВЫ ЮЖНОГО ГАЗОВОГО КОРИДОРА ЕС ПОСЛЕ ГЛОБАЛЬНОЙ ПАНДЕМИИ

Зураб Гараканидзе

Академический Доктор, Асс. профессор ГТУ

Ната Гараканидзе

Академический Доктор, преподаватель ГТУ

THE OBOR INITIATIVE AND THE PERSPECTIVES OF THE EU SOUTHERN GAS CORRIDOR AFTER THE GLOBAL PANDEMIC

Z. Garakanidze,

Ph.D (Economics) GTU;

N. Garakanidze,

Ph.D (International Relations), GTU

ABSTRACT

The gradual economic stabilization after the global pandemic, we can observe an increase in the volume of natural gas exports from the so-called *small post-Soviet states* (Plitological term). At the same time, the economic and political independence of these countries is increasing.

ეკონომიკური კეთილდღეობა და ცხოვრების დონე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებში საშუალო შემოსავალი, ბევრად მეტია, ვიდრე ღარიბ ქვეყნებში. მაგალითად 2021 წელს საშუალო ხელფასი შვეიცარიაში 6244 აშშ დოლარია, კუბაში კი - 30 აშშ დოლარი. ჩვენს მეზობელ ქვეყნებში: თურქეთი - 961 აშშ დოლარი, რუსეთი - 788 აშშ დოლარი, სომხეთი - 378 აშშ დოლარი, აზერბაიჯანი - 346 აშშ დოლარი.

საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი საქსტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 1256 ლარია (400 აშშ დოლარი). გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ ხელფასი ლარში იზრდება, მაგრამ დოლარში არ იზრდება. შესაბამისად ადამიანები გაზრდილი მოთხოვნების და უმეტესობა კი საკრედიტო ვალების გამო საზღვარგარეთ ეძებს მაღალ ანაზღაურებას და ემიგრაციაში მიდის. იქიდან ფულადი გზავნილებით ეხმარება ოჯახს (ნახ.3).

ზემოთ აღნიშნული პრობლემები გრძელდება ბოლო 30 წლის განმავლობაში. სწორედ ამ პერიოდში განვითარდა და კარგ შედეგებს მიაღწია თურქეთის ეკონომიკამ, ხოლო ჩინეთი სწრაფად და მასშტაბურად გამოვიდა სიღარიბიდან და ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა აქვს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სწორი პროგნოზებია საჭირო. სადაც გავითვალისწინებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანის ეკონომიკური განვითარების შედეგებს და დიდ ყურადღებას მივაქცევთ მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს. გვექნება ინდივიდუალური მათემატიკური მოდელი საქართველოსთვის, რომლითაც გამოვითვლით ეკონომიკური ციკლების სავარაუდო მოძრაობას და მზად ვიქნე-

ბით დიდი და პატარა ეკონომიკური შოკებისთვის.

ეკონომიკაში არსებობს მრავალი თეორია, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ეკონომიკური ზრდის ციკლურობის ახსნაზე. საერთო ჯამში, არსებობს თეორიების ორი დიდი ჯგუფი: პირველი აკავშირებს ციკლების არსებობას პოლიტიკასთან, დანარჩენი კი ძირითად აქცენტს ეკონომიკურ საკითხებს ანიჭებს. თუმცა არ შექმნილა ისეთი მათემატიკური მოდელი, რომელიც ყველა საფინანსო საქმიანობას ერთიანობაში განიხილავს. ეკონომისტები ხშირად საუბრობენ როგორ მოვახერხოთ მშპ-ს შევსება სხვა ახალი ინდიკატორებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გახშირდა ეკონომიკური კრიზისები, საომარი მოქმედებები, კლიმატური კატაკლიზმები და სხვა ანომალური მოვლენები, მათ შორის კორონა ვირუსი.

მოსახლეობის კეთილდღეობის, ანუ ხალხის ცხოვრების დონე და განწყობა ჯაჭვურ რეაქციას იწვევს მთელი ქვეყნის ცხოვრებაზე და ეკონომიკურ გარემოზე. ამიტომ ეკონომიკის და სოციალური მდგომარეობის შეფასების მარკენებელთა სისტემაში ინფორმაციული უზრუნველყოფის ამაღლება ძალზედ მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., 2013. მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები. თბილისი, "სიახლე", ტ. 10.
2. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, ჰარვარდის უნივერსიტეტი, 2007
3. OECD (2019), Мониторинг стратегии развития МСП в Грузии на 2016-2020 годы, OECD Publishing, Paris.
4. <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=GE>
<http://happyplanetindex.org/>
5. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/48/tskhovrebis-done-saarsebo-minimumi>

სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები

ირმა ჭანტურიძე
სტუდენტ-დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სექტორის გადამწყვეტი და რადიკალური რეფორმა დაიწყო 2010 წელს და პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. სახელმწიფო შესყიდვების როგორც კანონი, ასევე ელექტრონული სისტემა საბოლოოდ გაუმჯობესდა და განვითარდა. შესყიდვების ელექტრონული სერვისის დანერგვა ძირითადად მიზნად ისახავდა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მაქსიმალურად გამჭვირვალე შესრულების უზრუნველყოფას, კონკურენტული ბაზრის პოპულარიზაციას და კორუფციული რისკების მინიმუმამდე შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მაქსიმალურ გამჭვირვალობას და თანაბარ პირობებს ყველა მიმწოდებლისთვის, კანონი მაინც მოიცავს შესყიდვების საშუალებებს, რომლებიც შეიცავს კორუფციული გარიგებების მაღალ რისკს, ტოვებს ნაწილობრივ გადანყვებილებს, იძლევა შერჩევით მიდგომებს და, შესაბამისად, საჭიროა გადაიხედოს მოქმედი კანონმდებლობა და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მის ხარვეზებზე.

სახელმწიფო შესყიდვები არის ერთ – ერთი ყველაზე ნაკლებად კორუფციული სისტემა, რომელიც ეხება სახელმწიფო და ადგილობრივი სახსრების ადმინისტრირებას. არსებული კანონმდებლობის კვლევისა და ანალიზის გათვალისწინებით, ამკარაა, რომ მისი ძირითადი ნაწილი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის რეფორმირების ყველაზე გადაუდებელი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, თუმცა რჩება ხარვეზები, რომლებიც შემდგომ გამოსწორებას საჭიროებს პროცედურების შემუშავებისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო, კორუფცია, რეფორმები, ხარვეზები, დაგეგმვა, პროექტი, ბიუჯეტი, კვალიფიკაციის მოთხოვნები, ტექნიკური მოთხოვნები. შედეგი, ხარისხი, გამჭვირვალობა, განვითარება

EXISTING IN THE PUBLIC PROCUREMENT SYSTEM PROBLEMS AND WAYS TO ELIMINATE THEM

Irma Chanturidze
Ph-D student at GTU

RESUME

Crucial and radical reforming of Georgia's state procurement sector was launched in 2010 and the process is still in progress. Both the law and electronic system

of the state procurement is eventually improved and developed. Introduction of electronic service of procurement was basically aimed at ensuring maximally transparent performance of state procurement procedures, fostering competitive market and minimizing corruption risks. Although, the electronic system provides maximum transparency and equal circumstances for all suppliers, the law still contains the means of procurement, which carry high risks of corruption transactions, leaves opportunities for partial decisions, allows selective approaches and therefore, there is a need to revise the applicable legislation and make particular focus on its gaps.

State procurement is one of the least corruption resistant systems as it is deals with administering state and local funds. Considering the research and analysis of the applicable legislation, it is evident that its major part complies with international standards. Most urgent steps for reforming the state procurement system have been already taken, however, there remain the gaps that need to be further remedied in order to develop procedures and increase the quality of transparency.

Key words: state procurement, public, corruption, reforms, gaps, planning, project, budget, qualification requirements, technical requirements. Result, quality, transparency, development

* * * *

სახელმწიფო შესყიდვები კორუფციისადმი ერთერთი მგრძობიარე სისტემაა, რადგან შესყიდვის მეშვეობით ხდება სახელმწიფო და ადგილობრივი სახსრების განკარგვა. ხარვეზების შესწავლის და ანალიზის გათვალისწინების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის ძირითადი ნილი შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. სახელმწიფო შესყიდვის სფეროში ძირითადი რეფორმები უკვე გატარებულია, თუმცა რატემა უნდა კვლავ არსებობს ხარვეზები, რომლებიც დამატებით საჭიროებენ დახვეწას პროცედურების განვითარებისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების წარმატებით განხორციელების წინაპირობაა კარგად და კვალიფიციურად დაგეგმილი წინამოსამზადებელი ეტაპები, როგორცაა: შესყიდვების დაგეგმვა, ბაზრის მოკვლევა და საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების შემუშავება. ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს კვალიფიციური და პროფესიონალი თანამშრო-

მელი, რომელიც ყველა ამ ეტაპს წარმატებით განახორციელებს.

აღნიშნული ეტაპების არაკვალიფიციურად წარმართულ პროცესებს კი მივყავართ იმ შედეგებამდე, რომლის თანმდევიცაა გადაუდებელი და დაგვიანებული შესყიდვა, შესყიდვის პირობების არაობიექტური განსაზღვრა, როგორცაა შესყიდვის მოკლევადების დადგენა, შესყიდვის შემცირებულ კონკურენციის პირობებში წარმართვა და შედეგად კი შეუსაბამო საქონლის თუ მომსახურების მიღება.

პირველი და უმთავრესი პრობლემა შესყიდვების სფეროში, თავს იჩენს არასწორად დაგეგმილი შესყიდვებისას. დგება არასასურველი შედეგები, კერძოდ კი ხშირდება სახელმწიფო შესყიდვის გაჭიანურება, დგება გადაუდებელი აუცილებლობით გამონვეული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, ხშირდება ხელშეკრულების პირობების ცვლილებების საჭიროება, რიგ შემთხვევაში ხორციელდება საჭიროებასთან შეუსაბამო შესყიდვა. შესაძლებელია ასევე დადგეს რისკი იმისა, რომ არასწორად დაგეგმვამ გამოიწვიოს კონკურენციის შემცირება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს საჯარო ფინანსების არარაციონალურად ხარჯვას და ჯანსაღი კონკურენციის უგულვებლყოფას.

ასევე შესყიდვისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, ბაზრის კვლევა. ამ დროს შემსყიდველი კარგად ეცნობა და სწავლობს მიმწოდებელთა სტრატეგიას, ეს უკანასკნელი კი საშუალებას აძლევს შემსყიდველს შეისწავლოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა სწორად განსაზღვროს მოთხოვნები შესყიდვის განხორციელებისას.

კვლევაში ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მიმწოდებელთა გამოკითხვა, ღია კარის დღეც. მიმწოდებელთან პირდაპირი კომუნიკაციით მარტივად დასადგენია რა წარმოადგენს მიმწოდებლებში ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის ბარიერს.

შემდგომი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ამასთან მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების არასწორად განხორციელებისას წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების ჩამოყალიბება. სატენდერო დოკუმენტაცია არის იმ დოკუმენტთა და საკვალიფიკაციო მოთხოვნათა ის ნუსხა, რომელიც აღწერს შესყიდვის ობიექტს და რომელსაც ადგენს სატენდერო კომისია. შემსყიდველის მხრიდან აღნიშნული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ემსახურება მიმწოდებლის ცოდნის, გამოცდილების, ფინანსური შესაძლებლობების გამორკვევას და ასევე პოტენციური მიმწოდებლის სანდოობის შეფასების მიზანს.

ყველა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი წარმოადგენს გარანტს(მეტნაკლებად), შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, რათა სრულყოფილად და მაღალი ხარისხით შესრულდეს შესაბამისი პროექტი.

შესყიდვების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ შემსყიდ-

ველი ორგანიზაციები ხშირად საჭიროებებს არასრულყოფილად ან პირიქით, გადამეტებულად ზედმინვენით აღწერს, რაც ხელს უშლის პოტენციური მიმწოდებლის მიმართ კონკურენციის ზრდას. არასათანადო ტექნიკური დავალების შედეგად ხორციელდება შეუსაბამო საქონლის/მომსახურების შესყიდვა, ხოლო გადამეტებული ტექნიკური დავალების შედეგად ისეთი შესყიდვის ობიექტის მიღებას, რომელიც აღემატება შემსყიდველის მოთხოვნებს. რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად ხარჯვის ტოლფასია. ორივე უკიდურესობისათვის დამახასიათებელი კი, კონკურენციის შემცირება და, ხშირ შემთხვევაში, არშემდგარი ტენდერია.

შემსყიდველ ორგანიზაციას და, არა მარტო მას, ასევე, მენარმეებს და ბიზნესის წარმომადგენლებს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჩაშლილი და არშემდგარი ელექტრონული ტენდერები. ჩაშლილი ტენდერები აფერხებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებებს. აფერხებს სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო თანხების აკუმულირებას, ბიუჯეტის შევსებას. მონაწილე კომპანიები ჩაშლილი ან არშემდგარი ტენდერის გამო ეწევიან დამატებით ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ტენდერში მონაწილეობასთან ზოგიერთ შემთხვევაში დამატებით რისკს წარმოადგენს არამარტო არასწორად დაგეგმილი, ან ჩაშლილი და არშემდგარი ტენდერი, არამედ - შემდგარი ტენდერის შემდგომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული ხდება ისევ ხელახლა გამოაცხადოს ტენდერი, რაზეც კვლავ იხარჯება დრო.

სწორედ ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ბიუჯეტის კრიზისს, ჩავარდნას.ამ შემთხვევაში მთავარი ხარვეზებია ვალდებულებების გადავადება. ელექტრონული ტენდერების ჩატარებისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს ასევე მიმწოდებლების მხოლოდ გამარჯვებაზე ორიენტირება. მიმწოდებელი ხშირად გამარჯვების მოსაპოვებლად ცდილობს შესყიდვის ღირებულება დაიყვანოს მინიმუმამდე, იმის იმედად, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ფასს ცვლილების შედეგად გაზრდის.

პრობლემა ასევე შემსყიდველ ორგანიზაციაში ადამიანური რესურსის ნაკლებობა. შესყიდვების დაგეგმვა, ბაზრის კვლევა, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა მოითხოვს როგორც დროს, ასევე საკმაოდ დიდ ადამიანურ რესურსს, რომელიც იწვევს უკლებლივ ყველა ეტაპის ზერელედ, არასაკმა-რისად მოკვლევის საფუძველზე ჩატარებას.

დასკვნა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი ძირითადად დამაკმაყოფილებელია. უზრუნველყოფს ეფექტიანობას და სამართლიანობას, ელექტრონული პლატფორმა აძლიერებს კანონმდებლობის არადისკრიმინაციულ ხასიათს და უზრუნველყოფს ზოგად გამჭვირვალობას. თუმცა,

გარკვეული საკითხები საჭიროებს გაუმჯობესებას, ესენია : ბაზრის კვლევა, სატენდერო პირობების არაკვალიფიციურად შედგენა, ელექტრონული ტენდერების არაპროფესიონალურად წარმართვა, წარუმატებელი ტენდერების რაოდენობა, პირდაპირი შესყიდვების წილი, შესყიდვების კანონმდებლობიდან გამონაკლისების რაოდენობა და აგრეთ-

რებული მონაცემების შედგენა და გამოქვეყნება. სასურველია კანონმდებლობაში განხორციელდეს რიგი ცვლილებები და დაიხვეწოს შესყიდვების ჩატარების ყველა ეტაპი. დაიხვეწოს ბაზრის კვლევის ხარისხი, კვალიფიციურად შედგეს სატენდერო დოკუმენტაცია, შესაბამისად კვალიფიციურად ჩატარდეს შესყიდვის ყველა ეტაპი.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის ანგარიში;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი <http://www.procurement.gov.ge/>
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“
4. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველო სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, თბ 2013.
5. კუნკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო სტრატეგია, თბ 2013.
6. ო. კიკვაძე, ი. მახარაშვილი, მ. ძაგანია შესყიდვების ადმინისტრირება.
7. თ. გოგნაძე „ტენდერების ჩატარების სრულყოფილ ზოგიერთი საკითხი“
8. მ. მალრაძე, თ. გოგნაძე სახელმწიფო შესყიდვების მართვის სრულყოფა ელექტრონული ტენდერების გამოყენებით ჟურნალი „ეკონომიკა“, 9-10, 201.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებები, პრობლემები და ტენდენციები

ქეთევან კაკაურიძე
სტუდენტ-დოქტორანტი

THE MAIN DIRECTIONS, PROBLEMS AND TRENDS OF THE STATE BUDGET

Ketevan Kakauridze
PhD student of GTU

RESUME

The main function of the state is to take anti-crisis measures to stabilize the country and prevent crises in the economy. The state budget occupies a key place in terms of the country's stability, revenue growth and development. Optimal budget planning is necessary to strengthen the state. In Georgia, as in many developed countries, the costs of health and social protection are quite high. Which is very good, however it is necessary to maintain quality and improve service. Make the fields of education and agriculture a high priority. The focus should not be on the deviation between the planned, adjusted budget and cash performance, but on the financial resources of the budget itself, the accuracy of the goal set and the ability to meet it. Minimize changes in estimates during the reporting period and the presence of untapped programs. Improve the mechanism for assessing the benefits received after spending finances.

Keywords: Budget, Optimization, Revenues, Payments. Revenues, taxes.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის განვითარებისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სწორი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. ცვალებადია სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და ფუნქციები, რადგანაც დამოკიდებულია როგორც ეკონომიკის განვითარების ეტაპებზე, ასევე საზოგადოების მორალურ-ზნეობრივ პრინციპებზე. „ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი, ფორმები და მეთოდები ძირითადად განისაზღვრება ეკონომიკის განვითარებისათვის შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკით და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელით.“ ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზაციის ძირითად წყაროსაც და ინსტრუმენტსაც სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს. ის ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტია და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფუნქციების ეფექტურ განხორციელებისთვის საჭიროა, სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით სახელმწიფო ფინანსების ოპტიმალური და სწორი გადანაწილების

განსაზღვრა. სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის, მისი განვითარებისათვის საჭირო პროგრამებისა და ქვეპროგრამების ჯეროვნად შესრულებისათვის აუცილებელია საბიუჯეტო რესურსების ოპტიმიზაცია, რომელიც შემდგომში გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. მამასადამე ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ეს არის სახელმწიფოს ფინანსური გეგმის უპირველესი ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრისთვის კი სახელმწიფო ინსტიტუტი უნდა გამოვიყენოთ როგორც იარაღი, საშუალება, რომლის სწორი გამოყენება მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა ნიშნავს მისი ფუნქციების სწორად გამოყენებას. ეს კი მიიღწევა უპირველეს ყოვლისა ბიუროკრატიული აპარატის დახვეწით, ოპტიმიზაციით და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პროფესიონალების მოზიდვით და საბიუჯეტო პროცესში ჩართვით.

სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისას ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც შემოსავლის ასევე ხარჯვითი ნაწილის გაანალიზება და მის მიზნობრიობის შეფასება. ზოგადად სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის მისაღებ შემოსულობებს, გასაწევ გადასახდელებს და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო საბიუჯეტო პოლიტიკის მთავარი გამოწვევად კი უნდა ჩავთვალოთ ბიუჯეტის ისე დაგეგმვა რომ უზრუნველყოფილი იქნეს ეკონომიკური ზრდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანმრთელობისა და განათლების უზრუნველყოფა, საზოგადოებისთვის აუცილებელი სოციალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების შემუშავება, ინვესტირების წახალისებისთვის პირობების შექმნა (მაგ. საგადასახადო შეღავათების დანესება), ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირება/ აღმოფხვრა, სახელმწიფო ვალის მიზნობრივად აღება და სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნა.

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან კავშირში არიან. ესენია შემოსულობები და გადასახდელები. ბიუჯეტის შემოსულობები ეს არის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შემოსული ფულადი ნაკადების ერთობლიობა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები წარმოადგენენ, საანგარიშგებო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას. ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს: შემოსავლებს (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები), არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრებს, ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრებს და ვალდებულების აღების შედეგად მიღებული სახსრებს (ვალის აღება).

ბიუჯეტის შემოსულობების გაანალიზებისას (პერიოდი მოიცავს 2010-2020 წწ-ს) დავინახავთ, რომ ბიუჯეტში მობილიზებული ფაქტიური შემოსულობების დონე მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. (გამონაკლისს მხოლოდ 2013 წელი წარმოადგენს, სადაც მთლიანმა შემოსულობებმა 7 717 435,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც 286 580.20 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელზე. (დაახლოებით 3,58 %-ით ნაკლები რესურსების მობილიზება მოხერხდა), ხოლო 2014 წლიდან კვლავ მატების დინამიკა შეინიშნება) უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტში მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების დიდი წილი შემოსავლებზე მოდის (არ არის გათვალისწინებული ვალდებულებების ზრდა). სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა მოიცავს: გადასახადებს, გრანტებს და სხვა შემოსავლებს. შემოსავლების სტრუქტურაში გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ყველაზე დიდია, ხოლო გადასახადები თავის მხრივ აერთიანებს 6 სახის გადასახადს: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი და სხვა გადასახადს. სადაც დამატებითი ღირებულების გადასახადის პრიორიტეტულობა ყველაზე მაღალია. დამატებითი ღირებულების გადასახადი, საგადასახადი შემოსავლების თითქმის ნახევარს შეადგენს. 2010-2020 წლებში მისი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 41,15% -დან 48,17 %-მდე მერყეობდა. (ყველაზე დაბალი 41,15 % დაფიქსირდა 2016 წელს, (3 286 393.4 ათასი ლარი) და ყველაზე მაღალი 2012 და 2014 წლებში. (შესაბამისად 2012 წელს 3 040 331.9 ათასი ლარი და 2014 წელს 3 298 518.3 ათასი ლარი). ორივე შემთხვევაში 48,17 %. ასეთი ტენდენცია გამოწვეულია საგადასახადო სისტემის რეფორმებითა და ადმინისტრირების მოწესრიგებით.

მთავარ ამოცანას საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემისთვის წარმოადგენს გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ზრდა. მნიშვნელოვანია, რომ ამ ამოცანის შესრულება მოხდა არა საგადასახადო განაკვეთის აწევით, არამედ საგადასახადო ბაზრის გაფართოებით. ამ მხრივ აღსანიშნავია საგადასახადო განაკვეთის 5 %-დან 1 %-მდე შემცირება, მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ შემოღება. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისთვის წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის ზღვრული ნორმის გაზრდა 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე, რაც საშუალებას მოგვცემს მეტი მენარმე ფიზიკურმა პირმა მიიღოს მცირე ბიზნესის სტატუსი და ისარგებლოს დაბეგვრის სპეციალური რეჟიმით. ყოველივე ეს წინაპირობაა საშუალო ფენის ჩამოყალიბებისა და ეკონომიკის განვითარებისთვის. საგადასახადო სისტემის ამგვარმა რეფორმამ შესაძლებელია მოკლე პერიოდში გამოიწვიოს შემოსავლების შემცირება, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მეტი სერგებლობისა და ეფექტის მომტანი იქნება.

ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმაზე მუშაობისას, რის საფუძველზეც ხდება საბიუჯეტო

პოლიტიკის შემუშავება ყურადღება უნდა გავამახვილდეს არა დაგეგმილ, დაზუსტებულ ბიუჯეტსა და საკასო შესრულებას შორის გადახრაზე, არამედ თვით ბიუჯეტის ფინანსურ რესურსზე, დასახულ მიზნის სისწორეზე და მის შესრულების შესაძლებლობაზე. ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც არის ბიუჯეტის გადასახდელი მოიცავს: ხარჯებს, არაფინანსური აქტივებს (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართულ სახსრებს), ფინანსური აქტივებს (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართულ სახსრებს, ნაშთის დაგროვების გარდა) და ვალდებულებებს (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართულ სახსრებს). იმისთვის, რომ შევაფასოთ საბიუჯეტო პოლიტიკა და საბიუჯეტო გადასახდელის გახარჯვის ეფექტიანობა, გავანალიზოთ ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის % შესრულების მაჩვენებელი. 2010-2019 წლები სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტული დარგები იყო ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, თავდაცვა, წესრიგი და უსაფრთხოება და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების პროექტები. განათლების ხარჯები წლების განმავლობაში 8,2 %-დან 11,7 %-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სფეროში ხარჯების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, სასურველია და აუცილებელიც არის განათლების სფეროს უფრო მეტი პრიორიტეტულობის მინიჭება. განათლებული თაობა ხომ არა მარტო ეკონომიკური ზრდის, არამედ ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი გარანტორია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას მისი ხარჯი 0,5 %-დან 2,4 %-მდე გაიზარდა, რაც ძალიან ცოტაა. ქვეყნის მაშტაბით ყველაზე მეტი თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაშია, რომელთა უმრავლესობაც პროდუქციას აწარმოებს საკუთარი მოხმარებისთვის. საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას სახელმწიფოდან მეტი ყურადღება და სტიმულირება სჭირდება. სასურველია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის უფრო მეტი ასიგნებების გამოყოფა. ამასთან აუცილებელია მათი მიზნობრივად და ეფექტურად გახარჯვისთვის სტრატეგიული გეგმის შემუშავება. მაგალითად, დღესდღეობით ადგილობრივი ბაზარი გაჯერებულია უცხოეთიდან შემოტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. რა თქმა უნდა ყველა პროდუქტის წარმოება, ისევე როგორც რაოდენობრივად ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილება შეუძლებელია, მაგრამ აქ ლაპარაკია სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის ისეთ ხელშეწყობაზე და შესაბამისად ისეთი დარგების განვითარებაზე, რომლითაც ადვილად ჩანაცვლდება უცხოური პროდუქცია ადგილობრივი პროდუქციით. ეს კი შეუძლებელია თუ არ მოხდა ტექნოლოგიურად მოძველებული მანქანა-დანადგარების თანამედროვე, მოდერნიზირებული ტექნიკით ჩანაცვლება. ყოველივე ეს კი ხელს შეუწყობს არა მარტო სოფლის მეურნე-

ობის, არამედ მთლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ზრდის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯები. ხარჯები გაიზარდა 26,2 %-დან 35,6%-მდე. (ეს გამონვეულია სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით.) მიუხედავად ამისა საბიუჯეტო პოლიტიკის სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია ჯანმრთელობისა და სოციალური ხარჯების მაღალი მაჩვენებელი. (უნდა აღინიშნოს რომ განვითარებული ქვეყნებიც ამ კუთხით ხარჯების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან). თუმცა აუცილებელია დაიხვეწოს ხარისხი და გაუმჯობესდეს მომსახურება. ეს კი უპირველესად შესაძლებელია სიღარიბის და უმუშევრობის დონის შემცირებით.

ახალმა კორონავირუსმა (COVID 19), რომელიც 2019 წლის ბოლის გამოჩნდა მთლიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის განვითარება. გაურკვეველობის მაღალმა მაჩვენებელმა მსოფლიო ეკონომიკური პროგნოზი მრავალჯერ შეიცვალა. საქართველო, ისე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო მოწყვლადი აღმოჩნდა პანდემიის წინაშე. რადგან ქვეყნის ეკონომიკა მდინილად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე, კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელი გამოირჩეოდა ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების ტენდენციით. ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალი 5 %-იანი ზრდით დაფიქსირდა. 2020 წელს კი

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო ისე ხარჯვით ნაწილზე. ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ მდინილად შეცვალა ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები. ვირუსით გამოწვეული ინფიცირებულთა დიაგნოსტიკითვის და მკურნალობისთვის გამოყოფილ თანხებთან ერთად საჭირო გახდა მთელი როგი ღონისძიებების გატარება რათა ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში მომხდარიყო, როგორც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ისე ბიზნესის ხელშეწყობა. 2020 წლის განმავლობაში ორჯერ გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ, კორონავირუსით დაინფიცირებულთა მაღალი მაჩვენებლის გამო, გამოიწვია მთელი რიგი დაწესებული შეზღუდვები, რამაც ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. ყველაზე მეტად ეს შეეხო მომსახურების სფეროს. ყოველივე ამან კი გამოიწვია როგორც ფისკალური, ისე ეკონომიკური პროგნოზების გაუარესება. ამიტომაც მთავარ ამოცანად რჩება როგორც ეკონომიკის გაჯანსაღება, ასევე უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკური სტაბილურობა რათა ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს, ხოლო ბიუჯეტის მთავარ გამოწვევად კი კვლავ რჩება ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც შეაფასებს ფინანსების გახარჯვის შემდგომ მიღებული სარგებლს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვანიშვილი მ. ნიქაბაძე გ. ვანიშვილი ნ. „ფინანსები“ სახელმძღვანელო თბ. 2016, სტუ.
2. ინგოროყვა ა.ცაავა გ.ფინანსური მენეჯმენტი:თეორია,მეთოდები და პრაქტიკა.სახელმძღვანელო სტუ
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. „ფინანსების საფუძვლები“. სახელმძღვანელო . თბ. 2012,სტუ.
4. კაკულია რ. ბახტაძელ. ჯიბუტია. „საკარო ფინანსები სახელმძღვანელო . თბ. 2009,სტუ.
5. მესხია ი., გაბელაშვილი კ. „საქართველოს საბიუჯეტო სისტემა“. სახელმძღვანელო . თბ. 2010,სტუ.
6. კაკულია რ. „ფინანსების ზოგადი თეორია“. სახელმძღვანელო . თბ. 2001,სტუ.
7. ვანიშვილი მ. , ვანიშვილი ნ. „საჯარო ფინანსები“. სახელმძღვანელო . თბ. 2017, სტუ.
8. გამსახურდია თ. „გადასახადების და დაბეგვრა“. სახელმძღვანელო. თბ. 2003.კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ.„გადასახადები და დაბეგვრა“. სახელმძღვანელო . თბ. 2011,სტუ.
9. ხანთაძე გ., ცაავა გ. „საჯარო ფინანსები“. სახელმძღვანელო . თბ. 2013,სტუ.
10. ლემონჯავა პ., აბრალავა ა. „ეკონომიკის პრინციპები“. სახელმძღვანელო . თბ. 2017, სტუ.
11. ანანიშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა.ნერეთელი გ. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“.სახელმძღვანელო . თბ. 2003,სტუ.
12. ბახტაძე ლ. „გარდამავალი ხანის ეკონომიკა“. სახელმძღვანელო .თბ. 2006.
13. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, თბ. 2009, 18 დეკემბერი.
14. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს წლიური კანონები.
15. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, თბ. 2010, 17 სექტემბერი.
16. ელ-წყაროები:
17. www.parliament.ge
18. www.mof.ge
19. www.economy.ge
20. www.rs.ge
21. www.geostat.ge

თანამედროვე გლობალიზაცია და სოციალური სამართლიანობა

ია ალანია

სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ბოლო პერიოდში გლობალიზაცია გახდა მთავარი მახასიათებელი თანამედროვე მსოფლიოს განვითარების, რაც თითქმის ყველა გამოცემაში აღინიშნება, მკვლევარებისთვის ეს არის განსაკუთრებულად აქტუალური საკითხი შესწავლის და შეფასების თვალსაზრისით. ნაშრომში განვიხილავ გლობალიზაციას პროცესს სოციალური სამართლიანობის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, სოციალური სამართლიანობა.

MODERN GLOBALIZATION AND SOCIAL JUSTICE

ia Alania

PhD student of GTU

SUMMARY

Recently, globalization has become the main feature of modern world development, which gives publications exploring its problems of special scientific value and relevance. Let's try to characterize the processes of globalization from the point of view of Social Justice.

Key words: Globalization, Social Justice.

* * * *

სოციალური სამართლიანობა უძველესი დროიდან იყო საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალი. დიდი ხნის განმავლობაში სამართლიანობის კონცეფცია შემოღებულ იქნა თეოლოგიურ მსოფლმხედველობაში და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასოცირდებოდა როგორც ღვთის კანონის, ანუ ღვთის ნების დაფიქსირება.

კაპიტალისტური სანარმოო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იცვლება თეოლოგიური მსოფლმხედველობაც, ის იცვლება სამართლებრივი მსოფლმხედველობით. ბეიკონი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ სამართლიანობა არის ის, რაც აერთიანებს ადამიანებს და ქმნის საფუძველს ადამიანის უფლებებისთვის. სამართლიანობა ისეთივე აუცილებელი პროდუქტია ადამიანებისთვის, როგორც პური (ლ. ბერნი), ის უნდა იქცეს ადამიანთა ქმედებების ნორმად (ნ. ჩერნიშევსკი), თუ სამართლიანობა გაქრება, მაშინ არაფერი დარჩება, რაც აფასებს ადამიანების სიცოცხლეს (ე.კანტი).¹ და შე-

უძლებელია არ დაეთანხმო ამ განცხადებებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლობალიზაციის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსს და იყოფა სამ ეტაპად. პირველი ხასიათდება მსოფლიო ვაჭრობის სწრაფი ზრდით და მისი მრავალმხრივი რეგულირების მცდელობით ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების ფარგლებში (GATT, 1950 - 1960 წწ.), მეორე - ფინანსური ბაზრების მზარდი ინტეგრაციით და საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების დაჩქარებული ზრდა (1970 - 1980 წწ.), მესამე - პირდაპირი ინვესტიციების მოცულობისა და ფირმებს შორის ალიანსების რაოდენობის ზრდა. ამრიგად, მრავალი ავტორის აზრით, გლობალიზაცია სინონიმი ეკონომიკური ურთიერთდაკავშირების და შერწყმის, კონკურენციის გაძლიერების და ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარების ზოგადი ზენოლის ქვეშ. ასევე არსებობს გლობალიზაციის პროცესების არსისა და შინაარსის ისეთი ინტერპრეტაციები, რომელთა მხარდამჭერები საუბრობენ განსახილველ საკითხთა მთელ სპექტრზე, რომლებიც გაერთიანებულია ერთი ზოგადი იდეის დასაბუთების სურვილით, რომლის მიხედვითაც სულ უფრო მეტად ჭარბობს ეკონომიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული სამყარო, საერთო ("გლობალური") მორალური და პოლიტიკური ღირებულებებით.

შესაბამისად, ეროვნული სახელმწიფოები და ხალხები უბრალოდ ვალდებულნი არიან დაიცვან ეს "ღირებულებები", ისევე როგორც ზოგიერთი "უნივერსალური ეთიკის ნორმები". უფრო ზუსტად, გლობალიზაციის ეს კონცეფცია (მის ზოგიერთ მიმდევარს შორის უმნიშვნელო განსხვავებებით) პირდაპირ გულისხმობს "ლიბერალ-კაპიტალისტური მოდელის მსოფლიო გავრცელებას მისი პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების თანდაყოლილი კომბინაციით".²

ამ კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე ნათელ ახსნას წარმოადგენს 1980-იანი წლების ბოლოს ამერიკელი ეკონომისტის და პოლიტოლოგის ფრ. ფუკუიამას თეორია გულწრფელად ანტი-მეცნიერული ფორმულირებით "ისტორიის დასასრული".³

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული მსოფლიო განვითარების 2000-2001 წლების ანგარიშში მოყვანილი მონაცემების თანახმად, მსოფლიოს უმდიდრესი 20 ქვეყნის საშუალო შემოსავალი 37-ჯერ

1 Воронцов В.В. Симфония разума. - Саратов, 1979. с. 342

2 Ратленд П. Глобализация и посткоммунизм//Мировая экономика и международные отношения. - 2002. - №4. с. 15

3 Коммерсантъ.2006.26января. с. 2

აღემატება საშუალო შემოსავლებს უღარიბეს 20 ქვეყანაში, ხოლო ბოლო 40 წლის განმავლობაში (და ეს ზუსტად ის დროა, რაც გავიდა მას შემდეგ, რაც ყოფილმა კოლონიურმა ქვეყნებმა უმრავლესობამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა), ეს უფსკრული გაორმაგდა.⁴

კაცობრიობის ისტორიის ბოლო ორი ათწლეულის პერიოდს, რომელსაც ეწოდება გლობალიზაციის ეპოქა, გვიჩვენებს, რომ ეფექტური ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზება და მოსახლეობის ღირსეულად უზრუნველყოფა პრობლემაა, შესაბამისად "ზოგადად მიღებულმა ცხოვრების თანამედროვე „სტანდარტებით“ მოსახლეობის პრობლემები არათუ გადაწყვეტილია, არამედ პირიქით, გამწვავებული.

თანამედროვე ტრანსფორმაციებს მსოფლიოში არ შეიძლება ვუწოდოთ სამართლიანი. უკონტროლო გლობალიზაციამ, რომელიც გამონვეულია ყოველსაშუალო კორპორაციების შეუქცევადი მადით, შეიძლება შეუქცევადი დესტრუქციული გავლენა იქონიოს მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე. საქართველოს ყველა ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე უნდა იყოს მიმართული გლობალური პროცესების სრულყოფილი მონაწილეობისკენ. საქართველო, სახელმწიფოთაშორის ასპარეზზე მყოფ სხვა ქვეყნებთან ერთად, უნდა იბრძოდეს, რათა ერთობლივად გადააქციოს გლობალური კაპიტალიზმი და ეკონომიკური გლობალიზაცია ყველა ქვეყნის საბაზრო განვითარების სოციალიზაციისკენ, დედამიწის ხალხის სოციალური ინტეგრაციისკენ.

საზოგადოების პოლიტიკური (და მჭიდროდ დაკავშირებული სამართლებრივი) ქვესისტემის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა წინასწარ განსაზღვრავს გლობალურ პრობლემებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ცივილიზაციის არსებობას. პოლიტიკურ სფეროში დისბალანსის ერთ-ერთი შედეგია სოციალური დიფერენციაცია, რომელიც ვლინდება როგორც გლობალურ, ასევე საშინაო დონეზე. ყველამ იცის ადამიანების "ოქროს მილიარდის" შესახებ, რომლებიც ცხოვრობენ დასავლეთ ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმდიდრეს ქვეყნებში.

გარდა ამისა, არსებობს მტკიცებულება ქონების მნიშვნელოვანი სტრატეგიკაციის შესახებ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში. უფრო მეტიც, უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის იზრდება. ამ ფონზე, მონაცემები უწყვეტი და ძვირადღირებული შეიარაღების რბოლაზე არანაკლებ მთაბმეჭდავია.

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, უთანასწორობა ხდება გადაჭარბებული ჯინის კოეფიციენტის 30-40% -დან. ჩვეულებრივია ზედმეტი უთანასწორობა ვუნოდოთ არა მხოლოდ ძალიან ღრმა (ღრმა უთანასწორობა სულაც არ არის ზედმეტის სინონიმი), მაგრამ რომელიც გარკვეული დონიდან დაწყებული აღარ თამაშობს მასტიმულირებელ, მაგრამ დამამცირებელ როლს ეკონომიკაში და იწვევს უარყოფით სოციალურ და ეკონომიკური შედეგებს. მეცნიერები ადასტურებენ ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ სოციალური უთანასწორობა არ ხდის ადამიანებს ბედნიერ და საზოგადოებას სტაბილურს⁵. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნად იზრდება შესაბამისი კვლევები ადამიანის უფლებათა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე.⁶

გარდა ამისა, მე მჯერა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემების დასაძლევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტური უნიპოლარული მოდელის რეფორმირების აუცილებლობა, რომელიც გლობალური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას ემყარება. და ამისათვის აუცილებელია იმ პროცესების შესწავლა და გათვალისწინება, რომლებიც, დიდწილად, წინასწარ განსაზღვრავს ამ სისტემის პარამეტრებს.

ამრიგად, თანამედროვე სამყაროს მთლიანობის ფორმირება განუყოფლად არის დაკავშირებული სოციალური ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესთან, რომელიც გაგებულია, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ინტეგრაცია ერთ პლანეტარული სისტემაში. ინტეგრაციის პროცესი არის სოციალური სტაბილურობის ახლანდელი სტადიის ანარეკლი სოციალური ურთიერთობების განვითარებაში მათი გართულებიდან და კონვერგენციიდან ინტერპენეტრაციამდე და, შედეგად, ურთიერთდამოკიდებულება პლანეტარული მასშტაბით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური ურთიერთობების გლობალიზაციის პროცესი იწვევს მათ კარდინალურ ცვლილებებს და ფუნდამენტურად ახალი სახელმწიფოს განვითარებას, რომელსაც მიზანშეწონილია ვუნოდოთ გლობალურობა.

ამრიგად, გლობალური კვლევების საგანი, როგორც ინტერდისციპლინარული კვლევის მიმართულება, განუყოფლად არის დაკავშირებული არა მხოლოდ გლობალურ პროცესებთან, არამედ გლობალურ პრობლემებთან.

სინამდვილეში პრინციპი, რომელიც მიზნად ისახავს ზოგიერთი ადამიანის ძალაუფლების თვითნებობის შეზღუდვას სხვებზე, არის თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძ-

4 МЭиМО. 2002.№ 4. с. 22

5 Федотова И. – Социальное неравенство делает людей несчастными // URL:<http://www.opec.ru/1712199.html> (Дата обращения: 17.02.2016).

6 Экономические и социальные права человека и гражданина: современные проблемы теории и практики / Гаврилова Ю.В., Крикунова А.А., Рудинский Ф.М., Сошникова Т.А.; Под общ. ред.: Рудинский Ф.М. - М.: Права человека, 2009.

ველი და დიდნილად შეესაბამება საზოგადოებას-თან ურთიერთობის გლობალიზაციის ტენდენციებს.⁷

თუმცა, გლობალური პრობლემების გადასაჭრელად, სოციალური სამართლიანობის მიღწევა არ არის საკმარისი. კაცობრიობის ინტერესებიდან გამომდინარე «მმართველობის» კონცეფციამ თანდათან უნდა შეცვალოს «ძალაუფლების» კონცეფცია ვინრო ჯგუფების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის საკანონმდებლო დონე არის პირველადი, აღმასრულებელთან (მეორად) მიმართებაში და სასამართლო (მესამეულ) დონესთან მიმართებაში.⁸

თუ ერთ დროს "აზრისა და სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპის აღიარებამ ძალაუფლების იერარქიის ძველი ეპოქა მოიშორა დედამიწიდან", მაშინ თანამედროვე პირობებში ამ პრინციპის განხორციელება ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესია გლობალური მმართველობის სისტემის ფორმირების პირობები.⁹

გლობალური ნორმების შექმნის და მიღების პროცესის შესაბამისად საზოგადოებისთვის ფუნდამენტურია გლობალური სისტემის მართვა, ამათან პირველ ადგილს იკავებს სამართლიანობის გლობალური პრობლემა.¹⁰

გლობალური სამართლიანობის ფორმირება უნდა მოიცავდეს სასწავლო მიმართულებას: „გლობალიზაცია და სამართლიანობა“, სასწავლო დისციპლინას „გლობალური სამართლიანობა“, პლანეტის მასშტაბით მარეგულირებელი სამართლიანობის პრინციპებს და ნორმებს, ასევე ადამიანისა და ბუნების ურთიერთქმედებას.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში წამყვანი როლი ეკუთვნის სამართლიან გლობალისტიკას, რომელმაც უნდა შექმნას თეორიული, სამართლებრივი და ნორმატიული საფუძველი ადეკვატური გლობალური სისტემის მართვის ფორმირებისათვის, რომელიც შექმნილია სოციალური სამართლიანობის მისაღწევად და პლანეტარული სისტემის მდგრადი განვითარებისთვის.

როგორც ფლაგმანი გლობალური სამართლიანობის ფორმულირებისას, შექმნილი გლობალური მმართველობის „სიმახინჯის“ აღმოსაფხვრელად საჭიროა შეიქმნას სოციალური სამართლიანობა, როგორც ადამიანის სოციალური უფლებები და მისი თავისუფლების განსახიერება თანასწორობის პრინციპებზე.

როგორც განვითარებადი გლობალური კანონის ფლაგმანი ფილიალი, რომელიც შექმნილია გლობა-

ლური სოციალური მმართველობის დისბალანსის შესაცვლელად სამართლიანობას შეიძლება ეწოდოს ადამიანის უფლებები. ეს არის ადამიანის უფლებებში განხორციელებული სოციალური სამართლიანობა და ეს არის ადამიანის უფლებები, მისი თავისუფლების განსახიერება - თანასწორობის პრინციპებით.¹¹

ამიტომ, დღეს სოციალური სამართლიანობის იდეალები მაქსიმალურად უნდა იყოს განხილული საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებებში, რომელთა განხორციელება უნდა გახდეს უპირობო პრიორიტეტი სამართლიანობის შემსწავლელ თეორეტიკოს და პრაქტიკოს მეცნიერთათვის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Воронцов В.В. Симфония разума. - Саратов, 1979. с. 342
2. Ратленд П. Глобализация и посткоммунизм// Мировая экономика и международные отношения. - 2002. - №4. с. 15
3. Коммерсантъ.2006.26января. с. 2
4. МЭМО. 2002.№ 4. с.22
5. Федотова И. - Социальное неравенство делает людей несчастными // URL:<http://www.opes.ru/1712199.html> (Дата обращения: 17.02.2016).
6. Экономические и социальные права человека и гражданина: современные проблемы теории и практики / Гаврилова Ю.В., Крикунова А.А., Рудинский Ф.М., Сошникова Т.А.; Под общ. ред.: Рудинский Ф.М. - М.: Права человека, 2009.
7. Глобальное управление в XXI веке: инновационные подходы =Global Governance in the XXI Century: Innovative Approaches / [под ред. Ал.А. Громыко] . - М. : Ин-т Европы РАН : Нестористория, 2013. С. 54-55.
8. Ильин И.В., Каверин М.А. Вопросы преобразования международных организаций в институты глобального управления // Век глобализации. 2014. № 2. С. 37.
9. Альтинг фон Гейнзау Франс А.М. Как совершить переход к правовому обществу? М. 1997. С.51.
10. Чумаков А. Н. Глобальный мир: проблема управления // Век глобализации. 2010. № 1. С. 3-15.)
11. Урсул А. Д. Глобальное измерение права // NB: Вопросы права и политики. 2012. № 5. С. 90-146.

7 Глобальное управление в XXI веке: инновационные подходы =Global Governance in the XXI Century: Innovative Approaches / [под ред. Ал.А. Громыко] . - М. : Ин-т Европы РАН : Нестористория, 2013. С. 54-55.

8 Ильин И.В., Каверин М.А. Вопросы преобразования международных организаций в институты глобального управления // Век глобализации. 2014. № 2. С. 37.

9 Альтинг фон Гейнзау Франс А.М. Как совершить переход к правовому обществу? М. 1997. С.51.

10 Чумаков А. Н. Глобальный мир: проблема управления // Век глобализации. 2010. № 1. С. 3-15.)

11 Урсул А. Д. Глобальное измерение права // NB: Вопросы права и политики. 2012. № 5. С. 90-146;

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების თავისებურებანი და ტენდენციები (1990-2020 წლები)

რუსუდან ფირცხალავა

*სტუ-ს ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა
და ბუნებრივი რესურსების
შემსწავლელი ცენტრის თანამშრომელი,
ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი*

რეზიუმე

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერის სიმდიდრე და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური აქტივია რომელზეც არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობა და განვითარება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შემადგენლობაში შედის: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები); სათბურები; შიდასამეურნეო გზებისათვის განკუთვნილი მიწები; სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების კომუნიკაციები; ტყის ზოლები, რომლებიც იცავს მიწებს სხვადასხვა ნეგატიური ფაქტორებისაგან (ქარისმიერი ეროზია); წყლის ობიექტები; საწარმოო და სამაცივრო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, რომელთა დანიშნულებაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავება და დასაწყობება¹. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები საჯარო რეესტრში აღრიცხული უნდა იყოს შესაბამისი კატეგორიით.

ჩვენ განვიხილეთ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების თავისებურებანი და ტენდენციები.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო მიწა, ნათესი ფართობები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სურსათის ექსპორტი-იმპორტი.

ОСОБЕННОСТИ И ТЕНДЕНЦИИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЗЕМЕЛЬ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО НАЗНАЧЕНИЯ (1990-2020 ГГ.)

Р. Пирцхалава

Грузинский Технический Университет
Научный центр по изучению производственных
сил и природных ресурсов Грузии им. И.Жордания
научный сотрудник, докторант

РЕЗЮМЕ

Земли сельскохозяйственного назначения – это национальное богатство и важнейший экономический актив. От них зависит материальное благополучие страны и её дальнейшее развитие. В состав сельскохозяйственных земель входит: сельскохозяйственные угодья (пашня, кормовые угодья, многолетние насаждения); парники; дороги и коммуни-

кации для внутривладельческого использования; лесные полосы, для защиты земель от негативных факторов (ветровая эрозия почв); водные объекты; здания промышленного и холодильного назначения и т.д. Сельско-хозяйственные земли числятся в государственном реестре в соответствующей категории.

Мы рассматриваем те свойства и тенденции сельско-хозяйственных земель, которые проявились в период перехода страны на рыночную экономику.

Ключевые слова: сельско-хозяйственные земли, обработанные земли, сельско-хозяйственная продукция, экспорт-импорт продовольствия.

ძირითადი ტექსტი

ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები განაპირობებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესის თავისებურებებს. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენება ვლინდება საკუთრების ფორმების მიხედვით. მისი სხვადასხვა ფორმის (სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო, შერეული) გამოყენება არის სოფლის მეურნეობაში მრავალწილობიანობის (მრავალსუბიექტობიანობის) საფუძველი. მრავალწილობიანობა თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

მიწის სხვადასხვა ხარისხის (ნიადაგების მრავალფეროვნება) და ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური კანონების ერთდროულად მოქმედების პროცესში ობიექტურად ყალიბდება სხვადასხვა კულტურების ურთიერთშეთანხმების აუცილებლობა. ის განაპირობებს სპეციალიზაციის დივერსიფიკაციას და სტიმულს აძლევს წარმოების ინტენსიური გზით განვითარებას.

აღნიშნული და სხვა სპეციფიკური პირობები უშუალო გავლენას ახდენენ მიწის გამოყენებაზე. განვიხილოთ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენების დონეს გვიჩვენებს ნათესი ფართობების შემცირების ტენდენცია. ცხრილიდან 1 ჩანს, რომ 1990-2020 წლებში ნათესი ფართობები შემცირდა 492 ათასი ჰექტრით. მათ შორის ხორბლის ფართობი - 44,3 ათასი ჰექტრით, სიმინდის - 24,6 ათასი ჰექტრით, ბოსტნეულ-ბალჩეულის - 23,9 ათასი ჰექტრით, კარტოფილის - 11,9 ათასი ჰექტრით (ცხრილი 1).

1 http://frskuban.ru/index/php?option=com_content&view=article&cid.

ცხრილი 1 სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა)

ფართობი	1990 ¹	1995	2003	2012	2014	2018 ²	2019	2020	2020 წ 1990 წლის მიმართ +/-
ნათესი ფართობი სულ	701,9	453,1	561,7	259,6	274,9	207,1	203,0	209,9	-492
მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები	269,8	259,9	371,0	186,9	213,0	153,2	152,4	102,1	-167,7
ხორბალი	91,7	61,3	174,9	50	48,6	43,6	43,6	47,4	-44,3
სიმინდი	107	142,4	203,2	114,8	129,1	72,8	74,7	82,4	-24,6
ბოსტ.-ბაღჩეული	39,5	30,8	35,3	27,1	22,4	15,4	32,1	15,6	-23,9
კარტოფილი	27,8	23,2	27,1	25,8	18,2	18,9	16,4	15,9	-11,9

1 სტატისტიკური წელიწადეული 1999 წ. გვ. 173-175

2 საქსტატი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020. გვ.33, 34

ცხრილი 2 მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები 1990 -2020 წლებში (ათასი ტონა)

კულტურები	1990 ¹	1995 ²	2003	2012	2014	2019	2020	2020 წ 1990 წლის მიმართ +/-
ხორბალი	257,7	76,6	225,4	80,7	47,5	100,6	102,4	-155,3
სიმინდის მარცვალი	270,2	386,5	461,9	267,0	291,6	207,1	255,0	-15,2
ლობიო	7,3	14,8	12,1	9,6	7,6	5,9	5,2	-2,1
კარტოფილი	293,8	353,3	425,2	252,0	215,3	194,7	208,6	-85,2
ბოსტნეული	443,2	428,3	430,1	198,5	153,6	161,1	176,1	-267,1
ბაღჩეული	38,8	12,9	125,0	36,7	86,1	79,9	83,6	+44,8
ყურძენი	691,0	422,4	200,0	144,0	172,6	293,8	316,9	-374,1
ხილი	591,2	383,9	260,0	157,9	210,8	144,4	228,6	-362,6
ციტრუსები	283,1	118,0	40,0	77,0	69,8	64,0	56,8	-226,3
ჩაის ფოთოლი	501,7	38,5	24,0	2,6	1,8	2,0	2,4	-499,3
ხორცი (დაკლული წონით)	170,3	115,4	108,9	42,6	878,9	69,5	69,4	-100,9
რძე (მლნ ლიტრი)	659,4	475,4	765,1	589,5	555,3	561,8	569,0	-90,4
კვერცხი (მლნ ცალი)	769,2	269,4	458,1	474,0	634,8	661,2	674,5	-94,7

1 სტატისტიკური წელიწადეული 1999, გვ.176-177

2 სტატისტიკური წელიწადეული 2009, გვ.174

ნათესი ფართობების შემცირებას თან ახლდა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მკვეთრად შემცირება (ცხრილი 2).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2020 წელს ხორბლის წარმოება შემცირდა 1990 წელთან შედარებით 2,5-ჯერ, სიმინდის მარცვლისა - 1,1-ჯერ, ლობიოსი - 1,4-ჯერ, კარტოფილის - 1,4-ჯერ, ბოსტნეულის - 2,5-ჯერ. მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი კულტურების წარმოება. მაგალითად, ხილის წარმოება

შემცირდა - 2,6-ჯერ, ციტრუსებისა - 5-ჯერ, ყურძნის - 2,2-ჯერ, ჩაის ფოთოლის - 209-ჯერ. შემცირებით ხასიათდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაც. მაგალითად, ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში) შემცირდა 2,5-ჯერ, კვერცხის წარმოება - 1,2-ჯერ, რძისა - 1,2-ჯერ.

მემცენარეობის პროდუქციის წარმოებაში გადამწყვეტია ოჯახური მეურნეობების წილი (ცხრილი 3). მაგალითად, ქვეყანაში 2020 წელს ოჯახ-

ცხრილი 3 ოჯახური მეურნეობების წილი მემცენარეობის პროდუქციის წარმოებაში (%)¹

	2010	2012	2014	2017	2018	2019	2020 ²
ხორბალი	85	94	92	85	89	85	92,3
სიმინდის მარცვალი	99	98	97	91	93	93	95,8
ლობიო	100	100	100	100	100	99	98,9
კარტოფილი	100	99	99	99	100	98	97,9
ბოსტნეული	100	98	97	86	92	91	90,4
ბალჩეული	100	100	100	100	100	100	100
ხილი	99,7	99,7	99,4	90,9	92,8	90,7	92,5
ციტრუსები	99,9	99,9	100	99,9	99,7	99,1	99,6
ყურძენი	92,3	91,5	95,1	83,9	87,2	86,1	88,1
ჩაის ფოთოლი	68,0	57,7	59,8	73,3	72,3	59,9	39,4

2 საქსტატი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020. გვ.63

ცხრილი 4 ოჯახური მეურნეობების წილი მეცხოველეობის სულადობაში (%)

	2010	2012	2014	2017	2018	2019	2020
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	99,7	99,6	99,7	99,2	99,3	98,0	97,9
აქედან							
ფური და ფურკამეჩი	99,6	99,7	99,7	99,3	99,1	97,5	97,5
ლორი	99,4	99,2	90,8	94,7	91,3	90,4	83,5
ცხვარი და თხა	96,6	96,1	97,6	96,9	96,8	97,1	96,8
ფრინველი	76,7	72,1	71,6	48,9	44,3	35,7	38,3
ფუტკრის ოჯახი	99,9	100	99,8	98,8	95,0	93,5	91,1

ურ მეურნეობებზე მოდის წარმოებული ხორბლის 92,3%, სიმინდის მარცვლის - 95,8%, ლობიოს - 98,9%, ბოსტნეულის - 90,4%, ბალჩეულის - 100%, ხილის - 92,5%, ციტრუსების - 99,6%, ყურძნის - 88,1% და ჩაის ფოთლის - 39,4%.

ოჯახური მეურნეობების წილი (ცხრილი 4) მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მიხედვით 2020 წელს შეადგენდა 97,9%-ს, მათ შორის: ფურისა და კამეჩის - 97,5%, ლორის - 83,5%-ს, ცხვრისა და თხის - 96,8%, ფრინველის - 38,3, ფუტკრის ოჯახისა - 91,1% (ცხრილი 4).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მკვეთრმა შემცირებამ მემცენარეობასა და მეცხოველეობაში განაპირობა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე იმპორტული სასურსათო პროდუქციის დომინირებადი მდგომარეობა. არსებული მონაცემების ანალიზით მტკიცდება, რომ ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა არსებითად დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე, რაც მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის ისეთი პროდუქცია, რომლის ადგილზე წარმოების ხელსაყრელი პირობები შექმნილია (ხორბალი, ბოს-

ტნეული, ფრინველის ხორცი, თევზი, მცენარეული ზეთი, ჩაი და სხვ.). ნიშანდობლივია, რომ შესაბამისი ღონისძიებები მიზანმიმართულად არ ხორციელდება საექსპორტო პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის. მაგალითად, 2019 წელს (პანდემიის წინა წელიწადი) ქვეყანაში შემოტანილი იყო 980,9 მლნ აშშ \$-ის იმპორტული სასურსათო პროდუქცია, ხოლო სურსათის ექსპორტი შეადგენდა - 244,6 მლნ აშშ \$-ს (საღდო შეადგენს - -736,3 მლნ აშშ \$-ს). 2019 წელს ქვეყანაში შემოტანილი იყო: ხორბალი - 513,7 ათასი ტონა, პურის ფქვილი - 16,9 ათასი ტონა, შაქარი - 128,6 ათასი ტონა, ხორცი - 21,2 ათასი ტონა, მცენარეული ზეთი - 48 ათასი ტონა, ბოსტნეული - 105,7 ათასი ტონა, ხილი - 100,3 ათასი ტონა და სხვ. ქვეყანაში იმპორტირებული სურსათის საშუალო წლიური მაჩვენებელი 2017-2020 წლებისათვის შეადგენს: ხორბლის - 524,1 ათას ტონას, ბოსტნეულის - 105,6 ათას ტონას, ხილის - 86,1 ათას ტონას, ხორცის - 19,9 ათას ტონას, მცენარეული ზეთის - 46,7 ათას ტონას და სხვა. ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რე-

სურსების გამოყენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია კომპლექსურად განხორციელდეს ორგანიზაციული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეკოლოგიური ღონისძიებები.

კერძოდ, აუცილებელია მიწის რესურსების გამოყენებაში დაცულ იქნას სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების შეხამების პრინციპი. ქვეყნის მიწის ფონდის (მიუხედავად საკუთრებისა) მართვაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მსხვილი და წვრილი მეურნეობების ინტეგრაციას, მიწების ათვისებისა და დეგრადაციის წინააღმდეგ ღონისძიებებში ახალი ტექნოლოგიების და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე ფორმების გამოყენებას, მიწების კონსოლიდაციას. ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალურად გამოყენებისათვის აუცილებელია შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო პროგრამა.

ქვეყანაში მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაში განმსაზღვრელი როლის შესრულება შეუძლია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. სამსახუროდ, მისი განვითარება სანყის ეტაპზეა. კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ“ ფაქტობრივად არ სრულდება. ჩამოყალიბებული არ არის კოოპერაციის, როგორც პროცესის რეგულირების (მართვის) ერთიანი ორგანიზაციული სისტემა. მსხვილი წარმოების წვრილი ოჯახური მეურნეობით ჩანაცვლებამ შეზღუდა წარმოების მექანიზაციის განვითარების პირობები.

მიზანშეწონილია შემუშავდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც აისახება განვითარების რეგიონული თავისებურებანი, ასევე ქართველი მეცნიერების რეკომენდაციები.

წარმოებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი როლი აკისრია პროგნოზირებასა და სტრატეგიულ დაგეგმვას. აღსანიშნავია, რომ მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და დაგეგმვა (გეგმა) კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და სხვა სახის პროგნოზებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის სახელმწიფო ფონდი უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსების პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტი.

ქვეყანაში ჯერ კიდევ მოუგვარებელია მიწის რესურსების აღრიცხვა და რეგისტრაცია. საქართველოს მიწის ფონდის (ბალანსი) ანალიზი 2005

წლის შემდეგ არ გაკეთებულა. ამიტომ ქვეყანაში ცნობილი არ არის როგორია ცვლილებები მიწის ფონდის სტრუქტურაში. განსაკუთრებით ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიწის დაცვის ღონისძიებები არ ხორციელდება, ნიადაგის დეგრადაციის მონაცემები განახლებულიც არ არის. მკვეთრად შემცირდა სარწყავი ფართობები, მეორადი დაჭაობების პროცესიც ღრმავდება.

ჩვენი აზრით, უნდა შედგეს სასოფლო-სამეურნეო მიწის დეგრადაციის (ეროზიის, დაჭაობების, გაუდაბნობების, დაბინძურების და ა.შ.) სანინაღმდეგო ღონისძიებათა სქემა 2030 წლის პერიოდისათვის.

სრულყოფას საჭიროებს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკანონმდებლო ბაზა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა. ტრანსფორმაცია პრობლემები პერსპექტივები. თბილისი, 2015 წელი.
2. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამონვევები და სტრატეგია, თბილისი, 2018 წელი.
3. პ. კოლუაშვილი. აგრარული რეფორმა, შედეგები და პერსპექტივები. თბილისი 1999 წ.
4. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. თბილისი 1996წ. 22 მარტი.
5. ა. მესხიშვილი. მიწას პატრონი უნდა გამოუჩინდეს. „ბიზნესი და კანონმდებლობა“ იანვარი-N1 თბილისი 2009წ.
6. საქართველოს 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, საქსტატი, თბილისი, 2015 წელი.
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წლები.
8. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობათა კრებული. თბილისი, 2004.
9. დამუკელაშვილი. „კოოპერაციისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის როლი და განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2020 წ.
10. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. ФАО., рим., 2018 г.

ეკონომიკის კვლევის გობიერთი თანამედროვე მიმართულების შესახებ

გია კვაშილავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

შრომაში წარმოდგენილია ეკონომიკის როგორც სისტემის კვლევის სხვადასხვა მიმართულება სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.

ავტორი ქვემოთ განსაზღვრავს სტატიკური და დინამიკური ეკონომიკის, შედარებითი ეკონომიკის, მათემატიკური ეკონომიკის, ისტორიული ეკონომიკის, ეკონომიკური პალეონტოლოგიისა და წინარეისტორიული (ისტორიამდელი ხანის) ეკონომიკის მნიშვნელობას.

თემაში დასმულია წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების რეკონსტრუქციის (აღდგენის) პრობლემა. წინარეისტორიული ეკონომიკა მოიცავს ადამიანის წარმოშობის ისტორიიდან წერილობითი ძეგლებით დამონმებულ ეპოქამდე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკის კვლევა, ეკონომიკური სისტემა, სტატიკური და დინამიკური ეკონომიკა, შედარებითი ეკონომიკა, მათემატიკური ეკონომიკა, ისტორიული ეკონომიკა, ეკონომიკური პალეონტოლოგია და წინარეისტორიული ეკონომიკა.

შესავალი

მატერიალური ცხოვრების საერთო, კონკრეტულ-ისტორიული პირობების დროს გარკვეულ წარმოებით ურთიერთობაში მყოფი ადამიანთა ჯგუფის ანუ საზოგადოების ეკონომიკური განვითარება მუდმივად ცვალებადი პროცესია, რომელიც დღით-დღე რთულდება და მოითხოვს მისი შესწავლისადმი მრავალმხრივ მიდგომას. ამიტომ, ამის შესაბამისად, ჩნდება ეკონომიკის კვლევის ახალი დარგები და მიმართულებები, რომლებიც აღწერენ მას სხვადასხვა კუთხით. ამ მხრივ ბოლო დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია და სხვა) შემუშავებული მეთოდების გამოყენება; მაგრამ მათი თავმოყრა და გამოყენება ეკონომიკის როგორც ობიექტური რეალობის კვლევისა და გააზრებისთვის მისი მთლიანობასა და ისტორიული განვითარების პროცესში ჯერ კიდევ არაა დასრულებული და ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად დღემდე რჩება. ეს შრომა აღნიშნულ საკითხს ეხება.

ძირითადი ტექსტი

„ეკონომიკა როგორც ობიექტური რეალობის, ანუ იგივე მატერიალური სინამდვილის სფერო, – ესაა სწორედ ადამიანთა მიერ ბუნების საგნების მითვისება თავიანთ მოთხოვნილებათა შესაბამისად გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში და მათ მეშვეობით, ანუ ესაა ადამიანთა მიერ საარსებო საშუალებათა (იგივე მატერიალური დოვლათის) შექმნის (მოპოვების, დამზადების), ანუ საკუთრივ წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ერთობლიობა“ (სიჭინავა 2011:35, 36).

ეკონომიკური სისტემა შესაძლებელია შესწავლილი იქნეს ანალიზისა და სინთეზის კვლევის მეთოდებით, სტატიკური და დინამიკური მდგომარეობებით (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:172, 248–256). მას ელემენტებად ვშლით და ვარკვევთ მათ შორის არსებულ მიმართებებს. ეს ანალიზის ანუ დანაწევრების მეთოდია. სინთეზის მეთოდის დროს ხდება მოცემულ ელემენტთა კომბინირება, რომელთა მიხედვით აიგება ახალი სისტემა (სიჭინავა და სხვ. 2019:255).

უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკის შესწავლა აბსტრაქტული მოდელების აგების გზით, რომლის ინტერპრეტაციისას მივიღებთ განსახილველ ეკონომიკურ სისტემებს. ეკონომისტი აგებს თავის მოდელს პირობით სამყაროს მიმართ, რომელ-

ON SOME MODERN DIRECTIONS FOR THE ECONOMICS RESEARCH

Gia Kvashilava

PhD Student in Economics at GTU

ABSTRACT

The paper presents the various directions of the research of economics as the system to according special literature.

The author shall explain below the meaning of Static and Dynamic Economics, Comparative Economics, Mathematical Economics, Historical Economics, Economic Paleontology, and Prehistoric ('pre-literary history') Economics.

The topic involves the problem of the reconstruction of prehistoric economic systems. The prehistoric economics encompasses the period from the origins of human history to the advent of written records. Human prehistory is divided into three successive periods: the Stone Age, the Bronze Age, and the Iron Age.

Keywords: Research of Economics, Economic System, Static and Dynamic Economics, Comparative Economics, Mathematical Economics, Historical Economics, Economic Paleontology, Prehistoric Economics.

შიც რეალობა მეტ-ნაკლებად გამარტივებულია, და ახასიათებს რეალურ ეკონომიკურ სისტემას ამ მოდელთან შედარების გზით (სიჭინავა და სხვ. 2019:290-295).

ეკონომიკური სისტემების რალაც ელემენტთა გამოყოფა და მათი გარკვეული წესით კომბინაცია, მოდელირება იძლევა ეკონომიკური სისტემის სტატიკურ აღწერას, ანუ ეკონომიკურ სისტემის შესწავლას დროის ერთ გარკვეულ მცირე პერიოდში, რომლის განმავლობაში ეკონომიკა განიხილება როგორც უცვლელი მდგომარეობა.

სტატიკურ სისტემათა დინამიკა¹ დროსთან მიმართებით იძლევა ეკონომიკური სისტემის ისტორიული განვითარების თანამიმდევრობას. ეკონომიკურ სისტემათა სტატიკური საფეხურების დროის მიხედვით თანმიმდევრობითი აღწერა დინამიკური ეკონომიკის (Dynamic Economics) ამოცანაა (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:34, 144, 172, 294). ამდენად, ეკონომიკის დინამიკური ანალიზი გულისხმობს ეკონომიკის ცალკეულ სტატიკურ სისტემათა თანამიმდევრული ტრანსფორმაციის აღწერას. მაშასადამე, მეთოდოლოგიურად ეკონომიკის როგორც სისტემის სტატიკური აღწერა, რომელიც არის ეკონომიკურ სისტემაში შემავალი ელემენტებისა და მათი ურთიერთმიმართებებისა, წინ უსწრებს ეკონომიკის დინამიკურ შესწავლას.

ეკონომიკური სისტემების ელემენტთა კანონზომიერი მიმართებანი დინამიკურ უნივერსალიებს ეკუთვნიან და გადმოიცემა შემდეგი ფორმულის სახით: $\forall E, E \in U \Rightarrow \exists x \in E$, რაც აღნიშნავს იმას, რომ „ნებისმიერი E-სთვის, თუ E არის ეკონომიკა (ე.ი., ერთი სტატიკური მდგომარეობა), მაშინ არსებობს ერთი მაინც x ელემენტი E-ში“. უნივერსალიათა კატეგორიას ეკუთვნის შემდეგი დებულება: „ნებისმიერი ეკონომიკა იცვლება“, მაგრამ აუცილებელი არაა ეკონომიკაში ყველაფერი იცვლებოდეს. პირიქით, როგორც წესი, ეკონომიკური სისტემის რომელიმე ერთი ნაწილი დროთა ვითარებაში იცვლება ზოგჯერ ევოლუციურად, ანდა ზოგჯერ რევოლუციურად, მაშინ როდესაც მისი მეორე ნაწილი უცვლელი რჩება.

ეკონომიკის განვითარება ისტორიული თანამიმდევრობით უწყვეტად მიმდინარეობს, ანუ უწყვეტი ტრანსფორმაცია ხდება დროში გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემისა, რომლის დანაწევრებას ეკონომისტი ახდენს და განიხილავს ეკონომიკის დისკრეტულ, ცალკეულ მდგომარეობებს საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით. რაც უფრო მცირეა დროის ეს მონაკვეთი აღსაწერ მდგომარეობებს შორის, მით უფრო სრულია ეკონომიკური მოძღვრებების – ეკონომიკის ისტორიისა, ანდა ეკონომიკური აზრის ისტორიის გადმოცემა.

ამერიკელმა ეკონომისტმა, ჯონ კლარკმა (John Bates Clark, 1847-1938) პირველმა დაყო ეკონომიკა – როგორც სისტემა – „სტატიკურ“ და „დინამიკურ“

ანალიზებად (Clark 1908[1899]; Clark 1915[1907]). რუსი ეკონომისტის, ნიკოლაი კონდრატეივის (Николай Дмитриевич Кондратьев, 1892-1938), ინგლისელი ეკონომისტების, როი ჰაროდის (Henry Roy Forbes Harrod, 1900-1978) და ჯონ ჰიქსისა (John Richard Hicks, 1904-1989; ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, 1972) და სხვათა მიერ შემუშავებული იყო მეთოდები ეკონომიკის სტატიკური ანალიზისა, რომელიც გამოყენებულია ეკონომიკის დინამიკური შესწავლის დროს (Kondratieff 1925; Harrod 1939; Harrod 1948; Hicks 1946; Hicks 1965; Hicks 1985; შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:137, 172-173). ეკონომიკის როგორც მეცნიერული დარგის ჩამოყალიბება გულისხმობს სტატიკასა და დინამიკას შორის არსებული ლოგიკური წინააღმდეგობების გადალახვასა და სტატიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორიების გამთლიანებას.

დინამიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ეკონომიკაში დროში მიმდინარე ცვლილებებისა და გარდაქმნების სისტემური აღწერა და შესწავლა მისი წინარეისტორიული განვითარების შესაბამისი მოდელის აღდგენის გზით.

მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ აღვადგინოთ ეკონომიკის წინარეისტორია, ანდა ეკონომიკური აზრის წინარეისტორია?

ამ კითხვაზე პასუხი გაცემა სწორედ დინამიკური ეკონომიკის ამოცანას შეადგენს. ეკონომიკის წინარეისტორიისა, ანდა ეკონომიკური აზრის წინარეისტორიის აღდგენა შესაძლებელია დინამიკური ეკონომიკის კვლევის იმ განსაკუთრებული ხერხით, რომელსაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ეწოდება (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:142-145).

რა თქმა უნდა, დინამიკური ეკონომიკის შესწავლას სირთულეები თან ახლავს, რომელიც დაკავშირებულია დროის მიხედვით ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობის გარკვევასთან.

დინამიკური ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შედარებით-ისტორიული მეთოდისა და რეკონსტრუქციის (აღდგენის) საშუალებით დადგინდეს ეკონომიკურ ცვლილებათა შეფარდებითი ქრონოლოგია, რათა წარმოდგინდეს ეკონომიკის განვითარების საფეხურები წინარეისტორიული ხანიდან თანამედროვე ისტორიული (წერილობითი ძეგლებით დამონმებული) ეპოქის ჩათვლით; მაგრამ ამ მიზნის განხორციელება და მიღწევა ძალიან რთული ამოცანა იქნება, თუ შედარებითი ანალიზის შედეგად ეკონომიკური განვითარების თითოეული საფეხურის აღწერისას გათვალისწინებული არ იქნება მასში არსებული ელემენტებს შორის არსებული კანონზომიერი მიმართებანი. ამდენად, ეკონომიკის სხვადასხვა საფეხურების ერთმანეთისგან გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური სისტემის დინამიკური ანალიზის დროს. დროის მიხედვით, ეკონომიკურ ტრანსფორმაციათა, ცვლილებათა თანამიმდევრობის შეფარდების დადგენა დინამიკური ანალიზის ძირითადი პრინციპია.

ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაცია დროში ნათლად ჩანს კონკრეტული ეკონომიკის სხვადასხვა პერიოდის ნერილობით ძეგლებში მოცემული ეკონომიკური მასალების შედარებისას.

ეკონომიკური სისტემა თანდათანობით იცვლება იმ კვალობაზე, როდესაც მასში – როგორც ელემენტთა არასრულ სისტემაში – მომხდარი ცვლილებები არ იწვევს ელემენტთა ურთიერთდამთხვევას; მაგრამ ეს ცვლილებები ეკონომიკაში გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული, ისინი არ მიმდინარეობს სრულიად თავისუფლად და ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე.

არაადვილია იმის თქმაც, თუ რა იწვევს ეკონომიკური სისტემის დროში მიმდინარე ცვლილებებს. ამგვარ ცვლილებათა ერთ-ერთი დასაშვები ფაქტორი შეიძლება იყოს ადამიანთა ნარმოებით ურთიერთობათა განსხვავებულობანი. აგრეთვე დასაშვებია სხვა ფაქტორებიც, მაგ., ადამიანთა მიგრაციები, რომლებიც ეკონომიკური სისტემის ცვალებადობას ახდენს.

ეკონომიკის დინამიკური თვალსაზრისით შესწავლის შემდეგ ჩნდება ახალი ამოცანა ამგვარად ნარმოდგენილი ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებისა. ეკონომიკის დარგს, რომელიც სწავლობს ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებას, ეწოდება შედარებითი ეკონომიკა (Comparative Economics) (Cameron 1961:231–239; Angresano 1996; Djankov et al. 2003; Dallago 2004). შედარებითი ეკონომიკა შეიძლება დაიყოს ორ მიმართულებად. ერთი მიმართულებაა ისტორიულ-შედარებითი ეკონომიკა (Comparative Historical Economics), რომელიც სპეციალური მეთოდების გამოყენებით ახდენს ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებას დროსთან მიმართებით (შდრ. Kindleberger 1978:2). მეორე მიმართულებაა ტიპოლოგიური ეკონომიკა (Typological Economics), ანუ ეკონომიკური ტიპოლოგია (Economic Typology) (Grapendaal et al. 1995:123), რომელიც გარკვეული ნიშნების საფუძველზე ახდენს ეკონომიკური მოვლენებისა და ფაქტების სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას. ეკონომიკური ტიპოლოგიის ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური სისტემებს შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დადგენა და უნივერსალიების გამოვლენა. ეკონომიკურ ტიპოლოგიას შეიძლება დაუკავშიროთ კონტრასტული ეკონომიკა (Contrasting Economics), ანუ შეპირისპირებითი ეკონომიკა, რომელიც შეისწავლის კონკრეტული ეკონომიკური სისტემას სხვა ეკონომიკურ სისტემასთან შეპირისპირებით და ამ გზით გამოაჩენს მათ შორის არსებულ განსხვავებებს (Turgeon 1963). უნივერსალია, რომელიც დამახასიათებელია ეკონომიკური სისტემებისთვის, შეიძლება იყოს აბსოლუტური ან სტატისტიკური, დედუქციური ან ინდუქციური (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:235–238, 260–270).

ეკონომიკურ სისტემათა ტიპოლოგიური აღწერა შეიძლება იყოს კვალიტატიური, ანუ თვისობრივი

და კვანტიტატიური, ანუ რაოდენობრივი, რომლებიც იცვლებიან სისტემების ტრანსფორმაციისას (შდრ. სიჭინავა და სხვ. 2019:32, 74, 77, 115–117, 124).

ტიპოლოგიური კვლევისას ირკვევა, რომ ეკონომიკური სისტემები რალაცა ერთიანი, ზოგადი უნივერსალური ეკონომიკური მოდელების განსაზღვრულ შემთხვევებს წარმოადგენენ. აგრეთვე გარკვეულ მონაცემებზე დამყარებით დგინდება ტიპოლოგიური კანონები, უნივერსალური მახასიათებლები, უზოგადესი კანონზომიერებები და პრინციპები, რომელთა მიხედვით ერთ განსახილველ ეკონომიკურ სისტემაში შესაძლებელი ხდება რომელიმე ეკონომიკური მოვლენის არსებობის პროგნოზირება სხვა ეკონომიკური მოვლენის არსებობიდან გამომდინარე.

ამდენად, ყველა ეკონომიკურ სისტემას საფუძვლად უდევს გარკვეული უნივერსალური ზოგადი მოდელი, რომელიც სხვადასხვა სახით გამოჩნდება კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემაში.

ეკონომიკური განვითარების მოდელირება უკავშირდება მათემატიკური ეკონომიკის (Mathematical Economics) პრობლემატიკას (Takayama 1985; სიჭინავა და სხვ. 2019:228), რაც ეკონომიკური სისტემების კვლევის ორ მოსაზრებას აერთიანებს. ერთია სისტემის სტატისტიკური დამუშავება, რომელსაც ახდენს სტატისტიკური ეკონომიკა (Statistical Economics) (Mandelbrot 1963). მეორეა ეკონომიკური სისტემების შესაბამისი მათემატიკური მოდელების აგება, რომელსაც ახდენს ალგებრული ეკონომიკა (Algebraic Economics) (Schelling 1951). მათემატიკური ეკონომიკა ეკონომიკური ამოცანების ამოსახსნელად იყენებს მათემატიკურ მეთოდებს, ახდენს ეკონომიკური პროცესების ფორმალიზაციას და წარმოადგენს ეკონომიკურ სისტემებს მკაცრად ფორმალიზებული სისტემის სახით.

ეკონომიკის ადრინდელი საფეხურების აღდგენა, ეკონომიკური მოვლენების პროგნოზირება და ამნიარად ეკონომიკის ისტორიული განვითარების, ეკონომიკურ მოვლენათა და ურთიერთობათა რეკონსტრუქცია ხერხდება უძველესი არქეოლოგიური (ნერილობითი და არანერილობითი) ძეგლების შესწავლა-გაშიფრვით. ეკონომიკური სისტემის, როგორც სტატიკური და დინამიკური წყობისა, წინარეისტორიულ ხანაში გავლილი საფეხურების აღდგენა გვაძლევს გარკვეულ მოდელებს, რომლებიც ეკონომიკისა და მათემატიკის ჩასახვა-ჩამოყალიბებასა და განვითარებას უფრო ღრმად აღგვიწერს (კვაშილავა 2020). მხოლოდ ამგვარი კომპლექსური მიდგომა საშუალებას გვაძლევს რეკონსტრუქციული ეკონომიკიდან ისტორიულად დადასტურებული ეკონომიკის დედუქციურება ან, პირიქით, ინდუქციურება იძლევა იმ ფაქტობრივ მონაცემებს, რომელიც ეკონომიკამ და მათემატიკამ გაიარა თავიანთი ფორმირებისა და ისტორიული განვითარების პროცესში დანყებული წინარეისტორიული ხანიდან

თანამედროვე ისტორიული ეპოქის ჩათვლით (კვა-შილავა 2020).

კიდევ ეკონომიკური განვითარების ადრეული საფეხურების აღდგენის პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ხდება რაიმე ნიშნით ახლო მყოფი ეკონომიკური სისტემების ერთმანეთთან შედარება და შეპირისპირება.

ეკონომიკური სისტემები ითვლება საერთო ეკონომიკური სისტემიდან ჩამოყალიბებულად, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის სისტემატური ერთგვარობა ხერხდება. ამ პრინციპმა ხელი შეუწყო ისტორიული ეკონომიკის (Historical Economics) სწრაფ განვითარებას (Bisin and Federico 2021; სიჭინავა და სხვ. 2019:137, 139, 160).

ეკონომიკურ სისტემათა საერთო ეკონომიკური სისტემიდან წარმომავლობა ლოგიკურად მიგვიყვანს წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემის რეკონსტრუქციამდე, რომელიც აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით მოხერხდება მრავალი ეკონომიკური სისტემის დაყვანა ამოსავალი ეკონომიკური სისტემის თეორიულად შესაძლებელ სხვადასხვა მოდელზე, რომელიც მიახლოებული იქნება ოდესღაც არსებული ეკონომიკურ სისტემასთან. ასეთ დროს სწორედ ეკონომიკური უნივერსალები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც აღდგენილი მოდელების რეალურობის დადასტურების მტკიცე კრიტერიუმი. ამ თვალსაზრისით ის მოდელია ნამდვილთან უფრო მიახლოებული, რომელიც მეტად შეესაბამება სტატიკურ ტიპოლოგიურ მონაცემებს; მაგრამ აღდგენილი ეკონომიკური მოდელების მხოლოდ სტატიკურ ეკონომიკურ უნივერსალებთან შესაბამისობა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ვთქვათ, ეს რეკონსტრუქციები რეალობასთან მიახლოებულია. ასევე აუცილებელი პირობაა აღდგენილი ეკონომიკური მოდელების შესაბამისობა დინამიკურ ტიპოლოგიურ მონაცემებთან. ამდენად, აღდგენილი ეკონომიკური მოდელები მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იქნება რეალობასთან მიახლოებული, თუ ის დასტურდება სტატიკური და დინამიკური მონაცემების მიხედვით. სატიტიკური და დინამიკური ტიპოლოგიის გათვალისწინება ეკონომიკური მოდელების აღდგენის დროს აუცილებლად იწვევს კლასიკური ეკონომიკური სისტემის გადასინჯვას და ახლებურად გააზრებას.

თუკი ამოსავალი ეკონომიკური სისტემის აღდგენილი მოდელები იმდროინდელი რეალობას ასახავენ, მაშინ ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ტიპოლოგიურად მიღებად უნივერსალურ ეკონომიკურ კანონზომიერებს, რომლებიც დგინდება სხვადასხვა ეკონომიკური სისტემების ურთიერთშედარებისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე.

მოკლედ გავიმეოროთ ზემოთქმულს. წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების აღდგენა ხდება წერილობით და არაწერილობითი ძეგლებში დადასტურებული ეკონომიკური მოდელების

ურთიერთშედარებისა და ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე და ერთი ეკონომიკური მოდელიდან უწყვეტი ცვლა მეორე, უწინდელი ეკონომიკური მოდელისკენ, მესამე, უფრო ადრეული ეკონომიკური მოდელისკენ და ა.შ. თითოეული მოდელის ტიპოლოგიური დადასტურების შედეგად. ეს ცვლა გრძელდება მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება ის ეკონომიკური მოდელი, რომლის მიხედვით შეიძლება დახასიათდეს წინარეისტორიული ეკონომიკა (Prehistoric Economics) (შდრ. Earle 1982).

აღდგენილი ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ასახავენ ოდესღაც არსებული წინარეისტორიულ ეკონომიკას, იძლევა მისი გავრცელების ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის დადგენასაც.

ეკონომიკის როგორც სისტემის ამგვარი ანალიზით ვლინდება, რომ ეკონომიკური ურთიერთობების კვლევა აუცილებელია მის დამყარებელ ხალხთა კულტურასთან განუყოფლად, რომელიც მოიცავს საზოგადოების ქცევებს, კანონებს, ენებს, რელიგიებს, ინსტიტუტებსა და ღირებულებებს. ამ მიმართულებას ეკონომიკურ პალეონტოლოგიას (Economic Paleontology) უწოდებენ (Driver 1943).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინარეისტორიული ეკონომიკური სისტემების აღდგენა გარკვეული მიახლოებით აღწერს შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებელ ხალხთა სოციალურ ჯგუფებს, მეურნეობებს, მატერიალურ ყოფასა და კულტურას (შდრ. სიჭინავა 2014:48). ამგვარი აღდგენა, რომელიც ისტორიულ რეალობასთან მიახლოებულია, საშუალებას იძლევა, რომ წარსულისა და აწმყოს ეკონომიკური ურთიერთობები და კულტურები ტიპოლოგიურად ერთმანეთს შედარდეს. ამ აღდგენის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მითოსურ გადმოცემებსა და მითოლოგიურ გააზრებებს (სიჭინავა 1999; სიჭინავა 2011:37), რიტუალურ მოტივებსა და არქეოლოგიურ მასალებს, რომელთა მიხედვით ირკვევა სავარაუდო ეკონომიკის ტიპოლოგიური შესაძლებლობანი.

დასკვნა

ამრიგად, ეკონომიკა როგორც სისტემა მოიცავს განსხვავებულ მიმართულებებს და მოითხოვს მის დახასიათებას სხვადასხვა ასპექტით. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში შესაბამისად გამოკვეთილია სათანადო მიმართულებები, რომლებიც ახდენენ ამ ასპექტების უფრო საფუძვლიანად დამუშავებას და ამით ხელს უწყობენ ეკონომიკის გააზრებასაც მის მთლიანობასა და განვითარების პროცესში. ამ მიმართულებების განმტკიცებამ ეკონომიკურ მეცნიერებაში კვლევათა სფერო მნიშვნელოვნად გააფართოვა და მოიცავს საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული, ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების უახლოესი დარგები. ამიტომ ამ

დარგებში შემუშავებული მეცნიერული მეთოდების სისტემების აღდგენისთვის.
თავმოყრა, შესწავლა და სათანადოდ გამოყენება
აუცილებელია წინარეისტორიული ეკონომიკური

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **კვაშილავა 2020:** კვაშილავა გ., ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი ზოგიერთი მასალა ახლო აღმოსავლეთის ძეგლების მიხედვით, სამეცნიერო ჟურნალი *ბიზნეს-ინჟინერინგი*, №3, გვ. 214-218.
2. **სიჭინავა 1999:** სიჭინავა მ., საქართველო და ანტიკური მითოსი: სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების საფეხურები, დის. ეკონ. მეცნ. დოქტ., თბილისი.
3. **სიჭინავა 2011:** სიჭინავა, მ., ეკონომიკის პროპედევტიკა, სამეცნიერო ჟურნალი *ეკონომიკა და ბიზნესი*, გვ. 35-40.
4. **სიჭინავა 2014:** სიჭინავა, მ., ეკონომიკის პროპედევტიკა: კურსის აგების სიძნელეები და პრინციპები, სამეცნიერო ჟურნალი *ეკონომიკა და ბიზნესი*, გვ. 45-52.
5. **სიჭინავა და სხვ. 2019:** სიჭინავა ა., ვეშაპიძე შ., ფოლია გ., სენიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ., კვარაცხელია ლ., ქირია ვ., ჭიკაიძე ნ., მენაბდე-ჯობაძე ე., ყურაშვილი გ., კიკვაძე ტ., შენგელია რ., კაიშაური თ., აბუაშვილი თ., როსტიაშვილი თ., *ეკონიკური კვლევის მეთოდები*, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი, თბილისი.
6. **Angresano 1996:** Angresano, J., *Comparative Economics*, Prentice Hall.
7. **Bisin and Federico 2021:** Bisin, A., Federico G. (Ed.), *The Handbook of Historical Economics*, Academic Press.
8. **Cameron 1961:** Cameron, R. E., Comparative Economic Progress: A Review Article, *Comparative Studies in Society and History*, Journal, Cambridge University Press, Vol. 3, Issue 2, pp. 231-239.
9. **Clark 1908[1899]:** Clark, J. B., *The Distribution of Wealth: A Theory of Wages, Interest and Profits*, London: Macmillan & Co.
10. **Clark 1915[1907]:** Clark, J. B., *Essentials of Economic Theory: As Applied to Modern Problems of Industry and Public Policy*, New York: the Macmillan Company.
11. **Dallago 2004:** Dallago, B., Comparative Economic Systems and the New Comparative Economics, *European Journal of Comparative Economics*, Vol. 1, №1, pp. 59-86.
12. **Djankov et al. 2003:** Djankov, S., Glaeser, E., La Porta, R., Lopez-de-Silanes, F., and Shleifer, A., The New Comparative Economics, *Journal of Comparative Economics*, Vol. 31, №4, pp. 595-619.
13. **Driver 1943:** Driver, H. L., Economic Paleontology and Mineralogy – An Appraisal, *AAPG Bulletin*, Vol. 27, №7, pp. 938-947.
14. **Earle 1982:** Earle, K. T., Prehistoric Economics and the Archaeology of Exchange, *Contexts for Prehistoric Exchange*, pp. 1-12.
15. **Grapendaal et al. 1995:** Grapendaal, M., Leuw, Ed., Nelen, H., *A World of Opportunities: Lifestyle and Economic Behavior of Heroin Addicts in Amsterdam*, SUNY Press.
16. **Harrod 1939:** Harrod, R. F., An Essay in Dynamic Theory, *The Economic Journal*, Vol. 49, №193, pp. 14-33.
17. **Harrod 1948:** Harrod, R. F., *Towards a Dynamic Economics: Some Recent Developments of Economic Theory and Their Application to Policy*, London: Macmillan & Co.
18. **Hicks 1946:** Hicks, J. R., *Value and Capital*, 2nd. Edition, Oxford: Clarendon Press.
19. **Hicks 1965:** Hicks, J., *Capital and Growth*, New York, Oxford: Oxford University Press.
20. **Hicks 1985:** Hicks, J. R., *Methods of Dynamic Economics*, Oxford: Clarendon Press.
21. **Kindleberger 1978:** Kindleberger, C. P., *Economic Response: Comparative Studies in Trade, Finance, and Growth*, Cambridge, MA: Harvard University Press.
22. **Kondratieff 1925:** Kondratieff, N. D., The Static and the Dynamic View of Economics, *the Quarterly Journal of Economics*, Vol. 39, Issue 4, Oxford University Press, pp. 575-583.
23. **Mandelbrot 1963:** Mandelbrot, B., New Methods in Statistical Economics, *Journal of Political Economy*, The University of Chicago Press Vol. 71, №5, pp. 421-440.
24. **Schelling 1951:** Schelling, T. C., *National Income Behavior: An Introduction to Algebraic Analysis*, New York, Toronto, London: McGraw-Hill Book Co.
25. **Takayama 1985:** Takayama, A., *Mathematical Economics*, Cambridge University Press.
26. **Turgeon 1963:** Turgeon, L., *The Contrasting Economies: A Study of Modern Economic Systems*, Boston: Allyn & Bacon.

კოსტსაბჭოთა ქვეყნები და მათი ეკონომიკური სისტემის ცვლილება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ

ქეთევან ხორავა
სტუდენტ-დოქტორანტი

POST-SOVIET COUNTRIES AND THE CHANGE OF THEIR ECONOMIC SYSTEM AFTER GAINING INDEPENDENCE

Ketevan Khorava,
PhD Student of GTU

ABSTRACT

On the world map, 15 newborn economies appeared after the fall of communism in 1989 and the collapse of the USSR in 1991. One of the main features of this transformation was the replacement of the planned economy with a liberal market economy. However, due to the complexity of this process, the transformation of communist institutions into market instigators was taking place in parallel with significant mistakes. Especially considering that some of these countries did not have the necessary and necessary public institutions for transformation at all.

The article includes information on the stages of transition from a planned economy to a market economy, planned and implemented reforms and strategies, the implementation of which can be assessed based on the results achieved and established years later.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თავისუფლება, გეგმიური ეკონომიკა, დახურული ბაზარი, ეკონომიკური ზრდა, რეცესია, საბაზრო ეკონომიკა.

Keywords: Economic Freedom, Planned Economy, Closed market, Economic Growth, Recession, Market Economy.

* * * *

მსოფლიო რუკაზე 15 ნორჩი ეკონომიკის მქონე ქვეყანა მას შემდეგ გამოჩნდა რაც 1989 წელს კომუნისტური დასავლეთი და 1991 წელს სსრკ-ს დაშლა მოხდა. აღნიშნული გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი გეგმიური ეკონომიკის ლიბერალური საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლება იყო. თუმცა, ამ პროცესის სირთულიდან გამომდინარე, კომუნისტური ინსტიტუტების საბაზრო ინსტიტუტებად გარდაქმნას მნიშვნელოვანი შეცდომებისა პარალელურად მიმდინარეობდა. განსაკუთრების იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყნებიდან ზოგიერთს საერთოდ არ გააჩნდა ტრანსფორმაციისათვის საჭირო და აუცილებელი საჯარო ინსტიტუტები.

ტრანსფორმაციის ისტორიასა და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა პოსტ-კომუნ-

ისტური ტრანზიციის ისტორიასა და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოიკვეთა პოსტ-კომუნისტური ტრანზიციის ორი მთავარი მიმართულება: გრადუალიზმი და შოკური თერაპია. რომელთა შორის ძირითადი განსხვავება „ტრანზიციის პერიოდი“.

შოკური თერაპია ყველაზე ფართოდ გავრცელებული შეიძლება მივიჩნიოთ რომ იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ რეგიონის გარდამავალმა ქვეყნებმა ეკონომიკის დასარეგულირებლად მიმართე შოკურ თერაპიას. აღსანიშნავია რომ შოკური თერაპია გულისხმობს მტკიცე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

აღნიშნული შოკური თერაპიის პროგრამა პირველად დასავლეთ გერმანიასა და მეორედ პოლონეთში დაიბადა, რის შემდგომაც ეს მეთოდი არაერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ გამოიყენა. ლეშეკ ბალცეროვიჩი, ეკონომისტი, პოლონეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, შემდგომ ყოფილი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და პოლონეთის ეორვენული ბანკის პრეზიდენტი, ყველაზე მეტად ცნობილი როგორც „ბალცეროვიჩის გეგმის“ „კლასიკური შოკური თერაპიის“ ავტორი, „ბალცეროვიჩის გეგმა“ 11 ძირითად პოლიტიკურ ზომას მოიცავს:

1. საშინაო ფასების გათანაბრება მსოფლიო საბაზრო დონესთან ინფლაციის გათვალისწინებით,
2. ინფლაციის დროს შემოსავლის ზრდის შეზღუდვა,
3. ფულის მარაგის შეზღუდვა და საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა,
4. პერსონალური დანაზოგების სტიმულაცია-დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდით,
5. საბიუჯეტო ხარჯის შემცირება სამთავრობო ინვესტიციის შემცირებით და სუბსიდიების გაუქმებით არამომგებიანი ბიზნესწამოწყებისთვის,

6. სამთავრობო ბონდების გამოშვება სამთავრობო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად,
7. საგადასახადო კოდექსის დარეგულირება და ინტეგრირება,
8. ეროვნულვალუტაზე ერთი გაცვლითი კურსის და საშინაო ბაზარზე მისი კონვერტულობის დაწესება,
9. საერთო საბაზრო ტარიფის დაწესება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულაციის მიზნით,
10. მოსახლეობისთვის სოციალური დამხარების პროგრამის დაწესება ბიუჯეტის შეზღუდვების გათვალისწინებით,
11. მონოპოლიური საქმიანობების აღმოფხვრა, საწარმოებს შორის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.¹

გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აღნიშნული რეფორმების გათვალისწინებით მხოლოდ პოზიტიური შედეგები არ მოუტ-

1 ვ.პაპავა საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები, 2015 წელი

ანია, თავდაპირველად როდესაც 1989 წელს ბალცე-როვიჩის გეგმა დმატკიცდა მალევე დაიწყო რეცესიის პერიოდი ქვეყანაში. შემოსავლების შემცირება და ეროვნული წარმოების კლებასთან ერთად იმატა უმუშევართა რაოდენობამ და გაიზარდა ინფლაცია. 1992 წელს კი ეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიური ცვლილება დაიწყო, ინფლაციისა და ვალუტის სტაბილიზაციის შედეგად პოლონეთმა რეცესიიდან ამოსვლა დაიწყო. 50 წლის კომუნისტური რეჟიმის შემდეგ, ევროპულ ბაზართან სიახლოვის და აპირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახალისების შედეგად მოხდა პოლონეთის ევროკავშირთან და მის ერთიან ბაზართან ახლო ინტეგრაცია.

ეკონომიკის პროფესორის, პოსტ-კომუნისტური გარდაქმნების შესახებ არაერთი ნაშრომის ავტორი, ვლადიმერ პაპავა წერს: “პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ შოკური თერაპია საუკეთესო შედეგებს იძლევა ისეთ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის სტატუსი რეფორმებამდე იმდენად ცუდი იყო, რომ ადამიანები მზად იყვნენ, გაეძლიათ ყველაფრისთვის, რაც საჭირო იყო არსებული სიტუაციის გადასალახად. ამ შემთხვევაში, შოკური თერაპიის უარყოფითი ეფექტები უგულვებელყოფილია, რამეთუ დადებითი ეფექტები იმდენად საგრძნობია ქვეყნის ეკონომიკაში.”

პოსტ-კომუნისტური ტრანზიციის მეორე მიმართულებას გრადუალიზმი, კი, თავისი არსით გულისხმობს დინამიურსა და ნელ ტემპს, განსხვავებით შოკური თერაპიისგან, რაც დამახასიათებელია აზიური ტიპის ქვეყნებისათვის: ჩინეთი (გრადუალიზმის კლასიკური მაგალითი გახლავთ), ვიეტნამი, უზბეკეთი, ტაილანდი, მალაიზია. გრადუალისტური რეფორმების წარმატება ორ ძირითად პირობაზე დამოკიდებული:

1) მოსახლეობის მიერ მთავრობის და მისი ეკონომიკის სათავეში ყოფნის მხარდაჭერის პოლიტიკური გარანტია და 2) გარდაქმნისათვის საჭირო მასიური ფინანსური რესურსი. ჩინეთის კლასიკური გრადუალისტური რეფორმის წარმატება შესაძლებელი იყო, ვინაიდან ჩინეთის მთავრობა ქვეყნის მშპ-ში აქტიურად დებლდა ინვესტიციასა და ჩინური კომპანიები სხვა ქვეყნებში მასიურად ასაქმებდნენ ჩინური წარმოების ხალხს. ამასთან, მოსახლეობის მხოლოდ 18% იყო დასაქმებული სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ მსხვილ საწარმოებში. შესაბამისად ჩინეთის გრადუალისტური რეფორმის წარმატება პოლონეთის შოკური თერაპიის მსგავსად სპეციფიური შიდა კონტექსტის შედეგია.

ასევე მნიშვნელოვანია პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური სისტემის ცვლილებისას შეფასებისას, განვიხილოთ საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები და შედეგები. საქართველოში პოსტ-კომუნისტური რეფორმების ხუთ ძირითადი ეტაპს გამოყოფს თავის ნაშრომში ეკონომისტი ვლადიმერ პაპავა: 1. გულუბრყვილო გააზრების ეტაპი, რომელიც დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშ-

ლით, შემდგომ დამოუკიდებლობის მოპოვებით და გაგრძელდა ქვეყანაში ეკონომიკური სტრატეგიების შესახებ პირველი დისკუსიებით, 2. უმოძრაობის ანუ სტაგნაციის ეტაპი, ამ ეტაპის დასაწყისად მიჩნეულია 1990 წლის შემოდგომაზე უმაღლესი საბჭოს არჩევა რასაც მოჰყვა რამდენიმე წარუმატებელი რეფორმისტული ეკონომიკური კანონის მიღება. 3 ეტაპი პოპულისტური ეტაპი ანუ შოკური თერაპია 1991-1992 წლების გადატრიალების შემდგომ, საქართველოს მთავრობას დაიწყო რამდენიმე რედისტრიბუციული რეფორმის გატარება, რამაც მოულოდნელი ნეგატიური შედეგები მოიტანა: მინისა და ბინების მოსახლეობისთვის უფასოდ გადაცემამ ზიანი მოუტანა სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორებს. სწორედ ამ დროს, 1992 წლის თებერვალს დაიწყო საქართველოს მთავრობამ შოკური თერაპიის განხორციელება:

1. მოხდა საშინაო ფასების მსოფლიო ფასებთან გათანაბრება გარკვეული საქონლის ფასების ლიბერალიზაციით. ზოგიერთი საქონლის ფასის კონტროლი კი გაიზარდა. თუკი 1991-ში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1.8 -ს შეადგენდა, 1991 -ში მან უკვე 2.5-ს მიაღწია. რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები 1991-თან შედარებით 1991-ში 68-ჯერ გაიზარდა, პურის ფასი კი - 100 ჯერ. 2. 1991-ში მოხდა მინიმალური ხელფასისა და სოციალურა დაუცველთა დახმარების მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებების მიხედვით რეგულირება. 1991-ში ინდექსაცია განხორციელდა ექვსჯერ, რადგანაც ფასები უკვე ლიბერალიზირებული იყო. წინა წელთან შედარებით, 1991-ში მინიმალური ხელფასი და საშუალო ხელფასი 1.85 და 1.26-ჯერ გაიზარდა.

3. წინა წელთან შედარებით, 1992-ში დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი 2%-დან 5%-მდე გაიზარდა, ათწლიან დეპოზიტებზე კი -9%-დან 80%-მდე, რაც რეალურ წლიურ ინფლაციას ვერ ასახავდა. ამასთან, სსრკ-ს ძველი რუბლი და ახალგაამოშვებული რუსული რუბლი კვლავ ცირკულირებდა საქართველოში და ქვეყანას არ გააჩნდა საკუთრი მონეტარული სისტემა. 4. 1992-ში იყო პირადი დანაზოგების სტიმულირების მცდელობა; ფულადი დეპოზიტების ჩამოფასებული დეპოზიტების გაორმაგება და მათთვის გადავადებულის სტატუსის მინიჭება. 5. 1992-ში სახელმწიფომ არ შეამცირა საბიუჯეტო დანახარჯი სამთავრობო ინვესტიციების შემცირებით და 20-25%-იან ზღვარში დარჩა. წინა წლის მაჩვენებელთან (47%) შედარებით, სუბსიდიების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში 30.1%-მდე შემცირდა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა. 6. 1992-ში გამოიცა სახელმწიფო ბონდები ყოფილი საბჭოთა კავშირის ბონდების ახალ ქაქრთულ ბონდებად გადაქცევის მიზნით, თმცა რამდენიმე წლის განმავლობაში არ მოხდა მათი საშუალებით სამთავრობო დეფიციტის დაფინანსება. 7. 1991 წელს დაიწყო საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის რეფორმა და ინტეგრაცია. 8. ეროვნული

ვალუტის ერთიანი გაცვლითი კურსის და კონვერტულობის დანერგვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა, 9. 1992 წელს საქართველომ დაანერგა საბაჟო ტარიფები: 2% -იმპორტზე და 8% ექსპორტზე, რაც იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების საპირისპიროა, 10. საქართველოში ხელფასის ინდექსაცია 1991 წლიდან ხდებოდა, თუმცა, ყველა, შემოსავალი ერთიანი პროპორციით რეგულირდებოდა, 11. 1992 წელს მონოპოლიური საქმიანობის შეწყვეტისა და კონკურენტუნარიანობის ნაქვების პირველი მცდელობა სამართლებრივი სახელმწიფო განკარგულებებისა და რეზოლუციების საფუძველზე. თუმცა სახელმწიფო კვლავ აგრძელებდა საწარმოთა საქმიანობაში ჩარევას. საბოლოოდ საქართველოში ბალცეროვიჩის გეგმის პირველი, მეორე და მეშვიდე პუქტი განხორციელდა ნარმატივულად.²

ჩვენდა სამწუხაროდ შოკური თერაპიის გატარება მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციის ხარჯზე და ეროვნული ვალუტის შემოღების, მონეტარული დამოუკიდებლობის არარსებობის გამო კრახის გარეშე ვერ დამთვრდებოდა, რამაც რატქმაუნდა დალი დაასვი და შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკის გარდასახვის პროცესს. ჩვენდა სამწუხაროდ საქართველო დღემდე განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის მქონე ქვეყანაა დღემდე ინვენეს იმ რეფორმათა განუხორციელებლობის შედეგებს რაც გეგმიური ეკონომიკის რღვევის შემდგომ განხორციელდა. ვფიქრობ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები როგორც არის ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გაფორმება საქართველოსთან (DCFTA), რამაც საქართველოს ვაჭრობისა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში პრიორიტეტებად განსაზღვრა: მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიის მიღება 2016-2020 წლები-სათვის, ხოლო ამჟამად იქნა მიღებული 2021-2025 წლებისათვის განვითარების სტრატეგია, რომელიც გახლავთ მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი მცირე და საშუალო მენარმეობის შესახებ პოლიტიკის ფორმირებისა და მხარდაჭერისთვის.2021-2025 წლის სტრატეგიის პრიორიტეტები შემდეგია:

1. საკანონმდებლო დახვეწა, ინსტიტუციური გაძლიერება და ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება მცირე და საშუალო მენარმეობისათვის;

² პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, ვლადიმერ პაპავა, 2002 წელი

³ საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წელი

2. მცირე და საშუალო მენარმეობის უნარების განვითარებისა და სამენარმეო კულტური ამაღლების ხელშეწყობა;

3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

4. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის ზრდის, ბაზარზე წვდომის და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

5. ელექტრული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების,კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა მცირე და საშუალო მენარმეობისთვის;

6. ქალთა მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა;

7. მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა.³

აღნიშნული სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ნიშანდობლივ გავლენას იქონიებს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარებაზე, ვინაიდან ძლიერი და თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად წარმოაჩენს რომ მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე და საშუალო სამენარმეო სექტორის არსებობით მიიღწევა მდგრადი შედეგები. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის სახელმწიფომ აღნიშნული სტრატეგიის აღსრულებასა და შეფასებაზე უნდა იმუშაოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, ვლადიმერ პაპავა, 2002 წელი

2. საქართველოს ეკონომიკა:რეფორმები და ფსევდორეფორმები, ვლადიმერ პაპავა, 2015 წელი

3. სოციალური ეკონომიკა, მერაბ ვანიშვილი,ნაზი ჭიკაიძენინო ვანიშვილი, 2015 წელი

4. საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წელი,http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf

5. ეკონომიკური თეორია, კარლო ლურნკაია, 2001 წელი.

ეკონომიკური თავისუფლება საქართველოში

მარიამ ძეზიშვილი
სტუდენტ-დოქტორანტი

ECONOMIC FREEDOM IN GEORGIA

Mariam Dzebisashvili
PhD student, GTU

ABSTRACT

In Mariam Dzebisashvili's article „Economic Freedom in Georgia“ discusses economic freedom on the example of Georgia. All the setbacks caused by the current political situation in the country, as well as the periods of upheaval associated with the reforms, are described in order to make it easy to imagine what stages Georgia had to go through before taking 12th place in the ranks of economic freedom. The relationship between economic growth and economic freedom is so directly proportional that even a small restriction on freedom has had a major impact on growth rates. In the article we have historically reviewed all the important events that have taken place in the Georgian economy in recent years and for more visibility we have attached the data of the Index of Economic Freedom.

Experts try to show that economic freedom is the most important component of human well-being and the most important condition for the existence of a free civil society. Their idea is that a free economy creates prosperity because it allows each member of society to be more protected and independent. The ideal model of a free market is also evident here. Organizations that are able to act independently without coercion and interference are more likely to identify needs and respond much more quickly to this or that issue. The economists noted that the development of a free global market contributes to international peace, as economic freedom reduces the level of internal state armed conflicts. These studies show that economic interdependence creates conditions for development that are equally valuable to different countries. Hence, countries are no longer involved in the struggle for fear of losing their economic benefits. Thus, the global free market creates another area of interstate competition where conflicts are less acute and do not require the use of military force.

The Index of Economic Freedom really allows the country to focus on its main problems, to be motivated to advance every year, to arouse interest among investors and businessmen. The country is entering the world arena and every year every effort should be made to bring more results to its reforms compared to last year. However, the index does not always reflect the absolute reality, and the fact that Georgia is even ahead of Germany in the world rankings does not mean that

our economy is very successful. The data in the index give investors some idea of the country, although the first perception must be supported by facts. After his arrival in Georgia, if he is convinced of the opposite, the fact that we are in a leading position in the world as a “largely free” country will not change his mind. We have to admit that we really have problems with statistics. There are a number of issues that are recorded incorrectly or in a rather outdated method. Because of this we may feel that unemployment is quite low or that a large part of the population has reduced bank liabilities, but the reality is different and this reality is faced by a businessman attracted by high index. I think it is necessary to pay great attention to the correct reflection of the facts and to have exactly the assessment of what we are actually satisfied with.

The topic is very interesting, so in the article we will try to reflect and convey all the important details in an interesting way.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თავისუფლება, ინდექსი, ეკონომიკური ზრდა, საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები, პოლიტიკური გარემო, საერთაშორისო ხელშეკრულებები

Keywords: Economic Freedom, Index, Economic Growth, Georgian Economy, Reforms, Political Environment, International Agreements.

* * * *

ეკონომიკური თავისუფლება ეფუძნება პირადი საკუთრების კონცეფციას, ამის გამო ადამიანებს აქვთ უფლება თავად გადაწყვიტონ თუ როგორ გამოიყენებენ პირად დროსა და მონაცემებს. მეორეს მხრივ მათ არ აქვთ უფლება მიითვისონ სხვისი ნივთები, პირადი ინტერესების გამო დააზარალონ სხვა ადამიანები და დაარღვიონ მათი თავისუფლება. 1995 წლიდან, Wall Street Journal- ის ექსპერტები და Heritage Foundation- ის კვლევითი ცენტრი ყოველწლიურად აქვეყნებს მონაცემებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. ამჟამად, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ინტრუმენტია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრად.

- ✓ სასამართლო (საკუთრების უფლებები, სასამართლოს ეფექტურობა);
- ✓ მთავრობის ზომა (საგადასახადო ტვირთი, სამთავრობო ხარჯები);
- ✓ ბიზნესის რეგულირების ეფექტურობა (ბიზნესის თავისუფლება, სამუშაო ძალის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება);

✓ ბაზრის გახსნილობა (ვაჭრობის და საინვესტიციო თავისუფლება).

საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების დიდი რღვევა გვექონდა დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში. რაც გამოიწვია სამოქალაქო დაპირისპირებამ, საომარმა მოქმედებებმა აფხაზეთსა და ქვემო ქართლში, ტერიტორიების დაკარგვამ, სატრანსპორტო და ენერჯო ბლოკადამ, კრიმინალურმა გარემომ, ძველი მომწოდებლების დაკარგვამ ახლის ჩანაცვლების გარეშე. ამ ფონზე სამუშაო ძალის მიგრაციამ ინფლაცია და უმუშევრობის დონის კატასტროფული ზრდა გამოიწვია. სწორედ ამ პერიოდში ეკონომიკური თავისუფლება, მისი თითქმის ყველა პუნქტით, აღარ გაგვაჩნდა. ეკონომიკური თავისუფლების ასეთმა მდგომარეობამ პირდაპირი გავლენა იქონია ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე.

ომმა და სამუშაო ძალის დაკარგვამ ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ტემპი შეამცირა. მიღებული ზარალი იმდენად დიდი იყო, რომ იმ პერიოდში წარმოქმნილი პრობლემები ქვეყანამ ბოლომდე დღემდე ვერ გადაჭრა.

სასწრაფოდ იყო რეფორმები ჩასატარებელი, რომელთა ეტაპობრივმა განხორციელებამ ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა. 2004-2007 წლებში საქართველოს სულ მცირე 70 რეფორმა გაატარა.

2006-2007 წლებში განხორციელდა შემდეგი სამინისტროების რეორგანიზაცია:

- ✓ ეკონომიკური განვითარების;
- ✓ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის;
- ✓ სოფლის მეურნეობის.

მიუხედავად ბევრი ხარვეზისა სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა ქვეყანაში, რაზეც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ნათლად მეტყველებდა, თუმცა 2008 წელს საომარმა მოქმედებებმა კვლავ უკან დაგვხია. ინვესტორებმა ქვეყანა დატოვეს, რამაც საქართველოს ეკონომიკას ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა.

პრობლემები შეექმნა საბანკო სექტორსაც. მეანაბრების დიდმა ნაწილმა ანაბრები გამოითხოვეს, ხოლო იურიდიულმა პირებმა კაპიტალი საზღვარგარეთ არსებულ ბანკებში განათავსეს. ამას დაერთო ის ფაქტიც, რომ ბანკებმა შეამცირეს სესხების გაცემა, შესაბამისად როგორც სხვა დანარჩენი სექტორი საბანკო სისტემაც კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.

ეკონომიკის კვლავ აღდგენა მხოლოდ 2010-2012 წლებში გახდა შესაძლებელი, როდესაც ქვეყანა 4%-იანი ზრდიდან 6%-მდე ავიდა, მაგრამ პირდაპირი ინვესტიციები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა ომამდე დაფიქსირებულ რაოდენობას აღარ დაბრუნებია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა საკითხმა ეკონომიკური თავისუფლებისა და ეკონომიკური ზრდის

დონე საკმაოდ შეამცირა. ისეთ ქვეყნებში სადაც მეტია ეკონომიკური თავისუფლება, მშპ ერთი სულ მოსახლეზე გაცილებით მაღალია, არსებობს დასაქმების მეტი შანსი, ნაკლებია კრიმინალი და მმართველობა არის მხოლოდ დემოკრატიული. 2008 წლის აგვისტოს ომმა კი საქართველოს ყველა დანარჩენ პრობლემასთან ერთად 26 000-მდე დევნილი შემატა. დღეს საქართველოში უკვე 263 598 ადამიანი ფიქსირდება დევნილად.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესება მომდევნო წლებში მაინც გახდა შესაძლებელი, მით უმეტეს მას შემდეგ რაც 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ხელშეკრულება ამოქმედდა. ხელშეკრულების საფუძველზე სატარიფო, არასატარიფო და მარეგულირებელი ბარიერების თანდათანობით მოხსნის გზით შეიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის ახალი შესაძლებლობები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. სწორედ DCFTA-ს წყალობით, საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა ქონდეს წვდომა მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე 500 მილიონი მომხმარებლით და 14 ტრილიონი ევროს მშპ-თი.

მიუხედავად ამხელა შესაძლებლობებისა, ეკონომიკური ზრდა მაშინვე არ გამხდარა თვალსაჩინო, ვინაიდან მიუხედავად გახსნილი ბაზრებისა ევროკავშირის იმპორტირებულ პროდუქციაზე მაღალი სტანდარტები აქვს დანესებული. სამწუხაროდ საქართველოში არ მოიპოვება იმხელა რესურსი, რომ ადგილობრივი წარმოება სრულად დაუქვემდებაროთ მათ სტანდარტებს, შესაბამისად საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში ყოველწლიურად ძალიან მცირე მნიშვნელობით მატულობს.

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოსა და ჩინეთს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველოს კიდევ ერთი უმსხვილესი ბაზარი გაეხსნა წარმოებული საქონლის რეალიზაციისათვის. საბაჟო გადასახადების გარეშე უკვე შესაძლებელია ადგილობრივი წარმოების 94%-ის 1,4 მილიარდ მომხმარებელზე რეალიზება. ამ შეთანხმების შემდეგ საქართველო გახლავთ რეგიონში ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს გაფორმებული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირსა და ჩინეთთან ერთდროულად.

ევროკავშირისაგან განსხვავებით ჩინეთის სტანდარტები შედარებით დაბალია, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ექსპორტის მოცულობა მომავალში გაცილებით მეტი სისწრაფით გაიზარდოს.

საქართველო 2021 წელს მე-12 პოზიციაზეა 184 ქვეყანას შორის 77.2 ქულით გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესდა 0.1 პუნქტით რაც კრიზისული პერიოდების ფონზე საკმაოდ კარგი შედეგია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანამ გაამახვილოს ყურადღება მის ძირითად პრობლემებზე, გაუჩნდეს მოტივაცია, რომ ყოველწელს დანიანაურდეს, გამოიწვიოს დაინტერესება ინვესტორებისა და ბიზნესმენების წრეში. ქვეყანა გადის მსოფლიო ასპარეზზე და ყოველწლიურად ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ მისმა ჩატარებულმა რეფორმებმა მოიტანოს მეტი შედე-

გი გასულ წელთან შედარებით.

თავისუფლება გახლდათ სწორედ ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რამაც ადამიანი ქვის ხანიდან კაპიტალიზმამდე მიიყვანა. ეკონომისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ეკონომიკური თავისუფლების დონე განსაზღვრავს ქვეყნის წარმატებას, ხოლო ბაზრების თავისუფლება და გახსნილობა არის უმთავრესი პრინციპი, რომლითაც მთავრობამ უნდა იხელმძღვანელოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბუნაშვილი გ., საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები; გამოცემლობა "თბილისის უნივერსიტეტი"; თბილისი, 2000;
2. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი; გამოცემლობა "თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი"; თბილისი, 2014;
3. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სისტემების მონაცვლადობა და ადაპტაცია კლიმატის ცვლილებების მიმართ; <http://www.moe.gov.ge/ka/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/klimatis-cvileba/adaptacia/1970-01-01-adaptacia> გადამონმებულ იქნა: 16.10.2021
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე, თბილისი, 2014 http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf გადამონმებულ იქნა: 16.10.2021
5. Diyar S; Akparova A; Toktabayev A; Tyutunnikova M. (2014). Green Economy - Innovation-Based Development of Kazakhstan. *Procedia - Social and Behavioral Sciences*, 140, 695-699 <https://doi.org/10.1016/j.sbspro.2014.04.497> გადამონმებულ იქნა: 16.10.2021
6. Jacobs M.. Green Growth: Economic Theory and Political Discourse. Centre for Climate Change Economics and Policy, Working Paper No. 108. Grantham Research Institute (2012);
7. <http://www.lse.ac.uk/GranthamInstitute/wp-content/uploads/2012/10/WP92-green-growth-economic-theory-political-discourse.pdf> Lane R. (2010).
8. The Crisis from the Point of View of Evolutionary Economics. *International Journal of Social Economics*, 37(6), 466-471; <https://doi.org/10.1108/03068291011042337> გადამონმებულ იქნა: 16.10.2021

ეკონომიკური ზრდის ეფექტის და ეკონომიკური თავისუფლების ურთიერთდაპოკიდებულება

ლია კვარაცხელია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ქეთევან ხორავა

სტუ-ს დოქტორანტი

THE RELATIONSHIP BETWEEN THE EFFECTS OF ECONOMIC GROWTH AND ECONOMIC FREEDOM

Lia Kvaratskhelia, Associate Professor of GTU
Ketevan Khorava, PhD student of GTU

ABSTRACT

Economic Growth is one of the most important research problems in economic science and a number of papers are devoted to its study. In the conditions of establishing market relations in Georgia, business, entrepreneurship and commercial activity become a natural part of economy.

For many of our citizens, business has become a major form of employment or a form of secondary employment. During the Soviet system of farming, business was considered a purely capitalist form of farming and it was perceived as a framed activity based on misappropriating the results of someone else's labor, cheating and thus making maximum profit.

The economic growth of the country is of great importance for its development, improvement of social conditions in general for the welfare of the population.

Admittedly, it can have some negative consequences from an ecological point of view, but the goodness and benefits derived from economic growth outweigh its negative effects so much that the negative factors become insignificant.

The article also includes a study conducted by me in 2021 on StartUp Awareness and Activity in Georgia to show the dynamic of increasing the awareness of "doing business in Georgia".

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თავისუფლება, ეკონომიკური ზრდა, ზრდის ეფექტი, სტარტაპი.

Keywords: Economic Freedom, Economic Growth, Effect of Growth, StartUp.

* * * *

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვლევ პრობლემას წარმოადგენს და სწორედ მის შესწავლას ეთმობა რიგი ნაშრომებისა. საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების პროცესში ბიზნესი, მენარმეობა, კომერციული საქმიანობა ხდება ეკონომიკის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. ბევრი

ჩვენი მოქალაქისთვის ბიზნესი გახდა სამუშაოს ძირითადი სახეობა ან მეორადი დასაქმების ფორმა.

მეურნეობის საბჭოური სისტემის პერიოდში ბიზნესი მიჩნეული იყო მეურნეობის წმინდა კაპიტალისტურ ფორმად და იგი აღიქმებოდა როგორც ჩარჩული საქმიანობა, რომელიც ემყარება სხვისი შრომის შედეგების მითვისებას, მოტყუებას და ამ გზით მაქსიმალური მოგების მიღებას.

„გარდამავალი პერიოდის ეკონომიკად“ იწოდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკებისათვის დამახასიათებელი სახეცვლილება. „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა და „გარდამავალი ეკონომიკა“ შესაძლოა ნათლად არ ასახავდეს ეკონომისტისთვის თუ რომელ „გადასვლაზე“ ვსაუბრობთ, თუმცა თანამედროვე მსოფლიო მეტწილად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესთან აიგივებს. „განარჩევნ ტრადიციულ და ახალი ტიპის გარდამავალ ეკონომიკას: პირველი დამახასიათებელია ტროპიკული აფრიკისა და სამხრეთ აზიის, ხოლო მეორე კი აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოთა კავშირის დაშლით შექმნილი, ასევე ზოგიერთი ლათინო-ამერიკული ქვეყნისა და ჩინეთისათვის.“¹

საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი მენარმეობის ეკონომიკაა, ამიტომ იგი ქმნის ბიზნესის ფართო გავრცელების დიდ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო მექანიზმზე გადაყვანა გარდაუვალად დაკავშირებულია ბიზნესის სფეროში ადამიანთა მაქსიმალურ ჩაბმასთან.

ბიზნესი არის სამეურნეო საქმიანობა და საქმიანი ურთიერთობა მის მონაწილეებს შორის, რაც მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი საქმიანობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბიზნესად, მაგალითად ნებისმიერი მუშაობა არის საქმიანობა, თუმცა მუშაობა რომლის მიზანიც არ არის მოგების მიღება/ შემოსავლის მიღება არ მიიჩნევა ბიზნეს საქმიანობად.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოში გაბატონებული იყო არასწორი შეხედულებები, დამახინჯებული მოსაზრებები ბიზნესთან და სამენარმეო საქმიანობის შესახებ. იგი რჩებოდა ჩრდილოვანი, ფარული ე.წ იატაკქვეშა საქმიანობის სახედ. თუმცა დამოუკიდებლობიდან 30 წლის თავზე სიმბაყით შემოიღო ავლნიშნო რომ სურათი სასიხარულოდ შეცვლილია და ახლა ყოველი ადამიანი

1 ვლადიმერ პავა (გარდამავალი ეკონომიკა, ეკონომიკის პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკა, „ახალი ეკონომიკა“ და ნეოეკონომიკა.

იაზრებს ბიზნესის მნიშვნელობას მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესში.

იმისათვის რომ ნათლად და არგუმენტირებულად წარმოგვეჩინა 21 საუკუნეში არსებული დამოკიდებულება თუ როგორ შეიცვალა ბიზნესისა და სამენარმე საქმიანობის შესახებ მოსაზრებები, გთავაზობთ ჩატარებულ გამოკითხვას ორ ასაკობრივ კატეგორიაში. 1050 გამოკითხული პირიდან 17-40 წლამდე ასაკს შეადგენდა 1038 ადამიანი, ხოლო 41-60 წლამდე ასაკობრივი კატეგორიას წარმოადგენდა 12 ადამიანი. ცხრილების სახით წარმოავდგენთ კითხვარში არსებულ კითხვებზე პასუხებს (ცხრილი 1).

ელექტრონულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1050 ადამიანმა, 98 % ს აქვს წარმოდგენა სტარტაპის შესახებ, ხოლო 2 % არ ფლობს ინფორმაციას თუ რა არის სტარტაპი (ცხრილი 2).

იმისათვის რომ შეგვემონებინა სტარტაპ აქტივობა, რაც გულისმობს მოქალაქეებს დგემენ თუ არა ნაბიჯს რეალურად რათა დაარსონ, ან იყვნენ ჩართული სტარტაპის შექმნასა და საქმიანობაში, კითხვაზე შემდგევი პასუხები მივიღეთ: 1050 გამოკითხულიდან 329 პირი ჩართულია სტარტაპ აქტივობაში, ხოლო 721 ადამიანი არა (ცხრილი 3).

რათა შემოწმებულიყო გამოკითხულ პირებში ინტერესი მცირე ბიზნეს საქმიანობის, როგორც

გამოკითხვიდან მიღებული პასუხებიდან ჩანს მოტივაცია საკმაოდ მაღალია. რაც გულისმობს რომ მოქალაქეთა განწყობა ბიზნეს საქმიანობაში ჩაბმის ცალსახად შეცვლილია დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლებიდან.


საქართველოს გააჩნია ძალიან დაბალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, ცხადია, არსებობს მცირე მაგრამ რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპები. ეს მცირე ეკონომიკური ზრდა ვისი მეშვეობით და რის ხარჯზეა განპირობებული? ამის გაანალიზებას შევეცდებით ზოგადი მსჯელობით.

ფილოსოფიურ `მე`-ს უნდა, რომ დღევანდელზე ხვალ უკეთ იცხოვროს, ანუ შესაბამისად მეტი შემოსავალი ჰქონდეს, მეტი გახარჯოს და მეტი დაზოგოს.

ამრიგად, თითუფილი `მე`-ს პერსონალური მისწრაფება პროგრესისკენ გვაძლევს მცირე ზრდას და ამ ეკონომიკურ ზრდაში ნაკლებად მონაწილეობს უმთავრესი ფაქტორი ეკონომიკური ზრდისა - სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა თავისი ხელშეწყობი მექანიზმებით, ეკონომიკური აქტივობისთვის თავისუფალი გარემოს უზრუნველსაყოფად.


საერთო სურათიდან გამომდინარე, შემაშფოთებელია მოსახლეობის დაბალი ცხოვრების დონე, რასაც მოწმობს მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის

გსმენიათ თუ არა სტარტაპის შესახებ?




ცხრილი 1. კვლევა-სტარტაპ ცნობიერება

თავად თუ გაქვთ დაარსებული სტარტაპი? ან ჩართული ხართ თუ არა სტარტაპის საქმიანობის პროცესში?



ცხრილი 2. სტარტაპ აქტივობა

ისურვებდით თუ არა გქონოდათ სტარტაპი ან გაქვთ თუ არა სტარტაპ იდეა?



ცხრილი 3. სტარტაპ მოტივაცია

დაბალი მაჩვენებლები მსოფლიო მაჩვენებლებთან შედარებით, თუ მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად არ ამალღდა შეუძლებელი გახდება ეკონომიკური ზრდის დაჩქარება.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად ინვესტიციების სიმცირე გვევლინება, ასევე სუსტია ეკონომიკურ ზრდაზე ბანკების ზემოქმედებაც, რადგან ისინი ძირითადად მხოლოდ მოკლევადიან კრედიტს იძლევიან, აღნიშნული გარემოება კერძო სექტორისათვის საკმაოდ არახელსაყრელ პირობებს ქმნის, რომ არაფერი ვთქვათ კრედიტის სიძვირზე, რაც ძირითადად არაკონკურენტული ფულის ბაზრისა და დაბალი ეკონომიკური თვისუფლების მაუწყებელია. ეს მაშინ როდესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თავისუფალ საინვესტიციო რესურსებს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, საინვესტიციო რესურსებში კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა დანაზოგების ზრდას და ფინანსური ბაზრის განვითარებას, რასაც აგრეთვე უზრუნველყოფს თავისუფალი გარემო.

ამრიგად, მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველომ მყარ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა ვერ მოახერხა. აღნიშნულის ძირითად მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნები. ვერ ჩამოაყალიბა მართვის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შექმნას და ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. სამომავლოდ იმედია სახელმწიფო შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, რაც აუცილებელია ეკონ-

ომიკური ზრდის მყარი და სტაბილური ტემპის მიღწევად.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი განვითარებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესებისადა საერთოდ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. მართალია, მას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული უარყოფითი შედეგები ეკოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ეკონომიკური ზრდისაგან მიღებული სიკეთე და სარგებელი იმდენად აღემატება მის უარყოფით შედეგებს, რომ უარყოფითი ფაქტორები უმნიშვნელო ხდება.

მდგრადი და უსაფრთხო ეკონომიკური ზრდისთვის კი აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური თავისუფლების მხარდაჭერა და ეფექტიანი სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Macroeconomis, Oliver Blanchard and David R. Johnson, Sixth edition.
2. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები, რევაზ კაკულია, 2007 წელი.
3. საქართველოს ეკონომიკა-ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე, ლადო პაპავა.
4. საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ, ვლადიმერ პაპავა, ეკონომისტი #1, 2021 წელი.
5. <https://www.divisionoflabor.com/>
6. ა. ილარიონოვი, „ეკონომიკური თავისუფლება და ხალხთა კეთილდღეობა“, თავისუფლების ბიბლიოთეკა. კრებული V. „რეფორმები და თავისუფლება“, თბ., 2008. გვ. 66.

სექცია 2.

კოვიდ-19-ის უმჯობესი გამოწვევები და ეკონომიკური განვითარების მოლოდინის ტრანსფორმაცია

ფინანსური სამრეწველო ლობიზმის სახეები და ხელისუფლებაში ოლიგარქიული ჯგუფების გაძლიერების პრობლემა

კარლო კოპალიანი
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ფინანსური სამრეწველო ლობიზმი აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა და დემოკრატიულ საზოგადოებაში იგი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ გარდამავალი ტიპის დემოკრატიებში ლობიზება მხოლოდ ვინრო ოლიგარქიულმა ჯგუფებმა მოახდინონ. საქართველოს მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ამ საკითხს გლობალურ ასპექტში განვიხილავთ და მიგვაჩნია, რომ ეს გზა წარმატებულმა დემოკრატიებმა დასავლეთშიც გაიარა, შემდეგ კი ყველაფერი დარეგულირდა. იგივე მოხდება საქართველოშიც თუ რა თქმა უნდა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა არ შეგვიშალა ხელი და ისტორიულ გეზში ცვლილება არ მოხდა.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში კლასიკური ოლიგარქიული მმართველობის სტილი არ ჩამოყალიბებულა. პირიქით, ქვეყანამ დემოკრატიული განვითარებისაკენ აიღო გეზი.

* * * *

ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების საერთო სა-მოქალაქო ლობიზმი წარმოადგენდა დარგობრივი ინტერესების რეალიზებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში. ამის ნათელი მაგალითია რუსეთში სამრეწველო ფინანსური ჯგუფების მიერ პრივატიზაციის შედეგების შემომსმების დაუშვებლობა. ეს პროცესი არ იყო გამჭვირვალე; ასევე უცხოური ინვესტიციებისა და კომპანიების შემცირება რუსულ ბაზარზე. საერთო სამრეწველო ლობიზმის ეფექტურობასა და პრიორიტეტულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო სათათბიროში მოხდა საბანკო კანონმდებლობის სრუყოფის მიზნით პროექტში შესწორებების შეტანა. შეიცვალა სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკა ბიზნესისათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით. ზოგადად საბანკო სექტორის გამოყენება ინტერესთა ჯგუფების მიერ პოლიტიკურ საქმიანობაში თვალსაზრისით ძალზე აქტუალური საკითხია გარდამავალი ტიპის დემოკრატიებში. ოპოზიციური საინფორმაციო საშუალებები საქართველო-

შიც ხშირად დებენ ბრალს საბანკო სექტორის ამა თუ იმ პოლიტიკოსთა ჯგუფის ლობიზებაში. ხშირი კრიტიკის საგანი ხდება ისეთი ბანკები, როგორიცაა „ქართუ ბანკი“, „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“ და ა.შ. განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტია „თიბისი ბანკი“, რომელზეც მაგ. გაზეთი „ასავალ-დასავალი“ სისტემატიურად აქვეყნებს მაკომპრომეტირებელ მასალებს. საბანკო სექტორის საქმიანობა მართლაც შესასწავლია, მაგრამ ამას ართულებს იგივე ოლიგარქიული სექტორის სხვადასხვა შესაძლებლობები; მძლავრი ფინანსური რესურსი მათ ლავირების ფართო შესაძლებლობებს აძლევს. ამით ჩვენ იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ საქართველოში აშკარა ოლიგარქიული მმართველობაა. უფრო მეტიც, საქართველოში ოლიგარქიული მმართველობა თავისი კლასიკური ფორმით არ ჩამოყალიბებულა, რადგან ქართულ სინამდვილეში მას არც რესურსი და არც პერსპექტივა არ გააჩნია. „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში პირიქით მოხდა და ბიზნესმა თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მიიღო. ჩვენ ამ საკითხს გლობალურ ასპექტში განვიხილავთ და მიგვაჩნია, რომ ეს გზა წარმატებულმა დემოკრატიებმა დასავლეთშიც გაიარა, შემდეგ კი ყველაფერი დარეგულირდა. იგივე მოხდება საქართველოშიც თუ რა თქმა უნდა საგარეო პოლიტიკურმა ფაქტორებმა არ შეგვიშალა ხელი და ისტორიულ გეზში ცვლილება არ მოხდა.

ფინანსური-სამრეწველო ჯგუფების კორპორატიული ლობიზმი კი შედარებით მცირე სპეციფიკური ინტერესების (სამომხმარებლო საქმიანობისაკენ მიმართული ინვესტიციების ლობიზება, ექსპორტიორთა ინტერესების დაცვა, საერთაშორისო ეკონომიკური ალიანსების შექმნა, კონდინიმიუმები და ა.შ.) გამომხატველია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მსხვილი კაპიტალის წარმომადგენლების შეხვედრები ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენლებთან, ზოგჯერ პრეზიდენტთან ან მთავრობის თავმჯდომარეებთან. მენარმეები ცდილობენ ხელისუფლებამდე მიიტანონ თავიანთი ინტერესები. ამგვარი ტიპის ლობისტური საქმიანობის ბუნება საერთოსამრეწველო (საამქროს) ლობიზმის ბუნების იდენტურია. ორივე შემთხვევაში ხდება ჯგუფური პროფესიონალური ინტერესების დაცვა.

მაგრამ თუ საერთოსამენარმეო (საამქროსეულ) ლობიზმის შემთხვევაში ინტერესები ვრცელდება საბანკო სფეროს (თანამეგობრობის) საზღვრებამდე, როგორც ეს მაგალითად პოსტსაბჭოთა სივრცის მსხვილ მოთამაშეებში (რუსეთი, უკრაინა) ხდებოდა, კორპორაციული ლობიზმის შემთხვევაში პირიქით საბანკო სფეროს ან მსგავსი სპეციალიზაციის საშუალებით იზღუდება ინტერესები, რომელიც ჰყოფს სამომხმარებლო საზოგადოებას პირობით ჯგუფებად. ამგვარი პროცესი, სადაც საბანკო ოლიგარქიული ელემენტი ჭარბობს დამახასიათებელია ქართული რეალობისათვის.[1:193]

საერთოსამენარმეო და კორპორაციული ფინანსურ-სამრეწველო ლობიზმისაგან განსხვავებით რეგიონალური ლობიზმი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. უპირველეს ყოვლისა ისინი იცავენ არა კორპორაციულ, არამედ კერძო, ინდივიდუალურ ინტერესებს. რეგიონალური ლობიზმი ფინანსური სამრეწველო ჯგუფების მხრიდან ახდენს იმგვარი ინტერესების ლობირებას, რომელიც არ გამოდის კონკრეტული რეგიონის ჩარჩოდან. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა გასული საუკუნის რუსეთის 90-იანი წლების მაგალითი. რუსეთის ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფები პირობითად იყოფა საერთო ფედერალურ და რეგიონალურ ჯგუფებად. ცალკეული რეგიონის ბაზრისადმი ინტერესებზე მიჯაჭვულობა უპირისპირდებოდა შედარებით დიდ ფინანსურ-სავაჭრო სივრცეს. ეს იყო ინტერესთა შეჯახება. 90-იანი წლების მრავალი რეგიონალური პოლიტიკური ელიტა ობიექტური ეკონომიკური აუცილებლობიდან გამომდინარე (აქვე ვგულისხმობთ ფინანსური რესურსების მობილიზებას საკუთარ რეგიონში) თავის გადანყვეტილებებში უპირატესობას ანიჭებდა ადგილობრივ რეგიონალურ სტრუქტურებს. ამგვარი ელიტა ყოველთვის ავტონომიურობისაკენ სწრაფვით გამოირჩევა. რეგიონალური-ფინანსური სამრეწველო ჯგუფების მიერ საკუთარი ინტერესების ლობირება ხდებოდა საკუთარი რეგიონალური 'ბაზრის დაცვის' სახელით. ვისგან იცავდნენ თავს რეგიონალური ფინანსური ელიტები? უპირველეს ყოვლისა საერთო ფედერალური მნიშვნელობის მსხვილი ჯგუფებისაგან, ამიტომაც ბრძოლა ხშირად უთანასწორო იყო. რეგიონალური საბანკო ინსტიტუციები სრულად იყო განვითარებული, შესაბამისად კაპიტალის კონცენტრაცია ხდებოდა რუსეთის ფედერაციაში. საბოლოო ჯამში კი ამგვარი სიტუაციიდან თავის დასაღწევად ხდებოდა რეგიონალური პოლიტიკური ელიტის ფინანსურ-სამრეწველო ელიტასთან შეზღუდვა. ამგვარ მოვლენებს ჰქონდა ადგილი თათრეთში, ბაშკირეთსა და სვერდლოვსკის მხარეში, სადაც რეგიონალურმა პოლიტიკურმა ლიდერებმა აიღეს კონტროლი ადგილობრივ ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებზე, ხოლო ადგილობრივმა ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფებმა შეიძინეს გავლენისა და

მართვის მექანიზმები რეგიონალურ დონეზე.

ცნობილია, რომ ყველა უარყოფით მოვლენას გააჩნია გარკვეული დადებითი მხარეც. თუ მაფიოზურ-კლანური მმართველობის საბოლოო ჩამოყალიბებასთან არ გვექნება საქმე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი მოვლენები ობიექტური ისტორიული კანონზომიერების ჩარჩოებში ექცევა და იგი გარდამავალ ეპოქებში ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ რუსეთის ფედერაციის შემთხვევაში რეგიონალური პოლიტიკური ელიტის ფინანსურ-სამრეწველო ელიტასთან შეზღუდვა ეკონომიკურის გარდა ატარებდა წმინდა პოლიტიკურ ხასიათს. ჩეჩენთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, როგორც ცნობილია, სეპარატისტულ მიდრეკილებებს ავლენდა რამდენიმე რუსული ავტონომია, განსაკუთრებით თათრეთი. რამ შეაჩერა ამგვარი მისწრაფებები? სწორედ თათრეთის პოლიტიკური ელიტის ფინანსური მოტივაციით დაინტერესებამ. თათრეთის პრეზიდენტი მინტიმირ შამიევი ერთ-ერთ გავლენიან ოლიგარქ მმართველად იქცა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ 2000-იან წლებში ვლადიმერ პუტინის წარმატებულმა ჩეჩნურმა კამპანიამ სეპარატიზმის მუხტის ჩაქრობაში ასევე დიდი როლი ითამაშა.

ფინანსური-სამრეწველო ჯგუფების ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმად გვევლინება ინდივიდუალური (კერძო) ლობიზმი. ეს არის „პოლიტიკურ ბაზარზე“ ცალკეული ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის ინტერესების გატარება. ფინანსურ-სამრეწველო ლობიზმის მოცემული ფორმა წარმოადგენს საბანკო სექტორის მიერ საკუთარი ინტერესების დაცვის დომინანტურ ფორმას. იგი, პირველ ყოვლისა, ეფუძნება კონცერნების მმართველობის პირად კონტაქტებს მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან მყარი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში. [2:149]

საბანკო ლობირების მეთოდები და ფორმები, შეიძლება ითქვას, რომ არ განსხვავდება სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით ინტერესთა ლობირებისაგან, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ზენოლის სხვა ჯგუფებს. უმთავრესად საქმე ეხება: სახელმწიფო მართვის ორგანიზებაში პირად მონაწილეობას, რომელიც საბანკო საქმიანობას არეგულირებს; არაოფიციალურ კონტაქტების ადამიანებთან, რომლებიც ამა თუ იმ საკითხებს წყვეტენ, ხდება კანონპროექტების მომზადება და არტიკულაცია (ნორმატიული ბაზა), საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ჩინოვნიკებთან პირადი შეხვედრები კონკრეტული საწარმოების მხარდაჭერისა და კონკრეტული საბანკო პროექტების მომზადების მიზნით. მაგ. პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში ჩვენი აზრით, ლობისტური საქმიანობა ატარებს როგორც საჯარო, ისე ჩრდილოვან ფორმებს.

ლობირების ჩრდილოვანი მეთოდები ძირითადად დამახასიათებელია კერძო, ინდივიდუალური ლობიზმისათვის, მაშინ, როდესაც საჯარო-ჯგუფებისათვის, გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულსა და 2000-იანი წლების დასაწყისში თუ ავიღებთ რუსეთის ან უკრაინის მაგალითს, არსებული ტენდენცია მეტყველებდა იმაზე, რომ საერთოსამენარმეო ინტერესებზე წინ დგებოდა ინდივიდუალური, კერძო ლობიზმი, რომელშიც იმალებოდა საფრთხე იმისა, რომ ინტერესების გატარების საშუალებები ნაკლებ გამჭვირვალე იქნებოდა კორპორატიულთან შედარებით.

ჩრდილოვანმა ლობიზმმა ვერ შეიძინა პოპულარობა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში და პოლიტიკურ ლიდერებში გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. ფინანსური-სამრეწველო ჯგუფებზე მაღალი დამოკიდებულების გამო (აქ შედიოდა ასევე ზოგიერთი მძლავრი სახელმწიფოებრივი კორპორაცია) პოლიტიკოსები მოკლებულნი იყვნენ საკუთარი ლიდერული პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას. იგივე ვრცელდებოდა პოსტსაბჭოთა სივრცის უმეტეს ქვეყნებზე. მათ შორის საქართველოშიც. თუმცა აქ მონოპოლისტური ბიზნესიც სუსტი იყო. სხვა მხრივ არსებითი განსხვავება არ შეინიშნებოდა. ისინი ვინც თავიანთი პროგრამული ხედვით გამოირჩეოდა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, მომავალ პოლიტიკურ წარმატებას ვარაუდობდა, სინამდვილეში იღვენებოდა პოლიტიკური არენიდან მსხვილი ბიზნესით ანგაჟირებული პოლიტიკური ძალების მიერ. ვფიქრობთ სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ ამგვარ პოლიტიკოსთა რიცხვში მოხვდა მემარცხენე და მემარჯვენე ცენტრისტული ძალები. შედარებით წარმატებას აღწევდა პოპულარობით გამორჩეული პოლიტიკოსები, რომელთაც ფართო მასები უჭერდა მხარს. ამ ხალხს კი, ცხადია, არც სურდა და არც შეეძლო მსხვილი მონოპოლისტური ბიზნესის წინააღმდეგ წასვლა. [1:176]

შეიძლება დავასკვნათ, რომ „ოლიგარქიული კაპიტალიზმის“ და „მართვადი დემოკრატიის“ პირობებში პოლიტიკური ლიდერები იძულებულნი ხდებიან იმოქმედონ პოლიტიკური პროცესის ჩრდილოვან მექანიზმებზე დამოკიდებულების რეჟიმში.

რუსეთში XX საუკუნის 90-იან წლებში ლიბერალურმა იდეებმა იმიტომაც განიცადა კრახი, რომ ვერ მოხერხდა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ დროს რუსეთის ფედერაციაში სამოქალაქო საზოგადოება ძალას იკრებდა, მაგრამ სახელმწიფო სუსტი იყო. ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში სამოქალაქო საზოგადოება სუსტია, ხოლო სახელმწიფო ძლიერი. ეს პოლიტიკური ლიდერის ნებაა და განაპირობა. მან უპასუხა ისტორიის გამოძახილს და რუსეთი „ბუნებრივი“ განვითარების კალაპოტში ჩააყენა. ეს სხვა საკითხია და მასზე აქ არ შევჩერდებით, მაგრამ ვფიქრობთ რუსეთი დღეს გამოსულია გასული საუკუნის 90-იანი წლების სისტემიდან, როცა გადაწყვეტილებას ოლიგარქია იღებდა. სახელმწიფომ ფაქტიურად აიღო კოტროლი სტრატეგიულ რესურსებზე, შესაძლებელია ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი გადაწყვეტილებების მიღებაც. მოხდა ელიტების კონსოლიდაცია და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა. შედარებით დაკმაყოფილდა მოქალაქეთა ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები. ყოველივე ამან რუსეთს კვლავ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისაკენ უბიძგა, რომელმაც მძიმე შედეგები საქართველოსთვისაც მოიტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი ჩვენი კვლევის საგანი არ არის. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში მიმდინარე არა მარტო პოლიტიკური პროცესები აისახებოდა ჩვენს ქვეყანაზე, სწორედ ჩვენს მიერ განხილულმა საკითხებმაც გარკვეული სარკისებური ეფექტი იქონია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე და მის გამოძახილს, მის უარყოფით შედეგებს დღემდე ვიმკით. საბანკო სექტორის საქმიანობაზე სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს უკმაყოფილებას. არსებობს მოსაზრება ოლიგარქიული მმართველობის ელემენტებზეც. მიუხედავად ამისა არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურების შედეგად ვფიქრობთ ნაკლებად მოსალოდნელია ოლიგარქიულმა სისტემამ ის მასშტაბები შეიძინოს, რაც რუსეთში, უკრაინაში ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იყო. ოლიგარქიული მმართველობის სტილი ნაკლებად შეინიშნებოდა ბალტიისპირეთში, ვფიქრობთ ამის მიზეზი ბალტიის ქვეყნების სწრაფი ევროპული ინტეგრაცია იყო. მართალია ბალტიისპირეთში არის რიგი პრობლემები, მაგ. უმუშევრობა და ბევრი ახალგაზრდა ევროპის უფრო განვითარებულ ქვეყანაში გაემგზავრა, მაგრამ ეს ქვეყნები მაინც წარმატებით ვითარდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი თითქოს რაღაც „მოჯადოებული წრე“ შეინიშნება. ჩვენ ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ საერთოდ არაფერი ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. უბრალოდ აქ ოლიგარქიულ მმართველობას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ადრინდელი ხიბლი, რაც მას დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ნაკლები განვითარების შესაძლებლობას აძლევს; და რაც მთავარია, ოლიგარქია ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა ახალი პოლიტიკური ლიდერების გამოსავლენად. როგორც ზემო ითქვა, ოლიგარქია თავად გამოკვეთს ანგაჟირებულ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც კონკრეტული პირების თუ ჯგუფების ინტერესებს ემსახურება.

ბის კალაპოტში ჩააყენა. ეს სხვა საკითხია და მასზე აქ არ შევჩერდებით, მაგრამ ვფიქრობთ რუსეთი დღეს გამოსულია გასული საუკუნის 90-იანი წლების სისტემიდან, როცა გადაწყვეტილებას ოლიგარქია იღებდა. სახელმწიფომ ფაქტიურად აიღო კოტროლი სტრატეგიულ რესურსებზე, შესაძლებელია ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი გადაწყვეტილებების მიღებაც. მოხდა ელიტების კონსოლიდაცია და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა. შედარებით დაკმაყოფილდა მოქალაქეთა ელემენტარული სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები. ყოველივე ამან რუსეთს კვლავ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისაკენ უბიძგა, რომელმაც მძიმე შედეგები საქართველოსთვისაც მოიტანა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საკითხი ჩვენი კვლევის საგანი არ არის. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში მიმდინარე არა მარტო პოლიტიკური პროცესები აისახებოდა ჩვენს ქვეყანაზე, სწორედ ჩვენს მიერ განხილულმა საკითხებმაც გარკვეული სარკისებური ეფექტი იქონია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე და მის გამოძახილს, მის უარყოფით შედეგებს დღემდე ვიმკით. საბანკო სექტორის საქმიანობაზე სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს უკმაყოფილებას. არსებობს მოსაზრება ოლიგარქიული მმართველობის ელემენტებზეც. მიუხედავად ამისა არასამთავრობო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურების შედეგად ვფიქრობთ ნაკლებად მოსალოდნელია ოლიგარქიულმა სისტემამ ის მასშტაბები შეიძინოს, რაც რუსეთში, უკრაინაში ან სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იყო. ოლიგარქიული მმართველობის სტილი ნაკლებად შეინიშნებოდა ბალტიისპირეთში, ვფიქრობთ ამის მიზეზი ბალტიის ქვეყნების სწრაფი ევროპული ინტეგრაცია იყო. მართალია ბალტიისპირეთში არის რიგი პრობლემები, მაგ. უმუშევრობა და ბევრი ახალგაზრდა ევროპის უფრო განვითარებულ ქვეყანაში გაემგზავრა, მაგრამ ეს ქვეყნები მაინც წარმატებით ვითარდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი თითქოს რაღაც „მოჯადოებული წრე“ შეინიშნება. ჩვენ ამით იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ საერთოდ არაფერი ხდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. უბრალოდ აქ ოლიგარქიულ მმართველობას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ადრინდელი ხიბლი, რაც მას დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით ნაკლები განვითარების შესაძლებლობას აძლევს; და რაც მთავარია, ოლიგარქია ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა ახალი პოლიტიკური ლიდერების გამოსავლენად. როგორც ზემო ითქვა, ოლიგარქია თავად გამოკვეთს ანგაჟირებულ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც კონკრეტული პირების თუ ჯგუფების ინტერესებს ემსახურება.

ხელისუფლებაში ოლიგარქიული ჯგუფების გაძლიერების პრობლემა არსებობს განვითარების

ბულ დემოკრატიებშიც. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოლიგარქიის ჩამოყალიბებას ძირითადად ორმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველი, კორპორაციებმა შეძლეს შეესუსტებინათ სახელმწიფოს შესაძლებლობა მოეხდინა „ბიზნესის რეგულირება“; მეორეც, ამ კორპორაციებმა შეძლეს სამოქალაქო საზოგადოების მონინაალმდევე ისეთი ძალების შესუსტება, როგორიცაა პროფკავშირები და სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივი თემების ბაზაზე არსებობდნენ და აშშ-ში დიდი გავლენა ჰქონდათ. შედეგად ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში ამერიკის ეროვნული ხელისუფლება და მსხვილი ამერიკული კორპორაციები ოლიგარქიის კონტროლის ქვეშ მოექცა. ამ პროცესის ნეგატიური შედეგები გამოჩნდა როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში და არმიაში [3:131]. აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც ნეოკონსერვატიული ტიპის ლიდერია, მსხვილი ბიზნესიდან მოვიდა. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ იგი გლობალური ოლიგარქიის წარმომადგენელია, მაგრამ ფაქტი ერთია, აშშ-ს ახლანდელი პრეზიდენტის საქმიანობა მიმართულია სწორედ აქამდე შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად და ტრადიციული ამერიკული ფასეულობების განსამტკიცებლად. ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს ფინანსების უადგილოდ ფლანგვის თავიდან ასაცილებლად, ამ მიზნით ტრამპმა დასავლელი პარტნიორები არაერთხელ გააფრთხილა, რომ გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად წილი ყველამ თანაბრად უნდა გაიღოს.

XX საუკუნის 20-იან წლებში ამერიკულ ეკონომიკაში უმთავრეს როლს ბანკები ასრულებდნენ. (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკა გათავისუფლდა ბრიტანელი ინვესტორებისაგან და შექმნა საკუთარი საინვესტიციო კაპიტალი). ისინი იწარჩუნებდნენ კონტროლს ინვესტიციებსა და კრედიტებზე ისე, რომ თავიანთ წარმომადგენლებს ნიშნავდნენ კომპანიების კორპორატიულ საბჭოში, რომელსაც გამოეყოფოდა ფული. რეცესიის დროს ბანკებს შეეძლოთ ზენოლა მოეხდინათ კომპანიებზე ურთიერთშერწყმის ან სხვა რესტრუქტურისაციის მოთხოვნით. ამგვარად გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ბანკირები აშშ-ში მთელი ბიზნესთანამეგობრობის ინტერესების გამომხატველ ელიტას წარმოადგენდა. ბანკებისა და კორპორაციების საქმიანობას კი აბალანსებდა მძლავრი სამოქალაქო მოძრაობა, რომელსაც თავის მხრივ ზურგს უმაგრებდა პროფკავშირები და სხვა გაერთიანებები.

1970-იანი წლებიდან სისტემის ბალანსი დაირღვა. მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული აშშ პირველად შეეჯახა ეკონომიკურ კონკურენციას დასავლეთ ევროპასა და იაპონიასთან. ერთბაშად გაიზარდა ფასები ენერგომატარებლებზე, გაჩაღდა კონკურენტული კაპიტალის კრიზისი, რომელმაც

თავის მხრივ კონკურენტული კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია და შესუსტდა ამერიკული ბანკები. ამგვარ სიტუაციაში ბიზნესმენებმა დაიწყეს ხელისუფლების კრიტიკა და მოითხოვდნენ მათგან შეეზღუდათ პროფკავშირების გავლენა კომპანიების პოლიტიკაზე, ასევე შეესუსტებინათ სახელმწიფოებრივი კონტროლი ბიზნესზე, განსაკუთრებით შერწყმის სფეროში, რომელიც შიდა ფინანსურ შერწყმასაც გულისხმობდა. მათი მოთხოვნები რეალობად იქცა და პრაქტიკაში განმტკიცდა ისეთი ცნობილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის დროს, როგორიც იყო რონალდ რეიგანი. [4:41].

მოგვიანებით, როცა კორპორაციებმა ისწავლეს ფულის მიღება ფინანსური ბაზრებიდან, შეძლეს გათავისუფლება არა მარტო სახელმწიფოსა და პროფკავშირებისაგან, არამედ ბანკებისგანაც. შედეგად ამერიკული კორპორაციები იქცნენ დემოუკიდებელ და თვითკმარ ორგანიზაციებად.

კორპორაციების საქმიანობაზე ფედერალური კონტროლის შერბილებამ ბიზნესის გამსხვილება გამოიწვია, რაც არღვევდა შტატებში ადრე არსებულ ბარიერებს. ადრე კომპანიების დიდი ნაწილი მიჯაჭვული იყო ამა თუ იმ შტატზე. ყველა შტატს ჰყავდა თავიანთი წარმომადგენლობა კონგრესში ფედერალური მთავრობისგან სუბსიდირებისა და პრივილეგიების მისაღებად, ადგილობრივი ბანკებისა და კორპორაციებისათვის. სატელეკომუნიკაციო, საბანკო ან სხვა ინფრასტრუქტურული საწარმოების შთანთქმა, რომელიც ხშირად გამოდიოდა ფაქტიურ მონოპოლისტად ან ოლიგოპოლიად შტატების დონეზე, ფედერალური კანონით იქნა აკრძალული. მისი შეცვლის მცდელობას კი არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

ეროვნულ დონეზე ბიზნესის კონსოლიდაციამ აშშ-ში შეცვალა პოლიტიკური ლანდშაფტი. ცალკეული შტატების კანდიდატები კონგრესში აღარ იყვნენ დაინტერესებულნი ადგილობრივი ბიზნესის უფლებების დაცვით. პირიქით, ისინი ლობირებდნენ უწევდნენ სხვადასხვა მსხვილ კომპანიებს. პროფკავშირებმა შეძლეს შეეზღუდათ პროფკავშირების გავლენა. შედეგად პროფკავშირებში მომუშავე პერსონალის რაოდენობა 34%-იდან 12%-მდე შემცირდა. ეს მონაცემები ძირითადად ეხება 1954-2005 წწ. დღეისათვის პროფკავშირთა უმეტესობა საქმიანობას ეწევა მხოლოდ სახელმწიფოებრივ საწარმოებში.

კონტროლისაგან თავისუფალი ამერიკული ბიზნესი იმგვარ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ გარედან მას აღარავინ უსახავდა გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად აშშ აღმოჩნდა იმგვარ ვითარებაში, სადაც სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი ნაწილდება მსხვილი კორპორაციების სურვილებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ამ კორპორაციების (განსაკუთრებით ტრანსნაციონალური კორპორაციების) წარმომადგენლებს

გარგად აქვთ გაცნობიერებული ამერიკული სახელმწიფოს დანიშნულება არა მარტო ამერიკელი ხალხის, არამედ გლობალური მასშტაბით. ამიტომ ისინი, ჩვენი აზრით, არასოდეს გადადგამენ ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს. მიუხედავად ამისა, ამერიკული კორპორაციების გავლენა პოლიტიკურ ლიდერებზე მასშტაბურია. არათუ სამეცნიერო აზ-

რში, კერძო საუბრებშიც კი ჟღერს უკვე ცნობილი სენტენცია: „ამერიკის პრეზიდენტი ხდება ის, ვისაც მოისურვებს ტრანსნაციონალური კორპორაციები“. ამაში შეიძლება სიმართლის რაციონალური მარცვალ იყოს, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი ამერიკის პრესტიჟისა და ძლიერებისათვის კეთდება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჯიჯეიშვილი ქ., ყიფიანი მ., ჩხიკვიშვილი გ. პოლიტიკური ფსიქოლოგია, თბ., 2011. 304 გვ.
2. Заполъский Д.Н. Политическое лидерство как социальный феномен, СПб., 2002. 245с.
3. Зеленев В. А. Становление гражданского общества в России: оптимизация взаимодействия подсистем общества, 2004. 189с.
4. Бинецкий А.Э. Лоббизм в современном мире. М., 2004. С. 65.
5. Полухин О.Н. Идея гражданского общества в истории философии. Белгород, 2000. 259с.
6. Понеделков А.В., Старостин А.М. Элитологи об элитах. Ростов-на-Дону, 2007. 307с.
7. Ферпосон А. Опыт истории гражданского общества. М.: РОССПЭН, 2000. 109с.
8. Mainwaring S. Party systems in the Third wave // Journal of Democracy. 1998. № 3.
9. Seligman A.B. The idea of civil society. N.Y., 1992. 206p.
10. Wilkes K.V. Peal people: Personal identity without thought experiments. Oxford: Clarendon press, 1988. 326p.
11. Gergen K.T. The saturated self: Dilemmas of identity in contemporary life. N.Y.: Basic books, 1991. 214p.
12. Brady d., Spence M., Leadership and Growth, Washington, 2010. 156p.

COVID-19-ის გავლენა კომპანიების შერწყმისა და შეძენის პროცესებზე

ირინე მამალაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

შერწყმისა და შესყიდვის ბაზარი მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით ვითარდება, შედეგად სულ უფრო მატულობს მისი გავლენა ეკონომიკაზე. საწარმოთა გაერთიანებების სიმრავლე განპირობებულია ორი ან მეტი სამეურნეო სუბიექტის გაერთიანების შედეგად მიღებული უპირატესობებით, როგორცაა ბაზრის წილის ზრდა, სინერჯის ეფექტის მიღწევა და ა.შ. შერწყმისა და შესყიდვის გარიგებებს აქტუალურობა არ დაუკარგავს არც მსოფლიოში მიმდინარე მსოფლიოში მიმდინარე Covid-19 პანდემიის გამო, რომელმაც მართალია საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე, მსოფლიო ეკონომიკაზე. ამგვარი ვითარების გამო კომპანიები იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ ე.წ. „გადარჩენის“ რეჟიმში, შესაბამისად მსოფლიო ბაზარზე განვითარებული მოვლენების გამო დაზარალებული კომპანიებისთვის გამოსავლად სწორედ შერწყმისა და შესყიდვის გარიგებები მოგვევლინა. ამდენად, პანდემიის მიუხედავად 2021-2022 წლებში მოსალოდნელია შერწყმისა და შესყიდვის ბაზარზე განხორციელებული გარიგებების რაოდენობის და მოცულობის გაზრდა. ვარაუდი, მათ შორის ეფუძნება იმ ფაქტს, რომ 2009 წლის გლობალური კრიზისის პარალელურად შერწყმისა და შესყიდვის ბაზარი მაინც განაგრძობდა განვითარებას. შესაბამისად შერწყმა და შესყიდვის ბაზრის კვლევა ყოველთვის წარმოადგენდა აქტუალურ საკითხს.

საკვანძო სიტყვები: შერწყმა და შესყიდვა (Mergers and Acquisitions – M&A), სუპერ მეგა გარიგებები, სინერჯია, შესყიდვის ბაზარი, კორპორაციული რესტრუქტურირება, მერჯერმარკეტი, COVID-19-ი, ალიანსები, თანაინვესტირება,

THE IMPACT OF COVID-19 ON COMPANY MERGERS AND ACQUISITIONS

Irine Mamaladze
Professor of GTU

SUMMARY

The merger and acquisition market is growing rapidly around the world, with the result that its impact on the economy is increasing. The multiplicity of enterprises is conditioned by the advantages obtained by merg-

ing two or more economic entities, such as increasing market share, achieving synergy effects, etc. Merger and acquisition deals have not lost their relevance either because of the ongoing Covid-19 pandemic in the world, which has indeed had quite a big impact on both individual countries and the world economy. Due to this situation, the companies were forced to move to the so-called In the “survival” mode, merger and acquisition deals were made for the companies affected by the developments in the world market. Thus, despite the pandemic, in 2021-2022 it is expected to increase the number and volume of transactions in the merger and acquisition market. The assumption, among others, is based on the fact that in parallel with the 2009 global crisis, the merger and acquisition market still continued to develop. Consequently mergers and acquisitions market research has always been a topical issue.

* * * *

საწარმოთა შერწყმა და შესყიდვა (Mergers and Acquisitions – M&A) არის გლობალური ბიზნეს სტრატეგია, რომელიც ბიზნესებს ახალი ბაზრების ათვისების საშუალებას აძლევს. კორპორაციულ ფინანსებში შერწყმა და შესყიდვა (M&A) არის გარიგებები, რომლის დროსაც კომპანიების, სხვა ბიზნეს ორგანიზაციების ან მათი მოქმედი ერთეულების საკუთრება გადადის ან ერთიანდება სხვა სუბიექტებთან.

მრავალი კომპანიის წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს ზრდა, რომლის გარეშეც კომპანიას გაუჭირდება ერთ კონკრეტულ მიზანზე კონცენტრირება და ახალი, კვალიფიციური მენეჯერების მოზიდვა. მას გააჩნია ორი სახე - გარე და შიდა ზრდა. გარე ზრდა, რომელიც თავის არსში მოიაზრებს სწორედ სხვა კომპანიებთან შერწყმას ან/და მათ შესყიდვას. ნებისმიერი სახის ზრდა მოითხოვს გარკვეული ხარჯების განწევას, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს სამომავლო სარგებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს მოკლებულია ამგვარი გარიგების განხორციელება. ამდენად პროცესის პარალელურად მიზანშეწონილია განვიხილოთ დასახელებულ გარიგებათა შედეგებიც.

ზოგადად, კორპორაციული რესტრუქტურირება ცია არის ნებისმიერი ცვლილება კომპანიის კაპიტალ-

ლის სტრუქტურაში, ფუნქციონირებასა და ფლობაში, რომელიც ცვლის ბიზნესის ჩვეულებრივ კურსს. არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც კომპანიას სურს ჩაერთოს კორპორატიული რესტრუქტურირების პროცესში. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი აქციონერებისათვის ღირებულების ზრდა სახელდება [James C. Van Horne, John Martin Wachowikz, 654-655].

ვან ჰორნი თვლიდა, რომ ოპერაციული ეკონომია მიიღწეოდა სანარმოთა შერწყმის შედეგად, ხოლო გაყიდვების გაზრდის საშუალებას სწორედ სანარმოთა შექმნა წარმოადგენდა. მას მიაჩნდა, რომ შექმნა გამოიწვევდა გაყიდვების გაზრდას, ზოგიერთ შემთხვევაში ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვებას, წარმოების ხაზის გაუმჯობესებასა და ბაზარზე დომინირების მოპოვებას. სანარმოთა შერწყმისას კი ოპერაციული ეკონომიის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად განიხილავდა მასშტაბის ეკონომიას. [James C. Van Horne, John Martin Wachowikz, 654-655]

აშშ-სა და ევროპაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 420 კორპორატიული აღმასრულებელი M&A შემოსავლების ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფასობად მიიჩნევს. დასახელებული კვლევა ჩატარდა Accenture-სა და The Economist Intelligence Unit-ის მიერ. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობდა, რომ M&A-ს საშუალებით მათი გლობალური შემოსავალი ბოლო სამი წლის განმავლობაში საშუალოდ 18 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დანარჩენი მსგავსი მოგების მიღებას ელოდება მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

სადაო საკითხია, ითვალისწინებს თუ არა M&A საქმიანობა აქციონერთა ღირებულების გაზრდას. არსებობს მტკიცებულებები, რომ მსხვილი გარიგებების უმეტესობა ვერ ქმნის აქციონერთა ღირებულებას მყიდველი კომპანიისთვის. მაგრამ, ის რაც M&A-ს მიმზიდველს ხდის არის წარმატებით დადებული გარიგება, რომელიც შემძენ კომპანიას საშუალებას აძლევს გაზარდოს აქციონერთა ღირებულება იმაზე მეტად, ვიდრე ეს მის კონკურენტებს შეუძლიათ.

რაც უფრო დიდია ეკონომიკის ზრდის ტემპი, მით უფრო დიდია კომპანიების განვითარების, გაფართოების სურვილიც და შესაძლებლობაც. შერწყმა და შესყიდვა წარმოადგენს ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. M&A ბაზარი მკაფიოდ რეაგირებს მსოფლიოში მომხდარ ეკონომიკურ პროცესებზე.

ბოლო პერიოდში, შეინიშნება შერწყმისა და შესყიდვის გარიგებების რაოდენობის ზრდა, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე, საქართველოშიც. უნდა აღნიშნოს, რომ უკანასკნელი ათწლეულის გან-

მავლობაში ქართულ პრაქტიკაშიც ვხვდებით ამგვარ გარიგებებს, მათ შორის დიდი კომპანიების მონაწილეობით.

კონკურენტულ ბიზნეს გარემოში სანარმოთა შერწყმა და შესყიდვა ბიზნესის გაფართოების და კონკურენციის შენარჩუნების ეფექტური გზაა. გლობალიზაციასთან ერთად, შერწყმა და შექმნა გახდა არა მხოლოდ გარე კორპორატიული ზრდის მეთოდი, არამედ ფირმის სტრატეგიული არჩევანი, რაც კომპანიას ახალ ბაზარზე შესვლის, კონკურენციის შემცირების, ახალი ტექნოლოგიების ათვისების, მოგების გაზრდისა ან/და დანახარჯების შემცირების საშუალებას აძლევს. კომპანიების შერწყმა/შესყიდვა წარმოადგენს თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდების და თავიანთი კაპიტალის მართვის კარგ საშუალებას. ყველაზე მთავარი, კომპანიების შერწყმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სინერჯია - ორი ან რამდენიმე ობიექტის ერთობლივი საქმიანობა, რომლის შედეგადაც იქმნება დამატებითი ეფექტი, რომელიც მეტია ვიდრე მათი ცალ-ცალკე საქმიანობის შედეგად მიღებული სარგებელი (2+2=5).

ხანგრძლივი გაურკვევლობის პერიოდში კომპანიები ცდილობენ ბიზნესის გაძლიერებას. შერწყმა და შესყიდვა ბიზნესისთვის გავრცელებული საშუალებაა გარე ზრდისა და განვითარების წყაროების მოსაძებნად. M&A კი წარმოადგენს გაძლიერების სტრატეგიულ საშუალებას, რომელიც ბიზნესს ეხმარება ბაზარზე არსებული პოზიციის გამყარებასა და ლიდერობის დაკავებაში. ნაკლებად მომგებიანი კომპანიებისთვის M&A წარმოადგენს ერთადერთი გზას ბაზარზე გადასარჩენად.

COVID-19 პანდემიის გავლენამ თითქმის დაუყოვნებლივ აიძულა მრავალი კომპანია გადასულიყვნენ გადარჩენის რეჟიმში. შედეგად, მრავალი კომპანია მიმართავს M&A გარიგებებს - იქნება ეს არჩევანი, თუ აუცილებლობა მათი მომავლის დასაცავად. ეს განსაკუთრებით ეხება კომპანიებს რომლებმაც რამდენჯერმე განიცადეს კრიზისი და ფინანსურად დაუცველ მდგომარეობაში არიან, გადაწყვეტი ზომები უნდა მიიღონ და უზრუნველყონ კომპანიის ღირებულების გადარჩენა შერწყმა, შექმნის გზით.

შერწყმისა და შესყიდვის ბაზარმა გაუძლო, როგორც 2000-2002 წლების საბირჟო, ასევე 2008-2009 წლის რეცესიას და სხვა არაერთ ეკონომიკურ კრიზისს. თუმცა მოცემული სიტუაცია განსხვავებულია, ვინაიდან პანდემია ფინანსურ სექტორის გარდა შეეხო სხვა უამრავ ფაქტორს, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს M&A გარიგებებზე.

2019 წელს M&A ბაზარზე, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილ ტრანზაქციებს ჰქონდა ადგილი, პანდემიამ

კი დამანგრეველი გავლენა იქონია ბიზნესებსა და მთლიანად გლობალურ M&A-ზე. 2019 წელს გარიგებების მოცულობისა და ღირებულების სიდიდე ძირითადად განპირობებული იყო აშშ-ს განვითარებული ბაზრის საშუალებით (20 საუკეთესო გარიგებიდან 15 ში მონაწილეობდა ამერიკული კომპანია). ასევე, „სუპერ მეგა გარიგებების“ ტალღით. რომელთა ღირებულება 10მლრდ დოლარზე მეტი იყო.

პანდემიამ გამოიწვია გლობალური M&A გარიგებების რაოდენობის შემცირება. Covid-19 ით გამოწვეული საწყისი ეფექტები, მსოფლიომ 2020 წლის პირველი კვარტალის ბოლოს იგრძნო, მისი სრული გავლენა კი მეორე კვარტალში გამოიკვეთა. Mergermarket თავის „Global and Regional M&A Report 1H20“ ანგარიშში აცხადებს. რომ 2020 წლის პირველ კვარტალში 4308 გარიგება, ხოლო აპრილიდან ივნისის ბოლომდე მხოლოდ 2630 გარიგება შედგა. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გარიგებების რაოდენობა წლის პირველ ნახევარში მესამედით შემცირდა. გარიგებების ღირებულება კი ნახევარზე მეტით - 901,6 მლრდ დოლარით შემცირდა.

მერჯერმარკეტის ანალიზში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა რომ პანდემიამ მოიცვა მთლიანად მსოფლიო, რეგიონებში მისი გავლენა M&A საქმიანობაზე არათანაბარია. „ჩინეთში სადაც ვირუსი პირველად იქნა გამოვლენილი, გარიგებების რაოდენობა მხოლოდ 7% ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო გარიგებების ღირებულებები მეხუთედით შემცირდა“. ყველაზე მეტად დაზარადა ამერიკის რეგიონი, სადაც გარიგებების ღირებულების მიხედვით რეგიონის მთლიანი წილი გლობალურ M&A საქმიანობაში, წლის პირველ ექვს თვეში 33%-მდე დაეცა, ხოლო 2019 წლის კალენდარში იმავე პერიოდში 53% იყო. [Mergermarket- Global and Regional M&A Report 1H20] & [Fraser Tennant – How Covid-19 is shaping global M&A]

არსებობს მოლოდინები რომ პანდემიის მიერ M&A-ზე გავლენა გრძელვადიანი არ იქნება. ჩინეთში სადაც ვირუსის ყველაზე ადრეული გავრცელება და გამოჯანმრთელება დაფიქსირდა, რაც იმედს იძლევა, რომ სხვა ქვეყნებისა და რეგიონების გამოჯანმრთელებასთან ერთად, ისინი შექმნიან გაუმჯობესებულ გარიგებების გარემოს.

EY(გლობალური ლიდერი დაზღვევის, საგადასახადო, სტრატეგიის გარიგების და საკონსულტაციო მომსახურების სფეროში) ავრცელებს ახალ კვლევას აზიისა და წყნარი ოკეანის შერწყმისა და შექმნის საქმიანობის შესახებ, 2020 წლის მესამე კვარტალისთვის (3Q20). კვლევამ მიუთითა, რომ 2020 წლის მესამე კვარტალში COVID-19 პანდემიის გავ-

ლენამ გამოიწვია M&A აქტივობის უფრო სწრაფი შემცირება ვიდრე GFC(Global Financial Crisis) 2007-2008 წლების მესამე კვარტალში. [Daniel Butschek – Press Release 11.11.2020]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგიონების მიხედვით განსხვავებულია პანდემიის გავლენა M&A-ზე. პანდემიის გავლენა რეგიონებმა სხვადასხვა ეტაპზე განიცადეს, მაშინ როდესაც ჩინეთში M&A საქმიანობა მალევე გამოსწორდა, ავსტრალიაში მხოლოდ 2020 წლის ბოლო ნახევარში დაიწყო თანდათანობით გამოსწორება. იაპონიაში, აზიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, 2020 წლის პირველ ნახევარში შედარებით არაეფექტური იყო M&A საქმიანობა, მაგრამ შემდგომში ნელ-ნელა ვითარება მანდაც გამოსწორდა.

მთლიანობაში, აზია წყნარი ოკეანის რეგიონში 2020 წლის მესამე კვარტალში მაღალი ღირებულებების მქონე გარიგებებმა მიაღწია 392 მილიარდ დოლარს, რაც შიდა კომბინაციებმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია. კერძოდ, მეგა გარიგებებმა ჩინეთსა და იაპონიაში გაზარდა M&A გარიგებების ღირებულება. ჩინეთის ნავთობისა და გაზის კონსოლიდაცია წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ გარიგებას 2020 წლისათვის.

მას შემდეგ, რაც მსოფლიომ Covid-19 ის პირველი ეტაპი გადალახა, კომპანიები იწყებდნენ აღდგენის გზების მოძიებას. პანდემიის შემდეგ, გარდაუვალია, რომ გარიგების დადება მნიშვნელოვნად შეიცვლება, რომელიც ასახავს პოსტ-კრიზისული სამყაროს ახალ პრიორიტეტებს.

COVID- ის შემდგომი სამყარო მოახდენს სტრუქტურულ და სისტემურ ცვლილებებს და მოსალოდნელია, რომ აღდგენა ძალზე ასიმეტრიული იქნება რეგიონებსა და სექტორებში. სექტორების უმეტესობა ხელახლა მოახდენს ადაპტაციას აყვავების მიზნით და ბევრი გამოიყენებს M&A- ს ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები ემზადებიან ახალი სამყაროსთვის, რომელიც იქნება ფუნდამენტურად შეცვლილი, როგორც ეკონომიკის, ასევე, საზოგადოების მხრივ, გარდაუვალია გარიგების დადების გარემოც მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ტრადიციული M&A-ს მიღმა, კომპანიებმა უნდა განავითარონ არაორგანული ზრდის სტრატეგიის ფართო სპექტრი, როგორცაა კავშირი პარტნიორებთან, თანა ინვესტირება კერძო კაპიტალში, სექტორული კავშირები სპეციალისტებთან და მთავრობასთან პარტნიორობა.

კომპანიებს, რომლებმაც კრიზისის გავლენა მნიშვნელოვნად განიცადეს და ფინანსურად დაუცველ მდგომარეობაში არიან, უნდა მიიღონ გამამწყვეტი ზომები. ზოგიერთები მიმართავენ პორ-

ტფელის ოპტიმიზაციას, სხვები გადარჩენისთვის მიიღებენ რადიკალურ ზომებს, აქტივების გაყიდვის ჩათვლით.

კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. კომპანიებმა უნდა შექმნან ფინანსური გამძლეობა ბოლო გარიგებებიდან ღრმა სინერჯის მოპოვების გზით. ბევრი განიხილავს ალიანსებს ან თანაინვესტირების შესაძლებლობებს, რათა შეამციროს რისკები და კაპიტალის ხარჯვა მათი ძირითადი საქმიანობისთვის.

კორონავირუსის გავრცელებამ, გამოიწვია ზოგიერთი შერწყმისა და შენაძენის შეფერხება, მაგრამ მრავალი გარიგება გრძელდება და იწყება ახალი გაყიდვების პროცესები. კომპანიები და ინვესტორები კვლავ მონანილებენ M&A- ში, სადაც არსებობს მკაფიო სტრატეგიული მიზნები.

კომპანიები, რომლებსაც აქვთ ძლიერი ბალანსი, მაგრამ მათ სექტორში ელიან მნიშვნელოვან სტრუქტურულ დარღვევას, გამოიყენებენ M&A- ს რათა დაიცვან როგორც მომხმარებელთა ბაზა, ასევე, მიწოდების ჯაჭვი. სხვები კი შეისწავლიან შენაძენებსა და ალიანსებს მათი პორტფელის ხარვეზების გამოსასწორებლად და მათი ბიზნესის მოდელის გრძელვადიანი გარდაქმნის დასაჩქარებლად.

რამდენიმე სტაბილურმა და სტრატეგიულად კარგად განლაგებულმა კომპანიამ უნდა გამოიყენოს M&A და სხვა საინვესტიციო საქმიანობა ბაზრის შეუვალი ლიდერობის დასაპყრობად. ამისათვის საჭიროა ალიანსები, რომლებიც მოიცავს როგორც მსხვილ სპეციალისტ პარტნიორებს, ასევე ინოვაციური ეკოსისტემის დამწყებ კომპანიებს.

მათ ასევე უნდა გამოიყენონ M&A, რომ შეიძინონ კომპანიები, რომლებიც არიან ბიზნესის ზღვარზე და გამოიყენონ ისინი ახალი შეთავაზებების დასაწყებად, რომლებიც მომავალში შეცვლიან მათ სექტორებს.

ბოლო პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით იზრდება შერწყმისა და შესყიდვის გარიგებების რაოდენობა. მსოფლიოში მრავლადაა, როგორც წარმატებული, ასევე, წარუმატებელი გარიგებები. ტრანზაქციები, რომლებიც უმსხვილეს გლობალურ გარიგებაში მოხვდა არის (იხ. ცხრილი).

ასევე, აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს არც საქართველოს შერწყმისა და შესყიდვის ბაზარი ჩამორჩება, ვინაიდან ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ ბევრი გარიგება გაფორმდა.

საქართველოში დადებული შესყიდვის გარიგებებს შორის გამოირჩევა:

- სილქნეტის მიერ ჯეოსელის შესყიდვა 153 მილიონ დოლარად.
- თიბისი ბანკის მიერ „ბანკი რესპუბლიკის“ აქციების შეძენა , რითიც თიბისი ბანკი ბაზარზე N1 ბანკი გახდა დეპოზიტებისა და სესხების მიხედვით. თიბისი ბანკმა არსებული აქციების 93.64% 315 მილიონ ლარად შეიძინა.
- შპს „Magticom“-მა შეიძინა „Caucasus Online“ ბაზარზე განხორციელდა შერწყმის გარიგებებიც, მათ შორისაა ABC pharmacia და „ჯი პი სი“ , რომლებიც გაერთიანდნენ და შეიქმნა „Georgian Pharmacy“. ასევე „Alta“ და „Okay“- ის, ორი უდიდესი ტექნოლოგიური საცალო კომპანიის გაერთიანება.

N	წელი	შემძენი კომპანიის დასახელება	სამიზნე კომპანიის სახელი	ტრანზაქციის ღირებულება (მლრდ. დოლარი)
1	1999	Vodafone AirTouch PLC	Mannesman AG	202.7
2	2000	America Online Inc	Time Warner	164.7
3	2013	Verizon Communications Inc	Verizon Wireless Inc	130.2
4	2007	Shareholders (Spin Out)	Philip Morris Intl Inc	107.6
5	2015	Anheuser-Busch Inbev SA/NV	SABMiller PLC	101.5
6	2007	RFS Holdings BV	ABN-AMRO Holding NV	98.2
7	1999	Pfizer Inc	Warner-Lambert Co	89.6
8	2017	Walt Disney Co	21st Century Fox Inc	84.2
9	2016	AT&T Inc	Time Warner Inc	79.4
10	2019	Bristol-Myers Squibb Co	Celgene Corp	79.4

წყარო: <https://imaa-institute.org/mergers-and-acquisitions-statistics/>

აღნიშნული გარიგება საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ორივე კომპანიისთვის. გაუმჯობესდა და გაძლიერდა ელექტრო-ტექნიკის ბაზარი, შედეგად კი მომხმარებლებს მაღალხარისხიან საქონელსა და მომსახურებას აწვდიან დაბალ ფასად.

მიუხედავად მსოფლიოში მომხდარი პანდემიისა, რომელმაც მსოფლიო მასშტაბით გამოიწვია შერყევისა და შესყიდვების გარიგებების შემცირება, სამომავლოდ მოსალოდნელია მისი გაზრდა, ვინაიდან პანდემიის გავლის და გაურკვევლობის პერიოდის დაღწევის შემდეგ კომპანიები კვლავ გააქტიურდებიან. ბევრი კომპანია მიმართავს

M&A-ს - იქნება ეს მათი არჩევანი თუ აუცილებლობა გადასარჩენად.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ყველაფრისა M&A-ს გარიგებები დაკავშირებულია ბევრ რისკთან, რომლებმაც შეიძლება თავი იჩინონ გარიგების დადების შემდეგ. შესაბამისად იმ კომპანიებმა, რომლებიც გეგმავენ გაფართოებას M&A საშუალებით აუცილებელია, რომ მსგავსი გარიგების დადებამდე კარგად გაანალიზონ არსებული რისკები. ვინაიდან წარუმატებლობის შემთხვევაში, იგი აზიანებს როგორც თავად ამ კომპანიებს, ასევე ბაზარს და მთლიანად ეკონომიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ.
2. ფასწარმოქმნის სტრატეგიები - Start - Business Solutions 2017
3. ანდრო მეტრეველი - კომპანიების შერწყმა-შესყიდვა მსოფლიო ბაზარზე: დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. 2020 წელი
4. www.penscience.ge
5. http://accioneduca.org/admin/archivos/clases/material/mergers-and-acquisition_1564415367.pdf
6. <https://www.wallstreetprep.com/knowledge/ma-accounting-in-simple-english/>
7. Jim Tompkins - Warning: Mergers and Acquisitions May Be Hazardous to Your Company's Health
8. <https://www.mergermarket.com/info/2020-global-ma-report-financial-league-tables>
9. <http://www.mergermarket.com/pdf/MergermarketFinancialLeagueTableReport.Q42020.pdf>
10. Daniel Butschek – Press Release 11.11.2020 - COVID-19 impact on M&A more severe than global financial crisis, but many Asia-Pacific countries rebounding faster
11. James C. Van Horne, John Martin Wachowikz, 654-655.
12. Mergermarket- Global and Regional M&A Report 1H20 & Fraser Tennant – How Covid-19 is shaping global M&A
12. <https://imaa-institute.org/mergers-and-acquisitions-statistics/>

COVID-19 პანდემია და ცვლილებები საინვესტიციო პოლიტიკაში

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ-ს პროფესორი

ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ-ს პროფესორი

ნათია შენგელია
ეად, სტუ-ს ასოც. პროფესორი,
ლუბლინის ტექნოლოგიური
უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი

THE COVID-19 PANDEMIC AND CHANGES IN INVESTMENT POLICY

Revaz Shengelia,

PhD, GTU, Professor,

Zhuzhuna Tsiklauri-Shengelia,

PhD, GTU, Professor,

Natia Shengelia, PhD, GTU, Associate Professor,

Invited Professor of Lublin

University of Technology

RESUME

After the Pandemic quite large investments are necessary to attract to the country in order to overcome the economic crisis. Due to the socio-economic consequences of the COVID-19 pandemic and the global challenges of the new digital economy, the question arises about the need for a different understanding and analyzing of the state investment policy, and the development of a new effective investment policy. In this regard, some stimulus measures should be considered, which will increase the volume of investments in digital infrastructure and human capital, in the creation of digital health and education systems. Moreover, it is especially significant to encourage artificial intelligence development, the role and functions of which are rapidly increasing in terms of involvement in digital health, education.

Keywords: Investment, COVID-19 Pandemic, Digital Healthcare, Human Capital, Artificial Intelligence, Digital Medicine, "Green" and "Blue" Economy.

კირითადი ტექსტი

იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა პანდემიის შემდგომ გამოვიყვანოთ კრიზისიდან, გადავიყვანოთ იგი ციფრული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად თვისობრივად ახალ, კონკურენტუნარიან მდგომარეობაში, აუცილებელია საკმაოდ დიდი ინვესტიციები. პანდემიის გავლენით არ არის გამორიცხული მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვალოს საინვესტიციო პოლიტიკა, რაც იმას

გულისხმობს, რომ შეიძლება უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს ინვესტიციებს უძრავ ქონებაში დაბანდების ნაცვლად ციფრულ ტექნოლოგიებში, განათლებაში, რომელიც დაფუძნებული იქნება ინტერნეტ-ტექნოლოგიებსა და Google Glass-ის ტიპის მონაცემილობებზე, მოსალოდნელია ინვესტიციების სოციალური ფორმების, სახეების პრიორიტეტული განვითარება, ხელისშეწყობა და ა.შ.; "არსებითი ცვლილებები განხორციელდება საერთაშორისო წარმოებაში. დაჩქარდება განვითარებულ ქვეყნებში გარდაქმნის ტემპები, გაიზრდება ციფრული ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის მასშტაბები მრეწველობასა და ინტერნეტ-ვაჭრობაში, შესუსტდება იაფ სამუშაო ძალასა და რესურსებზე უცხოური ინვესტიციების ორიენტაცია. სანაცვლოდ მოიმატებს „მწვანე“ და „ლურჯ“ ეკონომიკებში, ასევე წყალმომარაგებასა და სანიტარიაში, მაღალტექნოლოგიურ დარგებსა და ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაში მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების მისაღწევად“ [1, გვ.110].

ასეთ პირობებში იზრდება ისეთი ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანის წამყვან როლზე, პიროვნული პოტენციალის განვითარებაზე, კრეატიულ აზროვნებაზე და ა.შ.

როგორც გამოკვლევებით დასტურდება, მომავალში მოთხოვნა განათლების მაღალი დონის ადამიანურ რესურსებზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება (იხ. ცხრილი-1) [2]. კიდევ უფრო გაიზრდება განათლებული ადამიანის როლი, რომელსაც არა მარტო ადრე დაგროვილი მეცნიერული ცოდნის, არამედ ახალი ცოდნის შექმნის უნარი ექნება (ახალი თაობის მიერ შექმნილი ახალი ცოდნა წარმოგვიდგება ახალი მოწინავე ტექნოლოგიებისა და უახლესი საქონლისა და მომსახურების სახით). ადამიანის შემოქმედებითი აზროვნება, უნარი, შექმნას ახალი ცოდნა, გვევლინება, როგორც ადამიანისა და ფირმის, ისე ეროვნული ეკონომიკის მთავარ კომპონენტად. როგორი სრულყოფილი, დახვეწილიც არ უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიები, ადამიანის, მისი ცოდნისა და მომზადების, სათანადო მოტივაციისა და სტიმულის გარეშე ეს ყოველივე ან

ვერ იმუშავებს, ან ვერ მოიტანს სასურველ უკუგებას. სწორედ ამიტომაც დღეს ნებისმიერი კომპანიისთვის, საერთოდ ქვეყნისთვის ადამიანი უმთავრესი სიმდიდრე.

ადამიანისეული კაპიტალი ისეთი გაუსხვისებელი არამატერიალური აქტივია, რომელსაც ჯერ-ჯერობით ფლობს მხოლოდ ადამიანი სანამ ჯანმრთელია, განსხვავებით ფიზიკური კაპიტალისაგან, რომელიც შეიძლება დაინგრეს, ფინანსური კაპიტალისაგან, რომლის კონფისკაციაც შესაძლებელია. არადა COVID-19-მა სწორედ ამ ფასეულ აქტივს-ადამიანს მიაყენა მთავარი დარტყმა. სტიქიური მოვლენებისაგან განსხვავებით, რომლის დამანგრეველი ძალა ფიზიკურ კაპიტალზე გაცილებით ჭარბობს ადამიან კაპიტალზე ზემოქმედებას, COVID-19 პანდემიამ ხელუხლებელი დატოვა უძრავი ქონება, შენობები(განსაკუთრებით სასწავლო დაწესებულებები, მათი იფრასტრუქტურა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით), ქარხნები, ინფრასტრუქტურა, მაშინ როდესაც მილიონობით ადამიანთა ჯანმრთელობა შეინირა და სწავლა შეაჩერა [1, გვ. 45; 3, გვ.47]. ამიტომ პანდემიის შედეგების ხასიათის გათვალისწინებით ამა თუ იმ ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მთავრობამ გარკვეული ცვლილებები უნდა შეიტანოს საინვესტიციო პოლიტიკაშიც. ამ მიმართულებით პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უძრავ ქონებაში ინვესტიციასთან შედარებით ინვესტირებას ციფრულ ტექნოლოგიებში, ხელოვნურ ინტელექტში, განათლებაში და ა.შ. თითოეულმა მთავრობამ ინვესტიცია, მაგ. ადამიანისეულ კაპიტალში, უნდა განიხილოს როგორც ეკონომიკის აღდგენის ცენტრალური ბაზა, რადგან ადამიანისეული კაპიტალის დაგროვების გარეშე წარმოუდგენელია განვითარების პროცესი, რომლის მნიშვნელობა მომავალში, განსაკუთრებით ციფრულ გარემოში კიდევ უფრო გაიზრდება (იხ. ცხრილი 1).

პანდემიამ ცხადი გახადა, რომ კორონომიკური კრიზისის პერიოდში იზრდება უთანაბრობა ხარისხიანი განათლების მიღებაში. პანდემიით გამოწვეულმა დისტანციურმა სწავლამ რთული ამოცანის წინაშე დააყენა ის მასწავლებლები და მოსწავლეები, რომელთაც არ გააჩნდათ ასეთი ფორმით სწავლების გამოცდილება, ასევე მხედველობაში მისაღება იმის გარემოება, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის ასეთი დისტანციური სწავლების ციფ-

რული ტექნოლოგიები. სკოლების დახურვა განსაკუთრებით დამლუპველი აღმოჩნდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. არადა დღევანდელი ადგილობრივი და სართაშორისო შრომის ბაზარი მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის განვითარების უფრო მაღალ დონეს პანდემიამდელ დონესთან შედარებით. გამოდის, რომ პანდემიის შემდგომ ეკონომიკის აღსადგენად, ცხოვრების ახალ, უკეთეს რელსებზე გადასაყვანად დღის წესრიგში დგება შემოქმედი, კრეატიული ადამიანის საჭიროება, შესაბამისად, ბუნებრივია, იზრდება ახლებურად მოაზროვნე ადამიანის როლი და ფასი, რადგან პანდემიის დროსაც და მის შემდეგაც გადამწყვეტია არასტანდარტული მიდგომების გამოყენება. ეკონომიკის ჩიხიდან გამოყვანის „მზა რეცეპტები“ არ გვაქვს. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ COVID-19 უნდა აღვიქვათ არა როგორც ქვეყნის სტაგნაციად, არამედ გამოწვევად და ახალ შესაძლებლობებად [4, გვ.34]. ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას.

პანდემიის შედეგად იცვლება მიდგომები საინვესტიციო პოლიტიკაში **ჯანდაცვის მიმართულებით**. განსაკუთრებით ძლიერდება ინვესტიციების სოციალური ფუნქციები, რომლის მნიშვნელობა ციფრულ გარემოში კიდევ უფრო გაიზრდება.

COVID-19-პანდემიის ზეგავლენით ასევე იცვლება მიდგომები საინვესტიციო პოლიტიკაში, უპირველესად სუფთა გარემოს შესაქმნელად. მოიმატებს და პრიორიტეტული ხდება ინვესტიციების წარმართვა „მწვანე“ და „ლურჯ“ ეკონომიკებში. ასეთ ეკონომიკებში პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა რეგიონის მასშტაბით ერთობლივი ქმედითი მასტიმულირებელი ღონისძიებების განხორციელება [6]. მაგ. ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება ხომ ქვეყნის საზღვრებს სცდება და რეგიონულ გადწყვეტას საჭიროებს. „რეგიონული მიზნები-როგორც აღნიშნა მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების მიმართულების რეგიონულმა დირექტორმა სტივენ შონბერგერმა-იმგვარ **ეროვნულ ინვესტიციებად** უნდა გარდაიქმნას, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.“ [3, გვ.47]. მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მაგრამ, როგორც ამას აღნიშნავს ბელგიელი

ცხრილი 1* სამუშაო ძალის განაწილების პერსპექტივა განათლების დონის მიხედვით, %

კვალიფიკაციის დონე	2010-2012 წწ.	2025 წ.
დაბალკვალიფიციური შრომა	22	14
საშუალოკვალიფიციური შრომა	47	47
მაღალკვალიფიციური შრომა	31	39

* Innovation Union Competitiveness Report 2013.p.106(http://www.cedefor.europa.eu/EN/Files/9081_en.pdf).

მენარმე გუნტერ პაული (Gunter Pauli, 1956), მწვანე ეკონომიკის კონცეფცია საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვინაიდან დაკავშირებულია გარემოს დაცვისთვის მასშტაბიანი ინვესტიციების დაბანდების აუცილებლობასთან. სხვაგვარად, მწვანე ეკონომიკა რეციკლირების ანუ უნარჩუნო ტექნოლოგიების დანერგვით მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს გარემოს დაცვას, მაგრამ ვერ წყვეტს რესურსების დაზოგვის პრობლემას. რესურსების დაზოგვის, შენარჩუნების, გამოყენების სრულყოფისა და ეკონომიკურ საქმიანობასთან ჰარმონიზაციის პრობლემის გადაჭრას ემსახურება ე.წ. „ლურჯი ეკონომიკა“. ამგვარად, „მწვანე“ და „ლურჯი“ ეკონომიკის კონცეფციები – ეს არის არა მხოლოდ მეცნიერული პარადიგმები, არამედ და უნინარეს ყოვლისა ეს არის ახალი, არატრადიციული აზროვნების წესი, რომლის გათვალისწინება საინვესტიციო პოლიტიკაში გარდაუვალია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება მდგრადი ეკონომიკური განვითარე-

ბა გონივრული მოხმარებისა და რესურსების შენარჩუნების პირობებში[5].

ამრიგად, COVID-19-პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავისებურებიდან და ახალი ციფრული ეკონომიკის გლობალური გამოწვევებიდან გამომდინარე, დგება საკითხი სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის განსხვავებულად გააზრების აუცილებლობისა და ახალი საინვესტიციო ქმედითი პოლიტიკის შემუშავების შესახებ. ამ მიმართულებით აუცილებელია გათვალისწინებულიქნას მასტიმულირებელი ღონისძიებები, რის შედეგადაც გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ციფრულ ინფრასტრუქტურებსა და ადამიანისეულ კაპიტალში, ციფრული ჯანდაცვისა და განათლების სისტემების შექმნაში, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის ნასახალისებლად, რომლის როლი და ფუნქციები ჩართულობის თვალსაწიერით სწრაფად მატულობს ციფრულ ჯანდაცვასა და განათლებაში და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ჯოლია „განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში“, 2021;
2. Innovation Union Competitiveness Report 2013.p.106(http://www.cedefor.europa.eu/EN/Files/9081_en.pdf).
3. COVID-19 и человеческий капитал Доклад об экономике региона Европы и Центральной Азии Осень, 2020.
4. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“, N3-5, 2021წ.; (www.economics.bpengi.com)
5. იბ. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, “ეკონომიკა-XXI საუკუნე”; <http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&lang=ge&adgi=756&title=%E2%80%9E%E1%83%9B%E1%>
6. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

კორონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები

ნაზი ჭიკაიძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

ახალი ტიპის კორონავირუსის (Covid-19) პანდემია მსოფლიოსთვის მოულოდნელ გამოწვევად იქცა, რომლის მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. ვირუსის გავრცელების მასშტაბებიდან გამომდინარე საფრთხე არამარტო ადამიანების სიცოცხლეს, არამედ გლობალური ეკონომიკის სტაბილურობასაც შეექმნა. საქართველო, როგორც ღია მსოფლიოს ნაწილი, მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად განჭვრეტა, არსებული მონაცემებით, თითქმის შეუძლებელია.

პანდემიურ კრიზისს გრძელვადიან პერიოდში არსებითი ზიანის მოტანა შეუძლია, როგორც მიკრო, ასევე მაკრო-ეკონომიკურ დონეზე. შექმნილ ვითარებაში, გამოსავლის თვალსაზრისით, განსხვავებული შეფასებები შეიძლება არსებობდეს მთავრობის როლზე ან მისი მხრიდან ჩარევის გზებსა თუ მასშტაბებზე. თუმცა ცალსახაა, რომ ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია ხელისუფლების ნაბიჯები როგორც უშუალოდ ეკონომიკური ჩავარდნის, ასევე მისი თანმდევი სოციალური პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: პანდემია; კორონომიკული კრიზისი; ეკონომიკური პოლიტიკა.

CORONOMICS AND THE MODERN CHALLENGES OF ECONOMIC POLICY

Nazi Chikaidze
Professor of GTU

RESUME

A new type of coronavirus (Covid-19) pandemic has become an unexpected challenge for the world, the scale of which is unprecedented in recent history. Due to the scale of the spread of the virus, not only human life but also the stability of the global economy was threatened. Encountered Georgia, as part of the open world, has found itself in a difficult situation for a number of reasons, including economic challenges. It is almost impossible to fully predict the extent of the expected humanitarian and economic damage from the perspective of the developments, according to the available data.

A pandemic crisis can cause significant damage in

the long run, both at the micro and macroeconomic levels. In the current situation, there may be different assessments of the role of the government or the ways or scale of its intervention in terms of the solution. However, it is clear that in such a situation, the steps taken by the government are important both in terms of economic failure and solving the accompanying social problems.

Keywords: pandemic; Coronary crisis; Economic policy.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო აღმოჩნდა არა კლასიკური ტიპის, არამედ თვისებრივად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, როცა მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა, ანუ როცა ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს - კორონავირუსის სწრაფი გავრცელების შედეგად. ამ ფაქტორის გათვალისწინებით როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე მთელი მსოფლიოც დგას კლასიკური ეკონომიკური კრიზისისგან განსხვავებული, ახალი ტერმინით - „კორონომიკური კრიზისის“ საფრთხის წინაშე. პანდემია გლობალური ფენომენია და კორონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა.

ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ეკონომისტები, როგორც წესი, იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე, მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებაზე. დღეს უკვე პირიქით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ კორონავირუსი არის ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი, რომ კორონავირუსი პრაქტიკულად „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნება.

ძირითადი ნაწილი: ტერმინი „კორონომიკა“ („Coronomics“) ეკუთვნის შრილანკელ პროფესორს აჯით დე ალვისის, რომელმაც გააერთიანა ორი ტერმინი „კორონა“ და „ეკონომიკა“ და იგი შეისწავლის კორონავირუსის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს.

მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული დიდი პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ და გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას, დღეს მთავრობებისა და საერთა-

შორისო ორგანიზაციების ყურადღება სრულად გადატანილია ჯანდაცვისა და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, თუმცა პარალელურად ალბათ უკვე გასაანალიზებელია ამ პანდემიის ეკონომიკური შედეგები; გასათვლელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო გეოპოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, გარემოს დაცვასა თუ სოციალურ ურთიერთობებზე.

კოვიდის გავრცელების თავდაპირველ ეტაპზე საქართველოშიც მთელი რიგი აკრძალვები თუ შეზღუდვები განხორციელდა, რაც მეტად მძიმედ აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე. ბუნებრივია, ნებისმიერი აკრძალვა თუ ჩარევა (რაც ზღუდავს აქტივობას) უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. საინტერესოა, რომ აქამდე მრავალგზის შესწავლილი კრიზისებისგან განსხვავებით, პანდემიით გამოწვეული შოკი ერთდროულად თითქმის მსოფლიოს ყველა წამყვან ეკონომიკას და მის ერთბაშად რამდენიმე სექტორს შეეხო. რეალურად ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც ყველაზე აქტიურად განიხილება დღეს, ძირითადად, უკავშირდება 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებას, თუმცა ამ კრიზისის წყარო უშუალოდ ეკონომიკაში იყო, მაშინ, როცა კორონამიკური კრიზისი, უშუალოდაა დაკავშირებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება მედიცინა კორონავირუსის დამარცხებაში.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკაზე COVID-19 პანდემიით გამოწვეული გავლენა, როგორც მოთხოვნის (პირდაპირი და მოლოდინის რეჟიმში გადასვლით გამოწვეული გავლენა), ასევე მიწოდების შოკების კომბინაციაა. ის, რომ ეკონომიკა თითქმის გაჩერდა ჩინეთსა და ევროპის არაერთ ქვეყანაში, აუცილებლად აისახება არა მარტო მოთხოვნის შემცირებაზე, არამედ კიდევ უფრო მეტად მიწოდების შემცირებაზე. მოთხოვნის შემცირებასთან შედარებით მიწოდების უფრო მეტად შემცირება უშუალოდ აისახება ინფლაციის ზრდაზე. მისი მოთხოვნა ცენტრალური ბანკების ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთები. ის კი თავის მხრივ ისევ და ისევ უარყოფითად აისახება მიწოდებაზე და, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურ ზრდაზე.

მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ეკონომიკური ღონისძიებებიდან პრიორიტეტულია:

- მთავრობის მიერ ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა;
- მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების განეგა.
- გასათვალისწინებელია მთავრობის მხრიდან იმ კომპანიების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა,

რომელთაც შეზღუდვების გამო საქმიანობა შეჩერებული ჰქონდათ და პანდემიის შემდგომ პერიოდში მათ უნდა უზრუნველყონ ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სწრაფი აღორძინება;

ანტიპანდემიურმა შეზღუდვებმა, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკის რიგ სექტორებზე, სადაც ეკონომიკური აქტივობა გაჩერდა. ამ სექტორებში დასაქმებული ადამიანების დიდმა ნაწილმა ფაქტობრივად დაკარგა სამუშაო ადგილი და აქედან გამომდინარე, შემოსავალიც. 2020 წელს უმუშევართა რაოდენობა 5.0 ათასით გაიზარდა და 281.9 ათასს გაუტოლდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 54.1 ათასით შემცირდა და 1,241.8 ათასი შეადგინა. დასაქმების დონე 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 41.1%-ით განისაზღვრა. 2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევართა რაოდენობა 34.9 ათასით გაიზარდა და 317.5 ათასს გაუტოლდა. დასაქმებულთა რაოდენობა 2021 წლის პირველ კვარტალში 132.9 ათასით შემცირდა და 1,129.7 ათასი შეადგინა. დასაქმების დონე შემცირდა 4.2 პროცენტული პუნქტით 37.7%-მდე.

ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი კლების ფონზე, ეკონომიკური სუბიექტები, შემოსავლების კლებით ზარალდებიან, რაც სამუშაო ადგილების დაკარგვის, ვალდებულებების, მომსახურების შეუძლებლობის და გაკოტრების რისკებს მკვეთრად ზრდის. პირდაპირი თუ ირიბი გზებით, ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი ზარალდება, განსაკუთრებით მომსახურების, ტრანსპორტის და ვაჭრობის სფეროები, ტურისტული ინდუსტრია.

2020 წელს ექსპორტი 12.0 პროცენტით შემცირდა და 3,343.4 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 15.4 პროცენტით ნაკლები იყო წინა წლის მაჩვენებელზე და 8,052.9 მლნ. აშშ დოლარს

შეადგენდა. 2020 წელს სავაჭრო დეფიციტი 1,011.3 მლნ. აშშ. დოლარით გაუმჯობესდა და 4,709.4 მლნ.

აშშ. დოლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ექსპორტის შემცირება რე-ექსპორტის კლებით იყო განპირობებული, ადგილობრივი ექსპორტი კი 3.6 პროცენტით გაიზარდა და კორონა ვირუსთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად 2020 წელს ადგილობრივი ექსპორტის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 2,408 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

2021 წლის თებერვალიდან საგარეო ვაჭრობის დინამიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფიქსირდება. 2021 წლის ივნისში წინა წელთან შედარებით ექსპორტი 30.1 პროცენტით გაიზარდა და მისმა მოცულობამ 349.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელმა გადააჭარბა 2019 წლის ივნისში (პანდემიამდე) დაფიქსირებულ მონაცემს (2021 წლის ივნისის ექსპორტი 2019 წლის ივნისის ექსპორტს 38.9 მლნ აშშ დოლარით, 12.5%-ით აღემატება). 2021 წლის

იანვარ-ივნისში ექსპორტი გაიზარდა 25.2 პროცენტით და 1,884.7 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 18.9 პროცენტით აღემატება წინა წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებელს და 4,325.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2021 წლის იანვარ-ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელი 5.3%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიური პერიოდის (პანდემიამდე) მონაცემს. 2021 წლის იანვარ-ივნისში სავაჭრო დეფიციტი 308.1 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა და 2,440.3 მლნ. აშშ.

დოლარი შეადგინა.

2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტის ზრდა ძირითადად ადგილობრივი ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. 2021 წლის იანვარ-ივნისში ადგილობრივი ექსპორტი 27.6 პროცენტით გაიზარდა და 1 377.6 მლნ. აშშ დოლარს, მთლიანი ექსპორტის 73.1 პროცენტს გაუტოლდა.¹ ფაქტია, რომ კორონავირუსმა დააზარალა ტურისტული სექტორი, ზიანი მიაყენა სამგზავრო ავიაგადაზიდვებს, საფონდო ბაზრებზე დაფიქსირებული ვარდნა კი ეკონომიკის რეალურ სექტორზე უშუალოდ აისახა. ტურიზმიდან შემოსავლების შემცირებას და გარკვეულ თვეებში ფაქტობრივად შეჩერებას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდასა და მიმდინარე ანგარიშის შემოდინებებზე. 2021 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავლებმა 53.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 87.5 პროცენტით ნაკლებია 2020 წლის მონაცემზე.

გლობალური პანდემიის და ეკონომიკური გამოწვევების ფონზე, როგორც მოსალოდნელი იყო 2021 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება დაფიქსირდა. 2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 125.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.3 პროცენტით (49.6 მლნ აშშ დოლარით) ნაკლებია 2020 წლის პირველ კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით. 2021 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერჯეტიკის და ჯანდაცვის სექტორებში.

საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და შეზღუდვების დაწესების პარალელურად შეიმუშავა კოვიდ-19-ის პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების პაკეტი, რომლის პირველი ნაწილი საზოგადოებას უკვე 13 მარტს წარუდგინა. აღნიშნული პაკეტი ღონისძიებების ორი ჯგუფისაგან შედგება:

1. საკუთრივ ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ანტიპანდემიური შეზღუდვების დაწესების შედეგად მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის მიყენებული დარტყმის შერბი-

ლებას: სხვადასხვა სახის ფინანსური ვალდებულებების გადავადება, სუბსიდიები, დახმარებები, შეღავათები და სხვ.

2. კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს პანდემიით პროვოცირებული ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევის და პანდემიამდელი ეკონომიკური დინამიკის აღდგენას: შეღავათიანი დაკრედიტება, საგრანტო პროგრამები, საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირება და სხვა.

რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებების გარდა ის თუ რამდენად საკმარისი იქნება ამ ღონისძიებების გატარება კორონომიკური კრიზისის პირობებში, ეს დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მედიცინას კორონავირუსის დამარცხებაში.

საქართველოს ეკონომიკური მომავლისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სხვ.) განვითარებას, რომელიც დღემდე, სამწუხაროდ, არაა დამაკმაყოფილებელ დონეზეა. აქ ყველაზე დიდი მოლოდინი უკავშირდება სოფლის მეურნეობას და კვების მრეწველობას, რადგანაც ეკონომიკის რეალური სექტორის ამ დარგებში ყველაზე სწრაფადაა შესაძლებელი ხელშესახები შედეგების მიღება.

პანდემიის გამო გაჩერებული ეკონომიკის პირობებში საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ საგარეო ვალს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯანდაცვაში გასანევი გაზრდილი ხარჯების დასაფინანსებლად, შეჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარებისთვის და ეკონომიკური სირთულეების წინაშე მყოფი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქებისთვის.

დღეს, როცა საქართველოში COVID-19-ის გავრცელების პიკი არ არის მიღწეული, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. სავარაუდოა, რომ ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა იგი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე:

- მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება. ამ ეტაპისათვის მთავრობა მიმდინარე გამოწვევებს პასუხობს, მართავს სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისათვის საკმაოდ შეზღუდული რესურსი რჩება;

შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია ცალკეული ეკონომიკური შეღავათებისა და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნე-

1 ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები; 2021 წ.

ლოვანია ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა.

- აუცილებელია საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით.
- ასევე მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამონეწევებს მეტად უპასუხებს.

დასკვნა

რა თქმა უნდა, ყველა კრიზისი ბადებს მნიშვნელოვან ახალ გამონეწევებსაც და შესაძლებლობებსაც, ის ქვეყნები, რომელთა მთავრობები იქნებიან ეფექტიანები, ეფექტურები, საზრიანები, კარგად მოახდენენ ადაპტირებას ახალ რეალობასთან და დაინახავენ ამ კრიზისს, როგორც შესაძლებლობას, გახდებიან უფრო ძლიერი მოთამაშეები; ასევე ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ იფიქრონ არსებულ ჩარჩოებს მიღმა და კრიტიკულად მიუდგნენ გამონეწევებს, დაამარცხებენ პანდემიას და ეკონომიკური

აღმავლობის გზას დაადგებიან.

კორონომიკის აქტუალობა არამარტო იმითაა განპირობებული, რომ დღეს სახეზეა კორონავირუსის პანდემია, არამედ იმითაც, რომ მსგავსი ტიპის გლობალური საფრთხეები არც მომავალშია გამორიცხული და ამის გათვალისწინება აუცილებელია როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მომავალი ეკონომიკური პროექტების განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობა, 2020. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს
2. მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. <https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf>
3. პაპავა ვ. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე; FOR.GE 2.10.2021
4. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები; 2021 წ.
5. <https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html>

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა კოვიდპანდემიის პირობებში

ბორის ჩიჩინაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ლექტორი, საქართველოს ეკონომისტთა
სამეცნიერო საზოგადოების წევრი

ДЕМОГРАФИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ ГРУЗИИ В УС- ЛОВИЯХ КОВИДПАНДЕМИИ

Борис Чичинадзе

Доктор экономики, лектор Кутаийского
государственного университета
имени Ак. Церетели

РЕЗЮМЕ

После приобретения независимости (1991) в Грузии значительно ухудшилось демографическое положение. По сей день количество населения Грузии уменьшилось на 1,7 млн в сравнении с численностью населения при принятии независимости. Резко ухудшились макроэкономические параметры из-за создавшегося демографического положения. Снижился реальный воловой продукт, упало производство, возросла безработица, обесценилась национальная валюта –лари. Демографическое положение еще больше ухудшилось в условиях мировой пандемии. увеличилось количество умерших от коронавируса. Так как пока еще не известно, когда закончится пандемия, трудно прогнозировать ее последствия. Правительство обязано вместе с Академией Наук Грузии разработать и провести на практике такую демографическую политику, которая быстро изменит создавший отрицательный фон и значительно улучшит демографическое положение Грузии.

Ключевые слова: Демографическое положение, рост смертности, снижение рождаемости, рост безработицы, снижение сектора производства, продовольственная безопасность, план стратегического развития

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული პრობლემა. მოკვდავობის ზრდა. შობადობის შემცირება. უმუშევრობის ზრდა. მწარმოებითი სექტორის დაქვეითება. სასურსათო უსაფრთხოება. სტრატეგიული განვითარების გეგმა.

* * * *

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მნიშვნელოვნად გაუარესდა ქვეყნის საერთო დემოგრაფიული მდგომარეობა. მოსახლეობის ნაწილი საერთოდ გავიდა ქვეყნიდან, რათა მინიმალურად მაინც დაეკმაყოფილებინა მათი ოჯახების წინაშე არსებული სოციალური (სწავლა-

განათლება, ჯანმრთელობა და სხვა სოციალური მიმართულება) მოთხოვნილებები. გამომდინარე იქედან, რომ ქვეყნიდან გასული მოსახლეობის 80 % წარმოადგენდა შრომისუნარიან მოქალაქეებს, ამან მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც გამოიხატა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის და მწარმოებითი სექტორის მოცულობის შემცირებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური პარამეტრები (მთლიანი რეალური შიდა პროდუქტი, უმუშევრობის დონე, ინფლაცია, რეალური ხელფასი, ჯინის კოეფიციენტი და სხვა) გაუარესებულია დამოუკიდებლობის მოპოვებამდე არსებულ პერიოდთან (1989-1990 წწ) შედარებით, ჯერ კიდევ არსებობს მინიმალური შანსი იმისა, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულ და პრაქტიკაში გატარებულ იქნას ისეთი დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც სწრაფად გააუმჯობესებს არსებულ მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობას და დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე (იხ. ცხრილი №1).

წარმოდგენილი მონაცემებიდან კარგად სჩანს, რომ 2020 წელს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდთან (1991) შედარებით 1.7 მილიონი ადამიანით შემცირდა. მოსახლეობის ასეთი შემცირება პირდაპირპროპორციულად აისახა ქვეყანაში შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე და მშპ-ის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. საჭიროა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პერსპექტივაში არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ საქართველოში გაუმჯობესდეს მაკროეკონომიკური პარამეტრები, იმ მნიშვნელოვან დანაკლისს რაც ქვეყანამ განიცადა 1991 წლიდან, მოქალაქეების ქვეყნიდან გასვლის გამო, ვერასოდეს ავინაზღაურებთ. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს, ის, რომ გაეროს და საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის მკვლევარების ნაშრომებით ირკვევა, რომ თუ არ შეიცვალა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, რაც ძირითადად ეკონომიკის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებული, მაშინ უახლოეს ოც წელიწადში ქვეყანაში მცხოვრები ქართველების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება, რაც ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი მოვლენა იქნება.

მას შემდეგ რაც გავრცელდა კოვიდვირუსი, გაუარესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაიზარდა გარდაცვალების ფაქტებიც. საინტერესო სურათს ვღებულობთ თუ განვიხილავთ

ცხრილი №1 საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელი (1989-2020 წწ.)

№	წელი	მოსახლეობის რაოდენობა (მლნ.კაცი)	ზრდა/კლება წინა პერიოდთან მიმართებაში
1	1989	5.4	-----
2	1991	5.4	-----
3	1995	4.7	კლება
5	2000	4.4	კლება
6	2005	4.3	კლება
7	2010	4.4	ზრდა
8	2012	4.6	ზრდა
9	2017	3.7	კლება
10	2020	3.7	ზრდა/კლება არ ფიქსირდება

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი №2 საქართველოს მოსახლეობის შობადობის და მოკვდავობის მაჩვენებელი (2018-2021 წწ.)

№	წლები	დაბადება (ათასი კაცი)	გარდაცვალება (ათასი კაცი)	მოსახლეობის ზრდა + კლება -
1	2018	51138	46524	+4614
2	2019	48296	46658	+1638
3	2020	46520	50537	-4017
4	2021 წ (იანვარ-ივლისი)	25826	29811	-3985

წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

კოვიდის გავრცელებამდე და კოვიდის გავრცელების შემდეგ საქართველოში ადამიანების დაბადების და გარდაცვალების მონაცემებს (იხ. ცხრილი №2).

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ 2018 წელს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. შობადობამ 4614 ერთეულით გადააჭარბა აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირებულ მოკვდავობას. უმნიშვნელო ზრდა დაფიქსირდა ასევე 2019 წელს და მან 1638 ერთეული შეადგინა. 2020 წელს კი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა და მოსახლეობის მოკვდავობის მაჩვენებელმა 4017 ერთეულით გადააჭარბა შობადობის მაჩვენებელს. აღნიშნული მონაცემები ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა მნიშვნელოვან ნეგატიურ მონაცემს წარმოადგენს და სასწრაფოდ რეაგირებას საჭიროებს ქვეყნის ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების დონეზე, რათა შექმნილმა მდგომარეობამ მომავალ წლებში არ მიიღოს ტენდენციური ხასიათი. 2021 წლის განვლილი პერიოდის (იანვარ-ივლისი) სტატისტიკური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2020 წელს დანყებულ უარყოფითი ტენდენცია მიმდინარე წელსაც გრძელდება, აღნიშნულ პერიოდში მოქალაქეების გარდაცვალები მაჩვენებელი 3985 ერ-

თეულით აჭარბებს შობადობის მაჩვენებელს. რაც უკვე კრიტიკული მაჩვენებელია და 2021 წლის გასულ 7 თვეში დაფიქსირებული მაჩვენებელი (3985 ადამიანი) თითქმის გაუტოლდა 2020 წლის წლიურ მაჩვენებელს (4017 ადამიანი) (იხ. ცხრილი №3).

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ 2014 წელს საქართველოში საშუალო დღიურმა გარდაცვალებამ შეადგინა 134 ადამიანი, 2015 წელს--135 (ზრდა 1 ადამიანი 2014 წელთან შედარებით), 2016 წელს--139 ადამიანი (ზრდა 4 ადამიანი 2015 წელთან მიმართებაში), 2017 წელს--131 ადამიანი (კლება 8 ადამიანი 2016 წელთან შედარებით), 2018 წელს 127 ადამიანი (კლება 4 ადამიანი 2017 წელთან მიმართებაში), 2019 წელს--128 ადამიანი (ზრდა 1 ადამიანი 2018 წელთან მიმართებაში), 2020 წელს--138 ადამიანი (ზრდა 10 ადამიანი 2019 წელთან მიმართებაში), 2021 წლის განვლილ იანვარ-ივლისის პერიოდში საშუალო დღიურმა გარდაცვალებამ შეადგინა 140 ადამიანი, რაც 2 ერთეულით გაზრდილია 2020 წელს დაფიქსირებულ საშუალო დღიურ მონაცემთან და 12 ერთეულით გაზრდილია 2019 წლის საშუალო დღიურ მონაცემთან მიმართებაში (იხ. ცხრილი №4).

2019-2020 წლების და 2021 წლის იანვარ-ივლისის დღიური გარდაცვალების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 2020 წლის ნოემბერში მნიშვნელოვ-

ცხრილი №3 საქართველოს მოქალაქეების გარდაცვალების მაჩვენებელი (2014-2021 წწ)

№	წლები	გარდაცვალება წლიური (ათასი კაცი)	გარდაცვალება საშუალო დღიური	დღიური გარდაცვალების ზრდა + დღიური გარდაცვალების კლება წინა პერიოდთან შედარებით
1	2014	49087	134	---
2	2015	49121	135	+1
3	2016	50771	139	+4
4	2017	47822	131	-8
5	2018	46524	127	-4
6	2019	46658	128	+1
7	2020	50537	138	+10
8	2021 წ. (იანვარ-ივლისი)	29811	140	+2

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით

**ცხრილი №4 საქართველოს მოქალაქეების გარდაცვალების დღიური მონაცემები
კოვიდამდე და კოვიდპანდემიის პირობებში 2019-2021 წწ**

თვე	საშუალო დღიური გარდაცვალება 2019 წ.	საშუალო დღიური გარდაცვალება 2020 წ.	საშუალო დღიური გარდაცვალება 2021 წ. (იანვარ-ივლისი)	2021 წლის (გარდაცვალების ზრდა + გარდაცვალების შემცირება-) შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან
იანვარი	160	150	163	+3
თებერვალი	137	148	137	0
მარტი	134	129	137	+3
აპრილი	135	117	136	+1
მაისი	130	129	144	+14
ივნისი	123	117	134	+11
ივლისი	111	119	131	+20
აგვისტო	111	108	მონაცემები ჯერ არ არის	
სექტემბერი	107	110	-----	
ოქტომბერი	116	132	-----	
ნოემბერი	132	200	-----	
დეკემბერი	133	211	-----	
საშუალო დღიური სულ:	128	138	140 (იანვარ-ივლისის საშუალო დღიური)	

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით

ნადაა შეცვლილი გარდაცვალების ყოველდღიური ტრენდი. კერძოდ: 2020 წლის ნოემბერში საშუალო დღიურმა გარდაცვალებამ შეადგინა 200 ადამიანი, ხოლო იმავე წლის დეკემბერში--211 ადამიანი. მოქალაქეთა დღიური გარდაცვალების კუთხით კლების ტენდენცია შეინიშნება 2021 წლის იანვრიდან. კერძოდ: იანვარში საშუალო დღიური გარდაცვალებაა-163 ადამიანი, თებერვალში და მარტში-137

ადამიანი, აპრილში 136 ადამიანი, მაისში-144, ივნისში--134 და ივლისში კი--131 ადამიანი. როგორც ირკვევა 2021 წლის იანვარ-ივლისში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან (კოვიდამდე არსებული პერიოდი) მიმართებაში მნიშვნელოვანი ზრდაა მოქალაქეების გარდაცვალების კუთხით, ეს ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია 2021 წლის მაის-ივლისის პერიოდში.

**რეკომენდაციები და
შესავამისი წინადადებები**

1. სასურველია COVID-19-ით გარდაცვალების სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებისას მითითოს რამდენ პროცენტს შეადგენს კოვიდით გარდაცვლილთა რაოდენობა, საქართველოში დღიურად გარდაცვლილ ადამიანებთან მიმართებაში. ამის მითითების შემდეგ მოქალაქეებს სრული წარმოდგენა შეექმნებათ კოვიდით გარდაცვლილ პირთა რიცხოვნობის შესახებ;

2. არსებული გლობალიზმის პირობებში გავრცელებული მსოფლიო პანდემია უდიდეს საფრთხეს უქმნის განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობას. თუ მთავრობამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად სწრაფად არ მიიღო კოვიდპანდემიის შედეგად შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების ეროვნული დოქტრინა, მაშინ უახლოეს წლებში მდგომარეობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გართულდება;

3. გამომდინარე იქედან, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია როდის დასრულდება მსოფლიო პანდემია (პანდემიის დასრულების პერიოდათ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სახელდება 2024 წელი), ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა მოცულობის იქნება პანდემიის შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზიანის ოდენობა. მოსალოდნელია,

ასევე რომ პანდემიამ იცვალოს სახე და ის უფრო დამანგრეველი ფორმით მოველინოს მსოფლიოს. ამიტომ ქვეყნის ყველა რესურსი (ბუნებრივი, ფინანსური, ინტელექტუალური, მეცნიერული) გამოყენებულ უნდა იქნეს მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;

4. ქართველი მეცნიერ-მკვლევარების უშუალო მონაწილეობით უნდა მოხდეს არსებული დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი კორექტირება, რათა გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც უახლოეს პერსპექტივაში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას;

5. კოვიდპანდემია დღის წესრიგში აყენებს მსოფლიოს მოსახლეობის ქცევის წესების შეცვლის გარდაუვალ აუცილებლობას, უკვე იკვეთება, რომ მსოფლიო ისეთი ველარ იქნება, როგორც კოვიდპანდემიამდე იყო, ამიტომ საჭიროა მთავრობის, ბიზნეს-სექტორის და საზოგადოების მტკიცე ერთიანობა, რათა ქვეყნის ადათ-წესების და ტრადიციების შენარჩუნების მიზნით შემუშავებულ იქნას ისეთი ერთობლივი გეგმა-პროექტები, რომელთა ცხოვრებაში გატარება სწრაფად გააუმჯობესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას, ასევე უზრუნველყოფს პანდემიით დაზარალებული ეკონომიკის სექტორების სწრაფ რეაბილიტაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.geostat.ge--სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
2. www.parliament.ge--საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი;
3. www.moh.gov.ge--საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდი;
4. www.gov.ge--საქართველოს მთავრობის ვებგვერდი;

პრიორიტეტულ სფეროებში არსებული მდგომარეობა 2020 წლისთვის

დალი სილაგაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

THE SITUATION IN THE PRIORITY AREAS BY 2020

Dali Silagadze,
Associate Professor
Akaki Tsereteli State University

RESUME

Over the years, the Georgian government has implemented significant measures for rural development, although rural development at the level of state policy was first established in 2017.

The strategy presents three priority areas: Economy and competitiveness; Social conditions and standard of living; . Environmental protection and sustainable management of natural resources.

The paper includes detailed information on rural development in Georgia.

Thus, in conclusion, we want to say that despite the pandemic, the Government of Georgia has taken significant measures for rural development, accordingly developed the Rural Development Strategy of Georgia for 2017-2020 and developed the Action Plan for 2018-2020. In this process, the support of the European Union under the European Neighborhood Program for Rural and Agricultural Development (ENPARD) is noteworthy.

საკვანძო სიტყვები: პრიორიტეტული, სფეროები, სტრატეგია, ამოცანები, აქტივობები.

* * * *

წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა სოფლის განვითარების მიზნით, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე სოფლის განვითარება პირველად 2017 წელს ჩამოყალიბდა. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია (შემდგომში სტრატეგია) და 2017 წლის სამოქმედო გეგმა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. აგრეთვე, შემუშავებულია სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა. ამ პროცესში აღსანიშნავია ევროკავშირის მხარდაჭერა, ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში. სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქარ-

თველოს მთავრობის პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულება, რომლებიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან. სტრატეგიაში წარმოდგენილია სამი პრიორიტეტული მიმართულება: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა; სოციალური პირობები და ცხოვრების დონე; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა. სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა 2020 წლისთვის მოიცავს 63 აქტივობას. 2020 წელს, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო აქტივობების დაფინანსება საერთო ბიუჯეტით 701,558,500 ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 854,938,600 ლარი.

განვიხილოთ პრიორიტეტული სფეროები, მათი ამოცანები, აქტივობების რაოდენობები, 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი და 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება.

პირველი პრიორიტეტული სფერო: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა, პირველი ამოცანა- ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით. აქტივობების რაოდენობა 14; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 232,045,400 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 218,686,400.

მეორე ამოცანა- სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არა სასოფლო-სამეურნეო მიმართულების განვითარების საშუალებით. აქტივობების რაოდენობები 5; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 4,000,000 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 3,200,000 ლარი.

მესამე ამოცანა- სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე. აქტივობების რაოდენობა 5; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 16,142,000 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 19,862,500 ლარი.

მეორე პრიორიტეტული სფერო: სოციალური პირობები და ცხოვრების დონე, პირველი ამოცანა- ცნობიერების ამაღლება ინოვაციების და მენარმეობის მიმართულებით. ასევე, თანამშრომლობის წახალისება უნარ-ჩვევების განვითარებისა და დასაქ-

მების ხელშეწყობით (განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისათვის), აქტივობების რაოდენობა 7; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 16,142,000 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 23,967,300 ლარი.

მეორე ამოცანა - ინფრასტრუქტურა და სერვისები. სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებამდე მიმავალი გზებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით. აქტივობების რაოდენობა 22; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 402,784,700 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 547,570,100 ლარი.

მესამე ამოცანა - ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში. აქტივობების რაოდენობა 1; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 0 ლარი, 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 0 ლარი.

მესამე პრიორიტეტული სფერო: გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, პირველი ამოცანა - წყლის, ტყისა და სხვა რესურსები. მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება. აქტივობების რაოდენობა 10; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 14,321,300 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 15,862,400 ლარი.

მეორე ამოცანა - ნარჩენების მართვა. სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა. აქტივობების რაოდენობა 1; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 10,000,000 ლარი; 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 15,100,000 ლარი.

მესამე ამოცანა - კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება. რისკების შეფასება. აქტივობების რაოდენობა 2; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 9,129,100 ლარი, 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 10,689,900 ლარი.

პრიორიტეტული მიმართულება 1: ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა

პრიორიტეტული მიმართულება ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 20 აქტივობას. ამოცანები ძირითადად მოიცავს ფერმერული მეურნეობების გაჯანსაღების, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის და ასევე, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიცირების და ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ აქტივობებს.

პრიორიტეტული მიმართულების ჯამური საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 249,181,400 ლარის ოდენობით, ხოლო 2020 წელს, ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 241,748,969 ლარი.

ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია. დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით ამოცანის შესრულების მიზნით, 2020 წელს ჯამში 14 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, შეღავათიანი აგროკრედიტი, ახალგაზრდა მენარმეების განვითარების პროგრამა, დანერგე მომავალი, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება, მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება, სამელიორაციო სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება და ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა, მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი, აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 232,045,400 ლარით განისაზღვრა.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2020 წლის განმავლობაში: დაფინანსდა 76 ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება; დაფინანსდა 39 ახალგაზრდა მენარმე; გაშენდა/დაკონტრაქტდა 2,701 ჰა ფართობის ახალი ბაღი; შეიქმნა 1 გადამამუშავებელი და 9 შემნახველი საწარმო; გაიცა 138 გრანტი პირველადი წარმოებისთვის; რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 4,200 ჰა-ით; სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 11,492 ჰა-ზე; განხორციელდა 3,750 ჰა მიწის ფართობის დაშრობა და ჭარბი წყლის მოცილება - 9,410 ჰა-ზე; გაუმჯობესდა სარწყავი წყლის მიწოდება 316 ჰექტარზე; შვიდი კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით; გადამამუშავებელი დანადგარებით აღიჭურვა 13 კოოპერატივი; სწავლება გაიარა 132 ფერმერმა, მათ შორის 53-მა ქალმა; ჩაის პლანტაციის 2 პროექტი რეაბილიტირდა; თანადაფინანსდა 73 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შექმნა; 376 ბენეფიციარს დაუფინანსდა ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნა, ან სასათბურო მეურნეობის მოწყობა, ან სარწყავი სისტემების მოწყობა; სარგებელი დაერიცხა სულ 246,871 ფერმერს; გაიცა 67 მიზნობრივი გრანტი.

ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა 20; 2020 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი 232,045,400 ლარი, 2020 წლის ბიუჯეტის შესრულება 232,045,400 ლარი.

ტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 232,045,400 ლარით განისაზღვრა. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 218,686,442 ლარი.

სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით ამოცანის შესრულების მიზნით, 2020 წელს, ერთი აქტივობა განხორციელდა - მენარმეობის განვითარება. ამოცანის ქვეშ წარმოდგენილი აქტივობა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ანარმომე საქართველოში“ მიერ.

ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობის საპროგნოზო ბიუჯეტი 4,000,000 ლარით განისაზღვრა. ამოცანის მიზნების მისაღწევად, 2020 წლის განმავლობაში: ხელშეკრულება გაფორმდა 24 საწარმოსთან. შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობის საპროგნოზო ბიუჯეტი 4,000,000 ლარით განისაზღვრა. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 3,200,000 ლარი.

აქტივობა მენარმეობის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ ანარმომე საქართველოში.

აქტივობის მიზანი: საქართველოში მენარმეობის განვითარება, მენარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა

განხორციელებული ღონისძიებები

2020 წლის განმავლობაში სულ სააგენტოს „ანარმომე საქართველოში“ მიერ, პროგრამის „ანარმომე საქართველოში“ ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულებები 24 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე. სულ 2020 წელს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საწარმოებზე გადაირიცხა 3.2 მლნ ლარი.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 10 ახალი ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტის მხარდაჭერა. საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულება გაფორმდა 24 ბენეფიციართან, ხოლო თანადაფინანსებით მხარი დაეჭირა 44 საწარმოს.

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 4,000,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 3,200,000 ლარი.

ამოცანა სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი

ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე ამოცანის შესრულების მიზნით, 2020 წელს, 5 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა, რეგიონებში კულტურის მხარდაჭერა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და საშუალო სისტემის სრულყოფა. აქტივობები განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ.

ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 13,136,000 ლარით განისაზღვრა. ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად 2020 წლის განმავლობაში: სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში სესხის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამით მხარი დაეჭირა 28 სასტუმროს; დამატებით შექმნილია 3 ტურისტული პროდუქტი და 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი; გადამზადებულია 600 ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი; რეგიონებში განხორციელდა 43 კულტურული და საგანმანათლებლო პროექტი, რეგიონებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია რეაბილიტაციის, კონსერვაციის და არქეოლოგიური შესწავლის მიმართულებით განხორციელდა 47 პროექტი. განხორციელდა რეგიონებში სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 10 სსიპ-ის (მუზეუმების, სახლ-მუზეუმების), ასევე, მუზეუმ-ნაკრძალების დაფინანსება. ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 13,136,000 ლარით განისაზღვრა. 2020 წელს, სახელმწიფოს მიერ ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 19,862,527 ლარი.

ამრიგად, დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ მიუხედავად პანდემიისა საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ანხორციელებდა სოფლის განვითარების მიზნით, შესაბამისად შეიმუშავა საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია და დაამუშავა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა. ამ პროცესში აღსანიშნავია ევროკავშირის მხარდაჭერა, ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (EENPARD) ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წწ სტრატეგიის 2018-2020 წწ სამოქმედო გეგმის 2020 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებლები საქართველოში

ივლია ონიანი

*ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

ნონა ახვლედიანი

*ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

SOME STATISTICAL INDICATORS OF MEDICAL SERVICES OF THE POPULATION IN GEORGIA

* * * *

Ivliia Oniani

*Asociated professor, Economic department,
Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

Nona Akhvlediani

*Asociated professor, Economic department,
Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.*

RESUME

The statistical data about the population's health status is very necessary to be used by government and local administration bodies with purpose to develop and implement of various social programs.

The article analyzes the main demographical indexes of Georgian population's health in particular: indexes of life expectancy at birth; indexes of total deaths and deaths by age; indexes of maternal mortality and indexes of mortality by different groups of causes.

After the analyzing of the main demographical factors of Georgian population's health, the author comes to conclusion that during the recent years the population death dynamics essentially changed for the worse. So, from 2005 to 2011 the mortality index increased on 18%. According to author's opinion, the data about rise of the death from endogenous diseases directly indicates on the inefficacy of health system in Georgia. Therefore, it becomes necessary to expand the scope of health securing as well as improve its quality and the implementation of new medical technology

Keywords: Health, Medical Services, Government Expenditures, Hospital Beds, Doctors, Nurses, Natural Environment Indicators.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვა, სამედიცინო მომსახურება, სახელმწიფო დანახარჯები, საავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფა, ექიმებით უზრუნველყოფა, ექთნებით უზრუნველყოფა, ბუნებრივი გარემოს მაჩვენებლები.

ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა სახელმწიფოს განვითარების დონეს განსაზღვრავს და სოციალური პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს.

ქვეყნის ჯანდაცვის სისტემების მთავარ მიზნებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ფინანსური რისკებისაგან დაცვა, ფინანსური ტვირთის თანაბარი გადანაწილება, არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება და ჯანდაცვის საჭიროებებზე რეაგირება წარმოადგენს.

მოსახლეობის სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის შეფასება გულისხმობს ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების დაწესებულებების საქმიანობის რაოდენობრივ დახასიათებას. ამგვარი დახასიათებისათვის სტატისტიკა იყენებს აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებელთა სისტემას, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემუშავდეს და განხორციელდეს ჯანდაცვის სექტორის მომავალი განვითარების პროგრამა და განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. უპირველეს ყოვლისა ყველაზე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ისეთი მაჩვენებლები როგორცაა: სამედიცინო მომსახურებაზე სახელმწიფო დანახარჯები; ჯანმრთელობის დაცვაზე დანახარჯების ხვედრითი წილი მშპ-ში და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში; საავადმყოფო დაწესებულებების რიცხვი; საავადმყოფო საწოლებით, საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები; ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლები.

ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ფინანსური ტვირთის თანაბარი გადანაწილება და ფინანსური რისკებისაგან დაცვა წარმოადგენს.

2013 წლიდან ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ჯანმრთელობის პოლიტიკას, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯან-

დაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ხარჯების მოცულობა თუ 2012 წელს ამ ხარჯების მოცულობა 450 მლნ. ლარი იყო 2017 წლისათვის იგი 2,4-ჯერ გაიზარდა და 1092 მლნ.ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წლისათვის 2017 წელთან შედარებით ზრდამ თითქმის 60% შეადგინა (იხ. ცხრილი 1). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სფეროში ეფექტიანი რეფორმების გატარებით ქვეყანამ გააუმჯობესა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე და უზრუნველყო ხელმისაწვდომი ფინანსური დაცულობა.

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების ყოველწლიური ზრდის მიუხედავად 2019 წლის მონაცემებით მისი წილი მშპ-ში მხოლოდ 3,5 % და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 17,5 % შედგენდა, რაც 2-ჯერ აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს, რამაც გამოიწვია სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესება და უფასო სამედიცინო მომსახურებათა ჩამონათვალის გაფართოება. (მაღალი ეკონომიკური დანვითარების ქვეყნებში ჯანდაცვაზე მოდის საშუალოდ მშპ-ს 7% მინც). საქართველოში ჯანდაცვა ძირითადად კერძო სახსრებით ფინანსდება და მისი წილი ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში 68-70%-ია და შინამეურნეობათა არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ხარჯების 16-17%-ია, მაშინ როცა 2010 წელს მისი წილი 40%-ს შეადგენდა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (HUES) კვლევებით დადასტურდა, რომ 2015-2019 წლებში იმ შინამეურნეობების წილი, რომელთაც გასწიეს ჯანდაცვაზე არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ხარჯებიდან 17% , განპირობებულია სოციალური პროგრამების არსებობით ამ სფეროში.

შინამეურნეობებისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და ფინანსური ტვირთის შემსუბუქების მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულმა კანონმა „მოქალაქეთა

სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ მოქმედებაში შეიყვანა სადაზღვეო მედიცინა. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა მონოდებილია განახორციელოს ე. წ. „უფასო“ მომსახურება და დასძლიოს ფინანსური სიძნელეები. 2007 წელს სამედიცინო დაზღვევა ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 7%, ხოლო 2020 წელისთვის უკვე დაზღვეული იყო საქართველოს მოსახლეობის 75 % და აქედა 25,8 % სახელმწიფო სადაზღვეო პროგრამით იყო მოცული (იხ. ცხრილი 2).

საქართველოს მთავრობამ 2013 წლიდან განახორციელა მოსახლეობის უნივერსალური დაზღვევით მოცვა არამომგებიანი სადაზღვეო ფონდის მეშვეობით. ასეთი დაზღვევა მინიმუმამდე დაიყვანს ჯანდაცვაზე დანახარჯების ნეგატიურ ეკონომიკურ ზემოქმედებას შინამეურნეობებზე, შემცირდება სიღარიბის დონე და განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

სამედიცინო მომსახურების დონეს მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ისეთი ანალიზური მაჩვენებლები როგორცაა: სტაციონარების რიცხვი; ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რიცხვი; საავადმყოფო სანოლების რიცხვი, ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის თანაფარდობა; ექიმებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა მოსახლეობის 10 ათას კაცზე; მოსახლეობის 10 ათას კაცზე საავადმყოფო სანოლების რიცხვი.

„დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში ჯანდაცვის დაწესებულებების ქსელი წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: სტაციონარული დაწესებულებები 10 ათას მოსახლეზე - 266, (2016 – 278), პოლიკლინიკური დაწესებულება და ამბულატორიული ცენტრი 10 ათას მცხოვრებზე - 2280 , (2016 – 2301) (ცხრილი-1)

ცხრილი 1. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში 2015-2019 წწ.

მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018	2019
სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე (მლნ. ლარი)	912,0	1668,0	1092,0	1141,6	1741,1
ჯანდაცვაზე ე სახელმწიფო დანახარჯები სახ. ბიუჯეტიდან %-ობით.	8, 6	9, 7	10, 0	11, 5	17, 5
ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მშპ-ში %-ით	2,9	3, 1	2, 9	2, 4	3, 5
სტაციონალური დაწესებულებების რაოდენობა 10 ათას მოსახლეზე	259	278	272	271	266
ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა სულ	2385	2301	2369	2283	2280
ჰოსპიტალური სანოლებით უზრუნველყოფა 10 ათას მოსახლეზე	34, 0	37, 2	40, 5	42, 7	47, 0
პროფესიულად აქტიური ექიმებით უზრუნველყოფა 10 ათას მოსახლეზე	57, 2	66, 4	70, 6	81, 5	82, 2
ექთნებით უზრუნველყოფა 10 ათას მოსახლეზე	41, 8	50, 2	50, 9	49, 5	52, 7
ექთნებისა და ექიმების თანაფარდობა (წილი)	0, 73	0, 75	0, 72	0, 61	0, 6

წყარო: ჯანმოს მონაცემთა ბაზა „ჯანმრთელობა ყველასათვის“. 2017. საქართველოს სტატისტიკური წელიწადური თბ. 2020.

ცხრილი 2. ჯანმრთელობის დაზღვევა საქართველოში 2007-2019 წლებში

მაჩვენებლები	2007	2016	2017	2018	2019	2020
ქვეყნის მთელ მოსახლეობაში: ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა წილი %-ში.	4,1	23,8	24,1	24,4	25,1	25,8
სულ სამედიცინო დაზღვევის მფლობელთა წილი	7,0	60,7	66,7	70,6	71,8	75,5

წყარო: სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს ეროვნული ბანკი.

ცხრილი 3. სანოლებით უზრუნველყოფის დინამიკა სხვადასხვა ქვეყნებში 10 ათას მოსახლეზე

	1990	1995	2000	2005	2010	2011	2019
ევროპის საშუალო	100,0	90,0	78,0	70,0	68,0	-	-
ეუროკავშირი	80,0	70,0	62,0	58,0	58,5		
დსთ	200,0	118,0	98,0	90,0	82,0		
საქართველო	100,0	70,0	50,0	40,0	30,0	23,0	47
ესტონეთი	118,0	82,0	76,0	58,0	57,0		
ჩეხეთი	100,0	84,0	78,0	77,0	75,0		

წყარო: ჯანმო/ევროპის ბიურო, ევროპის ჯანმრთელობა ყველასათვის მონაცმთა ბაზა, 2012 წლის ივლისი

საქართველოში 2019 წლისთვის ფუნქციონირებდა 266 სტაციონალური დაწესებულება 10 ათას მოსახლეზე, სანოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი კი იგივე 10 ათას მოსახლეზე, შეადგენს 47 სანოლს, რაც 26, 6 %-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. თუმცა, სანოლების რაოდენობით საქართველო ორი ათეული წლის მერეც ჩამორჩება ევროპის რეგიონს (იხ. ცხრილი 3).

ჯანმრთელობის საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია ამ სფეროში ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, როგორც სპეციალობის მიხედვით, ისე ჯანდაცვის მუშაკთა რიცხოვნობის მიხედვით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ განსაზღვრა მინიმუმ 2,3 ჯანდაცვის მუშაკი 1000 მოსახლეზე, მაშინ როცა საქართველოში 2019 წელს 1000 მოსახლეზე მოდიოდა 13,4 ჯანდაცვის მუშაკი. ევროპის რეგიონთან შედარებით ასევე საკმაოდ მაღალია ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელიც. ასე მაგალითად, საქართველოში 2019 წელს ყოველ 10 ათას მოსახლეზე მოდიოდა 82,2 ექიმი, მაშინ როცა ევროპის რეგიონში იგი 34,2 ექიმს შეადგენდა. საყურადღებოა ის, რომ ქვეყნის რეგიონების მიხედვით ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი უკიდურესად არათანაბარია, რაც განაპირობებს სამედიცინო მომსახურების დაბალ დონეს საქართველოს რეგიონებში.

ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობით საქართველო სრულად არამ-

ესაბამისობაშია ევროპის რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, რადგან თითქმის 2,5-ჯერ მეტი ექიმი გვყავს საქართველოს, ვიდრე საშუალო ევროპულ ქვეყანას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში სამედიცინო დაწესებულებების ხარჯების დაახლოებით 60-70 % დასაქმებულთა ხელფასზე იხარჯება, გამოდის, რომ ღარიბი საქართველო ჯანდაცვაზე გაცილებით ძვირადღირებულ ადამიანურ რესურსებს იყენებს და ამით ჯანდაცვის მომსახურებას მნიშვნელოვნად აძვირებს, რაც ფინანსურ ტვირთად აწევა მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის საშუალო სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 10 ათას მოსახლეზე შეადგენს 52,7 ექთანს, რაც 30 ერთეულით ნაკლებია ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელზე. ევროპის რეგიონთან შედარებით ეს ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია, ხოლო აშშ-ში ეს თანაფარდობა რამდენადმე განსხვავებულია: 2035 ექიმი (მათ შორის 560 სტომატოლოგი) და 7891 მედდა 1 მილიონ მოსახლეზე. ე.ი. ექიმების რიცხოვნობა 3,88-ჯერ ნაკლებია. ექთნებისა და ექიმების თანაფარდობით საქართველო ბოლო ადგილზეა (0,6) ევროპაში. მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი, მაგალითად დანიაში 4,6, გერმანიაში - 3,3, უკრაინაში - 2,2, ხოლო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულია 4:1-თან თანაფარდობა. წყარო: ჯანმო/ ევროპის ბიურო, ევ-

როპის ჯანმრთელობა ყველასათვის მონაცემთა ბაზა, 2017 წ.;

მაშასადამე, ექიმებით უზრუნველობის მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში მაღალია, მაგრამ ექიმების ზრდა უნდა განმტკიცებული იყოს საშუალო სამედიცინო პერსონალით და სამედიცინო დადნესებულებების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდით. ამასთან, მნიშვნელოვანია ექიმებით უზრუნველყოფა სპეციალობის მიხედვით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე და ჯანდაცვა დამოკიდებულია გარემოს მდგომარეობაზე. ჩვენს ქვეყანაში სამუშაოები გარემოს სტატისტიკის შესახებ დაიწყო 1974 წლიდან, როცა შეიქმნა პირველი სახელმწიფო გარემოს დაცვითი ორგანო. 1991 წელს კი შეიქმნა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო.

გარემოს მდგომარეობის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სადაც რეგისტრირდება მონაცემები სიცოცხლისათვის საჭირო ყველა საშუალების ხარისხის შესახებ.

როგორც წესი, გარემოს ხარისხი ხასიათდება მისი გაჭუჭყიანების წყაროს რიცხოვნობისა და გარეცვლების მაჩვენებლებით (ავტომობილების რიცხვი ათას მცხოვრებზე, 1 კმ ტერიტორიაზე; ატმოსფეროში გატყორცნის მოცულობა ან წყლებში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების რაოდენობა და ა.შ.).

საქართველოში მონაცემები ატმოსფეროში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გატყორცნის შესახებ წარმოდგენილია ცხრილში 4.

როგორც ცხრილ 4-დან ჩანს, 2019 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული მოქმედი საწარმოებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა საერთო რაოდენობა შეადგენს 63,1 ათას ტონას წელიწადში, მათ შორის

მყარი 3,6 ათას ტონა, ხოლო აირადი და თხევადი – 47,9 ტონა.

საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელ რეგიონებს წარმოადგენს იმერეთი, ქვემო ქართლი, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონები, რომლებზეც მოდის მთლიანი გაფრქვევის 89%-ზე მეტი.

2019 წელს ავტოტრანსპორტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულია 342,70 ათას ტონა მავნე ნივთიერება, რაც მავნე ნივთიერებათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 92%-ს შეადგენს. ბოლო 10-15 წლის მანძილზე ავტომობილების პარკის მნიშვნელოვანმა გადიდებამ დაბალ ტექნიკურ პარამეტრებში გამოიწვია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გატყორცნის ასეთი გაზრდა. გარდა ამისა, ქვეყნის მრავალი რეგიონის მიხედვით ავარიები სატრანსპორტო და სამრეწველო ობიექტებზე აუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

სასმელ წყლებში, ზღვაში და მდინარეებში გამაჭუჭყიანებლების გატყორცნის მოცულობის შესახებ წარმოდგენას იძლევა საქართველოს სტატისტიკურ წელიწადეულში მოცემული ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე ჩამდინარე წყლების ჩაშვება ზედაპირულ წყალსატევებში შემცირდა 41 %-ით, შესაბამისად დაბინძურებული წყლის მოცულობა 2016–2019 წლებში 280 მლნ .მ. კუბდან 97 მლნ. მ. კუბამდე შემცირდა, აქედან გაიზარდა მხოლოდ 41 მლნ. მ. კუბი. თუმცა 2011 წელს შედარებით 4,5-ჯერ მეტი. ე.ი ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ორგანოები ახორციელებენ მუშაობას ამ მიმართულებით.

ჯანდაცვის მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებელთა ანალიზმა წარმოაჩინა ამ სფეროში არსებული რესურსით მეტი შედეგის მიღწევის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კიდევ

ცხრილი 4. გამაჭუჭყიანებელი წყაროების რიცხოვნობა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევის დინამიკა საქართველოში 2001-2010 წლებში.

მაჩვენებლები	2016	2017	2018	2019	2019
გამოფრქვეული მავნე ნივთიერებები სულ (ათას ტ. წელიწადში.) მათ შორის:					
საწარმოებიდან	777,5	831,2	875,5	1028,6	
ავტოტრანსპორტიდან	44,5	46,5	48,7	63,1	
	147,1	149,8	152,9	155,8	
სტაციონალური წყაროებიდან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების გაუვნებელყოფა ათასი ტ./წ.	728,0	784,7	826,8	965,6	
დაჭერილი (გაუვნებელყოფილი) ნივთიერებების წილი სულ გამოყოფილ ნივთიერებებში, %-ში	94,2	94,4	94,4	93,9	
ავტომობილების რაოდენობა (ათასი ერთეული)	1167,2	1228,1	1289,1	1339,3	
სტაციონალური წყაროები (ერთეული)					

წყარო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ანგარიში, თბ., 2019

უფრო გაუმჯობესების შესაძლებლობა. ამისათვის აუცილებელია:

- დამატებითი სახელმწიფო ინვესტიციები ჯანდაცვის სფეროში (ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილის ზრდა მშპ-სთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში)

- სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდა. უპირველეს ყოვლისა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა;

- ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის ახალ პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა, როგორცაა საკონტრაქტო სისტემა, აქტიური შესყიდვა, შედეგებზე დაფუძნებული ანაზღაურება და ა.შ.

ჯანდაცვის სისტემის უზრუნველყოფა მოტივირებული და კვალიფიციური სამედიცინო კადრებით;

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და საზოგადოდ ხელმისაწვდომობა, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრებისათვის უფრო კომფორტული გარემოს შექმნას, რადგან

გარე სამყაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველს წარმოადგენს საიმედო სტატისტიკური მონაცემები და მათი ხელმისაწვდომობა, ე. ი. საზოგადოების სრული ინფორმირებულობა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისათვის გადაწყვეტილებების მისაღებად პირობების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2020
2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკური ცნობარი, თბ., 2019
3. ჯანმო/ევროპის ბიურო. ევროპის ჯანმრთელობა ყველასათვის მონაცემთა ბაზა. 2019
4. ეროვნული მოხსენება საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2016-2017წწ.

კოვიდ-19-ის გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი)

ნონა ახვლედიანი

*ა. ნერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი*

ივლია ონიანი

*ა. ნერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი*

IMPACT OF KOVID-19 ON GEORGIA'S FOREIGN TRADE (ECONOMIC-STATISTICAL ANALYSIS)

Nona Akhvlediani – Associated professor,
Economic department, Akaki Tsereteli
State University, Kutaisi, Georgia
Ivliia Oniani – Associated professor,
Economic department, Akaki Tsereteli
State University, Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The economic-statistical study of foreign trade is the interest to any country under the influence of COVID-19. From 2020, the world faces a new reality. The explosion of COVID-19 occurred on the basis of the growing global trade. The role of statistics and research methods in foreign trade during the spread of the Covid pandemic around the world is gaining even greater scale. Because great importance is attached to the correct economic statistical analysis of the crisis situation in foreign trade caused by COVID-19. The aim of this article to study the dynamics and trends of Georgia's foreign trade before and after COVID-19, in particular, the impact of COVID-19 on foreign trade in the context of economic statistical analysis. COVID-19 has had a significant impact on international trade. In exporting countries, including Georgia, COVID-19 damage was revealed, both by reducing the scale of production and by reducing the supply of exports - entirely foreign trade. The impact of COVID-19 harm on the importing country is mainly due to the decline in aggregate demand in that country, although the transition to a market economy despite the existence of COVID-19 is irreversible.

Keywords: Export, import, balance, COVID-19, pandemic, statistics, economy.

* * * *

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საგარეო ვაჭრო-

ბის მეცნიერული შესწავლისადმი. მოცემული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური შესწავლა მეტად აქტუალური საკითხია და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს წარმოადგენს COVID-19-ის გავლენის პირობებში. 2020 წლიდან მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დგება. მანამდე არნახული ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე ქვეყნებს უწევთ არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება. COVID-19-ის აფეთქება მოხდა მზარდი გლობალური ვაჭრობის ფონზე, რომელიც ვითარდებოდა 2008–2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ, რაც უპრეცედენტო სტრესის ქვეშ აყენებს ქვეყნებს სიცოცხლის გადასარჩენად. პანდემიის სწრაფმა გავრცელებამ და მთავრობების მიერ მის აღსაკვეთად მიღებულმა ზომებმა სერიოზული ზარალი მოიტანა, როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე საერთაშორისო ეკონომიკისთვის. მსოფლიო მასშტაბით კოვიდ პანდემიის გავრცელების დროს საგარეო ვაჭრობაში სტატისტიკის როლი და კვლევის მეთოდები კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. რადგან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება COVID-19-ის შედეგად გამოწვეული საგარეო ვაჭრობის კრიზისული მდგომარეობის სწორ ეკონომიკურ სტატისტიკურ ანალიზს.

ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკისა და ტენდენციების შესწავლა COVID-19 მდე და მის შემდგომ პერიოდში, კერძოდ COVID-19-ის გავლენის შესწავლა საგარეო ვაჭრობაზე ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზის ჩრდილში. COVID-19-ის გლობალურმა აფეთქებამ და მთავრობების მიერ გამოყენებული შეზღუდვის ზომებმა არასასურველი შედეგები გამოიწვია როგორც გლობალური ისე საქართველოს ეკონომიკისათვის. საზღვრების ფართოდ დახურვამ, მოგზაურობის შეზღუდვებმა და წარმოებების შეჩერების პოლიტიკამ, რომელიც პანდემიის დროს იქნა მიღებული, გლობალური ინფექციის შესანელებლად, ჩაშალა პროდუქტიული საქმიანობა, გრძელვადიანი ეკონომიკური შედეგები. შეფერხდა ტრანსსაზღვრო მომარაგების ღირებულების ჯაჭვები, შეინიშნებოდა საქონელზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება და მომსახურებების ვარდნა. COVID-19-მა მნიშვნელოვნად და სხვადასხვა გზით იმოქმედა საერთაშორისო ვაჭრობაზე. ექსპორტიორ ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც COVID-19 ზიანი გამოიკვეთა, როგორც წარმოების მასშტაბის

შემცირებით, ისე ექსპორტის მიზიდვის - მთლიანად საგარეო ვაჭრობის შემცირებით. COVID-19-ის ზიანის გავლენა იმპორტიორ ქვეყანაში ძირითადად განპირობებულია ამ ქვეყანაში მთლიანი მოთხოვნის შემცირებით, მიუხედავად COVID-19-ის არსებობისა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი შეუქცევადია; კიდევ უფრო მეტად გჭკირდება გამოცდილება შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონე და ტექნოლოგია იმისათვის, რომ განვავითაროთ ექსპორტი, როგორც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების (ვაჭრობის) განვითარების ძირითადი ფაქტორი, ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის და სიმდიდრის ერთ-ერთი მთავარი წყარო. ქვეყანა ჯერ კიდევ იძულებულია ორიენტაცია იქონიოს მსოფლიოს სხვა ქვეყნების დახმარებაზე. ბოლო წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა COVID-19-მდე, თუმცა იმპორტის წილი ექსპორტზე ბევრად მეტი იყო ყოველთვის. ამის გამო ქვეყანას მუდმივად უარყოფითი სავაჭრო სალდო ქონდა, რაც კიდევ უფრო დამძიმდა პანდემიის პირობებში (ცხრილი 1).

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოხდა საქართველოს ეკონომიკის ეფექტური ინტეგრაცია ევროკავშირის საერთო ბაზარზე, რაც აისახა განსაკუთრებულად 2019 წლის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, რომელმაც მაქსიმუმს მიაღწია. 2019 წელს მომსახურების სექტორის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 70% შეადგინა და სამუშაო ძალის 47% აითვისა. 2019 წელს ევროკავშირი შეადგენდა საქართველოს ექსპორტის უდიდეს წილს (21,6%), შემდეგ მოსდევს აზერბაიჯანი (13,4%), რუსეთის ფედერაცია (13,1%) და სომხეთი (11,4%) ევროკავშირის რეგიონული ბლოკი ასევე

წარმოადგენდა მომარაგების მთავარ წყაროს და შეადგენდა საქართველოს იმპორტის უდიდეს სეგმენტს 2019 წელს (25%). მეორე ადგილზეა თურქეთი (17%), მოსდევს რუსეთის ფედერაცია (10%) და ჩინეთი (9%). საწარმოთა დიდ დამოკიდებულებას საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის მოპოვების თვალსაზრისით, ამ ვინრო საქსპორტო მიზიდულობამ განაპირობა ის, რომ იმპორტმა განაგრძო ზდა, ხოლო დეფიციტი 5.7 მილიარდი აშშ დოლარი იყო 2019 წელს.

2019 წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 825.7 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 13.0%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.9%-ს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 2 321.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (7.4%-ით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.6% შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 147.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 2.8%-ით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს 2019 წელს მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 28.3 პროცენტით განისაზღვრა.


2019 წელს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 2 003.1 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 20.0%-ით არემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 53.1%-ს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 2 438.6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (9.5%-ით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 26.9%-ია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 4 441.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.8%-ით მეტია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს 2019 წელს მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 8.2% იყო დიაგრამა 1-2.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2015-2021 წლებში ცხრილი 1.

მილიონი აშშ დოლარი	2015	2016	2017	2018	2019	2020*	2021* (იანვარი-აპრილი)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 508.4	9 459.0	10 802.4	12 741.3	13 315.4	11 373.0	3 929.0
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 204.2	2 117.1	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 342.1	1 199.0
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	7 304.2	7 341.9	8 056.6	9 361.6	9 516.9	8 030.9	2 730.0
საგარეოვაჭრობის სალდო	-5 100.0	-5 224.7	-5 310.9	-5 981.8	-5 718.5	-4 688.7	-1 531.0
ადგილობრივი ექსპორტი	1 602.5	1 620.4	2 007.8	2 226.2	2 324.5	2 406.9	884.5

წყარო: geostat.ge


დიაგრამა 1.



წყარო: geostat.ge


დიაგრამა 2.

2019 წელს 10 უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა



2019 წელს 10 უდიდესი საიმპორტო ქვეყანა.

დიაგრამა 3.



წყარო: geostat.ge


2019 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 65.8 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 613.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (975.9 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (858.7 მლნ. აშშ დოლარი).

2019 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომო-

ბილებმა დაიკავა 686.7 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი ექსპორტის 18.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 651.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 17.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 303.0 მლნ. აშშ დოლარით (8.0 პროცენტი). 2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირე-

დიაგრამა 5. საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2013-2019 წლებში


წყარო: geostat.ge



საგარეო ვაჭრობის მონაცემები 2016-2021 იანვარ-აპრილში (მლნ აშშ დოლარი)

დიაგრამა 6.


წყარო: geostat.ge



დიაგრამა 7.

ექსპორტისა და იმპორტის დინამიკა 2019-2021 წლებში თვეების მიხედვით (მლნ. აშშდოლარი)

წყარო: geostat.ge



ბული ვაჭრობის გარეშე) 12 834.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე 2.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 771.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9 063.2 მლნ. აშშ დოლარს (0.8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წელს, 5 291.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წელთან შედარებით 5.7 პრო-


ცენტით გაიზარდა და 2 352 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **დიაგრამა 5.**

მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3 928.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 12.8%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 1 198.7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც 19.6%-იან ზრდას გულისხმობს, ხოლო იმპორტი 2 730.0 მლნ. აშშ დოლარს 10.1%-იანი ზრდით. **დიაგრამა 6-7.**

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2021*
წლის იანვარ-აპრილში

დიაგრამა 8.

წყარო: geostat.ge



2021 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წილმა ექსპორტში 78.2 პროცენტი შეადგინა. ამ ქვეყნებიდან პირველ სამ პოზიციას იკავებენ: ჩინეთი (198.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (159.6 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (152.2 მლნ. აშშ დოლარი). **დიაგრამა 8.**

2021 წლის იანვარ-აპრილში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 264.1 მლნ. აშშ დოლარით. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები 125.4 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 111.4 მლნ. აშშ დოლარით. ლიდერ პოზიციებზეა ნედლეული და მანქანების რექსპორტი. სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან ღვინო და ალკოჰოლური სასმელებია მთავარი საექსპორტო საქონელი.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2021 წლის იანვარ-აპრილში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 244.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 9.0 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 196.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 190.5 მლნ. აშშ დოლარით. პანდემიისგან გამონეული უარყოფითი შედეგების შესამსუბუქებლად არის რიგი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება გარანტი გახდეს, როგორც პრევენცია სამომავლო რისკებისა. არსებობს რამ-

დენიმე რეკომენდაცია, რათა საგარეო ვაჭრობა იყოს მზარდი და და ხელი შეუწყოს COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლას: 1) ვაჭრობისა და გლობალური ბაზრებისადმი ნდობის ამაღლება ვაჭრობასთან დაკავშირებული ღონისძიებების და განზრახვების გამჭვირვალობის გაზრდით. 2) უნდა გავატაროთ პრევენციული ღონისძიებები რათა თავიდან ავიცილოთ საექსპორტო შეზღუდვები და სხვა სავაჭრო ბარიერები. 3) სამედიცინო პროდუქციისა და სურსათის სასაზღვრო შემოწმების დაჩქარება, საბაჟოსა და საზღვრის სხვა ოფიციალურ პირებსა და ვაჭრებს შორის ფიზიკური ურთიერთქმედების საჭიროების შემცირება, პროცესების მაქსიმალურად ციფრული გზით და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ს. „კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები (პოლიტიკონომიკური ასპექტი)“. თბ., 2021წ.
2. ოქროცვარიძე ა., ოქროცვარიძე დ., ვადაჭკორია მ., „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები“. დამხმარე სახელმძღვანელო თბ., 2017წ.
3. <https://forbes.ge/pandemiisgan-dazaralebuli-sagareo-vatchroba/>
4. www.geostat.ge
5. https://unece.org/fileadmin/DAM/trade/StudiesRegulatoryProceduralBarriersTrade/ThematicPublications/Impact_COVID-19_Georgia.pdf

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პრობლემები ქართულ ბიზნესკომპანიებში

ნუნუ ქიკოძე

*საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
ბიზნესის ადმინისტრირების ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მედეა ლომინაშვილი-ფრუიძე

*ეკონომიკის დოქტორი
ბიზნესის ადმინისტრირების ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

PROBLEMS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN GEORGIAN BUSINESS COMPANIES

Nunu Kikodze

Department of Business Administration
Associate Professor
Akaki Tsereteli State University

Medea Lominashvili-Pruidze

Department of Business Administration
Associate Professor
Akaki Tsereteli State University

RESUME

Nowadays, any company that is trying to survive in the long run, is interested in attracting new highly qualified employees. The process of selecting and recruitment of new employees is the most important factor leading a company to success. Every company faces the problem of staff selection, however the ways to solve this problem are individual and different for each of them.

Professional personnel are the main resource of the company, which is essential for its prosperity. It may sound strange but everything is decided not only by money and technology, but also by human capital.

The prosperity of a business depends on the quality of its human capital. Therefore, the aim of the article is to show how the efficiency of the company depends on the organized personnel management system. Also, how important is the attitude of the head of the company to human resources, in terms of their development and motivation.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსი, მართვა, საქმიანი ურთიერთობები, კომპანია, საქმიანი ურთიერთობები.

* * * *

ადამიანური რესურსი ნებისმიერი კომპანიის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობა. კომპანიის მმართველობით საქმიანობაში მნიშვნელოვანია HR მენეჯერის და

მენეჯმენტის თანამშრომლობა, რაც სულ მცირე ინფორმაციის დროულ გაცვლას გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში ქართულ კომპანიებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას მენეჯმენტში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თანამშრომლებს არ აქვთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის არ ხდება ინფორმაციის გაცვლა.

რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო იხვეწება ადამიანური რესურსების მართვის გარკვეული მოდელები.

მენეჯმენტი საჭიროა მაშინ როცა არსებობს სამართავი ობიექტი - კომპანია, რომელსაც გააჩნია მიზნები. კომპანიას კი მიზნების მისაღწევად ესაჭიროება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ახალი ტექნოლოგიები და ახალი ინფორმაცია მუდმივი გამომწვევების წინაშე აყენებს ადამიანებს, თანამშრომლებს უფრო და უფრო მეტი მოეთხოვებათ იყვნენ პროდუქტიულები და უფრო ეფექტურები, ამისათვის საჭიროა იყვნენ მოტივირებულები. ხშირ შემთხვევაში ამას განაპირობებს კომპანიის გარემო და კულტურა, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ იყვნენ კომფორტულად და მშვიდად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები.

კვლევაში აჩვენა, რომ ქართულ კომპანიებში პრობლემები ბევრია, მაგრამ განვიხილავთ იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე მეტად დამახასიათებელი და ხშირია.

ქართულ კომპანიების რეალობაში არსებული პრობლემები იგივეა, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, რომლებიც განვითარების იგივე ფაზაში იმყოფებიან. თუმცა ჩვენი კულტურული თავისებურებები, ეროვნული ხასიათი, საქმის კეთების ტრადიციები და ისტორია განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქართული კომპანიების მუშაობის სპეციფიკაზე. ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ხშირად გვხვდება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200 მდე რესპოდენტმა, რომელთაგან 55% ქალია და 45%კაცი. გამოკითხული იქნა სუბიექტები, ვინც მუშაობს ან მუშაობდნენ ქართულ კომპანიებში, ძირითადად კერძო კომპანიებში და საქმეებულები, გამოკითხულთა ასაკი არის 20 წლიდან ზემოთ.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ 70% გამოკითხულების ადასტურებს, რომ კომპანიებში ხდება თანამშრომლებად ახლობლების, ნათესავების აყვანა, რაც ძირითადად გამოწვეულია ხელმძღვანელების არასათანადო პროფესიონალიზმით. ადამიანური რესურსების შერჩევის ასეთი მიდგომა კომპანიას ავსებს არადისციპლინირებული, არაადეკვატური და ერთმანეთის შეუსაბამო კადრებით, რასაც კომპანია უმეტესად შიდა კრიზისამდე მიყავს.

ასევე, საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ადამიანების დაუმსახურებლად დანინაწურება. როგორც წესი, ხელმძღვანელობა, დასაინაწურებლად იმ ადამიანებს გამოარჩევს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამა თუ იმ საქმის ნორმალური ხარისხით გაკეთებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი იქნებიან კარგი მენეჯერები. მათი უმრავლესობა იმის ნაცვლად, რომ მისი დაქვემდებარებული ადამიანები ჩართონ და მათი მეშვეობით გააკეთონ საქმე განაგრძობს მიღებული დავალებების დამოუკიდებლად შესრულებას. ეს დაქვემდებარებულების მოტივაციას და მთლიანად კომპანიის ეფექტიანობას ამცირებს. ამ ფაქტს გამოკითხულთა 60% ეთანხმება.

ქართულ კომპანიებში მსგავსი პრობლემა არასაკმარისი დელეგირება, უფლებამოსილებების გადაცემა, რაც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში. მენეჯმენტი რეალურად გადაწყვეტილებების მიღებას ვერ ანდობს ქვეშევრდომებს. უმნიშვნელო გადაწყვეტილებებიც კი მიიღება ზედა დონეზე. ხშირია, როდესაც კომპანიების უმრავლესობა ხელს უშლის ქვემოდან წამოსული ინიციატივების განხორციელებას. შედეგად ახლად მოსული და ერთუზიანობით აღსავსე თანამშრომლებიც კი სწრაფად კარგავენ ინიციატივებით გამოსვლის ხალისს და უერთდებიან სხვა, პასიურ ცხოვრებას შეგუებული თანამშრომლების რიგებს.¹

განსაკუთრებით დიდი ზომის კომპანიებში, მეტად სუსტია მენეჯმენტსა და რიგით თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია. კვლევაში ჩართულ რესპოდენტთა 40% ადასტურებს რომ არ აქვთ მენეჯერთან გასაუბრების და თავიანთი აზრების გაზიარების შესაძლებლობა.

ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, ასევე, უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გაუმიჯნავი ან არასწორად გამიჯვნის შედეგი. ეს პრობლემა ხშირად გვხვდება ქართულ კომპანიებში. დიდმა ნაწილმა თანამშრომლების არ იცის, რას ითხოვენ და რას ელოდებიან მათგან. ეს პრობლემა ეხება, როგორც რიგით მუშაკებს, ისე მენეჯმენტის წევრებსაც. შესაბამისად, ისინი ხშირად უთმობენ დროის დიდ ნაწილს ერთი და იგივე საქმის კეთებას და ხანდახან რაც აუცილებლად და სასწრაფოდ არის გასაკეთებელი, არავინ აკეთებს. ქართული კომპანიების დიდ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა არის მათი ამოცანები, გრძელ-

ვადიან თუ საშუალოვადიან გეგმაზე, რისთვის ან ვისთვის მუშაობენ, საით მიდიან, რას უნდათ რომ მიალწიონ. არასაკმარისი სიცხადე მიზნებში და მათი მიღწევის გზებში ოპერატიული გადაწყვეტილებების არათანმიმდევრულობა, ავტოტომატურად ინვესტ, კომპანიის მოქმედების ტემპის და ეფექტიანობის შემცირებას.

ქართული კომპანიებისათვის ასევე დამახასიათებელია დამფუძნებლების აქტიური ჩარევა ყოველდღიურ მართვაში. რაც აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის ართულებს მართვას. თანამშრომლებისათვის კომპანიის მართვის სქემას და იერარქიას გაუგებარს ხდის, იქმნება პრობლემები შესაბამისი გაგრძელებებით და გართულებებით.

ასევე ხშირად აწყდებიან პრობლემას, რომელიც უკავშირდება ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური დროით სამუშაოს შესრულებას, რითაც ირღვევა დასაქმებულის უფლებები.

ფართოდ გავრცელებული პრობლემებია კლიენტების ინტერესების ხშირი იგნორირება, არასათანადოდ შეფასება, დაფასება და გათვალისწინება, რომელიც სამწუხაროდ ბევრი კომპანიის სავიზიტო ბარათი შეიძლება იყოს. ხშირად ავიწყდებათ ის, რომ არსებობს კლიენტი, რომელსაც აქვს სურვილები, ინტერესები და მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მუშაობენ ისინი. ეს კიდევ უფრო ართულებს კლიენტების ლოიალურობის ზრდას მათ მიმართ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ნაკლებად ლოიალურია ქართველი მომხმარებელი არსებული ბრენდების და კომპანიების მიმართ.

კიდევ ერთ თავისებურება რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს არის საქმიანი და კონკურენტული ურთიერთობების პირად ურთიერთობებზე ასახვა. ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკურენტები, მენეჯერები, რიგითი თანამშრომლებიც კი პიროვნულად ვერ იტანენ ერთმანეთს. კონკურენტია თანამშრომლებს შორის კომპანიის შიგნითაც კი, ან უთანხმოება საქმიან ნიადაგზე ძალიან ხშირად ხდება პიროვნული დაპირისპირების მიზეზი. ეს გაცილებით უფრო რთული დასარეგულირებელია, ვიდრე ერთჯერადი უთანხმოება. საქმიდან გამომდინარე, პიროვნული დაპირისპირების მოგვარება არათუ რთულია, არამედ ხშირად სწრაფი ტემპით ინვესტ კონფრონტაციას, რაც შეიძლება გახდეს შიდა ორგანიზაციული კრიზისის მიზეზი. კვლევაში გამოკითხულთა 55,6 % ადასტურებს რომ ხშირად არის შემთხვევა როცა კომპანიაში ხდება დაპირისპირებები მენეჯერებს და რიგით თანამშრომლებს შორის, რომლის მიზეზადაც რთულ სამუშაო პირობები მიიჩნევა.

ერთერთი პრობლემა, რომელიც გამოვლინდა ქართულ კომპანიებში, არის დირექტორის მხრიდან პერსონალისადმი უპატივცემულო დამოკიდებუ-

1 <http://strategy.ge/2009/11/23/the-most-famous-problems/> "ყველაზე გავრცელებული პრობლემები ქართულ კომპანიებში" პაპუნა ტოტიანაშვილი, 2009

ლება. უფროსი იმდენად უსამართლოა დაქვემდებარებული მიმართ რომ მოტივაციას უკარგავს თანამშრომლებს. კომპანიაში უნდა შეიქმნას ისეთი გარემო სადაც დაქირავებული პერსონალი თავს იგრძნობს კომფორტულად, ამისათვის ხელმძღვანელებმა უნდა შეუქმნათ მათ სათანადო პირობები.²

ამდენად, მოცემულ სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა, კომპანიის საქმიანობის ეფექტურობა რამდენადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული პერსონალის მართვის სისტემა და რამდენად გამართლებულია იგი, ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ხელმძღვანელის პოზიცია ადამიანურ რესურსებთან მიმართებაში, მათი განვითარება და მოტივაცია.

ჩვენი აზრით კარგი იქნება თუ კომპანიები მეტფინანსურ რესურს დახარჯავენ კადრის შერჩევისას. ხელმძღვანელობას უნდა ახსოვდეს, რომ თანამშრომლების პროფესიონალიზმის მთავარი საწინდარი სწორი ადგილის მისთვის შერჩევაა. კონკრეტულ ვაკანსიას კონკრეტული პიროვნება უნდა შეესაბამებოდეს მისი ხასიათით, მისწრაფებებით, ცოდნის დონით და ა.შ. ამის გამო არის ხშირად, რომ ერთი კომპანიაში თანამშრომელი შეიძლება წარმატებული იყოს ხოლო მეორე კომპანიაში გახდეს სრულიად გამოუსადეგარი.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი:

1. ქართულ კომპანიებში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული არის არაშესაბამისი კომპეტენციის მქონე ახლობლების, მეგობრების ნათესავების აყვანა. ეს ძირითადად გამოწვეულია ხელმძღვანელების არასათანადო პროფესიონალიზმით

და მნიშვნელოვნად აზიანებს კომპანიის საქმიანობას.

2. საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა არასაკმარისი დელეგირება, მენეჯმენტი რეალურად გადანყვეტილებების მიღებას ვერ ანდობს ქვეშევრდომებს. უმნიშვნელო გადანყვეტილებების მიღებაც ზედა დონეზე ხდება.

3. ქართული კომპანიებისათვის ასევე დამახასიათებელია დამფუძნებლების აქტიური ჩარევა ყოველდღიურ მართვაში. რაც აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის ართულებს მართვას.

4. ყველაზე ხშირად აწყდებიან პრობლემას, ანაზღაურების გარეშე ზეგანაკვეთური დროით სამუშაოს შესრულებისას, რითაც ირღვევა დასაქმებულის უფლებები.

5. ერთერთი პრობლემა, რომელიც გამოვლინდა ქართულ კომპანიებში, არის დირექტორის მხრიდან პერსონალისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება. უფროსი იმდენად უსამართლოა დაქვემდებარებულის მიმართ რომ მოტივაციას უკარგავს თანამშრომლებს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. გეჩბაია, ა. დევაძე. - "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი" თბილისი, 2015;
2. <http://strategy.ge/2009/11/23/the-most-famous-problems/> "ყველაზე გავრცელებული პრობლემები ქართულ კომპანიებში";
3. . <https://pragenti.wordpress.com/2011/06/25/> "თანამდეროვე მენეჯმენტი"

2 <http://strategy.ge/2009/11/23/the-most-famous-problems/> "ყველაზე გავრცელებული პრობლემები ქართულ კომპანიებში" პაპუნა ტოტიასვილი, 2009

პერორული ხსნარების ბიოშელწევადობის დამოკიდებულება ფარმაცევტულ ფაქტორებზე

მედია ჩიქავა
სტუ-ს პროფესორი

თამარ ცინცაძე
სტუ-ს პროფესორი

ნინო ყურაშვილი
საქართველოს
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სამკურნალწამლო ფორმების ბიოშელწევადობა - მათი თერაპიული ეფექტურობის შესაფასებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოლოგიური კვლევების შემდგომი ჩატარება საშუალებას იძლევა, საიმედოდ შევაფასოთ ექსპერიმენტის შედეგად შერჩეული ფარმაცევტული ფაქტორების ბიოლოგიური მნიშვნელობა და დაავადგინოთ სამკურნალწამლო ფორმის ოპტიმალური შემადგენლობა.

სტატიაში განხილულია პერორული ხსნარების ბიოფარმაცევტული მახასიათებლები მნიშვნელოვანი ფარმაცევტული ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია სამკურნალ პრეპარატების შემადგენლობისა და ტექნოლოგიის მიზანმიმართული ოპტიმიზაცია. სამკურნალ ნივთიერებების აბსორბციაზე გავლენას ახდენს ხსნადობა, გამხსნელის შემადგენლობა, მისი pH, სიბლანტე, ზედაპირული დაჭიმულობა და ა.შ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პერორული ხსნარების ბიოშელწევადობა უმეტესად მატულობს გამხსნელების, სოლუბილიზატორებისა და კომპლექსნარმომქმნელების დამატებით; ბიოშელწევადობა კლებულობს გემოსა და სუნის კორიგენტების, ანტიოქსიდანტებისა და კონსერვანტების, სტაბილიზატორების, საღებავი ნივთიერებებისა და პროლონგატორების დამატებით; ხოლო ბუფერული კომპლექსების დამატებით რეგულირდება ხსნარის pH, რაც განსაზღვრავს ბიოშელწევადობის დონეს, რადგან დისოცირებული ნივთიერებების ხსნადობა დამოკიდებულია ხსნარის pH-ზე.

საკვანძო სიტყვები: პერორული ხსნარები, ბიოშელწევადობა, ფარმაცევტული ფაქტორები.

ORAL SOLUTIONS BIOAVAILABILITY DEPENDENCE ON PHARMACEUTICAL FACTORS

Medea Chikava

Professor, Georgian Technical University

Tamar Tsintsadze

Professor, Georgian Technical University

Nino Qurashvili

Professor, University of Georgia

RESUME

Bioavailability of Pharmaceutical dosage forms represents one of the important criterion for the assessment of their therapeutic effectiveness. Conducting further pharmacokinetic and pharmacologic researchs gives the possibility to reliably assess biological importance of selected pharmaceutical factors and to state ideal formulation of the dosage form.

The article discusses biopharmaceutical characteristics of oral solutions taking into account important pharmaceutical factors, that can be used for targeted optimization of medicinal preparations composition and technology. The absorption of medicinal substances is affected by solubility, solvent composition, its pH, viscosity, surface tension and etc.

We can conclude, that oral solutions bioavailability is mostly increased by adding solvents as well as solubilizers and substances causing complexation; bioavailability is decreased if flavors, antioxidants and preservatives, stabilizers, dyes or prolongators are added; but the addition of buffer complexes regulates the solution pH, which determines the level of bioavailability, as the solubility of the dissociated substances depend on the pH of the solution.

Key words: Oral solutions, Bioavailability, Pharmaceutical factors.

* * * *

ნამალთა შემადგენლობისა და დამზადების ტექნოლოგიების შემუშავებისას, სამკურნალწამლო ფორმების ბიოშელწვევადობა - მათი თერაპიული ეფექტურობის შესაფასებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. ნამალთა ბიოფარმაცევტული მახასიათებლების გულდასმით შესწავლა აუცილებელია ისეთი სამკურნალწამლო ფორმებისთვის, რომლებიც შეიცავენ სისტემურად მოქმედ სამკურნალო ნივთიერებებს (აქტიურ სუბსტანციებს) და რომლებშიც აბსორბციის პროცესს წინ უძღვის აქტიური ნივთიერებების გამონთავისუფლების პროცესი. უპირველეს ყოვლისა, ესენია ნამალთა

- პერორული;
- ორალური;
- რექტული;
- პერკუტანული/ტრანსდერმული (მაღამოები, კრემები, პასტები და სხვ) სამკურნალწამლო ფორმები;

• აგრეთვე ახალი თაობის წამლები - ნამალთა თერაპიული სისტემები, რომლებიც გამოიყენება როგორც ადგილობრივი, ისე სისტემური მკურნალობისთვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი სამკურნალწამლო ფორმების ბიოფარმაცევტული შესწავლა, რომლებიც ადგილობრივად გამოიყენება (თვალის, ნაზალური, ყურის, საინჰალაციო, ვაგინალური პრეპარატები). მაგალითად, ვინაიდან, ცხვირის ლორწოვანი გარსს, აგრეთვე ფილტვებს შეუძლიათ სისტემურად მოქმედი სამკურნალო საშუალებების აბსორბცია, თერაპიული თვალსაზრისით, ეს ორგანოები შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ სხვადასხვა დაავადების საკურნალოდ. ამასთან დაკავშირებით, სულ უფრო მატულობს მრავალრიცხოვანი მონაცემები ასეთი სამკურნალო ფორმების ბიოფარმაცევტული მახასიათებლების შესახებ.

ბიოფარმაცევტული კვლევები ნაკლებად აქტიურია ნამალთა საინექციო ფორმების შემუშავების დროს, რადგან მათი შეყვანისას ადგილი არ აქვს აქტიური ნივთიერებების გამონთავისუფლებისა და აბსორბციის პროცესებს. ამ დროს სამკურნალო საშუალება ხვდება უშუალოდ სისხლში, ხოლო სისხლიდან - საჭირო ორგანოში. ამ შემთვევაში გამოწვევისა პარალელურად მოქმედების პარენტერალური სამკურნალო საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამკურნალო საშუალებების თანაბარზომიერ და კონტროლირებად მიწოდებას სისხლში.

ტრადიციული სამკურნალო საშუალებების სრულყოფა, ისეთი თანამედროვე წამლების შექმნა და წარმოება, რომლებიც უზრუნველყოფენ აქტიური ნივთიერების კონტროლირებად გამონ-

თავისუფლებას და სამიზნე ორგანოსთან მიტანას - ნამალთა ტექნოლოგიის სერიოზული მიღწევაა, რომელიც შესაძლებელი გახდა კომპლექსური ქიმიურ-ტექნოლოგიური და ბიოფარმაცევტული ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე.

მეცნიერულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ახალი სამკურნალო პრეპარატის შემუშავება და დაწერვა მოიცავს რამდენიმე ეტაპს და გრძელდება 10-15 წელი. გარდა ამისა, ამ პროცესში, ჩართულია სხვადასხვა სპეციალისტები - ქიმიკოსები, ტექნოლოგები, ფარმაცოლოგები და სხვა.

არსებობს ბიოფარმაციის განვითარების ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. სამკურნალო საშუალებების ბიოშელწვევადობის მოდელირებული მექანიზმების შესწავლა;
2. სამკურნალო ფორმების შემადგენელ კომპონენტებს შორის ფიზიკურ-ქიმიური ურთიერთქმედებისა და სამკურნალო ფორმის სტაბილურობის შესწავლა;
3. სამკურნალო პრეპარატების ანალიზი და სტანდარტიზაცია;
4. სამკურნალწამლო ფორმის ისეთი ოპტიმალური სახისა და შემადგენლობის განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის თერაპიულ ეფექტურობას და უსაფრთხოებას.

ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნასა და სამედიცინო პრაქტიკაში დანერგვაში ბიოფარმაცევტულ და ქიმიურ-ტექნოლოგიურ გამოკვლევებს სულ უფრო ფართოდ განიხილავენ. მათ განსაზღვრული ადგილი უჭირავთ **LADMER (Liberation - გამონთავისუფლება; Absorption - შეწოვა, აბსორბცია; Distribution - განაწილება; Metabolism - მეტაბოლიზმი, Elimination - გამოყოფა, ელიმინაცია; Response - რეაგირება)** სისტემაში.

სამკურნალო ნივთიერებების წინასწარი შესწავლის შედეგების მიხედვით და ნამალთა ფორმების შესახებ დაგროვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, ახორციელებენ მომავალი სამკურნალო პრეპარატის მისაღები კომპოზიციების ფარმაცევტული ფაქტორების ოპტიმალური მნიშვნელობების ძიებას; ბიოფარმაცევტული ასპექტების, სტრუქტურულ-მექანიკური, ფიზიკურ-ქიმიური და სხვა მახასიათებლების აუცილებელი შესწავლით.

ამავე დროს კვლევები ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მიზანმიმართული ძიება ჩატარდეს ცდების გონივრული რაოდენობითა და ექსპერიმენტის მინიმალური შეცდომით. ძიების ყველა სტადიაზე აუცილებელია სამკურნალო საშუალებების ანალიზი და სტანდარტიზაცია.

ფარმაცოკინეტიკური და ფარმაცოლოგიური კვლევების შემდგომი ჩატარება საშუალებას იძლევა, საიმედოდ შევაფასოთ ექსპერიმენტის შედეგად

შერჩეული ფარმაცევტული ფაქტორების ბიოლოგიური მნიშვნელობა და დავადგინოთ სამკურნალ-ნამლო ფორმის ოპტიმალური შემადგენლობა.

განვიხილოთ პერორული ხსნარების ბიოფარმაცევტული მახასიათებლები მნიშვნელოვანი ფარმაცევტული ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია სამკურნალო პრეპარატების შემადგენლობისა და ტექნოლოგიის მიზანმიმართული ოპტიმიზაცია.



ხსნარებში შემავალი სამკურნალო ნივთიერებები შეიძლება აბსორბირდეს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (კნტ) ნებისმიერ ნაწილში, რამდენადაც მისი მემბრანის შენება ამის საშუალებას იძლევა. თუმცა მთავარ აბსორბციულ ორგანოს წვრილი ნაწლავის ზედა ნაწილი წარმოადგენს, სადაც ტუტე ბუნების ნაწილები შეიწოვება. თუ სამკურნალო ნივთიერება მჟავე ბუნებისაა და განაწილების კოეფიციენტი ოპტიმალურია, მაშინ აბსორბციის უნარს ამჟღავნებს კუჭი, რადგან მჟავე ბუნების ნაწილები მჟავე არეში შეიწოვება.

ბიოფარმაცევტული თვალსაზრისით, ხსნარები, ნამლის სხვა ფორმებთან შედარებით, ყველაზე მეტად ფიზიოლოგიური და ეფექტურია. ხსნარის სახით მიღებულ სამკურნალო ნივთიერებებს აქვს კარგი ბიოშელწვეადობა, ანუ უფრო სწრაფად შეიწოვება და უფრო კარგად ავლენს სამკურნალო მოქმედებას. სამკურნალო ნივთიერების მაღალ ეფექტურობას განაპირობებს სამკურნალო ფორმაში მისი გახსნილ მდგომარეობაში შეყვანა. ამიტომ მოსამზადებელი თხევადი სამკურნალო ფორმების ხარისხის მთავარი პირობაა, ფარმაცევტის განკარგულებაში იყოს სამკურნალო ნივთიერებების ხსნადობის პარამეტრები. ისინი, როგორც წესი, დგინდება სხვადასხვა გამხსნელში მათი ფარმაცოლოგიური აქტივობის შესწავლის დროს და გამოყენებული კონცენტრაციის განსაზღვრულ დიაპაზონში.

ხსნადობა ნივთიერების ქიმიური სტრუქტურის განზოგადებული მახასიათებელია, რომელიც წამალთა ტექნოლოგიაში საშუალებას იძლევა, შემუშავდეს სამკურნალო ნივთიერებების სამკურნალო ფორმებში შეყვანის პრინციპები.

სამკურნალო ნივთიერებების ხსნადობის გარდა, აბსორბციაზე გავლენას ახდენს აგრეთვე:

- გამხსნელის შემადგენლობა,
- მისი pH,
- სიბლანტი და ზედაპირული დაჭიმულობა.

ცნობილია, რომ გამოხდელ წყალსა და სხვა გამხსნელებს გახსნის შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია. ყველაზე ხშირად გამხსნელებად იყენებენ მხოლოდ წყალს ან წყალს ეთილის სპირტის, პროპილენგლიკოლის, გლიცერინის და ა.შ. დამატებით, რომლებიც მრავალი სამკურნალო ნივთიერების ხსნადობას აუმჯობესებს. ხსნადობის გასაზრდელად იყენებენ კომპლექსნარმოქმნელებს, სოლუბილიზატორებს, თანაგამხსნელებს (შარდოვანა, პოლივინილპიროლიდონი, პოლიეთილენგლიკოლი, მრავალფუძიანი ოქსიმჟავები, დიმეთილსულოფოქსიდი და ა.შ.). ყველა ეს ნივთიერება უშუალო ზეგავლენას ახდენს სამკურნალო ნივთიერებათა ბიოშელწვეადობაზე. ხსნადობისა და, შესაბამისად, აბსორბციის გააუმჯობესებით ისინი აუმჯობესებენ ბიოშელწვეადობას, თუმცა, შეიძლება გააუარესონ კიდევ, წარმოქმნიან რა კომპლექსებს სამკურნალო ნივთიერებებთან.

ხსნადობა და აბსორბცია აგრეთვე დამოკიდებულია გამტარი ნივთიერების pH-ზე. სიბლანტის გამზრდელი ნივთიერებები ამცირებს აბსორბციას, რადგან მაღალი სიბლანტის მქონე ხსნარების ტრანსპორტირება კნტ-ში უფრო ნელა მიმდინარეობს. ზოგიერთი გამხსნელისა და დამხმარე ნივთიერების თვისებები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ოპტიმალური თვისებების მქონე თხევადი სამკურნალო ფორმების დასამზადებლად საჭიროა შესწავლილ იქნას სამკურნალო ნივთიერებათა ფიზიკურ-ქიმიური თვისებები:

- სიმკვრივე,
- ხსნადობა,
- მოცულობითი პარამეტრები,
- აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესების დროს მათ მიერ ხსნარში წარმოქმნილი ორგანული ბმები და ა.შ.

თხევადი სამკურნალო ნამლო საშუალებების ხსნარებში გამოყენებული სამკურნალო ნივთიერებების ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს მათი

- მოცულობის გაზრდის კოეფიციენტი და
- მოჩვენებითი მოლური მოცულობები.

დღეისათვის ექსპერიმენტულად დადგენილია

ცხრილი 1. ხსნარებში არსებული დამხმარე ნივთიერებები და მათი გავლენა ბიოშელწევადობაზე

დამხმარე ნივთიერება	მოქმედების მექანიზმი	გავლენა ბიოშელწევადობაზე
გამსხნელები ეთილის სპირტი პროპილენგლიკოლი გლიცერინი მაკროგელი	ხსნადობის გაზრდა	აბსორბციის გაუმჯობესება ხსნადობის გაზრდით
სოლუბილიზატორები და კომპლექსნარმოქმნელები შარდოვანა ბენზილბენზოატი ბენზილის სპირტი დიმეთილსულფოქსიდი ცილები ციკლოდექსტრინები	ჰიდროფობური ნივთიერებების წყალში ხსნადობის გაზრდა; დისპერსულობის გაზრდა კომპლექსების წარმოქმნა გახსნის მაღალი ხარისხი.	მაღალი დისპერსულობა იწვევს სამკურნალო ნივთიერებათა სრულ შეწოვას და მათი ფარმაკოლოგიური მოქმედების გაძლიერებას. კომპლექსების და ნაერთების წარმოქმნის დროს აბსორბცია იზრდება ან მცირდება ზრდიან დაბალდოზიანი ძნელად ხსნადი პრეპარატების ბიოშელწევადობას და სტაბილურობას.
ბუფერული კომპლექსები ფოსფატები ციტრატები აცეტატები	pH-ის რეგულირება	დისოცირებული ნივთიერებების ხსნადობა დამოკიდებულია ხსნარის pH-ზე
გემოსა და სუნის კორიგენტები საქაროზა სორბიტი გლიკოზა მენტოლი ეთერზეთები და სხვა	სამკურნალო პრეპარატის გემოსა და სუნის გაუმჯობესება	ამცირებენ ანტიბიოტიკებისა და სულფანილამიდური ნივთიერებების აბსორბციას
ანტიოქსიდანტები და კონსერვანტები ნატრიუმის სულფატი ბუტილოქსიტოლუოლი ეთილგალატი ბენზალკონის ქლორიდი კალიუმის სორბატი თიმოლი და სხვა	დაბინძურებისა და მიკროორგანიზმების გამრავლებისგან დაცვა. სტაბილურობის გაზრდა	კომპლექსების წარმოქმნის დროს მცირდება აბსორბცია
სტაბილიზატორები ალგინატები ბენტონიტები პოლივინილის სპირტი პოლივინილპიროლიდონი და სხვა	სტაბილურობის გაზრდა	კომპლექსების წარმოქმნის დროს მცირდება აბსორბცია
საღებავი ნივთიერებები არამანტი ტროპეოლინი 00 ინდიგოკარმინი მჟავური წითელი რუბეროზუმი და სხვა	სამკურნალო პრეპარატის ვიზუალის გაუმჯობესება	კომპლექსების წარმოქმნის დროს მცირდება აბსორბცია
პროლონგატორები მეთილცელულოზა აუბაზიდანი და სხვა	სიბლანტის გაზრდა, სამკურნალო პრეპარატის მოქმედების პროლონგირება	მომატებული სიბლანტე იწვევს აბსორბციის შემცირებას.

და სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა სამკურნალო ნივთიერებების წყალხსნარების, სპირტხსნარებისა და ზეთოვანი ხსნარების მოცულობითი განაწილების კოეფიციენტები (იხ. ცხრილი 1).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ

- პერორული ხსნარების ბიოშელწევადობა უმეტესად იზრდება გამხსნელების, სოლუბილიზატორებისა და კომპლექსნარმომქმნელების დამატებით;

- ბიოშელწევადობა მცირდება გემოსა და სუნის კორიგენტების, ანტიოქსიდანტებისა და კონსერვანტების, სტაბილიზატორების, საღებავი ნივთიერებებისა და პროლონგატორების დამატებით;

- ხოლო პერორულ ხსნარებში ბუფერული კომპლექსების დამატებით რეგულირდება ხსნარის pH, რაც განსაზღვრავს ბიოშელწევადობის დონეს, რადგან დისოცირებული ნივთიერებების ხსნადობა დამოკიდებულია ხსნარის pH-ზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. А. И. ТИХОНОВ, Т. Г. ЯРНЫХ, И. А. ЗУПАНЕЦ, О. С. ДАНЬКЕВИЧ, Е. Е. БОГУЦКАЯ, Н. В. БЕЗДЕТКО, Ю. Н. АЗАРЕНКО. Под редакцией А. И. ТИХОНОВА. Биофармация. УЧЕБНИК для студентов фармацевтических вузов и факультетов. Харьков, 2003.
2. И. А. Мурашкина, В. В. Гордеева. БИОФАРМАЦЕВТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ТЕХНОЛОГИИ ЛЕКАРСТВЕННЫХ СРЕДСТВ. *Учебное пособие*. Иркутск, ИГМУ, 2020.
3. Edited by Rajesh Krishna and Lawrence Yu, USA. Biopharmaceutics Applications in Drug Development. 419 pages. © 2008 Springer Science+Business Media, LLC.
4. Leon Shargel Susanna Wu-Pong Andrew B.C. Yu. Applied Biopharmaceutics & Pharmacokinetics, 5th Edition. August 2004. 1040 pages.
<https://www.pdfdrive.com/biopharmaceutics-philadelphia-university-d7787992.html>
5. Editor J. Knäblein. Modern Biopharmaceuticals. Design, Development and Optimization. Volume 1. Berlin Germany, 2005. 2013 pages. ISBN-13 978-3-527-31184-2.
<https://www.pdfdrive.com/modern-biopharmaceuticals-d185808624.html>

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები COVID-19 პირობებში: მწვანე ინვესტიციების კონტექსტი

სალომე გოგიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ნიკოლოზ ჩიხლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

COVID-19-ის შედეგად გამოწვეულმა პანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე, უარყოფითად იმოქმედა ბევრ სექტორზე, რამაც გამოიწვია გლობალური რეცესია.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ტემპების მკვეთრი აჩქარება ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის მჭიდრო და არსებითი ურთიერთკავშირით არის განპირობებული. თუმცა, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტიციების დონე, არამედ მათი ხარისხი და ეფექტური გამოყენება ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს საზოგადოებრივი ინტერესის ხარისხს და საინვესტიციო მიმზიდველობას. საინვესტიციო გარემოს შესახებ მსჯელობის საფუძველი უნდა გახდეს მოცემული ქვეყნის წარმოების სოციალური მიზნიდან ინვესტირების პროცესში მონაწილე მხარეების ინტერესების გათვალისწინება.

„პანდემიის წლის“ - 2020 წლის შედეგები ნეგატიური იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მათ შორის საქართველოს ეკონომიკისთვის. კერძოდ, ბოლო 15 წლის განმავლობაში ამ წლის შედეგი ყველაზე დაბალი იყო (572 მლნ. აშშ დოლარი) და 2019 წლის მონაცემის მხოლოდ 42,8%-ს შეადგინა. ასეთი პირობები კიდევ უფრო მეტად მოითხოვს კრეატიულ მიდგომებს ინვესტიციების მოზიდვისათვის. ერთერთ ასეთ მიმართულებად გვესახება „მწვანე ინვესტიციების“ განვითარება.

საკვანძო სიტყვები: პანდემია, რეცესია, საინვესტიციო მიმზიდველობა, „მწვანე ინვესტიციები“.

DIRECT FOREIGN INVESTMENT UNDER CONDITIONS OF COVID 19: IN TERMS OF GREEN INVESTMENT

Salome Gogiashvili
PhD Student of GTU

Nikoloz Chikhladze
Doctor of Economic Science, Doctor
of Theology, Professor
Professor of Ak. Tsereteli State University

RESUME

The pandemic caused by COVID-19 has had a major impact on the world economy, negatively affecting

many sectors, leading to a global recession.

The sharp acceleration in the globalization of the world economy is due to the close and substantial relationship between investment and economic growth. However, it is important not only the level of investments, but also their quality and effective use in the national interest, which ultimately determines the quality of public interest and investment attractiveness. The reason for discussing the investment environment should be from social goal of production of the given country to the consideration of the interests of the parties involved in the investment process.

The results of the “pandemic year” - 2020 were negative for many countries around the world including for the economy of the Georgia. For the last 15 years the result of this year was the lowest (572 million USD) and amounted to only 42.8% of the 2019 data. Such conditions further require creative approaches to attracting investment. One such strategy is to develop “green investments”.

Keywords: pandemic, recession, investment attractiveness, “green investments”

* * * *

ეკონომიკის ლიაობის პირობებში მისი საკვანძო მახასიათებელი შრომითი რესურსების და კაპიტალის გადაადგილებაა. საინვესტიციო რესურსების შიდა ბაზრის ნელი ჩამოყალიბება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აქტუალობას განაპირობებს. იმავდროულად, ინვესტიციები არა მარტო დაფინანსების ახალ, დამატებით წყაროს ქმნის, არამედ ახალი ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების ამოქმედების ეფექტური საშუალებაა. ინვესტიციები საქართველოში საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ამ კუთხით ყველაზე დიდ ინტერესს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) ინვესს. მიღებული განმარტებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (Foreign Direct Investments, FDI) - საერთაშორისო ინვესტიციების სახეა, რომლებიც ხორციელდება პირველი ქვეყნის რეზიდენტის (ინვესტორის) მიერ მეორე ქვეყნის რეზიდენტ რეციპიენტ საწარმოში თავისი გრძელვადიანი ინტერესების რეალიზაციის

მიზნით (OECD, 2020). ამ შემთხვევაში ინვესტორს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მოახდინოს არსებითი ზეგავლენა ამ სანარმოს მართვაზე. ამიტომ, პირდაპირი ინვესტორია ის ინვესტორი, რომელიც ფლობს სანარმოს აქციების არანაკლებ 10% ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. თანამედროვე ეკონომიკაში პირდაპირ ინვესტიციებზე საშუალოდ საერთო საინვესტიციო ნაკადის 20-25% მოდის. (UNCTAD, 2020)

COVID-19-ის პირობებში ინვესტიციების ნაკადის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ისინი ხელს უწყობენ პროგრესული ტექნოლოგიების, მართვისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, პერსონალის კვალიფიკაციის ზრდას, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციის დაჩქარებას. ამ პროცესს თან რიგი ნაკლოვანებებიც ახლავს: უცხოური ინვესტიციები ანაცვლებენ შიდა ინვესტიციებს, მძაფრდება კონკურენცია ადგილობრივი მწარმოებლებისათვის, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაზე, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე (Myxa, 2020)

ცხრილი საქართველოს მშპ-ის და პუი-ს მაჩვენებლები 2015-2021 წლებში (მლნ.აშშ დოლარი)

წელი	მშპ	პუი
2015	14948.1	1728.8
2016	15141.6	1654.0
2017	16248.5	1980.8
2018	17596.6	1317.1
2019	17470.7	1335.8
2020	15937.8	572.0
2021 (ორი კვ.)	8718.3	366.4


წყარო: სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური

საქართველოს ეკონომიკაზე COVID-19-ით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება აისახა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეც. ბოლო 15 წლის განმავლობაში 2020 წლის შედეგებით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა - 572 მლნ. აშშ დოლარი. იგი 2019 წლის მონაცემის მხოლოდ 42,8%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი).

ამ პერიოდისათვის ასევე მინიმალურ მაჩვენებელს მიაღწია პუი-ს ხვედრითმა წილმა მშპ-ში (4,2%). იგი 3,4-ჯერ ჩამორჩება საანგარიშო პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს (2015 წელი, 12,2%). 2021 წლის პირველ ნახევარში პუი-მ 366,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2020 წლის წლიური მაჩვენებლის 64%-ია. გასული წლის პირველ

ნახევართან შედარებით პუი-ს მოცულობა ასევე შემცირებულია 11%-ით.

ნახაზი პუი-ს ხვედრითი წილი მშპ-ში 2015-2021 წლებში (%)



კანონზომიერად მიგვაჩნია პანდემიით გამოწვეული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ვარდნა ეკონომიკის რიგ სექტორებში. ყველაზე მძიმე მდგომარეობა სასტუმროებისა და რესტორნების სექტორშია, კლებამ 284%-ს გადააჭარბა (2019 წელი - 120,16 მლნ აშშ დოლარი, 2020 წლის მაჩვენებელი უარყოფითია და მან შეადგინა -221,46 მლნ აშშ დოლარი). ასევე კლებაა ენერჯეტიკის სექტორში (2019 წელი - 261,56 მლნ აშშ დოლარი, 2020 წელი - 5,81 მლნ აშშ დოლარი, კლება - 97,8%) და ტრანსპორტის სექტორში (2019 წელი - 126,83 მლნ აშშ დოლარი, 2020 წელი - 60,54 მლნ აშშ დოლარი, კლება - 77,1%).

2021 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 93.9 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, მეორე ადგილზე იმყოფება ენერჯეტიკის სექტორი - 35.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 27.9 მლნ აშშ დოლარით.

მიგვაჩნია, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში პუი-ს მოზიდვის კუთხით ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად შეიძლება იქცეს ინვესტიცია „მწვანე“ სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. საქართველოში, მწვანე ეკონომიკის დაფინანსების (GEFF) პროგრამის ფარგლებში, ინვესტიცია „მწვანედ“ რომ დასახელდეს, ის ენერჯის გამოყენებას ან სათბურის აირების გამოყოფას მინიმუმ 20%-ით უნდა ამცირებდეს (კულიში, 2020).

ევროპული მწვანე შეთანხმება არის ევროკომისიის პოლიტიკური ინიციატივების ნაკრები, რომლებსაც აერთიანებს საერთო მიზანი, კერძოდ 2050 წლისთვის ევროკავშირი გახდეს მსოფლიოში პირველი „კლიმატ-ნეიტრალური გაერთიანება“. ის ეხება სხვადასხვა დარგებს, მათ შორის, მშენებლობას, ბიომრავალფეროვნებას, ენერჯეტიკას, ტრანსპორტს, კვების მრეწველობას. „მწვანე შეთანხმების“ საშუალებით ევროკავშირი ქმნის კლიმატ-ნეიტრალური გზით ინფრასტრუქტურის, პროდუქტებისა და სტანდარტების გაუმჯობესების მოდელს, რომე-

ლიც წარმოადგენს მაგალითს და იმ გზას, რომელსაც უნდა გაყვეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით (EU For Georgia, 2021)

საქართველოშიც გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის გარემოს დაბინძურება და კლიმატის ცვლილება მთავარ საფრთხეებად იქნა აღიარებული. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“ - ეფექტური და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ზრდის მიმართულებით ძალისხმევებთან ერთად, ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფას. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება მხოლოდ გარემოს დაცვის ინტერესებში არ შედის. ფინანსური რესურსები ასევე გააფართოებს ბიზნეს შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს ტექნოლოგიების გადაცემას და სამუშაო ადგილების შექმნას. ზოგიერთი ქართული კომპანია ბიზნესის განვითარების პოტენციალს „მწვანე“ ინვესტიციებში ხედავს. (OECD, 2018)

მწვანე ინვესტიციების აქტუალობას ადასტურებს მთავრობის ინიციატივები, რომლებიც ახალისებს ამგვარ ინვესტიციებს. საქართველოს მთავრობის საკვანძო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ იგი ხელს უწყობს ისეთ ინვესტიციებს, რომელიც მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა საკვების წარმოებას, მწვანე პროდუქციის წარმოებას, სუფთა ტრანსპორტს, მდგრადი ეკოტურიზმისა და ეკოსისტემების სერვისების განვითარებას, განახლებადი ენერჯის მოცულობის ზრდას, ენერგოეფექტიანი ღონისძიებების გატარებას მათ შორის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. (საქ. მთავრობა, 2018)

მიგვაჩნია, რომ მწვანე უცხოურ ინვესტიციების დაინტერესებისა და ზრდის მიმართულებით მთავრობამ უნდა მოახდინოს ამგვარი სახის ინვესტიციების კატალიზაცია (დაჩქარება), მიმართოს მწვანე ინვესტიციები ისეთ რეგიონებში, რომლებსაც სჭირდებათ ეკოლოგიურად მდგრადი ზრდა და განვითარება.

მნიშვნელოვანია თუ როგორ შეუძლიათ მთავრობებს უკეთ მოიზიდონ და გამოიყენონ ასეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ერთერთი ასეთი ინიციატივა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება იყოს მწვანე რეინვესტირებაზე ორიენტირება, რო-

გორც არსებული აქტივების ეფექტურობის გაუმჯობესების სტრატეგია.

შესაძლებლად მივიჩნევთ ეროვნული ბანკის მიერ ხელსაყრელი რეფინანსირების პირობების შეთავაზება იმ ბანკებისთვის, რომლებიც გასცემენ სესხებს მწვანე პროექტებისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია „მწვანე ბანკების“ შექმნის სტიმულირება. ისინი შეთავაზებენ კერძო ინვესტიციებს მომგებიანი დაფინანსების პირობებით, რაც უზრუნველყოფს მწვანე პროექტებისათვის რისკების შემცირებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასევე, ბიზნესის და მენარმეობის სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამებში გაძლიერდეს მიზნობრივი კომპონენტი (მაგ., „მწვანე გრანტები“, „ენერგოეფექტური გრანტები“ და სხვ.) რაც მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის, გარემოზე ზენოლის მინიმუმამდე შემცირებისათვის.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. კულიში გ., მწვანე ინვესტიციების სარგებელი. URL: <https://ebrdgeff.com/georgia/benefits-for-individuals-businesses-and-environment-the-geff/>
2. საქართველოს მთავრობა (2018). ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) URL:<https://www.mof.ge/images/File/BDD-new/19-22-BDD-wardgena.pdf>
3. ფინანსური რესურსების მობილიზება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის საქართველოში. OECD, 2018. URL:[https://www.oecd.org/environment/outreach/Georgia%20Climate%20Action%20\[Georgian\]%20\[1\].pdf](https://www.oecd.org/environment/outreach/Georgia%20Climate%20Action%20[Georgian]%20[1].pdf)
4. OECD (2020) Benchmark Definition of Foreign Direct Investment — 4th ed. URL: <http://www.oecd.org/>
5. The European Union For Georgia URL:<https://eu4georgia.ge/green-deal/>
6. UNCTAD (2020) Foreign Direct Investment and the Challenge of Development. World Investment Report. United Nations, Geneva.
7. Муха Д. (2020) Трансформация инвестиционной политики в условиях пандемии COVID-19 - Банкaўскі веснік, ЛІПЕНЬ. стр. 59-72.

სწავლების თანამედროვე მეთოდები-სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების საშუალება

ნელი სესაძე
სეუს ასოცირებულ პროფესორი

ვალდა სესაძე
სტუს პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელთა მეშვეობით შესაძლებლად მიგვაჩნია სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ამაღლება. გაანალიზებულია აქტიური და ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების მნიშვნელობა სწავლების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. სწავლების მეთოდები გაანალიზებულია თანამედროვე სინერგეტიკული თეორიის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: თვითორგანიზება, კოლექტიურობა, პროექტების შემუშავების მეთოდი, სინერგეტიკული ეფექტი

MODERN TEACHING METHODS - A MEANS OF INCREASING THE EFFICIENCY OF THE EDUCATIONAL PROCESS

Neli Seadze.
Associated Professor
Georgian National University
Valida Sesadze
Professor of GTU

ABSTRACT

The article discusses the possibility of using various teaching methods for training university students. The prospect of using active and interactive methods in the formation of conditions for the development of the activity of students' educational activities is proved.

Teaching methods are analyzed in the context of modern synergistic theory.

Key words: Self-organization, collectivity, project development method, synergistic effect

შესავალი

განვითარებულმა სამყარომ გაიარა ეკონომიკის როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო და პოსტსამრეწველო საფეხურები. გლობალური ეკონომიკის განვითარების უკანასკნელ სტადიად ცოდნის ეკონომიკა განიხილება. დღეს ცოდნა ნებისმიერი საქმიანობის თანამდევია. ინოვაციები საშუალო ადგილების შექმნის და დასაქმების ზრდის

ძირითადი რესურსი ხდება. მსოფლიო დღეს ინვესტიციებს ძირითად ფონდებთან შედარებით უფრო მეტად ცოდნის სფეროში ახორციელებს.

იზრდება სახელმწიფოთა დანახარჯები ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბების მიმართულებით. ევროპის ქვეყნებში განათლებაზე დანახარჯები მშპ-ს 5%-ზე მეტია. საქართველოში იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები განათლებაზე. აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 2010-2019 წლებში 2,8%-დან 3,6%-მდე. 2022 წლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით ეს დანახარჯები გაუტოლდება მშპ-ს 22%-ს.

დღეისათვის შრომის ბაზარზე როგორც სამუშაო ძალის მიწოდება, ისე მოთხოვნა პრობლემებით ხასიათდება. საერთაშორისო კვლევები ადასტურებს საქართველოში განათლების სისტემის ხარისხის პრობლემებს და სამუშაო ძალის დაბალ უნარებს. ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს -სამუშაო ძალის უნარებით იგი იკავებს 125-ადგილს 141 ქვეყანათა შორის 2019 წლისათვის.

განათლების სისტემის პრობლემები უფრო მეტად გაამწვავა პანდემიამ, მასთან დაკავშირებულმა სპეციალურმა იძულებითმა ღონისძიებებმა.

შრომის ბაზრის ამ მდგომარეობას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, მაგრამ ჩვენ ამ სტატიაში შევეხებით მხოლოდ სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებლად მიგვაჩნია სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ამაღლება. მოტივაციის ამაღლების პრობლემას განვიხილავთ სინერგეტიკული თეორიის პოზიციიდან.[3]

ძირითადი ნაწილი

XX საუკუნის შუა ხანებში აღმოცენდა მეცნიერების ახალი მიმართულება - სინერგეტიკა, რომელმაც მიიპყრო მეცნიერთა ფართო წრის ყურადღება, რადგანაც ის **ეხებოდა პრობლემათა სპექტრს**, რომელიც როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის აქტუალურ პრობლემებს წარმოადგენდა. სინერგეტიკა შეისწავლის **ზოგად კანონზომიერებებს** რთული სისტემების თვითორგანიზებაში.

სინერგეტიკის თეორიის მიხედვით - ნებისმიერ არანრფივ სისტემას გააჩნია თვითგანვითარების

თვისება. 1973 წელს სინერგეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გერმანელმა მეცნიერმა გ. ჰაკენმა აღნიშნა რომ, სხვადასხვა ბუნების სისტემებში თვითორგანიზების პროცესები შეინიშნება-ლაზერებში, ატმოსფერულ გრიგალში, გარეული ცხოველების ჯგუფებში, ქიმიურ რეაქციებში რთული მოლეკულების წარმოქმნისას, გალაქტიკაში და ზოგიერთ სოციალურ მოვლენაში - ნაკლებად მოწესრიგებულიდან უფრო მოწესრიგებულში გადასვლის პროცესში. ამ სისტემებში ადგილი აქვს **კოლექტიურ, შეთანხმებულ პროცესებს**. ისინი იქცევიან ერთმანეთის მსგავსად და ექვემდებარებიან საერთო მათემატიკურ კანონზომიერებებს. გ. ჰაკენმა მოძებნა ის მათემატიკური აპარატიც, რითაც შეძლო სისტემათა თვითორგანიზების პროცესის აღწერა. [4]

მან გამოყო სისტემათა თვითორგანიზების სამი საერთო თვისება:

1. შეთანხმებულობა, კოლექტიურობა და კოორატიულობა. ნებისმიერ კოლექტიურ პროცესს დამოუკიდებლად არ შეუძლია თვითორგანიზებამდე მისვლა, არამედ მხოლოდ – **ურთიერთშეთანხმებულად**;

2. სისტემები შეიძლება იყოს მხოლოდ ღია, რომლებიც გარემოსთან ცვლიან ენერგიას ან ნივთიერებას. მაგალითად, ბენარის უჯრედებმა და ლაზერის გამოსხივებამ შეიძლება იარსებოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ლებულობენ ენერგიას გარედან;

3. სისტემები არანონასწორულები არიან. არანონასწორულ ფაზურ გადასვლებს შეიძლება მივაკუთვნოთ ფაზური გადასვლები ლაზერებში, ბენარის უჯრედების აღმოცენება;

აღნიშნული თეორია განავითარეს ი.პრიგოჯინის ბრიუსელის სკოლის წარმომადგენლებმა (გ.ნიკოლისი, ი.ანტონიუ, ა.ბაბლოიანიცი, ვ.ბასიოსი, ი.სტენგერსი და სხვა მეცნიერები), რომლებიც შეეცადნენ გამოეკვლიათ სხვადასხვა ბუნების სისტემები (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, სოციალური და სხვ.). კვლევით დადგინდა სისტემათა თვითგანვითარების, თვითორგანიზების დანყებისათვის აუცილებელი პირობები:

1. სისტემა უნდა იყოს ღია;

2. პროცესები უნდა იყოს თერმოდინამიკური ნონასწორობისაგან დაშორებულ მდგომარეობაში;

3. აუცილებელია სისტემაში ფლუქტუაციების აღმოცენება და გაძლიერება, რომლებიც არყევენ ძველ წესრიგს და მიყავს სისტემა ახალ წესრიგამდე;

4. თვითორგანიზება ეყრდნობა დადებით უკუკავშირს (ცვლილებები სისტემის არეში გროვდება და ძლიერდება თვით სისტემის მიერ);

5. თვითორგანიზება შეიძლება დაინყოს მხო-

ლოდ ისეთ სისტემებში, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი (კრიტიკული) რაოდენობა ურთიერთმოქმედი ელემენტებისა;[6]

სინერგეტიკის თეორიის ასპექტში განათლების სისტემის მდგრადი დინამიური და ეფექტური განვითარებისა და შესაბამისად, ზოგადად ადამიანის ოპტიმალური კვლავნარმოების საფუძველს წარმოადგენს ფლუქტუაციის, კოეგოლუციის, წესრიგის პარამეტრების, კოოპერატიულობის პრინციპები: განვიხილოთ თითოეული მათგანი სტრუქტურულ სწავლის მოტივაციის ამაღლების კუთხით. [5]

ფლუქტუაციების პრინციპი. სისტემაში მიმდინარე პროცესებით გამოწვეული ცვლილება ფლუქტუაციად იწოდება. სწავლების პროცესთან მიმართებაში ეს პრინციპი შეიძლება ასე წარმოგვიდგეს: სწავლების პროცესის სუბიექტების -პედაგოგების აქტიურობა უნდა წარმოართოს იმ მიმართულებით, რომ სწავლების პროცესმა მიიღოს შემოქმედებითი ხასიათი. პედაგოგებისათვის მნიშვნელოვანი ხდება თვითგანათლების ხერხების, მეთოდების ფლობა. უნდა შეიქმნას პირობები, რითაც შესაძლებელი იქნება ცოდნის წარმოშობა შემოქმედებითი პროცესის საფუძველზე. ცოდნის წრფივი გადაცემა სწავლების ტრადიციული ხერხია. სამეცნიერო აღმოჩენა, მაღალი დონის მოხსენება, საინტერესო სალექციო თემა, მასწავლებლის, პედაგოგის განწყობა და ასე შემდეგ- ფლუქტუაციებია, რომელთაც განათლების სისტემის პროცესებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

პრიგოჯინის მიხედვით-ადამიანთა საზოგადოებას გააჩნია მაღალი მგრძობელობა ფლუქტუაციებისადმი- ვლინდება არანრფივი დამოკიდებულება ფლუქტუაციის ძალასა და სისტემის ცვლილებებს შორის. ფლუქტუაციები შესაძლოა გაძლიერდეს უკუკავშირის შედეგად, რითაც ხდება სისტემის ცვლილებები.

წესრიგის პარამეტრები. სისტემაში მიმდინარე პროცესების შესასწავლად მის მახასიათებელ პარამეტრთა სიმრავლიდან გამოყოფენ ე.წ. მმართველ პარამეტრებს, რომელთა ცვლილების ხასიათი განაპირობებს სისტემის ფუნქციონირების ხასიათს. გ. ჰაკენი მას ახასიათებს ასეთი მაგალითით: თუ მეტროს გადასასვლელზე ადამიანთა სიმჭიდროვე უმნიშვნელოა, მაშინ ადამიანები მოძრაობენ შეუფერხებლად, ქაოსურად, თითქოს ვერ ამჩნევენ ერთმანეთს. სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად ისინი ერთმანეთს ანგარიშს უწევენ და მოძრაობის ახლებურ მოწყობაზე ზრუნავენ-ან მარცხნივ, ან მარჯვნივ. აქ მმართველი პარამეტრია სიმჭიდროვე.

სინერგეტიკულ მოდელს შემოაქვს „ინვარიანტულობის“ პრინციპი განათლების ტექნოლოგიაში. იგი გვთავაზობს არჩევანის გაკეთებას მრავალი ვარიანტის პირობებში. ამ პირობებში გადანყვეტი-

ლების მიღებით წარმოიქმნება წესრიგის პარამეტრები (მოდა), რასაც მივყევართ ახალი მოწესრიგებული სტრუქტურის ჩამოყალიბებისაკენ. წესრიგის პარამეტრს განათლების შემთხვევაში წარმოადგენს აზრი. აზრი იმორჩილებს სისტემის ელემენტების ქცევას, შესაბამისად მიიღება დადებითი უკუკავშირი.

სისტემას მიეწოდება ინფორმაცია. სისტემის ელემენტების მიერ არაერთგვაროვნად ხდება ამ ინფორმაციის აღქმა. სისტემის ელემენტთა ნაწილი იყენებს მას, შესაბამისად ვითარდება, ხოლო ნაწილი რჩება ამ პროცესების მიღმა. აქტიური ელემენტები წარმოადგენენ სისტემის ერთგვარ მოდას. ისინი იქვემდებარებენ სისტემის დანარჩენ ელემენტებს. ამ პროცესებით სისტემა იძენს თავის სტრუქტურას.

კოოპერატიულობის პრინციპი. კოოპერატიულობის პრინციპი ძირითადად სისტემის სუბიექტთა შეთანხმებულ ურთიერთქმედებას გულისხმობს. აქცენტი კეთდება სისტემაზე მთლიანად, მის ოპტიმალურ განვითარებაზე. განათლებასთან მიმართებაში ეს ნიშნავს სინერჯის მიღებას განათლების სუბიექტთა შეთანხმებული ურთიერთქმედების, ერთ ტემპურ რეჟიმში ფუნქციონირების შედეგად. თვითორგანიზება გაგებულა როგორც ელემენტთა ურთიერთკავშირის ცვლილების პროცესი, რომელიც მიმართულია მთლიანი სისტემის და არა მისი ნაწილების შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

თვითორგანიზების პროცესის წარმოქმნის მთავარი მახასიათებელია კოოპერატიულობა. სისტემის თვისება აღარ დადის სისტემის ელემენტთა თვისებების არითმეტიკულ ჯამზე, ეს უკვე ახალი თვისებაა, რომელიც მის ელემენტებს არ გააჩნიათ. ეს ვითარება იწვევს სისტემის შემდგომ განვითარებას.

სინქრონული განვითარების პრინციპი. სტუდენტთა საერთო მიზნისადმი დაქვემდებარება (ჩართვა სინქრონიზმში) აყალიბებს დინამიურად სტაბილურ, მდგრადი განვითარების სისტემას. ელემენტების ახალი ტოპოლოგიური სწორი გაერთიანება აჩქარებს როგორც ერთიანი სისტემის, ისე მისი ცალკეული ელემენტების განვითარებას. სისტემის ელემენტები იწყებენ ერთ ტემპში ფუნქციონირებას იმ დონემდე, როდესაც მათ უჩნდებათ სხვა უახლოესი გარემომცველი გარემოს მოცემულ წესრიგში ჩართვის შესაძლებლობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროექტის შემუშავების მეთოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისათვის, იგი მნიშვნელოვნად ამაღლებს სტუდენტთა თვითორგანიზების დონეს სწავლების პროცესში.

ტრადიციული მიდგომის დროს როდესაც ინდივიდუალურად წყვეტს სტუდენტი ამოცანებს

შესაბამისად პრობლემის გადაწყვეტის დრო ხანგრძლივდება მათი მომზადების სხვადასხვა დონის გამო.

საპროექტო მეთოდის პირობებში ამოცანის ერთობლივად გადაწყვეტისას პროცესი მეტად დინამიური ხდება, ამასთან იბადება ჯგუფში ახალი ჰიპოთეზები, ამოცანის გადაწყვეტის სხვადასხვა გზები-ანუ სახეზეა სტუდენტთა თვითსწავლება, განვითარება და ურთიერთსწავლება.

სტუდენტებში მაღლდება მოტივაცია შემოქმედებითი საქმიანობისადმი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესისათვის. სტუდენტთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგი აღემატება თითოეული მათგანის ძალისხმევას ცალკე-ცალკეეს არის კოლექტიური შემოქმედების ძირითადი სინერგეტიკული ეფექტი.

ჩვენს მიერ სწავლების პროცესში ფართოდ გამოიყენება ეს მეთოდი. იქმნება მცირე სტუდენტური ჯგუფები 2-3 სტუდენტის შემადგენლობით.

ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება სტუდენტებს შორის პრობლემის გადაწყვეტის დროს წარმოადგენს ჯგუფის თვითორგანიზების მნიშვნელოვან ეტაპს.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა და თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება სტუდენტთა მცირე ჯგუფებში მიმდინარეობს. პროექტი ითვლება შესრულებულად იმ შემთხვევაში თუ თითოეული სტუდენტი -ჯგუფის წევრი თანაბარი ხარისხით ხსნის ამოცანას და პასუხობს ყველა შეკითხვას.

ამ მეთოდის სინერგეტიკული ეფექტი გამოიხატება იმაში, რომ იცვლება სტუდენტთა დამოკიდებულება სწავლებისადმი, მაღლდება ცოდნის მიღებისადმი მოტივაცია, სტუდენტს უყალიბდება დამოუკიდებლად მუშაობის და ურთიერთსწავლების უნარები, იქმნება შესაძლებლობა მოძებნილ იქნას ამოცანის გადაწყვეტის უფრო ეფექტური საშუალებები. ამასთან სასწავლო პროცესის თვითორგანიზებას ეყრება საფუძველი, სწავლება სტუდენტთა მოთხოვნილება ხდება.

ურთიერთსწავლება სტუდენტებს უყალიბებთ თავიანთი აზრის გამოთქმის, ამოცანის გადაწყვეტის საკუთარი გზის კორექტურობის დამყკიცების, დასკვნის გაკეთების და მომავალი კვლევის შეთავაზების უნარებს.

მასწავლებელი პროექტის ორგანიზატორის, კონსულტანტის როლშია. მონაწილეობს შედეგების განხილვაში, უფრო ეფექტური სტუდენტური ჯგუფები შესაძლებელია პედაგოგმა ჩართოს უფრო სერიოზულ სამეცნიერო სამუშაოებში, სამეცნიერო კონფერენციებში,

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ პროექტის მეთოდი ამაღლებს სწავლების ხარისხს, აყალიბებს

სასწავლო ჯგუფში ურთიერთობის პრინციპებს თვითორგანიზების საფუძველზე, სწავლების პროცესში შემოაქვს შემოქმედების პრინციპი და მოტივაცია, მაღლდება სტუდენტთა თვითსწავლების და ურთიერთსწავლების ეფექტი. სამეცნიერო საქმიანობის სითამამე, უყალიბდებათ პედაგოგთან პარტნიორული ურთიერთობები

ამ მიდგომით სტუდენტები იძენენ ცოდნას უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის.

მათ უყალიბდებათ ისეთი კომპეტენციები რო-

გორიცაა პრობლემის გადანყვეტის, თვითგანათლების, სოციალური ურთიერთქმედების შესაძლებლობები.

დასკვნა

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ სინერგეტიკის შეხედულებები, ახალი მიდგომები განათლების სფეროში დაგვეხმარება ჩვენც საქართველოში მოვძებნოთ სწავლების თვითორგანიზების ეფექტური ხერხები ასეთ ხანგრძლივადიანი გარდამავალი პერიოდის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუგუშვილი ა.. მართვის თეორია, სინერგეტიკა, მესამე ნაწილი. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2000. 869 გვ.
2. სესაძე ვ., სესაძე ნ.. სინერგეტიკა ეკონომიკური სისტემების კვლევაში. „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2013 240 გვ.
3. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
4. Хакен ГСинергетика М.: Мир, 1985.
- Курдюмов С.П.Синергетика начала нелинейного мышдения. Сайт Курдюмова С.П. (ელექტრონული რესურსი)<http://spkurdyumov.ru/>
5. Буданов В Методология и принципы синергетики (ელექტრონული რესურსი) <http://law.sfu-kras.ru/attachments/article/4088/15budanov-fo-1-3-2006.pdf>

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირის ენერგოპოლიტიკასთან

მაია ბენია

*სტუს-ს ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

ირინა ბენია

*თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის
ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

რეზიუმე

საქართველოსა და ენერგეტიკულ გაერთიანებას შორის სამართლებრივი ურთიერთობა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით რეგულირდება. საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრისა და ქვეყნის სუფთა ენერჯით უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება. საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. მას აქვს ქარის, მზის, ბიომასისა და გეოთერმული წყლების ენერჯის პოტენციალიც, რაც საშუალებას იძლევა, შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელებით. ამისთვის აუცილებელია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტაბილური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სამართლებრივი ბაზის შექმნით, მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ ბაზრებთან მჭიდრო და სტაბილური სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებით.

საკვანძო სიტყვები - განახლებადი ენერჯიები, ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა, ენერგორესურსები, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ჰიდრორესურსები.

INTEGRATION OF GEORGIA WITH THE EU ENERGY POLICY

Maia Benia

GTU Associate Professor

Irina Benia

THI Associate Professor

ABSTRACT

The legal relationship between Georgia and the Energy Union is regulated by the Protocol on the Accession of Georgia to the Treaty establishing the Energy Union. Utilization of Georgia's Renewable Energy Resources Utilization of renewable energy resources is

important for solving the problem of climate change and providing the country with clean energy. Georgia is rich in hydro resources. It also has the potential for wind, solar, biomass and geothermal energy, allowing additional capacity to be generated through local and foreign investment. It is necessary to improve the investment environment by creating a stable, transparent and non-discriminatory legal framework, by deepening close and stable trade relations with the energy markets of neighboring countries.

Keywords - Renewable energy, EU energy policy, energy resources, energy security, hydro resources.

* * * *

სათბობ-ენერგეტიკულ სექტორს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რადგან საბაზისო დარგია და განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას. იგი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, ასრულებს წამყვან როლს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. წარმოადგენს სამეურნეო რთული ორგანიზმის მაცოცხლებელ ძარღვს და მთლიანად, ცივილიზაციის საფუძველს.

საქართველო სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, გარკვეული მოცულობით ფლობს ენერგორესურსების თითქმის ყველა სახეს-ნახშირი, ტორფი, ნავთობი, გაზი, ჰიდრორესურსები, თერმული წყალი, ქარის და მზის ენერჯია და სხვა. მათგან ყველაზე წონადი რესურსი ჰიდროენერჯიაა. წყლის ენერჯია განეკუთვნება განახლებად ენერგორესურსებს. ფართობის ერთეულზე მოსული წყლის ენერჯის მაჩვენებლით საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში, მაგრამ მისი გამოყენების დონით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოში ჰიდროენერგორესურსების მხოლოდ 9-10% ათვისებული, საფრან-

გეთში 90%-ს, იაპონიაში - 64%, გერმანიაში - 76%. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგორესურსებს უჭირავს. საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, შეადგენს 96,5 კმ³-ს. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 000 მეგავატის ექვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერგია 50 მლრდ კვტ.საათის. მკვეთრად გამოხატული სეზონურობის გამო ამ რესურსების გადანაწილება წლიურ, ან მრავალწლიურ ასპექტში შესაძლებელია მხოლოდ მარეგულირებელი წყალსაცავებიანი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით. თუმცა ეკოლოგიური თვალსაზრისით საფრთხილოა და ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება მცირე წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. საქართველოს მდინარეების პოტენციური სიმძლავრე შეფასდა 7,55 მილიონ კილოვატად, ხოლო წლიური ენერგია 66 მილიარდ კილოვატ საათად. ენერგეტიკული თვალსაზრისით მხოლოდ 319 მდინარის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად. ამ მდინარეების ჯამური პოტენციური სიმძლავრე შეადგენს 15630 მგვტ-ს, ხოლო წლიური ენერგია - 136,9 მლრდ. კვტ.ს-ს. მათ შორის 208 დიდი, მცირე და საშუალო მდინარეებს განეკუთვნება. 208 მდინარიდან 124 მოედინება დას.საქართველოში, ხოლო 84 აღმ. ნარჩენი 111 ენერგეტიკულად ეფექტური მცირე მდინარის პოტენციური სიმძლავრე, თითოეული მდინარისთვის 20 მეგავატზე ნაკლებია. მათი ჯამური პოტენციური სიმძლავრე კი 851 მგვტ-ს შეადგენს. საქართველოს ხუთ ძირითად მდინარესა და მათ შენაკადებზე თავმოყრილია ქვეყნი მთელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 60%.

საქართველოს თავისი ნავთობისა და გაზის რესურსებით ერთ სულ მოსახლეზე არ ჩამოუვარდება მსოფლიოს ნამყვანი ნავთობგაუმომპოვებელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. გასული საუკუნის 70-80-იან წლებს, როცა ნავთობის წლიურმა მოპოვებამ სამ მილიონ ტონას გადააჭარბა. 2014 წ. გაზის მოპოვებამ შეადგინა 5610 ათ. კუბური მეტრი. 2011 წელს მოპოვებული ნავთობის ოდენობამ შეადგინა 171 ტონა. საქართველო თავისი გეოლოგიური აგებულებით ერთდროულად მიეკუთვნება ორ ნავთობგაუმომპოვებელ ტერიტორიას: აღმოსავლეთ შავი ზღვის ოლქს -დასავლეთი საქართველო და სამხრეთ კასპის ნავთობგაზიან პროვინციას აღმოსავლეთი საქართველო. ნავთობისა და გაზის

1500-ზე მეტი საბადო, ნახშირწყალბადების 18 , ასევე 7 - ნავთობის, 1 - გაზოკონდენსატის, 1 - გაზის. მათ შორის აღსანიშნავია თბილისისპირა - რაიონში უნიკალური საბადოები, რომლებიც ნავთობის მნიშვნელოვან მარაგს შეიცავენ. მიუხედავად ქართული ნავთობის არც ისე დიდი პოტენციალისა, ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ავთობსადენების თვალსაზრისით. საქართველოში ნავთობის ტრანსპორტირება ორი ნავთობსადენით- ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენით (BTC) და დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენით (WREP) ხორცილდება.

ნახშირის რესურსებს ოდითგანვე დიდი როლი ეკავა ქვეყნის ენერგეტიკულბალანსში. გვაქვს კავკასიონის სამხრეთ ფერდზე და ოკრიბაში, ხოლო მურანახშირი დამახასიათებელია სამხრეთ-ჯავახეთისათვის. ბალანსზე აყვანილია აყვანილია 402 მილიონი ტონა ქვანახშირი და 82 მილიონი ტონა მურა ნახშირი. ტყვარჩელის საბადო, რომელიც მდებარეობს გაგრა-ჯავის ზონის სამხრეთ კიდეზე, ხასიათდება რთული ტექტონიკური აგებულებით და ნახშირიანობის დიდი ცვალებადობით. ბზიფის ქვანახშირის საბადო მდებარეობს გაგრა-ჯავის ზონის სამხრეთ კიდეზე, გუდაუთის რიონში, მდ.ბზიფის მარცხენა ნაპირზე და სადგურ ბზიფიდან დაშორებულია 11 კმ-ით. ჯიხვის უბანზე ნახშირის შრეების ჯამური სიმძლავრე 4 მ-ს აღწევს, მთლიანად ნახშირიანი ფენისა კი - 5 მ-ს. კოჯერიფის უბანზე ფენის სიმძლავრე 2-3 მ-ია, ხოლო ნახშირის შრეებისა - 0,7 მ-ია. საბადოზე ნახშირის ფენები იძირება სამხრეთ აღმოსავლეთით. საქართველოში ნახშირის მრეწველობას 150 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ძირითადად სამ რეგიონშია (ტყიბული-შაორი, ტყვარჩელი, ახალციხე). გარდა ამისა, ქვეყნის სხვა რეგიონებში არსებობს ნახშირის პროგნოზული მარაგები. ქვეყანაში ნახშირის მოპოვება მიმდინარეობდა: ტყიბულ-შაორში 1847 წლიდან, ტყვარჩელში 1929 და ახალციხეში - 1947 წლიდან.

ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები რომ განვსაზღვროთ, უნდა გავიაზროთ სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალის ამალღების მიმართულებები. ისინი თავის მხრივ უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების დონესა და დინამიკაზე, ქმნის აუცილებელ წინამძღვრებს ცხოვრების დონის ამალღებისა და შრომის პირობების. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე არარეალურია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა, რაც ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის ისეთი დონის მიღწევას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, აგრეთვე პროვინების

ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეთა პირობებში. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა კი მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკის თვითმყოფადობის გაძლიერებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ეკონომიკური უსაფრთხოების ცნებაში იგულისხმება ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მუდმივი, გარანტირებული და ეკონომიკურად

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის მოთხოვნილი ენერგეტიკული რესურსით. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევაში ენერგეტიკის წამყვან როლს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მთლიანობაში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი წარმოადგენს მსხვილ მრავალდარგოვან სამეურნეო სისტემას და მიეკუთვნება ეკონომიკის საბაზრო დარგებს. ქვეყნის სამეურნეო სისტემაში იგი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს მრეწველობის ორი დარგის - ელექტროენერგეტიკისა და სათბობი მრეწველობის ერთობლიობას. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში შედის სანარმოები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკას ყველა სახის ენერგიით და, ნაწილობრივ, ტექნოლოგიური ნედლეულით. იგი შედგება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომპოვებელი, გამამამდიდრებელი, გადამამუშავებელი, გარდამქმნელი, შემნახველი, ტრანსპორტირებისა და გამომყენებელი.

უსაფრთხოების ანალიზის თვალსაჩინოებისათვის ენერგეტიკული რისკები იყოფა კატეგორიებად, რათა მოხდეს მათი კლასიფიცირება შემდგომი გადაწყვეტილებების მისაღებად:

ა). ეკონომიკური რისკები - ინვესტიციების ნაკლებობა, ბაზრის მაღალი კონცენტრაცია,

მონოპოლიები;

ბ). ბუნებრივი რისკები, რომელსაც მიეკუთვნება ექსტრემალური კლიმატური პირობები, კლიმატის ცვლილება, მინისძვრები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები;

გ). პოლიტიკური რისკები - მომწოდებელი ქვეყნების პოლიტიკური არასტაბილურობა, საერთაშორისო კონფლიქტები, შიდა პოლიტიკური არეულობა;

დ). ტექნოლოგიური რისკები, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურულ ამორტიზაციას, ტექნიკურ ავარიებს, ენერჯის საცავების დეფიციტს, მონაცემთა ბაზის არარსებობა;

ე). სოციალური რისკები - ხშირად ტერორიზმი, კორუფცია, არაკვალიფიციური მართვა;

ზემოაღნიშნული რისკები შეიძლება გახდეს მიზეზი: ენერჯის არასაკმარისი მოცულობით მიწოდების, შეუსაბამოდ მაღალი ფასების, ფრაგმენტული მიწოდების სეზონური მიწოდების ხარვეზები, ხარისხის დაცემა. ენერგეტიკული კომპლექსის გან-

ვითარების ტემპები და მასშტაბები, ენერჯიაშემცველების წარმოება და მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, მათი თანაფარდობა მსოფლიოს ქვეყნების ანლოგიურ პარამეტრებთან, ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების რაოდენობა, ათვისების დონე, ენერგეტიკული ბალანსი, საგარეო ენერგეტიკული კავშირები, ენერჯის გამოყენების ეფექტიანობა, პროდუქციისა და შრომის ენერჯო და ელექტროტევადობა, ელექტროაღჭურვილობა, არსებული ტექნოლოგიების თანხვედრა თანამედროვე მოთხოვნებთან, ეკოლოგიური მაჩვენებლები, ამ კომპონენტებში დისბალანსი გარკვეულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს: გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ისტორიული, ეკონომიკური და ბუნებრივი პირობები, რესურსული უზრუნველყოფა, ტრადიციული და განახლებადი ენერჯორესურსების არსებობა, შრომითი რესურსების წილი, კვალიფიკაცია, სამეცნიერო პოტენციალი, ტექნიკური ბაზა, ძირითადი კაპიტალის სიდიდე და მდგომარეობა, მეურნეობის მოწყობის წესი, დარგის მარეგულირებელი პრინციპების დაცვა, სწორი სატარიფო პოლიტიკა, სამართლებრივი ბაზა, სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა, საგარეო ენერგეტიკული კავშირები, ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთა ა.შ. ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად საქართველო მრავალი ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური პროექტი მიმდინარეობს: ინტენსიურად შენდება ჰიდროელექტროსადგურები და გადამცემი ხაზები, მიმდინარეობს

თურქეთის ელექტროენერგეტიკულ ბაზართან ჰარმონიზაცია, ამგვარი დინამიური გარემო კიდევ უფრო აძლიერებს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკების სწორი შეფასების და შერბილების ღონისძიებებში ეროვნულ ფასეულობათა გათვალისწინებას რათა არასათანადოდ მომზადებულმა ენერგეტიკულმა პოლიტიკამ ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს საფრთხე არ შეუქმნას.

2015 წელს შემუშავდა და დამტკიცდა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოს ენერგეტიკული სექტორისათვის, რომლის ძირითადი მიზნებია:

1) ენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა - ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, აგრეთვე ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ათვისება და საჭიროების შემთხვევაში ნავთობის ან/და ნავ-

თობპროდუქტების მინიმალური სტრატეგიული რეზერვების შექმნა.

2) საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრისა და ქვეყნის სუფთა ენერგიით უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება. საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. მას აქვს ქარის, მზის, ბიომასისა და გეოთერმული წყლების ენერჯის პოტენციალიც, რაც საშუალებას იძლევა, შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელებით. ამისთვის აუცილებელია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტაბილური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სამართლებრივი ბაზის შექმნით, ეს უზრუნველყოფს იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირებას და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას;

3) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება - ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება. ეს ხელს შეუწყობს კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებას, მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობის განვითარებას, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებას და ენერგოეფექტიანობაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას.

4) საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერგიით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება - კონკურენტული საბაზრო ურთიერთობები ყველაზე მოქნილი ინსტრუმენტია ელექტროენერჯისა და ბუნებრივ გაზზე მოთხოვნილების და მათი მიწოდების ოპტიმიზაციისთვის.

5) საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის როლის გაზრდა - მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას;

6) საქართველო - სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერგიით ვაჭრობის რეგიონული ცენტრი -

საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები და სხვა განახლებადი რესურსები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო საშუალებას იძლევა, ქვეყანა სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერგიით ვაჭრობის რეგიონალურ ცენტრად იქცეს.

7) ენერგოეფექტიანობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება-წარმოებული პროდუქციის ენერგოტევადობა მისი კონკურენტუნარიანობის და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ეს მაჩვენებელი საქართველოში არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი, არამედ სხვა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებზე მაღალია. ენერგოტევადობის შესამცირებლად ენერჯის მოხმარების გონივრული მართვა ეკონომიკური განვითარების და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობაა. ენერჯიაზე მოთხოვნილების მართვის სისტემის ხელშესაწყობად უნდა შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, დაიგეგმოს და განხორციელდეს ენერგოეფექტიანი მონოპოლიზაციისა და ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვაზე ორიენტირებული ღონისძიებები, შემუშავდეს და დანესდეს ენერგოეფექტიანი პროგრამების განხორციელებისათვის ენერგეტიკული საწარმოებისა და მომხმარებლების ნახალისების მარეგულირებელი ნორმები;

8) ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კომპონენტის გათვალისწინება - სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას, მათ შორის, დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც მოიცავს სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებას, ადგილობრივ თემებთან კონსულტაციების გამართვას, შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

9) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა - მეტად მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის, ენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის განახლება, რეაბილიტაცია და მომხმარებლის ინტერესების დაცვა.

ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის-სექტორების მნიშვნელოვან ნაწილს ბუნებრივი მონოპოლიები შეადგენს. ამდენად, საჭიროა მარეგულირებელი ორგანოს რეგულირების ფუნქციის გაძლიერება, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, სამართლიანი მიდგომის პრინციპის დაცვით უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მონიტორინგს. უნდა განისაზღვროს მომსახურების ხარის-

ხის ახალი სტანდარტები და მისი შეფასების კრიტერიუმები, დადგინდეს მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მარტივი და სამართლიანი წესები მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

უკანასკნელ წლებში განხორციელებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების საფუძველზე გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის მოდერნიზაციის მიმართულებით, თუმცა ეკონომიკის ენერგოტევადაობა მონინავე ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ გაცილებით მაღალია, ხოლო ბაზრის სრული ლიბერალიზაციისა და რეგიონულ სისტემაში ინტეგრაციის პროცესი არც ისე სწრაფად მიმდინარეობს. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება გარკვეულ სიტუაციებში შეიძლება სახიფათო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდეს. ქვეყნის მოთხოვნილებას სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს. სრულყოფას საჭიროებს ენერგიაშემცველების მოხმარების დარგობრივი სტრუქტურა. საქართველომ საიმედო და ხელსაყრელი საგარეო ენერგეტიკული კავშირები უნდა დაამყაროს მსოფლიოს მონინავე და მეზობელ სახელმწიფოებთან. ასეთი კავშირები განსაკუთრებით საჭიროა ნებისმიერი ქვეყნისათვის, მიუხედავად მისი ეკონომიკის ენერგოუზრუნველყოფის ხარისხისა.

ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტაში და უსაფრთხოებაში მნიშვნელოვანი რეზერვია ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენება (მზის, ქარის, თერმული წყლების პოტენციალი). განახლებად ენერგორესურსებს შორის საქართველოში, უახლოეს პერიოდში გამოყენების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მასშტაბური და ეფექტიანია ჰიდროენერგორესურსები. საქართველოს ენერგოსისტემის შემდგომი განვითარება, ძირითადად უნდა მოხდეს არსებული თბო და ჰიდროელექტროსადგურების მოქმედი სიმძლავრეების ათვისების, რეკონსტრუქცია-განვითარების, ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხარჯზე. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს საბაზრო ურთიერთობათა დანერგვა. საჭიროა ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, რომელიც საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ხელს შეუწყობს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, როგორც მწარმოებლებს, ისე მომხმარებლებს. სასურველია: საწარმოთა პრივატიზაციის განხორციელება, სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების რეგულირება, საწარმოთა საქმიანობის ოპტიმალური დაბეგვრა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და ენერგომომარაგების საიმედოობის უზრუნველყოფა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენერგოუსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას.

„შეთანხმება ენერგეტიკული გაერთიანების დაფუძნების შესახებ“ გაერთიანების მთავარი იურიდიული დოკუმენტია და შესასრულებლად სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. გაერთიანების ძირითადი მიზანი ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული წესებისა და პრინციპების ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ და შავი ზღვის რეგიონში გავრცელებაა. გამოკვეთილია ხუთი ძირითადი მიზანი: ა) ინვესტიციების მოზიდვა; ბ) ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზრის შექმნა; გ) მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დ) გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესება; ე) კონკურენციის ნახალისება. ამ მიზნების უზრუნველსაყოფად, გაერთიანება სტიმულირებს წევრებს შორის ენერგეტიკული თანამშრომლობის მაღალ სტანდარტს. იგი უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, მდგრადი და კონკურენტული ენერგიის ინსტრუმენტია, რომელიც წევრებს შორის სოლიდარობასა და ნდობას ეფუძნება. გაერთიანება საქართველოში თანამედროვე და მდგრადი ენერგეტიკის სამართლის განვითარებას უწყობს ხელს. ენერგეტიკული გაერთიანების ჩარჩო მოითხოვს განახლებადი ენერგიის წყაროების და ენერგოეფექტურობის განვითარებას, გარემოსდაცვითი პრინციპების დაცვას, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის მწვანე ენერგეტიკულ განვითარებას, ტექნოლოგიურ პროგრესს ნიშნავს. გაერთიანების წევრობა ხელს უწყობს ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირებას, განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის დანერგვას. გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ექნება შესაძლებლობა წვლილი შეიტანოს ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოსა და ენერგეტიკულ გაერთიანებას შორის სამართლებრივი ურთიერთობა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმით რეგულირდება, რომელსაც ხელი 2016 წლის 14 ოქტომბერს მოეწერა. მისი რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 21 აპრილის დადგენილებით მოახდინა. ეს დოკუმენტი იერარქიულად ასოცირების ხელშეკრულების თანასწორია და მას შიდაეროვნული ნორმატიული აქტების მიმართ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს. ეს, ცხადია, დამატებით გარანტიებს ქმნის ქვეყანაში ენერგეტიკული „acquis“ იმპლემენტაციის თვალსაზრისით. შეერთების ოქმი არ გულისხმობს ასოცირების ხელშეკრულებისგან რაიმე განსხვავებულ სამართლებრივ პროცესს. ეს უკანასკნელი უფრო აზუსტებს ასოცირებით უკვე ნაკისრი ვალდებულებების ბუნებას და ვადებს. რა ხდება ასოცირების ხელშეკრულებისა და შეერთების ოქ-

მის კოლიზიის დროს? აღნიშნული დოკუმენტების ურთიერთობის მთავარი განმსაზღვრელი ნორმა ასოცირების ხელშეკრულების 218-ე მუხლია. მისი პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებასა და ასოცირების ხელშეკრულებას შორის დაპირისპირებისას უპირატესობა ენიჭება ენერგეტიკული გაერთიანების შეთანხმებას. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დამოკიდებულება ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების გამოცდილების შესატყვისია. მაგალითად, ალბანეთისა და

მონტენეგროს კონსტიტუციები ასევე მიუთითებს საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობას შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, რაც ავტომატურად ვრცელდება მათი ენერგეტიკული გაერთიანების შეერთების ოქმებზე. ევროპის ენერგეტიკულ რუკასთან მიერთებით საქართველო არა მხოლოდ გაათანამედროვეებს მის მოქველდებულ ენერგეტიკულ მარეგულირებელ გარემოს, არამედ ასეთი სექტორული თანამშრომლობით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს ევროკავშირთან იდენტიფიცირების, ინტეგრაციის გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 21 აპრილის N 716-III დადგენილება „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმთან შეერთების თაობაზე.
2. მარგველაშვილი მ. მალალაშვილი ა., კვარაცხელია თ., უშხვანი ლ., მუხიგულიშვილი გ. „საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში, მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG)“, თბ., 2015, 18.
3. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი „ენერგეტიკული უსაფრთხოება“ უაკ 75828 ISBN 978-9941-20-532-3; 36 გვერდი; დამტკიცების თარიღი 15.12.2014
4. გ. არაბიძე, მ. გუდიაშვილი, თ. ჯიშკარიანი „ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება“ უაკ 620.9 : 504.7; ISBN 978-9941-20-526-2; 189 გვერდი; დამტკიცების თარიღი 15.12.2014
5. ისამხარაძე; განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ევროპეიზაცია საქართველოში: გამოწვევები და შესაძლებლობები; 2019წ. ივლისი. თსუ
6. Petrov R. Energy Community, as a Promoter of the European Union's 'Energy Acquis' to its Neighbourhood, Legal Issues of Economic Integration 39 (3), 2012, 331.
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3757843?publication=0>

COVID-19-ის შემდგომი გამოწვევები და საერთო ეკონომიკური პერსპექტივები

ლევან გოგოძე
სტუ-ს დოქტორანტი

FURTHER CHALLENGES OF COVID-19 AND OVERALL ECONOMIC PROSPECTS

Levan Gogodze
PhD student at GTU

RESUME

The infection has not only become a public health crisis but has also affected the global economy. Significant economic impact has already occurred across the globe due to reduced productivity, loss of life, business closures, trade disruption, and decimation of the tourism industry. COVID-19 may be that a “wake-up” call for global leaders to intensify cooperation on epidemic preparedness and provide the necessary financing for international collective action. There has been ample information on the expected economic and health costs of infectious disease outbreaks.

Keywords: Economic Problems, Pandemic, Economic Challenges, Global Problems, Corona Virus, Economic Crisis, Further Perspective.

COVID – 19 ის შემდგომი გამოწვევები

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლობალურ ეკონომიკაზე. ვირუსი, რომელიც, თავდაპირველად, ჩინეთის ქალაქ უხანში დაფიქსირდა, სწრაფად გავრცელდა მსოფლიოს მასშტაბით. დღეისათვის არსებობს ოთხი ძირითადი გავრცელების არეალი: აღმოსავლეთ აზია (ძირითადად სამხრეთ კორეა, სინგაპური, იაპონია), ახლო აღმოსავლეთი (უპირატესად ირანი), ევროპა (ყველაზე მეტი შემთხვევით იტალიაში) და ამერიკის შეერთებული შტატები. 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კოვიდ-19 პანდემიად გამოაცხადა.

ეპიდემიოლოგები თანხმდებიან კორონავირუსის ორი თვისების შესახებ: იგი იოლად ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ხანდაზმულები უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან. ჯერ კიდევ გამოკვლევას და დაზუსტებას საჭიროებს საკითხი იმის თაობაზე, ახასიათებს თუ არა მას სეზონურობა და იკლებს თუ არა დაავადებათა შემთხვევები ტემპერატურის მატებასთან ერთად მოსალოდნელია, რომ კოვიდ-19-ის გავრცელებას ბევრად ნეგატიური შედეგები მოჰყვება ვიდრე 2003 წელს SARS-ის ვირუსის აფეთქებას. ამის მიზეზია ის, რომ 2003 წელთან შედარებით დღეს გლობალური ეკონომიკა უფრო მეტად არის დაკავ-

შრებული და ჩინეთი ბევრად მეტ როლს თამაშობს გლობალურ წარმოებაში, ტურზიზმში, ვაჭრობასა და ეკონომიკის სხვა სექტორებში.

კოვიდ-19-ის გამო ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაში შეჩერდა მრავალი წარმოება, ასევე, დაწესდა კარანტინი და შეზღუდვები გადაადგილებასა და მგზავრობაზე. მოსალოდნელზე უფრო მეტად შემცირდა იაპონიის ეკონომიკა, რომელიც განიხილავს სტიმულირების ღონისძიებებს. მრავალმილიარდანი სტიმულირების პაკეტი, შესაძლოა, შემუშავდეს გერმანიაშიც. დაზარალდა საფრანგეთის ეკონომიკა, ხოლო იტალიამ, ფაქტობრივად, სრულად შეაჩერა ეკონომიკური აქტივობა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. შეზღუდვები დაწესდა აშშ-სა და სამხრეთ კორეაში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, ვირუსით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გავრცელდება ქვეყნების უმრავლესობაზე, დაზარალდება მიწოდების არხები, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე და შეიზღუდება ტურიზმი და საქმიანი მივლინებები.

მიუხედავად ბოლო ათწლეულის მანძილზე მიღწეული დიდი პროგრესისა სამედიცინო, ბიოტექნოლოგიურ და გენეტიკის სფეროებში, მსოფლიო მაინც ძალზე მოუზმადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას. შესაბამისად, დღეს მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სრულად გადატანილია ჯანდაცვისა და ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის პრობლემებზე, რაც, რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს. თუმცა პარალელურად გასაანალიზებელია ამ პანდემიის ეკონომიკური შედეგები; გასათვლელია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი მსოფლიო ეკონომიკაზე. მიმდინარე კრიზისი სხვებისგან განსხვავებულია, თუმცა მაინც გვაქვს შესაძლებლობა მისი წინასწარი ანალიზისათვის. ამ შემთხვევაში, შეიძლება განსაკუთრებით გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი:

სახელმწიფოს როლი და დანიშნულება.

სხვადასხვა წლების ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, სახელმწიფოსადმი მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვანაირი იყო. 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს, მრავალი სპეციალისტი თვლიდა, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების/მთავრობის

მიმართ რწმენა გაიზრდებოდა, თუმცა, საბოლოოდ, ეს ასე არ მოხდა. სახელმწიფოსადმი რწმენის გაზრდის მოსაზრებებს ადასტურებდა 1929 წლის ეკონომიკური დიდი დეპრესიის ფაქტი, როცა სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსგან მოითხოვდა მტკიცე, გადამჭრელ ნაბიჯებს საბაზრო ეკონომიკის (სამომხმარებლო და სანარმოო ბაზრის) გადასარჩენად დიდი სამთავრობო-ეკონომიკური ინტერვენციების მეშვეობით. პანდემიის დროს, საზოგადოება მოითხოვს და ელოდება სახელმწიფოსგან ტოტალურ ჩარევას ამ კრიზისის მართვაში და მთლიანად სთხოვენ მას არა მხოლოდ საყოველთაო დაცვას მოცემული ვითარებისგან, არამედ მთელი ეკონომიკის (როგორც ინდუსტრიის, ისე სოფლის მეურნეობის) გადარჩენას.

შეიძლება ითქვას, რომ 2008-2009 წლების პანდემიის ის იყო, რომ საბაზრო ეკონომიკისადმი უნდობლობამ არ გამოიწვია სახელმწიფოთა უმრავლესობისგან ეკონომიკური ინტერვენციების შემდგომი ნახალისება, რასაც თავისი ახსნა ჰქონდა, რადგან სახელმწიფოები თავისი აგებულებით, მონყობით, კონსტიტუციით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება არა მხოლოდ დემოკრატიულ და ავტორიტარულ (ტოტალიტარულ) სახელმწიფოებს შორის შეინიშნება, არამედ თავად დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორისაც. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, თუ როგორია მათი დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკისადმი. ლიბერალურ-დემოკრატიული თუ ნეოლიბერალური სახელმწიფოებისათვის საბაზრო ეკონომიკა, ყოველგვარი რეგულაციებისა და შეზღუდვების გარეშე, თავისუფალი საზოგადოების არსებობის შეუვალი პოსტულატია. სინამდვილეში კი, გარკვეული სოციალური „შეზღუდვების“ გარეშე, საბაზრო ეკონომიკა შეიძლება შრომის ექსპლოატაციის საუკეთესო შესაძლებლობად იქცეს, რა შემთხვევაშიც განაწილებითი თანასწორობის პრინციპი სრულიად მორღვეულია და არ ხორციელდება ადამიანების მიერ ერთმანეთის თანასწორი აღიარება. ამის საპირისპიროდ, დემოკრატიული სახელმწიფო მაშინ არის მართლაც თავისუფლების გარანტი, როდესაც ის სამართლებრივი და სოციალურია, როდესაც ყველა მოქალაქისთვის სიკეთის გადანაწილების თანასწორი და სამართლიანი პრინციპებია განხორციელებული: მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ყველასთვის თანასწორი ხელმისაწვდომობა განათლებაზე და ჯანმრთელობის სამედიცინო დაზღვევაზე.

რაც შეეხება, იმ უარყოფით გავლენას, რომელიც პანდემიის მიერ გამოწვეულმა კრიზისისმა საქართველოზე მოახდინა, 2022 წლისათვის მოსალოდნელია, რომ საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდება ჩვეულ ზრდას. აზიის განვითარების ბანკის მიერ ნავარაუდებია, რომ ზრდამ შესაძლოა მინიმუმ 4.5%-ს მიაღწიოს. აღნიშნული მოლოდინები დიდწილად ემყარება პანდემიის მართვის „ქართული მოდელის“ საკმაო ეფექტურობასა და ჯანდაცვის სისტემის

მზაობას, მართოს და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაუწიოს, როგორც კოვიდ ინფიცირებულებს ასევე გაზარდოს ვაქცინაციის ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის.

გლობალიზაცია თუ ანტიგლობალიზაცია.

კორონავირუსის კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა გლობალიზაციის და ანტიგლობალიზაციის პრობლემა. ანტიგლობალისტებს შეიძლება დღეს, ერთი შეხედვით, სიმართლედც თავის მხარეს ჰქონდეთ, როდესაც ერების გადარჩენის საშუალებად ამ პერიოდში დახურულ საზღვრებს, აეროპორტებს, საზღვაო პორტებს და სახმელეთო მიმოსვლის სხვადასხვა საშუალებებს წარმოადგენენ. მაგრამ, თუ ანტიგლობალისტების სიმართლე ამ ეტაპზე გატარებულ და გასატარებელ დროებითი ღონისძიებების სისწორეზეა დაფუძნებული, მათ მაინც არ გააჩნიათ პრობლემის გადაჭრის ძირეული, არსობრივი ხედვები (გზები). ეს ასე არ იქნება, თუ გლობალიზაციის პოზიტიური აღნიშვნა ერთაშორისი თანასწორობის, აღიარების და სიკეთეთა თანასწორი გადანაწილების იდეაზე დაფუძნდება საგულისხმოა ის, რომ მსოფლიო „გლობალიზაციის“ დაპირისპირებული ბანაკების მთავარი იდეოლოგიები თავად გამოეთიშნენ კორონა-კრიზისის დროს ამ პროცესს და თავის თავში ჩაიკეტნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ იდეოლოგიური დაპირისპირების მიუხედავად, თავიანთი ეკონომიკური მოგების მიზნით, ეს ბანაკები არა თუ თანამშრომლობენ, არამედ რეალურად აძლიერებენ კიდევ ერთმანეთს გავლენის სფეროების განმტკიცება-გაფართოებისთვის ბრძოლაში. გამოდის, რომ ეს პრობლემაც სრულიად ახლებურადაა გასაზრებელი (მითუმეტეს, პატარა სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ძირითადად, თავიანთი შეზღუდული ძალებით უწევთ ამ და სხვა კრიზისებთან ბრძოლა). რადგან ყველა ერთ სამყაროში, დედამიწაზე ვცხოვრობთ, ერთმანეთისგან განცალკევება, ერთმანეთისთვის საზღვრების გრძელვადიანი ჩაკეტვა, ვირუსის გავრცელებას ვეღარ გააჩერებს, რადგან ვირუსიც ერთიანი ეკოსისტემის ნაწილია.

ნდობა სწავლულ-ექსპერტთა, პროფესიონალებს მიმართ.

კორონავირუსმა კიდევ ერთი საკითხი დააყენა დღის წესრიგში: მეცნიერ-სწავლულებისადმი იმედი, რწმენა და მოთხოვნა გაიზარდა. არა მხოლოდ რომელიმე ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიო საზოგადოებაში. თუ წინა ეკონომიკური და ლტოლვილთა კრიზისების დროს მეცნიერ-ექსპერტთა მოსაზრებები მოსახლეობის დიდ ან გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა მემარჯვენე პოპულისტების პროპაგანდის საფუძველზე, ახლა მდგომარეობა სხვაგვარადაა, რადგანაც კაცობრიობა შევლას სწორედ მეცნიერ-ექსპერტებისგან ელის. ეს კი უშუალო კავშირშია სამეც-

ნიერო-კვლევითი და სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასთან, რაც, პირველ რიგში, აკადემიურ სივრცეში ხორციელდება. აკადემიური სივრცე, ისე როგორც არასდროს, მოთხოვნადი გახდა. აქ საქმე არ ეხება მხოლოდ სამედიცინო სფეროს, არამედ ისეთ სფეროებსაც, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად გადამწყვეტ როლს თამაშობენ კრიზისის დაძლევაში. ესენია: აგრარული, საინჟინრო-ტექნოლოგიური, ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მაგრამ, ამავე დროს, რადგან კორონა ვირუსის ეპიდემია საერთო საკაცობრივო პრობლემაა, ხოლო კაცობრიობა ერთმანეთთან მორალური კომუნიკაციის ორგანიზმია, მოთხოვნადია ის უნდა იყოს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომლებიც სამართლიანობის, ზნეობრიობის და მორალურობის კვლევითაა დაკავებული საინჟინრო ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათი გაჩენის დღიდან მეტნაკლები ინტენსივობით სხვადასხვა დროს ხდებოდა მოთხოვნადი.

დასკვნა

კორონა ვირუსის ფონზე თუ როგორი იქნება შემდგომი პერიოდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად.

ეს კრიზისი გამოიწვევს მთელი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის რესტრუქტურის რეორგანიზაციას;

- კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლა და მის მიერ გამოწვეული კრიზისი გახდება ჩვენი დროის მთავარი თემა;

- განვითარებადი ქვეყნების დავალიანება მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ ამის კიდევ უფრო ნეგატიური მხარე ის არის, რომ ვალი, ინვესტიციების ნაცვლად, სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და კომპანიების გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ერთჯერადად დაიხარჯება.

- უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება IT-ტექნოლოგიებში და ხელოვნურ ინტელექტში (განსაკუთრებით, უსაფრთხოების გამო), სამედიცინო აპარატურაში, ჯანდაცვაში, ბიოტექნოლოგიაში და აგრეთვე, სოფლის მეურნეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. 2020. გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური შედეგები. ჟ.: „ეკონომისტი“. № 2;
2. კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. 2020. <https://stopcov.ge/Content/files/government-report.pdf>;
3. მექვაბიშვილი ე. 2020. ინტერვიუ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ <http://newspaper.tsu.ge/ge/news/view/KSIWcllG?fbclid=IwAR0I0aLHMRwe>;
4. პაპავა ვ., ჭარაია ვ. 2020. ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა <https://www.gfsis.org/ge/publications/opinion-papers/>;
5. Марина Стадник, Влияние COVID-19 на мировую экономику, вестник МСФО №3, 03.2020.
6. stopcov.ge

COVID 19-ის გავლენა ეროვნული ეკონომიკის დარგებზე და პოსტპანდემიური პერსპექტივები

ვერა ძველაია
სტუ-ს დოქტორანტი

IMPACT OF COVID 19 ON SECTORS OF THE NATIONAL ECONOMY AND POSTPANDEMIC PROSPECTS

Vera Dzvelaia
PhD student of GTU

RESUME

Solving the problems caused by the virus turned out to be especially difficult for developing countries. The closure of borders by states, restrictions on movement between cities, state of emergency, and restrictions on some economic activities have caused significant damage to the economy. The pandemic led to the closure of businesses involved in tourism and services in general, reduced foreign trade, increased unemployment, worsened the living standards of the population and in general completely transformed the economy. Both domestic and international tourism were restricted in Georgia, tourist bookings on air transports were abolished. Changes are inevitable for the country's economic growth, which has been further accelerated by the Corona virus. It is important not only to activate domestic investments, but also foreign ones, especially in those areas where business cannot do it on its own.

Keywords: COVID 19, Creative People, Investments, Postpandemic Perspectives.

პირითადი ტექსტი

ეპიდემია, რომელიც კორონა ვირუსის სახელწოდებით არის ცნობილი, თავდაპირველად ჩინეთის პროვინცია უჰანში დაფიქსირდა 2019 წლის დეკემბერში, ის სწრაფად მოედო მთელ მსოფლიოს, ამიტომ 2020 წლის 11 მარტს პანდემიად გამოაცხადეს. პანდემიამ და პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა საქართველოს ეკონომიკას ისევე, როგორც მთელი მსოფლიოსას, დიდი ზიანი მოუტანა. ის ეკონომიკის ყველა სფეროს შეეხო. ვირუსით გამოწვეული პრობლემების მოგვარება განსაკუთრებით დიდი სირთულის აღმოჩნდა განვითარებადი ქვეყნებისათვის. სახელმწიფოების მიერ საზღვრების ჩაკეტვამ, ქალაქებს შორის მოძრაობის შეზღუდვამ, საგანგებო მდგომარეობამ და ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ეკონომიკას. პანდემიამ გამოიწვია ტურიზმისა და, ზოგადად, მომსახურების სფეროში ჩართული ბიზნესების გაჩერება, შეამცირა საგარეო ვაჭრობა, გაზარდა უმუშევრობა, გააუარესა მოსახლეობის ცხოვრების დონე და, ზოგადად, სრულიად

გარდაქმნა ეკონომიკა. საქართველოში შეიზღუდა, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურიზმი, გაუქმდა ტურისტული ჯგუფები ავიატრანსპორტზე, აიკრძალა ტურისტული გადაადგილებები, შესაბამისად, გაჩერდა ამ სექტორში მომუშავე საწარმოები და უმუშევრად დარჩნენ მათი თანამშრომლები, რაც უმუშევრობის ზრდაზეც აისახა. შიდა ტურიზმის გააქტიურებით შესაძლებელი იყო ამ კრიზისის ოდნავი შემსუბუქება, თუმცა ქვეყანაში ამ მხრივ დაინტერესება დაბალი გახლდათ. ამდენად, ყველაზე მეტად სწორედ ტურიზმის სფერო დაზარალდა. ამ დროს კი აღსანიშნავია, რომ სწორედ ტურიზმი გახლავთ უცხოური ვალუტის შემოდინების, ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი წყარო. კორონა ვირუსმა ის ქვეყნები დააზარალა, რომლებიც ტურისტულად ყველაზე აქტიურები იყო (იტალია, საფრანგეთი, აშშ, ესპანეთი), თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ტურიზმმა გამოიწვია ქვეყნებს შორის ვირუსის სწრაფი გავრცელება. იტალიასა და საფრანგეთში ტურიზმისგან მიღებული შემოსავლები მშპ-ის 11 და 10 %-ს შეადგენს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ასევე უარყოფითად აისახა პანდემიის შედეგები ჩინეთის ეკონომიკაზე, რომელიც გახლდათ ტურისტული პროდუქციის ექსპორტიორი. ამ მხრივ არასახარბიელო სიტუაცია გვაქვს საქართველოშიც. პანდემიამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა, როგორც ტურიზმის სექტორზე, ასევე მის მონათესავე - სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესზეც. საქართველოში კორონა ვირუსმა უმუშევრობის დონე გაზარდა და 12,3 % შეადგინა. განსაკუთრებით შეეხო უმუშევრობა ტურიზმის სფეროში დასაქმებულებს. მათი რაოდენობა კი დაახლოებით 500 000 -ია.

2020 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა რეკორდულად 15 %-ით შემცირდა და 11,3 მილიარდი დოლარი შეადგინა. ექსპორტი 12 %-ით (456 მლნ \$-ით) შემცირდა, ხოლო იმპორტი 16 %-ით (1, 511 მლნ \$-ით). 2017-2019 წლებში საქართველოს ექსპორტი ნორმალური ტემპით იზრდებოდა და ჯამში 79 %-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი - 30 %-ით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, 2020 წელს ექსპორტი, 2019 წელთან შედარებით, 8 %-ით შემცირდა. განვითარებული ქვეყნების ექსპორტი 9, 7 %-ით შემცირდა, ხოლო განვითარებადების - 5, 5 %-ით.

ჩვენს ქვეყანაში 2020 წლის იანვარი ექსპორტის 10 %-იანი ზრდით დაიწყო, მაგრამ ტებერვლიდან, კორონა ვირუსის შედეგად, 0,5 %-ით შემცირდა. მაისში კი 31 %-ით შემცირდა. იმპორტმა კლება მარ-

ტიდან დაიწყო.

საქართველოს ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებთან 26 %-ით შემცირდა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებთან - 12,5 %-ით. ქვეყნების მიხედვით 2020 წელს ექსპორტი ყველაზე მეტად სომხეთთან შემცირდა - 245 მლნ \$-ით (57 %-ით). შემდეგ რუმინეთი მოდის - 158 მლნ \$-ით (89 %-ით).

2020 წელს საქართველოს ექსპორტში 1-ლი ადგილი ჩინეთმა დაიკავა 476 მლნ \$-ით, მეორე ადგილი კი - აზერბაიჯანმა 441,3 მლნ \$-ით, მესამე ადგილზეა რუსეთი (441,1 მლნ \$-ით) (ნახაზი 1).

2020 წელს ექსპორტზე მეტად იმპორტი შემცირდა, გასულ წელს საქართველოში 1,5 მლრდ \$-ით ნაკლები უცხოური პროდუქცია გაიყიდა, ვიდრე 2019 წელს. თუმცა ჯამურმა იმპორტმა მაინც საკმაოდ მაღალი რიცხვი - 8 მლრდ \$ შეადგინა. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი 20 %-ით შემცირდა, ხოლო დსთ-ის ქვეყნებიდან - 2 %-ით. გასულ წელს ყველაზე მეტად - 348 მლნ \$-ით (31 %-ით) მსუბუქი ავტომობილების იმპორტი შემცირდა, 259 მლნ \$-ით (34 %-ით) ნავთობპროდუქტების იმპორტი, 70 მლნ \$-ით კი სპილენძის მადნების.


შემცირების მიუხედავად, 2020 წელს საქართველოს იმპორტში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 759 მლნ \$-ით, მეორე ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 533 მლნ \$-ით, მესამეზე - ნავთობპროდუქტები 498 მლნ \$-ით (ნახაზი 2).

ქვეყნების მიხედვით, საქართველოს იმპორტში 1-ლი ადგილი თურქეთს უჭირავს (1,4 მლრდ \$-ით). თუმცა, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს იმპორტი შემცირებულია. შემდეგ მოდის რუსეთი 887 მლნ \$-ით ანუ 9 %-ით შემცირდა, მესამე ადგილზეა ჩინეთი - 709 მლნ \$-ით (შემცირდა 18 %-ით).


ვაჭრობის შემცირება ეკონომიკურმა შეზღუდვებმა და სხვა ფაქტორებმა გამოიწვია (ნახაზი 3).

ამრიგად, კორონას მიერ მიყენებული ზარალის აღსადგენად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რათა ქვეყანამ შეძლოს ჩვეულ რიტმზე დაბრუნება, ასევე მნიშვნელოვანია, ინვესტიციები ჩა-


ქვეყნები, სადაც 2020 წელს საქართველოს ექსპორტი ყველაზე მეტად შემცირდა



საქართველოს ტოპ-10 საექსპორტო ქვეყანა 2020 წელს



საქონელი, რომლის იმპორტი 2020 წელს ყველაზე მეტად შემცირდა



იდოს ჩვენი ქვეყნისთვის ყველა მნიშვნელოვან სფეროში და, ამავე დროს, ადამიანურ კაპიტალში, მოხდეს კადრების გადამზადება, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს განათლების სფეროს, ჯანდაცვასა და მეცნიერებას, აუცილებელია სპეციალისტების გადამზადება და მორგება პოსტპანდემიურ საჭიროებებზე, ვინაიდან სწორედ შემოქმედებითად და არასტანდარტულად მოაზროვნე ადამიანებს შეუძლიათ ქვეყნის გამოყვანა პოსტპანდემიური კრიზისიდან.

ასევე აუცილებელია სოფლის მეურნეობის სტრუქტურის შეცვლა, შესაბამისი ცოდნის საფუძველზე მწარმოებლურობის ზრდა, მწარმოებლურობის ზრდის მთავარი გზა კი ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი და ხარისხიანი ათვისებაა.

პანდემიის დროს აუცილებელია ეკონომიკის სოციალური მხარის წინ წამოწევა, თუ დავესესხებით პოლ კრუგმანის მოსაზრებას, გლობალური უარყოფითი სიტუაციის ფონზე დაუშვებელია, ერთი ქვეყნის წარმატებლობის ხარჯზე მეორე ქვეყანამ მიიღოს წარმატებას. როდესაც ქვეყანასა და მსოფლიოში რთული ფონია, ამ დროს აქტუალური ხდება სოციალური ეკონომიკა და ერთმანეთზე ზრუნვა, რომლის დროსაც მოგებაზე ფიქრის ნაცვლად პრიორიტეტული ხდება სოლიდარობა და სოციალური ფაქტორები, რესურსების, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართლზომიერი გამოყენება, რასაც საბოლოოდ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდამდე მივყავართ. ასევე, პანდემიის დროს, ბიზნესის ლიდერი წარმომადგენლების უპირატესობები უკანა პლანზე ინაცვლებს და ყველა სუბიექტი სასტარტო პირობებში აღმოჩნდება. ასეთ დროს კი სწორმა მენეჯმენტმა და მართებულმა მიდგომამ კომპანია შესაძლოა, ეტაპობრივად განავითაროს და საბოლოოდ, მიიყვანოს კიდევ ლიდერის პოზიციაზე. კრიზისული სიტუაციიდან გამოსაყვანად აუცილებელია შემოქმედებითი აზროვნება და საკითხისადმი ინოვაციურად მიდგომა, რაც ასევე დადებითად მოქმედებს ინოვაციების მიმწოდებლებზე. აღსანიშნავია, რომ კრიზისული სიტუაციის დროს ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი სწორედ სახელმწიფო და მისი გონივრული მიდგომაა საკითხებისადმი, განსაკუთრებით კი, სოციალური ფაქტორების წინ წამოწევა, რასაც, საბოლოოდ, მივყავართ გრძელვადიან ეკონომიკურ კეთილდღეობამდე.

აქვე აღვნიშნოთ დადებითი შედეგებიც: პანდემიამ დააჩქარა ბევრი პრობლემის მოგვარება. მან კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანს სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე ჭირდება. ეპიდემიამ ხელი შეუწყო განათლების სექტორში, სწავლის პროცესში ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებასა და მის ადაპტაციას, რეგიონებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდას, ზოგადად, ციფრულ ტექნოლოგიებზე აქტიურად გადასვლას. პანდემიის მიზეზით შეიქმნა უამრავი სასწავლო ინტერნეტ-პლათფორმა, რაც კიდევ უფრო განავითარებს განვითარებადი ქვეყნების წინსვლას. დისტანციური სწავლება სხვადასხვა სფეროში მოსახერხებელია ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო და დეფიციტური სპეციალისტების გადასამზადებლად.

პანდემიის დროს დაწესებულმა შეზღუდვებმა არნახული სისწრაფით განავითარა ონლაინ-შოპინგი, ონლაინ შესყიდვებმა თითქმის ყველა სფერო მოიცვა, როგორც საყოფაცხოვრებო საქონელი, ასევე კვების პროდუქტები და ფარმაცია.

კორონა ვირუსის კრიზისის დროს აუცილებელია, ვიზრუნოთ ეროვნული ეკონომიკის გადასარჩენად, პოსტკრიზისულ პერიოდში კი - ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე, ამისათვის კი მუდმივი ცვლილებებია საჭირო, სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობების გამოყენება. აუცილებელია ბიზნესმა და სახელმწიფომ იზრუნოს ეროვნული წარმოების გადარჩენაზე, უწინარეს ყოვლისა შიდა ინვესტიციების განხორციელებით, ასევე ემიგრანტების დაბრუნებით საქართველოში და მათი ცოდნისა და გამოცდილების აქტიური გამოყენებით.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელია ცვლილებები, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შიდა ინვესტიციების გააქტიურება, არამედ უცხოურისაც, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს ამას ბიზნესი.

ამრიგად, კომპლექსური და გონივრული, ფრთხილი ღონისძიებების გატარების შედეგად, სახელმწიფო, ბიზნესთან და საზოგადოებასთან ერთად, მათთან თანამშრომლობით ეტაპობრივად შეძლებს პოსტპანდემიური პრობლემების მოგვარებას და ქვეყნის ეკონომიკის დაყენებას სწორ რელსებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რეზო შენგელია - კორონომიკური კრიზისი ეროვნული წარმოების განვითარების შემაფერხებელი თუ სტიმულატორი? ჟურნალი ეკონომიკა, N3-5, 2020, გვ. 46-52;
2. უშანგი სამადაშვილი - პოსტპანდემიური მსოფლიო და საქართველო: გამოწვევები და ახალი შესაძლებლობანი, თსუ-ს შრომების კრებული, საქართველო, თბილისი, 6 ნოემბერი, 2020 წელი, გვ. 353-359;
3. ალექსანდრე შარაშენიძე - COVID 19 პანდემიის კონკურენტუნარიანობაზე ზეგავლენის ცალკეული ასპექტები, თსუ-ს შრომების კრებული, საქართველო, თბილისი, 6 ნოემბერი, 2020 წელი, გვ. 453-455;
4. ქეთევან ჩიტალაძე - COVID 19 პანდემიის გავლენა საქართველოს ტურიზმზე, თსუ-ს შრომების კრებული, საქართველო, თბილისი, 6 ნოემბერი, 2020 წელი, გვ. 475-484;
5. <https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf>;
6. <https://forbes.ge/pandemiisgan-dazaralebuli-sagareo-vatchroba/>.

საქართველოში შრომის ბაზრის სახელმწიფო კონტროლის ბაძლიერება პანდემიური კრიზისის პირობებში

მიხეილ კორძახია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ქვეყანაში შრომის პოლიტიკის ზეგავლენის საკითხები დამსაქმებლების სამენარმეო აქტივობების ზრდისა და დასაქმებულთა უფლებების დაცვის ფორმატში. ნაშრომში წარმოდგენილია შრომისა და მის თანმდევ სფეროში სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების საკანონმდებლო საფუძვლები და მათი კომპეტენციების გადაფარვის ანალიზი. ჩამოყალიბებულია პანდემიის პირობებში არსებული პრობლემატიკის კონკრეტული მიზეზები და მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების ფარგლები. წარმოდგენილია რეფორმირებისთვის აუცილებელი რეკომენდაციები.

УСИЛЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОГО КОНТРОЛЯ НАД РЫНКОМ ТРУДА В ГРУЗИИ ВО ВРЕМЯ ПАНДЕМИЧЕСКОГО КРИЗИСА

Михаил Кордзахия
Докторант, Грузинский
технический университет

РЕЗЮМЕ

В статье рассматриваются вопросы влияния трудовой политики в стране в формате повышения предпринимательской активности работодателей и защиты прав работников. В статье представлены правовые основы органов государственного контроля за трудом и смежной с ним сферы, а также проведен анализ совпадения их компетенций. Устанавливаются конкретные причины проблем от пандемии и масштабы ожидаемых негативных последствий. Представлены необходимые рекомендации по реформе

Ключевые слова: рынок труда, политика безопасности труда, пандемическое законодательство, надзор за рынком труда, регуляторы рынка труда.

* * * *

თანამედროვე მსოფლიოში პანდემიურმა კატასტროფამ მსოფლიო მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნების მოსახლეობის სიცოცხლის გადარჩენის პარალელურად, ქვეყნის ხელისუფალთა წინაშე ეკონომიკური კრი-

ზისიდან გამომდინარე სოციალური კოლაფსის საშიშროება დადგა. აღნიშნული გარემოება ყველაზე მტკივნეულად აისახა სოციალური-ეკონომიკის იმ მიმართულებებზე, რომლებიც ქვეყნების განვითარების მიხედვით ნაკლებად ჩამოყალიბებული და არასტაბილური მიდგომებით ხასიათდებოდნენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში, მსოფლიოში მიმდინარე დინამიურმა ძვრებმა ე.წ. „განვითარებადი ეკონომიკის“ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მწვავე შედეგები მოუტანა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად მონყვლადია შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობა. შექმნილ სიტუაციაში, საქართველო გამონაკლისი არაა და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა მნიშვნელოვნად რთულია ეკონომიკური და სოციალური საკითხის ქრილში.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქვეყანაში ისედაც სუსტად განვითარებულმა შრომის პოლიტიკამ გამოაჩინა ის სერიოზული ხარვეზები, რომელთა გამოვლენა წინა წლებში არც თუ ისე კრიტიკულად აღიქმებოდა. საქართველოში, უკანაკსკნელ წლებში მიმდინარე შრომის პოლიტიკის რეფორმაში გამოჩნდა, როგორც სისტემური, ისე კონცეპტუალური ხარვეზები. ამ მხრივ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხად მოგვევლინა შრომის პოლიტიკის აღსრულებისას შრომის ბაზარზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის მიდგომები.

2006 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ ახალი შრომის კოდექსის მიღებიდან დღემდე, კერძო სექტორში აქტუალურია შრომითი უფლებებისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხები. შრომის კოდექსში 2020 წელს შეტანილმა ცვლილებებმა გაზარდა შრომითი უფლებების კონტროლის საკითხი, რადგან შრომითი ურთიერთობებისას არსებული თავისებურებები ნეგატიურად შეიძლება აისახოს მოქალაქეთა ყოფით მდგომარეობაზე.

პანდემიიდან გამომდინარე შრომის ბაზარზე შექმნილმა ვითარებამ ცხადყო, რომ მოქალაქეებისთვის შრომითი უფლებების რეალიზების კონსტიტუციური გარანტირება პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ხარვეზის მატარებელია, რაც მისი მცირე ჩამონათვლითაც ცალსახად იკვეთება:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შეუძლებლობა;

- არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების სირთულე;

- სასურველ პროფესიაზე წვდომის შესაძლებლობის არ არსებობა;

- არასამართლიანი და მიუკერძოებელი გადანყვეტილებების მიღებით ადამიანის უფლებების დარღვევის მაგალითების საგრძნობი ზრდა;

- შრომითი ურთიერთობის პერიოდში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიების გამოუყენებლობის ჩვეული პრაქტიკა;

შესაბამისად, ერთი მხრივ, ჩამოთვლილი მიზეზების გამო საქართველოში შრომითი უფლებების დაცვის სიმწვავე კიდევ უფრო აქტუალურია ვიდრე ეს წინა წლებში იყო და მეორე მხრივ, თავად ბიზნეს სექტორისთვის წარმოშობილი ეკონომიკური სტაგნაცია, მხარეთა შორის ბუნებრივად არსებულ ანტაგონისტურ დამოკიდებულებას რადიკალურ დონემდე ზრდის.

აღნიშნულ ფონზე სახელმწიფო, რომელსაც უნდა გააჩნდეს შრომის ბაზრის სუბიექტებისადმი სამართლიანი და მიუკერძოებელი მიდგომები, იძულებული ხდება გაამკაცროს შრომის ბაზარზე ზედამხედველობა და უზრუნველყოს მხარეთა თანაბარ უფლებიანობის შენარჩუნება. აღნიშნული კი შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანი და მიუკერძოებელი კანონმდებლობისას, ასევე სამართლიანი და

მიუკერძოებელი აღმასრულებელი სისტემის არსებობისას. უკანასკნელ წლებში შრომის კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა რადიკალურად მემარცხენე ტენდენციები მიიღო, რამაც კერძო სექტორისთვის არსებული კრიზისული სიტუაცია კიდევ უფრო გააუარესა. შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით კონკრეტულად დადგენილია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის აღსრულების მექანიზმები. ამასთან, ასევე განსაზღვრულია კონკრეტული სახელმწიფო უწყება, რომელიც ბაზარზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის პოლიტიკის აღსრულების უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური აქტით აღსრულების სუბიექტი გამოკვეთილია, რეალობაში გვხვდება პარალელური სტრუქტურების მხრიდან შრომის უსაფრთხოების პოლიტიკაზე აღსრულების პროცესში ჩართული სხვა სახელმწიფო ორგანოებიც, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე დაფუძნებულნი. ამგვარი სტრუქტურები და მათი მოქმედების სამართლებრივი საფუძვლები იხილეთ ცხრილში.

წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ყოველი მაკონტროლებელი უწყების უფლებამოსილების განმსაზღვრელი აქტი საკანონმდებლო აქტია. შესაბამისად, მათი რეგულირება ხდება უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს - საქართველოს

№	სახელმწიფო ორგანო	საკანონმდებლო საფუძველი	სტრუქტურული ქვემდებარეობა	კომპეტენციის გავრცელების ფარგლები (სექტორი/ კონტროლის სფერო)
1	სსიპ „შრომის ინსპექცია“	1. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქ. ორგანული კანონი; 2. „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სექტორი: ყველა ეკონომიკურ სექტორში; მათ შორის, საჯარო სამსახური კონტროლის სფერო: ნებისმიერი სამუშაო ადგილი;
2	სსიპ „საგანგებო სიტუაციების სამსახური“	„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	სექტორი: ყველა ეკონომიკური სექტორი; კონტროლის სფერო: საგანგებო სიტუაციების პოლიტიკის ფარგლებში
3	სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“		საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სექტორი: მომეტებული საფრთხის მქონე სექტორი; კონტროლის სფერო: მომეტებული საფრთხის ობიექტები;
4	მუნიციპალური სამსახური „მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახური“		ადგილობრივი თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები)	სექტორი: სამშენებლო და მომეტებული საფრთხის ობიექტების კონტროლი; კონტროლის სფერო: სამშენებლო რეგულირება;
5	სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“	„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონი	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სექტორი: სურსათის მწარმოებელი, მიმწოდებელი და რეალიზატორი სექტორი; კონტროლის სფერო: სურსათის კონტროლი;

პარლამენტის მხრიდან. ამასთან, როგორც საკანონმდებლო საქმიანობის პრინციპიდან ცხადია, საკანონმდებლო დონეზე აქტის მიღება თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან შეთანხმებულია. შესაბამისად, თითოეული საკანონმდებლო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ დარგობრივ პოლიტიკებს, თუმცა, სამსუხაროდ შრომის სფეროში ამგვარი პოლიტიკა ჯერაც არ არსებობს. ასეთივე მიდგომა უმრავლეს შემთხვევაში არსებობს და ვიღებთ იმ სურათს, რომლის მიხედვითაც როგორც მინიმუმ მაკონტროლებელი ორგანოების კომპეტენციების დუბლირებას ქმნის და არცთუ შორეულ წარსულში არსებული სამსუხაროდ პრაქტიკა საკმაოდ მტკივნეულ გამოვლინებებს ბადებს, კერძოდ: კორუფციული ტენდენციების გაძლიერებას, საჯარიმო სანქციების ზრდას, ბიზნესზე ზენოლის ფაქტების სიმრავლეს და სხვა;

მიუხედავად იმისა, რომ ცხრილის მიხედვით მაქსიმალურად გამიჯნული ჩანს მაკონტროლებელი ორგანოების კომპეტენციები, შრომის უსაფრთხოების სფეროს კონტროლის ფარგლებში თითოეულ მათგანს გააჩნია დასაბუთებული საკანონმდებლობა, მაგალითად: „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 24-ე მუხლი პირდაპირ უთითებს შესამონმებელ ობიექტზე შრომის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფასა და კონტროლის განხორციელების აუცილებლობაზე, რომელიც როგორც ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყების კომპეტენციას, ისე მეორე მაკონტროლებელი ორგანოს - სსიპ „შრომის ინსპექციის“ კომპეტენციასაც წარმოადგენს. ამ კონკრეტული მაგალითით ცხადი ხდება რომ მენარმე სუბიექტისთვის ერთი და იმავე საგნის მიმართ, როგორც მინიმუმ ორი მაკონტროლებელი უწყებაა დაინტერესებული.

როგორც აღინიშნა, შრომის პოლიტიკის ზედამხედველობის სიმკაცრე მართლდება შრომითი ურთიერთობისას წარმოშობილი საფრთხის შემცველი ფაქტორებისა და საშიში სამუშაო გარემოდან გამომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების კეთილშობილური განზრახვით. ქვეყანაში შრომით ურთიერთობებს საჯარო სამსახურში არეგულირებს „საჯარო სამსახურის“ შესახებ კანონი, რომელიც არანაირად არ მოიცავს შრომის უსაფრთხოების საკითხებს, ხოლო შრომითი უფლებების ნაწილში მისი გადანყვეტა საგრძნობლად განსხვავებულია შრომის კოდექსით დადგენილი შრომითი უფლებების რეგულირებისგან.

არსებულ სიტუაციაში სახელმწიფო ზედამხედველობისას შეინიშნება მართვის სერიოზული ხარვეზები, რომელიც ძირითად შემდეგი სახისაა:

- სამართლებრივ და კონცეპტუალურ დონეზე გამიჯნული მიდგომები შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების სფეროში;

- საჯარო სფეროში კერძო სამართლის სუბიექტებისგან განსხვავებით შრომის რეგულირების განსხვავებული ასპექტების არსებობა;

- შრომის პოლიტიკის აღსრულებისას მაკონტროლებელი ორგანოების სიმრავლე და მათი უფლებამოსილებების დუბლირების პრობლემა;

- აღსრულებისას საჯარო სამსახურისადმი კერძო სექტორისგან განსხვავებით გაცილებით ლიბერალური მიდგომების არსებობა და შრომის უსაფრთხოების საკითხების სრული გამორიცხვა;

- სახელმწიფო სამსახურების ძალოვანი სტრუქტურებისადმი შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ნაკლები გავლენა;

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ხედვებში შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ადგილის არარსებობა;

ჩამოთვლილი გამოწვევები ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მართვაზე, რაც შემდგომში უარყოფითად აისახება შრომის ბაზრის მდგომარეობაზე. პრობლემატიკის არ აღიარება და მათი იგნორირება უშუალო გავლენას ახდენს, როგორც დასაქმებულთა მდგომარეობაზე, ისე თავად დამსაქმებელთა განვითარების პერსპექტივაზე. აღნიშნული არასტაბილური გარემოს შექმნის წინაპირობაა ქვეყანაში ახლად შექმნილი ინსტრუქციების განვითარების გზა.

სტატიით გამოვლენილი გამოწვევების ძირეული პრობლემატიკა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირეულ პრობლემატიკას ასახავს. აღნიშნული გამოწვევებისადმი გამკლავება საზოგადოების აქტიური ჩართულობით გაცილებით ადვილად მისაღწევია და მალაღეფექტური იქნება. აღნიშნულის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული მექანიზმებით იქნას მიღწეული, მაგალითად, ქვეყანაში სოციალური პარტნიორობის სისტემის რეალიზების გზით, თუმცა როგორც ხშირი მაგალითები ცხადყოფს, მექანიზმების საკანონმდებლო დონეზე არსებობა ნაკლებად აისახება პრაქტიკულ გამოყენებაში. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის შრომის ბაზარზე პოზიტიური რეფორმების დასაწყებად შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახის სარეკომენდაციო პოსტულატები:

- საზოგადოების სხვადასხვა წრეების ჩართულობით აუცილებელია შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების დაცვის ერთიანი კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება;

- პოლიტიკური ხედვის შესაბამისად, სამარ-

თლებრივი პლატფორმის შექმნა, რომლის ძირეული მიზანი უნდა იყოს ერთიან სამართლებრივ სისტემაში ორივე, ერთმანეთთან თავსებადი მიდგომების კონსოლიდირება;

- საჯარო და კერძო სუბიექტებისათვის ერთიანი შრომის პოლიტიკის შემუშავება და აღსრულების თანაბარი მიდგომების დადგენა;

- შრომის პოლიტიკის საკითხებთან შემხებლო-

ბაში არსებული მარეგულირებელი ორგანოების სისტემატიზირება და უფლებამოსილებათა კონკრეტული გამიჯვნა;

- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერება სპეციფიკური საჯარო სამსახურის სტრუქტურებისადმი, განსაკუთრებით მაღალი რისკის ამოცანების შესრულებისას დასაქმებულთა დაცვის მაქსიმალური პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Protecting the life and health of workers during the COVID-19 pandemic: Overview of national legislative and policy responses; ILO, 2020
2. საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების 30-ე დანართი;
3. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ (19.02.2019 წ. #4283 - II ს);
4. “შრომის სამართალი, დავის, გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდები”; რიჩარდ ბეილსი; ჩრდილოეთ ოჰაიოს უნივერსიტეტი, 2019 წელი;
5. შრომის სამართალი, ფრანჩესკო ბაკინი; მილანის ბიკოკას უნივერსიტეტი, 2018 წელი.
6. „შრომის სამართალი და შრომის საერთაშორისო სტანდარტები“, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის (638 გვერდი) - ავტორები: ზაქარია შველიძე, ქსავიერ ბოდონე, თეიმურაზ თოდრია, თამარ ხაყოშია, ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი; 2017 წელი;
7. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2018.2019 წლების წლიური ანგარიშები.

სოციალური დაცვის სისტემის გამოწვევები კორონავირუსული პანდემიის პირობებში

ნინო ხომასურიძე
სტუდენტ-დოქტორანტი

CHALLENGES OF THE SOCIAL PROTECTION SYSTEM IN THE CONTEXT OF THE CORONAVIRUS PANDEMIC

Nino Khomasuridze
PhD student of GTU

RESUME

For countries at different stages of development, the corona viral pandemic has become a source of deepening economic and social problems. Georgia, like other countries in the world, needs an in-depth analysis of the social protection system. The delayed functioning of many areas of the economy, while the complete paralysis of some sectors, has created a problem for the state to ensure established standards of quality and standard of living. The issue of the need to take effective measures to mobilize funds, redistribute and improve the state of the social protection system was highlighted. Rising inflation, rising prices for goods and services, shrinking jobs and other negative factors have put vital issues on the front line for the low- and middle-income sections of the population. Consequently, the challenge for the social protection system is to mitigate the problems as much as possible, to assess the challenges and the prospects for improvement.

keywords. System challenges, Prospects for improvement, Social protection system.

განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი სახელმწიფოებისათვის კორონა ვირუსული პანდემია მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გაღრმავების წყაროდ იქცა. საქართველოსათვის მსგავსად მსოფლიოს სხვა ქვეყნებისა, გამოიკვეთა სოციალური დაცვის სისტემის სიღრმისეული ანალიზის აუცილებლობა. ეკონომიკის ბევრი მიმართულების შეფერხებით ფუნქციონირებამ, ხოლო ზოგიერთი დარგის სრულიად პარალიზებამ სახელმწიფოს შეუქმნა პრობლემა უზრუნველყო ცხოვრების ხარისხისა და დონის დადგენილი სტანდარტები. გამოიკვეთა ფინანსური სახსრების მობილიზაციის, გადანაწილებისა და სოციალური დაცვის სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის საკითხი. ქვეყნის მთავარი სტატისტიკური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წელს უმუშევარ ადამიანთა რაოდენობა შეადგენდა 276.9 ათასს, მაშინ

როდესაც 2021 წლის I კვარტლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 317.5 ათასამდე. აღნიშნული მონაცემის მსგავსად გაუარესებულია სხვა მაჩვენებლებიც.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა სოციალური დაცვის სფეროზე განუვლი დანახარჯის ზრდა. მილიონ შვიდას ათასამდე ადამიანმა ისარგებლა სხვადასხვა სახით დახმარებით, რომლის ჯამური ოდენობა 1.2 მილიარდ ლარს აჭარბებდა. აღნიშნულის მიუხედავად, საქსტატის მონაცემებით 2019 წელს სიღარიბის აბსოლიტურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა მოსახლეობის 19.5%, რომელიც 2020 წლისათვის 21.3%-მდე გაიზარდა. მზარდმა ინფლაციურმა პროცესმა, გაზრდილმა ფასებმა საქონელზე და მომსახურებაზე, შემცირებულმა სამუშაო ადგილებმა და კიდევ სხვა ნეგატიურმა ფაქტორებმა, მოსახლეობის დაბალ და საშუალო შემოსავლიანი ნაწილისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა წინა ხაზზე. შესაბამისად, სოციალური დაცვის სისტემისათვის გამოწვევად გვევლინება პრობლემების მაქსიმალურად შერბილების ამოცანა, მის მიმართ არსებული გამოწვევებისა და გაუმჯობესების პერსპექტივის შეფასება. საქართველოს მთავარ მიზანს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდგომ წარმოადგენს ის, რომ განხორციელოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა იმ საკანონმდებლო აქტის ჰარმონიზაცია, შესაბამისი ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება, რომელიც ზემოაღნიშნულ სფეროებს რეალურად დააახლოვებს ევროპულ ანალოგებთან.

მსოფლიო არსებობის მანძილზე არაერთი კრიზისისა და პანდემიის პირისპირ აღმოჩენილა, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადამიანური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების მთელი ჯაჭვი წარმოშვა. თუმცა კორონა ვირუსული პანდემია გაცილებით მეტია ვიდრე უბრალოდ ჯანმრთელობის ან ეკონომიკის კრიზისი, ის ბევრად აღემატება თავის ისტორიულ ანალოგებს, უპირატესად ამ ყველაფრის განმაპირობებელი ფაქტორი მისი გავრცელების მასშტაბია, სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე პანდემიის კვალი შესაძლოა გამანადგურებელი აღმოჩნდეს მსოფლიოს არაერთი ქვეყნისათვის. განსაკუთრებით კი განვითარებადი და დაბალ განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთათვისაც პანდემიურ პროცესებთან ერთად საფრთხის შემცველი ნაიარევი წარმოიშვა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისების გაღრმავებით. სახელ-

მნიფოთა უმთავრესი ამოცანა ისეთი ქმედითი ლონისძიებებისა და პროექტების შემუშავებას უნდა ემსახურებოდეს, რომლის მიზანსაც კრიზისადმი მდგრადი სისტემის შექმნა უნდა წარმოადგენდეს, რასაც შედეგად უთანასწორობის აღმოფხვრა და სიღარიბის დაძლევა უნდა მოჰყვეს.

კორონა ვირუსული ინფექციის გავრცელების პირველ ლოკაციას ჩინეთი წარმოადგენდა. 2019 წლის მიწურულს ქალაქ უხანში გაჩენილი ვირუსი, რომელიც დეკემბერში რამდენიმე ათეული ადამიანის პნევმონიის წყაროდ იქცა, სულ რამდენიმე თვეში მსოფლიოს ძლიერი პანდემიის სახით მოეწვინა. 2020 წლის 21 იანვარს ჩინეთის მხრიდან დადასტურდა ინფორმაცია ვირუსის გადადების შესახებ. რაც შეეხება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, მის მიერ იანვრის ბოლოს გლობალურ საფრთხედ გამოცხადებას მოყვა 11 მარტს კორონა ვირუსული ინფექციის პანდემიად გამოცხადება (იმ დროისათვის ვირუსი გავრცელებული იყო 114 ქვეყანაში, დაინფიცირებულთა რაოდენობა ჯამში 118 000 ადამიანზე მეტს, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვი კი 4 291-ს შეადგენდა)¹.

მსოფლიო ბანკის მიერ 2020 წლის ივნისში წარმოდგენილი ანალიზის შესაბამისად კორონა ვირუსით გამოწვეული რეცესია ყველაზე მძლავრად აისახება ბოლო 150 წლის მანძილზე ქვეყნების ეკონომიკაზე დაფიქსირებულ რეცესიებს შორის.² ამავე დროს პანდემიით გამოწვეული რეცესია 1991 წლიდან 2020 წლამდე რეცესიებს შორის ხასიათდება ყველაზე სწრაფი შემცირების მაჩვენებლით³. კითხვაზე თუ რატომ ახორცილებენ სახელმწიფოები სოციალური დანახარჯების ასეთ დიდ მოცულობას, პასუხი მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური დაცვა სახელმწიფოს სოციალურ-შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. მისი მიზანია ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საბაზისო პირობების, კერძოდ მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფისა და საზოგადოების შრომისუუნარო წევრების სოციალური და სამედიცინო დახმარების ორგანიზება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მსოფლიო პრაქტიკა მონიშნავს, სოციალური დაცვის სისტემა იქნება ეფექტიანი იმ შემთხვევაში, როდესაც მექანიზმები, რომლებიც ამ სისტემის გამართულობაზე აგებს პასუხს, დაფუძნებული იქნება გამართულ საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზაზე.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეფერხე-

ბა ინვეს მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წარმოჩენას, რომლებიც განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოების ყველაზე დაუცველ ნაწილზე. ამავე დროს აუცილებელია განვიხილოთ სამართლიანობა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. სამართლიანობის პოსტულატები ყოველთვის არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმით და საზოგადოების ღირებულებათა სისტემით განისაზღვრება. ისინი წარმოადგენენ იმ წანამძღვარს, რომლიდანაც ადამიანთა თანაარსებობაში განანილების პოლიტიკის ნორმები გამომდინარეობს. მონოდება უფრო მეტი სამართლიანობისაკენ ყოველთვის მაშინ ხდება ხმაძალალი, როდესაც არსებული შემოსავლებისა და ქონების განანილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის საზოგადოებრივ მშვიდობას საფრთხეს უქმნის. ამასთან, გასარკვევი რჩება ის, თუ რა სიდიდეები ასრულებენ განანილებაში მნიშვნელოვან როლს. ერთის მხრივ, საქმე ეხება მშპ-ს შექმნაში შეტანილ შრომის წვლილს (შედეგის პრინციპი), მეორეს მხრივ, მშპ-ს გამოყენებას (მოთხოვნილების პრინციპი)⁴. შესაბამისად, სოციალური დაცვის იმგვარი სისტემის ფორმირება უნდა განხორციელდეს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ყველა ლონისძიებისა და ქმედების ერთიანობას, რომელიც ეკონომიკურად სუსტი ჯგუფების ცხოვრების საფუძვლების განმტკიცებას მოემსახურება. სოციალური პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში მიზნად ისახავს საზოგადოების ღარიბი წევრების ან ჯგუფებისთვის ნორმალური ცხოვრების პირობები შექმნას. ახალი კორონა ვირუსული ინფექცია, მნიშვნელოვანი გამოწვევის ახალი ეტაპი აღმოჩნდა. განვითარების იმ მასშტაბის პირობებისათვის, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის ქვეყნებმა მიაღწიეს ერთის მხრივ მოულოდნელი აღმოჩნდა ასეთი მოცულობის საფრთხის წარმოდგენა. სახელმწიფოების უმრავლესობის მხრიდან გამოყენებული იქნა ეროვნული ლოკდაუნები. მართალია აღნიშნულ მკაცრ შეზღუდვას ეპიდემიური შედეგების ანალიზის მხრივ დადებითი ტენდენციის მოხდენა ძალუძს, მაგრამ გასათვალისწინებელია არანაკლებ დიდი საფრთხე რომელიც აქ იმალება. კერძოდ სახელმწიფოთა ხელთ არსებული რესურსები, უზრუნველყონ ლოკდაუნის პირობებში მიღებული სოციალურ-ეკონომიკური დანახარჯები და მოახდინონ მათი კომპენსირება წარმოადგენს შეზღუდულ რესურსს. ხანგძლივი დროით მის გამოყენებას კი შეუძლია ქვეყანა საყოველთაო და ღრმა

1 <https://www.who.int/director-general/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020>
2 <https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world>
3 <https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world>
4 გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. ნიგნი I. თბ. «უნივერსალი». 2012, გვ.264-266

სიღარიბემდე მიიყვანოს. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკა ვერ გაუძლებს, როგორც ერთი მხრივ ინფექციის უკონტროლო, მასიური გავრცელების შემთხვევების მართვას, ისე ვერ მოახდენს შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში, გრძელვადიან ლოკდაუნებს⁵.

იმისათვის რომ შევაფასოთ თუ რა გავლენა მოახდინა მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსულმა პანდემიამ საქართველოს სოციალური დაცვის სისტემაზე, ამისათვის გავაანალიზოთ სისტემის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები. კერძოდ მოვახდინოთ პანდემიური პერიოდის ანალიზი. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა 2020 წელს, შევადაროთ 2021 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურას. ფინანსთა სამინისტროს მიერ მონოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ორივე წელს ხარჯების მთლიან მოცულობაში სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს ყველაზე მაღალი წილი აქვთ დათმობილი. თუ 2020 წელს პოცენტუალ გამოსახლებაში ბიუჯეტი ხარჯების 42,6%-ს წარმოადგენდა სოციალური უზრუნველყოფის სფეროზე განულები დანახარჯი, 2021 წლის პირველი კვარტლის ჯამური ანალიზის პერიოდისათვის გაზრდილია 47,4%-მდე. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურას ფუნქციონალურ ჭრილში, „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 350 898.9 ათასი ლარით (დამტკიცებული გეგმის 100.2%), საკასო შესრულებამ შეადგინა 5 343 171.8 ათასი ლარი. აქედან: მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაზე მიიმართა 2 246 680.2 ათასი ლარი, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მიიმართა 957 227.3 ათასი ლარი, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებაზე- 792 602.6 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამებზე - 281 023.7 ათასი ლარი, ხოლო დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 211 000.0 ათასი ლარი.

პანდემიამდე არსებული მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ფონზეც კი აქტუალური რჩებოდა მოსახლეობის სოციალური დაცვის აუცილებლობის საკითხი, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში კი სრულად ვერ იქნა აღმოფხვრილი სიღარიბის მაჩვენებელი. შესაბამისად სახელმწიფოთა სოციალური პოლიტიკის ძირითად ამოცანას მძლავრ სა-

კანომდებლო და ნორმატიულ ბაზაზე დაფუძნებული იმ მექანიზმების ერთობლიობა წარმოადგენს, რომელიც სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესების უზრუნველყოფას განახორციელებს. შესაბამისად, პროცესების სათანადოდ წარმართვის შედეგად საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ქმედითუნარიანი და მოქნილი სოციალური სისტემა, რომელიც მოახდენს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მინიმალურ სტანდარტების მიღწევას, აღნიშნული სისტემა თანხვედრაში უნდა იყოს ევროკავშირის სოციალურ სისტემასთან, რომელთან ინტეგრირებაც, სხვა მრავალი სფეროს ინტეგრაციის კვალდაკვალ, ჩვენი სამომავლო განვითარებისათვის მეტად საჭირობოროტო საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. „პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში“ კონფერენცია „ეკონომიკა – XXI საუკუნე“ 2020წ.
2. გელიტაშვილი ნ. „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“ . თბილისი, 2011.
3. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. ნიგნი I. თბ. «უნივერსალი». 2008
4. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. ნიგნი II. თბ. «უნივერსალი». 2012
5. გოგობია მ. მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმის სრულყოფისათვის ეკონომიკის რეფორმირების პირობებში. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა. #6. 2005.
6. პაპავა ვლ. «ეკონომიკური რეფორმის ქართული მოდელი: «შოკური თერაპიიდან» _ სოციალურ სტიმულირებამდე». გაზ. «ეკონომიკური რევიუ». ივლისი. #4. 1995.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <http://mof.ge>
9. სოციალური მომსახურების სააგენტო <http://ssa.gov.ge>
10. Organisation for Economic Co-operation and Development www.oecd.org
11. World Health Organization www.who.int
12. Worldometer - real time world statistics www.worldometers.info

⁵ აბესაძე რ. „პანდემიის ეკონომიკური, სოციალური და ჰუმანიტარული ასპექტები მსოფლიოსა და საქართველოში“ კონფერენცია „ეკონომიკა – XXI საუკუნე“ 2020წ.

თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც საინვესტიციო ნაკადების მოზიდვის მნიშვნელოვანი საშუალებაა

ნინო ბენდიანიშვილი
სტუდენტ-დოქტორანტი

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალდაკვალ საერთაშორისო დაბეგვრის საკითხები, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საინვესტიციო ნაკადების მსოფლიო დინამიკაში. იმ ქვეყნებს შორის, რომელთათვისაც პირდაპირ უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა, წარმოიშვა ერთგვარი კონკურენცია – ხელსაყრელი საგადასახადო გარემოს შეთავაზების მხრივ. რამაც თავისი ასახვა პოვა საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების მნიშვნელობისა და რიცხოვნობის ზრდაში. მკვლევარებსა და მეცნიერებს შორის წარმოიშვა დისკუსია იმის, თაობაზე თუ რამდენად ეფექტური იყოს ეს შეღავათები უცხოურ ინვესტიციითა მოსაზიდად, რა წონა ენიჭებოდათ მათ სხვა საინვესტიციო ფაქტორებთან შედარებით.

ამჟამად მსოფლიოში არსებობს რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ე.წ. ტიპური ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოდელები. ამ მოდელებს სათავე დაუდო ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა კონვენციამ; აგრეთვე, არსებობს აშშ-ს მოდელი.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო ნაკადები, საერთაშორისო დაბეგვრა, საინვესტიციო პოლიტიკა, ორმაგი დაბეგვრა.

MODERN TAX POLICY AS AN IMPORTANT MEANS OF ATTRACTING INVESTMENT FLOWS

Nino bendianishvili
PhD student of GTU

RESUME

In the wake of the globalization of the world economy, international taxation has become an important factor in the global dynamics of investment flows. Among the countries for which foreign direct investment is an important source of economic growth, a kind of competition has arisen - in terms of offering a favorable tax environment. Which was reflected in the growing importance and number of international tax agreements. There has been a debate among researchers and scholars as to how effective these benefits are in attracting foreign investment, how much weight they have been given compared to other investment factors.

Currently in the world there are so-called devel-

oped by a number of international organizations. Typical double taxation agreements including the Organization for Economic Cooperation and Development and the United Nations models. These models were based on a convention developed by the League of Nations; There is also the US model.

Keywords: Investment flows, International taxation, Investment policy, Double taxation.

საგადასახადო შეთანხმების უპირატესობები როგორც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებისთვის, ასევე გადასახადის გადამხდელთათვის არის ის, რომ აუმჯობესებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, ხელს უწყობს საგადასახადო გარემოს სტაბილურობას და ქვეყნის ბიზნეს საქმიანობის სუბიექტებს საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაში. გადასახადები უნდა იყოს მცირე და კორპორაციებს უნდა მიენიჭოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. ხოლო მაღალი განაკვეთები შეამცირებს სამენარმეო აქტიურობას, საინვესტიციო პოლიტიკას და დაინცება ეკონომიკური ვარდნა.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ტიპური ვარიანტების შემუშავებისთანავე მათი მიზანი იყო ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა. ამ პრობლემის გადაჭრა მდგომარეობს შემოსავლის მხოლოდ ერთხელ დაბეგვრაში, რასაც მიყვავართ ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებების განაწილებამდე. ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების ვარიანტი 1963 წელს ასახავდა ამავე ორგანიზაციის წევრების ინტერესებს. იგი ანიჭებს დაბეგვრის უპირატეს უფლებას რეზიდენტ ქვეყნებს, როგორც ერთა ლიგის ლონდონის ვარიანტი.

ასე, რომ სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მოდელი არის: მოდელი, რომელსაც ქვეყნებს შორის რეალურად ხელმონერი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები შეიძლება დაეყრდნოს; ის არის სანყისი ვარიანტი ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმოებისას; მოდელი არ არის სავალდებულო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისთვისაც (მაგრამ მისი ავტორები ცდილობენ მის გავრცელებას, რაც შეიძლება მეტ ქვეყანაზე), მოდელის კომენტარების მიხედვით, ბევრი მუხლი შესაძლოა სხვაგვარად იყოს განმარტებული ქვეყნის შიდა კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

„ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ

შეთანხმებების” მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს მიერ გაფორმებულ შეთანხმებათა ტექსტები ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოდელს და განსაზღვრავს ქვეყნებს შორის დაბეგვრის პრინციპებს.

კერძოდ, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მეორე ქვეყანაში განეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც ის იქნა მიღებული ან რეზიდენტობის ქვეყანაში. შემოსავლის წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის შემთხვევაში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით რეზიდენტი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, გადასახადის გადამხდელს ჩაუთვალოს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადი. შეთანხმების მთავარი მიზანია ასევე გადასახადების გადაუხდელობისაგან თავის არიდება, რაც მიიღწევა საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით.

ამჟამად, „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება“ ძალაშია 56 ქვეყანასთან. საქართველოს მიერ გაფორმებული და ძალაში შესული 56 შეთანხმებიდან მრავალმხრივი საგადასახადო კონვენციით გათვალისწინებული ნორმები გავრცელდება 34 შეთანხმებაზე. 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა მრავალმხრივი საგადასახადო კონვენციის ტექსტი და აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმებისა და პოზიციების შესახებ დოკუმენტი. აღნიშნული საგადასახადო რეგულირება კი აისახება **საინვესტიციო ნაკადებზე**.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესი დადგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N633 ბრძანებით. [1] 2016 წლის 14 ივნისს საქართველო მიუერთდა BEPS-ის ინკლუზიურ პლატფორმას ასოცირებული წევრის სტატუსით, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს ქ. კიოტოში (იაპონია) BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის პირველი შეხვედრაზე დამტკიცდა ინკლუზიური პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის (Steering group) შემადგენლობა, რომელშიც საქართველოს სახელით არჩეულ იქნა საქართველო. [2]

2018 წელს „დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის“ (BEPS) ინკლუზიურ პლატფორმასთან მიერთებიდან გამომდინარე, წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დანერგა, საზიანო საგადასახადო პრაქტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის სავალდებულო გაცვლის მექანიზმი.

მსოფლიოში რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დინამიკის მიხედვით, ჯამ-

ში 3000 არის გაფორმებული. [3] ყველაზე მნიშვნელოვანია “ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის მიერ (OECD - Organisation for Economic Co-operation and Development) ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შემუშავებული მოდელი. იგი ემყარება მთავარ ფაქტორს - რეზიდენტობას. ორგანიზაციას 21 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი დირექტორი ჰყავს. განვივრინებულია 36 ქვეყანა. შეიქმნა 1960 წლის 14 დეკემბერს. საერთო წლიური გადასახადების წილი ქვეყნების მშპ-ში ECD - ის მიხედვით 2018 წ.(%) საფრანგეთ სუფიქსირდება ყველაზე დიდი ოდენობით - 46.1%. [4]

Paying Taxes არის მსოფლიო ბანკისა და PwC-ის (PricewaterhouseCoopers) ერთობლივი კვლევა, რომელიც ყოველწლიურად გამოიცემა. 2016 წლის გამოცემა ეყრდნობა 2014 წლის მონაცემებს და მსოფლიოს მასშტაბით მოიცავს 189 ეკონომიკის საგადასახადო სისტემას. გადასახადის გადახდის სიმარტივით საქართველო მე-40 ადგილს იკავებს. საგადასახადო სისტემის შეფასება ხდება 3 კრიტერიუმის მიხედვით. ამიტომ საქართველომ საჭიროა გაითვალისწინოს და დანერგოს ამ კრიტერიუმების შესაბამისი აქტუალური მიდგომები, როგორცაა გადასახადის უფრო გამარტივება, ასევე გადახდისათვის საჭირო დროის შემცირება და სხვა. [5]

საერთო ჯამში, გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ არის რიგი გვერდითი ეფექტები. მაგალითად ტრანსნაციონალურ სანარმოებს, მაქსიმალური მოგების მისაღწევად, შეუძლიათ გამოიყენონ შიდა კანონმდებლობის პირობები და საგადასახადო ხელშეკრულება, თავიდან აიცილონ გადასახადები როგორც წარმოშობის ქვეყნიდან, ასევე საცხოვრებელი ადგილიდან ლეგალურად და მიაღწიონ ორმაგ გათავისუფლებას. ეს მნიშვნელოვანი საკითხია როგორც საშინაო პოლიტიკის, ასევე საერთაშორისო წესრიგისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://mof.ge/5127> [უკანასკნელად გადამოწმდა 09.05.21]
2. <https://mof.ge/5131> [უკანასკნელად გადამოწმდა 10.05.21]
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კომისია, World Investment Report, 2008, 2013, 2015; The effect of treaties on foreign direct investment , sauvant , Karl P. Sachs Lisa E, Oxford University Press 2009 p XXIV
4. <https://europeansting.com/2019/12/05/tax-revenues-have-reached-a-plateau/> [უკანასკნელად გადამოწმდა 08.05.21]
5. გადასახადები საქართველო და მსოფლიო, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ივნისი, 2016. <https://bag.ge/file.helix?i=25e4d444-6e0e-494a-b112-2fe097d-7c91e&r=P> [უკანასკნელად გადამოწმდა 09.05.21]

მინის ფერდობის მდგრადობის ამაღლებელი ახალი ტიპის სეისმომედეგი კონსტრუქციები

შახი ბაკანიძე
სტუ-ს პროფესორი

ბექა სურგულაძე
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

შემოთავაზებულია ბუნებრივი კალთების და მინის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის ამაღლებელი ახალი ტიპის სეისმომედეგი კონსტრუქციის აღწერა.

საკვანძო სიტყვები: გრუნტების მდგრადობა, გრუნტული ანკერი, დრეკადი კვანძი, სეისმური ძალები.

NEW TYPE OF SEISMIC STRUCTURES TO INCREASE THE RESILIENCE OF LAND SLOPES

Shakhi Bakanidze - Professor of GTU
Beqa Surguladze - Professor of GTU

SUMMARY

A description of a new type of seismic construction that enhances the resilience of natural slopes and landfills.

Keywords: Ground resistance, ground anchor, elastic node, seismic forces.

შესავალი

ბუნებრივი კალთების და მინის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის ასაზღაურებლად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, იყენებენ კონსტრუქციულ სისტემებს (საყრდენი კედლები, გრუნტული ანკერები, შპუნტები, ხიმინჯები, მემბრანები და სხვა).

სეისმურ რეგიონებში მშენებლობისას მიზანშეწონილია ზემოაღნიშნული კონსტრუქციები იყოს სეისმომედეგი. ამ მიმართულებით მთელს მსოფლიოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა. სხვადასხვა ქვეყნებში დამუშავებულია ზემოაღნიშნული დანიშნულების ამაღლებელი სეისმომედეგობის მქონე კონსტრუქციული სისტემები, რომლებშიც სხვა კონსტრუქციულ ელემენტებთან ერთად, ხშირად გამოყენებულია გრუნტული ანკერები [1,2].

წინამდებარე ნაშრომში, საყრდენი კედლის მაგალითზე, განხილულია ავტორების მიერ დამუშავებული ახალი ტიპის სეისმომედეგი კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომელიც დაფუძნებულია ფერდოს მდგრადობის ამაღლებელ კონსტრუქციაზე გრუნტული ანკერის დრეკად მიერთებაზე და კონსტრუქცია და მის საძირკველს შორის სეისმოიზოლატორების განთავსებაზე.

ძირითადი ნაწილი

გამოგონება განეკუთვნება მშენებლობას, კერძოდ, ბუნებრივი კალთებისა და მინის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფა ახალი ტიპის სეისმომედეგი კონსტრუქციულ სისტემებს (გრუნტულანკერებიანი საყრდენი კედლები, ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, შპუნტები, მემბრანები და სხვა) [3,4].

გამოგონების ტექნიკური შედეგია მასალის ხარჯისა და შრომატევადობის შემცირება, კონსტრუქციის ზიდვის უნარის და სეისმომედეგობის ამაღლება და ექსპლუატაციის დროს მისი საიმედოობის გაზრდა.

ტექნიკური შედეგი მიიღწევა იმით, რომ გრუნტული ანკერის მჭიმის საყრდენ კედელთან მიერთების კვანძი აღჭურვილია მადემფირებელი მოწყობილობით და საყრდენ კედელსა და საძირკველს შორის განთავსებულია ანტისეისმური იზოლატორები.

გამოგონება წარმოდგენილია 5 ფიგურით:

ფიგ. 1 - მენყერშემაკავებელი კონსტრუქციის ვერტიკალური ქრილი;

ფიგ. 2 - ხედი I-I- ფიგ.1-ზე;

ფიგ. 3 - გრუნტული ანკერის მჭიმის საყრდენ კედელთან მიერთების კვანძი „ა“;


ფიგ. 4 - კვეთი „ა-ა“ ფიგ.3-ზე; ფიგ. 5 - ხედი „ბ-ბ“ ფიგ.3-ზე.

მენყერშემაკავებელი კონსტრუქციის მოწყობა და წინასწარი დაძაბვა წარმოებს შემდეგნაირად: რკინაბეტონის საძირკველზე 13, წინასწარ განსაზღვრული ბიჯით განთავსებენ ანტისეისმურ იზოლატორებს 14. მათ შორის სივრცეს ავსებენ მადემფირებელი მასალით (ქვიშა, ხრეში და ა.შ.). მის ზედაპირზე ავსებენ რკინაბეტონის საყრდენ კედელს 2. მასზე ასრულებენ ნახვრეტებს და მათში ამონტაჟებენ მილოვან მიმმართველებს 10, რომლებშიც ატარებენ ფოლადის ღეროს 3, რომელსაც ბოლოებზე აქვს ნახვრეტები 4, ხოლო, კედლის საპირე მხარეს მდებარე ბოლოზე - ხრახნიც 5, მეორე ბოლოზე კი დამაგრებულია გრუნტული ანკერის მჭიმი 1. ხრახნიან ბოლოზე განთავსებენ (ჩამოაცვამენ მასზე) ხვეულ 6 და თეფშა 7 ზამბარებს და ქანჩს 12, . თეფშა ზამბარას 7 საყრდენ კედელზე 2 ამაგრებენ ქანჭიკებით 11, სისტემის აწყობის შემდეგ საყრდენი კედლის 2 საპირე მხარეს განთავსებულ ბოლოზე არსებული ნახვრეტის 4 და დომკრატის გამოყენებით ხორციელდება გრუნტული ანკერის წინასწარი


დაძაბვა და დაფიქსირება ქანჩით 12.

ბუნებრივი კალთების და მიწის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის უზრუნველყოფი ახალი ტიპის სეისმომდეგი კონსტრუქციების შემოთავაზებული ტექნიკური გადანყვეტის უპირატესობა არსებულ ხერხებთან შედარებით განპირობებულია იმით, რომ შემოთავაზებულ კონსტრუქციულ გადანყვეტაში უზრუნველყოფილია გრუნტული ანკერის დრეკადი მიმაგრება გრუნტის შემაკავებელ

კონსტრუქციასთან (საყრდენი კედლები, ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, შპუნტები, მემბრანები და სხვ.) შემოთავაზებული მადემფირებელი მონყობილობის გამოყენებით, რაც იწვევს სეისმური ზემოქმედებისას კონსტრუქციაზე მოქმედი ინერციული ძალების მნიშვნელოვან შემცირებას. ყოველივე ეს ამცირებს მასალის ხარჯს და მშენებლობის ხანგრძლივობას, ამალღებს კონსტრუქციის ზიდვის უნარს და ექსპლუატაციის დროს მის საიმედოობას.



ფიგ. 1




ფიგ. 2

დასკვნა


მიზანშეწონილია, რომ სეისმურად აქტიურ რეგიონებში მშენებლობისას, ბუნებრივი კალთების და მიწის ნაგებობების ფერდობის მდგრადობის ამამაღლებელ კონსტრუქციულ სისტემებს, ისევე, როგორც ყველა სხვა დანიშნულების კონსტრუქციებს, გააჩნიათ გარკვეული სეისმომედეგობა.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. შ. ბაქანიძე, ნ. ნებიერიძე, თ. არუნაშვილი, ლ. სამხარაძე. ტრადიციული საყრდენი კედლების მიმოხილვა სეისმომედეგობის თვალსაზრისით, ჟურნალი "მშენებლობა", №3 (52), 2019, გვ.4.
2. შ. ბაქანიძე, ბ. სურგულაძე, თ. არუნაშვილი. სეისმომედეგი მენყერშემაკავებელი კონსტრუქცია. პატენტი გამოგონებაზე P2020 7/9/, 2020, გვ.9
3. Проектирование и устройство буринъекционных анкеров и свай.Справочное пособие П18-04 к СНБ 5.01.01-99. Минск, Минстройархитектура Республики Беларусь, 2002 г.
4. Устройство грунтовых анкеров, нагелей и микросвай. СТО НОСТРОЙ 2.5.126-2013. М, 2016, с 228.



ფიგ. 3



ფიგ. 4



ფიგ. 5

ინტეგრალური რესურსების სტრუქტურისა და კლასიფიკაციის საკითხისათვის

გივი თალაკვაძე

ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი
ანალიტიკისა და პროგნოსტიკის ცენტრის ხელმძღვანელი

FOR THE ISSUE OF THE STRUCTURE AND CLASSIFICATION OF INTEGRATED RESOURCES

Givi Talakvadze
Doctor of Physics and Mathematics

RESUME

The division of integral resources into only material, human and natural resources, although the relevance and role of each of them has not changed - can no longer fully reflect the diversity of resources and all aspects of their management and rational use. The nature and peculiarities of global development require the so-called "Partial resources" identification and adequate reflection of integral resources in the whole structure. The development of mankind has taken on a pronounced anisotropic character, which may lead to new conflicts, racism, segregation, the collapse of democratic institutions. In these conditions, special attention and efforts are needed for each country only to formulate and implement the most concretized action plan for the development of benefits to it.

The key issue of such programs is to determine the development priorities of the country and to develop optimal schemes and regimes for the use of integrated resources ensuring their implementation.

საკვანძო სიყვებო: ინტეგრალური რესურსები; პარციალური რესურსები; მდგრადი განვითარება; საექსპორტო პოტენციალი; გლობალური ტრენდები; რესურსმცოდნეობა.

* * * *

თანამედროვე ადამიანის არსებობისა და განვითარების თითქმის ათათასწლიანი ისტორია არის რესურსებისათვის ბრძოლის ისტორია, თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში თავად რესურსების

ცნებას, მათ როლსა და ადგილს კაცობრიობის განვითარების პროცესში ერთგვარად, დამხმარე, არაძირითადი ხასიათი ენიჭებოდა.

XX და განსაკუთრებით XXI საუკუნეების მთელმა რიგმა „დაუგეგმავმა“, ტურბულენტურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა და შესაბამისმა სოციალურმა შედეგებმა გამოიწვიეს გლობალური განვითარების ახალი, სწორედ სარესურსო არსის მქონე პარადიგმის ჩამოყალიბება, რამაც სარესურსო პოლიტიკის რადიკალური გადახედვისა და დაკორექტირების აუცილებლობა მოითხოვა.

ინტეგრალური რესურსების დაყოფა მხოლოდ მატერიალურ, ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებად, იმის მიუხედავად, რომ ყოველი მათგანის აქტუალობა და როლი არ შეცვლილა, სრულად ვეღარ ასახავს რესურსების მრავალფეროვნებასა და მათი მართვისა და რაციონალური გამოყენების ყველა ასპექტს. გლობალური განვითარების ხასიათი და თავისებურებები მოითხოვს ე.წ. **პარციალური რესურსების (ნახ. 1)** იდენტიფიცირებასა და ინტეგრალური რესურსების ზოგად სტრუქტურაში მათ ადეკვატურ ასახვას.

პარციალურ რესურსებს შორის სადღეისოდ წამყვან პოზიციებს იკავებენ ინოვაციური, საინვესტიციო, გეოსტრატეგიული, პოლიტიკური, გავლენის, ადამიანის ქცევითი, ადაპტაციური, სარეაბილიტაციო-სამკურნალო და სხვა, გამოყენებადობის მაღალი ხარისხისა და მზარდი აქტუალობის რესურსები. ახალ შინაარსსა და ფუნქციებს იძენს საინფორმაციო, ენერგეტიკული, კომუნიკაციური, წყლისა და სურსათის, კლიმატური, ვიტალური რესურსები.

მხოლოდ მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე იწყება იმის აღიარება, რომ კაცობრიობის აწმყო და მომავალი ინტეგრალური რესურსების არა მარტო ფლობასა, არამედ და უმთავრესად მათი რაციონ-

პარციალური რესურსები

I II III IV V VI VII VIII IX X XI XII XIII

I. საინფორმაციო-ანალიტიკური
II. კომუნიკაციური
III. საინვესტიციო
IV. გეოსტრატეგიული
V. მართვის ოპტიმიზაციის
VI. a
VII. ისტორიულ-კულტურული

VIII. რელიგიური
IX. გენეტიკური
X. მსოფლხედვითი
XI. საცხოვრისის
XII. ინოვაციური
XIII. ადაპტაციის
XIV. გავლენის

ნახ.1

ალური გამოყენებისა და ოპტიმალური მართვის სისტემების ეფექტიანობაზეა დამოკიდებული.

დღეს მსოფლიოს ყურადღება კონცენტრირებულია პანდემია კოვიდ-19-ის თემაზე, რომელიც, როგორც ჩანს ერთ-ერთი მორიგი (და ჯერ კიდევ არა ყველაზე მწვავე) ეპიდემიაა კაცობრიობის დაკვირვებად ისტორიაში. მიუხედავად მისი გლობალურ რეალებზე, მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყნისა და თითქმის 8 მილიარდს მიღწეული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაზე მართლაც რომ უპრეცედენტო ნეგატიური გავლენისა, რჩება შთაბეჭდილება და გონიერი ეჭვი, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, მოხდა ამ თემის ჰიპერბოლიზაცია გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გლობალური პროცესების და მოვლენების შენიღბვის მიზნით.

რა პროცესებზეა საუბარი?

- წარმოების კაპიტალისტური სისტემის უპრეცედენტო კრიზისი და სავარაუდოდ, მისი არსებობის საბოლოო ფაზაში შესვლა.

- დერივატივების და სახელმწიფოთა ურთიერთვალდებულებების მოცულობის გლობალურ მშპ-სთან შედარებით თითქმის 3-ჯერადი ზრდა.

- შეუქცევადი ეკოლოგიური და კლიმატური პროცესები.

- მთავარი საერთაშორისო სტრუქტურების უზუნარობა ძირითად მასშტაბურ პროცესებზე გავლენის მოხდენისა.

- ახალი, მძლავრი ტრანსნაციონალური კონგლომერატების გაჩენა და გაძლიერება (FAGMA, IC&V და სხვ.).

- დაუფარავი პრაგმატიზმის და მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული მსოფლხედვის უალტერნატივო გაბატონება.

- განვითარების პარადოქსის“ გამოვლენა ცხოვრების უმეტეს სფეროებში (ხელოვნური ინტელექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანო-ტექნოლოგიები და სხვ.).

- მსოფლიოს მოსახლეობის „ბიოლოგიურ პოპულაციად“ ტრანსფორმაციის პროცესის სანყისი სტადია.

- „მართვადი ადამიანის“ თეორიები - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კლასიკური სისტემების სანინაალმდეგო შინაარსით და ა.შ.

კაცობრიობის განვითარებამ მკაფიოდ გამოხატული ანიზოტროპიული ხასიათი მიიღო, რაც ახალი კონფლიქტების, რასიზმის, სეგრეგაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების კრახის მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება და ძალისხმევაა საჭირო ყოველი ქვეყნისათვის მხოლოდ მისთვის გამოსადეგი განვითარების მაქსიმალურად კონკრეტიზირებულ მოქმედებათა პროგრამის ჩამოყალიბებასა და რეალიზაციისათვის.

ასეთი პროგრამების საკვანძო საკითხია ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები განსაზღვრა და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფელი ინტეგრირებული რესურსების მართვისა და გამოყენების ოპტიმალური სქემებისა და რეჟიმების შემუშავება.

დღეს მსოფლიოში 253 ქვეყანაა, მათ შორის გაეროს წევრი 198, ნაწილობრივ აღიარებული - 32, არ აღიარებული - 23. ყოველი მათგანისათვის, განურჩევლად მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის, პოლიტიკური წყობის - ძირითად პრიორიტეტებს სწორედ ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

წარმატებას ის ქვეყნები მიაღწევენ, რომლებიც შეძლებენ თავისი მიზნებისა და სურვილების და საკუთარ შესაძლებლობათა და უნარების დაბალანსებას, ანუ მდგრადი განვითარებისათვის პირობების ჩამოყალიბებას, რაც ბევრად არის დამოკიდებული მათი ინტეგრალური რესურსების სტრუქტურასა და მახასიათებლებზე.


რესურსების ტრადიციული კლასიფიკაციები ნლების განმავლობაში უცვლელია. ხდება მხოლოდ ზოგიერთი რესურსის დასახელების კორექტირება და შინაარსის დაზუსტება

მაგრამ დრომ, კაცობრიობის განვითარების ხასიათმა, სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა, უძლიერესმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ძვრებმა დღის წესრიგში დააყენა ასეთი კლასიფიკაციების დაზუსტების, გაფართოების, შინაარსობრივი კონკრეტიზაციისა და რაც მთავარია - **რესურსების მრავალსახა თვისებებისა და პარამეტრების მიხედვით რანჟირების აუცილებლობა.**

ზოგიერთი რესურსის ცნება და შინაარსი იმდენად გაფართოვდა (მაგალითად ინფორმაციული რესურსებისა), რომლებიც ვეღარ თავსდებიან ეკონომიკური რესურსების „ქვერესურსის“ ჩარჩოებში. ასეთივე მდგომარეობაშია ადამიანურ რესურსებში ტრადიციულად ნაგულისხმევი ინტელექტუალური რესურსები, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ხელოვნური ინტელექტის განვითარების (უკვე მიღებული შედეგების გათვალისწინებით) თუნდაც მიმდინარე სტადიაზე.

ამავე დროს, აუცილებელი გახდა ისეთ რესურსებზე დეტალური მსჯელობა და შესაბამისი კვლევების ჩატარება, როგორც არის გენეტიკური, ისტორიულ-კულტურული, რელიგიური, ზემოთ ნახსენები ადაპტაციური, ქცევითი და სხვა რესურსები, რომლებიც არსებობენ, ვითარდებიან, ამყარებენ სინერგიულ ურთიერთობებს ერთმანეთთან სხვა სახის რესურსებთან და ყოველნაირი მცდელობა მათი ტრადიციულ სქემებსა და კლასიფიკაციებში „ქვერესურსებად“ წარმოდგენისა, კონტროლდუქტიულია თავისი არსით.

პარციალური რესურსებთან ერთად შესაძლოა რესურსების კიდევ ორი კატეგორიის - „აღიარებითი“ და „პრიორიტეტული“ რესურსების შემოღების მიზანშეწონილობაზეც გაიმართოს მსჯელობა (ნახ.2)



აღსანიშნავია, რომ რესურსების ტრადიციულ კლასიფიკაციებში შემავალი კატეგორიებისგან განსხვავებით, **პარციალური რესურსების** ნუსხა დინამიურ, მუდმივად შევსებად ხასიათს ატარებს და კაცობრიობის განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, მომავალშიც მოხდება რესურსების ამ ჯგუფის შემდგომი შევსება და გაფართოება. მაგალითად, პლანეტარული და კოსმოსური რესურსები, რომლებიც სადღეისოდ არა მარტო ნაკლებად არის შესწავლილი არამედ შეცნობილიც კი, საეჭვოა რომ ბუნებრივი რესურსების ქვერესურსებად იყოს განხილული, რადგან ამ უკანასკნელში, რაც ალბათ გამართლებულია კიდევ, დედამიწის ბუნებრივი რესურსები იგულისხმება.

ამჟამად სტუ-ს და საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში მეცნიერთა ჯგუფის მიერ მუშავდება უნივერსალური საგანმანათლებლო კურსი - „რესურსმცოდნეობა“, რომელიც განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის, საშუალო და პროფესიული განათლების სასწავლებლების მოსწავლეთათვის (ადაპტირებული ვერსია) და საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების მონაწილეთათვის, სადაც თითოეული სახე ინტეგრალური რესურსებისა, მათ შორის პარციალური რესურსების, დეტალურად იქნება განხილული.

ინტეგრალური რესურსების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ე.წ. **ვიტალური რესურსები**. განსაკუთრებული ყურადღება ვიტალური რესურსების მიმართ სრულიად ბუნებრივია, რადგან ისინი თითოეული ადამიანის ცხოვრების საფუძველს წარმოადგენენ.

ტრადიციულად მიღებულია ვიტალური რესურსების ასეთი სტრუქტურა: დრო, ენერჯია (ჯანმრთელობა), აქტივები (ქონება, ფული) და ცოდნა.

როგორც ვხედავთ, ვიტალური რესურსების ტრადიციულ ჩამონათვალში არ ფიგურირებს, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი რესურსი - **სივრცე**.

წინასწარ მინდა ვუპასუხო ჩემს პოტენციურ ოპონენტებს, რომლებიც შეენიხაღმდეგებიან „სივრცის“ ერთ-ერთ საბაზისო ვიტალურ რესურსად განხილვას. ამ საკითხზე უახლოეს დროში გამოქვეყნდება შესაბამისი კვლევა, სადაც იქნება მცდელობა სივრცის ვიტალურ რესურსად განხილვის სასარგებლოდ საკმარისი არგუმენტების წარმოჩენისა, ამჟამად კი მხოლოდ ერთ-ერთ ასეთ არგუმენტს (რაც, ხსენებული მომავალი ნაშრომის ერთგვარ ანონსადაც გამოდგება) მოვიყვანთ: **ისევე როგორც ყოველი ესა თუ ის მოვლენა ხორციელდება „როდესღაც“ და შეუძლებელია რომ ხორციელდებოდეს „არასდროს“, ასევე იგივე მოვლენა აუცილებლად ხორციელდება „სადაღაც“ და შეუძლებელია, რომ ის ხორციელდებოდეს „არსად“.**

2020 წლის დასაწყისიდან ვითარება საქართველოში უკიდურესად რთულდება. პანდემიის თემას რომ ავცდეთ, უნდა შევთანხმდეთ, რომ საქართველოს მდგომარეობა სტაბილურად მძიმე კი არ არის, არამედ სამწუხაროდ იკვეთება „არ გამოსწორების“ მკაფიო დინამიკა. ჩინეთის და რუსეთ-აზერბაიჯან-სომხეთის-თურქმენეთის მიერ განხორციელებული მოქმედებებით, საქართველომ არა მხოლოდ დაკარგა (იმედია, დროებით) სატრანსპორტო დერეფნის და ენერჯეტიკული ჰაბის ფუნქცია, რაც თავისთავად მის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ რესურსებს ძალზე ამცირებს, არამედ მისი საინვესტიციო მიმზიდველობამაც სერიოზული დანაკლისი განიცადა. ანუ საქართველო აღმოჩნდა (უკვე მერამდენედ) ერთგვარ გეოპოლიტიკურ ჩიხში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი ზოგადი განვითარების ჩიხშიც შესვლა. ამ დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იქნის ხელისუფლების არატრივი-

ალური, ოპერატიული და ქმედითი ნაბიჯები ინტეგრალური რესურსების ათვისებისა და ქვეყნისა და მისი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მათ გამოყენებაზე; უზარმაზარი (26 მლრდ \$) საგარეო ვალის გადახდის ან გადავადების გზების დასახვა (საგულისხმოა, რომ ამ თანხის 50% კომერციული ბანკების ვალებია), რომლის გასტუმრებაც ჩვენი ბანკების მევახშური პოლიტიკის გამო ისევ მოსახლეობას უწევს (სადეპოზიტო განაკვეთი 4%-დან შემცირდა 1%-მდე, ხოლო იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები 8-9%-დან გაიზარდა 16-21%-მდე).

ერთადერთი გამოსავალი არსებული მდგომარე-

ობიდან არის მკვეთრი შემობრუნება სამრეწველო დარგების აღორძინებისა და საექსპორტო პროდუქციის სტრუქტურის გამრავალფეროვნებასა და, რაც მთავარია, მისი მოცულობის არსებით ზრდაში.

ეს ამოცანა სავსებით რეალიზებადია, მაგრამ არა ცალკეული დარგებისა და ეკონომიკური მიმართულებების განვითარების პროგრამების შემუშავების გზით, არამედ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სრულყოფილი და თანამედროვე გლობალური პროცესების გამათვალისწინებელი კონცეფციისა და სამოქმედო პროგრამის ჩამოყალიბების საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ.თალაკვაძე - ინტეგრალური რესურსების მართვის ოპტიმიზაცია-მდგრადი განვითარების საფუძველი. სტუ რესურსების შემსწავლელი ცენტრის ვებ-გვერდის, 2021.
2. ნ.ჭითანავა. განსაცდელმა გააზრებული ნაბიჯების გადადგმა უნდა შეგვკავშირებინოს. iverioni.com.ge 27.03.2020.
3. გ.თალაკვაძე. „ქართველი ხალხი უკეთეს ანმყოს და მომავალს იმსახურებს“, „ინტერპრესნიუსი“ თვალსაზრისი, 2012.
4. გ.თალაკვაძე. მთავრობას უნდა შეეძლოს თამამად თქმა - ჩვენ ვიცით არა მხოლოდ ის, თუ რა უნდა გაკეთდეს საქართველოში, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა გაკეთდეს. „ინტერპრესნიუსი“. თვალსაზრისი, 2020.
5. Г. Талаквдзе, З. Ломсадзе, И. Арчвадзе, «Приоритеты и ресурсы Грузии: мифы, история, перспективы», «Экономика природопользования и устойчивое развитие», №8 (27), 2020, ИЭПУР АН Украины, Киев, 2020г.
6. Nacional Intelligence Counsel, “Global trends and Paradox of progress” www.dni.gov/nic/globaltrends. 2020.
7. გ.თალაკვაძე, 30 წელი, სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა, 74 გვ. „ნეკერი“, თბილისი, 2020.
8. გ. თალაკვაძე, პანდემია 2019 - გაკვეთილები და გამოწვევები, „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №3, გვ. 50-57, თბილისი, 2020.
9. G.Talakvдзе, SOCIAL, ECONOMIC AND IDEOLOGICAL CONSEQUENCES OF THE PANDEMIC COVID-19, Sciences of Europe, (Praha, Czech Republic), VOL 3, No 60, p.p. 19-44, 2020.

ბათუმის პორტში მიმდინარე დატვირთვა გადმოტვირთვის პროცესის ეფექტიანობის შეფასებელი პარამეტრები

თინათინ გეგენავა, გიორგი შანიძე
სტუ-ს დოქტორანტები

რევაზ ველიჯანაშვილი
სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

საზღვაო ტრანსპორტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განპირობებულია პორტების რიტმული დატვირთვის უზრუნველყოფით. სშირია შემთხვევები, როცა დატვირთვა-გადმოტვირთვის მოცულობა დროის მოკლე მონაკვეთებში სწრაფად იზრდება, ხოლო დროის უმეტეს მომენტებში პორტები თითქმის უფუნქციოა.

საზღვაო პორტების ეფექტიანობის შეფასებისათვის, საკითხის კვლევისადმი გამოკვეთილია ორმხრივი მიდგომა. სახელმწიფოს პოზიციებიდან ეფექტიანობას ვაფასებთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით და პორტებში დასაქმებულთა რიცხოვნობით.

საქართველოს პორტებში თითქმის არ გამოიყენება დაგეგმვისა და მართვის მეცნიერების უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული მეთოდები, შესაბამისად ნავმისადგომებში ტვირთების დამუშავება არარითმულ ხასიათს ატარებს, ამავე დროს იზრდება ტვირთნაკადების დამუშავების ღირებულებაც.

საზღვაო პორტებში ტვირთნაკადების მრავალსახეობაა, რაც ზრდის დატვირთვა გადმოტვირთვის მექანიზმების მუშა პროცესების ხანგრძლივობას, საქონლის სანაწობში მოთავსება ხორციელდება დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმებით, რომელთა მუშა პროცესების საიმედოობაზეა დამოკიდებული აღნიშნული სამუშაოების შესრულების ეფექტურობა. ყოველივე აღნიშნული დიდ გავლენას ახდენს პორტში მიმდინარე სამუშაო პროცესების ეფექტურობაზე.

საკვანძო სიტყვები: დატვირთვა/გადმოტვირთვა, გადაზიდვის თვითღირებულება, ეფექტურობა, ავტოდამტვირთველები, ამწე მანქანები, ტარიფი, გადაზიდვის სიჩქარე.

ОЦЕНОЧНЫЕ ПАРАМЕТРЫ ЭФФЕКТИВНОСТИ ТЕКУЩЕГО ПОГРУЗОЧНО-РАЗГРУЗОЧНОГО ПРОЦЕССА В ПОРТУ БАТУМИ

Тинатин Гегенава, докторант ГТУ
Георгий Шанидзе, докторант ГТУ
Реваз Велиджанашвили, профессор ГТУ

РЕЗЮМЕ

Эффективность морского транспорта в значительной степени обусловлена обеспечением ритмичной нагрузки портов. Часты случаи, когда объ-

ем погрузок и разгрузок быстро растет в короткие промежутки времени, а большую часть времени порты практически не функционируют.

Для оценки эффективности морских портов четко проявляется двусторонний подход к исследованию вопроса. С позиций государства эффективность оценивается объемом перевезенных грузов и численностью трудоустроенных в портах.

В портах Грузии практически не используются методы планирования и управления, основанные на новейших достижениях науки, соответственно обработка грузов на пристанях носит неритмичный характер, в то же время растет стоимость обработки грузопотоков.

В морских портах наблюдается многообразие грузопотоков, что повышает продолжительность рабочих процессов механизмов погрузки-разгрузки, размещение товара на складах осуществляется такими погрузочно-разгрузочными механизмами, от надежности рабочего процесса которых зависит эффективность выполнения указанных работ. Все вышеуказанное оказывает большое влияние на эффективность текущих рабочих процессов в порту.

Ключевые слова: погрузка/разгрузка, себестоимость перевозки, эффективность, автопогрузчики, подъемные машины, тариф, скорость перевозки.

ESTIMATION PARAMETERS OF CURRENT LOADING-AND-UNLOADING PROCESSES EFFICIENCY IN BATUMI PORT

Tinatın Gegenava, PhD student of GTU
Giorgi Shanidze, PhD student of GTU
Revaz Velijanashvili, Professor of GTU

ABSTRACT

Marine transport efficiency to a great extent is predetermined by provision of rhythmic load of the ports. There are frequent cases, when loading and unloading volume rapidly increases for a short time intervals, while most of the time ports are almost out of service.

In order to estimate the maritime ports efficiency a bilateral approach to the issue research is manifested. From governmental viewpoint the efficiency is assessed via volume of carried freights and number of persons employed in the ports.

Georgian ports virtually don't make use of the planning and management methods based on the newest scientific achievements, that's why handing of goods at harbors is of unrhythmic character, at the same time freight traffic processing cost permanently increases.

There are many kinds of traffic freights in the maritime ports that increases the duration of operating processes of loading-and-unloading mechanisms, goods warehousing is performed by such loading-and-unloading machines, the operating process reliability of which has an influence on execution of mentioned works. All the above-mentioned has a major impact on efficiency of current operating processes in the port.

Key words: loading/unloading, self-cost of shipping, efficiency, autoloader, hoisting machines, tariff, cargo transportation speed.

შესავალი

საზღვაო პორტების განვითარების და ორგანიზაციის საკითხები ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ყველაზე შეუსწავლელ საკითხადაა მიჩნეული მთელი მსოფლიოს მასშტაბით. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს საზღვაო პორტებზე, ამიტომ საქართველოს პორტებში თითქმის არ გამოიყენება დაგეგმვისა და მართვის მეცნიერების უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული მეთოდები, შესაბამისად ნავმისადგომებში ტვირთების დამუშავება არარითმულ ხასიათს ატარებს, ამავე დროს იზრდება ტვირთნაკადების დამუშავების ღირებულება.

საზღვაო პორტების ეფექტიანობის შეფასებისათვის, საკითხის კვლევისადმი გამოკვეთილია ორმხრივი მიდგომა. სახელმწიფოს პოზიციებიდან ეფექტიანობას ვაფასებთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით და პორტებში დასაქმებულთა რიცხვიანობით.

საზღვაო ტრანსპორტის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განპირობებულია პორტების რიტმული დატვირთვის უზრუნველყოფით. ხშირია შემთხვევები, როცა დატვირთვა-გადმოტვირთვის მოცულობა დროის მოკლე მონაკვეთებში სწრაფად იზრდება, ხოლო დროის უმეტეს მომენტებში პორტები თითქმის უფუნქციოდაა.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ეკონომიკაში საზღვაო ტრანსპორტს სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფოთის, ბათუმისა და ყულევის პორტები. მათი მეშვეობით საქართველოზე გამავალი ტრანზიტული ტვირთები გადაიზიდება, ვარნას, კონსტანცას, ნოვოროსისკის, ოდესისა და სტამბულის პორტების მიმართულებით.

ფოთის პორტი - საქართველოს პირველი ნავსადგურია. 1889-1905 წლებში ორჯერ მოხდა პორტის ფორმირება და დღეს ის TRACECA-ს უმნიშ-

ვნელოვანეს შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს. ამჟამად, ნავსადგური 2650 მეტრის სიგრძისაა და 14 ნავმისადგომს აერთიანებს. ტვირთის ტრანსპორტირებისთვის საჭირო პირობები მორგებულია, როგორც მშრალი, ისე თხევადი ტვირთების გადასაზიდად. ფოთის პორტში მშრალი და თხევადი ტვირთების ტვირთბრუნვა შეადგენს დაახლოებით - 600,000 TEU-ს, არსებული ნავმისადგომის მთლიანი სიგრძე 2,900 მეტრს შეადგენს, სადაც 20-ზე მეტი საპორტო ამნეა განლაგებული.

ბათუმის პორტი - ფოთის ნავსადგურის მსგავსად, ამუშავებს თხევად და მშრალ ტვირთებს, რომლის გამტარუნარიანობა დღეს 15 მლნ. ტონას შეადგენს და მისი 28 მლნ. ტონამდე გაზრდა მოსალოდნელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის საკონტინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 100 000 TEU-ს შეადგენს. მშრალი ტვირთების ტერმინალის მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 2,0 მილიონი ტონაა. ბათუმის ნავთობტერმინალი ყაზახეთის პირველი სტრატეგიული კაპიტალდაბანდება შავ ზღვაზე. ტერმინალი უზრუნველყოფს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატვირთვის მომსახურებას ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან, რომელთა დაცლა თანამედროვე სარკინიგზო ესტაკადებზე ხორციელდება. ნავთობტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 15 მლნ. ტონამდე ნავთობს შეადგენს. ბათუმის ნავთობტერმინალზე მოქმედებს 7 ნავთობ ჩამოსასხმელი სარკინიგზო ესტაკადა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ერთდროულად 194 ვაგონ-ცისტერნის ან დღე-ღამეში 770-ზე მეტი ვაგონ-ცისტერნის დაცლა.

ყულევის საზღვაო ტერმინალის - გამტარუნარიანობა წელიწადში 10 მლნ. ტონამდე ნავთობპროდუქტის გადატვირთვის საშუალებას იძლევა, აქედან: 3 მლნ. ტონა ნავთობის, 3 მლნ. ტონა დიზელისა და 4 მლნ. ტონა მავუთის. სარეზერვუარო პარკის მთლიანი მოცულობა 320 ათასი კუბური მეტრია, 380 ათას ტონამდე გაზრდის პოტენციალით.


საზღვაო პორტებში ტვირთნაკადების მრავალსახეობაა, რაც ზრდის დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმების მუშა პროცესების ხანგრძლივობას, მოცდენის დროის ნაწილი დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზმებზე მოდის. მნიშვნელოვანია ჩატარდეს დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესში მონაწილე მექანიზმების მუშა პროცესების კვლევა, რათა გაუმჯობესდეს, ლოგისტიკურ ჯაჭვებს შორის კავშირი. კვლევების ჩატარება მიმდინარეობს ბათუმისა და ფოთის პორტში (ნახ. 1).

საზღვაო ნავსადგურებში გადასატვირთი პროცესების ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს გადასატვირთი კომპლექსები, რომლის ძირითადი ელემენტებია:

1. ტექნოლოგიური - ნავმისადგომი, საწყობები, გადასატვირთი მოწყობილობები და მისასვლელი გზები;


საზღვაო ნავსადგურებში და საზღვაო ტერმინალებში
გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა (ჯამური)

ნახ.1



საზღვაო ნავსადგურებში და საზღვაო ტერმინალებში გადამუშავებული
ტვირთების რაოდენობა

ნახ.2



2. უზრუნველყოფი-წყალსადენი ელექტროქსელი, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვა.

გადასატვირთი კომპლექსის სასაწყობო სათავსოების ტვირთტევადობა 2-3-ჯერ აღემატება გემიდან გამოსატვირთი პარტიის მასას (ნახ 2).

საზღვაო პორტებში სამუშაო პროცესების (ტვირთნაკადების დამუშავების, დატვირთვა-გადმოტვირთის, ტვირთების დასაწყობების, და სხვა), ეფექტიანობის შეფასებისათვის, საკითხის კვლევისადმი გამოკვეთილია ორმხრივი მიდგომა. სახელმწიფოს პოზიციებიდან ეფექტიანობას ვაფასებთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით და პორტებში დასაქმებულთა რიცხოვნობით. ხოლო პორტების, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა შეფასებულია ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებითა და ინვეს-

ტიციების განხორციელების შედეგებით. ტვირთის შენახვის საშუალო ვადა 2-3 ჯერ აღემატება გემის დატვირთვა-განტვირთვის ხანგრძლივობას.

გადასატვირთ მოწყობილობებს მიეკუთვნება:

1. გადასატვირთი მანქანები (პორტალური ამწეები, ხიდური გადამტვირთავები, საავტომობილო მუხლუხებიანი ამწეები, სხვადასხვა მოდიფიკაციის მტვირთავები, ტრანსპორტიორები, პნევმატური გადამტვირთავები და სხვა);

2. ტვირთისაბმელი მოწყობილობები (გრეიფერები, ქვესადგურები, ბადეები, სტროპები); 3. დამხმარე მოწყობილობები;

გადასატვირთი მოწყობილობები (სანაპირო, მცურავი, რაციონალური და მოძრავი გადასატვირთი მანქანები). ისინი განკუთვნილია დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოების მექანიზაციისათვის.

ყოველგვარი გადასატვირთი პროცესი შედგება სამი ძირითადი ოპერაციისაგან:

1. ტვირთის ჩაჭიდება სანყის მდგომარეობაში;
2. მისი გადაადგილება;
3. დაწყობა საბოლოო მდგომარეობაში.

თითოეული ამ ოპერაციებისაგან და მთელი გადასატვირთი პროცესი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ხერხებით და საშუალებებით.

დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები მკვეთრად იზრდება თუ ტვირთის გადაზიდვაში მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა სახის ტრანსპორტი. ხშირად ამ ოპერაციების რიცხვი აღწევს 10-დან 16-მდე. ამ დროს იზრდება გადაზიდვების თვითღირებულება და დრო.

რომ შემცირდეს გადაზიდვების თვითღირებულება აუცილებელია შემცირდეს გადაზიდვების ოპერაციების რიცხვი და აღიკვეთოს ხელით შრომა. გამოყენებული იქნეს ეფექტური მანქანები და ამწეები.

საერთო დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები შედგება ძირითადი და დამხმარე ოპერაციებისგან. ძირითადს მიეკუთვნება სამუშაოები, რომლებიც შედიან ტვირთის აწევის ან გადაზიდვის პროცესში. მაგ: ტვირთის ჩაბმა და აწევა, გადაადგილება და დაწყობა შტაბელებად, შტაბელების აღება და სატრა-ნსპორტო საშუალებებზე მინოდება და ა.შ. დამხმარე სამუშაოები, რომლებიც არ შედიან ტვირთის გადაზიდვის ოპერაციებში.

სანდობის მიღწეული დონის შეფასება და მისი გაზრდის აუცილებლობა უნდა გადაწყდეს ეკონომიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით მაღალი დონის სატვირთო ხარისხისა და საიმედოობის მისაღწევი ხარჯები შეიძლება იმდენად მაღალი იყოს, რომ გაზრდილი საიმედოობის სარგებელი მათ არ ანაზღაუროს. ამიტომ, მტვირთავიდან უშუალოდ მუშაობის ალბათობის უფრო ზუსტი კრიტერიუმი იქნება სამუშაო დრო, რომელიც ნაპოვნია ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

დატვირთვა-გადმოტვირთვის მანქანების ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლები

1. ტექნიკური მწარმოებლურობა წარმოადგენს ტვირთის რაოდენობას, რომელსაც გადაამუშავებს მანქანა 1სთ-ის შეუჩერებელი მუშაობისას და განისაზღვრება ასე:

ა) პერიოდული მოქმედების მანქანებისათვის

$$\Pi = G_{\text{გ}} \cdot C, \text{ ტ/სთ,}$$

სადაც $G_{\text{გ}}$ - მანქანის მიერ ერთი ციკლისას გადატანილი ტვირთის რაოდენობა ტ; C - ციკლების რიცხვი და

$$C = \frac{3600}{\varphi \sum_{i=1}^n t_i + \sum t_B},$$

სადაც φ - ოპერაციების შეთავსების კოეფიციენტი; t_i - მუშა დრო; $\sum t_B$ - დამხმარე ოპერაციებზე დახარჯული დრო.

კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის განხორციელება დატვირთვა-გადმოტვირთვის და სასაწყობო ოპერაციების დროს მოითხოვს გარკვეული რაოდენობის კაპიტალურ დანახარჯებს. ეს კაპიტალური დანახარჯები უნდა იყოს ეკონომიურად დასაბუთებული და ეფექტური. დანახარჯები უნდა იყოს ეფექტური არა მარტო მოცემული დარგის ან წარმოებისათვის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობისათვისაც.

კაპიტალური დაბანდების ეკონომიკური ეფექტი იანგარიშება ტიპური მეთოდებით, რომელიც დადგენილია სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ. განასხვავებენ საერთო (აბსოლუტურ) და შედარებითი კაპიტალური დაბანდების ეფექტურობას.

2. საერთო ეკონომიკური ეფექტი სახალხო მეურნეობის ხაზით:

$$\mathfrak{E}_{\text{ს.ა.}} = \frac{\Delta D}{K_{\text{კ.დ.}}},$$

სადაც ΔD - ეროვნული შემოსავლის მოცულობის წლიური ნაზრდია; $K_{\text{კ.დ.}}$ - კაპიტალური დაბანდებანი, რომლითაც გამოწვეულია ნაზრდი.

დასკვნა

საზღვაო პორტებში სამუშაო პროცესების (ტვირთვა-გადმოტვირთვის, ტვირთების დასაწყობების, და სხვა), ეფექტიანობის შეფასებისათვის, საკითხის კვლევისადმი გამოკვეთილია ორმხრივი მიდგომა. სახელმწიფოს პოზიციებიდან ეფექტიანობას ვაფასებთ გადაზიდული ტვირთების მოცულობით და პორტებში დასაქმებულთა რიცხოვნობით, ხოლო პორტების, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა შეფასებულია ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრებითა და ინვესტიციების განხორციელების შედეგებით.

ბათუმის პორტში დაინერგოს გემების მომსახურების გრაფიკული და ავტომატური მართვის სისტემა მათი მოსალოდნელი შემოსავლის, მათგან მიღებული ინფორმაციის და ნავმისადგომის სიმძლავრის გათვალისწინებით. ასეთი სისტემის გარკვეული ელემენტები რა თქმა უნდა დანერგულია ბათუმის პორტში, მაგრამ მათი არასრულყოფილების გამო, ვერ ხერხდება სამუშაოთა და მომსახურების ისეთი დაგეგმვა, რომ მივალნიოთ პორტის სიმძლავრის მაქსიმალურ გამოყენებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფოთის საზღვაო პორტის ოფიციალური საიტი: <http://www.potiseaport.com/>. გადამოწმებული 12.01.2019 წელს.
2. ბათუმის საზღვაო პორტის ოფიციალური საიტი: <http://www.batumiport.com/>. გადამოწმებული 12.01.2019 წელს.
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, „ტრანსპორტი“, 2019 წ. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/transport>

მაყვლის კულტურის ფენოლური ნაერთების ბამოცალკეების მეთოდების შერჩევა

ლუსანა ლომაია
სტუდენტ-დოქტორანტი

SELECTION OF METHODS FOR SEPARATION OF PHENOLIC COMPOUNDS IN BLACKBERRY CULTURE

Lusana Lomaia
PhD student of GTU

RESUME

Various studies show that flavonoids have a range of health benefits, including anti-cancer properties, and are found in a variety of foods, including fruits.

Blackberries are most often found in the wild in Georgia. About 200 species of blackberries are common in Eurasia and North America. There are 37 species in Georgia, 27 of them are endemic to Georgia.

We have selected the following methods for the separation of phenolic compounds: extraction, extraction, concentrating in vacuum evaporator, column chromatography (silica gel and polymite), chromatography on paper, thin-layer chromatography (silica gel), silica gel, preparotelum and cellulose.

Thin-layer chromatography (silica gel and cellulose) in different solvents, high-pressure liquid chromatography, was selected to identify the compounds.

KEYWORDS: Phenols, Qualitative method, Quantitative method, Antioxidants, Blackberry (*Rubus fruticosus*).

საკვანძო სიტყვები: ფენოლები, თვისებითი მეთოდი, რაოდენობითი მეთოდი, ანტიოქსიდანტები, მაყვალი (*Rubus fruticosus*).

* * * *

სამუშაოს მიზანია მაყვლის კულტურის ფენოლური ნაერთების გამოცალკეების მეთოდების შერჩევა. მაყვალი ეკლიანი ბუჩქია მრავალწლოვანი ფესურებით და ორწლიანი მინისზედა ყლორტებით, მიეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს. ყვავილები თეთრია, მსხვილი, მაყვლის ნაყოფი დიდია, ბევრი თესლით, ძალიან ჰგავს ჟოლოს, განსაკუთრებით ნითელ უმნიშვარ კენკრას. მნიშვნელოვანი არის ნათელი შავი, ზოგჯერ მწვანე ელფერი. მათ აქვთ ტკბილი და მჟავე გემო. მაყვალი კარგი თაფლოვანი მცენარეა.

გავრცელება. მაყვლის სამშობლო ევრაზია და ჩრდილოეთ ამერიკაა. ძველი ბერძნული ლეგენდის თანახმად, მაყვალი არის ტიტანების სისხლის გაყინული წვეთები, რომლებიც დაიჭრნენ ღმერთებთან ბრძოლაში. ამჟამად ეს კენკრა გავრცელებულია ევროპაში, სკანდინავიაში, აზიაში.

საქართველოს ტერიტორიაზე მაყვალი ყველაზე ხშირად ველურ ბუნებაში გვხვდება. მაყვლის 200-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 37 სახეობა გვხვდება, მათგან 27 საქართველოს ენდემია. კავკასიაში, იზრდება მდინარეების ნაპირებთან, ბუჩქებს შორის. გარდა მაყვლისა, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იზრდება მრავალი ველური მცენარე, რომლებიც გემოთი და გარეგნობით მსგავსია (კავკასიური მაყვალი, სისხლიანი მაყვალი, გრძელნაყოფიანი მაყვალი).

ქიმიური შემადგენლობა. მაყვალი ბუნებრივი „მულტივიტამინური კომპლექსია“. მაყვალი შეიცავს უამრავ C ვიტამინს, ვიტამინებს E, P, PP, K, პროვიტამინ A-ს, B ჯგუფის ვიტამინებს. გარდა ამისა, კენკრა შეიცავს მინერალებს (კალიუმს, ნატრიუმს, მაგნიუმს, კალციუმს, რკინას, ფოსფორს, ნიკელს, სპილენძს და ა.შ. .) შაქარს (ფრუქტოზა და გლუკოზა), ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, სალიცილის და ღვინის), ტოკოფეროლს, პექტინებს. თესლი შეიცავს 12%-ზე მეტ ცხიმოვან ზეთს. მაყვლის ფოთლები მდიდარია C ვიტამინით, ტანინებით, მინერალებითა და ამინომჟავებით.

გამოყენება. მაყვალი გამოიყენება ახალი, როგორც ნამცხვრების ან ნაყინის დეკორაცია, მას იყენებენ ლევზელების, მარმელადის, წველის, ლიქიორებისა და ღვინის შიგთავსის მოსამზადებლად.

სასარგებლო თვისებები. მედიცინაში მცენარის ყველა ნაწილი გამოიყენება. ახალი მაყვალი აძლიერებს იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს მეტაბოლიზმს და ახდენს სხეულის ყველა ფუნქციის ნორმალიზებას. მას აქვთ სიცხის დამწვევი თვისებები ბიოფლავონოიდების გამო, რომლებიც კენკრის ნაწილია. მაყვლის ნაყოფი გამოიყენება თირკმელების დაავადებების, შარდის ბუშტის, კუჭისა და ნაწლავების დაავადებების სამკურნალოდ. ის ასევე სასარგებლოა დიაბეტისა და სახსრების დაავადებების დროს. მაყვალი დადებითად მოქმედებს ტვინისა და ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე.

მაყვლის ფოთლებსა და ფესვებს აქვს ჭრილობების შეხორცება, შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო თვისებები და ფესვის ნაყენი ძლიერი შარდმდენი მოქმედებისაა.

მაყვალი ნებისმიერი ფორმით ძალიან სასარგებლოა „ბალზაკის ასაკის“ ქალებისთვის - კარგი დამამშვიდებელი და მატონიზირებელი საშუალებაა, იცავს კლიმაქტერული ნევროზისგან.

ჩვენს სამიზნეს წარმოადგენს ველურად მოზარდი მაყვლის (*Rubus fruticosus*) ნაყოფის ქიმიური



მაყელის (*Rubus fruticosus*) ნაყოფი

შედგენილობა, აქტიური ნაერთების გამოყოფა და მათი იდენტიფიკაცია ინსტრუმენტალური მეთოდებით ან ფიზიკურ-ქიმიური საშუალებებით. უნდა მოვახდინოთ შესწავლილ ნივთიერებათა თვისებითი და რაოდენობითი კვლევისთვის მეთოდების ადაპტირება.

სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ფლავონოიდებს აქვთ მთელი რიგი ჯანმრთელობისთვის სარგებლო თვისება, მათ შორის ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო და კიბოს საწინააღმდეგო თვისებები და გვხვდება საკვებად ვარგის მრავალ მცენარეში, მათ შორის მაყელის (*Rubus fruticosus*) ნაყოფში.

ფლავონოიდების ქიმიური სტრუქტურებიდან გამომდინარე, ისინი იყოფა შემდეგ ქვეკლასებად: ანთოციანინები, ქალკონები, ფლავანონები, ფლავონები, ფლავონოლები, ფლავან-3-ოლი, იზოფლავონები.

ფლავონოიდების კვლევის მეთოდების შერჩევა

მშრალი ნივთიერების განსაზღვრა – წვენში რეფრაქტომეტრით. წყლისა და მშრალი ნივთიერების განსაზღვრა – სტანდარტული, თერმოგრაფიმეტრიული მეთოდით. მეთოდი ემყარება იმ გარემოებას, რომ ყოველი ტენის შემცველი მასალა, რომელსაც ვათავსებთ გარკვეული წნევისა (ატმოსფერული ან დაბალი) და ტემპერატურის (100 - 105°C) პირობებში კარგავს ტენს.

რაოდენობითი განსაზღვრა - AlCl₃- თან ფერადი რეაქციის მეთოდით. საანალიზოდ აღებული, დაქუცმაცებულ ნაყოფს უმატებენ გამხსნელად 80 %-იან ეთილის სპირტს (80-100 მლ) და უკეთებენ მრავალჯერად ექსტრაქციას 50°C ტემპერატურის პირობებში. როცა ექსტრაქტს მოვაცილებთ, შემდეგ ისაზღვრება მისი ოპტიკური სიმკვრივე. ამისთვის 25 მლ-იან მზომ კოლბაში საანალიზოდ იღებენ შე-

საბამის ნიმუშს 1 მლ-ის რაოდენობით, რომელსაც უმატებენ 4 მლ 5%-იან AlCl₃ და კოლბას ავსებენ 60%-იანი სპირტით ნიშანხაზამდე, კონტროლად - 25 მლ-იან მზომ კოლბაში იღებენ ექსტრაგენტად 80%-იანი სპირტის 1 მლ-ს და უმატებენ 4 მლ 5%-იან AlCl₃ და კოლბას ავსებენ 60%-იანი სპირტით ნიშანხაზამდე, 30 წუთის დაყოვნების შემდეგ საზღვრავენ ოპტიკურ სიმკვრივეს სპექტროფოტომეტრზე (440 ნმ). მიღებული მონაცემები გადაანგარიშდება რუთინის საკალიბრო მრუდზე.

ფლავონოლების შემცველობა გამოითვლება ფორმულით:

$$X = (D K V F) * 100 / m$$

სადაც, X - ფლავონოლების შემცველობა, მგ/100გ-ში;

D - ოპტიკური სიმკვრივე;

K - 0.85 (ფლავონოლების რუთინზე გადაანგარიშების კოეფიციენტი);

F - განზავების ფაქტორი;

V - ექსტრაქტის საერთო მოცულობა, მლ; m - საექსტრაქციოდ აღებული ნედლეულის მასა გრამებში.

ანტიოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრის ელექტროპოტენციომეტრული მეთოდი - შევარჩიე ვ.ი. პრილუცკის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ჟანგვა- აღდგენითი პოტენციალის სხვაობაზე არააქტიურ არაორგანულ გამხსნელებსა და რთულ ბიოქიმიურ არეში. მეთოდის საშუალებით ფასდება საერთო ანტიოქსიდანტური აქტივობა სხვადასხვა სასმელებში. აქტიური მჟავიანობისა და ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის მიღებული მნიშვნელობების სხვაობით საკვლევი პროდუქტის ელექტრო-აღდგენითი ძალა განისაზღვრება.

$$OB\Pi_{min} = 660 - 60pH$$

$$\text{ЭВ} = OB\Pi_{min} - OB\Pi$$

OB\Pi - ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალი, მილივოლტმეტრი;

ЭВ – ელექტრო-აღდგენითი ძალა;
pH – წყალბად-იონების კონცენტრაცია;
pH-სა და ОВП-ს მაჩვენებელი განისაზღვრა pH-მეტრ-მილივოლტმეტრ pH- 121-ზე. pH –

განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა მინის ელექტროდი, ОВП - განსაზღვრისათვის კი პლატინის ელექტროდი. ЭВ – ОВП_{min}-სა და ОВП-ს მნიშვნელობების სხვაობა წარმოადგენს საანალიზო ნიმუშის ელექტრო-აღდგენით ძალას.

სტატისტიკური ანალიზი. მიღებული მონაცემების დამუშავება ხდება სტატისტიკურად, სარწმუნოების კოეფიციენტი არის $p \leq 0.05$.

თვისებითი კვლევა - მაღალი წნევის სითხური ქრომატოგრაფირების მეთოდით: ქრომატოგრაფია, ქრომატოგრაფიული სვეტი; დეტექტირება -

ანთოცინები - 510 ნმ, ფლავონოლები - 360 და 370 ნმ-ზე, ფენოლკარბონმჟავები - 280 ნმ-ზე, რესვერატროლი - 285 ნმ-ზე.

ფენოლურ ნაერთთა გამოყოფისთვის შევარჩიეთ შემდეგი მეთოდები: ექტრაქცია, გამონვლილვა, ვაკუუმამორთქლებელში დაკონცენტრირება, სვეტური ქრომატოგრაფია(სილიკაგელი და პოლიმიტი), ქრომატოგრაფია ქაღალდზე, თხელფენოვანი ქრომატოგრაფია(სილიკაგელი და ცელულოზა), პრეპარატული ქრომატოგრაფია, მაღალი წნევის სითხოვანი ქრომატოგრაფია.

ნაერთთა იდენტიფიცირებისთვის შეირჩა თხელფენოვანი ქრომატოგრაფია (სილიკაგელი და ცელულოზა) სხვადასხვა გამხსნელში, მაღალი წნევის სითხოვანი ქრომატოგრაფია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://med.by/dmn/book.php?book=15-2_16
2. <http://www.svetlcge.by/?p=5893>
3. ხინთიბიძე ლ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983. — გვ. 507.
4. <https://agrokavkaz.ge/samkurnalo-mcenareebi/maqhvili-samkurnalo-mtsenare-retseptebi.html>
5. Куркин В.А., Поройков В.В., Куркина А.В., Авдеева Е.В., Правдивцева О.Е. ФЛАВОНОИДЫ ЛЕКАРСТВЕННЫХ РАСТЕНИЙ: ПРОГНОЗ АНТИОКСИДАНТНОЙ АКТИВНОСТИ // Современные проблемы науки и образования. – 2015. – № 2-2. ;
6. URL: <https://science-education.ru/ru/article/view?id=23252>

პანდემიური გამოწვევები და ეკონომიკური ზრდის ტენდენციები

ბეკარ კილასონია
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველი ქვეყნის წინაშე დგას. მისი დინამიკის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ეროვნული ეკონომიკის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის, განათლების, უმუშევრობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. მსოფლიოში ქვეყნების უმეტესობას თუ გადავხედავთ, ცალსახად დავინახავთ ქვეყნებს შორის არსებულ ეკონომიკურ თუ სოციალურ განსხვავებას. სწორედ ეკონომისტები ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რატომაა ზოგიერთი ქვეყანა მდიდარი, ზოგიერთი ღარიბი. შემოსავლების არათანაბარზომიერი განაწილება ქვეყნებს შორის, შესაძლოა, დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკურ ფაქტორად იქნა ჩაითვალოს. უთანაბრობის მაღალი დონე გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე, გარემოს დაცვაზე და ჯანმრთელობაზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, მშპ, პანდემია, უმუშევრობის დონე, სახელმწიფო ვალი, ტურიზმი, ფულადი გზავნილები.

PANDEMIC CHALLENGES AND ECONOMIC GROWTH TRENDS

Bekar Kilasonia
PHD student of GTU

SUMMARY

According to economic dynamics, we can judge the development of the national economy, the living standards of the population, education, unemployment and other important issues. If we look at most of the countries in the world, we will see the economic or social differences between the countries. It is economists who think about why some countries are rich, some poor. Unequal distribution of revenues between countries may be considered even the most important economic fact today. High levels of inequality affect the development of international relations, the environment and health.

Keywords: Economic growth, GDP, Pandemic, Unemployment rate, Public debt, Tourism, Remittances.

შესავალი

ეკონომიკური ზრდა მაკროეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელსაც იყენებენ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის პოზიტიური ცვლილებების გამოსახატავად. ეკონომიკურ ზრდაში იგულისხმება ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდა, ქვეყნის დოვლათის მოცულობისა და სანარმოო პოტენციალის გადიდება. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლად გამოიყენება რეალური მშპ-ის ზრდის წლიური ტემპი. უფრო ზუსტად მას ასახავს ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე შექმნილი დოვლათის მოცულობის გადიდება. შესაძლებელია გაიზარდოს მშპ, მაგრამ ქვეყნის სიმდიდრე არ გადიდდეს ან, პირიქით, – შემცირდეს კიდევ, თუ ახლად შექმნილი სიმდიდრე არ გადააჭარბებს ბუნებრივი პროცესით ან სხვა მიზეზით მწყობრიდან გამოსული დოვლათის მოცულობას.

განვითარებული ქვეყნების უმეტესობა ხასითდება მაღალი ეკონომიკური ზრდით. ეკონომიკური ზრდა იწვევს ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას, უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვით სურვილს და ამავედროს ინვესტორების დაცულობის გარანტიებს, ფინანსური სექტორის, ქვეყნის ვალუტის და ექსპორტ-იმპორტის სტაბილურობას, გამოშვების მაღალ დონეს და რაც მთავარია ქვეყნის როლსა და ადგილს წარატებული ქვეყნების რიცხვში. თუ გადავხედავთ ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებსა და მომხდარ მოვლენებს დავინახავთ რომ პანდემიურმა პერიოდმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. უმეტესად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაგივრად ეკონომიკური დაქვეითების პერიოდი წარმოიშვა. მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოც. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია დაახლოებით 347\$ მილიარდამდე ზიანი მიყენა მსოფლიო ეკონომიკას.¹

ძირითადი ნაწილი

გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 3.5%-მდე შემცირდა. შესაბამისად ყველაზე დიდი ზიანი ნავთობის და სხვა საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიაღდა. ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპი მინიმუმ 1%-ით შემცირდა.² სავალუტო ფონდის პროგნოზით, მსოფლიო ეკონომიკის 3.31% პროცენტია კლე-

1 "The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia", Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2UpeGe9>

2 "The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2WwcW50>

ბის შემდეგ, 2021 წელს მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის 5,9% პროცენტით, ხოლო 2022 წელს 4,9% პროცენტით ზრდა.³

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით 2021 წლის მაისში საქართველოში ეკონომიკა 25,8%-ით გაიზარდა. შესაბამისად, 2021 წლის იანვარ-მაისში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 11,5 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის მაისში ეკონომიკის კლება 13,5 პროცენტი იყო, 2021 წლის მაისში დაფიქსირებული ეკონომიკური აქტივობის დონე აჭარბებს როგორც 2020 წლის, ასევე 2019 წლის მონაცემსაც. 2021 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკურ კლებაში ყველაზე მაღალი უარყოფითი წვლილი რეალურმა ინვესტიციებმა შეიტანა (-3,3 პ.პ). პირველ კვარტალში ასევე უარყოფითი იყო წმინდა ექსპორტის წვლილი (-1,9 პ.პ), ხოლო მოხმარების დადებითი წვლილი დაფიქსირდა (0,7 პ.პ).⁴

2021 წლის ივნისში წლიური ინფლაციის დონემ 9,9 პროცენტი შეადგინა, ხოლო წინა თვესთან შედარებით ფასების დონე 0,7 პროცენტით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით წლიური ინფლაციის დონე 2,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა მოახდინა გლობალურად სასაქონლო ბაზრებზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ და წინა პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ.

2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11,3%-ით გაიზარდა და 28,9 მლრდ. ლარი შეადგინა. 2021 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის გამოშვება 10,3 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 0,2%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

ეკონომიკური ზრდის დროს აუცილებელია ხაზი გავუსვათ და ყურადღება გავამახვილოთ უმუშევრობასა და დასაქმებაზე. 2019-2020 წლებში მსოფლიოში უმუშევართა რიცხვი 187,3 მილიონიდან 220,3 მილიონამდე გაიზარდა, რაც უმუშევრობის ყველაზე დიდი წლიური ზრდაა ამ პერიოდში. 2021 წელს უმუშევართა რიცხვი ოდნავ გაიზარდა და თითქმის 220,5 მილიონი შეადგინა⁵. საქართველოში 2019 წლიდან დღემდე უმუშევრობის ზრდა ფიქსირდება. დღესდღეისობით სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემებით უმუშევრობის დონე განისაზღვრა 18,5 % -ით რაც არცთუ ისე მცირე მაჩვენებელია იმ ქვეყნისათვის რომლის მოსახლეობა დაახლოებით 3,7 მილიონია. 2019 წლიდან დღემდე უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 68 ათასი ადამიანია, ამ დონის მატება ძირითადად მაინც პანდემიურ პერიოდს უკავშირდება.

ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორადაა ჩამოყალიბებული. ქვეყანა ცდილობს ტურისტული პოტენციალის გამოყენებასა და შესაბამისად ეკონომიკის გაჯანსაღებაში მისი როლის მნიშვნელობის ხაზგასმას. დღესდღეისობით ტურიზმი მშპ-ს 10-დან 11% ამდე აგენერირებს. 2021 წლის პირველ კვარტალში ტურიზმიდან შემოსავლებმა 53,6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 87,5

პროცენტით ნაკლებია 2020 წლის მონაცემზე. გასული წლის მონაცემებს თუ შევადარებთ 2020 წელს შემოსავლები ტურისტული სექტორიდან 83,5%-ით არის შემცირებული და ჯამში 541,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელთაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აკისრია ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში, თუ ტენდენციას დავაკვირდებით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2017 წლის გარდა როდესაც ზრდის ტენდენცია ფიქსირდებოდა) თანდათან კლებადა ტენდენციით ხასითდება. კლებადა ტენდენცია ძირითადად გამოწვეულია სხვადასხვა პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებით, თუმცა ინვესტიციების ნაკლებობას მხოლოდ ამ ცვლილებებს ვერ დავაბრალებთ. ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს ინვესტიციებისათვის ხელის შემწყობი მოწყვლადი ადგილები, თუმცა რთულია ინვესტიციები იმ ქვეყნებში, სადაც არასტაბილური პოლიტიკური თუ ეკონომიკური გარემოა. ძირითადად ჩვენი ყველაზე დიდი ინვესტორი ევროკავშირის ქვეყნებია. ევროკავშირიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 47,2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7,8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3,2%. პანდემიურმა პერიოდმა თითქმის ყველა ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა, შესაბამისად ინვესტიციების მოცულობაც რადიკალურად შემცირდა. 2021 წელს წინა წელთან შედარებით 64% შემცირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

COVID-19-ის ეკონომიური ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე. მოგეხსენებათ საქართველოს სავაჭრო ბალანსი არც თუ ისე სახარბიელოა. მუდამ ჭარბობს ინპორტირებული საქონელი და ექსპორტის წილი ბევრად ნაკლებია, ქვეყანა დამოკიდებულია ინპორტირებულ საქონელზე. რატომ არის დამოკიდებული ქვეყანა ასე ძალიან იმპორტზე და რა ნეგატიური შედეგები მოჰყვება იმპორტის ზრდას, ეს ცალკე განხილვის საგანია. პანდემიის მიუხედავად ქვეყნებს შორის ვაჭრობის შეზღუდვები არ დაწესებულა. საქართველოს ყველაზე დიდი იმპორტიორი ისევ ევ-

3 <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/10/12/world-economic-outlook-october-2021>

4 <http://www.economy.ge/>

5 <https://www.statista.com/statistics/266414/unemployed-persons-worldwide/#statisticContainer>

როკავშირია რომელიც საექსპორტო ბაზრის 1/3-ს წარმოადგენს⁶.

2021 წლის იანვარ-ივნისში ექსპორტი გაიზარდა 25.2 პროცენტით და 1,884.7 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 18.9 პროცენტით აღემატება წინა წლის იანვარ-ივნისის მაჩვენებელს და 4,325.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. 2021 წლის იანვარ-ივნისში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებელი 5.3%-ით აღემატება 2019 წლის ანალოგიური პერიოდის (პანდემიამდე) მონაცემს. 2021 წლის იანვარ-ივნისში სავაჭრო დეფიციტი 308.1 მლნ. აშშ. დოლარით გაიზარდა და 2,440.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.⁷

რაც შეეხება ფულად გზავნილებსა და შემოსულობებს საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 137.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9.5%-ით მეტია 2019 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. იანვრის თვეში ზრდის ტემპი 8.6%-ს უტოლდებოდა. ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილები, მთლიანი ფულადი გზავნილების 41.7%-ია. ყველაზე მეტ ფულად გზავნილს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველო იტალიიდან (15.8%) და საბერძნეთიდან (12%) იღებს. მნიშვნელოვანი, 10.4%-იანი წილი მოდის აშშ-ზე. რუსეთიდან (20.9%) და ისრაელიდან (10.5%) მიღებული გზავნილები დაახლოებით მთლიანი გზავნილების 1/3-ს წარმოადგენს. შესაბამისად იმ ქვეყნებში სადაც პანდემიური პერიოდი მძვინვარებს და ეკონომიკას გასაქანის საშუალებას არ აძლევს ფულადი ნაკადების შემოდინებაც შედარებით დაბალია. რაც შეეხება კომერციულ ბანკებს კომერციული ბანკების მოგებამ 2021 წლის მაისის თვეში 180.1 მილიონი ლარი შეადგინა და წინა წლის მაისთან შედარებით 126.8 მლნ. ლარით გაიზარდა. 2021 წლის იანვარ-მაისში ბანკების მოგება 1,378.4 მლნ. ლარით გაიზარდა და 765.0 მლნ. ლარი შეადგინა (2020 წლის მარტის თვეში დაფიქსირდა 943.1 მლნ.მლარის ზარალი). მოცემულ პერიოდში მოგების ზრდა ძირითადად გამოწვეულია შემოსავლების ზრდითა და ხარჯების შემცირებით. 2020 წელს ბანკების მოგებამ 99.3 მლნ. ლარი შეადგინა.

ამ ყველაფერთან ერთად აუცილებელია თვალი გადავავლოთ და შევაფასოთ ქვეყნის საგარეო ვალი. საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2021 წლის 31 მარტის მდგომარეობით 20.6 მლრდ აშშ დოლარი (70.3 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ს 132.9 პროცენტია. 2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 22.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. აქედან, ოპერაციული ცვლილებების გამო ვალი 467.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ფასის ცვლილების გამო 15.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, ხო-

ლო საკურსო და სხვა ცვლილებების გამო - 332.8 და 127.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 9.9 მლრდ აშშ დოლარი (33.8 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 64.0 პროცენტია.⁸ თუ არსებულ მონაცემებს გადავხედავთ და შევადარებთ წინა წლის მონაცემებთან ცალსახა რომ ამხელა საგარეო ვალი ქვეყანას არასოდეს ქონია. რით იყო გამოწვეული ამ ვალის არსებობის საფუძველი, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზად მაინც პანდემიური შოკები სახელდება, თუმცა ამ ყოველივეს მარტო პანდემიურ შოკებს ვერ დავაბრალებთ. არ შეიძლება ქვეყანას ქონდეს მშპ-ს 60%-ზე მეტი საგარეო ვალი თუმცა რიცხვებში ამკარად ვხედავთ რომ ეს პროცენტული მაჩვენებელი ბევრად მეტია ვიდრე 60%-ტი. ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია სტრუქტურების სწორი გამართულობა და რესურსების სწორი ფორმულირება. ერთია გვეინდა და ვცდილობთ და მეორეა რას ვაკეთებთ ამის მისაღწევად. ძლიერი ქვეყნის მშენებლობის სანინდარი სწორეს ის ეკონომიკური ზრდაა, რომელსაც შეუძლია იყოს სახელმწიფოს მყარი ფუნდამენტი.

დასკვნა

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია ქვეყანაში იყოს სტაბილური გარემო. სახელმწიფოს ქონდეს სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური ხედვები. ეკონომიკური ზრდა არა მხოლოდ რიცხვებში, არამედ ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებშიც უნდა აღინიშნებოდეს. რთულია ზრდაზე საუბარი ქვეყანაში, სადაც 18,5% უმუშევარია, სადაც ინვესტიციების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, სადაც ერის დაბერების პრობლემა ისევ აქტუალურია, სახელმწიფო ვალი აღმავალი ტრენდით ხასიათდება და რაც უფრო მთავარია და მნიშვნელოვანია, არასტაბილური პოლიტიკური გარემოა მოცემული. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე და არსებული სირთულეების მიუხედავად, სწორი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის სახელმწიფო პოლიტიკასა და ინტერესებთან, ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას იძლევა. მართალია პანდემიურმა პერიოდმა ძალიან დააზარალა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები, მაგრამ პანდემიამ აჩვენა, რომ აუცილებელია ეკონომიკის ტრანსფორმაცია.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქვეყანა ამ ეტაპისთვის მიმდინარე გამოწვევებს პასუხობს, მართავს სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს, და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისათვის საკმაოდ შეზღუდული რესურსი რჩება, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმ შედეგის მისაღწევად, რასაც ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ქვია. ისიც გასაგებია, რომ შეზღუდული რესურსე-

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: <https://www.geostat.ge/>
7 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: <https://www.geostat.ge/>
8 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ბის პირობებში, საკმაოდ რთულია ცალკეული ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორც მაგალითად საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გინევს აქტივობის განხორციელებას და არა - მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება. აუცილებელია ყურადღებით მივადევნოთ თვალი კრიზისს, ასევე თუ როგორ მოახერხებს მსოფლიო ამ კრიზისიდან დაღწევას, რადგან ისეთი ქვეყნები როგორც საქართველოა, დამოკიდებულია საერთაშორისო დახმარების მამტაბებზე, რომლის მობილიზაციასაც ისინი შეძლებენ.

ინოვაციური ტექნოლოგიები, ინოვაციური მიდგომები, მყისიერი ზრდის შესაძლებლობას იძლევა. ტექნოლოგიები მეტი მწარმოებლურობის პოტენციალს იძლევა ნაკლები დანახარჯებით. რესურსები რომლებიც შეზღუდულობის მიუხედავად დაფდებითი ელფერის მატარებელია, ამ ყველაფრის ჩათვლით ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია

საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: <https://www.geostat.ge/>
2. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
3. “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2UpeGe9>
4. The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: <https://bit.ly/2WwcW50>
5. <https://www.statista.com/statistics/266414/unemployed-persons-worldwide/#statisticContainer>
6. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/10/12/world-economic-outlook-october-2021>

უძრავი ქონების შეფასების აქტუალური პრობლემები

გიორგი დეკანოზიშვილი
სტუდენტ-დოქტორანტი

CURRENT PROBLEMS IN REAL ESTATE APPRAISAL

Giorgi Dekanozishvili
PhD student of GTU

SUMMARY

Many problems in the valuation of real estate have not been resolved. The most important one's includes the need to correctly allow for low liquidity in the valuation (difficult transferability) or real estate. The period of searching for a buyer in the real estate market usually takes months. The low liquidity of the real estate results in additional risk in comparison with the valuation of liquid assets, which must be allowed for in the estimation process. The estimation of the amount of the premium is difficult, moreover it is not constant in time, it changes as the economic situation and the situation of the real estate market changes. For example, research conducted in the United States showed that in the years 2005-2008, and thus in the period of strong shocks in the financial markets, the premium for liquidity risk in real estate markets was constant, and it was relatively constant also in the years 2009-2010, but it was established at a higher level – it increased from 25-33 points to 61-89 (D. Andrews 2011).

The ability to correctly value low liquidity is particularly important for institutional investors at the stage of construction of investment portfolios. The problem of mapping the dynamics of changes in the market. The requirement for the value of real estate to be determined as of the valuation date may suggest that the valuation is of static nature.

The static nature of the valuation is supported by certain economic principles of valuation, such as: internal equilibrium principle, substitution principle, or conformity principle.

However, the very fact that the value is determined as at the given date, the valuation date constitutes an attempt at overcoming the market volatility. The need to allow for market volatility in the valuation process is indicated by subsequent valuation principles: the anticipation principle, the variability principle or competition principle. The real estate markets show dynamics. In the literature on the subject, three rights of the dynamics are indicated: markets are driven by the occurring differences between demand and supply, the rate of changes is proportional to the size of those differences (for example, the more the demand exceeds supply, the quicker the prices will change, aiming to achieve balance) and a turning point takes place in the form of

the new adjustment of demand and supply (BRADLEY 1990). The market volatility may reduce the validity of the estimated value level, which means that the market value as of the valuation date is not sufficient for users.

The awareness of changes taking place in real estate markets puts a question mark on the expression of value in the form of one number suggests – besides the determination of the current value of the property – the need to publish the analysis of disclosing future directions of changes in real estate markets and their impact on the level of the estimated value¹³. The recipient of the valuation should be aware that the value calculated as at the valuation moment may be subject to fluctuations within certain anticipated boundaries as the effect of market instability (TURCAS 2008) the valuation of new products connected with real estate, e.g., shares of legal securities issued on the basis of the real estate, i.e., “future” type contracts for the future prices of houses, which requires the development of new methodologies.

Each of the products must be valued in a manner appropriate for their own features and markets from which they originate, it must allow for risks specific to the real estate assets, despite the fact that that the place of their trading is the securities market. Problems with the correct separation of the value of enterprise and the value of real estate. This problem has become the subject of a global discussion. It becomes particularly relevant in the case of valuations for the purpose of assessment of the real estate tax on such properties as hotels or shopping centers, difficulties in obtaining and maintaining databases in real estate markets, which causes, as Vandell writes, the possibility of occurrence of the “Garbage in – garbage out” situation. One of the more serious problems related to real estate is not just the meagerness of market data,

but also, the low speed in their acquisition in comparison with the equity and bond market – months may pass between the signing of the preliminary agreement and its finalization and recording the change of the owner. For subsequent months, the transaction may not be disclosed, which may suggest that the market is not responding to current events. However, the determination of the value requires having market data defining the market on the valuation date, growing gap between the valuation theory and practice. Not just the theory but also the market has outstripped the valuation practice. The establishment of new products caused a new participant to appear in the valuation area – besides practitioners and academics, financial economics has appeared, which substantially hinders the integration of valuation theory with practice.

Keywords: Real Estate Appraisal, Appraisal Activities, Real Estate Investing, Low Liquidity, Institutional Barriers.

საკვანძო სიტყვები: უძრავი ქონების შეფასება, საშემფასებლო საქმიანობა, ინვესტირება უძრავ ქონებაში, დაბალი ლიკვიდურობა, ინსტიტუციური ბარიერები

* * * *

საშემფასებლო საქმიანობა დაკავშირებულია ქონების ღირებულების დადგენასთან. შეფასების საჭიროება როგორც წესი დგება მაშინ, როდესაც საჭიროა ვიცოდეთ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, გასხვისების ან შექენის დროს; დაკრედიტების მიზნებისათვის, როდესაც ეს ქონება საგირავნო გარანტიის საფუძველია; ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რათა კომპანიის აქტივები ბალანსზე აისახოს არა მისი ნარჩენი ღირებულების, არამედ მიმდინარე სამართლიანი ღირებულებით; ზარალის დადგენისას ასევე, შეფასების ისეთ რთულ და საინტერესო მიმართულებებს, როგორცაა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შეფასება, შემოსავლების მომტანი ქონების (სასტუმროები, ბენზინგასამართი სადგურების, სპორტული კომპლექსების და სხვა) შეფასებას; ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონების შეფასების მეთოდოლოგიას და ახლებურ მიდგომებს.

ბოლო 30 წლის მანძილზე საშემფასებლო საქმიანობა საკმაოდ აქტიუალური გახდა. მსოფლიოს მრავალ ნაშევანს ქვეყანას აქვს ამ საქმიანობის განმსაზღვრელი თავიანთი ნაციონალური სტანდარტი, მაგრამ ზოგადად მთავარ სტანდარტებს წარმოადგენს შეფასების საერთაშორისო სტანდარტები.

საშემფასებლო საქმიანობის მარეგულირებელი ნაციონალური სტანდარტი საქართველოს არ გააჩნია. თუმცა ამის მიუხედავად, ქართულმა საშემფასებლო სკოლამ საკმაოდ მაღალ დონეს და წარმატებებს მიაღწია. ქართველი შემფასებლები და საშემფასებლო კომპანიები ცნობილები არიან უკვე უცხოეთის ქვეყნებშიც. ამის დამასტურებელია სწორედ საქართველოში 2013 წელს შემფასებელთა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება. ბევრი ექსპერტის აზრით, უკვე დადგა დრო, რომ საქართველოსაც ჰქონდეს შეფასების თავისი, ნაციონალური სტანდარტი. ჯერ-ჯერობით კი, ქართველი შემფასებლები და საშემფასებლო კომპანიები შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით სარგებლობენ.

ქონების საბაზრო ღირებულების დადგენა მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივ დონეზეც, რადგან ქვეყანამ უნდა იცოდეს, რა ღირებულებისაა მის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება. ის, რომ ამ ღირებულებას პროფესიონალი შემფასებელი ადგენს, ქვეყნის საინვესტიციო მომხიბვლელობას განაპირობებს. საქართველოში, როგორც ვიცით, უკვე რეგისტრირებულია შეფასების საერთაშო-

რისო სტანდარტები და ქართველი შემფასებლები აქტიურად იყენებენ ამ სტანდარტებს, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ქართული საშემფასებლო ენა უცხოელი ინვესტორისათვის, სადაც კარგადაა განვითარებული საშემფასებლო ინსტიტუტი, სრულიად გასაგებია და საიმედო. აქედან გამომდინარე, საშემფასებლო ინსტიტუტის ჩამოყალიბება და გაძლიერება არის სწორედ ერთ-ერთი წინაპირობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

ძალიან ხშირია შემთხვევები როდესაც აუდიტორულ საქმიანობას და საშემფასებლო საქმიანობას ერთმანეთში ურევინ და შემფასებელს სთხოვენ ქონების ღირებულების განსაზღვრას აუდიტორული სიზუსტით, რაც თავის მხრივ არასწორია. აუდიტი ნიშნავს შემოსავლების და დანახარჯების ზუსტ დათვლას, კაპიკამდე სიზუსტით. ხოლო, რას აკეთებს შემფასებელი, როდესაც ის მუშაობს? ის ვარაუდით გეუბნება, თუ რა ელირება ესა თუ ის შესაფასებელი ობიექტი. ამ ყველაფრის ვარაუდით გამოსათვლელად კი შემფასებელს არ სჭირდება მათემატიკური სიზუსტე, მას უფრო სჭირდება შემოქმედებითობა, აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა და სხვა ბევრი რამ. ეს სულ სხვა სფეროა.

უძრავი ქონების შეფასების სფეროში მრავალი პრობლემა არ არის მოგვარებული. ამ ნაშრომში შევეცდებით გამოვყოთ და განვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები როგორც არის:

ა) უძრავი ქონების დაბალი ლიკვიდურობა ინვესტორებისთვის რისკს ლიკვიდური აქტივების შეფასებასთან მიმართებაში, რაც დასაშვებია შეფასების პროცესში. უფრო მეტიც, პრემიის ოდენობის შეფასება რთულია, ის დროში არ არის მუდმივი, ის იცვლება ეკონომიკური მდგომარეობისა და უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობის შეცვლისას. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 2005-2008 წლებში და, შესაბამისად, ფინანსური ბაზრების ძლიერი შოკის პერიოდში, უძრავი ქონების ბაზრებზე ლიკვიდურობის რისკის პრემია მუდმივი იყო და ის შედარებით მუდმივი იყო ასევე 2009-2010 წლებში, მაგრამ იგი დამკვიდრდა უფრო მაღალ დონეზე-გაიზარდა 25-33 ქულიდან 61-89-მდე (დ. ენდრიუსი 2011). დაბალი ლიკვიდურობის სწორად შეფასების უნარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ინვესტორებისთვის საინვესტიციო პორტფელების მშენებლობის ეტაპზე.

ბ) ბაზარზე ცვლილებების დინამიკის შედგენის პრობლემა.

უძრავი ქონების ღირებულების განსაზღვრის მოთხოვნა შეფასების თარიღისთვის შეიძლება მიუთითებდეს, რომ შეფასება არის სტატიკური ხასიათის. შეფასების სტატიკური ხასიათი ეყრდნობა შეფასების გარკვეულ ეკონომიკურ პრინციპებს, როგორცაა: შიდა წონასწორობის პრინციპი, ჩანაცვლების პრინციპი ან შესაბამისობის პრინციპი. თუმცა, ის ფაქტი, რომ ღირებულება განისაზღვრე-

ბა მოცემულ თარიღში, შეფასების თარიღი წარმოადგენს ბაზრის არასტაბილურობის დაძლევის მცდელობას. დაშვების აუცილებლობა - ბაზრის არასტაბილურობისთვის შეფასების პროცესში მითითებულია შემდგომი შეფასების პრინციპები: მოლოდინის პრინციპი, ცვალებადობის პრინციპი ან კონკურენციის პრინციპი. უძრავი ქონების ბაზარი აჩვენებს დინამიკას. ამ თემაზე ლიტერატურაში მითითებულია დინამიკის სამი უფლება: ბაზრები განპირობებულია მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის არსებული განსხვავებებით, ცვლილებების სიჩქარე პროპორციულია ამ განსხვავებების სიდიდისა (მაგალითად, რაც უფრო მეტია მოთხოვნა მიწოდებაზე, მით უფრო სწრაფად შეიცვლება ფასები ბალანსის მისაღწევად) და გარდამტეხი მომენტი ხდება მოთხოვნილებისა და მიწოდების ახალი კორექტირების სახით. საბაზრო არასტაბილურობამ შეიძლება შეამციროს სავარაუდო ღირებულების დონის მოქმედება, რაც ნიშნავს რომ საბაზრო ღირებულება შეფასების თარიღისთვის არ არის საკმარისი მომხმარებლებისთვის. უძრავი ქონების ბაზრებზე მიმდინარე ცვლილებების გაცნობიერება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ღირებულების გამოხატვას ერთი რიცხვის სახით, ვარაუდის გარდა ქონების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრის - ცვლილებების მომავალი მიმართულებების გამჟღავნების ანალიზის გამოქვეყნების აუცილებლობას უძრავი ქონების ბაზრებზე და მათი გავლენა სავარაუდო ღირებულების დონეზე. შეფასების მიმდებარე უნდა იცოდეს, რომ შეფასების მომენტში გამოთვლილი ღირებულება შეიძლება დაექვემდებაროს რყევებს გარკვეულ მოსალოდნელ საზღვრებში, როგორც ბაზრის არასტაბილურობის ეფექტი.

გ) უძრავი ქონებასთან დაკავშირებული ახალი პროდუქტების შეფასება, მაგ. უძრავი ქონების საფუძველზე გაცემული იურიდიული ფასიანი ქაღალდების აქციები, ანუ "მომავალი" ტიპის კონტრაქტები სახლების მომავალი ფასებისთვის, რაც მოითხოვს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებას. თითოეული პროდუქტი უნდა შეაფასოს თავისი მახასიათებლებისა და ბაზრების შესაბამისად, საიდანაც წარმოიშვა, მან უნდა უზრუნველყოს უძრავი ქონების აქტივებთან დაკავშირებული რისკები, მიუხედავად იმისა, რომ მათი ვაჭრობის ადგილი ფასიანი ქაღალდების ბაზარია. პრობლემები საწარმოს ღირებულებისა და უძრავი ქონების ღირებულების სწორად გამოყოფასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა გახდა გლობალური დისკუსიის საგანი. განსაკუთრებით აქტუალური ხდება შეფასებების შემთხვევაში უძრავი ქონების გადასახადის შეფასების მიზნით ისეთ ქონებაზე, როგორიცაა სასტუმროები ან სავაჭრო ცენტრები

დ) სირთულეები უძრავი ქონების ბაზრებზე მონაცემთა ბაზრის მოპოვებასა და შენარჩუნებაში, რაც იწვევს, შეცდომის წარმოშობის შესაძლებლობას. უძრავი ქონებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი

თი ყველაზე სერიოზული პრობლემა არ არის მხოლოდ ბაზრის მონაცემების სიჭრელე, არამედ მათი შეძენის დაბალი სიჩქარე თუმცა ამ მხრივ ბევრად უკეთესი სიტუაციაა საქართველოში ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით, ვინაიდან ზოგიერთ ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენის პრაქტიკიდან გამომდინარე თვეები შეიძლება გაიაროს წინასწარი ხელშეკრულების ხელმოწერასა და მის დასრულებამდე და მესაკუთრის ცვლილების ჩანერგას შორის. მომდევნო თვეების განმავლობაში, გარიგება შეიძლება არ იყოს გამჟღავნებული, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ ბაზარი არ რეაგირებს მიმდინარე მოვლენებზე. თუმცა, ღირებულების დადგენა მოითხოვს ბაზრის მონაცემების არსებობას, რომელიც განსაზღვრავს ბაზარს შეფასების თარიღისთვის.

ქართული რეალობიდან გამომდინარე საჯარო რეესტრის მონაცემები უძრავი ქონების გასხვისების ღირებულებაზე ხშირ შემთხვევაში არასანდოა, გარიგებაში მონაწილე მხარეების მხრიდან არასწორი (რეალურ ღირებულებაზე დაბალი ფასი) მონაცემების დაფიქსირებიდან გამომდინარე.

ასევე საჯარო რეესტრის ბაზა ფასიანია და შეადგენს 2000 ქართულ ლარს ყოველთვიურად, რაც საკმაოდ მაღალი ფასია.

ე) ქართულ რეალობაში უძრავი ქონება ფასდება აშშ დოლარით და მისი ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში. კურსის გაუფასურება ფასზე ნაკლებად აისახება, რაც იწვევს უძრავი ქონების რეალურ გაძვირებას ეროვნულ ვალუტაში ხოლო ფასის კორექცია ხდება რამდენიმე თვის შემდეგ და არაპირდაპირ პროპორციულად.

ვ) მზარდი უფსკრული შეფასების თეორიასა და პრაქტიკას შორის. არა მხოლოდ თეორიამ, არამედ ბაზარმაც გადააჭარბა შეფასების პრაქტიკას. ახალი პროდუქტების დამკვიდრებამ გამოიწვია ახალი მონაწილეების გაჩენა შეფასების სფეროში - პრაქტიკოსებისა და აკადემიკოსების გარდა გამოჩნდა ფინანსური ეკონომიკა, რაც არსებითად აფერხებს შეფასების თეორიის პრაქტიკაში ინტეგრაციას.

შეფასების მეთოდიკა არ არის მუდმივი. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური თვალსაზრისით შეფასების მეთოდოლოგიის ინსტიტუციონალური სტანდარტიზაციისკენ სწრაფვა წარუმატებელი აღმოჩნდა, ერთიანი განსაზღვრის სტანდარტების დამკვიდრება და პოპულარიზაცია, ისევე როგორც შეფასების პროცესის სტანდარტების დამკვიდრებამ, უდავოდ შეუწყო ხელი ღირებულების კონცეფციისა და მისი განსაზღვრის პროცესის გაერთიანებას.

მიუხედავად შეფასების საერთო ეკონომიკური საფუძვლისა და საერთო მოთხოვნილებებზე რეაგირებისა, ცალკეულ სახელმწიფოებში შეფასების მეთოდიკა განსხვავებულია. უფრო მეტიც, თეორია და ბაზარი წინ უსწრებს პრაქტიკას. მკაფიო დროის

შუალედი ახალ კონცეფციასა და მის წინ განხორციელებულს შორის შეიძლება ნახოთ.

პროგრესის არარსებობა შემფასებლებს შორის, რომლებსაც უჭირთ ექსპერიმენტების ჩატარება და ახალი ტექნიკის გამოყენება, ალბათ ხშირად მცირდება ცვლილებების გაუგებრობისა და სასამართლო პროცესების შიშის გამო. შეფასების სფეროში ცვლილებების გადახედვის მცდელობა ცხადყოფს, რომ თეორია, მეთოდები და პრაქტიკა განიცდის მუდმივ ევოლუციურ პროცესებს. ეს ველი არ იყო და არც იქნება სტატიკური. ეს ცვლილებები გაგ-

რძელდება. როგორც ჩანს, ენდოგენური ხასიათის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ შერწყმას და შექმნიან შეფასების საერთო საფუძველს, უფრო მეტ გავლენას მოახდენს შეფასების მომავალ ფორმაზე. თუმცა, ინსტიტუციონალური ბარიერები შეადგენენ დაბრკოლებას, რომელიც ხელს შეუშლის ერთი, ზოგადად მიღებული შეფასების კონცეფციის პოპულარიზაციას. კონცეფციების შერწყმა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ შეფასების მეთოდოლოგიის გაერთიანება, მაგრამ მისი სტანდარტიზაცია თითქმის გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

ბამოყენებული ლიტერატურა

- 1) ალექსანდრე სიჭინავა - ექსპერიმენტალური ეკონომიკა - ეკონომიკური თეორიის ახალი მიმართულება
- 2) ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი - უძრავი ქონების შეფასების " უმაღლეს სასწავლებლებში დამოუკიდებელ სპეციალობად შემოღების საკითხისათვის.
- 3) ალექსანდრე სიჭინავა, დალი სეხნიაშვილი, მედეა ჩიქავა - უძრავი ქონების - მიწის და ტყის რესურსების ეკონომიკური შეფასების აქტუალური საკითხები საქართველოში.
- 4) Sabina Żróbek; Ewa Kucharska. Stasiak; Maria Trojanek; Jerzy Adamiczka; Tomasz Budzyński; Radosław Cellmer; Janusz Dąbrowski; Elżbieta Jasińska; Edward Preweda; Natalia Sajnog - CURRENT PROBLEMS OF VALUATION AND REAL ESTATE MANAGEMENT BY VALUE
- 5) ADAIR, A., DOWNIE, M., MCGREAL, S., VOS, G. 2003. European Valuation Practice, E& F.N. Spon, London,
- 6) ANDREWS, D. 2011. Actuarial methods for Valuing Illiquid Assets, University of Southampton,
- 7) ANDREWS, D. 2011. Actuarial methods for Valuing Illiquid Assets, University of Southampton,
- 8) COLBORNE, A., HALL P. C. L. 1993. The profit Method of Valuation, Journal of Property Valuation and Investment,
- 9) International Valuation Standards 2007/2011
- 10) MILLER, N., MATKOSYAN, S. 2013. The academic roots and evolution of real estate appraisal, The Appraisal Journal.
- 11) NUBEREIT, P. 2008. The Harmonisation of Property Valuation- The Role of Valuation Parameters and Terminology
- 12) RATTERMANN, M. R. 2009. The Student Handbook to The Appraisal of Real Estate, 13th Edition, Appraisal Institute

ბიოკომპლექსების მიღების მეთოდების შერჩევა

ეკატერინე გიორგიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სამუშაოს მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეული ნედლეულის ბაზაზე ბიოკომპლექსების მიღების მეთოდების შერჩევა. ბიოტექნოლოგიაში მეცნიერული მიღწევების გამოყენება დაკავშირებულია ფუნდამენტურ კვლევებთან, რომლებიც ტარდება თანამედროვე დონეზე. ნარმოებაში ბიოტექნოლოგიური პრინციპებისა და ბიოლოგიური პროცესების გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მრავალი მიმართულება მედიცინაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

საკვანძო სიტყვები: ბიოკომპლექსი, ლითონ-ლიგანდის ჰომეოსტაზი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ჰიდროლიზი.

SELECTION OF METHODS FOR OBTAINING BIOCOMPLEXES

Ekaterine Giorgishvili
PhD student of GTU

RESUME

The aim of the work is to select methods for obtaining biocomplexes based on plant raw materials spread on the territory of Georgia. The application of scientific advances in biotechnology is linked to fundamental research being conducted at the modern level. The application of biotechnological principles and biological processes in production can significantly change many directions in medicine, industry and agriculture.

The methods of studying the already known medicinal plants and materials included in the state pharmacopoeias are completely acceptable to us. At the same time, there are factors that affect the accumulation of important, biologically active substances for us (rational methods of collecting and drying raw materials, loss of active substances during storage, study of individual chemical groups). In addition, if necessary, normative-technical documentation should be created, which will regulate the quality of plant raw materials.

Keywords: Biocomplex, metal-ligand homeostasis, biologically active substances, hydrolysis.

* * * *

ბიოტექნოლოგიური ობიექტების შერჩევის პრინციპები: მოდელოური და საბაზისო მიკროორგანიზმები, ბიოტექნოლოგიაში გამოყენებული მიკროორგანიზმების შტამები. მცენარეები, როგორც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წყარო. ცხოველური და ცხოველური უჯრედების კულტურების გამოყენება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარმოებისთვის.

ორგანიზმში მუდმივად ხდება ბიოკომპლექსების ნარმოქმნა და განადგურება ბიომეტალების (რკინა, სპილენძი, თუთია, კობალტი) და ბიოლიგანდების (პორფირინები, ამინომჟავები, პოლიპეპტიდები) კათიონებისგან. გარემოსთან ნივთიერებათა ცვლის ხარჯზე ნარჩუნდება ნივთიერების კონცენტრაცია გარკვეულ დონეზე, რაც უზრუნველყოფს მეტალ-ლიგანდის ჰომეოსტაზის მდგომარეობას.

ამა თუ იმ მეტალის კატიონის განაწილება ბიოლიგანდებს შორის ბიოგარემოში განისაზღვრება როგორც ნარმოქმნილი კომპლექსების სიძლიერით, ასევე ამ ლიგანდების კონცენტრაციით. ბიომეტალის თითოეულ კატიონს ახასიათებს მეტალ-ლიგანდის წონასწორობის რეაქციების საკუთარი ნაკრები. ლითონის კატიონების (და ზოგადად ნებისმიერი მიკროელემენტის) მიღება, მეტაბოლიზმი, დაგროვება და გამოყოფა რეგულირდება მიკროელემენტების ჰომეოსტაზის სპეციალური სისტემით.

მთლიანობაში არსებობს ათასობით პათოლოგიური მოვლენა - მიკროელემენტოზი, რაც დაკავშირებულია გარკვეულ მეტალის სიჭარბესთან ან მეტალოდეფიციტურ მდგომარეობასთან. მეტალ-ლიგანდის ჰომეოსტაზის დარღვევა შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზით: ბიომეტალების კათიონების დეფიციტით ან სიჭარბით, ტოქსიკური ლითონების კათიონების მიღებით, გარე ლიგანდების მიღებით ან ნარმოქმნით.

ლითონ-ლიგანდის ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლად და ორგანიზმიდან ტოქსიკური მეტალის იონების მოსაცილებლად სულ უფრო ხშირად იყენებენ კომპლექსებს - პოლიამინოპოლიკარბოქსილის მჟავებს. მედიცინაში შემუშავდა სპეციალური მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია მეტალ-ლიგანტური ბალანსის რეგულირებისთვის ქელატორების გამოყენებასთან - ქელატაციური თერაპია.

ბიოკომპლექსები არის მრავალფუნქციური პრეპარატები, რომლებიც შეიცავს ცოცხალ მიკროორგანიზმებს, ბუნებრივი, მცენარეული და ნიადაგის

მიკროფლორის წარმომადგენლებს, აგრეთვე მათ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. ეს ბიოლოგიური პროდუქტები შემუშავებულია სპეციალური ფორმულირებების მიხედვით, თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბიოლოგიური საჭიროებების გათვალისწინებით.

უკვე ცნობილი სამკურნალო საშუალებების კომპლექსწარმოქმნის უნარი ბიომეტალებთან ერთ-ერთი ეფექტური მიმართულებაა ახალი ბიოკომპლექსების მიღების თვალსაზრისით, რადგან ის საშუალებას გაძლევთ დავაკავშიროთ სხვადასხვა სახის აქტივობა ერთ ნივთიერებაში, უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ ერთმანეთის გაძლიერება, მოქმედების სპექტრის გაფართოება, სამკურნალო საშუალებების ტოქსიკურობის შემცირება.

თითოეული სამკურნალო მცენარეული ნივთიერება ხასიათდება ბიოლოგიური აქტიურობით, რაც ვლინდება ადამიანის და ცხოველის ორგანიზმზე მათი მოქმედების მრავალფეროვნებით.

მეთოდები: სამკურნალო მცენარეული ნედლეულისათვის არსებობს ნორმატიული დოკუმენტაცია, სადაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გათვალისწინებულია მათ შემადგენლობაში შემავალი ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენა და ნორმირება. კვლევები მიმდინარეობს ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით.

უკვე ცნობილი სამკურნალო მცენარეების და მასალის შესწავლის მეთოდები, რომლებიც შესულია სახელმწიფო ფარმაცოპეებში, ჩვენთვის სრულიად მისაღებია. ამასთან ყურადსაღებია ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების დაგროვებაზე (ნედლეულის შეგროვებისა და გაშრობის რაციონალური მეთოდები, მოქმედი ნივთიერებების დანაკარგი შენახვისას, ცალკეული ქიმიური ჯგუფების შესწავლა). ამის გარდა, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიქმნას ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც რეგლამენტირებას გაუკეთებს მცენარეული ნედლეულის ხარისხს: ფარმაცოლოგიური სტატიები, სახელმწიფო სტანდარტები და ა.შ; მითითებები ანალიზის ახალი მეთოდებზე.

ნივთიერებების ჯგუფს, ან ინდივიდუალურ ნივთიერებას წინასწარ გამოჰყოფენ მცენარეული ნედლეულიდან. ხშირად იყენებენ გამხსნელებით ექსტრაქციის მეთოდს, რის შედეგადაც ლეზულობენ კომპონენტთა ნარევეს. შემდეგ აწარმოებენ მინარევეებისაგან გასუფთავებას, ჰყოფენ ცალკეულ ფრაქციებად და/ან გამოჰყოფენ ინდივიდუალურ ნივთიერებებს ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. ეთერზეთების ანალიზისათვის იყენებენ წყლის ორთქლზე გამოხდას. გამოხდილი ზეთის

რაოდენობას ზომავენ სპეციალური მონყობილობებით და გამოთვლას აწარმოებენ წონით-მოცულობით პროცენტებში.

ამჟამად არსებობს სამკურნალწარმო ნედლეულის გადამუშავების სამი მიმართულება:

1) მცენარეული ნედლეულიდან ქიმიური სუფთა, ინდივიდუალური ნივთიერებების ან მათი ნარევეების გამოყოფა, რომელიც მთლიანად განთავისუფლებული იქნება მცენარეულ ნედლეულში არსებული ყველა თანხვედრილ ნივთიერებებიდან. ეს სუფთა ნივთიერებები მიიღებიან მცენარეული ნედლეულის საკმაოდ რთული გადამუშავების შემდეგ, გამონაწვლის გასუფთავებას ახდენენ ადსორბენტებით, არა შერევადი გამხსნელებით, ქიმიური რეაქციებით და ა.შ. რის შედეგადაც ლეზულობენ ალკალოიდებს, გლიკოზიდებს, ეთეროვან ზეთებს და სხვა. მცენარეთა გადამუშავების ამ მიმართულებას უწოდებენ -ფიტოქიმიურ დამუშავებას.

2) მცენარეული ნედლეულიდან გალენის ახალი პრეპარატების მირება ე.ი. პროდუქტი, რომელიც განთავისუფლებულია ბალასტური ნივთიერებებიდან, რომელსაც აქვს რთული შემადგენლობა გამომდინარე რთული კომპლექტური შემადგენლობიდან. გალენის ახალი პრეპარატების მოსამზადებლად იყენებენ მარტივ მეთოდებს, რათა მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისას, შეინარჩუნონ მოქმედი ნივთიერებები იმ სახით, როგორც ფორმითაც გვხვდება მცენარეულ ნედლეულში - ე. ი. უცვლელი სახით.

3) გალენის პრეპარატების მომზადება - ეს მცენარეული ნედლეულის გადამუშავების შედარებით ძველი წესია. ამ დროს მიიღება პრეპარატი, რომელიც შეიცავს ექსტრაქტულ ნივთიერებათა კომპლექსს, რომელიც მოცემულ გამხსნელში იხსნება ადვილად. გალენურ პრეპარატებში გარდა მოქმედი ნივთიერებებისა, აგრეთვე ყოველთვის შედის დიდი რაოდენობით ბალასტური ნივთიერებები. გალენური პრეპარატები (ნაყენი, ექსტრაქტები) თავიანთი მიღების წესის მიხედვით ძალზე ახლოა წყლიანი გამონაწვლილებთან, რომლებიც მზადდებიან აფთიქის პირობებში.

ზოგიერთ მცენარეებში მოქმედ ნივთიერებათა რაობა ჯერ კიდევ დაუდგენელია. მაგალითად დაუდგენელია თუ რა ნივთიერებითაა განპირობებული ძახველის ქერქის სამკურნალო მოქმედება, ასეთივე მდგომარეობაა წინმატურას ბალახის შემთხვევაში და სხვ. რიგი მცენარეებისათვის შემუშავებული არ არის სუფთა მოქმედი ნივთიერების გამოყოფის ტექნოლოგია, ანდა შემუშავებულია გამოყოფის წესი, რომელიც ეკონომიურად არა ხელსაყრელია. რიგ შემთხვევაში გალენური პრეპარატების და წყლიანი გამონაწვლილების სამკურნალო მოქმედება დამოკიდებულია არა მარტო ნივ-

თიერებებზე, არამედ მოქმედ ნივთიერებათა მთელ კომპლექტზე, რომელსაც შეიცავს მცენარეული ნედლეული, რომელიც გადადის გამონაწვლილში. განსაუთრებით მნიშვნელოვანი მომენტია გალენური პრეპარატების მიღების წესის სიმარტივე და სიიაფე საერთოდ, განსაკუთრებით კი წყლიანი გამონაწვლილებისა. წყლიანი გამონაწვლილების მოსამზადებლად საჭირო აპარატურა არ არის რთული და ხელმისწვდომია.

ამ სამკურნალწარმო ფორმის ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს, მისი არა მდგრადობა შენახვის დროს. წყლიანი გამონაწვლილებში შეიძლება მოხდეს ნივთიერებათა ქიმიური გარდაქმნა - ჰიდროლიზი, ჟანგვა ან აღდგენა, რომელიც 2-3 ჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს ტემპერატურის გაზრდის შემთხვევაში. შედარებით ადვილად განიცდიან ჰიდროლიზს რთული ეთერები და ამიდები, განსაკუთრებით სუსტ ტუტე არეში. შენახვისას წყლიანი გამონაწვლილები - ადვილად ხდება მალფუჭება-

დი (ობისა და საფუარის სოკოები). ამას მივყავართ ფემენტული პროცესების გააქტიურებასთან, მათი აქტიურობაც დამოკიდებულია ტემპერატურაზე. წყლიანი გამონაწვლილების არა სტანდარტულია აიხსნება ასევე სამკურნალწარმო მცენარეული ნედლეულის განსაკუთრებულობით და მომზადების სააფთიაქო წესის არასრულყოფილებით.

გამონაცემებისა და მონახარშის მოსამზადებლად, როგორც გამომწვლილველი გამოიყენება გამოხდილი წყალი, რომელსაც აქვს რიგი დადებითი და უარყოფითი თვისებები. გამოხდილი წყალი საკმაოდ კარგი გამხსნელია მცენარეული ნედლეულიდან მრავალი მოქმედი ნივთიერების (გარდა ალკალოიდებისა). იგი ფარმაკოლოგიურად იდეალურია აქვს დიდი დიფუზიური უნარი.

ნაკლოვანებაა: შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ნივთიერებების ჰიდროლიზი (ფერმენტების თანაობისას), მიკროორგანიზმების გამრავლება და დაჭუჭყიანება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Петков В. Лекарство, организм, фармакологический эффект/ В. Петков. - София: Медицина и спорт, 1974.-164 с.
2. Полимеры в фармации / Под ред. А.И. Тенцовой, М.Т. Алюшина.-М.: Медицина,1985.-256 с.
3. Сливкин А.И. Физико-химические и биологические методы оценки качества лекарственных средств / А.И. Сливкин, В.Ф. Семенов, Е.А. Суховерхова. - Воронеж: Изд-во Воронежского государственного университета, 1999. - 366 с.
4. Саркисов Д.С. Очерки по структурным основам гомеостаза/ Д.С. Саркисов. - М.: Медицина, 1977. - 351 с.
5. <https://www.eduherald.ru/ru/article/view?id=15109>
6. <https://chem21.info/info/1865909/>
7. <https://www.docsity.com/ru/kompleksnye-soedineniya-6/4483131/>
8. <https://cutt.ly/dR74RAr>